

თსუ პაატა გუბუშვილის  
სახელობის ეკონომიკის  
ინსტიტუტის

სამეცნიერო შრომების  
კრებული  
XV

*მთავარი რედაქტორი*

**რამაზ აბესაძე**

*სამეცნიერო-სარედაქციო კოლეგია*

გ. ბერუღაია, ნ. ბიბილაშვილი (პასუხისმგებელი მდივანი), ვ. ბურღული, თ. გოგონია, ლ. დათუნაშვილი, გ. ერქომაიშვილი, ლ. თოთლაძე, ე. კაკულია, მ. კვარაცხელია, თ. ლაზარაშვილი, ვლ. პაპაია, მ. ხუსკივაძე, რ. ჯაგანიშვილი

თსუ პაატა გუბუშვილის სახელობის ეკონომიკის  
ინსტიტუტის გამომცემლობა  
თბილისი 2022

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის სამეცნიერო შრომების კრებულში ქვეყნდება ინსტიტუტის მეცნიერ თანამშრომელთა და საქართველოს მეცნიერ-ეკონომისტთა ნაშრომები, რომლებიც ეძღვნება თანამედროვე აქტუალურ ეკონომიკურ პრობლემებს.

კრებული განკუთვნილია მკითხველთა ფართო წრისათვის და დახმარებას გაუწევს არა მხოლოდ სპეციალისტებს, არამედ ეკონომიკის საკითხებით დაინტერესებულ ნებისმიერ პირს.

რედაქციის შეხედულება შესაძლოა არ ემთხვეოდეს ავტორის აზრს და იგი პასუხს არ აგებს ინფორმაციის სიზუსტეზე

© თსუ პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის  
ინსტიტუტის გამომცემლობა  
2022

**PROCEEDINGS OF  
SCIENTIFIC WORKS  
OF PAATA GUGUSHVILI  
INSTITUTE OF ECONOMICS  
OF TSU  
XV**

*Editor-in-chief*

**Ramaz Abesadze**

*Scientific-Editorial Board*

**G. Berulava, N. Bibilashvili (executive secretary), V. Burduli, L. Datunashvili, G. Erkomaishvili, T. Gogokhia, R. Javakhishvili, E. Kakulia, M. Khuskivadze, M. Kvaratskhelia, T. Lazarashvili, V. Papava, L. Totladze**

**PUBLISHING HOUSE OF PAATA GUGUSHVILI INSTITUTE  
OF ECONOMICS OF TSU  
TBILISI 2022**

*UDC (ჯსკ) 061.62: 33(479.22)(045)*

*ჯ - 121*

**The proceedings of scientific works of Paata Gugushvili Institute of Economics of Ivane Javakhishvili Tbilisi State University publishes the works of Institute researchers and scientists-economists of Georgia dedicated to current actual economic problems.**

**The proceedings are intended for a wide range of readers and will assist not only professionals but those concerned with issues of economy.**

**The views of scientific-editorial board do not necessarily reflect author's option and it accepts no responsibility for the accuracy of information**

**© Publishing House of Paata Gugushvili Institute of  
Economics of TSU  
2022**

**ISSN 1987 - 6904**

## წინასიტყვაობა

**2022 წელს** თსუ პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტმა მუშაობა დაიწყო სამინისტროს მიერ დამტკიცებულ შვიდწლიან პროგრამაზე (2022-2028) „საქართველოს ეკონომიკური, სოციალური და ეკოლოგიური უსაფრთხოების სტრატეგია“ (პროექტის ხელმძღვანელი – ემდ, პროფ. რამაზ აბესაძე).

**პროექტის ფარგლებში 2022 წელს დამუშავდა შემდეგი სამეცნიერო თემები:** საქართველოს ეკონომიკური უსაფრთხოების სტრატეგიის შემუშავების ძირითადი თეორიულ-მეთოდოლოგიური პრობლემები; დეგლობალიზაციის პრობლემა და განახლებული გლობალიზაციის პირობებში ეროვნული ეკონომიკური უსაფრთხოების ძირითადი გამოწვევები; გლობალური ეკონომიკური საფრთხეები და მათი გავლენა ეროვნულ ეკონომიკურ უსაფრთხოებაზე; ეკონომიკური უსაფრთხოების და ეკონომიკური მდგრადობის თეორიულ-მეთოდოლოგიური ასპექტები: საერთაშორისო გამოცდილება; გლობალიზაცია და ეკონომიკური უსაფრთხოების პრობლემები საქართველოში; საქართველოს სოციალური და ეკოლოგიური უსაფრთხოების სტრატეგიის შემუშავების თეორიულ-მეთოდოლოგიური საკითხები; გლობალური სოციალური საფრთხეები და მათი ეროვნულ სოციალურ უსაფრთხოებაზე გავლენის თეორიული საკითხები; ზოგიერთი განვითარებული ქვეყნის - აშშ-ს /ეკონომიკური და ეკოლოგიური/, იაპონიის /ეკონომიკური და სოციალური/ უსაფრთხოების სფეროში გამოცდილების განზოგადება; ეკოლოგიური უსაფრთხოების სფეროში ევროკავშირის გამოცდილების განზოგადება; გლობალური სასურსათო უსაფრთხოება და მისი ეროვნულ სასურსათო უსაფრთხოებაზე გავლენის თეორიული საკითხები; გლობალური ეკონომიკური და ეკოლოგიური საფრთხეები და მათი ეროვნული სოფლის მეურნეობის უსაფრთხოებაზე გავლენის თეორიული საკითხები; ევროკავშირში შემავალი ქვეყნების გამოცდილება ეკონომიკური, სოციალური და ეკოლოგიური უსაფრთხოების სფეროში; გლობალური ეკონომიკური და ეკოლოგიური საფრთხეები და მათი მშენებლობის ეროვნული სექტორის უსაფრთხოებაზე გავლენის თეორიული საკითხები; ეკონომიკური, სოციალური და ეკოლოგიური უსაფრთხოება ბენელუქსის ქვეყნებში; გლობალური ეკოლოგიური საფრთ-

ხეები და მისი ეროვნული ტურიზმის უსაფრთხოებაზე გავლენის თეორიული საკითხები; ეკონომიკური, სოციალური და ეკოლოგიური უსაფრთხოების სფეროში ზოგიერთი განვითარებადი ქვეყნის (ჩინეთი, თურქეთი) გამოცდილება; ფირმის ეკონომიკური უსაფრთხოების სტრატეგიის შემუშავების მეთოდოლოგიური ასპექტები; ეკონომიკური, სოციალური და ეკოლოგიური უსაფრთხოების სფეროში ზოგიერთი პოსტკომუნისტური ქვეყნის (რუსეთი, უკრაინა) გამოცდილება; სოციალური უსაფრთხოების გამოცდილება ამერიკის შეერთებულ შტატებში; სოციალური უსაფრთხოების გამოცდილება ევროკავშირში; გლობალური ეკონომიკური საფრთხეები და მისი გავლენა საწარმოს ეკონომიკური განვითარების სტაბილურობაზე; გლობალური ეკოლოგიური საფრთხეები და მისი ეროვნულ ეკოლოგიურ უსაფრთხოებაზე გავლენის თეორიული საკითხები; (კლიმატის ცვლილება); ეკოლოგიური უსაფრთხოების გამოცდილება იაპონიაში; გლობალური ეკონომიკური საფრთხეები ჯანდაცვის სფეროში და მისი გავლენა ეროვნულ ეკონომიკურ უსაფრთხოებაზე (ჯანდაცვის სფეროს პრობლემები).

**თსუ პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის მიერ 2022 წელს, გარდა გეგმური თემებისა, შესრულდა შემდეგი მნიშვნელოვანი სამუშაოები**

#### **I. ინსტიტუტში 2022 წელს გამოიცა:**

1. საერთაშორისო სამეცნიერო-ანალიტიკური ჟურნალ (ინდექსირებულია **ERIH PLUS**-ში) „**ეკონომისტის**“ 4 ნომერი;
2. „**თსუ პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის სამეცნიერო შრომების კრებული**“, ტ. XV;
3. ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ გიორგი წერეთლის დაბადებიდან 70-ე წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალების კრებული (ბეჭდური და ონლაინ ვერსია)“**ეკონომიკის ინოვაციური განვითარება: მსოფლიო გამოცდილება და პერსპექტივები**”.

**II. ინსტიტუტში 2022 წელს სულ გამოიცა 71 ნაშრომი (6 დიგიტალური საიდენტიფიკაციო კოდით, დანარჩენი ISSN ან ISBN კოდით), მათ შორის:**

1. მონოგრაფია საქართველოში – 1;
2. ანალიტიკური ბროშურა საზღვარგარეთ (აკად. ვლადიმერ პაპავა) – 2;
3. სტატიები იმპაკტ-ფაქტორიან ჟურნალებში (აკად. ვლადიმერ პაპავა) – 1;
4. სტატიები ERIH PLUS-ში – 10;
5. სტატიები ჟურნალებსა და სამეცნიერო შრომათა კრებულებში – 30
  - 5.1. საქართველოში – 28
  - 5.2. საზღვარგარეთ – 2
6. სტატიები საერთაშორისო კონფერენციათა კრებულებში – 35
  - 6.1. საქართველოში – 34
  - 6.2. საზღვარგარეთ – 1

### **III. ინსტიტუტის ორგანიზებით ჩატარდა:**

1. ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ გიორგი წერეთლის დაბადებიდან 70-ე წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია – “ეკონომიკის ინოვაციური განვითარება: მსოფლიო გამოცდილება და პერსპექტივები”.
2. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ეკონომიკურ მეცნიერებათა კომისიასთან, გორის სახელმწიფო უნივერსიტეტთან და ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტთან ერთად ჩატარდა საქართველოს ეკონომისტთა IV ეროვნული სამეცნიერო კონფერენცია თემაზე – „მსოფლიო ეკონომიკის არქიტექტურის ცვლილება და საქართველოს ეკონომიკის გამოწვევები“;
3. ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს სხდომები, რომელზედაც მოსმენილი იქნა 25 სამეცნიერო მოხსენება.

**IV.** გამოქვეყნდა საგაზეთო სტატიები და ინტერვიუ, ასევე გადაიკა არაერთი სატელევიზიო ინტერვიუ.

**V.** გამოიცემა ინსტიტუტის გაზეთი – „ეკონომიკა და საზოგადოება“ (<https://eas.tsu.ge/#>) (დაფუძნების ინიციატორი და მთავარი

რედაქტორი – პროფესორი რამაზ აბესაძე, საექსპერტო-საკონსულტაციო საბჭოს თავმჯდომარე – აკადემიკოსი ვლადიმერ პაპავა). გაზეთის, როგორც მასმედიის ნებისმიერი საშუალების, მთავარი ფუნქციაა, საზოგადოებას მიაწოდოს სწორი ინფორმაცია ქვეყანაში და მსოფლიოში მიმდინარე მნიშვნელოვან მოვლენებზე. იგი განსაკუთრებით ორიენტირებულია ეკონომიკური პრობლემების გაშუქებაზე, თუმცა, რადგან ეკონომიკა ორგანულადაა დაკავშირებული საზოგადოების ნებისმიერ სფეროსთან, მასში ასევე აისახება ადამიანთა საქმიანობის სხვა მიმართულებებიც (განათლება, მეცნიერება, კულტურა, სპორტი და ა. შ.), გაზეთში ქვეყნდება კვალიფიციური ექსპერტული შეფასებები, სამეცნიერო და პოპულარული სტატიები, ინტერვიუები, შეხედულებები, რეკლამები, განცხადებები. მასში, ბუნებრივია, აისახება უნივერსიტეტში (თსუ), მის ფაკულტეტებზე და სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებში მიმდინარე მნიშვნელოვანი პროცესები. მასში ასევე აისახება სტუდენტთა (დოქტორანტები, მაგისტრანტები, ბაკალავრები) მოსაზრებები და შეხედულებები.

- VI.** გრძელდა მუშაობა „დიდი ქართული ეკონომიკური ენციკლოპედიის გამოსაცემად“.
- VII.** ინსტიტუტის გამომცემლობის მიერ მომზადდა 2 სამეცნიერო შრომათა კრებული, ჟურნალის 4 ნომერი.
- VIII.** ინსტიტუტის თანამშრომლები არიან არაერთი საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალისა და შრომათა კრებულების სარედაქციო კოლეგიის წევრები, სადისერტაციო და სამაგისტრო ნაშრომების რეცენზენტები და სხვა.

### **რამაზ აბესაძე**

თსუ პ. გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის დირექტორი, სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე, ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი



# სამეცნიერო ნაშრომები

რამაზ აბესაძე

## საქართველოს ეკონომიკური უსაფრთხოების სტრატეგიის შემუშავების ძირითადი თეორიულ-მეთოდოლოგიური პრობლემები

**ანოტაცია.** ეკონომიკური უსაფრთხოება ეროვნული უსაფრთხოების ერთ-ერთი მთავარი შემადგენელი ნაწილია. მისი უზრუნველყოფა ხელს უწყობს მომავალში ქვეყნის მდგრად განვითარებას, ძირეულ თვისებრივ ცვლილებებს ეკონომიკის ყველა დარგში საბოლოო ანგარიშით, მოსახლეობის კეთილდღეობის ამაღლებას. ნაშრომში გამოკვლეულია საქართველოს ეკონომიკური უსაფრთხოების სტრატეგიის შემუშავების ძირითადი თეორიულ-მეთოდოლოგიური საფუძვლები.

**საკვანძო სიტყვები.** ეკონომიკური უსაფრთხოება, ეკონომიკური საფრთხეები, ეკონომიკური უსაფრთხოების მაჩვენებლები, ენერგეტიკული უსაფრთხოება, საფინანსო უსაფრთხოება.

### ეკონომიკური უსაფრთხოების სტრატეგია

„უსაფრთხოების“ ტერმინის გამოყენება დაიწყო დაახლოებით XII საუკუნიდან და ნიშნავდა ადამიანის მშვიდ სულიერ მდგომარეობას, მის დაცულობას ნებისმიერი საფრთხისაგან, თუმცა ამ შინაარსით იგი არ დაინერგა ლექსიკაში და მალე იშვიათად გამოიყენებოდა. შემდგომში შემოიღეს ტერმინი "სახელმწიფო უსაფრთხოება", რაც გულისხმობდა ბრძოლას სახელმწიფოს ინტერესების დასაცავად. მოგვიანებით კატეგორია „უსაფრთხოება“ დაიყო ცალკეულ მიმართულებებად. ამ თვალსაზრისით ცალკეული ქვეყნებისათვის უმნიშვნელოვანესია „ეროვნული უსაფრთხოება“.

ეროვნული უსაფრთხოება გულისხმობს ქვეყნისა და მისი მოსახლეობის გარე და შიგა საფრთხეებისაგან დაცვას საქმიანობის ყველა სფეროში. პირველად ტერმინი 1901 წელს გამოიყენა ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა თეოდორ რუზველტმა ერისადმი თავის მიმართვაში „ეროვნული უსაფრთხო-

ების შესახებ“. ოფიციალურად ტერმინი „ეროვნული უსაფრთხოება“ წარმოიშვა 1947 წელს, როდესაც ამერიკის შეერთებულ შტატებში მიღებულ იქნა კანონი „ეროვნული უსაფრთხოების შესახებ“.

უპირველეს ყოვლისა, ეროვნული უსაფრთხოება ემსახურება ეროვნული ინტერესების დაცვასა და განხორციელებას.

საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციის შესაბამისად ქვეყნის ეროვნული ინტერესებია: სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის უზრუნველყოფა; სახელმწიფო ინსტიტუტების განვითარება და დემოკრატიის განმტკიცება; ეროვნული უსაფრთხოების ეფექტიანი სისტემის განვითარება; ეროვნული ერთიანობისა და სამოქალაქო თანხმობის განმტკიცება; ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაცია; ეკონომიკის სტაბილური გრძელვადიანი ზრდის უზრუნველყოფა; ენერგეტიკული უსაფრთხოების უზრუნველყოფა; რეგიონული სტაბილურობის უზრუნველყოფა; საქართველოს სატრანზიტო ფუნქციის გაძლიერება; საქართველოსა და რეგიონის ეკოლოგიური უსაფრთხოების უზრუნველყოფა; სამოქალაქო ინტეგრაციისა და ეროვნული და კულტურული თვითმყოფადობის უზრუნველყოფა; კიბერუსაფრთხოების განმტკიცება; დემოგრაფიული უსაფრთხოების უზრუნველყოფა; დიასპორასთან ურთიერთობა [საქართველოს... 2014].

ყველა ზემოთ აღნიშნული ეროვნული ინტერესის დაცვისა და განხორციელებისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს „ეკონომიკურ უსაფრთხოებას“, ვინაიდან შესაბამისი ეკონომიკური უზრუნველყოფის გარეშე ეროვნული უსაფრთხოების მოთხოვნები (ეროვნული ინტერესები, ადამიანთა კეთილდღეობის ამაღლება) ვერ შესრულდება. ეროვნული უსაფრთხოებისათვის აუცილებელია მრავალფეროვანი საშუალებები: თანამედროვე ტექნიკა, ტექნოლოგიები, საინფორმაციო-ტელესაკომუნიკაციო საშუალებები და ა. შ. შეიძლება ითქვას, რომ ქვეყნის ეროვნული უსაფრთხოების საფუძველს მისი ეკონომიკური უსაფრთხოება წარმოადგენს. ეკონომიკური უსაფრთხოება კი ორგანულადაა დაკავშირებული სოციალურ და ეკოლოგიურ უსაფრთხოებასთან, ვინაიდან სოციალური არასტაბილურობა საფრთხეს უქმნის ეკონომიკის განვითარებას, ხოლო ეკოლოგიური საფრთხე-

ების გაუთვალისწინებლობა – მდგრადი განვითარების პერსპექტივას.

### **სტრატეგიის ძირითადი თეორიულ-მეთოდოლოგიური საკითხები**

ეკონომიკური უსაფრთხოების სტრატეგიის შემუშავების ძირითადი თეორიულ-მეთოდოლოგიური პრობლემების გასარკვევად, უპირველეს ყოვლისა, უნდა გაირკვეს ეკონომიკური უსაფრთხოების არსი, შემდეგ გამოკვლეულ იქნეს ქვეყნის ეკონომიკაში არსებული მდგომარეობა, განისაზღვროს გლობალური და ეროვნული ეკონომიკური და არაეკონომიკური საფრთხეები, ჩამოყალიბდეს ეკონომიკური უსაფრთხოების მაჩვენებლები და დადგინდეს მათი ზღვრული სიდიდეები, შემუშავდეს ეკონომიკური უსაფრთხოების შემადგენელ ნაწილთა (ჩვენს შემთხვევაში რეგიონული, საფინანსო, ენერგეტიკული, სასურსათო და ორგანიზაციის) უსაფრთხოების მექანიზმები. საბოლოოდ უნდა შემუშავდეს ეკონომიკური უსაფრთხოების სტრატეგიის მოდელი მოცემული ქვეყნისათვის, რომელშიც აისახება აქ მოყვანილი სამუშაოების შედეგები და ამ შედეგებზე დაფუძნებული ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფ ღონისძიებათა სისტემა.

ტერმინი „**ეკონომიკური უსაფრთხოება**“ გამოიყენა ფრანკლინ რუზველტმა „ახალი კურსის“ შემუშავების დროს, რამაც უზრუნველყო ამერიკის შეერთებული შტატების გამოყვანა დიდი მსოფლიო ეკონომიკური კრიზისიდან. თანამედროვე ეტაპზე იგი ფართოდ გამოიყენება მთელ მსოფლიოში. ეკონომიკური უსაფრთხოება წარმოადგენს ეროვნული უსაფრთხოების უმნიშვნელოვანეს ნაწილსა და საფუძველს. **ეკონომიკური უსაფრთხოების** ძირითადი შინაარსი მდგომარეობს იმაში, რომ ქვეყანამ უნდა უზრუნველყოს პიროვნების, საზოგადოებისა და სახელმწიფოს სასიცოცხლო ეკონომიკური ინტერესების მუდმივი დაცვა და ეკონომიკის დინამიკური განვითარება როგორც მშვიდობიან, ისე საშინაო და საგარეო ექსტრემალური სიტუაციების პირობებში. იგი ხორციელდება საერთაშორისო, ეროვნულ, რეგიონულ, საწარმოსა და პირად დონეზე. ეკონომიკის ინოვაციური განვითარებისა და კონკურენტუნარიანობის ამაღლების საფუძველზე მისი უმნიშვნელოვანესი ინტერესებია: სოციალურ-ეკონომიკური და სამხედრო-პოლიტიკური

სტაბილურობა; რესურსების ეფექტიანი გამოყენება და განაწილება; სახელმწიფოს ეროვნული პრიორიტეტების დაცვა და რეალიზება; მდგრადი განვითარება; მოსახლეობის კეთილდღეობისა და ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ზრდა.

ქვეყნის ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად აუცილებელია განისაზღვროს გლობალური საფრთხეები. ეროვნული ეკონომიკური უსაფრთხოება დიდადაა დამოკიდებული მსოფლიოს მასშტაბით მიმდინარე პროცესებზე, ამდენად უდიდესი მნიშვნელობა აქვს **გლობალურ უსაფრთხოებას**, რომელიც გულისხმობს უსაფრთხოების უზრუნველყოფას დედამიწაზე ცხოვრების პირობების გაუარესებისა და, საერთოდ, კაცობრიობის განადგურებისაგან. გლობალური უსაფრთხოების პრობლემები ეხება ყველა სახელმწიფოსა და თითოეულ ადამიანს. არსებობს გლობალური ეკონომიკური და არაეკონომიკური ხასიათის საფრთხეები, რომლებიც გავლენას ახდენენ ეროვნულ ეკონომიკურ უსაფრთხოებაზე. ეკონომიკური ხასიათის გლობალური საფრთხეებიდან აღსანიშნავია: ეკონომიკური კრიზისები; ენერგეტიკული პრობლემა; სიღარიბის პრობლემა; სასურსათო პრობლემა; რესურსების ამოწურვის პრობლემა და სხვ. არაეკონომიკური ხასიათის გლობალური საფრთხეებიდან კი აღსანიშნავია: მშვიდობის დაცვა; განიარაღება და შეიარაღებაზე კონტროლის დაწესება; განვითარებადი ქვეყნების პრობლემები; დემოგრაფიული პრობლემები; ატმოსფეროს, წყლისა და ნიადაგის დაბინძურება; კლიმატის ცვლილება; კოსმოსის ათვისება; საერთაშორისო ტერორიზმი; ნარკობიზნესი; ეთნოპოლიტიკური კონფლიქტები; ადამიანის უფლებათა და თავისუფლების დაცვა; კულტურულ მრავალფეროვნებათა შენარჩუნება; კიბერუსაფრთხოება და სხვ. [აბესაძე... 2018].

ეკონომიკური უსაფრთხოების განხორციელება გულისხმობს ღონისძიებათა სისტემის შემუშავებასა და განხორციელებას, რომელიც უზრუნველყოფს ქვეყნის ეროვნული ეკონომიკური სისტემის დამოუკიდებლობას, თვითმყოფადობას, მის განვითარებას, საშინაო და საგარეო მუქარების აღკვეთას, წინასწარი ზომების მიღებას მოსალოდნელი საფრთხის თავიდან ასაცილებლად. ეკონომიკური უსაფრთხოების განსახორციელებლად საჭიროა შესაბამისი ორგანიზაციული სტრუქტურა.

ეკონომიკური უსაფრთხოება ემყარება შემდეგ ძირითად პრინციპებს: განვითარების ისტორიული გამოწვევებისა და მუქარების გათვალისწინება; გრძელვადიანი სტრატეგიული მიზნებისა და ინტერესების განსაზღვრა; ადამიანის, საზოგადოების, სახელმწიფოს სასიცოცხლო ინტერესების დაცვა; ეროვნული და საერთაშორისო უსაფრთხოების თავსებადობა [მესხია... 2002].

ეკონომიკური უსაფრთხოების შემადგენელი ნაწილებია: ფინანსური უსაფრთხოება, ენერგეტიკული უსაფრთხოება; სასურსათო უსაფრთხოება, ასევე მისი ცალკეული სფეროსა თუ დარგის უსაფრთხოება, როგორცა მრეწველობა, ტრანსპორტი, კავშირგაბმულობა, ტურიზმი, ტრანზიტი, მცირე ბიზნესი და სხვ.

მიუხედავად გრძელვადიანი მიღწევებისა, საქართველოში ჯერაც ვერ მოხერხდა სრულყოფილ საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლა. აქ ჩამოყალიბებული საბაზრო მექანიზმი საკმაოდ სუსტი და დეფორმირებულია: განუვითარებელია საბაზრო ინფრასტრუქტურა (სასაქონლო, საფონდო და შრომის ბირჟები; სადაზღვევო სერვისი; საინვესტიციო ინსტიტუტები; მარკეტინგული, ინჟინერინგული, კონსალტინგური და საინფორმაციო სამსახურები); ქვეყანაში ისევ საკმაოდ მაღალია უმუშევრობისა და სიღარიბის დონე, განუვითარებელია ეკონომიკის რეალური სექტორი, მცირე და საშუალო ბიზნესი, სოფლის მეურნეობა, უარყოფითია სავაჭრო სალდო და სხვ.. ყოველივე ეს აფერხებს და საფრთხეს უქმნის ეკონომიკურ განვითარებას. ასევე საფრთხის შემცველია ის, რომ ქვეყანა მტკიცედ ვერ დაადა ეკონომიკის ინოვაციური განვითარების გზას, თუმცა ბოლო წლებში ამ მიმართულებით მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა. საქართველოს ეკონომიკაში არსებული მდგომარეობა მოითხოვს განვითარების სრულიად ახალი გზის არჩევას, რაც, უპირველეს ყოვლისა, საჭიროებს იმ საფრთხეებისა და მუქარების აღმოფხვრას, რომლებიც ხელს უშლის ეკონომიკურ განვითარებას, მის გადასვლას ინოვაციური განვითარების რელსებზე.

**ენერგეტიკული უსაფრთხოება** გულისხმობს გრძელვადიან პერსპექტივაში ქვეყნის საჭირო რაოდენობისა და ხარისხის ენერგიით უწყვეტ მომარაგებას ხელმისაწვდომ ფასად როგორც სტაბილურ, ისე ტექნიკური შეფერხებების, დივერსიებისა და საგანგებო მდგომარეობის პირობებში, ასევე ახალი წყაროების ათვისებას და,

აუცილებლობის შემთხვევაში, იმპორტის ხელმისაწვდომობას [Energy... 2009].

საქართველოს ენერგომომხმარებლის დიდი ნაწილი იმპორტზეა დამოკიდებული, განსაკუთრებით ზამთრის თვეებში, ვინაიდან ჰიდროსადგურების წყალსატევების მოცულობა არასაკმარისია და საქართველოს ჯერ კიდევ არა აქვს საკუთარი გაზის საცავები. ბუნებრივი აირის საკმაოდ დიდი წილი საერთაშორისო სატრანზიტო პროექტებით არის უზრუნველყოფილი, რაც ენერგოუსაფრთხოების ერთ-ერთი საფუძველია. აუთვისებელია მდიდარი ჰიდროენერგორესურსების დიდი ნაწილი, ასევე მზისა და ქარის ენერჯია. სატრანზიტო შესაძლებლობების გამოყენება – ქვეყნის გეოგრაფიული მდებარეობა – მის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს აქტივს წარმოადგენს, რომლის რეალიზაციასაც მიზანმიმართული მუშაობა ესაჭიროება.

აუცილებელია ენერგეტიკაში ინვესტიციების მოზიდვისთვის ხელსაყრელი გარემოს შექმნა, ენერგეტიკის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის გაძლიერება და ენერგოინფრასტრუქტურის განვითარება. ასევე უსაფრთხოების თვალსაზრისით დიდი მნიშვნელობა ენიჭება ენერგორესურსებისა და მათი მომწოდებლების შემდგომ დივერსიფიკაციასა და საერთაშორისო და რეგიონულ ენერგოპროექტებში მონაწილეობის გაფართოებას, კერძოდ, სამხრეთის ენერგეტიკული დერეფნის ფარგლებში ახალი პროექტების განხორციელებას, მათ შორის, იმ პროექტებისას, რომელთა მეშვეობითაც შესაძლებელია ევროპისათვის ნავთობისა და ბუნებრივი აირის კასპიის ზღვისა და ცენტრალური აზიის რეგიონებიდან საქართველოს გავლით მიწოდება. დღის წესრიგში უნდა დადგეს ელექტროენერჯიის გადამცემი ახალი ხაზებისა და ძველი ელექტროსადგურების რეაბილიტაციის საკითხი.

**ფინანსური უსაფრთხოება** სახელმწიფოს დონეზე გულისხმობს ქვეყნის საფინანსო სისტემის ისეთ მდგომარეობას, რომელიც უზრუნველყოფს ფინანსურ მდგრადობასა და სხვადასხვა ფინანსური საფრთხეების თავიდან აცილებას. იგი ეკონომიკური უსაფრთხოების უმნიშვნელოვანესი ნაწილია.

აღსანიშნავია, რომ გლობალიზაციის პირობებში ფინანსური უსაფრთხოების დაცვა მეტად რთულია, ვინაიდან მსოფლიოს რომელიმე მსხვილ ქვეყანაში ან რეგიონში წარმოშობილი ფინანსური

კრიზისი შესაძლებელია მთელ მსოფლიოში ეპიდემიასავით გავრცელდეს და დაავადოს ფინანსური თვალსაზრისით სრულიად ჯანმრთელი ქვეყანა [ახესაძე... 2004]. თანამედროვე სამყაროში ფინანსური ინსტიტუტების რაოდენობისა და ფინანსური მომსახურების მრავალფეროვნების ზრდასთან ერთად მომხმარებელს უფრო მარტივად მიუწვდება ხელი ფინანსურ რესურსებზე, უფრო მარტივად განკარგავს საკუთარ ფულად რესურსებს. მეორე მხრივ, ფინანსურ მომსახურებაზე ხელმისაწვდომობის ზრდამ, ციფრული ტექნოლოგიების განვითარებასთან ერთად, ფინანსური თაღლითობის ახალი რისკებიც წარმოშვა.

**რეგიონული ეკონომიკური უსაფრთხოება გულისხმობს** რეგიონის ეკონომიკის სტაბილურ და მდგრად განვითარებას, მისი ქვეყნის ეკონომიკაში ინტეგრაციას და დამოუკიდებლობის უზრუნველყოფას. ამისათვის ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოები უნდა ფლობდნენ შესაბამის ბერკეტებს, დაიცვან რეგიონის ტერიტორიაზე მოქმედი საწარმოების ინტერესები და შექმნან სტაბილური სოციალურ-ეკონომიკური სიტუაცია. ეკონომიკური უსაფრთხოების ინტერესებიდან გამომდინარე რეგიონმა უნდა აწარმოოს დამოუკიდებელი ეკონომიკური პოლიტიკა ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკის ინტერესებიდან გამომდინარე; გადაჭრას ეკონომიკის წინაშე მდგარი შიგა და გარე საფრთხეები; დაეხმაროს სამეურნეო სუბიექტებს ეფექტიანი ფუნქციონირების განსახორციელებლად; უზრუნველყოს ქვეყანაში არსებული ცხოვრების დონე და ხარისხი.

საქართველოში რეგიონების განვითარებას ნაკლები ყურადღება ექცეოდა. ბოლო წლებში რეგიონებისადმი ყურადღება გაიზარდა, თუმცა არაერთი პრობლემა გადაუჭრელი რჩება.

ვინაიდან სურსათი მიეკუთვნება ადამიანის პირველად სასიცოცხლო საჭიროებას, **სასურსათო უსაფრთხოება** უტოლდება ფიზიკურ უსაფრთხოებას, რომელიც იძლევა სიცოცხლის გარანტიას. აქედან გამომდინარე, სასურსათო უსაფრთხოება საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ერთ-ერთი ძირითადი პრიორიტეტთაგანია.

პირველად ტერმინი „**სასურსათო უსაფრთხოება**“ XX ს-ის 70-იან წლებში გაჟღერდა, რის შემდეგ მისი შინაარსი რამდენჯერმე შეიცვალა. დღესდღეობით გაერთიანებული ერების სურსათისა და

სოფლის მეურნეობის ორგანიზაცია (FAO) მას შემდეგნაირად განმარტავს: “სასურსათო უსაფრთხოება ეს არის ყველა ადამიანის ფიზიკური და ეკონომიკური ხელმისაწვდომობა აქტიური და ჯანმრთელი ცხოვრების შენარჩუნებისათვის საჭირო რაოდენობისა და კვებითი ღირებულების მქონე უვნებელ სურსათზე” [1]. 1996 წელს, მსოფლიო სასურსათო სამიტმა ტერმინი შემდეგნაირად დააზუსტა: “სასურსათო უსაფრთხოება დაცულია მაშინ, როდესაც ჯანსაღი და სრულფასოვანი სურსათი ყველასათვის საკმარისი და ხელმისაწვდომია არა მარტო ფიზიკურად, არამედ ეკონომიკურადაც. ასეთ შემთხვევაში იგი უნდა აკმაყოფილებდეს დიეტურ საჭიროებებს და, ასევე, ქმნიდეს შესაძლებლობას, რომ საზოგადოებამ უპირატესობა მიანიჭოს იმ საკვებს, რომელიც ხელს უწყობს აქტიური და ჯანსაღი ცხოვრების წესს”. [Food... 2020]. მაშასადამე, სასურსათო უსაფრთხოება გულისხმობს:

1. მოსახლეობის უზრუნველყოფას საკმარისი რაოდენობის სურსათით, რაც ნიშნავს ქვეყნის ბაზარზე საჭირო რაოდენობისა და ასორტიმენტის ადგილობრივი წარმოებისა და იმპორტირებული კვების პროდუქტების არსებობას;

2. მოსახლეობის უზრუნველყოფას სრულფასოვანი, ბალანსირებული სურსათით, რაც უზრუნველყოფს მომხმარებლის მიერ სასურსათო პროდუქტის მიღებას ფიზიოლოგიური ნორმების შესაბამისად. ეს ნიშნავს სხვადასხვა პროდუქციის იმ რაოდენობით მოხმარებას, რაც განაპირობებს ნორმალური ცხოველმოქმედებისათვის ორგანიზმის საჭირო ინგრედიენტებით (ცილები, ცხიმები, ნახშირწყლები, ვიტამინები და მიკროელემენტები) შევსებას. სრულფასოვანი კვებისათვის აუცილებელ პროდუქტთა ნუსხაში შედის პური და პურპროდუქტები, ხორცი და ხორცპროდუქტები, რძე და რძის პროდუქტები, კვერცხი, კარტოფილი, ბოსტნეული და ხილი, მცენარეული ზეთი, შაქარი, თევზი და თევზის პროდუქტები;

3. მოსახლეობის უზრუნველყოფა უვნებელი სურსათით. გლობალიზაციის პირობებში სულ უფრო აქტუალური ხდება მოქალაქეთა დაცვა უხარისხო, ჯანმრთელობისა და, ზოგიერთ შემთხვევაში, სიცოცხლისათვის საშიში სასურსათო პროდუქტებისაგან. არასაიმედო, ფალსიფიცირებული, გენეტიკურად მოდიფიცირებული და სხვა საკვები პროდუქტის მზარდი რაოდენო-



ბა უარყოფითად მოქმედებს ადამიანის ჯანმრთელობაზე. სურსათის უვნებლობა გულისხმობს სურსათით გამოწვეული რისკებისგან ადამიანის ჯანმრთელობისა და სიცოცხლის დაცვას;

4. მოსახლეობის უზრუნველყოფას ხელმისაწვდომი სურსათით. ხელმისაწვდომობა თავისთავად ორგვარია: ფიზიკური და ეკონომიკური. ფიზიკური გულისხმობს იმას, რომ ქვეყნის ნებისმიერი რეგიონისათვის უნდა იყოს ხელმისაწვდომი მისთვის საჭირო სურსათი. ეკონომიკური ხელმისაწვდომობა გულისხმობს იმას, რომ მომხმარებელს შეეძლოს მისი შესყიდვა, ეს კი დამოკიდებულია მის შემოსავალზე.

სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფა, უპირველეს ყოვლისა, დამოკიდებულია სოფლის მეურნეობის განვითარებაზე, რასაც საქართველოში წლების განმავლობაში ყურადღება არ ექცეოდა.

ორგანიზაციის (საწარმოს) უსაფრთხოება გულისხმობს მის დაცვას შიგა და გარე ნეგატიური საფრთხეებისგან, რითაც უზრუნველყოფილი იქნება ორგანიზაციის მდგრადი განვითარება. ამისათვის აუცილებელია ეკონომიკურ, სამართლებრივ, ორგანიზაციულ, საინჟინრო-ტექნიკურ და სოციალურ-ფსიქოლოგიურ ღონისძიებათა გატარება. ორგანიზაციის ეკონომიკური უსაფრთხოების გამოკვლევის დროს განსაკუთრებული ყურადღება ექცევა სახელმწიფოს მიერ შესაბამისი მიკროგარემოს შექმნას.

ეკონომიკური უსაფრთხოების შემუშავების დროს უნდა მოხდეს: ლიტერატურაში არსებული ეკონომიკური უსაფრთხოების თეორიულ-მეთოდოლოგიური საკითხების ანალიზი; გლობალიზაციის ეკონომიკურ უსაფრთხოებაზე გავლენის დადგენა; გლობალური ეკონომიკური და არაეკონომიკური საფრთხეების გავლენის დადგენა ეროვნულ ეკონომიკურ უსაფრთხოებაზე; ქვეყნის ეკონომიკური საფრთხეების განსაზღვრა; ქვეყნის ეკონომიკური საფრთხეების მაჩვენებელთა და მათი ზღვრული სიდიდეების განსაზღვრა; სტრატეგიის შემუშავების დროს ასევე გათვალისწინებული უნდა იყოს განვითარებული, ასევე დაწინაურებული განვითარებადი და პოსტკომუნისტური ქვეყნების გამოცდილება.

გლობალური ეკონომიკური საფრთხეებიდან გასათვალისწინებელია: დედამიწაზე არაგანახლებადი ბუნებრივი რესურსე-

ბის ამოწურვა; მსოფლიოში სიღარიბის, ენერგეტიკული და სასურსათო პრობლემები; ეკონომიკური და საფინანსო კრიზისები და სხვ.

საქართველოს ეკონომიკური უსაფრთხოების შესწავლის დროს გამოკვლეული უნდა იყოს საქართველოს ეკონომიკაში არსებული მდგომარეობა, კერძოდ: მაკროეკონომიკური, მიკროეკონომიკური, სექტორული და რეგიონული პრობლემები, ასევე ინოვაციური, ციფრული, ცოდნის, „მწვანე“ და „წრიული“ ეკონომიკის განვითარების დონე. მათზე დაყრდნობით განისაზღვრება ქვეყნის ძირითადი ეკონომიკური საფრთხეები, რომელთაგან შეიძლება დავასახელოთ: სიღარიბე; უმუშევრობა; ინფლაცია; შიგა და უცხოური ინვესტიციების შემცირება; საგარეო ვალის დიდი მოცულობა; სავალუტო კურსის ცვლილება; კონკურენტუნარიანობის დაბალი დონე; ბიუჯეტის დეფიციტის სიდიდე; ინოვაციური, ცოდნის, „მწვანე“ და „წრიული“ ეკონომიკის და მრეწველობის განვითარების დაბალი დონე; მცირე ბიზნესისა და სოფლის მეურნეობის განვითარების დაბალი დონე; ინვესტიციების სიდიდე ინოვაციებში; უარყოფითი საგადამხდელო ბალანსი და ბალანსის სტრუქტურა; ჩრდილოვანი ეკონომიკის სიდიდე.

ეკონომიკის არაეკონომიკური საფრთხეებიდან შეიძლება გამოიყოს: კრიმინოგენური და პოლიტიკური დამაბულობა; სტიქიური მოვლენები; დემოგრაფიული დამაბულობა; ნარკომანია; საერთაშორისო ტერორიზმი და ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაული; კიბერუსაფრთხოება, პანდემია და სხვ.

შემდეგ უნდა დადგინდეს ეკონომიკური უსაფრთხოების მაჩვენებლები და მათი ზღვრული სიდიდეები. ეკონომიკური უსაფრთხოების მაჩვენებლებიდან აღსანიშნავია: მშპ-ის მოცულობა; რეალური მშპ-ის მოცულობა მოსახლეობის ერთ სულზე; საგარეო ვალის მოცულობა, ბიუჯეტის დეფიციტის მოცულობა და მათი თანაფარდობა მშპ-თან; შიგა ვალის მოცულობა და მისი თანაფარდობა მშპ-თან; საგარეო და საშინაო ვალის მოცულობა და მისი თანაფარდობა მშპ-სა და ბიუჯეტის სიდიდესთან; დანახარჯების მოცულობა მეცნიერებაზე, დანახარჯების მოცულობა განათლებაზე და მათი თანაფარდობა მშპ-თან; დანახარჯების მოცულობა ჯანდაცვაზე და მისი თანაფარდობა

მშპ-თან; ჩრდილოვანი ეკონომიკის მოცულობა; კაპიტალის გადინების მოცულობა, ძირითად კაპიტალზე ინვესტიციების მოცულობა და მათი თანაფარდობა მშპ-თან; ძირითადი კაპიტალის ცვეთის სიდიდე; დანახარჯების მოცულობა ტექნოლოგიურ ინოვაციებზე, ინვესტიციების მოცულობა ძირითად კაპიტალზე და მათი თანაფარდობა მშპ-თან; ეკონომიკის მონეტიზაციის დონე; სამრეწველო პროდუქციისა და მცირე ბიზნესის ხვედრითი წილი მშპ-ში; სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ხვედრითი წილი მშპ-ში.

ამ მაჩვენებელთა ზღვრული სიდიდეები უნდა დადგინდეს საზღვარგარეთის ქვეყნების ანალოგიის, ქვეყანაში არსებული მდგომარეობისა და ექსპერტული შეფასებების საფუძველზე.

როგორც აღინიშნა, საქართველოს ეკონომიკური უსაფრთხოების შემადგენელი ნაწილებია:

**ენერგეტიკული უსაფრთხოება.** ენერგეტიკული უსაფრთხოების სტრატეგიის შესამუშავებლად, უპირველეს ყოვლისა, უნდა დადგინდეს ენერგეტიკულ სექტორში არსებული მდგომარეობა შემდეგი მახასიათებლების მიხედვით: ქვეყნის ენერგეტიკული ბალანსის სტრუქტურა; ქვეყნის ენერგით თვითუზრუნველყოფის დონე; ენერჯის იმპორტის დივერსიფიკაციის ხარისხი; საერთაშორისო სატრანზიტო შესაძლებლობების გამოყენების ხარისხი; საერთაშორისო ენერგეტიკულ სისტემებში ჩართულობა; განახლებადი ენერგორესურსების ათვისების დონე; ენერგობიექტების ამორტიზაციის მდგომარეობა; ენერგოეფექტიანობა (პროდუქციის ენერგო- და ელექტროტევადობა); ფასები ენერგიაზე; ენერგეტიკული უსაფრთხოების პოლიტიკა და სხვ. ასევე უნდა განისაზღვროს ენერგეტიკული საფრთხეები, მათ შორის: გლობალური ენერგეტიკული საფრთხეები; ენგურჰვისზე (რომელიც საქართველოს ჰიდროგენერაციის თითქმის ნახევარს გამოიმუშავებს) კონტროლის არარსებობა და ამ სადგურზე გამოიმუშავებული ელექტროენერჯის უკონტროლო მოხმარება აფხაზეთში; ელექტროენერჯისა და გაზის იმპორტზე მზარდი დამოკიდებულება; ბუნებრივი მოვლენების ან დივერსიული და სამხედრო ქმედებების შედეგად ინფრასტრუქტურის ფიზიკური დაზიანება; კიბერშეტევები ინფრასტრუქტურაზე და მათი მუშაობის რეჟიმზე; ადგილობრივი რესურსების ათვისებლობა;

საერთაშორისო ენერგეტიკული თანამშრომლობისა და სატრან-  
ზიტო შესაძლებლობების გამოყენებლობა; ენერგიაზე ფასების  
ზრდა; ენერგოეფექტიანობის დაბალი დონე (პროდუქციის  
ენერგო- და ელექტროტევადობის მაღალი სიდიდე); მოძ-  
ველებული ენერგეტიკული ინფრასტრუქტურის არსებობა; დანა-  
კარგების დიდი ხვედრითი წილი ელექტროგადამცემ ქსელებში;  
გაზის საკუთარი ენერგოსაცავების უქონლობა და სხვ.

აუცილებელია განისაზღვროს ენერგეტიკული უსაფრთხოე-  
ბის მაჩვენებლები და დადგინდეს მათი ზღვრული სიდიდეები.  
ეს მაჩვენებლები შეიძლება იყოს: ელექტროენერჯის წარმოების  
მოცულობა; ენერგორესურსებისა და ელექტროენერჯის იმპორ-  
ტის მოცულობა; ენერგეტიკული სიმძლავრეების სიდიდე; და-  
ნაკარგების სიდიდე ელექტროქსელში; პროდუქციის ენერგო- და  
ელექტროტევადობა; ქვეყნის ენერგორესურსების ათვისების დო-  
ნე; ფასები ენერგიაზე; ფიზიკური და მორალური ცვეთა ენერ-  
გოსისტემაში; გარე და შიგა ინვესტიციების მოცულობა ენერგო-  
სექტორში და სხვ.

ამ მაჩვენებლთა ზღვრული სიდიდეების განსაზღვრაც ასე-  
ვე მოხდება ანალოგიისა და ექსპერტული შეფასებების გზით.

**ფინანსური უსაფრთხოება.** პირველ რიგში უნდა დად-  
გინდეს ფინანსურ სექტორში არსებული მდგომარეობა ისეთ  
სფეროებში, როგორცაა საქართველოს საბანკო სექტორი, სა-  
ხელმწიფო ბიუჯეტი, საფონდო ბაზარი, საპენსიო ფონდი, საგა-  
დასახადო სისტემა.

ფინანსური საფრთხეებიდან აღსანიშნავია: სახელმწიფო  
ბიუჯეტის დეფიციტი; საერთაშორისო რეზერვების სიმცირე;  
ფულადი მასის არაოპტიმალური სიდიდე; რეფინანსირების გა-  
ნაკვეთის არაოპტიმალური სიდიდე; მაღალი საპროცენტო გა-  
ნაკვეთი; მოსახლეობის მცირე შემოსავლები; დოლარიზაციის  
მაღალი დონე; საგარეო ვალების დიდი მოცულობა; უცხოური  
სესხების არაეფექტიანი გამოყენება; საკრედიტო თანხების არა-  
წარმოებრივი მიზნებით გამოყენება; ჩრდილოვანი ეკონომიკის  
მაღალი დონე; საბიუჯეტო დეფიციტის დიდი მოცულობა; ვა-  
ლუტის კურსის სწრაფი ცვლილება; არასწორი მონეტარული და  
ფისკალური პოლიტიკა; უარყოფითი სავაჭრო სალდო; ეკონო-  
მიკური ზრდის დაბალი ტემპები; საფონდო ბაზრის განუვითა-

რებლობა; ფულის გათეთრება; საკრედიტო რისკები; ლიკვიდობის რისკი; დიდი საგარეო ვალი; მცირე საერთაშორისო რეზერვები; თანამედროვე ტექნოლოგიებისა და საერთაშორისო სტანდარტების უქონლობა ფინანსურ სექტორში; ოპტიმალური სარეზერვო ნორმა და სხვ.

ფინანსური უსაფრთხოების მაჩვენებლებიდან შეიძლება გამოიყოს: ბიუჯეტის დეფიციტის ხვედრითი წილი; საგარეო ვალის თანაფარდობა მშპ-თან; საერთაშორისო რეზერვების მოცულობა; საპროცენტო განაკვეთი; სავალუტო კურსი; სავაჭრო სალდო; ჩრდილოვანი ეკონომიკის მოცულობა; ფასიანი ქაღალდების ბაზრის მოცულობა და სხვ.

ამ მაჩვენებელთა ზღვრული სიდიდეების განსაზღვრა ანალოგიისა და ექსპერტული შეფასებების გზით დადგინდება.

**რეგიონული ეკონომიკური უსაფრთხოება.** ამ მიმართულებით შესწავლილი უნდა იქნეს სახელმწიფოს რეგიონული პოლიტიკა და რეგიონებში არსებული ეკონომიკური მდგომარეობა, მათ შორის: რეგიონის ეკონომიკური განვითარების უზრუნველყოფა ადგილობრივი თვითმმართველობის გაძლიერების გათვალისწინებით; ქვეყნის ყველა რეგიონში ცხოვრების თანაბარი პირობების უზრუნველყოფა; რეგიონებში, მათი თავისებურებების გათვალისწინებით, სოციალურად ორიორენტირებული ეკონომიკის ჩამოყალიბებისათვის ხელშეწყობა; რეგიონებში ინოვაციური ეკონომიკის ფორმირებისათვის ხელშეწყობა; ქვეყნის შიგნით მიგრაციის პროცესების დარეგულირება; რეგიონებში უმუშევრობისა და სიღარიბის შემცირების ხელშეწყობა; სახელმწიფო ბიუჯეტისა და სხვა წყაროების გამოყენება ფინანსური რესურსების გადასანაწილებლად რეგიონებს შორის; დახმარების გაწევა რეგიონებისათვის უცხოური ინვესტიციების მოსაზიდად; რეგიონების განვითარების ხელშემწყობი ძირითადი ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება; რეგიონული განვითარების პროგრამების შემუშავება და განხორციელება, განსაკუთრებით სოფლის ეკონომიკის მიმართულებით; მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების მხარდაჭერა; რეგიონების ეკონომიკური, სოციალური და ეკოლოგიური პარამეტრები.

რეგიონის ეკონომიკური საფრთხეებიდან აღსანიშნავია: რეგიონის ბუნებრივი რესურსების აუთვისებლობა; რეგიონის ეკო-

ნომიკური დამოუკიდებლობის დაბალი დონე; რეგიონის ინფრასტრუქტურის განვითარებისა (გზები, შიგა გზები სოფლად და სხვ.) და საყოფაცხოვრებო პირობების დაბალი დონე; კრიმინოგენური სიტუაციის გაუარესება; მცირე ბიზნესის განვითარების დაბალი დონე და მისი მხარდაჭერის არარსებობა სახელმწიფოს მხრიდან; უმუშევრობისა და სიღარიბის მაღალი დონე; ეკონომიკის არაინოვაციური ზრდა; შიგა მოხმარებაში იმპორტის დიდი მოცულობა; კონკურენტუნარიანობის დაბალი დონე; ცუდი ეკოლოგიური მდგომარეობა და სხვ.

შემდეგ უნდა განისაზღვროს რეგიონის ეკონომიკური უსაფრთხოების მაჩვენებლები და დადგინდეს მათი ზღვრული სიდიდეები. მაჩვენებლებიდან შეიძლება გამოიყოს: მრკ (მთლიანი რეგიონული პროდუქტი); ინვესტიციების მოცულობის ფარდობა მშპ-თან; შიგა მოხმარებაში იმპორტის მოცულობა; დანაზოგებისა და ინვესტიციების თანაფარდობა; უცხოური ინვესტიციების მოცულობა; დანახარჯები სამეცნიერო-საკონსტრუქტორო სამუშაოებზე; დანახარჯები ფუნდამენტურ კვლევებზე; მშპ მოსახლეობის ერთ სულზე; ელექტროენერჯის, ბუნებრივი აირის მოხმარება მოსახლეობის ერთ სულზე; ეკოლოგიური პარამეტრების სიდიდეები.

რეგიონის ეკონომიკური უსაფრთხოების მაჩვენებელთა ზღვრული სიდიდეებიც დადგინდება ანალოგიისა და ექსპერტული შეფასებების გზით.

**სასურსათო უსაფრთხოება.** გამოკვლეული უნდა იყოს საქართველოს სურსათით თვითუზრუნველყოფის ბაზის განვითარების დონე. შეიძლება გამოიყოს სოფლის ეკონომიკის შემდეგი სფეროები: სოფლის მეურნეობა მასში შემავალი დარგებისა (მეცხოველეობა, მემცენარეობა) და ქვედარგების (მიწათმოქმედება, მეფრინველეობა, და სხვ.) მიხედვით; მეთევზეობა; ტყის სასურსათო პოტენციალი; მოსახლეობის სურსათზე ფიზიკური მისაწვდომობის დონე; მოსახლეობის სურსათზე ეკონომიკური მისაწვდომობის დონე; სურსათის ექსპორტისა და იმპორტის მოცულობა, სურსათის იმპორტის ჩანაცვლება ადგილობრივი წარმოებით; სახელმწიფო ბიუჯეტში სასოფლო-სამეურნეო ასიგნებები; მცირე და საშუალო ფერმერებისა და სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების კაპიტალური ინვესტირების მიზნობრივი

საგრანტო პროგრამების ყოველწლიური დაფინანსება; სასურსათო უსაფრთხოების ინსტიტუციური უზრუნველყოფა; სურსათის სახელმწიფო შესყიდვების სისტემაში მცირე და საშუალო მეწარმეებისა და ფერმერების ჩართვის წახალისება; გასტრონომიული და აგროტურიზმის ხელშეწყობა; სარწყავი სისტემების მშენებლობა და რეაბილიტაცია, მელიორაციული ღონისძიებების გატარება; სასოფლო-სამეურნეო კულტურების ახალი ჯიშების გამოყვანა და გაშენება მწარმოებლობისა და ინოვაციების დანერგვის გზით; სასოფლო-სამეურნეო დაზღვევის სისტემა; სურსათის სახელმწიფო შესყიდვების სისტემა; სოციალური და პოლიტიკური არასტაბილურობა; სასურსათო უსაფრთხოების ინსტიტუციური უზრუნველყოფა (სასურსათო უსაფრთხოების დოქტრინა, სასურსათო უსაფრთხოების სტრატეგია საქართველოს კანონი სასურსათო უსაფრთხოების შესახებ) და სხვ.

სასურსათო საფრთხეებიდან შეიძლება გამოიყოს: მაკროეკონომიკური რისკები (ცუდი საინვესტიციო გარემო, ეკონომიკური ზრდის დაბალი ტემპები, განუვითარებელი ინსტიტუციები, სახელმწიფო რეგულირების არაეფექტიანი მექანიზმი და სხვ.); ნათესი ფართობების შემცირება; ნიადაგის ეროზია; ეროვნული ვალუტის გაუფასურება; აფლაცია; ტექნოლოგიური ჩამორჩენილობა; კლიმატის ცვლილებები და სტიქიური მოვლენები (სეტყვა, წყალდიდობა, გვალვა, მცენარეთა ან ცხოველთა დაავადებები, მიწისძვრები და სხვა საგანგებო სიტუაციები); საგარეო საბაზრო კონიუნქტურის ცვლილებები (სურსათზე ფასების ზრდა, ენერჯის გაძვირება და სხვ.); მოსახლეობის მსყიდველუნარიანობის დაბალი დონე; ჯანმრთელობისათვის მავნე ნივთიერებების შემცველი პროდუქტების რეალიზაცია და სხვ.

საბოლოოდ უნდა განისაზღვროს სასურსათო უსაფრთხოების მაჩვენებლები და დადგინდეს მათი ზღვრული მნიშვნელობები. ეს მაჩვენებლები შეიძლება იყოს: სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების მოცულობა პროდუქციის ცალკეულ სახეობათა მიხედვით; სურსათის იმპორტის მოცულობა; სურსათის ექსპორტის მოცულობა; კვების დადგენილი ფიზიოლოგიური ნორმები და ასორტიმენტი; მოსახლეობის ეკონომიკური წვდომის უნარი საჭირო სურსათთან; სასურსათო კალათის შემადგენლობა; ინვესტიციების მოცულობა სოფლის მეურნეობაში; მოსახლეობის

მსყიდველუნარიანობის დონე; აგფლაციის სიდიდე; ნიადაგის ეროზიის დონე და სხვ.

სასურსათო უსაფრთხოების მაჩვენებელთა ზღვრული სიდიდეებიც დადგინდება ანალოგიისა და ექსპერტული შეფასებების გზით.

ორგანიზაციის (ფირმის) ეკონომიკური უსაფრთხოება. უპირველეს ყოვლისა, უნდა გამოიყოს ორგანიზაციის ეკონომიკურ საქმიანობაზე მოქმედი ფაქტორები: ბიზნესის განვითარების ინსტიტუციური გარემო (კანონები, ნორმატიული აქტები და სხვ.); ბიზნესის განვითარების საგარეო ფაქტორები; ბიზნესის განვითარებაზე მოქმედი არაეკონომიკური ფაქტორები; ინოვაციების განხორციელება; საინვესტიციო გარემო; მცირე ბიზნესის განვითარების დონე.

ორგანიზაციის ეკონომიკური საფრთხეებიდან აღსანიშნავია: ნეგატიური მიკროგარემო; პერსონალის არაკომპეტენტურობა; საქმიანი პარტნიორების არაკეთილსინდისიერება; ცუდი პოლიტიკური და კრიმინოგენური სიტუაცია; ორგანიზაციის კორპორატიული რესურსების (ფინანსური, ინფორმაციული, ტექნოლოგიური, ტექნიკის, მოწყობილობების, უფლებათა და სხვ.) შემცირება; საკუთრების ხელშეუხებლობის პრინციპის დარღვევა; არასრულყოფილი საგადასახადო პოლიტიკა და სისტემა; ბიზნესში სახელმწიფოს არაეკონომიკური ჩარევა; ინფორმაციული უსაფრთხოება (ჰაკერული შეტევები) და სხვ.

ორგანიზაციის ეკონომიკური უსაფრთხოების მაჩვენებლებიდან შეიძლება გამოიყოს: გამომუშავების ზრდის ტემპები; საწარმოო სიმძლავრეების დატვირთვის დონე; დანახარჯები ინოვაციებზე; ძირითადი კაპიტალის განახლების დონე; ტექნოლოგიური მოწყობილობების ასაკობრივი სტრუქტურა; საწარმოს რენტაბელობა; კადრების ასაკობრივი და კვალიფიკაციური სტრუქტურა; საწარმოს მოგება და სხვ.

ამ მაჩვენებელთა ზღვრული სიდიდეებიც დადგინდება ანალოგიისა და ექსპერტული შეფასებების გზით.

საბოლოოდ უნდა შემუშავდეს ეკონომიკური უსაფრთხოების სტრატეგიის მოდელი მოცემული ქვეყნისათვის, რომელშიც აისახება ზემოთ მოყვანილი სამუშაოების შედეგები და ამ შედეგებზე დაფუძნებული ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნ-



ველმოყოფ ღონისძიებათა სისტემა. ღონისძიებათა სისტემაში ზოგიერთი სავარაუდო ღონისძიებაა: ინოვაციური ეკონომიკის ფორმირების გაძლიერება, რისთვისაც აუცილებელია ქვეყნის ინოვაციური სისტემის სრულყოფა სამეცნიერო და განათლების სისტემის სრულყოფის, მეცნიერებას, ბიზნესსა და სახელმწიფოს შორის კავშირების გაზრდისა და ინოვაციური სისტემის ინფრასტრუქტურის გაფართოების საფუძველზე; მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის განვითარების დაჩქარება; მცირე და საშუალო ბიზნესის სახელმწიფო მხარდაჭერის გაძლიერება; საბაზრო ინფრასტრუქტურის სრულყოფა და ა. შ.

### გამოყენებული ლიტერატურა

1. აბესაძე რ. საქართველოს ეკონომიკური უსაფრთხოების მაკროეკონომიკური მექანიზმის ფორმირების ზოგიერთი ასპექტი. წიგნი: საბაზრო ეკონომიკის განვითარების პრობლემები საქართველოში. ტ. 3. თბილისი, “მეცნიერება”, 2003.
2. აბესაძე რ. საქართველოს საფინანსო უსაფრთხოების ზოგიერთი ასპექტი. წიგნი: “საბაზრო ეკონომიკის განვითარების პრობლემები საქართველოში”, ტ. 4, თბ., “მეცნიერება”, 2004.
3. აბესაძე რ. საფინანსო უსაფრთხოების მაკროეკონომიკური რეგულირების თეორიული პრობლემები. ჟურნ. „ეკონომიკა“, 2004, №9-10.
4. აბესაძე რ., ბიბილაშვილი ნ. გლობალური ეკონომიკური უსაფრთხოება. ინტერნეტ-კონფერენცია, 2018.  
<https://conferenceconomics.tsu.ge/?mcat=0&cat=arq&leng=ge&arq=2&arqdata=2018-12-27>
5. ალადაშვილი ბ. ეკონომიკური უსაფრთხოება: თეორია, მეთოდოლოგია, პრაქტიკა. თბ., 2011.
6. ალადაშვილი ბ. ეკონომიკური უსაფრთხოების არსი, მიზნები და მნიშვნელობა თანამედროვე მსოფლიოში, ახალი აზრი, 2004 №1(15).
7. თეთრუაშვილი ზ., თეთრუაშვილი-ქარდავა მ. საქართველოს ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფის ფინანსურ-ეკონომიკური ფაქტორები და მისი რეგულირების მექანიზმები

- საბაზრო ურთიერთობის ფორმირების პირობებში. შიგა ქართლის საერო უნივერსიტეტი, თბ., 2006.
8. კოლუაშვილი პ. საქართველოს სასურსათო უშიშროება: რეალობა და პროგნოზები, თბილისი, „კოლორი“, 2004, 272 გვ. (ქართულად).
  9. მესხია ი. საქართველოს ეკონომიკური უსაფრთხოების ინვესტიციური ინდიკატორები ჟურნ., „სოციალური ეკონომიკა“, № 1, 2002.
  10. მესხია ი. ეკონომიკური უსაფრთხოება: ანალიზი და პროგნოზები, ჟურნ. „ბიზნესი და კანონმდებლობა“, 2009, № 4, გვ.15–22.
  11. მესხია ი. ფინანსური დავალიანებების ზრდა – ეროვნული უსაფრთხოების მუქარა, შრომები, ტომი 8, საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემია, თბ., „სიახლე“, 2010, გვ. 59–82.
  12. მესხია ი. ვალის უსაზღვრო ზრდა – ეროვნული უსაფრთხოების მუქარა, ჟურნ. „ბიზნესი და კანონმდებლობა“, 2010, თებერვალი–მარტი, გვ.13–18.
  13. მესხია ი. საქართველოს მაკროეკონომიკური უსაფრთხოება: ანალიზი, ჰიპოთეზები, პროგნოზები. საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები, თბ., პ. გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტი, 2010, გვ.119–129.
  14. მესხია ი. ტრანსნაციონალური კორუფცია-საერთაშორისო ეკონომიკური უსაფრთხოების მუქარა, ჟურნ., ”ეკონომიკა და ბიზნესი“, 2012, № 2, გვ. 10-50.
  15. მესხია ი. 2012. აფლაცია-სასურსათო უსაფრთხოების ახალი მუქარა, I საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის შრომების კრებული, თბ., თსუ-ის გამომცემლობა, 2012, გვ. 327-335.
  16. მესხია ი., საქართველოს ეკონომიკური უსაფრთხოების ინდიკატორების პროგნოზები, ჟურნ. „სოციალური ეკონომიკა“, № 4, 2009. გვ.111–120.
  17. საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია. 2014. <https://mod.gov.ge/uploads/2018/pdf/NSC-GEO.pdf>
  18. Dokienko L. "financial security of the enterprise: an alternative approach to evaluation and management". // Business, Management and Economics Engineering. Volume 19, Issue 2: pp. 303–336, 2021.

Energy Security: Economics, Politics, Strategies, and Implications Paperback, 2009 by Carlos Pascual (Editor), Jonathan Elkind (Editor). 1963.

<https://www.amazon.com/Energy-Security-Economics-Strategies-Implications/dp/0815769199>

19. Food Security and Nutrition. 2020.

<https://www.elsevier.com/books/food-security-and-nutrition/galanakis/978-0-12-820521-1>

20. Александров Г.А. 1, Розов Д.В. 1, Скворцова Г.Г. 2019. К вопросу о показателях национальной экономической безопасности: исторический и современный аспекты <https://www.researchgate.net/publication/338259902> К вопросу о показателях национальной экономической безопасности исторический и современный аспекты

*Ramaz Abesadze*

## **THE MAIN THEORETICAL AND METHODOLOGICAL PROBLEMS OF DEVELOPING THE ECONOMIC SECURITY STRATEGY OF GEORGIA**

### **Summary**

Economic security is one of the main components of national security. Its provision contributes to the sustainable development of the country in the future, fundamental qualitative changes in all sectors of the economy in the final report, raising the well-being of the population. The paper examines the main theoretical-methodological foundations of the development of Georgia's economic security strategy.

**დეგლობალიზაციის პრობლემა და განახლებული  
გლობალიზაციის პირობებში ეროვნული ეკონომიკური  
უსაფრთხოების ძირითადი გამოწვევები**

*ანოტაცია.* სტატიაში განხილულია COVID-19-ის პანდემიით, ასევე რუსეთის ომით უკრაინაში და აგრესორის წინააღმდეგ დაწყებული ეკონომიკური სანქციებით გამოწვეული ფსევდოდეგლობალიზაციის პროცესი. ნაჩვენებია, რომ დეგლობალიზაცია, როგორც ასეთი, პრინციპულად შეუძლებელია და არცაა მიზანშეწონილი. შესწავლილია ჰიპერგლობალიზაციის ტრანსფორმაციის ეტაპები როგორც მსოფლიოს, ისე ცალკეული ქვეყნის წინაშე მდგარი გამოწვევების გათვალისწინებით. გაკეთებულია დასკვნა, რომ ახალი გლობალიზაცია ეკონომიკური უსაფრთხოების საკითხებთან უშუალო კავშირში უნდა იყოს. ეკონომიკური უსაფრთხოების უშუალო გამოწვევებია მაღალი ინფლაცია, გლობალური სტაგფლაცია, სავალო კრიზისი, „ნავთობის ომი“, „სასურსათო ომი“ და სხვ. ყველა ამ გამოწვევას აქვს როგორც გლობალური, ისე ლოკალური ხასიათი.

**შესავალი**

თანამედროვე მსოფლიო ეკონომიკა არაერთი გამოწვევის წინაშე დგას. ის გლობალური ეკონომიკური წესრიგი, რომელიც ათეულობით წლის განმავლობაში ყალიბდებოდა და რისი შეცვლაც ბევრისთვის წარმოუდგენელიც კი იყო, ბოლო პერიოდში განვითარებულმა გლობალურმა მოვლენებმა კარდინალურად გარდაქმნა. კერძოდ, ეს მოვლენებია 2020 წლიდან დაწყებული COVID-19-ის პანდემია, მის მიერ გამოწვეული ეკონომიკური კრიზისი და 2022 წლის 24 თებრევალს რუსეთის მიერ უკრაინაში დაწყებული ომი, რასაც მოკლე დროში ფართომასშტაბიანი ეკონომიკური სანქციები მოჰყვა, რომლებიც დასავლეთმა რუსეთს დაუწესა.

COVID-19-ის პანდემიით გამოწვეული ეკონომიკური კრიზისი იმით გამოირჩევა, რომ ის ეკონომიკაში არ ჩასახულა [Papava, 2020 b], ამ დროს ეკონომიკა მედიცინის მძევალი იყო [Papava, 2020 a].

რუსეთის მიერ უკრაინაში წარმოებულმა ომმა და რუსეთის წინააღმდეგ დასავლეთის მიერ დაწესებულმა ფართომასშტაბიანმა სანქციებმა [BBC, 2022] კიდევ უფრო დაამძიმა ის სიტუაცია, რომელიც გლობალურ ეკონომიკაში COVID-19-ის პანდემიის ფონზე ჩამოყალიბდა [Papava, 2022a, 2022b, 2022c, 2022d].

ეკონომისტებს შორის გამორჩეულ სადისკუსიო პრობლემას დეგლობალიზაცია (მაგალითად, [El-Erian, 2020; Spence, 2022; Stiglitz, 2022]) და, ზოგადად, გლობალიზაციის მომავალი (მაგალითად, [Rodrik, 2022a]) წარმოადგენს.

უშუალოდ გლობალიზაციის მომავალთან არის დაკავშირებული გლობალური საფრთხეების ახლებული გააზრების აუცილებლობა (მაგალითად, [Roubini, 2022b, 2022d]).

წინამდებარე კვლევის მიზანია გაანალიზებულ იქნეს, თუ რა კარდინალური ხასიათის მქონე ცვლილებები განაპირობა COVID-19-ის პანდემიამ, რუსეთ-უკრაინის ომმა და რუსეთის წინააღმდეგ დასავლეთის მიერ დაწესებულმა ფართომასშტაბიანმა სანქციებმა გლობალიზაციის პროცესში, რათა შესაძლებელი გახდეს ეროვნული ეკონომიკური უსაფრთხოების ძირითადი გამოწვევების განსაზღვრა.

### **დეგლობალიზაცია, თუ ფსევდოდეგლობალიზაცია COVID-19-ის პანდემიის პირობებში**

გლობალიზაციის შესახებ არსებულ შეხედულებათა ხელახალი გააზრების აუცილებლობა წინა პლანზე COVID-19-ის პანდემიამ, როგორც გლობალურმა ფენომენმა, წამოსწია [არჩვაძე, 2020; მექვაბიშვილი, 2020; ჭარაია, 2020; Abesadze, 2020; Bedianashvili, 2021; El-Erian, 2020; Haass, 2020; Rogoff, 2020; Tvalchrelidze, 2022].

იმის გათვალისწინებით, რომ COVID-19-ის პანდემიამ გლობალური ხასიათი სწორედ გლობალიზაციის მაღალი დონის გამო შეიძინა, შემთხვევითი არაა, რომ იგი „გლობალიზაციის საფასურად“ კი იქნა განხილული [Auzan, 2020, p. 4].

COVID-19 მოულოდნელად გამოვლინდა და თავიდანვე სწრაფად გავრცელდა, რამაც მას არაპროგნოზირებადი ხასიათი შესძინა. შედეგად, კორონავირუსის მასობრივ გავრცელებას მოუმზადებელი შეხვდნენ ეროვნული მთავრობები და საერთაშო-

რისო ორგანიზაციები (მაგალითად, მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაცია). რადგანაც მედიცინა უძლური იყო, წინ აღდგომოდა COVID-19-ის პანდემიას, ამიტომ ვირუსის გავრცელების შეზღუდვის მიზნით გადაწყვეტილებები ქვეყნებმა, როგორც წესი, ინდივიდუალურ რეჟიმში მიიღეს. გამონაკლისი იყო ბელარუსი და შვედეთი, რომლებმაც COVID-19-ის გამოჩენისთანვე ორიენტაცია ჯოგური იმუნიტეტის ჩამოყალიბებაზე აიღეს.

COVID-19-ის პანდემიის დასაწყისიდანვე ეროვნულ მთავრობათა არაკოორდინირებულმა მოქმედებამ და საერთაშორისო ორგანიზაციების პასიურობამ ჩამოაყალიბა შეხედულება, რომლის თანახმადაც გლობალიზაციის საყოველთაო პროცესმა უკუსვლა დაიწყო, ანუ დეგლობალიზაციის ახალ ტენდენციას ჩაეყარა საფუძველი. ამ შეხედულებას ისიც ამყარებდა, რომ, სანამ COVID-19-ის პანდემია დაიწყებოდა, აშშ-ის პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა განახორციელა იმ ტიპის ღონისძიებები, რომლებიც დეგლობალიზაციის კონტექსტში სრულად ჯდება (მაგალითად, [Sachs, 2017]). აქვე იმასაც უნდა გაეხვას ხაზი, რომ დეგლობალიზაციის დამახასიათებელი პროცესია ასევე ბრექსიტიც, ანუ დიდი ბრიტანეთის გასვლა ევროკავშირიდან (მაგალითად, [O'Rourke, 2019]).

დეგლობალიზაციის დაწყების აღქმა კიდევ უფრო გაამწვავა მიწოდებისა და ღირებულების გლობალური ჯაჭვების რღვევამ, რაც იზოლაციონიზმისთვისაა დამახასიათებელი და რასაც ეროვნულ მთავრობათა არაკოორდინირებულმა ქმედებებმა შეუწყო ხელი [Derviş, Strauss, 2020].

როგორც ცნობილია, იზოლაციონიზმი, როგორც ასეთი, ამუხრუჭებს ეკონომიკურ ზრდას [Rogoff, 2020]. იმავდროულად, იზოლაციონიზმი უარყოფით ზეგავლენას ახდენს საზოგადოებაზე, რასაც მრავალვექტორული – სოციალური, პოლიტიკური და, რაც მთავარია, ეკოლოგიური – განზომილება აქვს [Haass, 2020].

გლობალიზაციის გარდუვალობისა და მიზანშეწონილობის „ფორმულა“ მარტივია. კერძოდ, რადგანაც პანდემია გლობალური ფენომენია, ამიტომ მისი დამლევა მხოლოდ გლობალიზაციის პირობებშია შესაძლებელი [Stiglitz, 2020a], ხოლო იზოლაციონიზმის საფუძველზე ეს პრინციპულად გამორიცხულია. ელემენტარული ლოგიკიდან გამომდინარე, თავიდანვე ნათელი იყო, რომ საერთაშორისო ორგანიზაციებისა და ცალკეული ქვეყნების მიერ

გატარებულ ღონისძიებათა მაქსიმალური კოორდინაციის გარეშე COVID-19-ის პანდემიის დაძლევა შეუძლებელი იქნებოდა [Mazzucato, Torreele, 2020]. იმავე ლოგიკის თანახმად, პანდემიის დაწყებიდან საკმაოდ მოკლე პერიოდში ცხადი გახდა, რომ ჯეროვან დონეზე ეკონომიკის პოსტპანდემიური განვითარება იზოლაციონიზმის გზით პრინციპულად შეუძლებელია [Åslund, 2020; Fung, 2020].

გასათვალისწინებელია, რომ COVID-19-ის პანდემიის პირობებში ყველაზე მოთხოვნადი სწორედ გლობალიზაციის ისეთი „პროდუქტები“ გახდა, რომლებიც ინტერნეტტექნოლოგიების გამოყენებას (განსაკუთრებით, განათლებასა და ვაჭრობაში) ეფუძნება. მაშასადამე, ნათელია, რომ მხოლოდ გლობალიზაციის გზითაა შესაძლებელი პანდემიის გლობალური ფენომენის დაძლევა და მასთან დაკავშირებული სირთულეების გადალახვა [Abesadze, 2020; Tvalchrelidze, 2022].

სირთულეს არ წარმოადგენს იმ დასკვნის გაკეთება, რომლის თანახმადაც დეგლობალიზაციის ის ელემენტები, რომლებიც სტიმულირებული იყვნენ COVID-19-ის პანდემიის მიერ, სინამდვილეში არა დეგლობალიზაციის, არამედ ფსევდოდეგლობალიზაციის გამოვლინება იყო [Papava 2021a].

სწორედ პანდექსიტის, ანუ პანდემიის დასრულების [Davies, 2021] მისაღწევად, ასევე პოსტპანდემიური ეკონომიკური განვითარებისათვის [Papava, 2021b] აუცილებელია გლობალიზაციის თვისებრივად ახალ დონეზე აყვანა, ანუ გლობალიზაციის ახალი „ტალღის“ წარმოქმნა [El-Erian, 2020].

ჯერ კიდევ COVID-19-ის პანდემიის დროს დაიწყო მსჯელობა მომავალი, განახლებული გლობალიზაციის კონტურებზე, თუმცა გამოითქვა არაერთგვაროვანი და თანაც ზოგიერთი საკამათო მოსაზრებაც (მაგალითად, [Schwab, Malleret, 2021]). სწორედ პანდემიის პირობებში მკაფიოდ გამოიკვეთა, რომ მოსალოდნელი განახლებული გლობალიზაციის პირობებში განსაკუთრებული სიმწვავეით ეკონომიკური უსაფრთხოების პრობლემები გააქტიურდება, მათ შორის კი უმთავრესი სასურსათო (მაგალითად, [Blair, Kalibata, 2020]) და ენერგეტიკული (მაგალითად, [Tvalchrelidze, Silagadze, 2020]) უსაფრთხოების უზრუნველყოფა იქნება.

შიდლება ითქვას, რომ COVID-19-ის პანდემიამ უშუალოდ გლობალური მასშტაბის საფრთხე შექმნა. ამით კი გაააქტიურა სამეცნიერო დისკუსია იმის გარშემო, თუ რა შესაძლებლობები უნდა იყოს გამოყენებული როგორც პანდემიის მიმდინარეობისას, ისე პოსტპანდემიურ პერიოდში, რაც განახლებული გლობალიზაციის შესაბამისი კონტურების გაცნობიერებულ ფორმირებასთან [ჭარაია, 2020] მჭიდროდაა დაკავშირებული.

### **სანქციონომიკა და გზა განახლებული გლობალიზაციისკენ**

2022 წლის თებერვალში, რუსეთის მიერ უკრაინის წინააღმდეგ წამოწყებული სამხედრო აგრესიის გამო დასავლეთმა მოსკოვს ფართომასშტაბიანი ეკონომიკური სანქციები დაუწესა [BBC, 2022].

10. Агора. Исторический художественный фильм. Произведен в Испании. 3009.
11. Арест Чубайса сотряс Михеева, Путина, Кедми, Хазина, Швеца, Караулова / Воскресный вечер Соловьева. Клип, канал «Повод задуматься». 10 октября 2022 года. – Электронный ресурс: [https://www.youtube.com/watch?v=ry7\\_ry\\_AXHA](https://www.youtube.com/watch?v=ry7_ry_AXHA)
12. Большой взрыв. Материал из Википедии – свободной энциклопедии. – Электронный ресурс: <https://ru.wikipedia.org/wiki/%D0%91%D0%BE%D0%BB%D1%8C%D1%88%D0%BE%D0%B9 %D0%B2%D0%B7%D1%80%D1%8V%D0%B2>
13. Быдло – это кто? Общее и современное значение этого слова. – Электронный ресурс: <https://nsokote.com/novosti-i-obshhestvo/37206-bydlo-jeto-kto-obshhee-i-sovremennoe-znachenie.html>
14. Внешний долг стран. Клип. 31.08.2021. – Электронный ресурс: <https://www.youtube.com/watch?v=YECCzw5QODQ>

15. Вольтер. Материал из Википедии – свободной энциклопедии. – Электронный ресурс: <https://ru.wikipedia.org/wiki/%D0%92%D0%BE%D0%BB%D1%8C%D1%82%D0%B5%D1%80> Раздел: Критика религии
16. Вольтер, Франсуа-Мари Аруэ де. ХРОНОС. – Электронный ресурс: [http://www.hrono.ru/biograf/bio\\_we/volter06.php](http://www.hrono.ru/biograf/bio_we/volter06.php)
17. Делягин: в СССР при Сталине была рыночная экономика. Хрущев же угробил. Клип. 10.05.2018. – Электронный ресурс: <https://www.youtube.com/watch?v=dk0zLgSam4g>
18. Жуков Юрий Николаевич. Иной Сталин. – Москва, 2018.
19. Жуков Юрий Николаевич. Гордится, а не каяться! Правда о Сталинской эпохе. – Москва, 2011, 2022.
20. Замена всей мировой верхушки (*сверхэлита* перезадаёт карты). Кто назначили строителями Нового Мира. Олег Яновский. Клип. 12.01.2022. – Электронный ресурс: <https://www.youtube.com/watch?v=APZZCSyzO7M&t=796s>
21. Ивашов Леонид Григорьевич. Обращение Общероссийского офицерского собрания к президенту и к гражданам Российской Федерации. – Электронный ресурс: [http://ooc.su/news/obrashhenie\\_obshherossijskogo\\_oficerskogo\\_sobranija\\_k\\_prezidentu\\_i\\_grazhdanam\\_rossijskoj\\_federacii/2022-01-31-79?fbclid=IwAR3AiiR1UGZYQOOW\\_bMsLoGI\\_V3Imp8MZ03CPLW\\_NhOSUiugQcDscT9AMU8o](http://ooc.su/news/obrashhenie_obshherossijskogo_oficerskogo_sobranija_k_prezidentu_i_grazhdanam_rossijskoj_federacii/2022-01-31-79?fbclid=IwAR3AiiR1UGZYQOOW_bMsLoGI_V3Imp8MZ03CPLW_NhOSUiugQcDscT9AMU8o)
22. Исход. Материал из Википедии – свободной энциклопедии. – Электронный ресурс: <https://ru.wikipedia.org/wiki/%D0%98%D1%81%D1%85%D0%BE%D0%B4> Историчность исхода. Хронология исхода.
23. Иудейско-венецианский фундамент Англии. Андрей Фурсов. Клип. 13.01.2017. – Электронный ресурс: <https://www.youtube.com/watch?v=orj1VtEQIAI>
24. Катасонов Валентин. Инклюзивный капитализм как главная идея великой перезагрузки. 14.05.2021. – Электронный ресурс: [https://tsargrad.tv/articles/inkluzivnyj-kapitalizm-kak-glavnaja-ideja-velikoj-perezagruzki\\_354889](https://tsargrad.tv/articles/inkluzivnyj-kapitalizm-kak-glavnaja-ideja-velikoj-perezagruzki_354889)
25. Книга о региональной научно-технической политике. – Ж.: Известия АН Грузии. Серия экономики и права. 1986, № 3.
26. Краткая история структур мирового влияния: ордена - ложи - корпорации. Андрей Фурсов. Клип. 20.03.2022. – Электронный ресурс: <https://www.youtube.com/watch?v=CfyDwt2Xyv4>

27. «Кончатъ немедленно»: Как в России начался красный террор. *Дмитрий Окунев*. 5.9.2018. – Электронный ресурс: [https://www.gazeta.ru/science/2018/09/04\\_a\\_11945821.shtml](https://www.gazeta.ru/science/2018/09/04_a_11945821.shtml)
28. Критика статьи Сергея Глазьева «Духовность – категория экономическая». Школа аналитики. 14.12.2020. – Электронный ресурс: <https://vk.com/@analitishkola-kritika-stati-glazeva-duhovnost>
29. Лермонтов М. Ю. Морская царевна. Стихотворение. – См., напр.: <https://www.culture.ru/poems/36639/morskaya-carevna>
30. Лондон Джек. Люди бездны (книга очерков). Отступник (рассказ). См., напр., в книге: *Джек Лондон. Люди бездны. Рассказы*. М., изд-ство «Правда», 1987.
31. Лондон Сити против Ватикана. Андрей Фурсов. Клип. 20.12.2016. – Электронный ресурс: <https://www.youtube.com/watch?v=IR3efZ-bs4M>
32. Марксистская теория вывоза капитала. – Электронный ресурс: [https://vuzlit.com/1762793/marksistskaya\\_teoriya\\_vyvoza\\_kapitala](https://vuzlit.com/1762793/marksistskaya_teoriya_vyvoza_kapitala)
33. Маркс Карл. Капитал. Том первый. Глава двадцать четвертая. Так называемое первоначальное накопление. М.: Политиздат, 1983.
34. Наследники Троцкого, масоны и глобалисты. Глубинная власть в СССР. В. Матузов. И. Шишкин. Клип. 14.07.2020. – Электронный ресурс: <https://www.youtube.com/watch?v=AkGTiGiSUWs>
35. Новый Карфаген ковали евреи из Венеции (М. Делягин, А. Фелелов). Клип. 29.08.2018. – Электронный ресурс: <https://www.youtube.com/watch?v=TZ2WBiMmI34>
36. Передел мира. Кому нужна война / Валентин Катасонов. Клип. 17.03.2022. – Электронный ресурс: <https://www.youtube.com/watch?v=pKNw9hHfwBU>
37. Путин строит рай для олигархов! Михаил Делягин о выступлении президента. Клип. 18.03.2022. – Электронный ресурс: <https://www.youtube.com/watch?v=wIDiTtTpF8Y>
38. Рабочая Марсельеза (использовалась в качестве гимна в первые месяцы после Февральской революции). – Электронный ресурс: <https://tekst-pesni.online/marseleza-na-russkom/>
39. Сабатини Рафаэль. Псы господни (роман). 1928.
40. "Сейчас вся Европа была бы красной". Е.Ю.Спицын на канале Baltnews в программе "Актуальное интервью". Клип. 06.12.2021. – Электронный ресурс: <https://www.youtube.com/watch?v=yiaCrN7Q8lc>

41. Скажи мне, кто твой философ (Александр Колпакиди). Клип. 7.10.2022. – Электронный ресурс: <https://www.youtube.com/watch?v=dkx0EDt3c6Y&t=168s>
  42. СПИЦЫН: о Горбачёве, Хрущёве, Ельцине, Сталине, Чубайсе, и о том, кто на самом деле развалил СССР. Клип. 19.01.2022. – Электронный ресурс: <https://www.youtube.com/watch?v=yYCu7kElfzU>
  43. Товарищ Берия. Юрий Жуков. Клип. 2020. – Электронный ресурс: <https://www.youtube.com/watch?v=t4LC49uK6jY>
  44. Толстой Алексей. Ибикус. 1924.
  45. Толстой Алексей. Похождения Невзорова, или Ибикус. 1925.
  46. Управляемая история на примере событий двадцатого века. Андрей Фурсов. Клип. 21.05.2020. – Электронный ресурс: [https://www.youtube.com/watch?v=x0nHtpMU\\_1Y](https://www.youtube.com/watch?v=x0nHtpMU_1Y)
  47. Флоренция. Звезда возрождения. Документальный фильм. Автор сценария Илья Бузукашвили. 01.02.2017. – Электронный ресурс: <https://www.youtube.com/watch?v=pFLVEJrZSJl>
  48. Что не так с гением всех времен и одного народа? Нелицеприятная биография Альберта Эйнштейна. 2019. – Электронный ресурс: <https://www.youtube.com/watch?v=7Ufspa60zd8>
  49. Щербицкий В. В. Материал из википедии – чвободной энциклопедии. – Электронный ресурс: <https://ru.wikipedia.org/wiki/%D0%A9%D0%B5%D1%80%D0%B1%D0%B8%D1%86%D0%BA%D0%B8%D0%B9,%D0%92%D0%BB%D0%B0%D0%B4%D0%B8%D0%BC%D0%B8%D1%80%D0%92%D0%B0%D1%81%D0%B8%D0%BB%D1%8C%D0%B5%D0%B2%D0%B8%D1%87>
  50. Эйдельман Тамара. Берия. Кровавый палач или хитрый реформатор. Клип. 29.10. 2022. – Электронный ресурс: <https://www.youtube.com/watch?v=8ZIyi0IZI3o&t=3440s>
  51. Эйдельман Тамара Натановна. Вольтер, который над всем издевался. Клип. 17.09.2022. – Электронный ресурс: <https://www.youtube.com/watch?v=C0GDm1pRLbY>
  52. Эйнштейн, Альберт. Материал из Википедии – свободной энциклопедии. – Электронный ресурс: <https://ru.wikipedia.org/wiki/%D0%AD%D0%B9%D0%BD%D1%88%D1%82%D0%B5%D0%B9%D0%BD,%D0%90%D0%BB%D1%8C%D0%B1%D0%B5%D1%80%D1%82>
- Раздел: Религиозные взгляды



53. Элита была не готова к этому. Почему все произошло так неожиданно. Андрей Школьников. Клип. 28.02.2022. – Электронный ресурс: <https://www.youtube.com/watch?v=Af60RCMSDbc>
54. Яков Свердлов: тайна смерти «дьявола большевиков». Клип. 29.08.2022. – Электронный ресурс: [https://www.youtube.com/watch?v=XK\\_RdMDREs](https://www.youtube.com/watch?v=XK_RdMDREs)
55. პერტაია ლუკა. „ფასდაუდებელი“ ნენსკრაჰესი. 13.06.2019. – ელექტრონული რესურსი: <https://netgazeti.ge/news/371848/>
56. სალომე ზურაბიშვილი – „მწვანე ენერჯის განვითარებისა და გადაცემის სტრატეგიული შეთანხმების“ ხელმოწერა ისტორიული ნაბიჯია, რომელიც კავკასიას ევროკავშირთან დააკავშირებს ... 17.12.2022. – ელექტრონული რესურსი: <https://www.interpressnews.ge/ka/article/738694-salome-zurabishvili-mcvane-energiis-ganvitarebisa-da-gadacemis-strategiuli-shetanxmebis-xelmocera-istoriuli-nabijia-romelic-kavkasiას-ევროკავშირთან-დააკავშირებს-es-nishnavs-rom-axla-shavi-zgva-evropuli-zgva-xdeba>
57. ცქუფურიშვილი ნათია. ნენსკრაჰესის მშენებლობა უნდა დაჩქარდეს – ღარიბაშვილი. 17.11.2022. – ელექტრონული რესურსი: <https://netgazeti.ge/business/640666/>

*Vakhtang Burduli*

## **GLOBAL ECONOMIC DANGERS AND THEIR IMPACT ON NATIONAL ECONOMIC SECURITY**

### **Summary**

Structural elements (attributes, tools, mechanisms, conceptual regulators) that ensure the implementation of globalizations in general and global economic development in particular are considered and systematized. A consistent tour of the main globalizations of various historical eras was carried out with a brief description of the state of the level of economic and humanitarian development in them. With special attention, the work considers attempts to replace and replace the elite in the space of the Russian Empire (Soviet Union, RF) in the context of the corresponding periods of globalization. Then the main economic dangers characteristic of the last period of globalization (hyperglobalization - 1991-2012) are systematized and

briefly described. At the end of the paper, the impact of some of these dangers on the development of the Georgian economy is briefly described.

**გიორგი ბერულავა,  
მარინე ცუცუერიძე**

**ეკონომიკური უსაფრთხოების და ეკონომიკური მდგრადობის  
თეორიულ-მეთოდოლოგიური ასპექტები:  
საერთაშორისო გამოცდილება**

***ანოტაცია.** ამ კვლევაში განხილულია ეკონომიკურ ლიტერატურაში ფართოდ გავრცელებული ეკონომიკური უსაფრთხოების კონცეფციები. არსებული მიდგომების მეთოდოლოგიური ჩარჩოების ანალიზი ცხადყოფს, რომ საქართველოში ეკონომიკური უსაფრთხოების საკითხების განხილვის ყველაზე გამორჩეული მეთოდი ლინო ბრიგუგლიოს მიერ შემოთავაზებული მიდგომაა. თანდაყოლილი ეკონომიკური მოწყვლადობისა და შექმნილი ეკონომიკური გამძლეობის ერთობლიობაზე დაყრდნობით, ეს მიდგომა ქმნის მეთოდოლოგიურ ჩარჩოს გარე შოკებით ზემოქმედების რისკის შესაფასებლად. ამ მიდგომის მიხედვით, ქვეყნისთვის გარე შოკის უარყოფითი ზემოქმედების რისკი დადებითად არის დაკავშირებული ქვეყნის თანდაყოლილი მოწყვლადობის პირობებთან და უარყოფითად ასოცირდება კარგ ეკონომიკურ მმართველობასთან. ეს მეთოდოლოგიური ჩარჩო შეიძლება გამოყენებულ იქნეს, როგორც ინსტრუმენტი საქართველოში ეკონომიკური უსაფრთხოების მდგომარეობის შესაფასებლად და ეკონომიკური მოწყვლადობის უარყოფითი შედეგების დაძლევისკენ მიმართული პოლიტიკის შემუშავების მიზნით.*

**შესავალი**

ეკონომიკური უსაფრთხოება არის კონცეფცია, რომელიც ფართოდ გამოიყენება როგორც აკადემიურ, ისე პოლიტიკაზე ორიენტირებულ ეკონომიკურ ლიტერატურაში. ეს კონცეფცია ჩვეულებრივ ასახავს ეკონომიკური განვითარების დონეს, ეკონომი-

კური მდგრადობის შესაძლო საფრთხეებსა და მოწყვლადობას, ქვეყნის ეკონომიკური ზრდისა და კეთილდღეობის პერსპექტივებსა და მიმართულებებს. თუმცა არსებული წყაროების მიმოხილვა ცხადყოფს, რომ ამჟამად მკვლევრებს შორის ამ ტერმინის საერთო გაგება არ არსებობს. პირიქით, ეკონომიკური უსაფრთხოების ტერმინის განმარტებისა და ინტერპრეტაციის არაერთი საკმაოდ განსხვავებული მიდგომა შეიძლება მოიძებნოს მიმდინარე ლიტერატურაში. ზოგადად, შეიძლება გამოიყოს ეკონომიკური უსაფრთხოების სისტემის შემდეგი ორი ფართო მიდგომა: ინდივიდუალური და მაკროეკონომიკური (Tamošiūnienė and Munteanub, 2015). ამ ნაშრომში ჩვენ განვიხილავთ ეკონომიკური უსაფრთხოების ძირითადი მიდგომების მეთოდოლოგიურ საფუძვლებს და მათი შედარების საფუძველზე გამოვყოფთ საქართველოში ეკონომიკური უსაფრთხოების საკითხების შესწავლის ყველაზე რელევანტურ მიმართულებას.

### **ეკონომიკური უსაფრთხოების კონცეფციის თანამედროვე მიდგომები**

ბოლო ათწლეულების განმავლობაში ეკონომიკურ და პოლიტიკასთან დაკავშირებულ ლიტერატურაში ეკონომიკური უსაფრთხოების კონცეფციის რამდენიმე მიდგომა გაჩნდა. ეს მიდგომები მოიცავენ სოციალურ-ეკონომიკური, ტექნოლოგიური, გარემოსდაცვითი, ინფორმაციული და სხვა ფაქტორების იდენტიფიცირებას, რომლებიც გავლენას ახდენენ სახელმწიფოების მდგრადობაზე, მათ პოტენციალზე ეკონომიკური განვითარებისა და ინკლუზიური ზრდის უზრუნველსაყოფად, მათ უნარზე გაუმკლავდეს და შეამსუბუქოს საფრთხეები და დაუცველობა. Tamošiūnienė და Munteanub (2015) განასხვავებენ ეკონომიკური უსაფრთხოების კონცეფციისადმი შემდეგ ძირითად მიდგომებს:

- შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის (ILO) მიდგომა;
- ეკონომიკური უსაფრთხოების ინდექსი (ამერიკული მიდგომა);
- კრიტიკული ზღვრების მეთოდი (რუსული მიდგომა);
- ეკონომიკური მოწყვლადობა და გამძლეობა (ლინო ბრიგუელიოს მიდგომა).

პირველი ორი მეთოდი შეიძლება ჩაითვალოს როგორც მიკროეკონომიკური მიდგომა ეკონომიკური უსაფრთხოების მიმართ, ხოლო მეორე ორი – როგორც მაკროეკონომიკური. ქვემოთ მოკლედ განვიხილავთ თითოეული ამ მეთოდის მეთოდოლოგიურ საფუძვლებს.

**შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის მიდგომა ეკონომიკური უსაფრთხოების მიმართ.** შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია (ILO) განსაზღვრავს ეკონომიკურ უსაფრთხოებას საბაზისო სოციალური უზრუნველყოფის თვალსაზრისით, რომელიც მოიცავს ჯანმრთელობის, განათლების, საცხოვრებლის, ინფორმაციის, სოციალური დაცვისა და სამუშაოსთან დაკავშირებულ უსაფრთხოების საჭიროებებს. ILO-ს (2004) მიხედვით, ძირითადი უსაფრთხოება ნიშნავს ადამიანებზე რისკებისა და გაურკვევლობის უარყოფითი ზემოქმედების შემცირებას, სოციალური გარემოს შექმნას, რომელიც უზრუნველყოფს არჩეული პროფესიისა და მათი შესაძლებლობების განვითარებას ღირსეული შრომით. კერძოდ, ILO სამუშაოსთან დაკავშირებული უსაფრთხოების შესახებ გამოყოფს შემდეგ შვიდ კომპონენტს (ILO, 2004):

- *საშემოსავლო უსაფრთხოება* – წარმოადგენს მიღებულ (ან სოციალური უზრუნველყოფის და სხვა შეღავათების სახით) ადეკვატურ შემოსავალს (ფაქტობრივს, აღთქმულს და მოსალოდნელს). შემოსავლის უსაფრთხოების უზრუნველყოფის ძირითადი ინსტრუმენტებია: მინიმალური ხელფასის მექანიზმი, ხელფასის ინდექსაცია, ყოვლისმომცველი სოციალური უზრუნველყოფა და პროგრესული დაბეგვრა.
- *წარმომადგენლობის უსაფრთხოება* – მოიცავს ინდივიდუალურ წარმომადგენლობას (კანონებით გათვალისწინებული ინდივიდუალური უფლებები, ასევე ინდივიდების წვდომა ინსტიტუციებთან) და კოლექტიურ (ნებისმიერი ინდივიდის ან ჯგუფის უფლება, იყოს წარმოდგენილი ორგანოს მიერ, რომელსაც შეუძლია მათი სახელით მოლაპარაკებების წარმოება) წარმომადგენლობას.
- *შრომის ბაზრის უსაფრთხოება* – ნიშნავს ადეკვატური შემოსავლის მომტანი საქმიანობის ფართო შესაძლებლობების არსებობას. ამ ტიპის უსაფრთხოება, როგორც წესი, უზრუნველყოფილია შემდეგი ტიპის პოლიტიკით: სრულ დასაქმებაზე

ორიენტირებული მაკროეკონომიკური პოლიტიკა, დასაქმების სააგენტოების შექმნა და სხვა დასაქმების სერვისები.

- *დასაქმების უსაფრთხოება* – ითვალისწინებს შემოსავლის მომტანი სამუშაოს დაკარგვისგან დაცვას. უსაფრთხოების ეს ტიპი მოიცავს ზომებს სამსახურიდან უსამართლო ან თვითნებური დათხოვნისაგან (ანაზღაურებადი და სახელფასო მუშაკებისთვის) და დაცვის ზომებს დამოუკიდებელი სამუშაოს უცარი დაკარგვისგან და/ან ბიზნესის წარუმატებლობისგან (თვითდასაქმებულთათვის).
- *სამუშაო უსაფრთხოება* – ეხება ორგანიზაციებში და შრომის ბაზრებზე კონკრეტულ პირობებს, რაც მუშებს საშუალებას აძლევს გააკონტროლონ სამუშაოს შინაარსი, და კარიერაში წინსვლის შესაძლებლობას.
- *სამუშაო უსაფრთხოება* – ეხება შრომის ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების დებულებებს, რომლებიც იცავს მუშებს პროფესიული საშიშროებისგან, დაავადებებისა და დაზიანებებისგან. სამუშაო უსაფრთხოების დამცავი საშუალებები მოიცავს დებულებებს და დაზღვევას სამსახურში უბედური შემთხვევისა და ავადმყოფობისგან, ასევე სამუშაო დროის შეზღუდვებს.
- *უნარების რეპროდუქციის უსაფრთხოება* – განსაზღვრავს მუშაკთა ხელმისაწვდომობას საბაზისო განათლებაზე, ასევე პროფესიულ ტრენინგზე, რათა განავითარონ შესაძლებლობები და მიიღონ სოციალურად და ეკონომიკურად ღირებული პროფესიებისთვის საჭირო კვალიფიკაცია.

მიუხედავად იმისა, რომ შვიდივე განზომილება მნიშვნელოვანია, ILO, როგორც ყველაზე მნიშვნელოვანს, განიხილავს ორ მათგანს – შემოსავლის უსაფრთხოებას და წარმომადგენლობის უსაფრთხოებას.

**ამერიკული ეკონომიკური უსაფრთხოების ინდექსის მიდგომა.** ამერიკული მიდგომა ეკონომიკური უსაფრთხოების მიმართ განსაზღვრავს მას, როგორც ადამიანების შესაძლებლობას, თანმიმდევრულად დააკმაყოფილონ თავიანთი საჭიროებები. ეკონომიკური უსაფრთხოება განიხილება, როგორც სტაბილური შემოსავლის ან სხვა რესურსების არსებობის პირობა, რათა ხელი შე-

უწყოს ცხოვრების დონეს ამჟამად და უახლოეს მომავალში. მასში შედის: სავარაუდო გადახდისუნარიანობა; პირის ან სხვა ეკონომიკური სუბიექტის, მაგალითად, ქვეყნის მომავალი ფულადი ნაკადების პროგნოზირებადობა. ვარაუდობენ, რომ ის დაკავშირებულია როგორც ეკონომიკური კეთილდღეობის კონცეფციასთან, ასევე თანამედროვე კეთილდღეობის – სახელმწიფოს ცნებასთან – სამთავრობო უწყება, რომელიც იღებს ვალდებულებას უზრუნველყოს საბაზისო გარანტიები თავისი მოქალაქეების უსაფრთხოებისთვის.<sup>16</sup> ამ მიდგომის ფარგლებში მოსახლეობის ეკონომიკური უსაფრთხოება იზომება ეკონომიკური უსაფრთხოების ინდექსის (ESI) გაანგარიშებით.<sup>17</sup> ეკონომიკური უსაფრთხოების ინდექსი (ESI) არის დაუცველობის ინტეგრირებული საზომი, რომელიც ასახავს ოჯახებს შორის დიდი ეკონომიკური ზარალის გავრცელებას. უფრო კონკრეტულად, ESI ზომავს იმ პირთა პროპორციას, რომლებიც კარგავენ თავიანთი საყოფაცხოვრებო შემოსავლის მინიმუმ 25 პროცენტს ან შემოსავლის ცვლილების, ან სამედიცინო ხარჯების ცვლილების გამო, და არ აქვთ საკმარისი ლიკვიდური ფინანსური სიმდიდრე, რათა სრულად დააკომპენსირონ ეს დანაკარგი (Hacker et al, 2012). ESI ასახავს სამ ძირითად რისკს ეკონომიკური კეთილდღეობისთვის, რომელთა პროგნოზირება ძნელია შინამეურნეობებისათვის და რომლებზეც ისინი გამოხატავენ ღრმა შეშფოთებას შემოსავლის დიდი წილის დაკარგვის (1), მსხვილი სამედიცინო ხარჯებისა (2) და პირველ ორ რისკთან გასამკლავებლად ლიკვიდური ფინანსური საშუალებების უკმარისობის (3) გამო. ეს შეფასებები ეფუძნება იმავე მონაცემებს, რომლებიც გამოიყენება სიღარიბისა და უმუშევრობის გაზომვის დროს.

**კრიტიკული ზღურბლების მეთოდი (რუსული მიდგომა).** რუსულ ეკონომიკურ ლიტერატურაში ეკონომიკური უსაფრთხოება განიხილება როგორც: “... ეკონომიკისა და სახელმწიფო ინსტიტუტების

---

<sup>16</sup> Council on Social Work Education, via Internet Archive. “Working Definition of Economic Well-Being” -available at: <https://www.cswe.org/Centers-Initiatives/Initiatives/Clearinghouse-for-Economic-Well-Being/Working-Definition-of-Economic-Well-Being>.

<sup>17</sup> <http://www.economicsecurityindex.org/?p=home>

მდგომარეობა, რომელიც უზრუნველყოფს ეროვნული ინტერესების გარანტირებულ დაცვას, მთლიანად ქვეყნის სოციალურად ორიენტირებულ განვითარებას, საკმარის თავდაცვის პოტენციალს თუნდაც შიდა და გარე პროცესების განვითარების ყველაზე არახელსაყრელ პირობებში.” (Сенчагов В., 2002: 59). ამ მიდგომის ფარგლებში ეკონომიკური უსაფრთხოების უმნიშვნელოვანეს კომპონენტებად განიხილება ისეთი ასპექტები, როგორცაა ფინანსური, ენერგეტიკული, თავდაცვის, სამხედრო-სამრეწველო, საინფორმაციო და სასურსათო უსაფრთხოება. გარდა ამისა, რუსი ავტორები აყალიბებენ ეკონომიკურ უსაფრთხოებას, როგორც სისტემას, რომელიც მოიცავს ძირითადი კატეგორიებისა და კონცეფციების შესაბამის შემდეგ შვიდ ბლოკს:

1. *ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია* – არის მსოფლიო საზოგადოებაში ქვეყნის პოზიციის შესახებ საერთო ხედვა, საფრთხეებისა და ეროვნული ინტერესების გაგება;
2. *ქვეყნის ეროვნული ინტერესები ეკონომიკურ სფეროში* – ეკონომიკურ სფეროში ქვეყნის მთავარი ეროვნული ინტერესების მკაფიო ფორმულირება:
  - ეკონომიკის გაფართოებული წარმოების რეჟიმში ფუნქციონირების უნარი.
  - ხალხის კეთილდღეობისა და ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესება.
  - ფინანსური და საბანკო სისტემის ერთიანობა და სტაბილურობა.
  - საგარეო ვაჭრობის რაციონალური სტრუქტურა.
  - სამეცნიერო და ტექნოლოგიური პროგრესის სტრატეგიულად მნიშვნელოვან სფეროებში ქვეყნის დამოუკიდებლობა.
  - ერთიანი ეკონომიკური სივრცის შენარჩუნება და ა.შ.
3. *ეკონომიკური უსაფრთხოების საფრთხეები*, როგორცაა:
  - ძირითადი საშუალებების მაღალი ამორტიზაციის გამო საწარმოო პოტენციალის დაკარგვა.
  - გადაჭარბებული საგარეო ვალი.
  - მოსახლეობის სიღარიბის მაღალი დონე.
  - კაპიტალის გადინება.
  - დაბალი ინოვაციური და საინვესტიციო აქტიურობა.
  - პროდუქციის დაბალი კონკურენტუნარიანობა და ა.შ.

4. *ეკონომიკური უსაფრთხოების მაჩვენებლები* (დაახლოებით 150 ინდიკატორი), მაგალითად:
  - ინდიკატორები, რომლებიც ასახავს ქვეყნის ეკონომიკის მდგრადი ზრდის უნარს.
  - ძირითადი კაპიტალის ინვესტიციების მოცულობის ინდიკატორები დაფინანსების ყველა წყაროდან.
  - ქვეყნის სამეცნიერო პოტენციალის მხარდაჭერის ინდიკატორები.
  - ფინანსური სისტემის სტაბილურობის ინდიკატორები.
  - სოციალური სფეროს ინდიკატორები.
  - საგარეო ვაჭრობის სტრუქტურის რაციონალიზაციის ინდიკატორები და სხვ.;
5. *ინდიკატორის მნიშვნელობების ზღვრული შემადგენლობა* – თითოეული ინდიკატორის ზღვრული მნიშვნელობის განსაზღვრა. ეკონომიკური უსაფრთხოების საფრთხედ უნდა ჩაითვალოს სიტუაცია, როდესაც ინდიკატორი ჩამოდის დადგენილ ზღვარს ქვემოთ;
6. *ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფის ორგანიზაციული სტრუქტურები* – ეკონომიკური უსაფრთხოების კონცეფციის განხორციელებაზე პასუხისმგებელი სამინისტროებისა და დეპარტამენტების სია;
7. *ეკონომიკური უსაფრთხოების სამართლებრივი უზრუნველყოფა* – ეკონომიკური უსაფრთხოების სამართლებრივი უზრუნველყოფისათვის აუცილებელი კანონებისა და დადგენილებების ერთობლიობა.

ეკონომიკური უსაფრთხოების ინდექსური მიდგომა ითვალისწინებს მისი განხორციელების სამ ძირითად ეტაპს: 1) ინდიკატორთა სისტემის (რომელსაც აქვს სხვადასხვა განზომილება) ფორმირება; 2) ინდიკატორების ნორმალიზება, რის შედეგადაც მათგან ყველა იღებს ისეთ ფორმას, რომელიც მოსახერხებელია მათი შედარებისა და ანალიზისთვის; 3) ინფორმაციის აგრეგაცია და ინდიკატორთა თითოეული ჯგუფისთვის განზოგადებული ინდექსის გამოთვლა (Сенчагов и Митяков, 2011). ეკონომიკური უსაფრთხოების დასადგენად ინდექსის მეთოდის გამოყენება საშუალებას გვაძლევს გავანალიზოთ და თვალყურით ვადევნოთ



განზოგადებულ ტენდენციებს როგორც ეკონომიკური უსაფრთხოების ცალკეულ სფეროებში, ასევე მთლიანად ეკონომიკაში.

**ეკონომიკური მოწყვლადობა და გამძლეობა (ლინო ბრიგუგლიოს მიდგომა).** ეკონომიკური უსაფრთხოების კიდევ ერთი მაკროეკონომიკური მიდგომა შეიმუშავა ლინო ბრიგუგლიომ (Briguglio et al., 2009). ეს მოდელი განიხილავს ეკონომიკურ უსაფრთხოებას ეკონომიკური მოწყვლადობისა და ეკონომიკური გამძლეობის კონცეფციების თვალსაზრისით და მცირე ღია ეკონომიკის კონტექსტში. მცირე ღია სახელმწიფოზე ფოკუსირება დასაბუთებულია ამ ეკონომიკებზე გარე შოკების მაღალი ზემოქმედებით, ერთი მხრივ, საერთაშორისო ვაჭრობაში მაღალი ჩართულობისა და, მეორე მხრივ, სერიოზული ეკონომიკური შეზღუდვების გამო (მასშტაბის ეკონომიის გამოყენების შეზღუდული შესაძლებლობა; ბუნებრივი რესურსების ნაკლებობა; მაღალი იმპორტის წილი; დივერსიფიკაციის შესაძლებლობების შეზღუდვა; დამოკიდებულება პროდუქციის ვიწრო ასორტიმენტზე; შეზღუდვები შიდა კონკურენციის პოლიტიკის გამოყენების კუთხით). ამ მიდგომის მთავარი იდეა იმაში მდგომარეობს, რომ მცირე ეკონომიკებს შეუძლიათ გაანეიტრალონ ან აითვისონ ეს შოკები, თუ ისინი გააძლიერებენ თავიანთ ეკონომიკურ გამძლეობას. ამისათვის მცირე სახელმწიფოებს სჭირდებათ მხარდაჭერა, რათა მათ შეძლონ თავიანთი გამძლეობის გაზრდა გარე შოკების მიმართ. გამძლეობის შესაძლებლობების კარგი ილუსტრაციაა ე.წ. "სინგაპურის პარადოქსი". სინგაპური არის პატარა ღია ეკონომიკა, მაღიან მოწყვლადი ეგზოგენური შოკების ზემოქმედების პირობებში და რომელიც ამ პირობებში ახერხებს ერთ სულ მოსახლეზე მაღალი შემოსავლის დონის მიღწევას (Briguglio, 2003).

იმის გათვალისწინებით, რომ საქართველო წარმოადგენს ზუსტად მცირე ღია ეკონომიკას, რომელსაც ახასიათებს გარე შოკების მიმართ დაუცველობის მაღალი დონე (Berulava and Melikadze, 2007), მიგვაჩნია, რომ ლინო ბრიგუგლიოს მიერ შემოთავაზებული მიდგომა ყველაზე აქტუალურია ზემოთ განხილულ მიდგომებს შორის საქართველოს ეკონომიკური უსაფრთხოების საკითხების გასაანალიზებლად, ამიტომ ნაშრომის შემდეგ ნაწილში ჩვენ განვიხილავთ ეკონომიკური უსაფრთხოებისადმი ეკო-

ნომიკური მოწყვლადობის/გამძლეობის მიდგომის მეთოდოლოგიურ ჩარჩოს უფრო დეტალურად.

### **ეკონომიკური უსაფრთხოებისადმი მოწყვლადობა/გამძლეობის მიდგომა: მეთოდოლოგიური ჩარჩო.**

ეკონომიკური უსაფრთხოების მოწყვლადობა/გამძლეობის (Vulnerability/Resilience - V&R) თვალსაზრისით მიღებულია მიდგომის ორი ძირითადი განზომილება: ეკონომიკური მოწყვლადობა და ეკონომიკური გამძლეობის ცნებები.

**ეკონომიკური მოწყვლადობა** არის ქვეყნის მიდრეკილება ეგზოგენური შოკების მიმართ. V&R შეხედულების მიხედვით, მცირე სახელმწიფოების თანდაყოლილი მახასიათებელია ის, რომ მათი ეკონომიკა ყალიბდება მათი კონტროლის მიღმა ძალებით, რაც მცირე ეკონომიკებს დაუცველს ხდის გარე შოკების მიმართ. ეკონომიკური მოწყვლადობის ინდექსების გაზომვის რამდენიმე მიდგომა არსებობს ეკონომიკურ ლიტერატურაში (Bruglio and Galea, 2003; United Nations Committee for Development Policy, 2006; Atkins et al. 2000). ეკონომიკური მოწყვლადობის გასაზომად გამოყენებული ცვლადების ძირითადი ჯგუფებია: ცვლადები, რომლებიც დაკავშირებულია გარე ძალების ზემოქმედებასთან; ცვლადები, რომლებიც შეიცავს შიდა სტრუქტურებს და იწვევს არასტაბილურობას, და ცვლადები, რომლებიც ასახავენ გარე შოკების სიძლიერეს. მაგალითად, ბრიგულიო და გალეა (Bruglio and Galea; 2003) განსაზღვრავენ ეკონომიკური მოწყვლადობის მთავარ განმსაზღვრელ ფაქტორებს შემდეგნაირად:

- ეკონომიკური გახსნილობა;
- ექსპორტის კონცენტრაცია;
- დამოკიდებულება სტრატეგიულ იმპორტზე.

გაეროს მოწყვლადობის ინდექსი (United Nations Committee for Development Policy, 2006) შედგება შემდეგი დეტერმინატებისგან:

- მოსახლეობის რაოდენობა;
- დაშორება მსოფლიო ბაზრებისაგან;
- საქონლის ექსპორტის კონცენტრაცია;
- სოფლის მეურნეობის, მეტყვეობისა და მეთევზეობის წილი მთლიან შიდა პროდუქტში;

- უსახლკარობა სტიქიური უბედურებების გამო;
- სოფლის მეურნეობის წარმოების არასტაბილურობა;
- საქონლისა და მომსახურების ექსპორტის არასტაბილურობა.

რეალურ სამყაროში არსებული გამოცდილება ცხადყოფს, რომ მცირე ეკონომიკებს, როგორც წესი, აქვთ გაცილებით უარესი მოწყვლადობის ინდექსები დანარჩენ ქვეყნებთან შედარებით. ამავე დროს, ემპირიული ფაქტები ასევე მოწმობს, რომ მრავალი მცირე ეკონომიკა აჩვენებს შედარებით წარმატებულ ეკონომიკურ მაჩვენებელს განვითარებად სამყაროში (ე.წ. "სინგაპურის პარადოქსი"). V&R პერსპექტივა ხსნის ასეთ პარადოქსს, როდესაც ეკონომიკურად დაუცველი მცირე ეკონომიკები შედარებით მაღალ ეკონომიკურ შედეგებს აღწევენ, ეკონომიკური მოწყვლადობის ეკონომიკურ გამძლეობასთან შეხამებით.

**ეკონომიკური გამძლეობა** განისაზღვრება, როგორც ეკონომიკური განვითარების ის დონე, რომლითაც მცირე ეკონომიკას შეუძლია გაანეიტრალოს გარე შოკების უარყოფითი ეფექტი. კერძოდ, V&R პერსპექტივა განიხილავს ეკონომიკური გამძლეობის ორ შემდეგ განზომილებას (Briguglio et al., 2009):

- **შოკის საწინააღმდეგო მოქმედება** – ეკონომიკის უნარი, სწრაფად აღდგეს არასასურველი შოკების შემდეგ;
- **შოკის შთანთქმა** – ეკონომიკის უნარი გაუძლოს შოკებს.

V&R მიდგომის ფარგლებში, გამძლეობა იზომება ინდექსით, რომელიც ასახავს მცირე ეკონომიკის მიერ განხორციელებულ ეკონომიკურ ზომებს მისი თანდაყოლილი მოწყვლადობის შესამცირებლად. ბრიგუგლიო და სხვ. (2006) სთავაზობენ გამძლეობის ინდექსს შემდეგ ოთხ ცვლადზე დაყრდნობით, რომლებიც ასახავს როგორც დარტყმის შთანთქმის, ასევე დარტყმის საწინააღმდეგო მოქმედებების განზომილებებს:

- **მაკროეკონომიკური სტაბილურობა** – რომელიც მნიშვნელოვანია, როგორც შოკის საწინააღმდეგო ღონისძიება და მოიცავს შემდეგ კომპონენტებს:
  - ფისკალური დეფიციტი მშპ-სთან მიმართებით;
  - საღარიბის ინდექსი: ინფლაცია + უმუშევრობა;
  - საგარეო ვალი მშპ-ის მიმართ.

- **მიკროეკონომიკური ბაზრის ეფექტურობა** – ეხება ბაზრის მოქნილობას და წარმოადგენს შოკის შთანთქმის მნიშვნელოვან ზომას. მაგალითად:
    - ბაზრები და მათი ეფექტიანი ფუნქციონირება ფასების მექანიზმის მეშვეობით არის საუკეთესო საშუალება ეკონომიკაში რესურსების განაწილებისთვის;
    - კრედიტის, შრომისა და ბიზნესის რეგულირება (მსოფლიოს ეკონომიკური თავისუფლების ინდექსი);
    - ინდექსები, რომლებიც ზომავს თუ რამდენად ფუნქციონირებს ბაზრები თავისუფლად, კონკურენტულად და ეფექტურად;
    - მარეგულირებელი შეზღუდვები და ბიუროკრატიული პროცედურები კონკურენციასა და ბაზრების ფუნქციონირებაზე.
  - **კარგი პოლიტიკური მმართველობა** – არის წინაპირობა ხელსაყრელი გამძლეობის განვითარებისთვის. ინდექსის ძირითადი კომპონენტები ეხება საკუთრების უფლების სამართლებრივ სტრუქტურას და უსაფრთხოებას (მსოფლიოს ეკონომიკური თავისუფლების ინდექსი):
    - სასამართლოს დამოუკიდებლობა;
    - სასამართლოს მიუკერძოებლობა;
    - ინტელექტუალური საკუთრების უფლებების დაცვა;
    - სამხედრო ჩარევა კანონის უზენაესობაში და პოლიტიკურ სისტემაში;
    - სამართლებრივი სისტემის მთლიანობა.
  - **სოციალური და გარემოს პირობები** – უზრუნველყოფს კარგად განვითარებულ სოციალურ ურთიერთობებს და ეფექტურ სოციალურ დიალოგს, რომელიც მიმართულია გამძლეობის შექმნის პოლიტიკის ეფექტიანობის ამაღლებაზე. ეს ფაქტორი ძირითადად ეფუძვნება მოდის ადამიანური განვითარების ინდექსის (HDI) ინდიკატორებს:
    - ჯანდაცვა (სიცოცხლის ხანგრძლივობა დაბადებისას);
    - განათლება (მოზარდთა წიგნიერების მაჩვენებელი და სკოლაში ჩარიცხვის კოეფიციენტი).
- მოწყვლადობისა და გამძლეობის განზომილებების ერთმანეთთან შეხამება იძლევა ქვეყნების შემდეგ ოთხ ტიპოლოგიას

მათი ეკონომიკური უსაფრთხოების მდგომარეობის თვალსაზრისით (Briguglio et al., 2009):

- მოწყვლადობის მაღალი დონისა და გამძლეობის დაბალი დონის მქონე ქვეყნები – „ყველაზე უარესი“ – დაუცველი მცირე ეკონომიკები სუსტი ეკონომიკური მმართველობით;
- მოწყვლადობის მაღალი დონისა და გამძლეობის მაღალი დონის მქონე ქვეყნები – „თვითშექმნილი“ – არიან ძალიან გამძლე მაღალი მოწყვლადობის ქულის მქონე მცირე ეკონომიკები;
- მოწყვლადობის დაბალი დონისა და გამძლეობის დაბალი დონის მქონე ქვეყნები – „უძლები შვილი“ – მოიცავს ძირითადად მესამე სამყაროს დიდ ქვეყნებს;
- მოწყვლადობის დაბალი დონის და გამძლეობის მაღალი დონის მქონე ქვეყნები – „საუკეთესო ქეისი“ – ძირითადად დიდი, განვითარებული ქვეყნებია.

თანდაყოლილი ეკონომიკური მოწყვლადობისა და გაზრდილი ეკონომიკური გამძლეობის კომბინაცია ქმნის მეთოდოლოგიურ ჩარჩოს გარე შოკების ზემოქმედებით გამოწვეული რისკის შესაფასებლად. V&R მეთოდოლოგიური ჩარჩოს მიხედვით, ქვეყნისთვის გარე შოკის უარყოფითი ზემოქმედების რისკი დადებითად არის დაკავშირებული ქვეყნის თანდაყოლილი მოწყვლადობის პირობებთან და უარყოფითად ასოცირდება კარგ ეკონომიკურ მმართველობასთან (Briguglio, 2004; Cordina, 2004).

ამ მეთოდოლოგიური ჩარჩოს მთავარი იდეა მდგომარეობს იმაში, რომ მრავალი პატარა სახელმწიფო წარმატებას მიაღწევს ეკონომიკურად არა იმიტომ, რომ ისინი მცირე ზომისა, არამედ მცირე ზომის შეზღუდვების მიუხედავად, კარგი ეკონომიკური მმართველობის გამო.

V&R ჰიპოთეზის ბოლოდროინდელი ემპირიული ტესტი, რომ ეკონომიკურად დაუცველი ქვეყნები, უარყოფითი გარე შოკების ზემოქმედების თვალსაზრისით, მაინც შეიძლება იყვნენ ეკონომიკურად წარმატებული თუ მათ კარგად მართავდნენ, და პირიქით, ასეთი შოკებისგან შედარებით დაცულ ქვეყნებზე შეიძლება ცუდად იმოქმედონ (ბრიგუგლიოსა და მონკადას ჩატარებული კვლევა; Briguglio and Moncada, 2022). ამ ნაშრომში ზემოთ აღნიშნული ჰიპოთეზა შემოწმდა ემპირიულად უახლესი მონა-

ცემებით ორიგინალური მოდელის ხელახალი შეფასებით. კვლევის შედეგები გვიჩვენებს, რომ მცირე სახელმწიფოები არაპროპორციულად არიან დატვირთვები სხვა სახელმწიფოებთან შედარებით განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ცდილობენ გამძლეობის გაზრდას უარყოფითი გარე შოკების დამლევის მიზნით.

კიდევ ერთი ნაშრომი (Bruglio and Vella, 2019) იკვლევს ევროკავშირის (EU) პატარა სახელმწიფოებს V&R მეთოდოლოგიის გამოყენებით და შეისწავლის კორელაციას ეკონომიკურ გამძლეობასა და კონკურენტუნარიანობას შორის. ამ კვლევაში, ეკონომიკური გამძლეობა ასოცირდება კარგ ეკონომიკურ, სოციალურ და პოლიტიკურ მმართველობასთან, ხოლო ეკონომიკური მოწყვლადობა დაკავშირებულია გარე შოკების ზემოქმედებასთან (ძირითადად გამოწვეული ვაჭრობის ღიაობის მაღალი დონით). კვლევის შედეგები ცხადყოფს, რომ: 1) ევროკავშირის მცირე ქვეყნები, როგორც წესი, ავლენენ ეკონომიკური მოწყვლადობის მაღალ დონეს, რაც მიუთითებს იმაზე, რომ ისინი განიცდიან გარე შოკების ძლიერ ზემოქმედებას; 2) ევროკავშირის ეკონომიკურად ყველაზე დაუცველი მცირე ქვეყნები, როგორც წესი, აჩვენებენ შედარებით მაღალი გამძლეობისა და კონკურენტუნარიანობის დონეებს. ამ შედეგებზე დაყრდნობით, ავტორები აკეთებენ დასკვნას, რომ ეკონომიკური გამძლეობა და კონკურენტუნარიანობა დაკავშირებულია ერთმანეთთან და რომ გატარებული პოლიტიკა საშუალებას აძლევს მათ გაუმღონ ან შეამცირონ ეკონომიკური შოკების მავნე ზემოქმედება.

V&R მეთოდოლოგიური ჩარჩოს *ძლიერი მხარე* იმით გამოიხატება, რომ ამ მიდგომის გამოყენება შეიძლება გადაწყვეტილების მიღების მხარდასაჭერად, მიზნების დასახვისა და სტანდარტების დასამკვიდრებლად; მოვლენების მონიტორინგისა და შეფასების დროს; რაოდენობრივი შეფასებების გამოსატანად; ინფორმაციის გავრცელებასა და საკითხზე ყურადღების გასამახვილებლად; პოლიტიკის მნიშვნელოვან ფაქტორებზე დისკუსიის ფოკუსირებისათვის; ინტეგრირებული მოქმედების იდეის ხელშეწყობისათვის. მიდგომის *სუსტი მხარეები* შეიძლება ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად: ცვლადების სუბიექტური არჩევანი; გაზომვის პრობლემები; შეწონვის პროცედურები; მონაცემთა ნაკლებობა ან

სხვა არაადეკვატურობა; არაერთგვაროვანი მონაცემები და სხვა (Briguglio, 2004).

### დასკვნა

ამ კვლევაში მიმოვიხილავთ ეკონომიკური უსაფრთხოების მიდგომებს, რომლებიც ამჟამად არსებობს ეკონომიკურ ლიტერატურაში. კერძოდ, ნაშრომში განვიხილავთ ეკონომიკური უსაფრთხოების ისეთ მიდგომებს, ძირითად ფაქტორებსა და განმასხვავებელ მახასიათებლებს, როგორებიცაა: შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის (ILO) მიდგომა; ეკონომიკური უსაფრთხოების ინდექსი (ამერიკული მიდგომა); კრიტიკული ზღვრების მეთოდი (რუსული მიდგომა); ეკონომიკური მოწყვლადობა და გამძლეობა (ლინო ბრიგუგლიოს მიდგომა).

პირველი ორი მეთოდი შეიძლება ჩაითვალოს როგორც მიკროეკონომიკური მიდგომა ეკონომიკური უსაფრთხოების მიმართ, ხოლო მეორე ორი – როგორც მაკროეკონომიკური. ნაშრომში მოკლედ განვიხილულია თითოეული ამ მეთოდის მეთოდოლოგიური საფუძვლები.

არსებული მიდგომების მეთოდოლოგიური ჩარჩოების ანალიზი ცხადყოფს, რომ საქართველოში ეკონომიკური უსაფრთხოების საკითხების განხილვის ყველაზე გამორჩეული მეთოდი ლინო ბრიგუგლიოს მიერ შემოთავაზებული მიდგომაა. ეს მოდელი განიხილავს ეკონომიკურ უსაფრთხოებას ეკონომიკური მოწყვლადობის და ეკონომიკური გამძლეობის კონცეფციების თვალსაზრისით და მცირე ღია ეკონომიკის კონტექსტში. იმის გათვალისწინებით, რომ საქართველო წარმოადგენს ზუსტად მცირე ღია ეკონომიკას, რომელსაც ახასიათებს გარე შოკების მიმართ მოწყვლადობის მაღალი დონე, მიგვაჩნია, რომ ეს მიდგომა ყველაზე აქტუალურია ზემოთ განხილულ მიდგომებს შორის, სახელმწიფოს ეკონომიკური უსაფრთხოების საკითხების გასაანალიზებლად.

თანდაყოლილი ეკონომიკური მოწყვლადობისა და შექმნილი ეკონომიკური გამძლეობის ერთობლიობაზე დაყრდნობით, ეს მიდგომა ქმნის მეთოდოლოგიურ ჩარჩოს გარე შოკებით გამოწვეული ზემოქმედების რისკის შესაფასებლად. ამ მიდგომის მიხედვით, ქვეყნისთვის გარე შოკის უარყოფითი ზემოქმედების რისკი დადებითად არის დაკავშირებული ქვეყნის თანდაყოლილი მოწყვლა-

დობის პირობებთან და უარყოფითად ასოცირდება კარგ ეკონომიკურ მმართველობასთან. აქ მთავარი იდეა ისაა, რომ ბევრი პატარა სახელმწიფო ეკონომიკურ წარმატებას მიაღწევს არა იმიტომ, რომ მათი ეკონომიკა მცირეა, არამედ მცირე ზომის შეზღუდვების მიუხედავად, კარგი ეკონომიკური მმართველობის გამო.

ეს მეთოდოლოგიური ჩარჩო შეიძლება გამოყენებულ იქნეს, როგორც ინსტრუმენტი საქართველოში ეკონომიკური უსაფრთხოების მდგომარეობის შესაფასებლად და ეკონომიკური მოწყვლადობის უარყოფითი შედეგების დაძლევისკენ მიმართული პოლიტიკის შემუშავების მიზნით.

### გამოყენებული ლიტერატურა

1. Atkins, J., S. Mazzi, and C. Easter (2000). “A Commonwealth Vulnerability Index for Developing Countries: The Position of Small States”. Economic Paper No. 40. London: Commonwealth Secretariat.
2. Berulava G., Melikadze N. (2007). *Strengthening Security Dimension in Georgian Government’s Economic Development Policy*, monograph, “Grifoni”, Tbilisi, 282 p.
3. Briguglio L, G Cordina, N Farrugia, S Vella (2009). “Economic vulnerability and resilience: concepts and measurements”. Oxford development studies, , 37:3, 229-247, DOI: [10.1080/13600810903089893](https://doi.org/10.1080/13600810903089893)
4. Briguglio, L. (2003). ‘The Vulnerability Index and Small Island Developing States: A Review of Conceptual and Methodological Issues’. Paper prepared for the AIMS Regional Preparatory Meeting on the Ten Year Review of the Barbados Programme of Action, 1-5 September. Praia, Cape Verde.
5. Briguglio, L. (2004). “Economic Vulnerability and Resilience: Concepts and Measurements”. In L. Briguglio and E. J. Kisanga (eds), *Economic Vulnerability and Resilience of Small States*. Malta: Islands and Small States Institute and London: Commonwealth Secretariat.
6. Briguglio, L. and Galea, W. (2003). “Updating the Economic Vulnerability Index.” *Occasional Papers on Islands and Small States*, No. 2003-4. Malta: Islands and Small States Institute.
7. Briguglio, L. Cordina, C. Farrugia, N. and Vella, S. (2006) “Conceptualizing and Measuring Economic Resilience.” In *Building the Economic Resilience of Small States*, Edited by L. Briguglio, C. Cordina and E.J Kisanga, Malta: Islands and Small States Institute and London: Commonwealth Secretariat: 265-287.



8. Briguglio, L., & M Vella (2019). "The small states of the European Union and the resilience/competitiveness nexus" *Small States & Territories*, Vol. 2, No. 1, pp. 55-68.
9. Briguglio, L., & Moncada, S. (2022). "Small states and the vulnerability resilience framework: withstanding exposure to adverse external shocks". Occasional Papers on Islands and Small States, 3. Available at: <https://www.um.edu.mt/library/oar/handle/123456789/100332>
10. Cordina, G. (2004). "Economic Vulnerability and Economic Growth: Some Results from a Neo-Classical Growth Modelling Approach". *Journal of Economic Development*, 29 (2): 21-39.
11. Hacker Jacob S., Gregory A. Huber, Austin Nichols, Philipp Rehm, Stuart Craig (2012). "Economic Insecurity Across the American States." [http://economicsecurityindex.org/assets/state\\_reports/ESI\\_cross\\_state.pdf](http://economicsecurityindex.org/assets/state_reports/ESI_cross_state.pdf)
12. ILO (2004) *Economic Security for a Better World*, International Labor Organization (ILO) Socio-Economic Security Programme
13. Tamošiūnienė<sup>a</sup>, R. and Munteanub, C., (2015). Current research approaches to economic security. Conference paper, DOI: <http://dx.doi.org/10.4995/ICBM.2015.1537>
14. United Nations Committee for Development Policy (2006). *Overcoming Economic Vulnerability and Creating Employment*. Report of the Committee for Development Policy on the Eighth Session (20–24 March 2006), United Nations, New York
15. Сенчагов В.К. (2002). Экономическая безопасность: геополитика, глобализация, самосохранение и развитию Институт экономики РАН. - М.: ЗАО «Финстатинформ», 2002. - 128 с.
16. Сенчагов В.К., Митяков С.Н (2011). "Использование индексного метода для оценки уровня экономической безопасности." *Вестник Академии экономической безопасности МВД России*, № 5, 41-50.

*Giorgi Berulava,  
Marine Tsutskiridze*

## **THEORETICAL-METHODOLOGICAL ASPECTS OF ECONOMIC SECURITY AND ECONOMIC SUSTAINABILITY: INTERNATIONAL EXPERIENCE**

### **Summary**

In this study we review the approaches to economic security currently existing in economic literature. The analysis of methodological frameworks of

existing approaches, reveals that the most salient method for consideration of economic security issues in Georgia is the approach proposed by Lino Briguglio. Based on the combination of the inherent economic vulnerability and nurtured economic resilience, this approach creates a methodological framework for assessing the risk of being affected by external shocks. According to this approach the risk for a country of being adversely affected by the external shock is positively associated with the inherent vulnerability conditions of the country and negatively associated with good economic governance. This methodological framework can be used further as a tool towards the assessment of economic security situation in Georgia and formulation of policies aimed at overcoming the adverse consequences of economic vulnerability.

*მურმან კვარაცხელია*

### **გლობალიზაცია და ეკონომიკური უსაფრთხოების პრობლემები საქართველოში**

*ანოტაცია.* გლობალიზაცია დღევანდელი კაცობრიობის შეუქცევადი პროცესია. მისი თანმდევი უარყოფითი გავლენების შედეგად შეიძლება სუვერენული სახელმწიფოები გარკვეული პრობლემების წინაშე დადგნენ. ამ შემთხვევაში გამონაკლისი არაა ისეთი ქვეყანა, როგორც საქართველოა. იგი შეიძლება გარკვეული ნეგატიური გამოწვევების წინაშე დადგეს ეკონომიკური უსაფრთხოების თვალსაზრისითაც. სრულიად ახალი ფორმით იკვეთება სახელმწიფოებს შორის ურთიერთკავშირისა და ურთიერთდამოკიდებულების ეკონომიკური პროცესების არსი, რომელსაც გლობალიზაცია სთავაზობს. ამ შემთხვევაში სახელმწიფოების მთავარ ამოცანად რჩება ისეთი სახის საფრთხეების აღმოფხვრა, როგორცაა პოლიტიკური, ეკოლოგიური, სამეცნიერო-ტექნიკური, სამხედრო და სხვა. თუმცა ეკონომიკური უსაფრთხოების მნიშვნელობის ხარისხი გლობალიზაციის პირობებში უფრო მეტად იზრდება. ამიტომ საჭიროა სახელმწიფოების ეროვნული ეკონომიკების შესაძლებლობების ძალისხმევის გაერთიანება, რათა უზრუნველყოფილ იქნას ეროვნული ინტერესების დაცვა მსოფლიო და სამამულო ეკონომიკურ სივრცეში საკუთარი პოტენციალის დაცვის კუთხით. ეს კი შექმნის

*მყარ პირობებს ინოვაციური ეკონომიკის შესაქმნელად, რაც სუვერენული სახელმწიფოების მომავლის გზამკვლევადაც შეიძლება იქცეს.*

### **შესავალი**

მსოფლიო გლობალიზაციის პროცესი შეუქცევად ხასიათს ატარებს, რომელიც მჭიდროდაა დაკავშირებული ქვეყნების ეკონომიკურ უსაფრთხოებასთან. ამასთან იგი მსოფლიოს ღრმა ტრანსფორმაციის შედეგიცაა, რომელიც დაიწყო მეოცე საუკუნის შუახანებიდან, მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ. ამ პერიოდიდან იწყება მსოფლიო საზოგადოების მიერ თავისი ღირებულებების ძირფესვიანი გადაფასება, კარდინალურად იცვლება საკუთარი, მანამდე არსებული იდეოლოგია და სხვადასხვა ინსტიტუტების ფორმირება ხდება. ასეთი გარდაქმნების მოთხოვნამ ფუნდამენტური საფუძვლები წამოსწიეს წინ, რომლებიც ქვეყნებში ადამიანების უსაფრთხოებაზე აგებენ პასუხს. ამის ერთ-ერთ საფუძველს წარმოადგენს ეკონომიკური უსაფრთხოება.

ეკონომიკური უსაფრთხოება წარმოადგენს მოვლენას, რომელიც ახასიათებს ეკონომიკის მდგომარეობას, რომლის დროსაც ძირითადი ეკონომიკური მაჩვენებლები სრულად აკმაყოფილებენ საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეების მოთხოვნებს.

\* \* \*

თანამედროვე მსოფლიო პროცესებში გლობალიზაციის გავლენის ხარისხი მნიშვნელოვანია, რომელიც პირდაპირ დიდ გავლენას ახდენს ქვეყნების ეკონომიკურ უსაფრთხოებაზე. ამ მოვლენებზე საუბრისას აუცილებელია თვით გლობალიზაციის პროცესის შეფასება დინამიური ცვალებადობის კუთხით. ეს გულისხმობს მის განვითარებას ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობის თვალსაზრისით. ამაში თვით გლობალიზაცია თავისთავად ასრულებს გადამწყვეტ როლს, რისი ზემოქმედების შედეგად ვითარდება როგორც ეკონომიკა, ასევე პოლიტიკა ცალკე აღებულ ქვეყნებში. ამის შედეგად დღეს ჩნდება საფუძველი ვამტკიცოთ, რომ სახელმწიფოების ინტეგრირება გლობალურ ეკონომიკაში დამოკიდებულია გლობალური ეკონომიკური სისტემების საბაზრო სივრცეებსა და ეკონომიკურ მოვლენებზე და იმაზე თუ რამდენად სენსიტიური იქნებიან ისინი ამ პროცესებში. გლობალიზაცია თანამედროვე გა-

გებით სახელმწიფოებს შორის ურთიერთკავშირისა და ურთიერთ-დამოკიდებულების გართულებასა და გაფართოებასაც გულისხმობს. აქ უკვე ჩნდება ეკონომიკის განვითარების ახალი სტადია, ქვეყნებსა და ეკონომიკებს შორის ურთიერთობების ახალი ხარისხი. გლობალიზაცია იქმნება უამრავი ღრმა ტრანსფორმაციისაგან, რომელიც მიმდინარეობს ადამიანური საქმიანობის სხვადასხვა სფეროებში. (არა მარტო ეკონომიკურში). ამ წერტილიდან დანახული გლობალიზაცია, ესაა ახალი წესრიგის აშენება, და ბარიერების შემცირება ცალკეულ ქვეყნებსა და მათ ეკონომიკებს შორის. ასევე იწვევს საქონლისა და მომსახურების წარმოების მსოფლიო მასშტაბების გადიდებას ვაჭრობისა და სხვა საერთაშორისო გაცვლის საშუალებით, რაც მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენს მსოფლიო ეკონომიკის ნაციონალურ სტრუქტურებზე. აქედან ცხადია, რომ გლობალიზაცია ერთდროულად ახდენს ზეგავლენას პროცესებსა და მოვლენებზე, რომელსაც ადგილი აქვს ქვეყნების ცხოვრებაში. ყოველივე ეს ხსნის უდიდეს შესაძლებლობებს, რომელიც დაკავშირებულია საქონლის ნაკადებისა და ინფორმაციების გაღრმავებასა და გაფართოებასთან, რაც სახელმწიფოებს, ფირმებსა და ადამიანებს შორის ურთიერთდამოკიდებულების გამოვლენას უწყობს ხელს. ამ პროცესში დიდ როლს თამაშობს მეცნიერულ-ტექნოლოგიური პროგრესი ტრანსპორტის, ტელეკომუნიკაციებისა და ინფორმაციების სფეროებში. ამ შემთხვევაში საგანმანათლებლო დონის ამაღლების შედეგად შესაძლებლობას იძლევა თანამედროვე მსოფლიოს ყველა შემადგენელი ნაწილის დაახლოებისათვის. ესაა მანძილის შემცირება ქვეყნებს შორის, ჩნდება ახალი შესაძლებლობები ტრანსპორტირებასა და კავშირგაბმულობაში, შესამჩნევად მცირდება ტრანსაქციური ხარჯები, რომელიც დაკავშირებულია სავაჭრო და ფინანსურ ოპერაციებთან.

აქედან გამომდინარე, სახეზეა გლობალიზაციის შინაგანი წინააღმდეგობები: ეს პროცესი აფართოებს შეფარდებით ანუ მოჩვენებით თავისუფლებას სახელმწიფოსა და მისი სამეურნეო სუბიექტებისათვის და ამავე დროს ავიწროებს, არტახებს უჭერს არა მხოლოდ ეკონომიკური სარგებლისათვის, არამედ აიძულებს მათ დაემორჩილონ მკაცრად დაწესებულ წესრიგს. ბოლო წლებში სწორედ ამ მიმართულებით ხდება გლობალიზაციის გამოკვლევა მთელი მსოფლიოს მეცნიერების მიერ.

ყოველივე ეს ახასიათებს გლობალიზაციას როგორც ობიექტურ რეალურ ძალას, რომელიც განსაზღვრავს სახელმწიფოების ურთიერთკავშირსა და ურთიერთდამოკიდებულებას ეკონომიკური და პოლიტიკური პროცესების საფუძველზე, რომელიც ცხოვრებისეული საქმიანობის ყველა სფეროს მოიცავს და განვითარების ახალი პროცესებით საზრდობს. ყოველივე ეს მონაწილე ქვეყნებისათვის მარტო დადებითი შედეგების მატარებელი არ არის, არამედ გარკვეულ საშიშროებასაც წარმოადგენს. ყოველივე ეს, პირველ რიგში, განსაზღვრავს მათ საგარეო და საშინაო პოლიტიკას როგორც ეკონომიკის, ასევე ადამიანური საქმიანობის სხვა სფეროებშიც. ეს კიდევ ერთხელ ამტკიცებს საერთოდ მიღებულ აზრს იმის შესახებ, რომ გლობალიზაციამ უკვე შეაღწია ადამიანური საქმიანობის ყველა სფეროში, რომელთა შორის მთავარია ეკონომიკური საქმიანობა.

არ შეიძლება გლობალიზაციის პოზიტიური ზეგავლენის უარყოფა, რომელიც გამოიხატება კონკურენციის ეფექტში, სადაც ის უალტერნატივოა. ამ მომენტში ჩნდება ერთიანი „თამაშის წესები“, კოლექტიური უსაფრთხოების ღონისძიებების შემუშავებაში, რომელიც უზნის ყველა ქვეყანას განვითარების დიდ შესაძლებლობებს. თუმცა, აქვე შეიძლება გაჩნდეს შესაძლო ნეგატიური შედეგებიც. ეს დაკავშირებულია განვითარებული ქვეყნების მიერ მიღებულ უპირატესობებთან, ვინაიდან ისინი არიან ძლიერნი და განვითარებულნი, რაც შეიძლება გახდეს მომავალი კონფლიქტების საფუძველი განვითარებად და აუტსაიდერ ქვეყნებთან, რომელიც შეიძლება იყოს ეკონომიკური, პოლიტიკური და სამხედროც კი. ამიტომ გლობალიზაციის პროცესის ჩარჩოებში იცვლება სახელმწიფოების ფუნქციები და შესაძლებლობები როგორც პოლიტიკური და ეკონომიკური ელემენტებისა და პროცესების მონაწილისა. [6; გვ.6].

ზემოთ ნათქვამიდან გამომდინარე, ლოგიკურად ჩნდება კითხვა, საქართველომ და მისნაირმა განვითარებადმა ქვეყნებმა როგორ უზრუნველყონ მათი ეკონომიკური უსაფრთხოება, ამასთან აუცილებელია სწორად იქნას გაგებული და აღქმული ამ პროცესის ყველა თავისებურებები, მათი გამოვლენის მექანიზმები გლობალიზაციის პირობებში.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფის შედეგიანი მექანიზმის შექმნა დამოკიდებულია იმაზეც თუ სახელმწიფო რა ტიპისაა. როგორც ცნობილია, მათ ყოფენ სამ სახეობად: განვითარებული, განვითარებადი და აუტსაიდერი ქვეყნები. ბოლო ხანებში სხვა მიდგომაც გამოიყენება, რომელიც უფრო ადეკვატურია ეკონომიკის გლობალიზაციის პირობებთან მიმართებაში. ესენია, რესურსმომხმარებლები და რესურსგამტანი ქვეყნები. უნდა აღინიშნოს კრიზისული წლების გამოცდილება, რომელმაც აჩვენა, რომ განვითარებადმა რესურსგამტანმა ქვეყნებმა განიცადეს უფრო მეტი ზარალი კრიზისის შედეგად, ვიდრე რესურსშემომტანებმა.

საქართველოში მაკროეკონომიკური მაჩვენებლები უკანასკნელი წლების განმავლობაში ბევრად მგრძობიარე გახდა მსოფლიოს გლობალურ პროცესებთან მიმართებაში. თუ ავიღებთ მთლიანი შიდა პროდუქტის დინამიკას ბოლო წლების მიხედვით, სურათი შემდეგნაირად იცვლება: 2017-2021 წლების შუალედში, კერძოდ 2017 წელს რეალური მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდამ 4.8% შეადგინა, 2018 წელსაც იგივე ტენდენცია გამოიკვეთა - 4.8%, ხოლო 2019 წელს 5% გახდა. 2020 წლისათვის მდგომარეობა რადიკალურად შეიცვალა, მისი ზრდა მინუს 6.8% იყო, რაც გამოიწვია მსოფლიოში მიმდინარე პანდემიურმა პროცესებმა. ნიშანდობლივია ის ფაქტი, რომ 2021 წელს უკვე ზრდა დადებითი ტენდენციით ხასიათდება და მიაღწია 10.5%-ს. საინტერესოა მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდა ერთ სულ მოსახლეზე, რომელიც ზრდადი ტენდენციით ხასიათდებოდა და მისმა მოცულობამ უკვე 2021 წელს 16 ათას ლარს გადააჭარბა, 2017 წელს 11 ათასი ლარის ნაცვლად.[1;გვ.18].

საინტერესოა მაჩვენებლით ხასიათდება ექსპორტ-იმპორტის სალდო, ანუ წმინდა ექსპორტი ამ პერიოდში. ეროვნული საქონლის ექსპორტი 19 მლრდ ლარიდან 26 მლრდ ლარამდე გაიზარდა, ანუ 36,8%-ით. იმპორტის მაჩვენებელი 23,4 მლრდ. ლარიდან 35,76 მლრდ ლარამდე გაიზარდა ანუ 52.5%-ით. აქედან გამომდინარე წმინდა ექსპორტი 2017 წელს იყო მინუს 4.4 მლრდ. ლარი და 2021 წელს 9.8 მლრდ. ლარი ანუ აქ დაფიქსირდა მკვეთრად უარყოფითი ტენდენცია. ეს მონაცემები მეტყველებს იმაზე, რომ საქართველოს ეკონომიკური აღმავლობა ბევრადაა დამოკიდებული ინტეგრაციაზე.

ციულ პროცესებზე და სხვა ქვეყნებზე დამოკიდებულება წლიდან წლამდე იზრდება [1;გვ.20].

საინტერესო მაჩვენებლებით მიმდინარეობს ინფლაციური პროცესები. თუ გადავხედავთ მის დინამიკას 2019-2021 წლებში, სურათი ცვალებადი ტენდენციით ხასიათდება. კერძოდ, 2019 წლის განმავლობაში ინფლაცია წინა წლის შესაბამის თვესთან შედარებით 2.2%-დან 7%-მდე გაიზარდა. 2020 წელს ინფლაციის ტემპი წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით შემცირდა 6.4%-დან 2.4%-მდე. ხოლო 2021 წლის იანვარ-სექტემბერში 2.8%-დან 12.3 %-მდე გაიზარდა [2;გვ.6]. ამ პერიოდში საქართველოში უცხოური ინვესტიციები 2019 წელს 1.2 მლრდ. აშშ \$ იყო, ხოლო 2021 წლის ბოლოსთვის უკვე 700 მლნ \$-მდე ჩამოვიდა ანუ შემცირდა 600 მილიონი \$-ით ანუ 46%-ით. [3;გვ.3]. ამ შემთხვევაში დადებითი ტენდენცია ის იყო, რომ მთლიანი შიდა პროდუქტი მოსახლეობის ერთ სულზე გაიზარდა.

ასეთი ნეგატიური ტენდენციები, რომელსაც ადგილი ჰქონდა საქართველოს ეკონომიკაში რეალურად, არ შეიძლება მივაწეროთ მარტო კოვიდ პანდემიას, რომელმაც გამოიწვია პირდაპირი თუ ირიბი კუთხით კრიზისი საქართველოს სინამდვილეში. მიუხედავად იმისა, სისტემური იქნება თუ ეკონომიკური, კრიზისული სიტუაციები დიდ გავლენას ახდენს პრაქტიკულად ცხოვრების ყველა მხარეზე, მაგრამ მას გარკვეული დადებითი გავლენის მოხდენაც შეუძლია. ეს გამოიხატება იმაში, რომ რეალურად შეფასდეს ჩვენი მოქმედებები (მხედველობაში მაქვს მეცნიერები და მთავრობები), რაც აიძულებს ყველას იმუშაონ სწორი მიმართულებით. სწორედ ასეთი გზებით ფორმირდება ეკონომიკური ურთიერთობების ახალი ტიპები, რომელიც მყარდება სამეურნეო სუბიექტებს შორის, რის შედეგადაც ჩნდებიან ახალი ინსტრუმენტები, რომელთა დახმარებითაც წყდება სხვადასხვა ეკონომიკური ამოცანები, მათ შორის ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფის პრობლემებიც.

ეკონომიკური უსაფრთხოების გაგება დღევანდელ პირობებში არ შემოიფარგლება მარტო ეკონომიკური კატეგორიებითა და პროცესებით. უსაფრთხოების საფუძველი უკვე დიდი ხანია გასცდა საკუთარ ძალებს. მას არ შეუძლია მარტო დეაყრდნოს საკუთარი ეკონომიკური რესურსების მოთხოვნებს. ეკონომიკური უსა-

ფრთხობის თანამედროვე გაგება ტრანსფორმირდება იმაშიც, რომ სახელმწიფომ შესძლოს თავისი ქვეყნის ურთიერთობა ააშენოს როგორც გლობალური ეკონომიკის ქვესისტემა მთლიან სისტემაში ისე, რომ უზრუნველყოს სამეურნეო სუბიექტების მოთხოვნილების მაქსიმალურად სრული დაკმაყოფილება. ამისათვის აუცილებელია რაც შეიძლება მცირე რაოდენობით გამოიყენოს საკუთარი გამოუყენებელი რესურსები. შეძლებისდაგვარად საკუთარი ამოცანები პარტნიორებზე გადაიტანოს ან უკეთეს შემთხვევაში ეს ამოცანები გადაწყვიტოს პარტნიორებთან ერთად. სწორედ ასეთ პარტნიორობას აქვს დღეს განსაკუთრებული მნიშვნელობა. თუმცა ასეთი პროცესი დღეისათვის სიღრმისეულად არაა განვითარებული. აქ ადგილი აქვს ახლებურ მიდგომას პრობლემის გადაწყვეტის საქმეში.

თუ გადავხედავთ დღევანდელ ტენდენციებს მსოფლიოში, დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ მწვავედება ეკონომიკური ბრძოლა და მისი ტრანსფორმაცია სხვადასხვა დონეზე. უნდა ითქვას, რომ რთული იერარქიული ურთიერთკავშირი მოითხოვს სახელმწიფოს როგორც ინსტიტუტის როლის გაძლიერებას, რომელიც მოწოდებულია ყველა სამეურნეო სუბიექტების მოთხოვნილების მაქსიმალურად დაკმაყოფილებას შეუწყოს ხელი. ამის გაკეთება კი შესაძლებელია ქვეყნის ეკონომიკური უსაფრთხოების მაქსიმალური დონის უზრუნველყოფით. სწორედ გლობალიზაციის პირობებში რჩება სახელმწიფოს მთავარ ამოცანად, ვინაიდან ეს შექმნის იმ ბალავარს, რის საფუძველზეც შეიძლება გადაწყდეს საშინაო და საგარეო ამოცანები. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მიუხედავად იმისა, რამდენად მნიშვნელოვანია ისეთი სახის უსაფრთხოებები, როგორცაა პოლიტიკური, ეკოლოგიური, სამეცნიერო-ტექნიკური, სამხედრო და სხვა, ეკონომიკური უსაფრთხოების მნიშვნელობის ხარისხი გლობალიზაციის პირობებში უფრო მეტად იზრდება.

მუხედავად იმისა, ეკონომიკური უსაფრთხოების პრობლემა არაა ახალი, მისი არსი და შინაარსი ბოლომდე არ არის განსაზღვრული. ეს დაკავშირებულია გლობალურ ეკონომიკაში გამოწვეულ ცვლილებებთან. საინტერესოა ის ფაქტი, რომ თუ წარსულში სახელმწიფოებრივ დონეზე ღებულობდნენ ძირითად ეკონომიკურ და არაეკონომიკურ გადაწყვეტილებებს, ხდებოდა ეკონომიკური



პოლიტიკის ფორმირება, განისაზღვრებოდა მოქმედი მიმართულებები და ინსტრუმენტები, რომლებიც უზრუნველყოფდნენ ბალანსს ეკონომიკურ და სხვა ფაქტორებს შორის, დღეს ეს ბალანსი აქტიურად მოშალა გლობალიზაციამ. ეს ყველაფერი იცვლება ეროვნული რეგულირების სასარგებლოდ, როდესაც სახელმწიფოები თავიანთი უფლებამოსილების დელეგირებას ახდენენ საერთაშორისო ორგანიზაციებთან, როგორებიცაა მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია, მსოფლიო სავალუტო ფონდი, ოპეკი და სხვა. გლობალური ეკონომიკის ახალი სტრუქტურა უკვე არ არის მარტო სახელმწიფოთაშორისი მოლაპარაკებების შედეგი, არამედ თვით სახელმწიფოთაშორისი ურთიერთობები ადგილს უთმობენ გლობალური ეკონომიკური სისტემის ახალ სუბიექტებს, რომლებიც მუშაობენ მრავალმხრივი პრინციპების საფუძველზე, რამაც არ შეიძლება არ მოახდინოს გავლენა ეკონომიკურ უსაფრთხოებაზე.

დღევანდელ პირობებში ისეთი მთავარი სამეურნეო სუბიექტები არსებობენ, რომლებიც სხვადასხვაგვარად მოქმედებენ გლობალურ ეკონომიკურ პროცესებზე, მათ შორის უსაფრთხოებაზეც. ესენი კლასიფიცირდებიან გლობალურ, ტრანსნაციონალურ და რეგიონულ სუბიექტებად. პირველები ამუშავებენ წესებსა და პროცედურებს, რომლებიც უზრუნველყოფენ ძირითადი სუბიექტების ურთიერთხემოქმედებას საერთაშორისო ეკონომიკურ ურთიერთობებზე. მათ გააჩნიათ ზუსტი მიმართულება შექმნილი მუშაობის საერთოდ მიღებული პრინციპებიდან გამომდინარე. ისინი უზრუნველყოფენ სხვადასხვა დონის სამეურნეო სუბიექტების უსაფრთხოების მაღალ დონეს.

აქედან გამომდინარე, უსაფრთხოების უზრუნველყოფა სხვადასხვა მიმართულებით ხორციელდება. ეს შეიძლება იყოს მაკროეკონომიკის პოლიტიკის ინსტრუმენტებთან შესაბამისობა, მაკროეკონომიკურ მაჩვენებლებზე კონტროლი, რომლებიც ასახავენ ქვეყნის ეკონომიკური უსაფრთხოების დონეს. ამიტომ უნდა შემუშავდეს სტრატეგია და კონკრეტული მოქმედებები ქვეყნებისა და გლობალური სამეურნეო სუბიექტების მიმართ, რომლებსაც შეუძლიათ შესამჩნევი ზეგავლენა მოახდინონ სახელმწიფოს ან სახელმწიფოთა გაერთიანებების ეკონომიკურ უსაფრთხოებაზე. ასევე საჭიროა ინვესტირების ინტერესებისა და გარანტიების უზრუნველყოფა ეკონომიკის რეალურ სექტორში. გარემოს დაცვისა და

ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტის წარმოება, ურთიერთსასარგებლო ახალი წარმოების ფორმების ძიება და სხვა. [4].

აქ შეიძლება დავაკონკრეტოთ სახელმწიფოს თავისებურებებიდან გამომდინარე ეკონომიკური უსაფრთხოების დონის ამაღლების ცალკეული მიმართულებები. გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ გლობალიზაციის განვითარების შემდგომ ეტაპზე ეს ჩამონათვალი უფრო გაფართოვდება და გაღრმავდება. ეს მოწმობს იმაზე, რომ სახელმწიფოების ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფა უფრო გართულდება და შესაძლებელია სახელმწიფომ დაკარგოს კონტროლი ზოგიერთ მთავარ ეკონომიკურ პროცესებზე.[4].

გლობალიზაციის პერიოდში სახელმწიფოს როლი ეკონომიკური უსაფრთხოების სისტემაში უფრო რთულდება. ეს თავისთავად ცვლის ეკონომიკური უსაფრთხოების არსსა და მნიშვნელობას. ამიტომ დღევანდელი გაგებით ეკონომიკური უსაფრთხოების ქვეშ იგულისხმება ეროვნული ეკონომიკების შესაძლებლობების ერთობლიობა, მათი რეალიზაციის პირობები, სახელმწიფო ხელისუფლების ინსტიტუტები და მმართველობის ინსტრუმენტები, რადროსაც უზრუნველყოფილი იქნება ეროვნული ინტერესების დაცვა მსოფლიო და სამამულო ეკონომიკურ სივრცეში და ეკონომიკური პოტენციალის განვითარებაში, და ამავე დროს იქმნება პირობები ინოვაციურ და სოციალურად ორიენტირებულ ეკონომიკაზე გადასასვლელად.

გლობალიზაციის მთავარ დამახასიათებელ თვისებასა და მის აუცილებელ პირობას წარმოადგენს ასევე, ეროვნული და მსოფლიო ეკონომიკის გახსნადობის ხარისხის ამაღლება. თუმცა ამან შეიძლება წარმოშვას ორი ურთიერთსაწინააღმდეგო პროცესი. პირველი მდგომარეობს იმაში, რომ მსოფლიოს უდიდეს ნაწილში სახელმწიფო საზღვრები უკვე არ წარმოადგენს მთავარ ბარიერს წარმოების, საქონლისა და ფულის ნაკადების მოძრაობაში. ესენი ურთიერთთანამშრომლობაში გადაიზარდა უკვე. ეს იძლევა შესაძლებლობებს შემცირდეს წარმოების დანახარჯები, მოხდეს წარმოების სტრუქტურის და გამოშვებული პროდუქციის ასორტიმენტის ოპტიმიზაცია, გამარტივდეს კაპიტალის მოზიდვა, ყოველივე ამის შედეგად კი დაჩქარდეს ეკონომიკური ზრდა. მეორე პროცესი მდგომარეობს იმაში, რომ საზღვრების გახსნის შედეგად გაიზრ-

დება გარკვეული ჯგუფის საქონელსა და მომსახურებაზე მოთხოვნა, რომელთა წარმოება უფრო ეფექტურია ამა თუ იმ ქვეყანაში. ყოველივე ეს მიდის იქამდე, რომ ცალკეული დარგების განვითარების უთანაბრობამდე და მსოფლიო ბაზრის კონიუქტურაზე დამოკიდებულების ხარისხი იზრდება, ეს კი აძლიერებს საგარეო ეკონომიკური საფრთხეების როლს. საბოლოო ჯამში სახელმწიფოთა გლობალური სისტემის უსაფრთხოების ტრანსფორმაცია გამოიწვევს „რბილი უსაფრთხოების“ პრობლემის როლის გაზრდას, რომლის ბაზირებაც ხდება ისეთ სოციალურ-ეკონომიკურ ქვესისტემებზე, როგორცაა ფინანსური, ეკოლოგიური, სიღარიბესთან ბრძოლის და სხვა.

„მკაცრი უსაფრთხოების“ საკითხები თანდათანობით გადაინაცვლებს შეჯიბრების სფეროდან ახალი ტექნოლოგიების მხარეს. ამ კუთხით განსაკუთრებულ როლს თამაშობენ ტრანსნაციონალური კორპორაციები, რომლებიც მიისწრაფიან სხვადასხვა სახელმწიფოების ეკონომიკა და ეკონომიკური პოლიტიკა და მათი პერსპექტიული სემენტები დაუქვემდებარონ მსოფლიო ეკონომიკური სივრცის უნივერსალიზაციის ინტერესებს. საქართველო ამ მხრივ არაა გამონაკლისი. ამ შემთხვევაში იკვეთება სრულიად სხვა ფორმა ეკონომიკური უსაფრთხოების. სახელმწიფოს ვალია ამ შემთხვევაში მინიმუმამდე დაიყვანოს წარმოშობილი უსაფრთხოების რისკები. ამ შემთხვევაში მცირე ეკონომიკისა და მწირი რესურსების ქვეყნები განსაკუთრებული ზეგავლენის ქვეშ შეიძლება მოექცნენ და მათ შორის, საქართველოც. ამ კუთხით ბოლომდე პრობლემის აღმოფხვრა, ჩვენი აზრით, შეუძლებელია, მაგრამ საჭიროა უფრო მეტი ძალისხმევა და სწორი მიდგომა.

ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფის პრაქტიკა დღითიდღე რთულდება. ეს აიხსნება იმიტაც, რომ გლობალიზაციამ და მეცნიერულ-ტექნოლოგიურმა რევოლუციამ განვითარების ახალი ეტაპი წარმოშვა - ინფორმაციული ეკონომიკა. მასში მყარდება სულ სხვა მაკროპროპორციები მის შემადგენელ ქვესისტემებს შორის, რის შედეგადაც ჩნდება ახალი საფრთხეები, რომლებიც ზემოქმედებას ახდენენ ეკონომიკური უსაფრთხოების ხასიათსა და დონეზე. ყოველივე ეს მოითხოვს უკვე სულ სხვა პრობლემების გადაწყვეტას, კერძოდ, მოქმედი ორგანოების ტრანსფორმაციასა და ახლის შექმნას, რომელიც დაარეგულირებს

სამეურნეო სისტემას; ეროვნული ბანკის როლისა და ფუნქციის ტრანსფორმაციას ფულად-საკრედიტო სისტემის რეგულირების მიზნით; ასევე ფულადი მხარის რეგულირებას ელექტრონული ფულის აქტიური დანერგვითა და გავრცელებით (ამისკენ სვლა დიდი ხანია საქართველოს დაწყებული აქვს!); ახალი ინტეგრალური მულტიპლიკაციური ეფექტების წარმოქმნას; ელექტრონული ვაჭრობის საგადასახადო და საბირჟო რეგულირებას; კონკრეტული ბრძოლის ახალი პრინციპებისა და ინსტრუმენტების გამოჩენას და სხვა [5;გვ.211-215].

ზემოთ ჩამოთვლილი პრობლემების ანალიზის შედეგები მეტყველებს იმაზე, რომ ახალი საფრთხეების პრევენცია დაკავშირებულია იმის შესაძლებლობებთან თუ როგორ სწრაფად მივიღებთ, გადავამოწმებთ, გადავცემთ, გამოვიყენებთ ინფორმაციებს, რომ ზუსტად და ადეკვატურად შევაფასოთ მოვლენები და მოვახდინოთ მოსალოდნელი საფრთხეების დროული პრევენცია. ეს კი გამოიწვევს ეკონომიკური უსაფრთხოების მინიმუზაციას სამეურნეო სუბიექტებისა და სახელმწიფოსათვის. შესაბამისად, თუ ადრე სამეურნეო საქმიანობის წარმატებები დამოკიდებული იყო ძირითადად წარმოების კლასიკური ფაქტორების კომბინაციის ხარისხზე, დღეს ის განისაზღვრება კაპიტალის რთული კომბინაციის, ინფორმაციული და ინტელექტუალური რესურსების გამოყენებით სწრაფი და ხარისხიანი ეკონომიკური ზრდისა და ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფისათვის როგორც წარმატების, სტაბილურობისა და განვითარების გარანტი.

მიუხედავად ზემოთ ჩამოთვლილი ცვლილებებისა, ქვეყნის ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფის საფუძველი უნდა შექმნას ეროვნული მეურნეობის რეალურმა სექტორმა. აქედან გამომდინარე, საჭიროა უამრავი ფაქტორების ანალიზის გაკეთება იმისთვის, რომ განვსაზღვროთ ეკონომიკური უსაფრთხოების დონის შემდგომი ამაღლება. ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭიროა სტრატეგიული და ტაქტიკური ამოცანების დასახვა და შესრულება. აქედან გამომდინარე, ცხადია ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფა რთული პროცესიაა, რომელიც უამრავი ურთიერთდაკავშირებული ქვესისტემებისგან შესდგება (საწარმოო, ტექნოლოგიური, მიგრაციული და სხვა), რისი მიღწევაც შესაძლებელია ამ შემადგენლების უზრუნველ-

ყოფით. ამის შესრულება შესაძლებელია მხოლოდ სტრატეგიული ამოცანების შესრულებით, რისთვისაც საჭიროა მისი დროული და სწორად დასახვა.

ეკონომიკის რეალური სექტორის განვითარებაში ადმინისტრაციული მეთოდების გაძლიერებასთან დაკავშირებით, როგორც ქვეყნის ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფაში მთავარი ინსტრუმენტისა, აუცილებელია განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს სამეურნეო სუბიექტების მხარდაჭერის მეთოდებს. ამისათვის აუცილებელია ბევრი ფაქტორების გათვალისწინება, რომლებიც შეიძლება იყოს პრიორიტეტულ მიმართულებებზე ერთობლივი დაფინანსების ინსტრუმენტების გამოყენება, მათ შორის ისეთი პროექტის დანერგვა, როგორცაა სახელმწიფო პლიუს მეწარმე. ამ შემთხვევაში სახელმწიფომ უნდა იზრუნოს რეგიონებზე ფუნდამენტური და გამოყენებითი მეცნიერების განვითარებისათვის. გარდა ამისა, აუცილებელია მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესისა და ტექნოლოგიური განვითარების ხანგრძლივი პროგნოზის შემუშავება. ამასთან საჭიროა განათლების ინტეგრაციის უზრუნველყოფა ფუნდამენტურ და გამოყენებით მეცნიერებებთან კოორდინაციაში.

სახელმწიფომ ასევე უნდა იზრუნოს რეგიონების ინოვაციურ უზრუნველყოფაზე განსაკუთრებული ეკონომიკური ზონებისა და ტექნოპარკების ბაზაზე. საქართველო, როგორც ინტელექტუალური კაპიტალის მქონე ქვეყანა, ვალდებულია დაიცვას თავისი ინტელექტუალური საკუთრება და აამაღლოს მისი პრაქტიკის დონე მსოფლიო დონესთან შესაბამისობაში. ამ შემთხვევაში ერთდროულად უნდა განვითარდეს გლობალური კოოპერაციები ინოვაციის სფეროში. მეტად მნიშვნელოვანია ექსპორტის განვითარების სტიმულირება, განსაკუთრებით ჩვენი სახელმწიფოსთვის, სადაც წმინდა ექსპორტი უარყოფითი ბალანსით ხასიათდება, უნდა მოხდეს საბოლოო მაღალტექნოლოგიური პროდუქციის წარმოების განვითარება. ამ შემთხვევაში გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება სახელმწიფოს მიერ გარანტორის როლის გაძლიერებას საექსპორტო მიწოდებებზე.

ამ მიმართულებების რეალიზაცია გამოიწვევს ეკონომიკის რეალური სექტორის განვითარების დონის ამაღლებას ქვეყნის ეკონომიკური უსაფრთხოების კუთხით გლობალურ ეკონომიკაში,

და, რაც მთავარია, ასეთი პროცესის კატალიზატორი უნდა გახდეს ეკონომიკის მოდერნიზაცია. აქ ერთი მნიშვნელოვანი დილემის წინაშე შეიძლება დადგეს საქართველოს ეკონომიკური განვითარების პროცესი, თუ რამდენად შეუძლია მას ეკონომიკური უსაფრთხოების მექანიზმის უზრუნველყოფა.

დღევანდელი საქართველოს ეკონომიკა უცილობლად საჭიროებს მოდერნიზაციის პროცესის დაჩქარებას. თუ გადავხედავთ სხვა ქვეყნების გამოცდილებას, მათი პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ მოდერნიზაციაზე გადასვლა ყოველთვის არ მიდიოდა დიდი ენთუზიაზმით და ის მტკივნეული პროცესია. ეს განპირობებულია იმით, რომ მოდერნიზაცია იძულებითი ინსტრუმენტია სახელმწიფოს ეკონომიკის დასაცავად მსოფლიო ბაზრის ზემოქმედებისაგან.

აქ ისიცაა გასათვალისწინებელი, რომ მოკლე პერიოდში ეკონომიკის მოდერნიზაცია მოითხოვს ყველა ისეთი რესურსების მობილიზაციას, როგორცაა ეკონომიკური, პოლიტიკური და სხვა. ამასთან ერთად გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ მოდერნიზაცია უნდა იყოს მასშტაბური, რის შედეგადაც მისი სფერო უნდა გაფართოვდეს დარგის, რეგიონისა და ეროვნული მეურნეობის დონეზე და განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს მის ინკლუზიურ მხარესაც. მოდერნიზაციამ უნდა მოახდინოს ჩამორჩენილობის ლიკვიდაცია იმ კონკურენტებისგან, რომლებსაც გააჩნიათ ინოვაციური ტექნოლოგიები. შესამჩნევი წარმატებების მიღწევის შემდეგ შეიძლება გადასვლა აბლოსულუტურად ახალი ტექნოლოგიებისა და პროდუქტების დანერგვაზე.

აქედან გამომდინარე შეიძლება დავასკვნათ, რომ მოდერნიზაცია არაა ერთჯერადი კამპანია საბიუჯეტო სახსრების ათვისების კუთხით, არამედ ისაა უმთავრესი შორსმიმავალი ამოცანა, რომლის გადაწყვეტაც ხელს შეუწყობს ეკონომიკური განვითარების მაღალ დონეს და საქართველოს სახელმწიფოს უსაფრთხოებას გლობალურ ეკონომიკაში უფრო ხანგრძლივი პერსპექტივით. მაგრამ აქ ისიც უნდა ითქვას, რომ მოდერნიზაციის განხორციელება სახელმწიფოს აქტიური ჩარევისა და დაფინანსების გარეშე შეუძლებელია. ესაა ერთადერთი გზა მოდერნიზაციის რაციონალური გზების დასანერგავად, სანამდე არ მოხდება ინოვაციების კომერციული კუთხით გაძლიერება და ინვესტიციების მოზიდვა.

როგორც ირკვევა, სახელმწიფომ მაკონტროლებლიდან პარტნიორის როლში უნდა გადაინაცვლოს. უკვე გამოიკვეთა, რომ მისი ფუნქცია სწორედ გლობალიზაციამ აქცია პარტნიორად როგორც ბიზნესში, ასევე ადამიანებისთვისაც. გარდაქმნის გარეშე შეუძლებელი ხდება მოდერნიზაცია და ეკონომიკური უსაფრთხოების მიღწევა.

სახელმწიფომ ამ შემთხვევაში უნდა შეასრულოს თავისი ფუნქცია, რაც გულისხმობს სწორი პროგნოზის გაკეთებას, რისი რეალიზაციაც უნდა მოხდეს ეკონომიკური უსაფრთხოების სფეროშიც, რა უნდა გააკეთოს ამ დარგში. ეს სხვადასხვა მიმართულებით უნდა მოხდეს: სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკის კონცეფციის შემუშავებიდან დაწყებული და სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროგნოზით დამთავრებული, რაც მოითხოვს ფინანსური სისტემის სრულყოფასა და სახელმწიფო ბიუჯეტზე სწორი ორიენტაციის გაკეთებას. ყოველივე ამან უნდა დაარეგულიროს ეკონომიკური საკითხები. ამ დროს არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ თუ ბიზნესის მიზანია ფულის შემუშავება, სახელმწიფომ საბიუჯეტო სახსრები საზოგადოებრივი ინტერესებისთვის უნდა დახარჯოს. მაგრამ ეს ხარჯები არ უნდა იყოს თვითმიზანი. მთავარია ისეთი სისტემის შექნა პროგნოზირების კუთხით, რომელიც საზოგადოების მოთხოვნილებას მაქსიმალურად დააკმაყოფილებს, მათ შორის ეკონომიკური უსაფრთხოების სასურველი დონის მისაღწევად.

### **დასკვნები**

სახელმწიფოს ეკონომიკური უსაფრთხოება გლობალიზაციის პირობებში შესაძლებელია შემდეგი მთავარი მიმართულებით ჩამოყალიბდეს:

1. უნდა გამოიკვეთოს ეკონომიკური უსაფრთხოების გაძლიერების როლი, როგორც პროცესისა, რომელიც განსაზღვრავს სახელმწიფოს კონომიკურ და არაეკონომიკურ პოზიციას მსოფლიო თანამეგობრობაში.
2. ეკონომიკური უსაფრთხოების ეფექტიანი მიღწევა შესაძლებელია მხოლოდ რამდენიმე სახელმწიფოს ძალთა გაერთიანებით, მათი ფუნქციების განაწილებით რაც თავისთავად შეამცირებს დანახარჯების პროცენტსაც.

3. უნდა გაძლიერდეს პროგნოზირების როლი სახელმწიფოსა და მსხვილი ბიზნესის ინტერესების ბალანსის მისაღწევად, რომელიც გამოიწვევს ყველა სახის დანახარჯების ოპტიმიზაციას ეკონომიკური უსაფრთხოების მიღწევის პროცესში.

### გამოყენებული ლიტერატურა

1. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური: საქართველოს ეროვნული ანგარიშები 2021.
2. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური: ინფლაცია საქართველოში. სექტემბერი, 2021. თბილისი, 2021.
3. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური: პირდაპირი უცხოური ინვესტიციები საქართველოში. 2021.
4. Кирилин А. [www.trud.ru/artike ll/24-05/88066\\_gadanie\\_na\\_vto.html](http://www.trud.ru/artike/ll/24-05/88066_gadanie_na_vto.html).
5. Иноземцев В.Л. Современное постиндустриальное общество: природа, противоречия, перспективы. М., 2004.
6. Харламов А.В., Чирук И.С. Изменение концепции экономической политики государства в условиях глобализации. Известия СПбУЭФ, 2005, №2.

*Murman varatskhelia*

## GLOBALIZATION AND PROBLEMS OF ECONOMIC SECURITY IN GEORGIA Summary

The process of world globalization has an irreversible nature, which is closely related to the economic security of countries. At the same time, it is also the result of the profound transformation of the world, which began in the middle of the twentieth century, after the end of the Second World War. From this period, the world society begins to fundamentally reassess its values, its own, previously existing ideology is radically changed, and various institutions are formed. The demand for such transformations has pushed forward the fundamentals that are responsible for the security of people in countries. One of the reasons for this is economic security.



Economic security is a phenomenon that characterizes the state of the economy, during which the main economic indicators fully meet the requirements of the participants in public life.

*რამაზ აბესაძე,  
ნანა ბიბილაშვილი,  
ქრისტინე კურატაშვილი*

### **საქართველოს სოციალური და ეკოლოგიური უსაფრთხოების სტრატეგიის შემუშავების თეორიულ-მეთოდოლოგიური საკითხები**

*ანოტაცია. ეროვნული უსაფრთხოების ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია სოციალური და ეკოლოგიური უსაფრთხოება, რომლის საფუძველს წარმოადგენს ეკონომიკური უსაფრთხოება. სოციალური და ეკოლოგიური უსაფრთხოების სტრატეგიამ უნდა უზრუნველყოს ქვეყნის დაცვა სოციალური და ეკოლოგიური საფრთხეებისაგან, ნაშრომში გადმოცემულია აღნიშნული სტრატეგიის შემუშავების თეორიულ-მეთოდოლოგიური საკითხები.*

***საკვანძო სიტყვები:** სოციალური უსაფრთხოება; ეკოლოგიური უსაფრთხოება სოციალური უსაფრთხოების მაჩვენებლები და მათი ზღვრული მნიშვნელობები; ეკოლოგიური უსაფრთხოების მაჩვენებლები და მათი ზღვრული მნიშვნელობები.*

სოციალური უსაფრთხოება გულისხმობს საზოგადოების მდგრად განვითარებას, მოსახლეობის ცხოვრების დონისა და ხარისხის ამაღლებას. საბაზრო ეკონომიკის პირობებში ამას უზრუნველყოფს როგორც ბიზნესი, ისე სახელმწიფო სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის ფორმირებისა და სახელმწიფოს მიერ აქტიური და ეფექტიანი სოციალური პოლიტიკის გატარების შედეგად.

საქართველოში მთავარ სოციალურ გამოწვევად რჩება სიღარიბისა და უმუშევრობის საკმაოდ მაღალი დონე, რის გამოც ვერ ჩამოყალიბდა ძლიერი საშუალო ფენა, რაც ნეგატიურად აისახება ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაზე. ასევე დღის წესრიგში დგას

დახმარებებისა და ასაკობრივი პენსიების საარსებო მინიმუმთან გათანაბრების, უმუშევართათვის შემწეობის შემოღების საკითხი და სხვ. თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ 2012 წლიდან მნიშვნელოვნად გაიზარდა ჯანდაცვის ხარჯები. საყოველთაო ჯანდაცვის სისტემის შემოღებამ მნიშვნელოვნად გაზარდა ჯანდაცვაზე ხელმისაწვდომობა, ყოველწლიურად იზრდება სხვადასხვა სახის დახმარებები და სხვ.

ცალკე უნდა გამოიყოს პანდემიის პირობებში სახელმწიფოს მიერ გაწეული სოციალური დახმარებები სხვადასხვა სოციალური ჯგუფებისათვის.

ეკოლოგიური უსაფრთხოება გულისხმობს როგორც გლობალური, ისე ლოკალური ეკოლოგიური საფრთხეების თავიდან აცილებას ეკონომიკური საქმიანობის დროს, ასევე ბუნების სტიქიური მოვლენების მიერ გამოწვეული ზიანის აღმოფხვრას. ეკოლოგიური უსაფრთხოების გამოკვლევის დროს განიხილება გლობალური და ცალკეული ქვეყნის (საქართველოს) ეკოლოგიური უსაფრთხოება. გლობალური ეკოლოგიური უსაფრთხოება გულისხმობს გლობალური ეკოლოგიური საფრთხეების თავიდან აცილებას, რასაც მსოფლიოს ყველა ქვეყნის ძალისხმევა სჭირდება. ქვეყნის ეკოლოგიური უსაფრთხოების დროს მოითხოვება როგორც საკუთარი ეკოლოგიური საფრთხეების თავიდან აცილება, ისე აქტიური მონაწილეობა გლობალური ეკოლოგიური საფრთხეების თავიდან აცილებაში.

დედამიწის მოსახლეობისა და ეკონომიკური საქმიანობის ზრდასთან ერთად იზრდებოდა სხვადასხვა სახეობის მავნე გავლენა გარემოზე: ოზონის ფენის დარღვევა; რადიაციული დაბინძურება; CO<sub>2</sub>-ის ატმოსფეროში გამოფრქვევის მოცულობის ზრდა; ნიადაგის დაბინძურება პესტიციდებით; მსოფლიო ოკიანის დაბინძურება და სხვ. შედეგად ქრება ცხოველთა და მცენარეთა ათასობით სახეობა; გამუდმებით მცირდება ტყის საფარი; ტოტალურად ბინძურდება ატმოსფერო; გვაქვს სუფთა ჰაერის დეფიციტი; ოზონურ შრეში (რომელიც იცავს ადამიანებს სასიკვდილო კოსმოსური გამოსხივებისაგან) ჩნდება ხვრელები; მსოფლიო ოკეანის მიერ ირღვევა ბუნებრივი პროცესების რეგულირება, სითბური ეფექტი და სხვ. რეგიონული და გლობალური დათბობა იწვევს

ყინულის მასების დნობას, ოკეანეების ფართობების ზრდას, რის შედეგადაც ზღვის დონე თანდათან მატულობს. გრუნტის წყლების ხარისხი უარესდება, რაც წყლის გაუმართლებლად დიდი რაოდენობით ამოქაჩვით, სასუქებისა და პესტიციდების ჩადინებითა და სამრეწველო ნარჩენების გაჟონვით აიხსნება. ცნობილია, რომ ჩვენი პლანეტის მოსახლეობის დაახლოებით მეხუთედი მომწამვლელი აირებით და გაჭუჭყიანებული ჰაერით სუნთქავს. ძირითადად ეს არის მხუთავი აირები: ნახშირორჟანგი, გოგირდის ორჟანგი და სხვ. შედეგად, მოიმატა გულისა და ფილტვების დაავადებებმა, განსაკუთრებით ბავშვებსა და მოზარდებში. კაცობრიობის განვითარების პერიოდში არაერთი ეკოლოგიური კატასტროფა დაფიქსირდა, რომლებთანაც მილიონობით ადამიანის მსხვერპლი და უდიდესი ნგრევაა დაკავშირებული. ეკოლოგიური კატასტროფების დიდი ნაწილი ბუნებრივი წარმოშობისაა და ადამიანი, მიუხედავად თანამედროვე ტექნიკისა, მათ შეჩერებას ვერ ახერხებს. ტექნოგენური კატასტროფები სახეს უცვლის გარემოს და ზიანს აყენებს ადამიანის ჯანმრთელობას. არცთუ იშვიათად, მათი ზემოქმედებით ბუნებრივ გარემოში კრიტიკული სიტუაცია იქმნება და შეუქცევადი პროცესები ვითარდება. ტექნოგენური კატასტროფების რიცხვი და გამოვლინების მასშტაბები განსაკუთრებით XX ს-ის 50-იანი წლებიდან გაიზარდა. მყავური წვიმების შედეგად ნადგურდება მცენარეული საფარი და ცხოველური სამყარო; სულ უფრო მეტად იზრდება ტექნოსფეროს ზეწოლა ბიოსფეროზე, რის გამოც სულ უფრო მეტად მცირდება ბუნებრივი ლანდშაფტები, სახეშემცვლილი და მთლიანად გარდაქმნილი ლანდშაფტების საზღვრები კი ფართოვდება. ამ პროცესმა თითქმის მთელი დედამიწა მოიცვა და არნახული ტემპით ვითარდება. მოსახლეობის დინამიკა მჭიდროდ არის დაკავშირებული მთელ რიგ გლობალურ პრობლემებთან, უპირველეს ყოვლისა კი, სიღარიბის, სასურსათო და ეკოლოგიურ პრობლემებთან. თანამედროვე მსოფლიოს მნიშვნელოვანი ნაწილი განიცდის ჯანსაღი ცხოვრებისათვის აუცილებელი ძირითადი პირობების უკმარისობას.

თანამედროვე ეტაპზე ეკოლოგიური მოთხოვნების გათვალისწინება, „მწვანე“ და „წრიული“ ეკონომიკის პრინციპების დაწერვა, ძირეულად ცვლის ეკონომიკურ სისტემას, იწვევს რა უმნიშვნელოვანეს ცვლილებებს მის ყველა ელემენტში. ეკონომიკა

ორგანული სათბობის გამოყენებიდან გადადის განახლებადი, ეკოლოგიურად სუფთა რესურსების გამოყენებაზე. წინააღმდეგ შემთხვევაში კაცობრიობას საფრთხე ემუქრება.

აღსანიშნავია, რომ ბუნებრივი გლობალური ეკოლოგიური პრობლემები მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონში განსხვავებული სიმწვავეითაა გამოხატული.

საქართველოში არსებობს არაერთი მწვავე ეკოლოგიური პრობლემა: მდინარეები დაბინძურებულია აზოტის ნაერთებით, ზოგიერთი – მძიმე ლითონებით, ნავთობპროდუქტებით, კომუნალური სექტორის ნარჩენებით; არ ხდება ჩამდინარე წყლის სათანადო გაწმენდა, წყლის ბიოლოგიური გაწმენდა და ა.შ.; ნიადაგის დაბინძურების, ეროზიული პროცესების, ნიადაგის მეორეული დაჭაობებისა და დამლაშების, სასარგებლო წიაღისეულისა და საშენ მასალათა ღია წესით მოპოვების, ადამიანის არასწორი სამეურნეო მოქმედების შედეგად დიდია ნიადაგის დანაკარგები; უკონტროლოა უკანონოდ ხეტყის მოპოვება; ატმოსფერო ბინძურდება ავტოტრანსპორტითა და ენერგეტიკით (საერთო მავნე გაფრქვევებში პირველ ადგილზეა ნახშირჟანგი, შემდეგ ნახშირწყალბადები, მეთანი, მყარი ნაწილაკები, აზოტის ოქსიდები და ამიაკი); სერიოზული ნაკლოვანებებია ადამიანთა ჯანმრთელობის უზრუნველყოფის მიმართულებით (სურსათის უვნებლობის, ქიმიკატების უსაფრთხო გამოყენება. ავტომობილების გამონაბოლქვის მავნე ზემოქმედება, საბანაო-სარეკრეაციო წყლების არასაკმარისი სანიტარიულ-ჰიგიენური დაცულობა და სხვ.). ნაკლოვანებები არსებობს ბიომრავალფეროვნებათა შენარჩუნების სფეროში (ჰაბიტატების კარგვა, ფრაგმენტაცია და დეგრადირება, უკანონო ნადირობა და თევზჭერა, უცხო სახეობების ინტროდუქცია, ბიოლოგიური რესურსების არამდგრადი გამოყენება და სხვ. ფაქტობრივად, დაცული ტერიტორიები არა ბიომრავალფეროვნების დასაცავად, არამედ ტურიზმის განვითარების რესურსად გამოიყენება); თვალსაჩინოა აღდგენადი და არატრადიციული ენერგორესურსების ათვისების დაბალი დონე (საქართველო მდიდარია ჰიდროენერგორესურსებით, მზის, ქარისა და თერმული წყლების რესურსებით, მაგრამ ყველა ეს რესურსი დღეისათვის მცირედაა ათვისებული); არასრულყოფილია ნარჩენების მართვის სისტემა, იგი არ შეესაბამება საერთაშორისო მოთხოვნებს; სრულყოფას საჭი-

როებს შესაბამისი ინსტიტუციური ბაზა (მაგალითად, მისაღებია კანონი სამთო გადამუშავების ნარჩენების შესახებ, „მწვანე“ ეკონომიკის განვითარების სტრატეგია და სხვ.); გასაძლიერებელია გარემოსდაცვითი განათლების სისტემა და ა. შ. [ახესაძე რ. 2011.]

მეთოდოლოგიური თვალსაზრისით სოციალური და ეკოლოგიური სტრატეგიის შემუშავებისას გამოკვლეული უნდა იქნეს: საქართველოს სოციალურ და ეკოლოგიურ სფეროში არსებული მდგომარეობა; გამოვლინდეს სოციალური და ეკოლოგიური საფრთხეები; განისაზღვროს სოციალური და ეკოლოგიური უსაფრთხოების მაჩვენებლები და დადგინდეს მათი ზღვრული მნიშვნელობები; საბოლოოდ შემუშავდეს სოციალური და ეკოლოგიური სტრატეგიის ღონისძიებათა სისტემა.

საქართველოს სოციალურ სფეროში არსებული მდგომარეობიდან შეიძლება გამოიყოს შემდეგი საკითხები: სახელმწიფოს სოციალური პოლიტიკა; ცხოვრების დონე; სიღარიბე; უმუშევრობა; საშუალო ფენის ფორმირების არსებული მდგომარეობა; სამედიცინო მომსახურების ხარისხი და ხელმისაწვდომობა; პენსიებისა და დახმარებების სიდიდე; პანდემია და პანდემიის პრევენციისა და მართვის ეფექტიანობა; განათლებისა და ჯანდაცვის სისტემის ეფექტიანობა; ფასები და სხვ.

**სოციალური საფრთხეებიდან აღსანიშნავია:** სახელმწიფოს არასწორი ეკონომიკური და სოციალური პოლიტიკა; ბუნებრივი რესურსების სიმწირე; შემოსავლების სიმცირე; კვების ხარისხის შემცირება და ამის გამო სხვადასხვა სახის დაავადებათა წარმოშობა; სამედიცინო მომსახურებისა და ხელმისაწვდომობის დაბალი დონე; განათლების დაბალი ხარისხი და ხელმისაწვდომობის დაბალი დონე; სურსათზე ხელმისაწვდომობის დაბალი დონე; საცხოვრებელი პირობების გაუარესება; ეპიდემიისა და პანდემიის შედეგად წარმოშობილი პრობლემები; კრიმინოგენური სიტუაციის გაუარესება; ფასების ზრდა მსოფლიო ბაზარზე (ენერჯიაზე, სურსათზე, საყოფაცხოვრებო საგნებზე); ეროვნული ვალუტის დევალაცია და სხვ.

**სოციალური უსაფრთხოების მაჩვენებლებიდან შეიძლება გამოიყოს:** საშუალო რეალური ხელფასი; სიღარიბისა და უმუშევრობის დონე; სოციალური დახმარებების სიდიდე; ფასები ენერჯიაზე, სურსათზე, საყოფაცხოვრებო საგნებსა და წამლებზე; მოხუცე-

ბულობის პენსიის სიდიდე; საარსებო მინიმუმი; დემოგრაფიული მონაცემები; ჯინის კოეფიციენტი და სხვ.

სოციალური უსაფრთხოების მაჩვენებელთა ზღვრული სიდიდეები დადგინდება ანალოგიებისა და ექსპერტული შეფასებების საფუძველზე.

სოციალური უსაფრთხოების სტრატეგია შემუშავდება ზემოთ მითითებული სამუშაოების შედეგებისა და ამ შედეგთა შესაბამისად შემუშავებულ ღონისძიებათა სისტემის საფუძველზე.

სოციალური უსაფრთხოების ღონისძიებათა სისტემიდან შეიძლება გამოიყოს შემდეგი ღონისძიებები: სიღარიბისა და უმუშევრობის დონის შემცირება; ფასების სტაბილურობა; სავალუტო კურსის სტაბილურობა; შემოსავლების ზრდა; განათლების, მეცნიერებისა და ჯანდაცვის სისტემების სრულყოფა; საქონლისა (მათ შორის საწარმოო) და მომსახურების ახალ სახეობათა ათვისება და გამოყენება, რაც გაზრდის მოსახლეობის კეთილდღეობის დონეს, კომფორტს და ა. შ.

ეკოლოგიური უსაფრთხოების სტრატეგიის შემუშავების დროს შესწავლილი იქნება:

**გლობალური ეკოლოგიური უსაფრთხოება.** გლობალური ეკოლოგიური უსაფრთხოების დროს ყურადღება უნდა გამახვილდეს ისეთ გლობალურ ეკოლოგიურ საფრთხეებზე როგორცაა: სათბური ეფექტი, ოზონის შრეში ხვრელების გაჩენა, ტყის გაჩეხვა, წყლის დაბინძურება, ატმოსფეროს დაბინძურება, ნიადაგის დაბინძურება, ოკეანის ზედაპირის დაბინძურება, ბიომრავალფეროვნების გაჩანაგება, ნარჩენების უტილიზაცია, ეკოლოგიური კატასტროფები, კლიმატის ცვლილება და სხვ. ამავე დროს ყურადღება უნდა გამახვილდეს საერთაშორისო გარემოსდაცვით ფორუმებზე, კონვენციებზე, ხელშეკრულებებზე; ევროკავშირისა და მოწინავე ქვეყნების გამოცდილებაზე გარემოსდაცვით სფეროში; მდგრადი განვითარების კონცეფციაზე; „მწვანე“ და „წრიულ“ ეკონომიკაზე.

**ეროვნული ეკოლოგიური უსაფრთხოება.** ეროვნული ეკოლოგიური უსაფრთხოების შესწავლისას უნდა დადგინდეს ქვეყანაში არსებული ეკოლოგიური სიტუაცია, რომლის დროსაც განიხილება შემდეგი სავარაუდო პრობლემები: ატმოსფეროს, წყლისა და ნიადაგის დაბინძურება; ნარჩენების უტილიზაცია; რადიაციული და მავნე ნარჩენების განთავსება; ბუნებრივი რესურსების

ათვისება; ალტერნატიული ენერგეტიკა; „მწვანე“ და „წრიული“ ეკონომიკის განვითარების დონე; საქართველოს მონაწილეობა საერთაშორისო კონვენციებში, ხელშეკრულებებსა და გარემოსდაცვით ღონისძიებებში; გარემოსდაცვით სფეროში ევროკავშირისა და მოწინავე ქვეყნების გამოცდილების გათვალისწინება; ინსტიტუციური გარდაქმნები ევროკავშირის კანონმდებლობასთან შესაბამისობაში; გარემოს დაცვის ინსტიტუციური უზრუნველყოფა; გარემოსდაცვითი პროგრამები; დაბინძურების ძირითადი წყაროები; ეკოლოგიური თანამშრომლობა სამხრეთ კავკასიის ქვეყნებთან; რეგიონული ეკოლოგიური პრობლემები და სხვ.

**ქვეყნის ეკოლოგიური საფრთხეებიდან აღსანიშნავია:** ატმოსფეროში მავნე გამონატყორცნების ზრდა; ნიადაგის დეგრადაცია, ეროზია, მეორეული დაჭაობება და დამლაშება; ტყის საფარის შემცირება; რადიოაქტიური და მავნე ნარჩენების ზრდა; ჩამონადენი წყლის ბიოლოგიური გაწმენდის უქონლობა; მდინარეების დაბინძურება აზოტის ნაერთებით, მძიმე ლითონებით, ნარჩენებით; ნიადაგის დიდი დანაკარგები; ავტომობილების გამონაბოლქვი; ბიომრავალფეროვნებათა შემცირება; „მწვანე“ და „წრიული“ ეკონომიკის განვითარების დაბალი დონე და სხვ.

**ეკოლოგიური უსაფრთხოების მაჩვენებლებიდან შეიძლება გამოიყოს:** ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების მაჩვენებლები; წყლის (შავი ზღვის სანაპირო, ტბები, მდინარეები, გრუნტის წყლები) და ნიადაგის დაბინძურების მაჩვენებლები; დამაბინძურებლების ემისიები; დეგრადირებული მიწის რაოდენობა; გარემოს სანიტარიულ-ჰიგიენური მაჩვენებლები; ხეტყის უკანონო ჭრის მოცულობა; ნახშირორჟანგის შემცველობა ატმოსფეროში; გრუნტის წყლების ხარისხი; ცალკეულ სექტორთა (ენერგეტიკა, მრეწველობა, ტრანსპორტი, სოფლის მეურნეობა, ნარჩენები) გარემოზე ზემოქმედების მაჩვენებლები; ბიომრავალფეროვნების ცვლილების მაჩვენებლები; კლიმატის ცვლილების მაჩვენებლები; განახლებადი ენერგორესურსების გამოყენების დონე და სხვ.

ეკოლოგიური უსაფრთხოების მაჩვენებელთა ზღვრული სიდიდეები დადგინდება ანალოგიებისა და ექსპერტული შეფასებების საფუძველზე.

ეკოლოგიური უსაფრთხოების სტრატეგია შემუშავდება ზემოთ მითითებული სამუშაოების შედეგებისა და ამ შედეგთა შესაბამისად შემუშავებული ღონისძიებათა სისტემის საფუძველზე.

ეკოლოგიური უსაფრთხოების ღონისძიებათა სისტემიდან შეიძლება გამოიყოს შემდეგი ღონისძიებები: ეკოლოგიური უსაფრთხოების ინსტიტუციური ბაზის სრულყოფა; გარემოს დაცვის სფეროში საქართველოს კანონმდებლობის ევროკავშირის კანონმდებლობასთან დაახლოების გაგრძელება; მდინარეების აზოტის ნაერთებით, ზოგიერთი მძიმე ლითონებით, ნავთობპროდუქტებით, კომუნალური სექტორის ნარჩენებით დაბინძურების აღკვეთა; ჩამდინარე წყლის სათანადო გაწმენდა; წყლის ბიოლოგიური გაწმენდა; ნიადაგის დაბინძურების, ეროზიული პროცესების, ნიადაგის მეორეული დაჭაობებისა და დამლაშების, სასარგებლო წიაღისეულისა და საშენ მასალათა ღია წესით მოპოვების, ადამიანის არასწორი სამეურნეო მოქმედების შედეგად ნიადაგის დანაკარგების შემცირება; უკანონო და უკონტროლო ხეტყის მოპოვების აკრძალვა; ატმოსფეროს ავტოტრანსპორტითა და ენერგეტიკით დაბინძურების შემცირება; ადამიანთა ჯანმრთელობის უზრუნველყოფის სერიოზული გაუმჯობესება (სურსათის უვნებლობის, ქიმიკატების უსაფრთხო გამოყენების, ავტომობილების გამონახობლქვის მავნე ზემოქმედების, საბანაო-სარეკრეაციო წყლების სანიტარიულ-ჰიგიენური დაცულობის გაუმჯობესება და სხვ.); ბიომრავალფეროვნებათა შენარჩუნება (ჰაბიტატების კარგვა, ფრაგმენტაცია და დეგრადირება, უკანონო ნადირობა და თევზჭერა, უცხო სახეობების ინტროდუქცია, ბიოლოგიური რესურსების არამდგრადი გამოყენება და სხვ.); ფაქტობრივად დაცული ტერიტორიების მხოლოდ ბიომრავალფეროვნების დაცვისთვის გამოყენება; აღდგენადი და არატრადიციული ენერგორესურსების ათვისების გაუმჯობესება; ნარჩენების მართვის სისტემის სრულყოფა; გარემოსდაცვითი განათლების სისტემის გაძლიერება და ა. შ.



## გამოყენებული ლიტერატურა

1. აბესაძე რ. საქართველოს ეკონომიკური და სოციალური განვითარების ზოგადი ასპექტები, წგ. “საქართველოს ეკონომიკური და სოციალური განვითარების ზოგიერთი მიმართულება”, თბილისი, “თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა”, 2013.
2. აბესაძე რ. გარემო ბუნების დაცვის ეკონომიკური ასპექტები, წგ. “ეკონომიკური პოლიტიკა და ბიზნესპროცესების მართვა” [საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის (თბილისი 15-16 აპრილი, 2011) მასალები]. თბ., 2011.
3. აბესაძე რ., ბიბილაშვილი ნ. გარემოს დაცვის ეკონომიკური პრობლემები ევროკავშირში.”თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის სამეცნიერო შრომების კრებული“, ტ. XI. თბილისი, “თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა”, 2019.
4. აბესაძე რ., ბიბილაშვილი ნ. გარემოს დაცვის სფეროში საქართველოს კანონმდებლობის ევროკავშირის კანონმდებლობასთან დაახლოების არსებული მდგომარეობა, შრომების კრებული, ტ. XIII, 2020.
5. აბესაძე რ., კურატაშვილი ე. ნარჩენების მართვის სტრატეგია საქართველოში. თსუ პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის შრომათა კრებული, თბილისი, “თსუ პ. გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა”, ტ. XIV, 2021.
6. ხუსკივაძე მ. გარემოს დაცვის ეკონომიკური პრობლემები პოსტკომუნისტური ტრანსფორმაციის პირობებში საქართველოში (თანაავტორებთან ერთად). თსუ პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის შრომათა კრებული, თბილისი, “თსუ პ. გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა”, ტ. VII, 2014.
7. Abesadze R., Bibilashvili N. 2021. Problems of environmental protection in the EU. “Ekonomisti”. 2021, № 1
8. Abesadze R. 2021. Natural Resources of the future. “IJONES”. International Institute of Innovation Science № 13 (1) 2021

9. *Abesadze* 2019. R. "GREEN" AND "CIRCULAR" ECONOMY: ESSENCE AND MODERN CHALLENGES. *IJONES* 2019; 10 (2): 329-345
10. Бурдули В. Ш., Р. Б. Абесадзе. 2019 «зеленая» экономика и инновации в обеспечении устойчивого развития. Міжнародна науково-практична конференція «національні економічні стратегії розвитку в глобальному середовищі» 10 квітня 2019 року, національний авіаційний університет
11. *Papava V. Becoming European: Challenges for Georgia in the Twenty-First Century.* Bloomington, IN, iUniverse, 2021, 285 p.
12. *Social Insurance and Economic Security.* New York. 2015.  
<https://www.taylorfrancis.com/books/mono/10.4324/9781315700731/social-insurance-economic-security-george-rejda>
13. *Scott James M., Carter Ralph G., Drury A. Cooper. 2018. IR: International, Economic, and Human Security in a Changing World.* Los Angeles, CQ Press, 2018, 496 p.
14. Новиков Р.А., Никитина Е.Н. 2013. Природоохранные аспекты деятельности ВТО. Под ред. Могилевкина И.М. М.:ИМЭМОРАН, 300 с.
15. Олейникова А. Я. зарубежный опыт охраны окружающей среды в аспекте управления, 2014.  
[https://pnu.edu.ru/media/ejournal/articles-2014/TGU\\_5\\_276.pdf](https://pnu.edu.ru/media/ejournal/articles-2014/TGU_5_276.pdf)

*Ramaz Abesadze,  
Nana Bibilashvili,  
Qristine Kuratashvili*

## THEORETICAL-METHODOLOGICAL ISSUES OF DEVELOPMENT OF SOCIAL AND ECOLOGICAL SECURITY STRATEGY OF GEORGIA

### Summary

One of the components of national security is social and ecological security, which is based on economic security. The strategy of social and ecological security should ensure the protection of the country from social and ecological threats, the theoretical and methodological issues of the development of the mentioned strategy are presented in the paper.

თეა ლაზარაშვილი,  
ეთერი კაკულია

## გლობალური სოციალური საფრთხეები და მათი ეროვნულ სოციალურ უსაფრთხოებაზე გავლენის თეორიული საკითხები

**ანოტაცია.** საფრთხეები ცხოვრების შეუცვლელი თანამგზავრია და ინდივიდების, საზოგადოების, სახელმწიფოს განვითარების ყველა ეტაპზეა თანმდევი. სიცოცხლის უსაფრთხოების კონტექსტში საფრთხე ეს ძირითადი ცნებაა, რომელშიც იგულისხმება შესაძლო ან/და რეალური მოვლენები, პროცესები, რომლებიც საფრთხეს უქმნიან ადამიანს და შეუძლიათ გარკვეულ პირობებში ზიანი მიაყენონ მის ცხოვრებას და ჯანმრთელობას.

სოციალური ხასიათის საფრთხეები ეს ის არაკეთილსასურველი პროცესები და მოვლენებია, რომლებიც წარმოიქმნება ადამიანებს შორის საზოგადოებაში და წარმოადგენს საფრთხეს ადამიანის ცხოვრებისა და ჯანმრთელობისათვის, მათი ქონებისათვის, უფლებებისა და კანონიერი ინტერესებისათვის. მათი ფორმირებისა და სრულყოფის წყაროა ქვეყანაში საზოგადოების განვითარების მრავალფეროვანი შიდა და გარე წინააღმდეგობები საერთაშორისო დონეზე და ადამიანების საქმიანობის სხვადასხვა სფეროში. სოციალური ხასიათის საფრთხეები დაკავშირებულია იმასთან, რომ კაცობრიობამ ვერ მიაღწია უამრავი ეკონომიკური, პოლიტიკური, ეთნიკური, მორალური და სხვა პრობლემების რადიკალურ გადაწყვეტას. ამას გარდა, განვითარების ყოველ ახალ ეტაპზე ზოგიერთი სოციალური პრობლემა, წინააღმდეგობები, საფრთხეები სულ უფრო მწვავედება, რაც ადამიანს აიძულებს მუდმივად ეძებოს მათი საწინააღმდეგო მექანიზმები და მათგან დაცვის გზები. სწორედ ამიტომ ბოლო წლებში მუდმივად იზრდება ინტერესი ადამიანის უსაფრთხო არსებობის პრობლემისადმი. აქედან გამომდინარე ნაშრომში განხილულია „უსაფრთხოების“, „სოციალური უსაფრთხოების“ ფენომენი; გაანალიზებულია უსაფრთხოების ცნების შესწავლის ძირითადი მიმართულებები და მეცნიერული მიდგომები სოციალური ცვლილებებისადმი; დახასიათებულია სოციალური კატასტროფის, საფრთხეების სახეები და მათი გავლენა ეროვნულ სოციალურ უსაფრთხოებაზე.

*საკვანძო სიტყვები: სოციალური საფრთხეები, სოციალური უსაფრთხოება, სოციალური კატასტროფები.*

## **შესავალი**

საფრთხეები ცხოვრების განუყოფელი ნაწილია და ინდივიდის, საზოგადოების, სახელმწიფოს განვითარების ყველა ეტაპს ახლავს თან. სიცოცხლის უსაფრთხოების ცნებაში მოიაზრება შესაძლო ან/და რეალური მოვლენები, პროცესები, რომლებიც გარკვეულ პირობებში ზიანს აყენებს ადამიანს, მის ცხოვრებას და ჯანმრთელობას.

სოციალური უსაფრთხოება არის სოციალური ურთიერთქმედებისა და საზოგადოებრივი ურთიერთობების მდგომარეობა, რომლებიც გამორიცხავენ პიროვნების პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სულიერ დათრგუნვას, ძალადობისა და შეიარაღებული ძალების გამოყენებას მათ მიმართ სახელმწიფოს მხრიდან ან/და სხვა სოციალური სუბიექტების მხრიდან საკუთარი მიზნების მიხედვით.

სოციალური ხასიათის საფრთხეები, არაკეთილსასურველი პროცესები და მოვლენები წარმოიქმნება საზოგადოებაში და საშიშროებას უქმნის ადამიანის ცხოვრებასა და ჯანმრთელობას, მათ ქონებას, უფლებებსა და კანონიერ ინტერესებს. მათი ფორმირებისა და განვითარების წყაროს წარმოადგენს ქვეყანასა და საზოგადოებაში არსებული მრავალფეროვანი შიდა და გარე წინააღმდეგობები საერთაშორისო დონეზე, აგრეთვე ადამიანების საქმიანობის სხვადასხვა სფეროში. სოციალური ხასიათის საფრთხეებს განაპირობებს უამრავი გადაუჭრელი ეკონომიკური, პოლიტიკური, ეთნიკური, მორალური და სხვა სახის პრობლემები. ამას გარდა, განვითარების ახალ ეტაპზე, ზოგიერთი სოციალური პრობლემა, წინააღმდეგობები, საფრთხეები სულ უფრო მწვავედება, რაც ადამიანს აიძულებს, მუდმივად ეძებოს მათი გადაჭრის მექანიზმები და მიიღოს რადიკალური ზომები.

„საფრთხის“ მსგავს ცნებას წარმოადგენს „მუქარა“, რომელიც გადადის გარკვეული სტადიიდან რეალობაში და ნიშნავს გამოხატულ განზრახვას ან ზოგიერთი სუბიექტის მზადყოფნის დემონსტრირებას, ზიანი მიაყენოს სხვებს. სოციალურ კონტექსტში უსაფრთხოების რისკში მოიაზრება პირობებისა და ფაქტორების

ერთობლიობა, რომლებიც ადამიანის, საზოგადოებისა და სახელმწიფოს სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან ინტერესებს უქმნის საფრთხეს.

მუქარა და საფრთხე ყოველთვის მიუთითებს ორი მხარის ურთიერთქმედებაზე: სუბიექტის, რომელიც წარმოადგენს წყაროსა და მატარებელს, და ობიექტის, რომლისკენაც მიმართულია მუქარა ან/და საფრთხე. სოციალური მუქარის სუბიექტად შეიძლება მოგვევლინოს ინდივიდი, სოციალური ჯგუფი, სახელმწიფო და სოციუმის სხვა კომპონენტები, ხოლო ობიექტად – საზოგადოებისა და პიროვნების ცხოვრებისა და საქმიანობის ნებისმიერი სფერო. ამგვარად, ადამიანი მონაწილეობს ამ პროცესში როგორც ობიექტი და ასევე როგორც სოციალური საფრთხეებისა და მუქარის სუბიექტი, ამასთან ადამიანის არსის გამოვლინების სპექტრი მრავალფეროვანი და წინააღმდეგობრივია. მასში აუხსნელად თანაარსებობს ეგოიზმი, ირაციონალურობა, აგრესიულობა მოწყალებასთან, მსხვერპლის გაღებასთან, კეთილშობილებასთან, შემწყნარებლობასთან ერთად.

\*\*\*

ადამიანი, პირდაპირ თუ ირიბად, ჩართულია ურთიერთობებისა და პროცესების მრავალფეროვან რთულად ორგანიზებულ სისტემაში, სადაც ასრულებს გამანადგურებელ აქტიურ-შემოქმედებით ან პასიურ-მჭვრეტელობით როლს, თუმცადა ადამიანის არსებობის მთელი ხაზობრივი პროგრესი ტექნოგენურ ცივილიზაციაში ჯერ კიდევ არ ჯდება საერთო პლანეტარულ ჰარმონიაში და მდგომარეობს იმაში, რომ მიმდინარე პრობლემების გადაწყვეტისას ის წარმოქმნის ახალ უფრო მასშტაბურ და საშიშ პრობლემებს.

ადამიანის პოზიტიური და ნეგატიური თვისებების ბალანსი, მათი შერწყმა განსაზღვრავს მისი განვითარების საერთო ხაზს სოციალურ და ბუნებრივ გარემოში. ამგვარად, ადამიანი შეიძლება გამოდიოდეს როგორც „ნორმის დამდგენელი, ორგანიზატორი, შემოქმედი, მწარმოებელი“ ან/და დამნაშავე, დეზორგანიზატორი, გამანადგურებელი, მომხმარებელი.

ქმნის რა პირობებს თავისი არსებობისა და განვითარებისათვის, იკმაყოფილებს რა თავის მოთხოვნილებებს, ადამიანი მუდმივად ზემოქმედებს გარემოზე და ამით იწვევს მის საპირისპირო

რეაქციას, წინააღმდეგობას, რის შედეგადაც იგი თავის მხრივ განიცდის სხვადასხვა ფაქტორების ზემოქმედებას, მ. შ. სოციალურს. ამასთან, მისთვის სერიოზული შედეგების გარეშე ამ ზემოქმედებას ახანგრძლივებს მანამდე, სანამ ისინი არ გადააჭარბებენ გარკვეულ ზღვარს ან/და მისაღები რისკის დონეს.

რისკი საკმაოდ ფართო ცნებაა და მოიცავს შესაძლო საფრთხეს, წარუმატებლობის ალბათობას სამეწარმეო საქმიანობაში; არაკეთილსასურველი შედეგების შესაძლო წარმოშობის ალბათობას (დანაკარგები, ნგრევა) და მათ ზომებს. რისკს ეძახიან თავად ქმედებასაც, რომელიც დაკავშირებულია საფრთხესთან. რისკის მართვა, შემცირება შესაძლებელია საფრთხეებსა და სახიფათო სიტუაციებზე ზემოქმედებით (აღმოფხვრა, განეიტრალება, ბლოკირება).

რისკმა შეიძლება პროვოცირება გაუკეთოს სახიფათო სიტუაციას, რომელიც პრინციპში ჯერ კიდევ შეიძლება თავიდან იქნეს აცილებული და ზომების დროული მიღებისას შეიძლება შემცირდეს მისაღებ დონემდე ან საერთოდ არ წარმოიშვას, მაგრამ როდესაც საფრთხის შემცველი პროცესი იზრდება და იწყებს კონტროლის სფეროდან გასვლას, მაშინ წარმოიქმნება ექსტრემალური სიტუაცია, ანუ საშიში სიტუაცია, რომელიც ადამიანის ან/და მთლიანად სოციუმის სიცოცხლეს რეალურ საფრთხეს უქმნის. ხშირად საუბარი მიდის უბედურ შემთხვევებზე, რომლებმაც გარემოებიდან გამომდინარე არ გამოიწვიეს სიკვდილი ან/და ადამიანთა დასახიჩრება.

მოვლენები, რომლებიც ტრაგიკული შედეგით მთავრდება, კატასტროფებად მიიჩნევა. როგორც წესი, ეს არის გაუთვალისწინებელი და მოულოდნელი სიტუაცია, რომელთანაც შეუძლებელია დამოუკიდებლად გამკლავება და წარმოიშობა გარედან დახმარების საჭიროება.

განასხვავებენ სოციალური ხასიათის კატასტროფების შემდეგ სახეებს:

- ეკოლოგიური კატასტროფა – სტიქიური უბედურება, მსხვილმასშტაბიანი საწარმოო ან/და სატრანსპორტო ავარია, კატასტროფა, რომელიც იწვევს უკიდურესად არაკეთილსასურველ ცვლილებებს გარემოში და, როგორც წესი, ფლორის, ფაუნის, ნიადაგის, საჰაერო სფეროსა და მთლიანად ბუნების მასობრივ განადგურებას;

- საწარმოო ან/და სატრანსპორტო კატასტროფა – მსხვილი ავარია, რომელიც იწვევს ადამიანთა დაღუპვას და მნიშვნელოვან მატერიალურ ზარალს;

- ტექნიკური კატასტროფა – უცარი, გაუთვალისწინებელი გათავისუფლება მექანიკური, ქიმიური, თერმული, რადიაციული და სხვა ენერჯის;

- ჰუმანიტარული კატასტროფა – იწვევს მრავალრიცხოვან მსხვერპლს, ნგრევას, მატერიალური და სულიერი ფასეულობების განადგურებას. მას თან ახლავს უმწეო მდგომარეობაში ჩავარდნილი მოსახლეობის ტანჯვა, რომელიც განიცდის სამედიცინო და სხვა სახის დახმარების მწვავე საჭიროებას. კატასტროფების დროს დახმარება მოიაზრებს იმ ზომების მიღებას, რომლებსაც შეუძლიათ კატასტროფის შედეგების შეცვლა ან შეზღუდვა. კაცობრიობის ისტორიული გამოცდილება მოწმობს, რომ სოციალური საფრთხეების უგულვებელყოფას მივყავართ იქამდე, რომ ისინი ხდებიან ძნელად მართვადი და გადადიან ექსტრემალურ სტადიაში, გადაიქცევიან სოციალური ხასიათის საგანგებო სიტუაციად და ბევჯერ უფრო მეტად აღემატებიან თავიანთი შედეგებით სხვა წარმოშობის გადაუდებელ სიტუაციებს (ბუნებრივი, ტექნოგენური, ეკოლოგიური, ბიოლოგიური და ა.შ.).

- სოციალური ხასიათის საგანგებო სიტუაცია – ესაა გარემოება, რომელიც გარკვეულ ტერიტორიაზე, სოციალური ურთიერთობების სფეროში, საშიში წინააღმდეგობებისა და კონფლიქტების შედეგად წარმოიშობა და შეუძლია გამოიწვიოს (ან უკვე გამოიწვია) ადამიანთა მსხვერპლი, მნიშვნელოვანი მატერიალური დანაკარგები ან ადამიანთა სიცოცხლისუნარიანობის პირობების დარღვევა, ასევე დააზარალა გარემო და იმოქმედა ადამიანთა ჯანმრთელობაზე.

სოციალური ხასიათის საგანგებო სიტუაციების წარმოშობისა და განვითარების საფუძველში საზოგადოებრივი ურთიერთობების (ეკონომიკური, პოლიტიკური და სხვა) წონასწორობის დარღვევა ხდება სხვადასხვა მიზეზის გამო, რომლებიც იწვევენ სერიოზულ წინააღმდეგობებს, კონფლიქტებს, ომებს და ა.შ. მათ კატალიზატორებად შეიძლება მოგვევლინოს სხვადასხვა გარემოება, რომლებიც იწვევენ სოციალურ დაძაბულობას – უმუშევრობას, კორუფციას, კრიმინალს, მასობრივ არეულობას, ტერორისტულ

აქტებს, სამთავრობო კრიზისებს, ინფლაციას, სასურსათო პრობლემებს, სოციალურ-საყოფაცხოვრებო მოუწყობლობას და სხვ. ამ ფაქტორების ხანგრძლივი ზემოქმედება იწვევს ადამიანების ქრონიკულ ფსიქოლოგიურ და ფიზიოლოგიურ დადლილობას, რთულ ექსტრემალურ მდგომარეობას, როგორცაა დეპრესია, სუიციდი და ა.შ.

საშიში სიტუაციების წარმოქმნისა და განვითარების საფუძველში დევს ჰარმონიის დარღვევა ურთიერთობებში (ოჯახური, მეგობრული, ეკონომიკური, პოლიტიკური, ეთნიკური და სხვა.), რომელთა პროვოცირება შეიძლება მოახდინოს ინფლაციამ, უმუშევრობამ, სასურსათო პრობლემებმა, სოციალურმა დაძაბულობამ, კორუფციამ, კრიმინალმა და სხვა. რაც უფრო დაბალია ცხოვრების დონე, მით მაღალია სოციალური დაძაბულობის დონე.

ბოლო წლებში მნიშვნელოვნად გაიზარდა ინტერესი ადამიანის უსაფრთხო არსებობის პრობლემებისადმი. უსაფრთხოების მოთხოვნილება წარმოადგენს ადამიანის არსებობის მნიშვნელოვან მახასიათებელს, ხოლო მისი უზრუნველყოფა – სახელმწიფოს ერთ-ერთ ფუნქციას. დღეისათვის სახელმწიფო დიდ ყურადღებას უთმობს ქვეყანაში და მსოფლიოში სოციალური სიტუაციის სტაბილიზაციის საკითხებს. საგანგებო სიტუაციების განჭვრეტის სიცოცხლისუნარიანობის და პიროვნების არსებობის პირობების უსაფრთხოების უზრუნველყოფას.

თანამედროვე ეტაპზე ხორციელდება უსაფრთხოების ასპექტების კვლევა და დამუშავება, მისი ცივილიზაციის კონკრეტულ საფეხურზე შენარჩუნების ფაქტორების ანალიზი. შეიძლება გამოიყოს უსაფრთხოების ფენომენის შესწავლის შემდეგი მიმართულებები:

- ფილოსოფიური და სოციოლოგიური;
- ეკონომიკური მეცნიერებები;
- პედაგოგიური მეცნიერებები.

უსაფრთხოება ვიწრო გაგებით განიმარტება, როგორც ისეთი მდგომარეობა, რომლის დროსაც საფრთხეები არ არის მოსალოდნელი. ფართო გაგებით კი ეს არის პიროვნების, საზოგადოებისა და სახელმწიფოს სასიცოცხლო ინტერესების დაცვა პოლიტიკური, სოციალური, სამხედრო, ეკონომიკური, ტექნიკური და სხვა ხასიათის შიდა და გარე საფრთხეებისაგან, რაც გულისხმობს სახელმ-



წიფოში პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური სტაბილურობის დამყარებას, კანონების უპირობო აღსრულებას და წესრიგის დაცვას, პარტნიორობაზე დამყარებული საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარებას; პიროვნების, საზოგადოებისა და სახელმწიფოს სასიცოცხლო ინტერესების დაცვას შიდა და გარე საფრთხეებისაგან.

ამგვარად, უსაფრთხოება არის სტაბილურობისა და სოციალური სისტემის მდგრადობის მახასიათებელი, რომელიც იმყოფება დადგენილი, სოციალური ნორმის ფარგლებში.

ამ ფენომენისადმი მეცნიერული მიდგომები ფართოდაა წარმოდგენილი სოციალური ცვლილებების სოციოლოგიურ და რისკების თეორიებში.

ზოგიერთი სოციოლოგის აზრით, სოციალური ცვლილებები ეს არის სოციალური სისტემების, ერთობლივი ინსტიტუტებისა და ორგანიზაციების ერთი მდგომარეობიდან მეორეში გადასვლა. მოცემული პროცესების გარკვეული კრიტიკული პირობების შემთხვევაში წარმოიქმნება სოციალური სუბიექტების უსაფრთხოების საშიშროება.

XIX საუკუნის სოციოლოგიაში, იმის მიხედვით, თუ შესწავლის რომელი მეთოდოლოგია გამოიყენებოდა, ჩამოყალიბდა სოციალური განვითარების შესწავლის ორი მიმდინარეობა: სოციალური ევოლუციონიზმი (გ. სპენსერი, ე. ტენისი, დიურკეიმო, რ. არონი, ტურინი და სხვ.) და რევოლუციონიზმი – მარქსიზმი და ნეომარქსიზმი (კ. მარქსი, მ. მარკუზე, ი. ჰაბერმასი, რ. მილსი, ფრომი და სხვ.).

უსაფრთხოებაზე გავლენას ახდენს შემდეგი ფაქტორები:

1. ინტეგრაცია და დიფერენციაცია;
2. სოლიდარობა;
3. ახალი ტექნოლოგიები და ეკონომიკური წარმოების მეთოდები;
4. ეკონომიკური და სოციოკულტურული დიფუზიები;
5. საზოგადოების მობილობა, დიფერენციაცია და სტრატეფიკაცია;
6. დიფერენციაცია და ორგანიზაციის გართულება, რაც უზრუნველყოფს ორგანიზმის, სოციალური სისტემის ან სხვა ობიექტის არსებული გარემოსადმი ადაპტაციას;

7. სოციალური სუბიექტების არსებობის სოციალურ-კულტურული სტადიების ბუნებრივი ცვლა;
8. სოციალური სისტემების გარე ზემოქმედებაზე რეაგირებისა და წონასწორობის შენარჩუნების შესაძლებლობის ხარისხი. წონასწორობა თავისთავში მოიცავს არა მარტო თვითშენარჩუნებას, არამედ განვითარებასაც. დაბალანსებული სოციალური სისტემა ინარჩუნებს სტაბილურობას;
9. „საზოგადოებრივი დეზორგანიზაცია“ შეიძლება მოხდეს მაშინ, როცა სოციალური ინსტიტუტები ჩამორჩებიან მუდმივად ცვალებად ტექნიკის დონეს.

ნებისმიერი განვითარება – სოციალური, ეკონომიკური თუ ადამიანური – ხდება არსებული წინააღმდეგობების გადაჭრისა და ახლის გაჩენის გზით. ორ ურთიერთმებრძოლ ძალას შორის შეჯახების შედეგი არის არა კომპრომისი, არამედ ბრძოლის პროცესში გაჩენილი სრულიად ახალი პროდუქტი.

რისკის სოციოლოგიისადმი მიძღვნილ ნაშრომებში ახსნილია რისკების ანალიზის, დინამიკისა და მართვის თეორიული საფუძვლები (უ. ბევი, ე. გიდნესი, მ. დუგლასი, უ. როზენტალი). ისინი მიიჩნევენ, რომ ახალი ტექნოლოგიების შექმნა იწვევს ახალ ტექნოლოგიურ (ინდუსტრიალურ) რისკებს, აგრეთვე საზოგადოების სოციოკულტურული გარემო განიხილება, როგორც ტექნოლოგიური რისკების შედეგებზე (დაბინძურება, სამრეწველო ავარიები და ა.შ.) სწრაფად რეაგირებადი სისტემა. რისკის მნიშვნელოვანი სოციალური თავისებურებები მდგომარეობს იმაში, რომ:

- იგი ყოველთვის წარმოიქმნება სოციალურ სისტემაში;
- მისი სიდიდე დამოკიდებულია სოციალური ურთიერთობებისა და პროცესების ხარისხზე;
- მისი დონე პირდაპირ კავშირშია ექსპერტებზე და მათი ცოდნის დონეზე. რისკებს შეუძლიათ გასცდნენ სახელმწიფოს საზღვრებს და მიიღონ გლობალური მნიშვნელობა. საზოგადოებისათვის უნივერსალური რისკები თან სდევს პოსტინდუსტრიულ სოციალურ წარმოებას, მიუხედავად იმისა, თუ რომელ ქვეყანაში წარმოიშვნენ ისინი.

გარემოს სხვადასხვა ფაქტორებისადმი მიდგომა და მათი აღქმა, როგორც საფრთხისა, დიდწილად სუბიექტურია და ფსიქოლოგიურ მიდგომას მოითხოვს. ფსიქოლოგია აქცენტს აკეთებს

ადამიანის გრძნობებსა და განცდებზე, რომლებიც კავშირშია მის ახლანდელ მდგომარეობასთან და მომავლის პერსპექტივებთან. აქედან გამომდინარე მეცნიერებმა ჩამოაყალიბეს ფსიქოლოგიური უსაფრთხოების შემდეგი განმარტება: საზოგადოებრივი ცნობიერების ისეთი მდგომარეობა, როდესაც საზოგადოება მთლიანად და თითოეული პიროვნება ცალკე ცხოვრების არსებულ დონეს აღიქვამს როგორც ადეკვატურს და საიმედოს, რომელიც ქმნის რეალურ საშუალებას ბუნებრივი და სოციალური მოთხოვნილებების დაკმაყოფილებისათვის დღეს და აძლევს ადამიანებს მომავლის რწმენის საფუძველს.

მეცნიერების თეორიული დისკუსიების დროს ხშირად განიხილება სოციალური უსაფრთხოების სხვადასხვა პარადიგმები, მართვის პრაქტიკის პოზიციიდან მნიშვნელოვანია სოციალური უსაფრთხოების დონის შეფასების მაჩვენებლების, ინდიკატორებისა და მეთოდის არსებობა. ექსპერტების მიერ შემუშავებულია უსაფრთხოების დონის ინდიკატორები: მოქალაქეთა შემფოთების დონე, უსაფრთხოების შეფასების დონე სხვადასხვა ცალკეული შემადგენლობის მიხედვით და მისი შედარება მოქალაქეების შფოთვის დონესთან. საერთაშორისო სამართლის პოზიციებიდან, სოციალური უსაფრთხოება განიხილება პიროვნების უსაფრთხოების გათვალისწინებით. პიროვნების უსაფრთხოების კონცეფცია მოიცავს ადამიანთა უფლებების ფართო კომპლექსს, რომლებიც გარანტირებულია და დაცულია ეროვნულ (ნაციონალურ) დონეზე და რომელთა დასაცავად აუცილებელია საერთაშორისო ძალისხმევა, რაც ასახულია გაეროს სხვადასხვა მრავალრიცხოვან დოკუმენტებში. ადამიანის უფლებებისა და თავისუფლების საკითხებს ცნობს საერთაშორისო თანამეგობრობა და ამიტომ მათთან ბრძოლა მრავალმხრივ მიდგომას ითხოვს. გაეროსა და სხვა ქვეყნების ძალისხმევით შემუშავებულია ადამიანის უსაფრთხოების კონცეფცია, რომელიც 8 კატეგორიისაგან შედგება, მათ შორისაა პირადი უსაფრთხოება და სოციალური უსაფრთხოება. პირველი პოზიციები უკავია: შიშისა და სიღარიბისაგან გათავისუფლებას, ადამიანის პოტენციალის განვითარების ინდექსს, რომელიც გამოითვლება ყოველწლიურად ქვეყნების შესადარებლად ცხოვრების დონის, წერა-კითხის დონის, განათლებულობის, ცხოვრების ხანგრძლივობის მაჩვენებლების მიხედვით.

ზოგიერთი სხვა ინსტიტუტი იმავე ინდექსის დასადგენად იყენებს სხვა მაჩვენებლებსაც: ცხოვრების დონით კმაყოფილება, სოციალური ოპტიმიზმი, მატერიალური მდგომარეობა, ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობა, პოლიტიკური სიტუაცია, ქვეყნის განვითარების საერთო ვექტორი და სხვა.

ამდენად, აქტიური სამეცნიერო დისკუსიები და მრავალი პუბლიკაცია სოციალური უსაფრთხოების შესახებ გვიჩვენებს, თუ რამდენად რთული და მრავალმხრივია მოცემული ფენომენი. მიუხედავად სხვადასხვანაირი მეთოდოლოგიისა, აუცილებელია დაგროვებული ცოდნის სინთეზი.

ზოგადად, სოციალური პრობლემა ესაა პროცესი, რომლის დროსაც წარმოშობილი პირობები და მოვლენები ზემოქმედებას ახდენს ცალკეული ჯგუფის ან მთელი საზოგადოების ცხოვრებაზე, რომელიც საზოგადოებას აწუხებს და ცდილობს შეცვალოს უკეთესობისაკენ.

ამერიკელმა სოციოლოგმა ჰერბერტ ბლუმერმა ჩამოაყალიბა სოციალურ პრობლემებთან ბრძოლის ხუთსაფეხურიანი მოდელი:

1. სოციალური პრობლემის წარმოშობა, მისი გაცნობიერება;
2. საზოგადოებრივი აღიარება;
3. ფართო წრეებში დისკუსიების შედეგად სამოქმედო სტრატეგიების დასახვა და განხილვა;
4. პრობლემის დარეგულირებისათვის შესაბამისი სამოქმედო გეგმის შემუშავება;
5. სამოქმედო გეგმის განხორციელება.

სიღარიბის პრობლემა მსოფლიოს მოიცავს და მისი მასშტაბები მუდმივად იზრდება. მსოფლიოს ნებისმიერი ქვეყნისთვის არსებობს მინიმალური სტანდარტი, რომლის ქვემოთაც ხალხი უკვე „ღარიბთა“ კატეგორიას მიეკუთვნება. ზოგადად თუ ცალკეული ადამიანის ან ოჯახის შემოსავალი ნორმალური ცხოვრების სტანდარტებისათვის მიჩნეული აუცილებელი მინიმუმის ქვემოთ მოექცევა, მაშინ ასეთი პიროვნება ან ოჯახი ღარიბად მიიჩნევა.

სახელმწიფოს საფუძველს ეკონომიკა წარმოადგენს და სწორედ მასზეა დამოკიდებული საზოგადოებრივი მოღვაწეობის ნებისმიერი სფეროს ნორმალური ფუნქციონირება და შესაბამისად განვითარება. ნებისმიერი ეკონომიკა თავისი შინაარსით სოციალურია, ამიტომ ეკონომიკური პროცესები მჭიდრო კავშირშია სო-

ციალურ პროცესებთან და შესაბამის წყაროებში ფართოდ გამოიყენება სოციალურ-ეკონომიკური განვითარება, სოციალურ-ეკონომიკური პირობები და ა.შ.

ნებისმიერი სახელმწიფოს მიზანს წარმოადგენს მოსახლეობის კეთილდღეობის ამაღლება. კეთილდღეობაში მოიაზრება საზოგადოების უზრუნველყოფის დონე და ხარისხი. ქვეყნის კეთილდღეობის დონე დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენადაა მისი ეკონომიკური სისტემა განვითარებული და უსაფრთხოების როგორი გარანტიებია შექმნილი ქვეყანაში. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიხედვით, საზოგადოების კეთილდღეობის დონის ყველაზე ზუსტ მაჩვენებლად ადამიანისეული პოტენციალის განვითარების ინდექსი გამოდის, რომელიც დაყრდნობილია 3 ძირითად პარამეტრზე: შემოსავალზე ერთ სულ მოსახლეზე, განსწავლულობის ხარისხსა და სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობაზე.

მნიშვნელოვანია ყურადღება გავამახვილოთ იტალიელი ეკონომისტის, ვილფრედო პარეტოს შეხედულებებზე, რომელმაც მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ეკონომიკური კეთილდღეობის თეორიის განვითარებაში. ეკონომიკურ მეცნიერებაში კარგადაა ცნობილი „პარეტო ოპტიმუმის“ თეზისი, რომელიც ნორმალურად არ მიიჩნევის საზოგადოებაში ისეთ მდგომარეობას, როდესაც ერთნი მდიდრდებიან მეორეთა ხარჯზე. საზოგადოებრივი კეთილდღეობის თეორია შემდგომ თავის ნაშრომებში განავითარა ა. პიგუმ, რომელმაც შეიმუშავა კეთილდღეობის დონის მაჩვენებელი.

თავის მხრივ, კეთილდღეობა ცხოვრების დონით განისაზღვრება, რომელიც მატერიალური და სულიერი დოვლათის მოხმარების მოცულობისა და ხარისხის მაჩვენებელია ერთ სულ მოსახლეზე და გამოხატავს ქვეყნის საზოგადოებრივი ცხოვრების ეკონომიკურ, სოციალურ, პოლიტიკურ, ზნეობრივ, ფსიქოლოგიურ, რელიგიურ მხარეს და ა.შ. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ცხოვრების დონე დროისა და ქვეყნების მიხედვით განსხვავებულია. ცნობილია, რომ ცხოვრების დონის რაოდენობრივი მხარე კეთილდღეობის დონეს განსაზღვრავს, შინაარსობრივი მხარე კი მიუთითებს საზოგადოების მორალურ-ფსიქოლოგიურ და ზნეობრივ მხარეზე. ცხოვრების დონე განსხვავებულია როგორც კონტინენტების, სა-

ხელმწიფოების, ისე ქვეყნის შიგნით – მოსახლეობის ფენების მხრი-  
ვაც.

ცხოვრების დონე მაკროეკონომიკურ მაჩვენებელს მიეკუთვნება, მაგრამ მთლიანი მოსახლეობის კეთილდღეობას უფრო ზუსტად განსაზღვრავს მთლიანი შიდა პროდუქტის გაანგარიშება ერთ სულ მოსახლეზე. თუმცაღა მშპ-ის თანაბარი განაწილებაც ვერ იძლევა სრულ წარმოდგენას თითოეული მოქალაქის კეთილდღეობაზე. იმის გამო, რომ დაახლოებით თანაბარი ეკონომიკური განვითარებისა და სიმდიდრის ქვეყნებში მოსახლეობის ცალკეული ფენების ცხოვრების დონე საკმაოდ განსხვავებულია ერთმანეთისაგან, ეკონომიკურ ლიტერატურაში ცხოვრების დონის სამ მაჩვენებელს განასხვავებენ – მინიმალურ, საშუალო და ეკონომიკური კეთილდღეობის დონეებს, რომლებიც შესაბამისი ხარისხით განისაზღვრებიან და შემდეგ ელემენტებს მოიცავენ: მოქალაქეების (მათი საკუთრების) უსაფრთხოების უზრუნველყოფის დონე; შრომის პირობები და უსაფრთხოება; საცხოვრებელი გარემოს (ეკოლოგიური) მდგომარეობა და უსაფრთხოება; თავისუფალი დროის არსებობა და მისი გამოყენების შესაძლებლობები; მოსახლეობის კულტურული დონე და ა.შ.

ცხოვრების დონესთან პირდაპირ კავშირშია საარსებო მინიმუმი, ზღვარი, რომლის ქვემოთ ადამიანის ნორმალური არსებობა კითხვის ნიშნის ქვეშ დგება. ყველა ქვეყანას აქვს კანონი საარსებო მინიმუმის შესახებ, რომლის ძირითადი მახასიათებელია საარსებო მინიმუმისა და მინიმალური ხელფასის რაციონალური შესაბამისობა. მინიმუმი წარმოადგენს ქვეყანაში ოფიციალურად დადგენილ შემოსავალს, რომელიც საჭიროა პიროვნების (ოჯახის) მოთხოვნილებების მინიმალურ დონეზე დაკმაყოფილებისა და მიღებული ცხოვრების წესის შესანარჩუნებლად.

ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკის უმნიშვნელოვანესი ამოცანა სწორედ საარსებო მინიმუმის, ანუ სიღარიბის ზღვარის დადგენაა, თუმცა ეს მაჩვენებელი მუდმივ კორექტირებას მოითხოვს იმის შესაბამისად, თუ როგორია მიმდინარე სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური პროცესები.

საარსებო მინიმუმის განსაზღვრისათვის, როგორც ცნობილია, სამომხმარებლო კალათის მეთოდი გამოიყენება. სამომხმარებლო კალათის სიდიდე დამოკიდებულია ქვეყნის ეკონომიკის

შესაძლებლობებზე, განისაზღვრება ნორმატიული სტატისტიკური მოდელის საფუძველზე და სხვადასხვა სოციალური ჯგუფებისთვისაც განსხვავებულია. რაც უფრო მეტი საქონელი და მომსახურება შედის სამომხმარებლო კალათაში, მით უფრო მაღალია ქვეყანაში ცხოვრების დონე. განასხვავებენ მინიმალურ და რაციონალურ სამომხმარებლო კალათას და შესაბამისად სამომხმარებლო კალათის გაანგარიშების 2 ვარიანტს: ერთით გამოიხატება ცხოვრების მინიმალური დონე, ხოლო მეორეთი – რაციონალური დონე. მინიმალურ სამომხმარებლო კალათაში მოიაზრება საქონლისა და მომსახურების ისეთი ნაკრები, რომელიც ფიზიოლოგიურ მინიმუმთანაა ახლოს და რომლის ქვემოთ უკვე ადამიანს აღარ შესწევს ფიზიკური არსებობა. რაც შეეხება რაციონალურ სამომხმარებლო კალათას, აქ იგულისხმება მატერიალური და სულიერი დოვლათის სრული ნაკრები, რომელიც ესაჭიროება ადამიანს მოთხოვნილებათა კეთილდღეობის დონეზე დასაკმაყოფილებლად. ქვეყნების მიხედვით სამომხმარებლო კალათის ნაკრები განსხვავებულია. აგრეთვე განსხვავებულია მოსახლეობის შემოსავლებიც, რისთვისაც სახელმწიფომ უნდა შექმნას ისეთი სოციალურ-ეკონომიკური გარემო, რომელიც ყველა მოქალაქეს შეუქმნის თანაბარ პირობებს, რათა მაქსიმალურად მოახდინოს თავისი შესაძლებლობების რეალიზაცია.

ბოლო წლებში მნიშვნელოვან ყურადღებას იპყრობს სოციალური და სულიერ-ზნეობრივი უსაფრთხოება.

სოციალური უსაფრთხოება პიროვნების, სოციალური ჯგუფისა და საზოგადოების სასიცოცხლოდ აუცილებელი ინტერესების, მათი სოციალური უფლებებისა და თავისუფლების დაცვას გულისხმობს. სოციალური უსაფრთხოების ობიექტს წარმოადგენს პიროვნება, მისი მოთხოვნილებები, ინტერესები, უფლება შრომაზე, ცხოვრებაზე, სოციალურ დაცვაზე და ა.შ. სოციალური საშიშროებები ერთიანდება შემდეგ ჯგუფებში:

– პიროვნების სოციალური უფლებების დარღვევა და სახელმწიფოს მხრიდან მათი დამღევის შესაძლებლობა;

– სიღარიბე;

– მოსახლეობის ჯანმრთელობის გაუარესება;

– ეროვნული ფასეულობებისა და თვითმყოფადობის დეგრადაცია, რისი შედეგიცაა მოსახლეობის სულიერი ნიჰილიზმი, იკარგება რწმენა ყველას და ყველაფრის მიმართ;

– განათლების, მეცნიერების, კულტურის სავალალო მდგომარეობა, სახელმწიფოს მიერ ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაში მათი როლის შეუფასებლობა;

– საზოგადოებრივი ცხოვრებით მანიპულირება;

– ძალადობის კულტისა და დამნაშავეობის ზრდა საზოგადოების სოციალურ ყოფაში. ქცევის ისეთი სტერეოტიპების დამკვიდრება, რომლებიც მოსახლეობაში ვერ ქმნის კეთილსინდისიერი შრომისა და სამართლიანი ცხოვრების პირობებს.

ბოლო პერიოდში სახელმწიფოს მთავარ კრიტერიუმს არა სამხედრო სიძლიერე, არამედ მოაქლაქეთა კეთილდღეობის მაღალი დონე, მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარება წარმოადგენს.

სოციალურ სამართლიანობაში მოიაზრება სოციალურ-ეკონომიკური ურთიერთობების ისეთი სისტემა, რომელიც ობიექტურად ასახავს კონკრეტულ, ისტორიულად განსაზღვრულ საზოგადოებაში დადგენილ ცხოვრების წესს.

სოციალურს მიეკუთვნება საფრთხეები, რომლებიც გავრცელებულია საზოგადოებაში და ემსახურება ადამიანთა სიცოცხლეს და ჯანმრთელობას, რომელთა გამომწვევი მიზეზები უშუალოდაა დაკავშირებული საზოგადოებასთან და იმ სოციალურ-ეკონომიკურ პროცესებთან, რაც საზოგადოებაში ხდება.

თავისი ბუნებით სოციალური საფრთხეები შეიძლება დავყოთ ჯგუფებად:

1. საფრთხეები, რომლებიც დაკავშირებულია ადამიანზე ფსიქიკურ ზემოქმედებასთან (უქონლობა, თაღლითობა, ინტერნეტი და სხვა);
2. საფრთხეები, რომლებიც დაკავშირებულია ფიზიკურ ძალადობასთან (ჩხუბი, ბანდიტიზმი, ტერორი, მონობა, მძევლად აყვანა და სხვა);
3. საფრთხე, რომელიც დაკავშირებულია ისეთი ნივთიერების მოხმარებასთან, რომელიც ანგრევს ადამიანის ორგანიზმს (ნარკოტიკები, თამბაქო, ალკოჰოლური სასმელები და სხვა);



4. საფრთხეები, დაკავშირებული ავადმყოფობებთან (ვენერიული დაავადებები, სპიდი);
5. საფრთხეები, დაკავშირებული საჭმლის უკმარისობასთან (შიმშილი);
6. საფრთხეები, დაკავშირებული სუიციდთან;
7. საფრთხეები, დაკავშირებული ეროვნულ და საერთაშორისო დამაბულობებთან და სხვა;
8. საფრთხეები, დაკავშირებული ადამიანთა დაბალ სულიერ და კულტურულ დონეებთან (მაწანწალობა, პროსტიტუცია და სხვა);

ასაკთან მიმართებით სოციალური საფრთხეები იყოფა დამახასიათებლად ბავშვებისათვის, ახალგაზრდებისათვის ქალებისათვის, მოხუცებულთათვის.

ორგანიზებულობის მიხედვით არსებობს შემთხვევითი და ორგანიზებული სოციალური საფრთხეები, მასშტაბის მიხედვით – ლოკალური, რეგიონული და გლობალური.

სოციალური საფრთხეების ძირითად მიზეზებს მიეკუთვნება:

- მსოფლიოს არასამართლიანი სოციალურ-ეკონომიკური და გეოპოლიტიკური მოწყობა (მცირე მდიდარი ადამიანებისა და სახელმწიფოების არსებობა ერთი მხრივ და დიდი რაოდენობის ღარიბი ადამიანები და ღარიბი ქვეყნები — მეორე მხრივ);
- სახელმწიფო მოწყობა და სასამართლო სისტემა;
- ადამიანის, როგორც ბიოლოგიური არსების ნაკლოვანებები (სიხარბე, შეცვლილი ინსტიქტები და სხვა).

სოციალური საფრთხეების წარმოშობის ობიექტურ მიზეზებს მიეკუთვნება:

- საკუთრებისა და ხელისუფლების არასამართლიანი გადანაწილება რადიკალური რეფორმების გატარებისას, ეკონომიკური და პოლიტიკური წყობის შეცვლისას და ა.შ.
- საზოგადოებაში სოციალური და პოლიტიკური ჯგუფების ორგანიზებისა და ინსტიტუტების არსებობა, რომლებიც ახორციელებენ ექსპანსიურ პოლიტიკას თავიანთი ქვეყნის მოსახლეობისა და სხვა ქვეყნების მიმართ, აღვივებენ ნაციონალიზმს, რასობრივ პროპაგანდას, მტრობასა და უნდობლობას ერებს შორის;

ეს საფრთხეები წინააღმდეგობრივია ადამიანის ბუნების არასრულყოფილების გამო. მათ გავრცელებას ხელს უწყობს საერთაშორისო კავშირებისა და ტურიზმის განვითარება. ამ საფრთხეების ხელშემწყობად ითვლება დაბალი მატერიალური უზრუნველყოფა, ცხოვრების ცუდი პირობები, გადატრიალებები, კონფლიქტური სიტუაციები ნაციონალურ, ეთნიკურ, რასობრივ ან რელიგიურ ნიადაგზე.

საფრთხეების ანალიზმა გვიჩვენა, რომ ეს პროცესი ურთიერთდაკავშირებული და ურთიერთგანმაპირობებელია. მასში ერთი მხარე მიჩნეულია ამ დესტრუქციული ზემოქმედების წყაროდ და მატარებლად, მეორე მხარე კი - რომლისკენაც ეს საფრთხეა მიმართული. ამ მხარეებს შორის საზღვარი საკმაოდ მოძრავია, ობიექტებს და სუბიექტებს შეუძლიათ ადგილები შეცვალონ და გახდნენ ერთი და იმავე მოვლენის სხვადასხვა მხარე.

### **დასკვნა**

სხვადასხვა ქვეყნების შედარებითმა ანალიზმა გვიჩვენა, რომ სოციალური საფრთხეების შინაარსი, დონე, ხასიათი ცალკეულ ქვეყანაში განსხვავებულია, ისევე როგორც განსხვავებულია მათი აღქმა, მიდგომები და აღმოფხვრის გზები.

მაღალგანვითარებულ ქვეყნებში სოციალური საფრთხეები შენარჩუნებულია, მაგრამ მათი გამოვლინება შედარებით ნაკლები ხარისხით ხდება. ამ ქვეყნებში სოციალური სფერო იკავებს პრიორიტეტულ ადგილს და ხორციელდება ნაკლებად უზრუნველყოფილი მოსახლეობის ფენის მიმართ ეფექტური სოციალური დაცვა. პირველ პლანზეა წამოწეული არანაკლებ მნიშვნელოვანი პრობლემების გადაწყვეტა პოლიტიკურ, ეკონომიკურ, ინფორმაციულ, ეკოლოგიურ, ტექნოლოგიურ, სამხედრო, სულიერ და საერთაშორისო დონეებზე.

სრულიად განსხვავებული სიტუაციაა განვითარებად და გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში. არაეფექტური ეკონომიკა და პოლიტიკური არასტაბილურობა უარყოფითად აისახება სოციალურ სფეროზე, იწვევს საფრთხეებისა და საშიშროებების ზრდას, რომელიც მადესტაბილიზებელ ზემოქმედებას ახდენს ქვეყნის მდგომარეობაზე და არ იძლევა პროგრესული რეფორმების გატარების საშუალებას.

ამგვარად მხოლოდ თავისი ბუნებით დემოკრატიული გარდაქმნა, სტაბილიზაცია პოლიტიკური და ზრდა ეკონომიკურ სფეროში საშუალებას იძლევა აღმოიფხვრას სიღარიბის, არასამართლიანობის სოციალური ბაზა და ორგანიზებული დანაშაულების, სპონტანური აჯანყებების, შეაირადებული კონფლიქტებისა და სხვა საფრთხეების ლიკვიდირება მოახდინოს.

### **გამოყენებული ლიტერატურა**

1. ალადაშვილი ბესიკი. ეკონომიკური უსაფრთხოება: თეორია, მეთოდოლოგია, პრაქტიკა. თბილისი, 2011.
2. ოთინაშვილი რ. ეკონომიკური უსაფრთხოება (ანალიზის ანტიკრიზისული ასპექტები). თბ. 2005.
3. Filipenco Daniil. Top 10 world problems and their solutions. 2022. <https://www.developmentaid.org/news-stream/post/147458/top-10-world-problems-and-their-solutions>
4. Кашник О. И., Брызгалина А. А. Социальная безопасность: теоретические аспекты. Ж. Образование и наука. 3, 2013.
5. Холостова Е.И. Социальная политика. 2015.

*Tea Lazarashvili,*

*Eteri kakulia*

## **GLOBAL SOCIAL THREATS AND THEORETICAL ISSUES OF THEIR IMPACT ON NATIONAL SOCIAL SECURITY**

### **Summary**

Dangers are an irreplaceable companion of life and are present at all stages of development of individuals, society, and the state. In the context of life safety, danger is the basic concept, which means possible and/or real events, processes that pose a threat to a person and that can harm his life and health under certain conditions.

Social threats are unfavorable processes and events that occur between people in society and represent a threat to human life and health, their property, rights and legal interests. The source of their formation

and development is represented by various internal and external contradictions of the development of the society in the countryside at the international level and also in various spheres of people's activities. The dangers of a social nature are related to the fact that humanity has not achieved a radical solution to numerous economic, political, ethnic, moral and other problems. In addition, at each new stage of development, some social problems, contradictions, threats become more and more intense, which forces a person to constantly search for mechanisms against them and ways to protect against them. That is why interest in the problem of safe human existence has been constantly growing in recent years. Therefore, the phenomenon of "security", "social security" is discussed in the paper. The main directions of studying the concept of security and scientific approaches to social changes are analyzed. The types of social disaster, threats and how they can affect national social security are described.

**Keywords:** social threats, social security, social disasters.

## რევაზ ჯავახიშვილი

### ზოგიერთი განვითარებული ქვეყნის - აშშ-ს /ეკონომიკური და ეკოლოგიური/, იაპონიის /ეკონომიკური და სოციალური/ უსაფრთხოების სფეროში გამოცდილების განზოგადება

**ანოტაცია.** წარმოდგენილი ნაშრომი შედგება ორი ნაწილისგან. პირველ ნაწილში განხილულია, ეკონომიკური განვითარების ცალკეული ეტაპების მიხედვით, აშშ-ს ეკონომიკური და ეკოლოგიური უსაფრთხოების პრობლემები, გაანალიზებულია ეკონომიკური და ეკოლოგიური საფრთხეების წარმოშობის საშინაო და საგარეო ფაქტორები და ნაჩვენებია მათი დაძლევის გზები. ნაშრომში ხაზგასმულია, რომ აშშ-ს ეკონომიკური და ეკოლოგიური უსაფრთხოების მთავარი გარანტი მისი ეკონომიკური სიძლიერეა. ქვეყანა აწარმოებს მსოფლიო მშპ-ს თითქმის  $\frac{1}{4}$ -ს (24,4%), რაც ეფუძნება მძლავრ ბუნებრივ-რესურსულ უზრუნველყოფას, უახლესი ტექნოლოგიების საფუძველზე ფორმირებულ სამრეწველო-ენერგეტი-

კულ ბაზას, მაღალგანვითრებულ სოფლის მეურნეობასა და აგრო-სამრეწველო კომპლექსს, რაც წარმოადგენს ქვეყნის სასურსათო უსაფრთხოების მთავარ გარანტს.

ქვეყნის სამრეწველო, სასოფლო-სამეურნეო წარმოებისა და სატრანსპორტო კომპლექსის მაღალი ტემპებით განვითარებას შედეგად მოსდევს მისი ბუნებრივი გარემოს დაბინძურება, რომლის ძირითადი მიმართულებებია: ჰაერისა და წყლის დაბინძურება, მყარი ნარჩენების ზრდა და სითბური ეფექტის გაძლიერება. ნაშრომში გაანალიზებულია გარემოს დაბინძურების გამომწვევი მიზეზები და ნაჩვენებია მათი დაძლევის გზები.

ნაშრომის მეორე ნაწილში განხილულია იაპონიის სოციალურ-ეკონომიკური უსაფრთხოების პრობლემები. ცნობილია, რომ სწორი ეკონომიკური პოლიტიკისა და სათანადო ეკონომიკური რეფორმების განხორციელებით, გასული საუკუნის მეორე ნახევარში ქვეყანამ მიაღწია არნახულ წარმატებებს, რომელიც ისტორიაში შევიდა „იაპონური სასწაულის“ სახელით. მიუხედავად ბოლო პერიოდში დიდი ეკონომიკური რყევებისა და ზრდის ტემპების შენელებისა, იგი მაინც ინარჩუნებს მაღალი სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მქონე ქვეყნის სტატუსს. ნაშრომში გაანალიზებულია იაპონიის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მაჩვენებლები, გამოვლენილია ამ მიმართულებით მიღწეული წარმატებები, არსებული გამოწვევები და ნაჩვენებია მათი დაძლევის გზები.

**საკვანძო სიტყვები:** ეკონომიკური უსაფრთხოება, ეკონომიკური საფრთხეები, სოციალური საფრთხეები, ეკოლოგიური უსაფრთხოება, გარემოს დაბინძურება, სოციალური პოლიტიკა, ეკონომიკური გარდაქმნები, ეკოლოგიური კატასტროფა, ეკონომიკური ინტერესები, კონკურენტუნარიანობა.

## შესავალი

ეკონომიკური უსაფრთხოებისა და მისი უზრუნველყოფის პრობლემა თანამედროვე ეკონომიკური თეორიის ერთ-ერთი აქტუალურთაგანია. სამეცნიერო ლიტერატურაში „ეკონომიკური უსაფრთხოების“ კატეგორია სავსებით სწორად განიხილება, როგორც ეროვნული უსაფრთხოების განუყოფელი ძირითადი ნაწილი.

ეკონომიკური უსაფრთხოება - ეს არის ეკონომიკის ისეთი მდგომარეობა, რომლის დროსაც მიიღწევა მისი მდგრადი განვითარება და ზრდა, პირადი და საზოგადოებრივი მოთხოვნილებების ოპტიმალური დაკმაყოფილება, მართვის მაღალი ხარისხი, ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე ქვეყნის ეკონომიკური ინტერესების დაცვა.

განასხვავებენ ეკონომიკური უსაფრთხოების შემდეგ დონეებს: საერთაშორისო /გლობალური და რეგიონული/; ეროვნული; რეგიონული; კერძო /საწარმოო და პიროვნული/. საერთოდ კი, ეკონომიკური უსაფრთხოების არსის განმსაზღვრელი ფაქტორებია: 1. ეროვნულ ინტერესთ შორის განსხვავება და საერთო ინტერესებიდან, მისი უფრო მეტად, განკერძოებისკენ სწრაფვა; 2. ბუნებრივი რესურსების შეზღუდულობა, ცალკეული ქვეყნების მათით უზრუნველყოფის ხარისხი მნიშვნელოვნად განსაზღვრავს და შეიცავს ამ რესურსებით სარგებლობის ეკონომიკური და პოლიტიკური ბრძოლის გამწვავების პოტენციურ შესაძლებლობას; 3. პროდუქციის წარმოებისა და გასაღების სფეროში კონკურენციის გაძლიერება, რაც იწვევს ახალ სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო ინოვაციური ტექნოლოგიების შექმნას. სწორედ ამიტომ, კონკურენტუნარიანობის ზრდა იწვევს ცალკეული ქვეყნების მიმართ ეკონომიკური საფრთხეების წარმოქმნის შესაძლებლობას.

თავისთავად ეკონომიკურ უსაფრთხოებას გააჩნია რთული შინაგანი სტრუქტურა, რომელიც შეიცავს სამ ძირითად ელემენტს:

**1. ეკონომიკური დამოუკიდებლობა.** იგი არ ატარებს აბსოლუტურ ხასიათს, რამდენადაც შრომის საერთაშორისო დანაწილება ეროვნულ ეკონომიკებს აქცევს ერთი მთლიანი მსოფლიო ეკონომიკური ჯაჭვის ურთიერთდამოკიდებულ რგოლებად. ამ პირობებში ეკონომიკური დამოუკიდებლობა გულისხმობს ეროვნულ რესურსებზე კონტროლის შესაძლებლობას, წარმოების, მისი ეფექტიანობისა და პროდუქციის ხარისხის ისეთი დონის შექმნას, რომელიც უზრუნველყოფს მის კონკურენტუნარიანობას, მსოფლიო ვაჭრობაში კოოპერაციულ კავშირებსა და მეცნიერულ-ტექნიკური მიღწევების ურთიერთგაცვლაში თანაბარი მონაწილეობის შესაძლებლობას.

**2. ეროვნული ეკონომიკის მდგრადი განვითარება და სტაბილურობა.** ეს გულისხმობს საკუთრების ყველა ფორმის დაც-

ვას, სამეწარმეო აქტივობისთვის საიმედო პირობებისა და გარანტიების შექმნას, მადესტაბილიზირებელი სიტუაციების გამომწვევი ფაქტორების შეკავებას /ეკონომიკაში კრიმინალურ სტრუქტურებთან ბრძოლა, შემოსავლების განაწილებაში სერიოზული გარღვევების თავიდან აცილება და სხვა/.

**3. თვითგანვითარებისა და პროგრესის უნარი.** იგი ძალზე მნიშვნელოვანია თანამედროვე, დინამიურად განვითარებად მსოფლიოში ინვესტიციების მოზიდვისა და ინოვაციური განვითარების ხელსაყრელი კლიმატის შექმნის, წარმოების უწყვეტი მოდერნიზაციის, მუშაკთა პროფესიული, საგანმანათლებლო და კულტურული დონის ამაღლებისთვის, რაც აუცილებელ პირობას წარმოადგენს ეროვნული ეკონომიკის მდგრადი, უსაფრთხო განვითარებისა და თვითშენარჩუნებისთვის.

1. მაშასადამე, შეიძლება ერთხელ კიდევ დავასკვნათ, რომ ეკონომიკურ უსაფრთხოებაში იგულისხმება ეკონომიკისა და ხელისუფლების სტრუქტურებისა და ინსტიტუტების ისეთი მდგომარეობა, რომელიც უზრუნველყოფს ქვეყნის ეროვნული ეკონომიკური ინტერესების, მისი სოციალური მიმართულებით განვითარებასა და თავდაცვითი პოტენციალის ამაღლების გარანტირებულ დაცვას. ე.ი. ეკონომიკური უსაფრთხოება არის არა მხოლოდ ეროვნული ინტერესების დაცვა, არამედ სახელმწიფო ინსტიტუტების მზადყოფნა და უნარი შექმნან სამამულო ეკონომიკის განვითარების ეროვნული ინტერესების რეალიზაციისა და დაცვის, ასევე, საზოგადოების სოციალურ-პოლიტიკური სტაბილურობის სათანადო მექანიზმებიც.

2. ეკონომიკურ უსაფრთხოებას გააჩნია თავისი ეკონომიკური საშიშროებები /საფრთხეები/.

**3. ეკონომიკური საფრთხეები** - ეს არის მოვლენები და პროცესები, რომლებიც უარყოფით გავლენას ახდენენ ქვეყნის ეკონომიკურ მდგომარეობაზე, ზღუდავენ პიროვნების, საზოგადოებისა და სახელმწიფოს ინტერესებს, ქმნიან საშიშროებას ეროვნული ინტერესებისა და ცხოვრების წესისთვის. ისინი შეიძლება იყოს როგორც შინაგანი, ისე გარეგანი საფრთხეები.

4. ეკონომიკური უსაფრთხოების **შინაგან საფრთხეებს** მიეკუთვნება:

- ქვეყნის ეკონომიკის სტრუქტურული დეფორმაცია;

- ქვეყნის სამეცნიერო-ტექნიკური პოტენციალის დაზიანება /ნგრევა/;
- საინვესტიციო და ინოვაციური აქტიურობის დაბალი დონე;
- სათბობ-სანედლეულო სექტორის სფეროში ქვეყნის ეკონომიკის დამოკიდებულების მაღალი ხარისხი;
- ქვეყნის ქონებრივი განშრევების/ქონებრივი დაყოფის/გამდიერება;
- ქვეყნის საზოგადოებისა და ეკონომიკის კრიმინალიზაციის დონე.

ჩამოთვლილთაგან განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ეკონომიკის სტრუქტურის დეფორმაციას, რამდენადაც ამ პრობლემის აღმოფხვრის გარეშე შეუძლებელია მყარი ეკონომიკური განვითარების მიღწევა. ამასთან დაკავშირებით, ეკონომიკის გარდაქმნა უნდა მოხდეს შემდეგი მიმართულებებით:

- წარმოების სტრუქტურის ოპტიმიზაცია მოთხოვნის სტრუქტურის გათვალისწინებით;

- ეკონომიკის იმ დარგების განსაზღვრა, რომლებიც საფუძველს ქმნიან ეკონომიკის ოპტიმალური სტრუქტურის ფორმირებისთვის;

- კაპიტალის/მათ შორის უცხოური/ მოზიდვა ეკონომიკის იმ სფეროებში, რომლებიც არსებით გავლენას ახდენენ ეკონომიკის სტრუქტურულ ძვრებზე.

შინაგან საფრთხეებთან ერთად, ქვეყნის ეკონომიკურ უსაფრთხოებაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს გარეგანი საფრთხეები, რომელთაგან აღსანიშნავია:

- დიდი ოდენობით ქვეყნის იმპორტზე დამოკიდებულება, პირველ ყოვლისა, ეს შეეხება სამომხმარებლო საქონელს, განსაკუთრებით კი - სურსათს;
- „ტვინების გადინება“, ანუ მაღალკვალიფიციური კადრების საზღვარგარეთ სამუშაოდ წასვლა;
- ქვეყნიდან საზღვარგარეთ „კაპიტალის გადინება“;
- ეკონომიკის ჭარბი ზომით ღიადობა;
- საექსპორტო-საიმპორტო ოპერაციების საჭიროებისთვის განკუთვნილი სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის განვითარების დაბალი დონე;
- საერთაშორისო პოლიტიკური მდგომარეობა [7].



საერთოდ კი, ეკონომიკურ უსაფრთხოებაზე მოქმედი ფაქტორები მოიცავენ საზოგადოებრივი საქმიანობის ყველა სფეროს - ეკონომიკურ, პოლიტიკურ, სოციალურ, სამხედრო, ეკოლოგიურ, ინფორმაციულ და სხვა სფეროებს.

ეკონომიკური უსაფრთხოების ყველა ზემოაღნიშნული საშინაო და საგარეო საფრთხეები მეტ-ნაკლებად დამახასიათებელია ნებისმიერი ქვეყნისთვის. მათი თავიდან აცილების მიზნით, საჭიროა სახელმწიფომ დროულად განახორციელოს ეკონომიკური საფრთხეების განმსაზღვრელი ფაქტორების წინასწარი სისტემატური მონიტორინგი, მოახდინოს მათი დროული დაფიქსირება და იზრუნოს მათი თავიდან აცილებისთვის.

წარმოდგენილი ნაშრომი შედგება ორი ნაწილისგან. ნაშრომის პირველ ნაწილში განხილულია მსოფლიოში ყველაზე დიდი ეკონომიკის მქონე ქვეყნის - აშშ-ს ეკონომიკური და ეკოლოგიური უსაფრთხოების, ხოლო მის მეორე ნაწილში - იაპონიის /მესამე ეკონომიკა/სოციალურ-ეკონომიკური უსაფრთხოების სფეროში მიღწეული გამოცდილება, რომელიც დიდად წაადგება როგორც სხვა განვითარებული ქვეყნების, ისე, პირველ რიგში, განვითარებადი სამყაროს ქვეყნებს ეკონომიკური, სოციალური და ეკოლოგიური უსაფრთხოების სწორი სტრატეგიის შემუშავებისა და განხორციელების საქმეში.

## **1. ეკონომიკური და ეკოლოგიური უსაფრთხოების სფეროში აშშ-ს გამოცდილება**

### **1.1 ეკონომიკური უსაფრთხოების გამოცდილება**

ამერიკის შეერთებული შტატები წარმოდგენს მსოფლიოში ყველაზე მაღალგანვითარებული ეკონომიკის მქონე ქვეყანას. ეკონომიკური უსაფრთხოების, როგორც ეროვნული უსაფრთხოების მთავარი შემადგენელი და განმსაზღვრელი ნაწილის, უზრუნველყოფას დიდი ყურადღება ექცეოდა ქვეყნის პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ყველა ეტაპზე.

ტერმინი „ეროვნული უსაფრთხოება“ პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ბრუნვაში პირველად შემოიტანა აშშ-ს პრეზიდენტმა თ. რუზველტმა 1904 წელს. 1934 წელს კი აშშ-ში შეიქმნა ეკონომიკური უსაფრთხოების პირველი სამთავრობო კომიტეტი,

რომლის ფუნქციონირების მთავარი მიზანი იყო სახელმწიფოში სოციალური მდგომარეობის სტაბილიზაცია [25].

ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია აშშ-ს საგარეო პოლიტიკის ძირითად პრინციპად იქცა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, როცა 1947 წელს პრეზიდენტმა ჰ. ტრუმენმა ხელი მოაწერა და ქვეყანაში მიღებულ იქნა კანონი ეროვნული უსაფრთხოების შესახებ. ამ კანონის თანახმად, ქვეყნის პრეზიდენტს ევალებოდა პერიოდულად კონგრესისთვის წარედგინა მოხსენება, სადაც განსაზღვრული იქნებოდა აშშ-ს პოლიტიკის მიზნები, ამოცანები და ზოგადი სურათი ქვეყნის ეროვნული უსაფრთხოების სფეროში. 1984 წელს, აშშ-ს თავდაცვის სამინისტროს რეორგანიზაციის შესახებ მიღებულ კანონში, დაზუსტდა ამ დოკუმენტის წარდგენის პერიოდულობა. კერძოდ, მისი წარდგენა სავალდებულო გახდა ყოველწლიურად. ბ. კლინტონის პრეზიდენტობის დროს კი აშშ-ს მთავრობაში შეიქმნა ეროვნული კომიტეტი, რომლის მთავარი მიზანი იყო ეროვნული ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფისთვის საჭირო ღონისძიებების შემუშავება [25].

აშშ-ს სახელმწიფო პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ცალკეული ეტაპების მიხედვით, ქვეყნის ეროვნული და ეკონომიკური უსაფრთხოების შესახებ მიდგომები იცვლებოდა და გარკვეულწილად ერთმანეთისგან განსხვავდებოდა. მაგალითად, რ. რეიგანის პრეზიდენტობის დროს, ამ მხრივ, წინა პლანზე იყო წამოწეული მსოფლიოში ეროვნული უსაფრთხოების მიღწევისა და მშვიდობის დამყარების **ძალისმიერი კონცეფცია**, რომელიც უფრო მეტად ეფუძნებოდა ქვეყნის სამხედრო ძლიერებასა და მის მისაღწევად უახლესი ინოვაციური ტექნოლოგიების გამოყენებას. ამერიკაში, რ. რეიგანის მმართველობის პერიოდში, ქვეყნის უსაფრთხოების სტრატეგია ორჯერ იქნა განხილული და მასში ცვლილებები შეტანილი. 1987 წელს მას დაემატა სპეციალური განყოფილება, რომელიც ეძღვნებოდა მსოფლიო ეკონომიკასა და საერთაშორისო საფინანსო სისტემაში თავისუფალი ვაჭრობის შესახებ რეგიონალურ და გლობალურ შეთანხმებებში აშშ-ს პოზიციების განსაზღვრას [24].

პრეზიდენტ დ. ტრამპის მმართველობის პერიოდში, 2017 წელს წარმოდგენილი უსაფრთხოების სტრატეგიაში, განსაკუთრებული ყურადღება მიექცა ოთხ ძირითად საკვანძო სფეროს. კერ-

მოდ, ეს სფეროებია: 1. ქვეყნისა და ამერიკელი ხალხის ცხოვრების წესის დაცვა; 2. ამერიკის კეთილდღეობის უზრუნველყოფა; 3. ძალისმიერი საშუალებებით მშვიდობის შენარჩუნება; 4. მსოფლიოში ამერიკული გავლენის გაფართოება.

აღსანიშნავია, რომ თუ მანამდე არსებული ადმინისტრაციების მიერ ეკონომიკური საფრთხეების ანალიზი და შეფასება ერთმანეთისგან დამოუკიდებლად, ცალკე-ცალკე ხორციელდებოდა, დ. ტრამპის ადმინისტრაცია კი მათდამი მიდგომას ახდენდა **კომპლექსურად**, რაც საშუალებას იძლეოდა ეკონომიკური საფრთხეების გამოვლენის უფრო სრული სურათის ჩვენებისთვის და ეკონომიკური უსაფრთხოების უფრო მაღალი დონის მიღწევისთვის. მაგალითად, ასეთი მიდგომებით დადგინდა, რომ ზოგჯერ ცალკეულ ქვეყნებთან სავაჭრო ურთიერთობები უფრო მეტი საფრთხის შემცველი იყო, ვიდრე მათი სამხედრო შესამღებლობეები. გაირკვა, რომ ქვეყნის სავაჭრო პოლიტიკა და არსებული სავაჭრო მექანიზმები საკმარისი არ იყო მისი ეკონომიკური უსაფრთხოების საჭირო დონის უზრუნველყოფისა და მსოფლიოში აშშ-ს პოზიციების განმტკიცებისთვის. ამის გათვალისწინებით, საჭირო გახდა ეროვნული კომპანიებისა და ამერიკელი საქონელმწარმოებლების მხარდაჭერის, უცხოური კონკურენციისგან ქვეყნის შიდა ბაზრის დაცვის, მზა პროდუქციასა და სახელმწიფო მასალებზე იმპორტდამოკიდებულების მაღალი რისკის შემცირების დამატებითი ღონისძიებების განხორციელება.

იმის გამო, რომ აშშ ძალზე გახსნილია უცხოელი სავაჭრო პარტნიორებისთვის, რომლებთანაც მას აქვს მწვავე კონკურენტული ბრძოლა, ქვეყანაში გატარდა უცხოელი კონკურენტებისგან აშშ-ს შიდა ბაზრის დაცვის უპრეცედენტო ღონისძიებები. პრეზიდენტის დონეზე განხორციელდა კვლევები საზღვარგარეთის ქვეყნებზე ამერიკული ეკონომიკის დამოკიდებულების შესახებ ისეთი მნიშვნელოვანი სახის პროდუქციასთან დაკავშირებით, როგორცაა ფოლადი, ალუმინი და სხვ. აღმოჩნდა, რომ იმდროისთვის ქვეყანაში არსებობდა მხოლოდ ერთი მწარმოებელი ისეთი მნიშვნელოვანი სახის პროდუქციისა, როგორცაა ფოლადი, რომელიც გამოიყენებოდა ელექტრონული ტრანსფორმატორების საწარმოებლად, პირველადი ალუმინის 90% კი ქვეყანაში კმაყოფილებოდა იმპორტის ხარჯზე.

კვლევის შედეგად გაირკვა, რომ ამ სფეროში არსებული ვითარება მნიშვნელოვან ზარალს აყენებდა ამერიკელ საქონელმწარმოებლებსა და ქვეყნის ეკონომიკურ უსაფრთხოებას, რის გამოც გადაისინჯა აშშ-ს საგარეო სავაჭრო პოლიტიკა და მისი განხორციელების მექანიზმები. კერძოდ, ზემოაღნიშნული სახის პროდუქციაზე დაწესდა ახალი საბაჟო გადასახადები, შეიცვალა მათი მიწოდების გეოგრაფია და სხვ.

ეროვნული და ეკონომიკური უსაფრთხოების დაცვის თვალსაზრისით, ანალოგიური კვლევები განხორციელდა მრეწველობის სხვა დარგებშიც. კერძოდ, საავტომობილო მრეწველობაში აშშ-ს ვაჭრობის სამინისტროს მიერ ჩატარებული კვლევების საფუძველზე გამოვლინდა ეროვნული საავტომობილო მრეწველობის/ქვეყნის ეკონომიკის ერთ-ერთი საკვანძო სექტორის/ განვითარების სერიოზული ეკონომიკური საფრთხეები, რომლებიც შეეხებოდა დამატებული ღირებულების წარმოებას, ინოვაციებს, დასაქმებას, საავტომობილო მრეწველობის პროდუქციაზე ეკონომიკის სხვა დარგებისა და სფეროების მოთხოვნას. გარდა ამისა, აღინიშნა იმის შესახებ, რომ ამერიკის „სამხედრო უპირატესობა“ მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია საავტომობილო მრეწველობისა და მის მიერ გენერირებული დამუშავებებისა და გამოკვლევების კონკურენტუნარიანობაზე და რომ ევროკავშირის, იაპონიის, ჩინეთისა და სხვა ქვეყნების სავაჭრო ბარიერები სერიოზულ ეკონომიკურ საფრთხეებს უქმნიან ამერიკელ ავტომწარმოებლებს.

ყოველივე ზემოაღნიშნულის დადასტურებად შეიძლება ჩაითვალოს ის ფაქტიც, რომ ბოლო პერიოდში ამერიკულ ავტობაზარზე ქვეყანაში წარმოებული ავტომობილების ხვედრითი წილი სისტემატურად მცირდება და იგი ამჟამად შეადგენს მხოლოდ 22%-ს [24]. ამასთან, აღნიშნული მაჩვენებელი მსოფლიო ბაზარზე 1995-2017 წწ. 32%-დან 12%-მდე შემცირდა, რის გამოც შესაბამისად შესუსტდა ქვეყნის საავტომობილო მრეწველობაში სათანადო გამოკვლევებისა და დამუშავებებისთვის საჭირო სახსრების დაბანდების შესაძლებლობები. ეს კი, რა თქმა უნდა, დიდ უარყოფით გავლენას ახდენს ქვეყნის, ამ სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი დარგის, მდგრად და უსაფრთხო განვითარებაზე [24].

აშშ-ს ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგიაში განსაკუთრებული ადგილი აქვს დათმობილი ქვეყნის **სამრეწველო ბაზის** -

როგორც „ამერიკული ძლიერების კრიტიკული ელემენტის“ საკითხს. აშშ-ს თავდაცვისა და ვაჭრობის სამინისტროების და სხვა უწყებების ექსპერტების შეფასებით, რომელიც შეეხება ქვეყნის გადამამუშავებელი მრეწველობისა და თავდაცვის სექტორის ინდუსტრიული ბაზისა და მომარაგების ჯაჭვის მოქნილობის განმტკიცების შეფასებას, გამოვლენილია ვრცელი ჩამონათვალი საკითხების და რისკებისა, დასმულ პრობლემასთან დაკავშირებით. კერძოდ, მათ რიცხვს მიეკუთვნება რიგი სანედლეულო მასალების, იშვიათი მეტალების, აგრეთვე, ზოგიერთი ტექნიკური მოწყობილობისა და ტექნოლოგიის იმპორტზე ქვეყნის დამოკიდებულების მაღალი ხარისხი. ამასთან, ხაზგასასმელია ის ფაქტი, რომ აღნიშნული საიმპორტო მიწოდების დიდი ნაწილი მოდის ჩინეთზე /აშშ-ს მთავარ სავაჭრო კონკურენტზე/, საიდანაც ბოლო პერიოდში /2013-16 წწ./ განხორციელდა იშვიათი მასალების საერთო იმპორტის 78% [24].

ქვეყნის წინაშე მდგარი ზემოაღნიშნული გამოწვევების გასამკლავებლად, ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგიაში დიდი ადგილი დაეთმო ამერიკელი მწარმოებლების მხარდაჭერას, იშვიათი სანედლეულო მასალების საკუთარი წარმოების გაფართოებას, პროდუქციის კონკურენტუნარიანობის ამაღლებას და, ამ მხრივ, ქვეყნის იმპორტზე დამოკიდებულების შემცირებას, რამაც გადამწყვეტი როლი უნდა შეასრულოს აშშ-ს ეკონომიკური უსაფრთხოების შემდგომ განმტკიცებაში.

ქვეყნის ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვის გაფართოება, მათი სწორი, მიზანდასახული გამოყენება და აშშ-ს ტერიტორიაზე მოქმედი უცხოური საინვესტიციო კომპანიების საქმიანობის ხელშეწყობა. მონაცემებით დასტურდება, რომ ბოლო პერიოდში შეიმჩნევა აშშ-ში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემოდინების შემცირება. მაგალითისთვის, 2018 წელს, 2016 წელთან შედარებით, ქვეყანაში უცხოური ინვესტიციების შემოსვლა 471,8 მლრდ აშშ დოლარიდან 251,8 მლრდ აშშ დოლარამდე, ანუ 47,4%-თ შემცირდა. თუმცა, აშშ დაგროვილი უცხოური ინვესტიციების მიხედვით მოწინავე ადგილზე იმყოფება და იგი ითვლება ინვესტიციების მიმღებ ერთ-ერთ მთავარ ქვეყნად მსოფლიოში. ამ მაჩვენებლის მიხედვით /4,6 ტრი-

ლიონი აშშ დოლარი/ აშშ-მ გაუსწრო სამ დიდ ქვეყანას /დიდი ბრიტანეთი, გერმანია და საფრანგეთი/, რომლებიც აღნიშნული მაჩვენებლის მიხედვით ასევე ითვლებიან მსოფლიოს ლიდერ ქვეყნებად [24].

ამერიკულ ბაზრზე, პროდუქციის მიწოდებისა და უცხოური კომპანიების მიერ ამერიკული აქტივების შეძენის რისკების კვლევის შედეგების გათვალისწინებით, მოხდა ეროვნული კომპანიების უფლებამოსილების გაფართოება. იმავდროულად, მიღებულ იქნა „კანონი უცხოური ინვესტიციების რისკების განხილვის მოდერნიზაციის შესახებ“, რომლითაც ეროვნული უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით, მნიშვნელოვნად შეიზღუდა ქვეყანაში უცხოური საკუთრების შექმნისა და ფუნქციონირების შესაძლებლობები.

სათანადო მონაცემებისა და ფაქტების ანალიზის შედეგად შეიძლება დავაკვანთ, რომ საგარეო ეკონომიკური ფაქტორები - ახალი ტარიფების დაწესება და აშშ-ს ტერიტორიაზე უცხოური კომპანიების საქმიანობის გადასინჯვა, მიმართული იყო ეროვნული ბიზნესის დასაცავად. ქვეყნის შიგნით კი, აქცენტი კეთდებოდა უფრო მეტად კონკურენტული მექანიზმის სრულყოფაზე, საგადასახადო ტვირთების შემცირებასა და ეკონომიკური სტიმულირების გაძლიერებაზე. ამ მიმართულებით, განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო სამეცნიერო-ტექნიკური გამოკვლევების, ახალი ტექნოლოგიების გამოყენებისა და ინოვაციური საქმიანობის სფეროში აშშ-ს პოზიციების განმტკიცებას, როგორც თანამედროვე გლობალურ სამყაროში კონკურენტუნარიანობის ამაღლების აუცილებელ პირობას, რაც, საბოლოო ჯამში, მიმართული იყო ქვეყნის ეკონომიკური უსაფრთხოების დონის ამაღლებაზე.

ბოლო პერიოდში, აშშ-ში სისტემატურად ხორციელდება ღონისძიებები, რომლებიც ითვალისწინებენ კომპანიებისთვის საქმიანობის ხელსაყრელი პირობების შექმნას, ქვეყნის სამრეწველო-ინდუსტრიული ბაზის განმტკიცებასა და სრულყოფას. ამის ნათელი დადასტურებაა ქვეყანაში სლოგანის შექმნა - **„შეიძინე ამერიკული“**, რომელიც პრიორიტეტს ანიჭებს ეროვნული წარმოების პროდუქციას პირადი მოხმარებისა და სახელმწიფო შესყიდვების პროცესში.

ეკონომიკური ზრდის სტიმულირების, ეკონომიკური აქტივობისა და, იმავდროულად, უცხოური კონკურენციისგან ეროვნული წარმოების დაცვისა და, საერთოდ, ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით ქვეყანაში გატარებული ღონისძიებები არაერთნაირად აღიქმება ამერიკულ საზოგადოებაში. ქვეყანაში საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვის შედეგად გაირკვა, რომ 2017-18 წწ. /პრეზიდენტ დ. ტრამპის მმართველობის პერიოდი/ განხორციელებული ფედერალური რეგულირების შედეგად მიღებული „ერთობლივი ტვირთის“ შესუსტება დადებითად აღიქვა საზოგადოების დიდმა ნაწილმა. გელაპის ინსტიტუტის გამოკითხვის მონაცემების თანახმად, ამერიკელები თვლიან, რომ 2010-17 წწ. /პრეზიდენტ ბ. ობამას მმართველობის პერიოდი/ სახელმწიფო რეგულირების შედეგად საგადასახადო ტვირთი შემცირდა **მალიან დიდად**, 50%-დან - 45%-მდე. 2018 წელს კი მოსახლეობის 39% თვლიდა, რომ რეგულირება განხორციელდა **„საჭირო ზომით“**, რაც ბოლო წლების განმავლობაში მოწონების ყველაზე მაღალი დონის მაჩვენებელს წარმოადგენს.

როგორც უკვე აღინიშნა, ახალი ტარიფები, როგორც ეროვნული ეკონომიკის დაცვისა და მისი უსაფრთხოების ინსტრუმენტი, ამერიკის მოსახლეობის დიდმა ნაწილმა აღიქვა პოზიტიურად. ქვეყნის მოსახლეობის 72% თვლის, რომ ახალი ტარიფები, რომელსაც აშშ და ჩინეთი იყენებენ ერთმანეთთან ეკონომიკური ურთიერთობების პროცესში, გავლენას არ ახდენს მათი ოჯახის ფინანსურ მდგომარეობაზე, ამასთან, მათ შორის, ვინც თვლის, რომ **გარკვეულად შეიგრძნო** ახალი ტარიფების გავლენა, მნიშვნელოვნად მეტია მათზე, ვინც თვლის, რომ ახალმა ტარიფებმა **გააუარესა** /17%/, ვიდრე მათზე, ვისაც მიაჩნია, რომ **გააუმჯობესა** მათი ოჯახების ფინანსური მდგომარეობა [24].

ის, რომ აშშ არის მსოფლიოში ყველაზე მაღალგანვითარებული ეკონომიკის ქვეყანა, სწორედ ეს წარმოადგენს მისი ეკონომიკური უსაფრთხოების მთავარ განმსაზღვრელ ფაქტორს. 2021 წელს მსოფლიო მშპ-მ შეადგინა 94 ტრილიონი აშშ დოლარი, აქედან 22,9 ტრილიონი აშშ დოლარი (მსოფლიო მშპ-ს 24,4%, ანუ თითქმის მეოთხედი) შექმნა აშშ-მ. ქვეყნის მშპ-ს შექმნაში ყველაზე დიდი წვლილი შეიტანა:

1. საფინანსო, სადაზღვევო და უძრავი ქონების სექტორმა - 4,7 ტრილიონი აშშ დოლარი (20,5%);
2. პროფესიულმა და საქმიანმა სექტორმა - 2,7 ტრილიონი აშშ დოლარი (11,8%);
3. ეკონომიკის სახელმწიფო სექტორმა - 2,6 ტრილიონი აშშ დოლარი (11,4%);

აშშ-ს ხვედრიწილი მსოფლიო მშპ-ში ისტორიულად იცვლებოდა ნახტომებისებურად და სხვადასხვა მიმართულებით. ასე, მაგალითად, 1800 წელს ეს მაჩვენებელი შეადგენდა 2%-ს, 1900 წელს - 10%-ს, ხოლო მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ - 50%-ზე მეტს. მას შემდეგ ამ მიმართულებით ლოკალურ პიკს ადგილი ჰქონდა 1985 და 2000 წლებში, როცა მან ორივე შემთხვევაში 32%-ს გადააჭარბა. 2001 წლიდან კი იწყება მსოფლიო მშპ-ში აშშ-ს ხვედრიწილის შემცირების ტენდენცია [10].

საინტერესოა ზოგიერთი მონაცემი მსოფლიო მშპ-ს საპროგნოზო განვითარების შესახებ. თუ 1970 წლის 3 ტრილიონიდან დღემდე მსოფლიო მშპ 30-ჯერ და მეტად გაიზარდა, საპროგნოზო მონაცემებით 2022/23 წწ. იგი გადააბიჯებს 100 ტრილიონიან ნიშნულს და 2025 წლისთვის მიაღწევს 180 ტრილიონ აშშ დოლარს. ამასთან, მნიშვნელოვნად შეიცვლება ცალკეული ქვეყნების მონაწილეობა მსოფლიო მშპ-ს შექმნაში. ამ მხრივ, ძალზე დიდი პერსპექტივა აქვს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკას, რომლის წილი მსოფლიო მშპ-ში ძალზე სწრაფად იზრდება. იგი 1960-80-იანი წლების 5%-დან 2021 წელს გადიდა 17,9%-მდე და სადღეისოდ აშშ-ს ანალოგიურ მაჩვენებელს ჩამორჩება 26%-ით. საპროგნოზო მონაცემებით, ამ მხრივ ჩინეთი აშშ-ს გადაასწრებს 2028-დან 2035 წლების მონაკვეთში. ამასთან, აშშ-ს მშპ-ში დიდი ნაწილს იკავებს მომსახურება, წარმოების მოცულობის მიხედვით კი, ჩინეთი უკვე უსწრებს აშშ-ს და გვევლინება ლიდერ ქვეყნად ფოლადის, ელექტროტექნიკისა და რობოტოტექნიკის წარმოების დარგში. მშპ-ს მსყიდველობითი უნარიანობის პაარიტეტის მიხედვით ჩინეთი ითვლება მსოფლიოში პირველ ქვეყნად უკვე 2014 წლიდან [10]. ცხადია, ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ცალკეული ქვეყნების მიხედვით სამომავლოდ მნიშვნელოვნად შეიცვლება ეკონომიკური განვითარებისა და მისი უსაფრთხოების უზ-



რუნველყოფის მიდგომები და ხერხები, მათი განხორციელების საშუალებები.

აშშ-ს ეკონომიკაში წამყვანი ადგილი უკავია **მრეწველობას**, რომელიც ქმნის ქვეყნის მშპ-ს 22%-ზე მეტს [15]. მსოფლიო განვითარებულ ქვეყნებს შორის ამერიკა დიდხანს იყო ინდუსტრიული განვითარების ლიდერი. თუმცა, გასული საუკუნის 80-იანი წლების ბოლოს ქვეყნის ინდუსტრიული სექტორი გარკვეულად შემცირდა როგორც საზღვარგარეთ ამერიკული კომპანიების აუთსორინგის შედეგად, ასევე იაფი სამუშაო ძალის მქონე ქვეყნების მხრივ კონკურენციის გაძლიერების გამო.

ქვეყნის სამრეწველო განვითარება ეფუძნება მტკიცე **ენერგეტიკულ** ბაზას. ამ მხრივ ძალზე დიდია ქვანახშირის მრეწველობის როლი, რომელიც ქვეყნის 15-ზე მეტ შტატში ხორციელდება, რომელთაგან აღსანიშნავია - კენტუკი, დას. ვირჯინია, პენსილვანია, ვაიომინგი. აშშ-ს ქვანახშირის მოპოვებაში მსოფლიოში მესამე ადგილი უკავია ჩინეთისა და ინდოეთის შემდეგ.

ქვეყანა მდიდარი **გაზისა და ნავთობის საბადოებით**, რფომლებიც ძირითადად განლაგებულია ტეხასის შტატში. აშშ-მ 2018 წელს, ნავთობის მოპოვების მოცულობის მხრივ, პირველად დაიკავა მსოფლიოში მე-2 ადგილი /საუდის არაბეთის შემდეგ; რუსეთმა კი ამ მხრივ პირველად წამოიწია მე-3 ადგილზე/, რაც განპირობებული იყო აშშ-ში ნავთობის ახალი საბადოების ამუშავებითა და ფიქალის ნავთობის მოპოვების გადიდებით.

აშშ-ს მსოფლიოში უკავია პირველი ადგილი ელექტროსადგურების ჯამური სიმძლავრეებისა (800 მლნ კვტ-ზე მეტი) და გამომუშავებული ელექტროენერჯის მიხედვით, რომლის 60% მოდის თბოელექტროსადგურებზე, 19% - ატომურ ელექტროსადგურებზე, 7% - ჰიდროელექტროსადგურებზე, 6% - განახლებად ენერჯიაზე [22].

აშშ-ს მატერიალური წარმოების საფუძველს **გადამამუშავებელი მრეწველობა** წარმოადგენს, რომლის წამყვანი დარგია მანქანათმშენებლობა და რომლის პროდუქციის დიდი ნაწილი მიდის ექსპორტზე. ამ მხრივ განსაკუთრებით გამოირჩევა მანქანამოწყობილობების, ავიარაკეტული ტექნიკის, ელექტროგამომთვლელი მანქანების, ატომური ელექტროსადგურების მოწყობილობის, ელექტროტექნიკის და სხვა პროდუქციის მწარმოებელი

დარგები. ავტოქარხნების დიდი ნაწილი კონცენტრირებულია ქვეყნის 26 შტატში, მათგან მიჩიგანის შტატზე მოდის ქვეყანაში გამოშვებული ავტომანქანების 1/3. მათი წარმოების ძირითადი კომპანიები და ცენტრებია: „ფორდი“ (დეტროიტი), „კადილაკი“ (ლენსინგი), „კლიმუტი“ (დეტროიტი), „შევროლე ბიუიკი“ (ფლინტი). საავტომობილო მრეწველობას აკონტროლებს მონოპოლია „ჯენერალ მოტორსი“.

ბოლო პერიოდში ქვეყანაში დიდი გაქანება მიიღო ავიარაკეტულ-კოსმიურმა მრეწველობამ. მანქანათმშენებლობის ყველაზე სწრაფად მზარდი დარგია **რადიოელექტრონული აპარატურისა და კავშირგაბმულობის ასშუალებათა წარმოება**. სხვა დარგებისგან განხვავებით, იგი ქვეყნის ტერიტორიაზე მეტ-ნაკლებად თანაბრადაა განლაგებული, თუმცა თითოეული მათგანი ერთმანეთისგან განსხვავებულია საწარმოო სპეციალიზაციის ნიშნის მიხედვით.

**ქიმიური მრეწველობა**, მანქანათმშენებლობასთან ერთად, გადამამუშავებელი მრეწველობის წამყვანი დარგია, რომელიც ქვეყანაში ზრდის მაღალი ტემპებით ხასიათდება. სტრუქტურულ-სანედლეულო ძვრებმა განაპირობა ჩრდილოეთის შტატებიდან მისი სამხრეთში გადანაცვლება, რომელიც მდიდარია ენერგეტიკული რესურსებით, ნახშირწყალბადოვანი და სამთო-ქიმიური ნედლეულით. სამხრეთის საწარმოები უშვებენ ქვეყანაში წარმოებული პოლიმერული მასალების  $\frac{3}{4}$ , ტექნიკური ქიმიკატებისა და სასუქების ნახევარზე მეტს.

აშშ-ს **შავი მეტალურგია** დაფუძნებულია არა საკუთარი რკინის მადნის მარაგებზე (მისი დაბალი ხარისხისა და მოპოვების მაღალი თვითღირებულების გამო), არამედ კანადიდან და ვენესუელადან შემოზიდულ რკინის მადანზე. ბოლო დროს დიდი გაქანება მიიღო ე.წ. გადამამუშავებელმა მეტალურგიამ, რომელიც დაფუძნებულია რკინის ჯართის გამოყენებაზე.

**ფერადი მეტალურგია**, მიუხედავად მისი წარმოების მოცულობის შემცირებისა და იმპორტის ზრდისა, მას მაინც მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ქვეყნის გადამამუშავებელ მრეწველობაში. მისი საწარმოები განლაგებულია წყნარი ოკეანის ჩრდილო-დასავლეთ და სამხრეთ-დასავლეთის რაიონებში, რომლებიც უზრუნველყოფილია იაფი ენერგეტიკული რესურსებით.

აშშ-ს ეკონომიკაში მნიშვნელოვანი ადგილი განეკუთვნება **მსუბუქი მრეწველობის** დარგებს /განსაკუთრებით ტექსტილურ და სამკერვალო მრეწველობას/, რომლებიც უმეტესად განთავსებული ქვეყნის სამხრეთ ნაწილში. აშშ-ში მალე დონეზე განვითარებული **კვების მრეწველობა**. მისი მნიშვნელოვანი დარგებია: ხორცის, რძის, ალკოჰოლიანი და უალკოჰოლო სასმელების, საკონსერვო და საფუკავი წარმოება, რომელთა საწარმოები ქვეყნის მასშტაბით თანაბარ-ზომიერადაა განლაგებული. ქვეყნის ეკონომიკაში დიდ როლს თამაშობს **პოლიგრაფია** (ნიუ-იორკი, ჩიკაგო, სან-ფრანცისკო და სხვ.), **კინოინდუსტრია** - ლოს-ანჯელესი (პოლივუდი), ნიუ-იორკი - **აუდიო-ვიდეო კასეტების** წარმოება.

ქვეყნის ეკონომიკური უსაფრთხოების /პირველ რიგში, სასურსათო უსაფრთხოების/ უზრუნველყოფაში განსაკუთრებულად მნიშვნელოვანი როლი ეკუთვნის საზოგადოების არსებობა-განვითარებისთვის სასიცოცხლოდ აუცილებელი დარგს - **სოფლის მეურნეობას**. აშშ-ს აქვს მსოფლიოში ყველაზე მაღალგანვითარებული სოფლის მეურნეობა, თითქმის ყველა მისი ცალკეული დარგების მიხედვით. ქვეყნის მიწის ფონდი შეადგენს 70 მლნ ჰექტარს, რომლის 20% არის სახნავ-სათესი. აშშ განთავსებულია ზომიერი კლიმატისა და სუბტროპიკულ სარტყელში, სადაც ყველა პირობაა სოფლის მეურნეობის კულტურების, დაწყებული ხორბლისა და სიმინდის და დამთავრებული ბამბის, ციტრუსებისა და შაქრის ლერწმის წარმოებით.

აშშ-ში ხორბალსა და სიმინდს სერიოზულ კონკურენციას უწევს სოიო, რომლის მსოფლიო წარმოების 60% მოდის აშშ-ზე. ქვეყნის მცენარეულ ზეთზე საერთო მოთხოვნის 65%-ზე მეტი იფარება სოიოს ზეთის ხარჯზე. იგი ფართოდ გამოიყენება კომბინირებული საკვებისა და კონცენტრატების წარმოებაში.

აშშ-ს სოფლის მეურნეობაში **ბოჭკოვან კულტურათა** შორის განსაკუთრებული ადგილი უკავია **ბამბას**, რომელიც ისტორიულად ითვლებოდა ძირითად საექსპორტო პროდუქტად. თუმცა, ბოლო პერიოდში მისი სათესი ფართობები და წარმოების მოცულობა ქვეყანაში მნიშვნელოვნად შემცირდა. ეს განაპირობა ქიმიური ბოჭკოების წარმოების სწრაფმა განვითარებამ და ბევრ ქვეყანაში ბამბის კულტურის წარმოების გაფართოებამ, სადაც იგი გაცილებით იაფია.

აშშ-ს მსოფლიოში პირველი ადგილი უკავია **თამბაქოს** წარმოებაში, რომელიც უფრო მეტად განვითარებულია სამხრეთ-აღმოსავლეთის შტატებში. მისი ფართობი შედარებით მცირეა, ვინაიდან იგი ძალზე შრომატევადი კულტურაა და თხოვლობს დიდი ოდენობით ხელით შრომას. თამბაქოს აწარმოებენ უმეტესად წვრილი ფერმერები, რომლებიც თავიანთ პროდუქციას აწვდიან თამბაქოს ფაბრიკების მქონე მსხვილ მონოპოლიებს.

აშშ-ში შაქარი იწარმოება როგორც შაქრის წარხლის, ისე ლერწმისგან. თავისი შაქარი ქვეყანას არ ჰყოფნის და მოთხოვნის 50% კმაყოფილდება პურტო-რიკოდან, ფილიპინებიდან და სხვა ქვეყნებიდან მისი იმპორტის ხარჯზე.

აშშ-ში ძალზე დიდი ყურადღება ექცევა **მეხილეობისა და მებოსტნეობის** განვითარებას, რომელიც კონცენტრირდება უმეტესად იმ რაიონებში, სადაც არსებობს მათი წარმოების ხელსაყრელი პირობები /კალიფორნია და ფლორიდა/, რომელთა წილად მოდის მოყვანილი ხილის 70%, ხოლო ციტრუსების - 100%. ორივე ეს შტატი, ატლანტისპირა დაბლობთან ერთად, გვევლინება ადრეული და ზამთრის ბოსტნეულის, აგრეთვე, ყვავილების ძირითად მწარმოებლად. **კარტოფილის** წარმოება კი უფრო მეტად ხორციელდება მთიანი დასავლეთის შტატებში.

როგორც სახელმწიფო საჭიროებების, ისე მოსახლეობის მოთხოვნების დაკმაყოფილებაში დიდ როლს ასრულებს ქვეყნის სოფლის მეურნეობის მნიშვნელოვანი დარგი - **მეცხოველეობა**, რომელსაც უმეტესად **მეხორცული** მიმართულება აქვს. **სარძევე მიმართულების** მეცხოველეობა კი შემცირების ტენდენციით ხასიათდება.

მეხორცული მიმართულების განვითარების მთავარი განმსაზღვრელია საკვები ბაზა. მოზარდი საქონლის გამოსაკვებად არაა საჭირო კონცენტრირებული საკვები, მათი გამოზრდა ძირითადად კონცენტრირებულია დიდი სივრცობრივი საძოვრების რაიონებში, უმეტესად მთიან შტატებსა და დიდ ზეგანებზე. შემდგომ გამოსაკვებად კი ხდება მათი გადაყვანა კონცენტრირებული საკვებით უზრუნველყოფილ რაიონებში, ე.წ. სიმინდის სატრყელში, სადაც არსებობს მსხვილი მეურნეობები, ე.წ. „ხორცის ფაბრიკები“. აქვეა საკმაოდ მაღალ დონეზე განვითარებული მეღორეობა და ბეკონური გამოკვება.

ქვეყანაში სწრაფად ვითარდება **მეფრინველეობა და საბროილერო მეურნეობა**, რომლის 90% კონცენტრირებულია სამხრეთ-აღმოსავლეთის შტატებში /ჯორჯია, ალაბამა, ჩრდ. და სამხ. კოროლინა/, რაც განპირობებულია თბილი კლიმატითა და იაფი სამუშაო ძალით, რაც ხელსაყრელ პირობებს ქმნის ფრინველის გამოზრდის დანახარჯების შემცირებისთვის. საბროილერო მეურნეობა არის ქვეყნის სოფლის მეურნეობის ერთ-ერთი ყველაზე ინდუსტრიული დარგი, სადაც ძალზე მაღალია წარმოებისა და კაპიტალის კონცენტრაციის დონე.

აშშ-ს სოფლის მეურნეობაში, ტექნიკური პროგრესის გაღრმავებასთან ერთად, სისტემატურად ხორციელდება ფერმერების სპეციალიზაციის გაძლიერება. აღსანიშნავია, რომ ქვეყნის სოფლის მეურნეობის პროდუქციის 90%-ს აწარმოებენ სპეციალიზებული ფერმერები, რომლებიც თავიანთი შემოსავლის ნახევარზე მეტს ღებულობენ ერთი რომელიმე პროდუქტის რეალიზაციის შედეგად.

ქვეყნის ეკონომიკური უსაფრთხოების განმსაზღვრელ **საგარეო ფაქტორთა** შორის ყველაზე მნიშვნელოვანია მისი მონაწილეობა **საგარეო სავაჭრო ურთიერთობებში**. აშშ არის ყველაზე დიდი ექსპორტიორი და იმპორტიორი ქვეყანა მსოფლიოში. 2020 წელს მისმა საგარეო სავაჭრო ბრუნვამ შეადგინა 4,891 ტრილიონი აშშ დოლარი, ანუ ქვეყნის მშპ-ს 21,4%. აქედან **ექსპორტი** იყო 2 116 მლრდ აშშ დოლარი, ანუ მისი გარეო ბრუნვის 43,3%, ქვეყნის მშპ-ს 10,1% და მსოფლიო ექსპორტის დაახლოებით 11%; ამავე წელს მისი იმპორტი იყო 2 775 მლრდ აშშ დოლარი, ქვეყნის მშპ-ს 13,2% და მსოფლიო იმპორტის 16,4%. 2000-2020 წწ. მისი საგარეო სავაჭრო ბრუნვა თითქმის გაორმაგდა, 2020 წ. კი, წინა წელთან შედარებით, პანდემიის გამო, 13%-ით შემცირდა [13].

**ექსპორტის ძირითადი მიმართულებები** 2020 წ. იყო: კანადა /17,8%/, მექსიკა /14,8%/, ჩინეთი /8,7%/, იაპონია /4,5%/, დიდი ბრიტანეთი /4,1%/, გერმანია /4%/, სამხრეთ კორეა /3,6%/, ნიდერლანდები /3,2%/, ბრაზილია /2,5%/, აზიის სხვა ქვეყნები /2,1%/. **ექსპორტის სტრუქტურა** კი შემდეგი ძირითადი ჯგუფების სახით იყო წარმოდგენილი: ბირთვული რეაქტორები, ქვაბები, მექანიკური მოწყობილობა და მათი ნაწილები /11,9%/; ელექტრული მანქანები და მოწყობილობა, ხმის ჩამწერი აპარატურა /11,3%/; მინერალური სათბობი, ნავთობი და ნავთობპროდუქტები /10,8%/;

სახმელეთო სატრანსპორტო საშუალებები, მათი მოწყობილობა და ნაწილები /7,4%/; ოპტიკური, ფოტოგრაფიული, კინემატოგრაფიული, საზომი, საკონტროლო, სამედიცინო და ქირურგიული აპარატები და ინსტრუმენტები /16,75%/; საფრენი და კოსმიური აპარატები და მათი მოწყობილობა /5,7%/; პლასტმასები და მათი ნაწარმი /4,2%/; მარგალიტი, ძვირფასი ქვები, ძვირფასი მეტალები, მეტალები და მათი ნაწარმი, ბიჟუტერია, მონეტები /4,1%/; ფარმაცევტული პროდუქცია /3,8%/; სხვა საქონელი /3%/.

2020 წელს აშშ-ს იმპორტის მიხედვით უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორები იყვნენ: ჩინეთი /19%/, მექსიკა /13,6%/, კანადა /11,4%/, იაპონია /5,1%/, გერმანია /4,9%/, ვიეტნამი /3,5%/, სამხრეთ კორეა /3,3%/, შვეიცარია /3,2%/, ირლანდია /2,7%/, აზიის სხვა ქვეყნები /2,6%/. ექსპორტის სტრუქტურა კი წარმოდგენილი იყო შემდეგი ძირითადი სასაქონლო ჯგუფებით: ბირთვული რეაქტორები, ქვაბები, მექანიკური მოწყობილობა და მათი ნაწილები /15,1%/; მსუბუქი ავტომობილები /6,1%/; გამომთვლელი მანქანები და მათი ბლოკები, მაგნიტური ან ოპტიკური სათვლელი მოწყობილობა, ინფორმაციის გადამტანი და დამამუშავებელი მანქანები /4,8%/; ტელე და რადიომუწყებლობის აპარატურა /4,2%/; სამკურნალო საშუალებები /3,4%/; ნავთობი და ნავთობპროდუქტები /4,5%/; სატრანსპორტო საშუალებების მოწყობილობა და ნაწილები /2,5%/; ადამიანისა და ცხოველის სისხლი, შრატები, ვაქცინები /2,1%/; ოქრო, დაუმუშავებელი ან ნახევრად დამუშავებული /1,5%/.

აშშ-ს საგარეო ვაჭრობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრობლემაა მაღალი სავაჭრო დეფიციტი, რომელმაც 2020 წელს 659 მლრდ აშშ დოლარი შეადგინა. ამასთან, იგი ზრდის ტენდენციით ხასიათდებოდა 2000-2020 წ.წ. ის 73,4% გაიზარდა და 2020 წელს ექსპორტით იმპორტის გადაფარვამ შეადგინა მხოლოდ 68,9%. ამერიკულ კორპორაციებს მთელ მსოფლიოში მწვავე კონკურენტული ბრძოლა უხდებათ, როგორც ევროპულ და იაპონურ კორპორაციებთან, ასევე, ჩინურ და სხვა აზიურ, აგრეთვე ლათინურ და სხვა სავაჭრო-სამრეწველო კომპანიებთან. ცხადია, კონკურენტუნარიანობის ფაქტორმაც იმოქმედა სავაჭრო დეფიციტის ზრდაზე, რომელმაც 2020 წ. შეადგინა აშშ-ს ექსპორტის 31,1%.

ეს მდგომარეობა იმითაც უნდა აიხსნას, რომ აშშ ახდენს დიდი მოცულობით ნედლეულისა და მასალების იმპორტს, ხოლო

მის ექსპორტში ჭარბობს მზა ნაწარმი. დეფიციტს, შესაბამისად განაპირობებს შემოტანილი ნედლეულისა და სათბობის ღირებულების, გატანილი მზა ნაწარმის ღირებულებაზე გადამეტება. ამასთან, მისასაღმებელია ის გარემოება, რომ დადებითი სალდო ფიქსირდება მეცნიერებატევადი პროდუქციით ვაჭრობაში, რომელ ბაზრზეც აშშ-ს უკავია მსოფლიოში წამყვანი პოზიცია.

საერთოდ კი, ქვეყნის ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფის ინტერესებიდან გამომდინარე, აშშ-მ უნდა იზრუნოს სავაჭრო დეფიციტის შემცირებაზე, რაც მიღწეულ უნდა იქნას ექსპორტ-იმპორტის სასაქონლო სტრუქტურის სრულყოფის, ქვეყნის საექსპორტო პოტენციალის ამალეებისა და ექსპორტის შემდგომი დივერსიფიკაციის საფუძველზე.

ყოველივე ზემოთ მოტანილი მსჯელობის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ აშშ სადღეისოდ არის ყველაზე მაღალგანვითარებული პოსტინდუსტრიული ქვეყანა, რომელიც წარმატებით გადადის „ზეტექნოლოგიების“ ეპოქაზე. მისი ეკონომიკისთვის დამახასიათებელია ყველა თანამედროვე დარგების კომპლექსური განვითარება და ზრდის მაღალი ტემპები, უახლესი ტექნიკისა და ტექნოლოგიების გამოყენება, განათლებისა და მოსახლეობის დასაქმების მაღალი დონე. მოსახლეობის 2/3 დასაქმებულია არასაწარმოო სფეროში, 2,7% - სოფლის მეურნეობაში, ხოლო დანარჩენი - მრეწველობაში, მშენებლობაში და ტრანსპორტზე. შრომითი რესურსების ასეთი განაწილება მეტყველებს ეკონომიკის მაღალი მწარმოებლურობის დონეზე, რომლისთვისაც დამახასიათებელია წარმოებისა და კაპიტალის მაღალი კონცენტრაცია, მონოპოლიების სახელმწიფოსთან შერწყმა და სახელმწიფო-მონოპოლისტური კაპიტალიზმის სწრაფი განვითარება.

შემთხვევითი როდია, რომ ქვეყნის მატერიალური წარმოების სფეროში გადამწყვეტ როლს თამაშობენ მსხვილი კორპორაციები: „ფილიპ მორისი“, „ჯენერალ მოტორსი“, „ფორდი“, „ჯენერალ ელექტრიკი“, „მობილი“, „ბოინგი“ და ბევრი სხვა. მსოფლიო ტრანსნაციონალურ კორპორაციათა შორის 2/5 ამერიკულია, რომელთა მეშვეობით აშშ ახდენს მნიშვნელოვან გავლენას სხვა დიდი ქვეყნების ეკონომიკასა და პოლიტიკაზე.

ქვეყნის ეკონომიკური და პოლიტიკური სიძლიერე დაფუძნებულია მაღალი დონის განათლებასა და მეცნიერებაზე, ტრანს-

პორტზე, კომუნალურ, ენერგეტიკულ, ეკოლოგიურ და სამხედრო-სამრეწველო კომპლექსებზე. ყოველივე ეს კი სათანადო პირობებს ქმნის აშშ-ს ეროვნული და ეკონომიკური უსაფრთხოების მაღალი დონის შექმნისთვის, რომლის შენარჩუნება და შემდგომი განვითარება ამერიკის სახელმწიფოსა და საზოგადოების მუდმივი ზრუნვის საგანს წარმოადგენს.

## **1.2 ეკოლოგიური უსაფრთხოების გამოცდილება**

ამერიკის შეერთებულ შტატებს უკავია ჩრდილოეთ ამერიკის მატერიკის დიდი ნაწილი, სხვა ქვეყნებთან შედარებით, აქვს ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობა, ბუნებრივ-კლიმატური პირობები და მდიდარი ბუნებრივი რესურსები.

ქვეყნის წიაღისეული სიმდიდრის სიუხვე, ერთი მხრივ, ხელსაყრელ პირობებს ქმნის მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის განვითარებისთვის, ხოლო, მეორე მხრივ, მათი მაღალი ტემპებით ზრდას შედეგად მოსდევს ბუნებრივი გარემოს დაბინძურება, ეკოლოგიური მდგომარეობის გაუარესება. თანამედროვე ეტაპზე აშშ-ს ძირითადი ეკოლოგიური პრობლემებია:

1. ჰაერის დაბინძურება;
2. წყლის ხარისხის გაუარესება;
3. მყარი საყოფაცხოვრებო ნარჩენების მოცულობის ზრდა;
4. სითბური ეფექტის გაძლიერება;

გარემოს დაბინძურების აქ ჩამოთვლილი ასპექტები, პირდაპირი შედეგია დედამიწის ეკოსისტემაში ადამიანის უშუალო ჩარევისა. ყველა ისინი, ერთად აღებული, მნიშვნელოვნად აუარესებენ თითოეული ადამიანისა და მთელი საზოგადოების ცხოვრების ხარისხს, იწვევენ უარყოფით გლობალურ შედეგებს პლანეტის მასშტაბით.

**ატმოსფეროს გაჭუჭყიანება (ჰაერის დაბინძურება)** - აშშ-ს ერთ-ერთი მთავარი პრობლემაა, რომლის ძირითადი წყაროა სატრანსპორტო საშუალებებისა და მრეწველობის ინტენსიური განვითარება. აშშ-ს ლიდერი ქვეყნის პოზიცია უკავია მსოფლიოში საავტომობილო, გემებისა და მანქანათმშენებლობის, სამთო, ქიმიური, ელექტრონული, ფარმაცევტული, კვებისა და მრეწველობის სხვა დარგებში, რაც დიდ გავლენას ახდენს გარემო პირობების გაუარესებაზე. დიდი ოდენობით სამრეწველო ნარჩენები და სატრანს-



პორტო გამონაბოლქვი შეიცავს მომწამვლელ ნივთიერებებს, რომლისგან გაწმენდა ყოველთვის არ ხდება დასაშვები კონცენტრაციის დონემდე, რის გამოც ადამიანი იძულებულია ისუნთქოს გოგირდით, ტყვიით, თუთიითა და სხვა ტოქსიკური ნივთიერებებით გაჯერებული ჰაერი, რაც იწვევს სხვადასხვა სახის დაავადებების გავრცელებას.

ქვეყანაში კვლავ მწვავე პრობლემად რჩება წყლის სისტემის დაბინძურება. აშშ-ში სასმელი წყლის დანახარჯი ყოველწლიურად შეადგენს 0,5 ტრლნ კუბომეტრს, უმსხვილესი მომხმარებელია, აგრეთვე, მრეწველობა, სოფლის მეურნეობა და კომუნალური მეურნეობა, რომელთა საქმიანობის შედეგად ჩრდილოეთ ამერიკის წყალსადენების 120 ათას კმ-ზე მეტი დაბინძურებულია [19].

ისე როგორც მთელ მსოფლიოში, აშშ-იც სასოფლო-სამეურნეო და სამრეწველო საწარმოები განლაგებულია მდინარეებისა და წყლის აუზების მახლობლად, რის გამოც ისინი გვევლინებიან წყლის რესურსების დაბინძურების ძირითად წყაროდ. მაგალითისთვის, ნავთობგადამამუშავებელი ან მეტალურგიული ქარხანა, როცა გამოყენებულ წყალს გაფილტვრის შემდეგ, უკანვე აბრუნებს წყალსატევში, მაგრამ იმის გამო, რომ ჩამდინარე წყლის გაფილტვრის ხარისხი ყოველთვის არ შეესაბამება დასაშვებ ნორმებსა და სტანდარტებს, ეკოლოგიურ ნორმებსა და მოთხოვნებს, ხდება დიდი ზომით წყალსატევებისა და მდინარეების დაბინძურება. ამის თვალსაჩინო მაგალითია ჩრდ. ამერიკის ხუთი დიდი ტბის რეგიონი, რომელიც ითვლება ქვეყნის ყველაზე დაბინძურებულ წყალსატევეებად [19]. შეიმჩნევა საზღვაო გარემო პირობების გაუარესება, შლეიფის ზონაში ნავთობისა და გაზის მოპოვების გამო ასეთ ადგილებსა და დიდი ქარხნების გარშემო წყალსატევეებში ილუპება ცოცხალი ორგანიზმები, რის გამოც ამ ადგილებში თევზის ბევრი სახეობა გაქრა და შეწყვიტა თავისი არსებობა.

აშშ-ში ძალზე მწვავედ დგას **მყარი ნარჩენების** გადაყრის პრობლემა. ამერიკის უმსხვილეს მეგაპოლისებს ნაგავსაყრელებზე გააქვთ ათასობით ტონა მყარი ნარჩენი - პლასტმასების, მინის, მეტალის, ქსოვილების, ქაღალდის, ცელოფანის პარკების, სამშენებლო და სარემონტო ნაგვის, საყოფაცხოვრებო ტექნიკისა და სხვათა სახით. ქვეყანაში მყარი ნარჩენებისა და ნაგვის რაოდენობა მოსახლეობის ერთ სულზე წელიწადში შეადგენს 760 კგ-ს, რაც

ერთ-ერთი ყველაზე მაღალი მაჩვენებელია მსოფლიოში [18]. მდგომარეობას კიდევ უფრო ართულებს ისიც, რომ მათი მხოლოდ მცირე ნაწილი ექვემდებარება სამრეწველო გადამუშავებას და ისიც, რომ ნაგავსაყრელები ძალზე დიდი მანძილითაა დაშორებული საქალაქო ცენტრებიდან. თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ მყარი ნარჩენების გარკვეული ნაწილი გადაიყრება მათთვის არაგანკუთვნილ ადგილებში, ეს კიდევ უფრო ამწვავებს ქვეყნის ეკოლოგიური დაბინძურების პრობლემებს.

გარემო პირობებზე დიდ უარყოფით გავლენას ახდენს სითბური ეფექტიც, რომელიც წარმოიქმნება ენერგეტიკული საწარმოების საქმიანობითა და სათბური გაზების გამოყენებით. სადღეისოდ, აშშ-ს ტერიტორიაზე ფუნქციონირებს დაახლოებით 2500 თბოელექტროსადგური, 250-ზე მეტი სანავთობო და 150 ფოლად-ჩამომსხმელი ქარხანა, ასობით ცელულოზის კომბინატი, რომელთაც აქვთ მასიური თბური გაჟონვები [22]. ამას ემატება ის, რომ აშშ არის ატომური ელექტროსადგურების რაოდენობის მიხედვით მსოფლიოში ლიდერი ქვეყანა. ასეთ სადგურებზე, იშვიათად, მაგრამ მაინც ხდება ავარიები, რომელთაგან აღსანიშნავია 1979 წ. ტრი-მაილ-აილენდის ატომურ ელექტროსადგურზე მომხდარი ინციდენტი, რომელსაც, მართალია არ ჰქონდა ჩერნობილისა და ფუკუსიმის მასშტაბები, მაგრამ მან ქვეყანას ნათლად დაანახა, რომ საჭიროა მომავალში ყურადღების გამახვილება არა ატომურ ელექტროსადგურებზე, არამედ, უფრო მეტად, ქარის, მზისა და ენერჯის მიღების სხვა ეკოლოგიურ მეთოდებზე. სითბური ეფექტის შედეგად მნიშვნელოვნად ირღვევა ჩვენს პლანეტაზე წყლისა და ჰაერის ენერგეტიკული ბალანსი. ეს კი, საბოლოო ჯამში, იწვევს გლობალურ დათბობასა და კლიმატური პირობების არსებით ცვლილებებს, რასაც არაიშვიათად თან სდევს დამანგრეველი ეკოლოგიური და ეკონომიკური შედეგები.

ბუნებრივი გარემო პირობების დაცვის სფეროში ამერიკამ განვლო საკმად ვრცელი და დიდი გზა. ცალკეული სამართლებრივი ნორმატიული აქტებიდან, ურთიერთდამოკიდებულ მრავალდონიან კანონთა სისტემის შექმნამდე. გარემო პირობების დაცვის სფეროში ეროვნული პოლიტიკის შესახებ პირველი სამართლებრივი აქტი გამოიცა პრეზიდენტ რ. ნიქსონის მიერ 1969 წელს, რომლითაც გარემოს დაცვის ფედერალური სამსახურის უწყებას

დაეკისრა ეკოლოგიური სტანდარტებისა და ეკოპოლიტიკის შემუშავება და მის რეალიზაციაზე კონტროლი, ბუნებრივ გარემოზე სხვადასხვა ფაქტორთა ზემოქმედების წინასწარი შეფასება და ბუნებისდაცვითი საქმიანობის გრძელვადიანი პროგრამირება. ამ აქტის გაგრძელება და დაზუსტება იყო მომდევნო 1970 წელს გამოცემული აქტი გარემოს ხარისხის გაუმჯობესების შესახებ. საკანონმდებლო აქტებს შორის ძალზე მნიშვნელოვანია: აქტი სუფთა წყლის შესახებ; აქტი სუფთა ჰაერის შესახებ; აქტი რესურსების დაცვისა და აღდგენის შესახებ; აქტი მომწამვლელ ნივთიერებათა შესახებ და სხვ. [23].

აშშ-ში სახელმწიფო ეკოლოგიური რეგულირება ხორციელდება ფედერალურ და რეგიონალურ დონეზე. აშშ-ს კონსტიტუცია არის ქვეყნის ეკოლოგიური კანონმდებლობის საფუძველი, რომელიც მოიცავს ფედერალურ და საშტატო კანონებს, რომლებიც წარმოდგენილია სამ ძირითად ჯგუფად:

1. ბუნებრივი გარემოს ცალკეული ელემენტების დაბინძურების გამაფრთხილებელი კანონები;
2. ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენების უზრუნველყოფის კანონები;
3. განსაკუთრებით ფასეული ბუნებრივი ობიექტების დაცვის კანონები.

აშშ-ს კონგრესი იხილავს და ამტკიცებს ბუნებისდაცვითი საქმიანობის სფეროში კანონპროექტებს, ისმენს და აკონტროლებს ეკოლოგიური კანონმდებლობის ცალკეული ასპექტების შესრულების მიმდინარეობას, ამტკიცებს ეკოლოგიის სფეროში დაფინანსების პროგრამებს. 1970 წლიდან აშშ-ს აღმასრულებელი ხელისუფლების სისტემაში მოქმედებს გარემოსდაცვის ხარისხისა და ეროვნული პროგრამების კოორდინაციის საბჭო და გარემოს დაცვის სააგენტო, რომლის ძირითადი ფუნქციებია გარემოს დაცვის გაუმჯობესების ღონისძიებების განხორციელება, ფედერალური სახელმწიფო პროგრამების, ატმოსფერული ჰაერისა და წყლის სამეცნიერო-პრაქტიკული დაცვის ორგანიზაციის ღონისძიებათა შეფასება, ხმაურთან, რადიაციასთან და პესტიციდებთან ბრძოლის ღონისძიებათა კონტროლი. მის შემადგენლობაში შედის, ცენტრალურ ფედერალურ აპარატთან ერთად, ქვეყნის 10 უმსხვილეს ქალაქში არ-

სებული რეგიონული განყოფილება, ცალკეულ შტატებში არსებული სააგენტოებით.

ამასთან ერთად, **შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემაში** მოქმედებს მიწების მართვის ბიურო, ეროვნული პარკების, მიწების, თევზებისა და გარეული ცხოველების დაცვისა და მართვის ბიუროები; **სოფლის მეურნეობის სამინისტროს სტრუქტურაში** - ნიადაგის დაცვისა და ტყის სამსახურები; **ვაჭრობის სამინისტროში** - ეროვნული საოკეანო და ატმოსფერული ადმინისტრაცია, რომელშიც შედის ზღვის თევზების რესურსების სამსახური და სანაპირო ზონის მართვის განყოფილება; **იუსტიციის სამინისტროს სისტემაში** - ატომური მარეგულირებელი კომისია, მიწებისა და აშშ-ს ბუნებრივი რესურსების სამმართველო. ამასთან ერთად, საჭიროების შემთხვევაში, გარემოს დაცვის უზრუნველყოფაში შეიძლება ჩართულ იქნას ქვეყნის შეიარაღებული ძალები. ადგილობრივ დონეზე ეკოლოგიური უსაფრთხოების უზრუნველყოფა ეკისრება ჯანდაცვის, კომუნალური მეურნეობის, სატრანსპორტო და საპოლიციო ორგანოებს [20].

აშშ სამართლიანად ითვლება მსოფლიოში ეკოლოგიური მოძრაობის პიონერ ქვეყნად, სადაც შეიძლება გამოიყოს მისი რამდენიმე ძირითადი ეტაპი:

1. **ეკოლოგიური მოძრაობის დაწყებისა და აღმავლობის პერიოდი** (1960-70 წწ.), ორი ძირითადი დამახასიათებელი კონცეფციით: **პირველი**, გულისხმობდა გარემოს მართვაში სახელმწიფოს როლის მინიმუმამდე დაყვანას და, შესაბამისად, საბაზრო მექანიზმების გაძლიერებას, გარემოს დაცვის სფეროში მეწარმეების პასუხისმგებლობისა და ფინანსური დაინტერესების ზრდას. **მეორე**, პირიქით სახელმწიფოს თვლიდა ბუნებრივი გარემოს დაცვის მთავარ ინსტრუმენტად, რომელსაც უნდა უზრუნველყო ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებასა და ეკოლოგიურ დაცვას შორის წინააღმდეგობის აღმოფხვრა.

2. **80-90 წლების დასაწყისის პერიოდი**, რომელიც ხასიათდება ეკოლოგიური პოლიტიკის განხორციელების საქმეში, ადგილობრივი და ცენტრალური ორგანოების ბალანსირებული მონაწილეობის პირობებში, საკანონმდებლო და აღმასრულებელი ორგანოების როლის გაფართოებით. ამ ეტაპზე გარემოს დაცვის სფეროში განხორციელდა 3 ძირითადი პროგრამა:

• **მოხალისეთა პროგრამა**, რომელიც ეფუძნებოდა გარემოს დაბინძურებაზე საზოგადოებრივი აზრის მორალური გავლენის გამოყენებას, რომელიც აღმოჩნდა ძალზე ეფექტიანი დაბინძურებული ჩამდინარე წყლების შემცირებასა და მყარი საყოფაცხოვრებო ნარჩენების გადამუშავების ორგანიზაციაში;

• ეკონომიკური რეგულირების **ადმინისტრაციული პროგრამა** გულისხმობდა დამაბინძურებელი ნივთიერების გადანაყარის (გამონაბოლქვის) ზღვრული ნორმების დაწესებას სამრეწველო საწარმოებისა და ავტოტრანსპორტისთვის;

• **ეკონომიკური მექანიზმები** მოიცავდა საფასო და ფისკალური პოლიტიკის /დაბინძურებაზე უფლების გაყიდვა/ ინსტრუმენტებს და ეკოლოგიური პროგრამების სახელმწიფო სუბსიდირებას.

3. **გასული საუკუნის 80-იანი წლებიდან იწყება მესამე ეტაპი**, რომლის განმსაზღვრელია, გარემოს დაბინძურების კონტროლიდან, თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით მისი თავიდან აცილების პოლიტიკაზე გადასვლა. აქამდე, თუ ამ პროცესში მთავარი როლი საზოგადოებრივ ორგანიზაციებს ეკუთვნოდა, ახლა იგი ძირითადად სახელმწიფოს დაეკისრა. ამასთან, ამ საქმეში ჩართული იქნა კერძო მეწარმეობაც.

სავსებით სწორად გავრცელდა აზრი ამერიკელთა შორის იმის შესახებ, რომ ამერიკა იყო მსოფლიოში ლიდერი ქვეყანა გარემოს დაბინძურების წინააღმდეგ ბრძოლაში. ცხადია, მოსახლეობის ცხოვრების მაღალი დონიდან გამომდინარე, აშშ გვევლინება სამომხმარებლო საქონლისა და მომსახურების ყველაზე მსხვილ მწარმოებელ და მომხმარებელ და, შესაბამისად, ყველაზე დიდი ნარჩენების მქონე ქვეყნად მთელ მსოფლიოში. სამწუხაროდ, მათი გადამუშავების დონე ქვეყანაში ჯერ კიდევ დაბალია და საგრძნობლად ჩამორჩება გერმანიისა და იაპონიის ანალოგიურ მაჩვენებლებს [23].

აშშ-ში, გარემოს დაბინძურების წინააღმდეგ ბრძოლაში, დაბეგვრის სისტემასთან ერთად, დიდი როლს ასრულებს დასაშვები დაბინძურების ნებართვების /ქვოტების/ გაცემის სისტემა, რომელთა დაუცველობის შემთხვევაში კომპანიები მკაცრად ჯარიმდებიან, მათი გადაჭარბების პროპორციულად. ამასთან ერთად, არსებობს კომპანიებს შორის ამ ქვოტებით ვაჭრობის სისტემა, ვისი

ემისიებიც უფრო დაბალია, დასაშვებთან შედარებით, ან ვინც მზად არის შეამციროს ეს ნარჩენები. გარემოს დაბინძურების შემცირების შესაძლებელი პოტენციალის გამოყენების ქვოტირების უფლების შემუშავების მექანიზმმა შესაძლებლობა მისცა ამ სფეროს მკვლევარებსა და ექსპერტებს გაეკეთებინათ დასკვნა, რომ ეს ამერიკული მოდელი შეიძლება გავრცელდეს სხვა ქვეყნებშიც, საერთაშორისო მასშტაბით.

აშშ-ს საერთაშორისო ეკოლოგიური უსაფრთხოების მდგომარეობაში შეიძლება გამოვყოთ სამი ძირითადი მიმართულება: **პირველი** მათგანის არსი მდგომარეობს გამწვავებულ ეკოლოგიურ კრიზისისა და პლანეტის სიცოცხლის შემანარჩუნებელი სისტემის ნგრევის ბლოკირებაში. ამერიკელი პოლიტიკური მოღვაწეების ყურადღების ცენტრში დგას წამყვანი ინდუსტრიული ქვეყნებისა და განვითარებადი ქვეყნების ურთიერთობები;

**მეორე მიმართულება** ორიენტირებულია პლანეტის არასახმელეთო რესურსების რაციონალურ გამოყენებაზე, სადაც ყურადღების ცენტრში დგას მსოფლიოს მდგრადი და უსაფრთხო განვითარების უზრუნველყოფა და განახლებადი რესურსების შექმნის სისტემებისა და მექანიზმების დამუშავება და მათი გამოყენების ეფექტიანობის ამაღლება, აგრეთვე, ბუნებრივ სისტემებზე ანტროპოგენური დატვირთვის შემცირება;

**მესამე მიმართულება** გამიზნულია გარემოს დაცვის სფეროში მსოფლიო საზოგადოების ძალისხმევის ეფექტიანობის ამაღლებაზე, სადა წინა პლანზე წამოწეულია ორი ასპექტი: საერთაშორისო ეკოლოგიური პასუხისმგებლობის მექანიზმების სრულყოფა და ეკოლოგიური პროფილის საერთაშორისო ორგანიზაციებში წარმომადგენლობის ცვლილებები, რომლებიც უნდა განხორციელდეს მუშაობაში არასამთავრობო გაერთიანებების, ადგილობრივი თემებისა და ცალკეული მოქალაქეების აქტიური მონაწილეობის ხარჯზე. ნავარაუდევია, რომ ამ გზით უფრო ადვილად მიიღწევა ეკოლოგიური უსაფრთხოება, ვიდრე ტრადიციული სახელმწიფოებო სამართლებრივი პროცედურები.

ამერიკელები საჭიროდ მიიჩნევენ ბუნების დაცვის საერთაშორისო პროექტებში განვითარებული ქვეყნების მონაწილეობის გააქტიურებას. განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ეროვნულ ბალანსებში სასოფლო-სამეურნეო სავარგულებზე, დაბლობებსა და

ტყეებში სამრეწველო ნარჩენებისა და სხვა მომწამვლელი ნივთიერებების აღრიცხვასა და მათ შემცირებას, რამდენადაც ყველაზე მეტად ისინი ითვლებიან ნახშირბადისა და სხვა მავნე ნივთიერებების შთანთქმელებად. საყურადღებოა ის გარემოებაც, რომ თანამედროვე სიტუაციაში, აშშ-ში ენერჯის დეფიციტის შევსებას ცდილობენ არა ტექნიკური სიახლეების, ეკონომიისა და მდგრადი განვითარების სტრატეგიის გამოყენებით, არამედ, უფრო მეტად, ენერგომატარებლების მოპოვების ზრდის ხარჯზე.

აშშ-ში ერთ-ერთ მწვავე პრობლემად ითვლება კლიმატის მკვეთრი ცვლილება, რომელიც ბოლო დროს ფართო დებატების საგნად იქცა. საქმე იმაშია, რომ ქვეყანაში არსებობს მძლავრი ჯგუფი, რომლებიც ეწინააღმდეგებიან ქვეყნის მიერ სამრეწველო ნარჩენებისა და ნახშირბადის შემცველი გამოწვლის შემცირების ვალდებულებების აღებას და, რომლებიც სარგებლობენ დიდი გავლენით ფედერალურ დონეზე. იმავდროულად, ქვეყანაში არის მცდელობა ალტერნატიული რეგულირების საერთაშორისო მექანიზმის შექმნისა, სადაც სათანადოდ ისახება ქვეყნის ეკოლოგიური უსაფრთხოების პრობლემები, დაბალანსებული ეროვნული ეკონომიკური და ეკოლოგიური ინტერესები.

დასკვნის სახით შეიძლება აღინიშნოს, რომ თანამედროვე პირობებში აშშ-ს აქვს სერიოზული მიღწევები გარე სამყაროს დაბინძურებასთან ბრძოლისა და ქვეყნის ეკოლოგიური უსაფრთხოების უზრუნველყოფის სფეროში. ამასთან, სადღეისოდ ამ მხრივ ქვეყნის წინაშე დგას ბევრი მწვავე პრობლემა, რომელთა გადასაჭრელად, მათი დაძლევის ეკონომიკურ-სამართლებრივი მექანიზმების სრულყოფასთან ერთად, აუცილებელია ქვეყნის ეკონომიკის განვითარების სულ სხვა დონეზე გადაყვანა, სადაც ფართოდ იქნება გამოყენებული ინოვაციური ტექნოლოგიები, რაც სათანადო პირობებს შექმნის სამრეწველო ნარჩენების გადამუშავების გაფართოებისა და ამ გზით მათი გადანაყარებისა და სატრანსპორტო გამოწვლის შემცირებას, ბიოსფეროს დაბინძურებისგან დაცვისა და გაჯანსაღებისთვის.

## 2. ეკონომიკური და სოციალური უსაფრთხოების სფეროში იაპონიის გამოცდილება

### 2.1 ეკონომიკური უსაფრთხოების გამოცდილება

იაპონია - წყნარი ოკეანის დასავლეთ ნაწილსა და აზიის აღმოსავლეთ სანაპიროსთან მდებარე კუნძულოვანი სახელმწიფო /ფართობი 372,2 ათსი კვ. კმ; მოსახლეობა 126,4 მლნ კაცი/. სათანადო ბუნებრივ-რესურსული ფაქტორების პრაქტიკულად არარსებობის პირობებში, სწორი სოციალურ-ეკონომიკური განვითარების კურსის აღებისა და შესაბამისი ეკონომიკური რეფორმების განხორციელებით, იაპონიამ შესძლო ისტორიულად მოკლე დროში მსოფლიოს ეკონომიკურად მაღალგანვითარებული ქვეყნების რიგში ჩადგომა. მან ეს მოახერხა, პირველ რიგში, ინოვაციური მაღალტექნოლოგიური დარგების ფორმირებითა და სწრაფი განვითარებით, რამაც მას შესაძლებლობა მისცა სოციალურ-ეკონომიკური უსაფრთხოების მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე მაღალი დონის შექმნისთვის.

მანამდე კი, ქვეყანამ განვლო ეკონომიკური რეფორმირებისა და გარდაქმნების საკმაოდ რთული გზა. მეორე მსოფლიო ომის დროს განადგურდა იაპონიის ეკონომიკური პოტენციალის მნიშვნელოვანი ნაწილი. ომისშემდგომ პერიოში მოხდა ეკონომიკის განვითარებისა და სტრუქტურული გარდაქმნის სამთავრობო პოლიტიკის შემუშავება, რომელსაც საძუძვლად დაედო მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევების ფართოდ გამოყენება, მაღალკვალიფიციური მუშათა კადრების მომზადების ორგანიზაცია, ომისა და ომისშემდგომ პერიოდში სამრეწველო მშენებლობის სფეროში დაგროვილი გამოცდილება. ყოველივე ამას შედეგად მოჰყვა გასული საუკუნის მეორე ნახევარში იაპონიის ეკონომიკის არნახული აღორძინება, რომელიც ისტორიაში ცნობილია „იაპონური სასწაულის“ სახელწოდებით.

გასული საუკუნის 80-იან წლებში იაპონიამ მტკიცედ დაიკავა ერთ-ერთი წამყვანი ადგილი (მე-2 ადგილი აშშ-ს შემდეგ) მსოფლიოს მაღალგანვითარებულ ქვეყნებს შორის. ამ დროისთვის ქვეყნის მშპ უდრიდა 1068,1 ტრილიონ აშშ დოლარს, ხოლო მოსახლეობის ერთ სულზე კი - 9147 აშშ დოლარს [21].

ქვეყნის ეკონომიკის თითქმის ყველა დარგს აკონტროლებენ გიგანტური კომპანიები „მითსუბიში“, „მიცუი“, „ტოიოტა“, „სუმი-



ტომო“, „ფუჯი“, „სანვა“ და სხვ. იაპონური ეკონომიკის დამახასიათებელ ნიშნად იქცა მსხვილი კონცერნებისა და დიდი რაოდენობის წვრილ საწარმოთა ურთიერთშერწყმა. ქვეყანაში განხორციელდა, მრეწველობის სტრუქტურული სრულყოფის ჩარჩოებში, მისი ენერგოტევადი და მასალატევადი დარგების გარდაქმნა, რაც მიზნად ისახავდა ქვეყნის ნედლეულისა და სათბობის იმპორტზე დამოკიდებულების შემცირებას. 21-ე საუკუნეში იაპონიის ძირითადი მაკროეკონომიკური მაჩვენებლები კი მოტანილია 1-ელ ცხრილში.

მონაცემებით დასტურდება, რომ ბოლო ორი ათეული წლის მანძილზე იაპონიის ძირითადი სოციალურ-ეკონომიკური მაჩვენებლები გარკვეული ზრდით ხასიათდება. თუმცა, ზრდა უფრო დაბალი ტემპებით განხორციელდა, გასული საუკუნის მეორე ნახევარში მათი ზრდის ტემპებთან შედარებით. ბოლო 2-3 ათეული წლის მანძილზე /გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან მოყოლებული/, იაპონიის ეკონომიკური განვითარება განიცდის სერიოზულ რყევებსა და სიძნელეებს. ქვეყანა აღმოჩნდა მწვავე ეკონომიკური პრობლემების წინაშე, რომელთაგან აღსანიშნავია მაღალი დეფლაციის აღმოფხვრა, უზარმაზარი სახელმწიფო ვალის შემცირება და, ზოგადად, მე-20 და 21-ე საუკუნეების მიჯნაზე, ე.წ. „დაკარგული ათწლეულის“ უარყოფითი შედეგების დაძლევა.

**იაპონიის ძირითადი სოციალურ-ეკონომიკური მაჩვენებლები 2000-2020 წწ [21]**

წლები	2000	2010	2015	2017	2019	2020
<b>მაჩვენებლები</b>						
1. მშპ ტრილიონი აშშ დოლარი	3476,3	4534,1	5200,9	5248,4	5501,3	5312,3
2. მშპ მოსახლ. 1 სულზე აშშ დოლარი	27409,2	35535,2	40959,3	41409,0	43584,8	42411,7
3. ინფლაციის	-0,7	-0,7	1,6	1,7	0,02	-4,6

დონე %						
4.უმუშევრობა %	-4,7	-5,1	3,4	2,8	-2,4	2,8
5.სახელმწიფო ვალი %-ად მშპ-თან	135,6	205,7	228,4	231,4	235,4	254,1
6.საგარეო ვაჭრობის ბრუნვა ტრლნ აშშ დოლ.	865,6	1396,5	1700,8		1754,9	1499,6
მ.შ. ექსპორტი მლრდ აშშ დოლარი	365,0	675,0	905,0		957,2	823,4
%	42,2	48,4	53,2		54,5	54,9
იმპორტი მლრდ აშშ დოლარი	500,6	720,9	795,8		797,7	676,2
%	57,8	51,6	46,8		45,5	45,1
სალდო +/-	-135,6	-45,3	109,2		159,5	147,2
ექსპორტით იმპორტის გადაფარვის კოეფიციენტი %	72,9	93,7	113,7		120,0	121,8

გარდა ამისა, თანამედროვე ეტაპზე გლობალური ეკონომიკური სისტემის რაოდენობრივი ცვლილებების თვისებრივში გადაზრდამ, განაპირობა მსოფლიო სოციალურ-ეკონომიკური, პოლიტიკური და კულტურული ლანდშაპტის დიდი რყევა, რამაც თავისი ასახვა ჰპოვა გლობალიზაციის ეპოქის პირველ მსოფლიო კრიზისში, რომელიც იაპონიისთვის უფრო ღრმა და მწვავე აღ-

მოჩნდა, ვიდრე სხვა განვითარებული ქვეყნებისთვის. ამასთან ერთად, მსოფლიო ეკონომიკის დინამიზმსა და სტრუქტურაში მომხდარი ცვლილებები გამოიხატა მისი აზიისკენ /პირველ რიგში, ჩინეთისკენ/ გადანაცვლებაში, მსოფლიოში „ზრდის ახალი პოლუსების“ გამოჩენაში, რითაც განხორციელდა მსოფლიო ეკონომიკის მულტიპოლარულ სტრუქტურაზე გადასვლა, საკმაოდ წარმატებული ეროვნული, სოციალურ-ეკონომიკური მოდელების წარმოქმნა.

გლობალიზაციის თანამედროვე ეტაპზე როგორც მსოფლიოს, ისე თვით იაპონიის ეკონომიკაში მიმდინარე სტრუქტურული და სისტემური ძვრები, დღის წესრიგში აყენებს ქვეყნის სტაბილური სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ახალი წყაროების ძიების აუცილებლობის საკითხს. ახალი რეალობის პირობებში, ქვეყნის წინაშე დადგა გრძელვადიანი, მყარი და უსაფრთხო სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიის შემუშავების ამოცანა. იაპონიისთვის ეს გამოწვევა შემდეგი გარემოებებითაცაა ნაკარნახევი:

**ჯერ ერთი,** იმით, რომ XX და XXI საუკუნეების მიჯნაზე იაპონია აღმოჩნდა გლობალური ეკონომიკის განვითარების „დაბალსიჩქარიან“ სეგმენტში და 2008-2010 წწ. საფინანსო-ეკონომიკური კრიზისი მას უფრო მწვავედ შეეხო, ვიდრე სხვა განვითარებულ ქვეყნებს. ამას შედეგად მოჰყვა ის, რომ ჯერ კიდევ გასული საუკუნის 80-იანი წლების ბოლოდან დაიწყო მსოფლიო მშპ-ში იაპონიის წილის თნდათანობით შემცირება და 2010 წლისთვის მან ოფიციალურად დაკარგა მსოფლიოს მეორე ეკონომიკის ქვეყნის სტატუსი მას შემდეგ, რაც ეკონომიკური განვითარებით მას გადაასწრო ჩინეთმა [10]. გარდა ამისა, მხედველობიდან არ უნდა გამოგვრჩეს ის, რომ იაპონია ჯერ კიდევ სრულად ვერ გათავისუფლდა ე.წ. „დამწვევი“ ეკონომიკური განვითარებისა და გასული საუკუნის 90-იანი წლების ხანგრძლივი რეცესიის მემკვიდრეობისგან.

**მეორე მნიშვნელოვანი ფაქტორი,** რამაც განსასზღვრა იაპონიის მიერ მდგრადი და უსაფრთხო განვითარების გრძელვადიანი სტრატეგიის შემუშავება, გახდა როგორც მთლიანად, ისე მატერიალური წარმოების მთელ რიგ დარგებში კონკურენტუნარიანობის დაკარგვა. მართალია, ამ მხრივ, იაპონიას ფორმალურად ჯერ კი-

დეე მაღალი რეიტინგი აქვს /მე-10 ადგილი მსოფლიოში/, მაგრამ ამ მაჩვენებლით მას ბევრმა ქვეყანამ /მათ შორის, ზიის - ტაივანი და ჰონკონგი/ გადაასწრო.

ცნობილია, რომ იაპონია ისტორიულად იყო და მნიშვნელოვანწილად ახლაც არის, უფრო მეტად, საგარეო ბაზარზე ორიენტირებული ქვეყანა. ბოლო პერიოდში კი შეიმჩნევა მისი ხვედრიწილის შემცირება მსოფლიო ვაჭრობაში. აღნიშნული ტენდენცია განპირობებულია მთელი რიგი საშინაო და საგარეო ფაქტორებით:

**ჯერ ერთი**, როგორც მთლიანად იაპონიის ეკონომიკა, ისე იაპონური სამრეწველო კომპანიები განიცდიან მწვავე კონკურენციას განვითარებადი ქვეყნების, მ.შ., პირველ რიგში, აღმოსავლეთ აზიის ქვეყნების მხრივ, რომელთა უმრავლესობამ მეტ-ნაკლები ზომით წარმატებით მოახდინა იაპონური ეკონომიკური მოდელის რეალიზაცია. გარდა ამისა, სულ უფრო მწვავედება კონკურენტული ბრძოლა თვით განვითარებული ქვეყნების - აშშ, ევროპა, იაპონია და სწრაფად მზარდი აზიური ქვეყნების ბაზრებზე.

**მეორე**, ბიზნესის სწრაფად პროგრესირებადი ტრანსნაციონალიზაციის პირობებში, დღეს მსოფლიო არენაზე გამოდის არა-იმდენად ქვეყანა, არამედ, უფრო მეტად, კომპანია, რადგანაც ამჟამად, ძალზე სწრაფად იზრდება შიდასაფირმო სავაჭრო ოპერაციები, ხოლო საერთაშორისო ვაჭრობის სუბიექტად სულ უფრო მეტად ხდება არა საქონელი და მომსახურება, არამედ **დამატებული ღირებულება**. გლობალიზაციის გაღრმავების პირობებში კომპანიები თავიანთი პროდუქციის სულ უფრო მეტ ნაწილს აწარმოებენ საზღვარგარეთ/იაპონური სამრეწველო კომპანიების ეს მაჩვენებელი შეადგენს მრეწველობის მთლიანი პროდუქციის 25%-ს/ [17]. სწორედ ამიტომ, მსოფლიო მეურნეობასა და სავაჭრო ბრუნვაში ქვეყნის მონაწილეობის რეალური სურათის ჩვენებისა და საზღვარგარეთის ბაზრებზე მისი ეკონომიკის დამოკიდებულების დონის რეალური შეფასებისას, გათვალისწინებული უნდა იქნას კომპანიების საზღვარგარეთული საქმიანობის მასშტაბებიც.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ ნებისმიერი ეკონომიკური სისტემის წარმატების საფუძველია მისი **მოქნილობა** და **ადაპტაციის უნარი**. სწორედ ამ თვისებებით არაერთხელ გამოავლინა თავისი უპირატესობა იაპონიის ეკონომიკამ მე-20 საუკუნის მეორე ნახევარში. როგორც უკვე აღინიშნა, ამ საუკუნის დასაწყისში კი

მსოფლიო ეკონომიკაში მიმდინარე პროცესები საკმაოდ დაჩქარდა და რაოდენობრივი ცვლილებები გადაიზარდა თვისობრივში, რამაც მნიშვნელოვნად შეცვალა იაპონიის ხელისუფლებისა და სამთავრობო წრეების შეხედულებები ახალ ვითარებაში ქვეყნის მდგრადი და უსაფრთხო ეკონომიკური განვითარებისა და მისი კონკურენტუნარიანობის ამადლების შესახებ. აქედან გამომდინარე, 2005 წელს იაპონიის ეკონომიკისა და საფინანსო პოლიტიკის საბჭოს მიერ შეიქმნა და გასაჯაროვდა დოკუმენტი „იაპონია 21“, სადაც განისაზღვრა იაპონიის ეკონომიკის განვითარების ძირითადი ფაქტორები და მიმართულებები უახლესი მეოთხედი საუკუნის მანძილზე და, აგრეთვე, ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სამომავლო კურსი.

2006 წლის მაისში კი სამთავრობო სტრუქტურაში შეიქმნა კომპლექსური ფინანსური და ეკონომიკური რეფორმების საბჭო, რომელმაც უკვე არსებული ეკონომიკისა და საფინანსო პოლიტიკის საბჭოსთან ერთად და სხვადასხვა სამინისტროებისა და უწყებების აქტიური მონაწილეობით, შეიმუშავა ეკონომიკური ზრდის ახალი სტრატეგია, რომელიც ორიენტირებულია, მოსახლეობის შემცირების ხანგრძლივი ტენდენციის პირობებში, ქვეყნის მდგრადი და უსაფრთხო განვითარების უზრუნველყოფაზე.

ეს ახალი სტრატეგია, ეროვნულ ენერგეტიკულ და გლობალურ ეკონომიკურ სტრატეგიებთან ერთად, საფუძვლად დაედო მიმდინარე სახელმწიფო ეკონომიკურ და სამრეწველო პოლიტიკას. აღნიშნულ დოკუმენტებში იაპონიის საერთაშორისო სპეციალიზაცია განიხილება, უფრო მეტად, ინოვაციურ პრიზმაში იმის გათვალისწინებით, რომ პერსპექტივაში იაპონია უნდა იქცეს გლობალურ ინოვაციურ ცენტრად, რომელიც მსოფლიო ბაზარს მიაწვდის ახალ ინოვაციურ საქონელსა და ტექნოლოგიებს. სტრატეგია ამის განხორციელებას გულისხმობს აზიის ქვეყნებთან, ე.წ. „ზრდის XXI საუკუნის ცენტრთან“ მჭიდრო თანამშრომლობით, რომლებიც თანდათანობით გახსნიან თავიანთ ბაზრებს იაპონური ტექნოლოგიების გამოყენებით, განავითარებენ საწარმოო ძალებსა და აამაღლებენ მწარმოებლურობას.

მთლიანობაში, იაპონიის თანამედროვე ეკონომიკური პოლიტიკა მიმართულია როგორც მიმდინარე ამოცანების (ინფლაციის აღმოფხვრა და სახელმწიფო ვალის შემცირება) გადაწყვეტა-

ზე, ისე გრძელვადიანი სტრატეგიული მიზნების მიღწევაზე (ქვეყნის ეკონომიკის სტრუქტურული რეფორმირება). აღნიშნული ეკონომიკური პოლიტიკა ატარებს კომპლექსურ ხასიათს და მოიცავს სამი კონკრეტული მოქმედების გეგმას:

1. **იაპონიის მრეწველობის აღორძინების გეგმა**, რომლის ძირითდი მიმართულებებია:

- სტრუქტურული რეფორმების პროგრამების განხორციელების დაჩქარება /კერძოდ, სამედიცინო მოწყობილობის ბაზრის რეგულირება, ინტერნეტის მეშვეობით მედიკამენტების გაყიდვა და ნახშირზე მომუშავე თბოელექტროსადგურების ეკოლოგიური შეფასება/;

- შრომის ბაზრის რეფორმირება და ადამიანისეული რესურსების განვითარება;

- სამეცნიერო-ტექნიკური და საინფორმაციო ინოვაციების ხელშეწყობა;

- ქვეყნის მოწინავე საინფორმაციო საზოგადოებად გადაქცევა;

- ქვეყნის კონკურენტუნარიანობის ამაღლება და მისი საერთაშორისო ბიზნეს -ცენტრად გადაქცევა;

- საშუალო და მცირე ბიზნესის განვითარება.

გეგმის ეს ნაწილი ითვალისწინებს გადამამუშავებელი მრეწველობის სტიმულირებას ისე, რომ მან შეძლოს გლობალურ სამყაროში წარმატებული კონკურენცია, აგრეთვე, მომსახურების დარგთა სფეროს პრიორიტეტული განვითარება, უფრო დიდი ზომით დამატებული ღირებულების შექმნის შესაძლებლობებით.

არსებითი ცვლილებებია მოსალოდნელი შრომის ბაზარზეც, განხორციელდება „სტაბილური დაქირავებიდან“ „უმუშევრობის გარეშე, მოძრავ შრომის ბაზარზე“ გადასვლა, რაც არსებითად ნიშნავს „სიცოცხლის მანძილზე“ დაქირავების სისტემაზე უარის თქმას. ამასთან, მნიშვნელოვანი ყურადღება მიექცევა შრომითი რესურსების ეფექტიანი მართვის ხარისხის ამაღლებას, ქალების, ახალგაზრდებისა და პენსიონრების მუშაობაში ჩრთვის პირობების გაუმჯობესებას.

2. **სტრატეგიული ბაზრის შექმნის გეგმა** ითვალისწინებს: ჯანდაცვის სრულყოფას, ჯანმრთელი ცხოვრების გახანგრძლივებას; სუფთა და ეკონომიკურად ეფექტიანი ენერგეტიკის შექმნას;

ახალი თაობის მოხერხებული და უსაფრთხო ეკონომიკური ინფრასტრუქტურის შექმნასა და სრულყოფას; რეგიონული გაერთიანებების ფორმირებას, რომელთა განვითარება დაეფუძნება უნიკალური ადგილობრივი რესურსების გამოყენებას.

ქვეყნის ეკონომიკური უსაფრთხოების მნიშვნელოვან შემადგენელ ელემენტს მისი **ენერგეტიკული უსაფრთხოება** წარმოადგენს. სადღეისოდ, იაპონიას აქვს ენერგეტიკის განვითარების საკმაოდ მაღალი დონე. მის წილად მოდის მსოფლიო ენერგომატარებლების მარაგების დაახლოებით 0,025%. ენერჯის წარმოების მნიშვნელოვანი წყაროებია: ქვანახშირზე (332,3 მლრდ კვ.ს), თხევად გაზზე (402, 9 მლრდ კვ. ს.) მომუშავე თბოელექტროსადგურები, ჰიდროენერგეტიკა (50 019 მგ.ვტ) და განახლებადი ენერჯია (111 860 მგ.ვტ). გარდა ამისა, ამჟამად იაპონიაში მოქმედებს 15 ატომური ელექტროსადგური 33 რეაქტორით, რომელთა სიმძლავრეა - 33083 მგ.ვტ. ქვეყანას აქვს აგრეთვე, წყალბადის ენერჯიაზე გადასვლის გრძელვადიანი სტრატეგია [21].

ბოლო პერიოდში (განსაკუთრებით ფოკუსირების ტრანკედიის შემდეგ) ენერგომატარებლების წარმოებასა და მოხმარებაში გამოიკვეთა ატომური ენერჯის წილის შემცირებისა და, შესაბამისად, ჰიდრო და თბოელექტროსადგურების და განახლებადი ენერჯის ხვედრიწილის ზრდის ტენდენცია, რაც სავსებით კანონზომიერია.

იაპონიამ სერიოზულად უნდა იზრუნოს ენერგეტიკული ბაზრის გაფართოებაზე, საშინაო და საგარეო ბაზრებზე თავისი წილის გაზრდაზე. ეკოლოგიურად სუფთა, უსაფრთხო და ეკონომიური ენერგეტიკის შექმნის სტიმულირების მიზნით, სტრატეგიით ნავარაუდევია ენერგეტიკული ბაზრის რეფორმირება, რომელიც ორიენტირებული იქნება საცალო ბაზრის ლიბერალიზაციაზე, ინოვაციების სტიმულირებასა და ენერგეტიკის განვითარების სისტემურ მიდგომაზე. ცხადია, შექმნა და აითვისო ახალი ბაზრები, „გახსნა ახალი ჰორიზონტები“, შესაძლებელია მხოლოდ უახლესი ტექნოლოგიების საფუძველზე. სტრატეგია ითვალისწინებს მთელ რიგ პროგრამებს, რომლებიც მიმართულია უახლოეს მომავალში იაპონიის „№1 გლობალურ ინოვატორად“ გადაქცევაზე, ვენჩურული ბიზნესის განვითარებასა და ინოვაციური სისტემის შემდგომ სრულყოფაზე.

3. გლობალური უპირატესობის მიღწევის სტრატეგია დაფუძნებული იქნება:

- სხვა ქვეყნებთან საქმიან სტრატეგიულ ურთიერთობებსა და ეკონომიკურ პარტნიორობაზე;
- გლობალური ბაზრების დაპყრობაზე მიმართული სტრატეგიული ინიციატივების რეალიზაციაზე;
- მდგრადი და უსაფრთხო სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისთვის საჭირო ფინანსური და მატერიალური რესურსების მოზილიზებასა და ზრდაზე.

გლობალური უპირატესობის მიღწევის სტრატეგია გულისხმობს უცხოური ადამიანისეული რესურსების, საქონლისა და კაპიტალის მოზიდვას და საერთაშორისო ოპერაციებში იაპონური ბიზნესის მონაწილეობის გაფართოებას, ქვეყნის შიგნით კი, სახელმწიფო და კერძო სექტორების პარტნიორობის ხელის შეწყობას.

იაპონური ტრანსნაციონალური კომპანიების საერთაშორისო საწარმოო საქმიანობის გაფართოებასთან ერთდ, მიმდინარეობს მნიშვნელოვანი ძვრები მსოფლიო ბაზარზე ქვეყნის სპეციალიზაციის სფეროში. ეს, პირველ რიგში, შეეხება ექსპორტის სტრუქტურასა და საექსპორტო ოპერაციების მოდელს. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, რაც ქვეყანა დაადგა ექსპორტზე ორიენტირებული ინდუსტრიალიზაციის გზას, მსოფლიო ბაზარზე მას უფრო მეტად გაჰქონდა მზა ნაწარმი, მ.შ. ტექნიკურად რთული, მეცნიერებატევადი პროდუქცია. ახლა კი, ქვეყნის ექსპორტში ჭარბობს შუალედური პროდუქცია /დაახლოებით 75%/, იგივე მაჩვენებელი ჩინეთში უდრის 40%-ს, აღმოსავლეთ აზიის ქვეყნებში (ჩინეთის გამოკლებით) – 60%-ს, ასეან-ის ქვეყნებში - 77%-ს [8].

ყოველივე ამის შედეგად, იაპონიასა და აღმ. აზიის ქვეყნებს შორის ჩამოყალიბდა შრომის დანაწილების შემდეგი მოდელი: იაპონია სპეცილიზირებულია და ინარჩუნებს თავის კონკურენტუნარიანობას უმეტესად ნაწილებისა და კომპონენტების, მასალებისა და სხვა შუალედური პროდუქციის ექსპორტში, ახდენს რა პირველადი პროდუქციისა და სამომხმარებლო საქონლის იმპორტს. ამასთან, იქმნება ისეთი მდგომარეობა, როცა იაპონია დამატებითი ღირებულების მნიშვნელოვან ნაწილს „უთმობს“ ქვეყნებს, სადაც იაპონურ კომპანიებს თავისი წარმოება აქვთ განთავსებული, რაც წარმოადგენს მსოფლიო ეკონომიკასა და ვაჭრობაში ქვეყნის



ხვედრიწილის შემცირების მნიშვნელოვან ფაქტორს. იაპონური კომპანიების ტრანსნაციონალური საქმიანობის გაღრმავებას კი შედეგად მოსდევს, ქვეყნის საწარმოო სიმძლავრეების „ჩარეცხვა“, იაპონიიდან ინვესტიციებისა და სამუშაო ადგილების საზღვარგარეთ გასვლა. ამასთან, ასეთი ტენდენცია მხოლოდ მრეწველობის პრობლემა როდია, იგი ყველა დარგში მიმდინარეობს და, საერთოდ, ქვეყნის მთლიანი ეკონომიკური პოტენციალის „ჩარეცხვის“ ფორმით ვლინდება.

გლობალიზაციისა და მსოფლიო ეკონომიკაში იაპონიის ინტეგრაციის გაღრმავების პირობებში, საგარეო ბაზრებზე პოზიციების შენარჩუნება, მისი ახალ-ახალი სეგმენტების მოძიება და საქმიანობის არეალის გაფართოება კვლავ რჩება იაპონიისთვის ერთერთ პრიორიტეტულ მიმართულებად. ამასთან, ქვეყანამ უნდა იზრუნოს საგარეო ბაზრებზე თავისი კონკურენტუნარიანობის შენარჩუნებისა და გაძლიერებისთვის. ამ მხრივ იაპონურ კომპანიებს აქვთ, პირველ რიგში, აზიური ქვეყნების ბაზრებზე კონკურენტუნარიანობის მოპოვების დიდი პოტენციალი როგორც საერთოდ, ისე განსაკუთრებით, საწარმოო და სოციალური ინფრასტრუქტურის სფეროში.

ინფრასტრუქტურულ პროექტებთან ერთად, დიდი პერსპექტივა აქვს იაპონური ე.წ. „კრეატიული“ დარგების კულტურული „პროდუქციის“ საზღვარგარეთ გატანას, სადაც იგი დიდი მოწონებით სარგებლობს. ეს ის საქონელი და მომსახურებაა, რომელიც ასოცირდება იაპონურ კულტურასა და ცხოვრების წესთან და ხშირად აღინიშნება ბრენდით „იაპონია“. ესაა მოდა, სამზარეულო, ანიმაცია, თამაშები, ფილმები, მუსიკა, ყოველდღიური მოხმარების ნივთები, ტრადიციული სარეწაო ნაწარმი, ტურიზმი და სხვა.

გლობალური უპირატესობის მიღწევის მიზნის ინოვაციური მიდგომები იმითაც გამოიხატება, რომ იაპონიის მთავრობა ყოველთვის ხელს უწყობს, ასტიმულირებს კომპანიების საზღვარგარეთული აქტიურობის დივერსიფიკაციას, უცხოეთში „ინტეგრირებული სისტემის“ გატანას, საწარმოო და სოციალური ინფრასტრუქტურული პროექტების რეალიზაციას, რათა უცხოელ მომხმარებლებს მიეწოდოს არა მხოლოდ მოწყობილობა, არამედ შესთავაზონ მათ დიზაინის დამუშავება, პროექტირება, განახორციელონ სამშენებლო სამუშაოები, ტექნოლოგიებისა და „ნოუ ჰაუს“, ინჟინირინგუ-

ლი და საგანმანათლებლო მომსახურების ექსპორტირება. ეს კი მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს იაპონური კომპანიების მიერ საზღვარგარეთული ოპერაციების შესრულების შედეგად მიღებული დამატებული ღირებულების მოცულობის ზრდას.

იაპონიის აღორძინების სტრატეგიის პრაქტიკული რეალიზაცია გულისხმობს კომპლექსურ მიდგომას მისი ცალკეული გეგმებით განსაზღვრული ამოცანების რეალური გადაწყვეტის დროს. სტრატეგიით ნავარაუდევია ამ საქმეში სახელმწიფოსა და ყველა დონის ბიზნესის ერთობლივი ჩართულობა, მათი პარტნიორული ურთიერთობების გაღრმავება-გაფართოება. სახელმწიფომ, სათანადო ეკონომიკური ბერკეტების გამოყენებით, უნდა უზრუნველყოს ქვეყნის მაკროეკონომიკური მაჩვენებლების სტაბილურობა, რაც სათანადო პირობებს შექმნის ყველა დონეზე ბიზნესის შეუფერხებელი განვითარებისა და კონკურენტუნარიანობის ამაღლებისთვის, ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარების, მისი მდგრადობისა და უსაფრთხოების ახალ დონეზე გადაყვანისთვის.

### **1.3 სოციალური უსაფრთხოების გამოცდილება**

სოციალური უზრუნველყოფის განვითარების დონე, როგორც ცნობილია, წარმოადგენს ნებისმიერი ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისა და საზოგადოებრივი ინსტიტუტების სიმწიფის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მაჩვენებელს. ამ მხრივ, იაპონია განეკუთვნება ყველაზე მაღალი კეთილდღეობის ქვეყანათა ჯგუფს. ამჟამად, იგი არის მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი ეკონომიკის მქონე ქვეყანა /აშშ-სა და ჩინეთის შემდეგ/. გასული საუკუნის მეორე ნახევარში, სწორი ეკონომიკური პოლიტიკისა და სათანადო ეკონომიკური რეფორმების განხორციელებით, მან მიაღწია არნახულ წარმატებებს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სფეროში.

ბოლო პერიოდში, ქვეყნის ეკონომიკური განვითარების პროცესში მიმდინარე რყევებისა და სირთულეების მიუხედავად, ქვეყანამ მაინც შეინარჩუნა მოსახლეობის კეთილდღეობის დონის მაღალი მაჩვენებლები. 2021 წელს იაპონიაში მოსახლეობის 1 სულზე მშპ-ს მაჩვენებელი შეადგენდა 34.8 ათას აშშ დოლარს, მინიმალური საათობრივი ანაზღაურება - 9.5 აშშ დოლარს, საშუალო თვიური ხელფასი კი - 2898.5 აშშ დოლარს. ქვეყანას აქვს შრომისუნარიანი

მოსახლეობის აქტივობის (62.7%) და დასაქმების (61%) მაღალი დონე, ხოლო უმუშევრობის (2.8%) - დაბალი დონე. ეს მაშინ, როცა მის მეზობელ სამხრეთ აზიის ბევრ ქვეყანაში უმუშევრობის დონე გაცილებით მაღალია. მაგალითად ჩინეთში იგი უდრის 5.5%-ს, ინდოეთში - 7.8%, ჰონკონგში - 5.1%, ჩრდილოეთ კორეაში - 4.7%, ტაივანში - 3.73% [8].

იაპონია გამოირჩევა სოციალურ უზრუნველყოფაზე გაწეული დანახარჯების მოცულობის მიხედვით. იგი, ამ მიზნით ყოველწლიურად ხარჯავს მშპ-ს 23.1%-ს, რითაც მან გადაასწრო დიდი ბრიტანეთის /22.7%/ და პრაქტიკულად გაუტოლდა ნიდერლანდების /23.5%/ ანალოგიურ მაჩვენებელს [5].

იაპონიის სოციალური დაზღვევის სისტემა შედგება სამი ძირითადი რგოლისგან:

1. საპენსიო უზრუნველყოფა;
2. სამედიცინო დაზღვევა;
3. მოქალაქეთა ცალკეული კატეგორიების (მოხუცების, ინვალიდების, მარტოხელა დედების, მცირეწლოვანი ბავშვებიანი ნაკლებად უზრუნველყოფილი ოჯახების და სხვ.) მატერიალური მხარდაჭერა.

ქვეყნის სოციალური ხარჯების დაფინანსების ძირითადი წყაროებია: იმ პირთა შენატანები, რომლებიც დაზღვეულნი არიან საპენსიო და სამედიცინო დაზღვევის სისტემაში; სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრები. როგორც უკვე აღინიშნა, იაპონიაში სოციალურ დაზღვევაზე გაწეული დანახარჯების მაჩვენებელი საკმაოდ მაღალია /23.1%/ და იგი ზრდის ტენდენციით ხასიათდება. სოციალური დანახარჯების მოცულობის გადიდების მთავარი მიზეზია ქვეყნის დემოგრაფიაში მიმდინარე არახელსაყრელი ცვლილებები, რაც გამოიხატება მოსახლეობის სწრაფ დაბერებაში, რასაც შედეგად მოსდევს საპენსიო გადასახადებისა და სამედიცინო ხარჯების სისტემატური ზრდა. სწორედ ამ ორ მუხლზე მოდის სოციალური დანახარჯების დიდი ნაწილი. ამას თუ დავუმატებთ იმ პირთა მომსახურების ზარჯებს, რომლებიც საჭიროებენ ხანგრძლივ მოვლა-პატრონობას, მაშინ ამ სამი მიმართულებით გაწეული ხარჯების წილი მიაღწევს სოციალური უზრუნველყოფის სისტემის ბიუჯეტის თითქმის 90%-ს [3].

იაპონიის საპენსიო სისტემა, ბევრი მაღალგანვითარებული ქვეყნისგან განსხვავებით, რიგი თავისებურებით ხასიათდება. მაგალითად, აშშ-ში, დიდ ბრიტანეთში, გერმანიაში, საფრანგეთსა და შვედეთში საპენსიო უზრუნველყოფა ძირითადად მოიცავს მოსახლეობის მხოლოდ გარკვეულ ნაწილს - უმთავრესად დაქირავებულ მომუშავეებსა და თვითდასაქმებულებს, იაპონიაში კი საპენსიო უზრუნველყოფის სისტემა ატარებს ყოვლისმომცველ ხასიათს. ჯერ კიდევ 1961 წელს ქვეყანაში მიღებულ იქნა მოსახლეობის ჯანმრთელობისა და სოციალური უზრუნველყოფის შესახებ კანონი, რომლითაც საპენსიო უზრუნველყოფის უფლება გავრცელდა ქვეყნის ყველა მოქალაქეზე. ამ კანონით, აქამდე საპენსიო უზრუნველყოფა ვრცელდებოდა ორ საპენსიო სქემაზე: **ურთიერთდახმარების ასოციაციების პენსიები**, რომელიც მოიცავდა სახელმწიფო და კერძო სკოლებისა და უნივერსიტეტების თანამშრომლებს და **კეთილდღეობის პენსიები**, რომელიც მოიცავდა კერძო საწარმოთა მუშაკებს. შემდგომში მათ დაემატა კიდევ ერთი სქემა - **ეროვნული პენსიები**, რომელიც მოიცავს დანარჩენ ყველას, ვინც ვერ მოხვდა პირველ ორ სქემაში. ესენია: თვითდასაქმებულები, მთევზეები და ფერმერები, უმუშევრები, სტუდენტები და ა.შ.

1986 წელს დაიწყო რადიკალური ცვლილებები იაპონიის საპენსიო უზრუნველყოფის სისტემაში. ქვეყანაში შემოღებულ იქნა **საბაზო პენსიების სისტემა**, რომელშიც მონაწილეობის უფლება მიეცა 65 წელს მიღწეულ ყველა პირს, დაზღვევის მინიმალურ დროდ კი განისაზღვრა 10 წელი. ქვეყნის ყველა მცხოვრები ვალდებული გახდა საბაზო სისტემაში შეეტანა ყოველთვიური შენატანები, რომლის ზომას განსაზღვრავს სახელმწიფო.

ამასთან, ვინც აქამდე დაზღვეული იყო პირველ ორ სქემაში, ავტომატურად გაერთიანდნენ საბაზო სისტემაში, რამდენადაც მექანიკურად რეგისტრაცია ამ სისტემაში დაევალებათ მათ დამქირავებლებს. იმავდროულად, საბაზო სისტემაში შეყვანილ იქნენ არამომუშავეები და მომუშავეებიც, რომლებიც ყოველთვიურად ღებულობდნენ 1,3 მლნ იენზე ნაკლებს და აგრეთვე, მათი მეუღლეები. საბაზო პენსიების გარდა, ამ სისტემათა ხელმომწერები ღებულობდნენ პენსიებს, რომლებიც გათვალისწინებული იყო მათი დაზღვევის პირობებით. ამასთან, შენატანების გადახდა ხორციელდება როგორც თავად მუშაკების, ისე დამქირავებელთა მიერ. ყველა

დანაჩენი მოქალაქეები შენატანებს იხდიან დამოუკიდებლად მუნიციპალიტეტების მეშვეობით.

საპენსიო დაზღვევის სამ სქემას შორის არსებობს შესამჩნევი განსხვავება პენსიების დონეების თვალსაზრისით და იმის გათვალისწინებით, თუ როგორია თანაფარდობა ხელმომწერებს და პენსიების მიმღებთა შორის. მიუხედავად იმისა, რომ პენსიები გაიცემა 65 წლის ასაკის მიღწევის შემდეგ, დაზღვეულებს შესაძლებლობა ეძლევათ პენსია მიიღონ 60 წლის ასაკიდან ან პირიქით, მისი მიღების ვადა გადასწიონ 70 წლამდე. პირველ შემთხვევაში მათ ექვითებათ პენსიის 30%, მეორე შემთხვევაში კი ემატებათ - 42%, გამომდინარე 65 წლის ასაკში მიღებული პენსიის დონიდან. საერთოდ კი, საპენსიო ანაზღაურება ქვეყანაში ზრდის ტენდენციით ხასიათდება. 2004 წ. თვეში იგი უდრიდა 13,3 ათას იენს, 2010 წელს - 15,1 ათასს, 2015 წელს კი - 15,6 ათას იენს [3].

საპენსიო ანაზღაურება ცალკეულ სქემებს შორის განსხვავებულია გამომდინარე იქედან, თუ როგორია დაზღვეულთა პროფესიულ-კვალიფიციური შემადგენლობა და ცალკეულ სქემებს შორის მათი მოძრაობის ხარისხი. შედარებით მაღალი საპენსიო დონით გამოირჩევა სისტემის მესამე რგოლი, რამდენადაც აქ დაზღვეულთა შორის ჭარბობს უმაღლესი განათლების მქონე პირთა რაოდენობა, რომელთა ხელფასის საშუალო დონე გაცილებით მაღალია, ვიდრე საშუალოდ მთელ ქვეყანაში. შენატანები აქაც თანაბარწილად გადაიხდება მომუშავეთა და დამქირავებელთა მიერ, თუმცა შენატანების ზომა უფრო მცირეა სხვა სქემებთან (რგოლებთან) შედარებით. ასე, მაგალითად, შენატანებმა საშუალოდ შეადგინა: ცენტრალური და ადგილობრივი სახელმწიფო დაწესებულების მომსახურეთათვის შემოსავლების 16,57%, ხოლო კერძო სკოლებისა და უნივერსიტეტების მომსახურეთათვის - 13,65%. პენსიების საშუალო ზომამ კი შეადგინა, შესაბამისად, 210-219 ათასი იენი და 207 ათასი იენი. პენსიები აქაც ასევე გადაიხდება 65 წლის ასაკიდან.

რაც შეეხება საპენსიო შენატანებისა და პენსიების მიმღებთა თანაფარდობას, იგი ცალკეული ასოციაციების მიხედვით განსხვავებულია. ამ მხრივ, ყველაზე ცუდ მდგომარეობაში იმყოფებიან ცენტრალური სახელმწიფო დაწესებულებების თანამშრომელთა ურთიერთდახმარების ასოციაციისა და ხელისუფლების ადგი-

ლობრივი ორგანოების თანამშრომელთ ასოციაციის ფონდები, სადაც შესაბამისად ეს თანაფარდობის მაჩვენებლები შეადგენს 1,5:1 და 1,43:1. ამ მხრივ, ყველაზე ხელსაყრელ მდგომარეობაშია კერძო სკოლებისა და უნივერსიტეტების თანამშრომელთა ურთიერთ-დახმარების ასოციაციის საპენსიო ფონდი, სადაც ხელმომწერთა რაოდენობა 4-ჯერ აღემატება პენსიების მიმღებთა რიცხვს.

ამჟამად, სახელმწიფო ცენტრალური ბიუჯეტის მეშვეობით, აფინანსებს საბაზო პენსიების 1/3-ს და სამივე საპენსიო სქემის მთლიან ადმინისტრაციულ დანახარჯებს. საბაზო პენსიის ხვა დანახარჯები იფარება დაზღვეულთა შენატანების საფუძველზე. ქვეყნის მოსახლეობის სწრაფი დაბერება და ეკონომიკური ზრდის დაბალი ტემპები განაპირობებს იმის აუცილებლობას, რომ საპენსიო სისტემის შეუფერხებელ ფუნქციონირებაზე დაიხარჯოს სულ უფრო მეტი სახელმწიფო სახსრები. ამჟამად, ყველაზე მეტ ფინანსურ სიძნელეებს განიცდის ეროვნული პენსიების სისტემა, სადაც საბაზო პენსიის მიმღებთა სწრაფ ზრდასთან ერთად, ფინანსურ პრობლემებს ამწვავებს ისეთი მოვლენა, როგორცაა შენატანების გადაუხდელობა. კანონი უფლებას აძლევს გარკვეული კატეგორიის მოქალაქეებს ნაწილობრივ ან მთლიანად განთავისუფლდნენ შენატანების გადასახადისგან, მაგრამ საქმე იმაშია, რომ მათი რაოდენობა საკმაოდ დიდია, რომელთა წილი ხშირად აღემატება მთლიანი ხელმომწერების რაოდენობის 17%-ს. პრობლემის მოსაგვარებლად მთავრობა ახორციელებს სხვადასხვა ღონისძიებებს - ზრდის სამომხმარებლო გადასახადის განაკვეთებს /2014 წელს იგი 5%-დან 8%-მდე ამაღლდა/, რომელიც ხმარდება საბაზო პენსიების სუბსიდირებას. თუმცა, ამის საშუალებას ყოველთვის არ იძლევა ქვეყნის ეკონომიკური განვითარების მაკროეკონომიკური მაჩვენებლები. გარდა ამისა, პრობლემის გადასაწყვეტად მთავრობა არაიშვიათად ახდენს სადაზღვევო შენატანების ზრდასაც.

თუმცა, ქვეყნის საპენსიო სისტემის სიძნელეები მარტო ფინანსური პრობლემებით როდია განპირობებული. უზარმაზარი ორგანიზაციული სტრუქტურა, მოქალაქეთა სხვადასხვა კატეგორიების დაზღვევის განსხვავებული პირობები, პენსიების სიდიდის დიდი განსხვავება, დაზღვევის ერთი სისისტემიდან მეორეში პენსიონერთა გადასვლასთან დაკავშირებული ახალი ანგარიშსწორების შექმნისა და სხვა პროცედურული სიძნელეები არა მხოლოდ

ართულებს ამ პრობლემას, არამედ გარკვეულ უკმაყოფილებასაც იწვევს მოსახლეობაში.

ქვეყნის საპენსიო სისტემის ორგანიზაციული სტრუქტურის გამარტივებისა, საპენსიო დაზღვევისა და საპენსიო უზრუნველყოფის სისტემის სრულყოფის, მისი მართვის ოპტიმიზაციისა და ფინანსური პრობლემების სიმწვავის შერბილების მიზნით, 2015 წლის ბოლოდან დაიწყო მასშტაბური საპენსიო რეფორმის განხორციელება. რეფორმის მთავარი იდეაა - სხვადასხვა საპენსიო სისტემების გაერთიანება, საპენსიო შენატანებისა და პენსიების სიდიდეთა შორის არსებული დიდი განსხვავების აღმოფხვრა, აგრეთვე, პროცედურული პრობლემების მოგვარება. საპენსიო სისტემისთვის, უფრო მეტი სამართლიანობის მიცემის მიზნით, ნავარაუდევია სახელმწიფო მომსახურეთა პრივილეგიების გაუქმება, საპენსიო რეფორმის დასრულება ნავარაუდევია 2027 წლისთვის.

მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფის მნიშვნელოვან სეგმენტს წარმოადგენს **სამედიცინო მომსახურება და დაზღვევა**. იაპონიის მთავრობა ყოველთვის დიდ ყურადღებას უთმობდა მოსახლეობის ჯანდაცვის განვითარებასა და სრულყოფას, რაშიც ქვეყანას მნიშვნელოვანი მიღწევები აქვს. ამის დასტურად შეიძლება ჩაითვალოს ის ფაქტიც, რომ იაპონიაში არის მსოფლიოში ყველაზე მაღალი სიცოცხლის ხანგრძლივობა - 83 წელი. ამასთან, იმ ადამიანთა თითქმის ნახევარი, რომელთაც მიაღწიეს 110 წლის ასკს, ცხოვრობს იაპონიაში.

იაპონური ჯანდაცვის სისტემის უპირატესობად უნდა ჩაითვალოს სამედიცინო მომსახურების სისწრაფის მაღალი დონე. ქვეყანაში ყოველ 100,000 კაცზე მოდის 177 ექიმი და, რაც მთავარია, აქ არის სამედიცინო დაწესებულებების იდეალური ტექნიკური აღჭურვა და მათი საქმიანობის ორგანიზაციის მაღალი დონე. ყოველივე ამის შედეგია ის, რომ იაპონიაში ექიმის მიერ ავადმყოფის მიღების საშუალო დრო უდრის 6 წუთს, აშშ-ში კი იგი 20 წუთს უტოლდება.

ჯანდაცვის განვითარების დონე მისი ფინანსური სახრებით უზრუნველყოფითაც გამოიხატება. ქვეყანაში მოსახლეობის ჯანდაცვის ხარჯები შეადგენს მისი მშპ-ს 8,1%-ს. იაპონიაში ჯანდაცვის დონე გაცილებით მაღალია, ვიდრე აშშ-ში, სადაც ამ მიზნით იხარჯება თითქმის 2-ჯერ მეტი სახსრები. დანახარჯებში

ასეთი დიდი განსხვავება განპირობებულია, პირველ ყოვლისა, იაპონიაში დაავადების პრევენციის მაღალი ორგანიზაციის საფუძველზე მისი თავიდან აცილებითა და, აგრეთვე, მკურნალობის ნაკლებაგრესიული მეთოდებით.

მიუხედავად იაპონიის ჯანდაცვის სფეროში მიღწეული წარმატებებისა, მას აქვს მწვავე დემოგრაფიული პრობლემები. ქვეყანაში მოკვდაობის დონე ჭარბობს შობადობის დონეს. თანაც, ძალზე სწრაფად ხდება მოსახლეობის დაბერება. საპროგნოზო მონაცემებით, 2050 წელს იაპონიის მოსახლეობის 40% იქნება 65 წლოვანთა ზღურბლზე, რაც დიდ ტვირთად დააწვება ეროვნულ ჯანდაცვასა და ეკონომიკას, რამდენადაც მოხუცებულთა მკურნალობის ხარჯები 4-5-ჯერ მეტია, ახალგაზრდებთან შედარებით [8].

ქვეყნის ჯანდაცვის განვითარებაში გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება მოსახლეობის ჯანმრთელობის დაზღვევას. იაპონიაში საყოველთაო სამედიცინო დაზღვევა შემოღებულ იქნა ჯერ კიდევ 1961 წელს, რომელიც მოიცავდა ორ სქემას. შემდგომში კი სამედიცინო დაზღვევის სისტემაში შეტანილ იქნა მნიშვნელოვანი ცვლილებები, რამაც უფრო გააძლიერა მისი სოციალურად ორიენტირებული ხასიათი. 1973 წელს სადაზღვევო გადასახდელების ხარჯზე სამედიცინო მომსახურებაზე გაწეული დანახარჯების კომპენსაცია გაიზარდა 70%-მდე. 1983 წ. კი ძალაში შევიდა ხანდაზმულ მოქალაქეთა ჯანმრთელობისა და სამედიცინო მომსახურების შესახებ კანონი, რომლის მიხედვითაც ამ მიზნით გაწეული დანახარჯების დაფარვა დაეკისრა არა მხოლოდ ჯანმრთელობის ეროვნულ სისტემას (სადაც დაზღვეულია მოქალაქე), არამედ, მასთან ერთად, იმ სისტემას, სადაც დაზღვეულნი არიან სახელმწიფო და კერძო საწარმოთა მოსამსახურეები. მაგრამ, ამ მხრივ, ყველაზე მნიშვნელოვანი იყო 1997 წ. ხანგრძლივი მოვლაპარტონობის დაზღვევის შესახებ კანონის მიღება, რომლითაც სათავე დაედო ქვეყანაში ხანდაზმულთა ხანგრძლივი მოვლა - პატრონობის სისტემის ფორმირებას.

ამჟამად, სამედიცინო დაზღვევის სისტემა შედგება 3 რგოლისგან:

1. **დაზღვევა სამუშაო ადგილისა და პროფესიის მიხედვით.** იგი მოიცავს დაზღვევის საზოგადოებრივი სისტემის მეშვეობით იმ კომპანიების თანამშრომლებს, სადაც მუშაობს 5 კაცზე მეტი;



წვრილ საწარმოთა მუშაკებს (ჯანმრთელობის დაცვის იაპონური ასოციაციის მემწევობით); სახელმწიფო მოხელეებს, კერძო სკოლებისა და უნივერსიტეტების თანამშრომლებს, მეზღვაურებს და სხვ.

**2. სხვადასხვა კატეგორიის მუშაკთა ეროვნული დაზღვევის სისტემა:** თვითდასაქმებულები, ფერმერები, მეთევზეები და მეტყვევები, უმუშევრები, პენსიონრები, აგრეთვე, 75 წელზე ნაკლები ასაკის მქონე პირები, რომლებიც არ არიან დაზღვევის სხვა სქემაში გაერთიანებულები.

### **3. 75 წელზე მეტი ასაკის პირთა დაზღვევა.**

სადაზღვევო შენატანების და მათი შეროვნების განსაზღვრის მეთოდები დაზღვევის სისტემების მიხედვით განსხვავებულია. სამუშაო ადგილისა და პროფესიული დაზღვევის დროს (I სქემა) შენატანები გაიანგარიშება ხელფასებიდან, რომელთა განაკვეთები მერყეობს 3-დან 12%-მდე, შემოსავლების დონეზე დამოკიდებულებით. დაზღვევის ეროვნული სისტემის (II სქემა) დროს შენატანები პირდაპირ გადაირიცხება ხელმომწერთა მუნიციპალიტეტებში და შედგება ორი ნაწილისგან: **პირველი** - ერთნაირია ყველა საოჯახო მეურნეობისთვის და **მეორე** - მუნიციპალიტეტების მიერ გაანგარიშებული, მათი შემოსავლებისა და აქტივების მოცულობის გათვალისწინებით. რაც შეეხება ხანდაზმულთა შენატანებს (III სქემა) ისინი ამოიღება მუნიციპალიტეტების მიერ [3].

სადაზღვევო შენატანებისა და სადაზღვევო გასაცემლების თვალსაზრისით, შედარებით ხელსაყრელია სადაზღვევო სისტემის I სქემა, რამდენადაც აქ ჭარბობს ახალგაზრდა და საშ. ასაკის დაზღვეულები, რომელთა მოთხოვნა სამედიცინო მომსახურებაზე, შედარებით მცირეა. უფრო ცუდი მდგომარეობაა დაზღვევის ეროვნულ სისტემაში, სადაც ჭარბობს ხანდაზმული დაზღვეულები, რომლებიც უფრო მეტად საჭიროებენ სამედიცინო მომსახურებას. ამასთან, აქ დიდია დაბალშემოსავლიანი მოქალაქეების რაოდენობა, მ.შ. მათი, ვინც მთლიანად ან ნაწილობრივ გათავისუფლებულია სადაზღვევო შენატანებისგან. თუმცა, გასაგები მიზეზების გამო, ამ მხრივ ყველაზე რთული მდგომარეობაა 75 წელს გადაცილებულ მოქალაქეთა დაზღვევის (III სქემა) პირობებში.

განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს გრძელვადიანი მოვლა-პატრონობის დაზღვევის სისტემა, რომელიც იაპონიაში

2000 წლიდან მოქმედებს. იგი ფინანსდება რამდენიმე წყაროს მეშვეობით, რომლის 40% იფარება სადაზღვევო შენატანებით, მას იხდის ყველა 40 წელს მიღწეული მოქალაქე ხელფასის 1,5%-ის ოდენობით, მ.შ. პენსიონრებიც. მომსახურების ღირებულების 10%-ს იხდიან პაციენტები, დანარჩენს კი - ცენტრალური ხელისუფლება (25%) და ადგილობრივი ორგანოები (12,5%); 75 წელს გადაცილებული მძიმე სნეულებით დაავადებულნი და საწოლს მიჯაჭვული ავადმყოფები, აგრეთვე, 65-დან 75 წლამდე მძიმე განუკურნებელი სენით დაავადებულები მომსახურებას დებულობენ თავიანთ სახლებში, ხანგრძლივი მომსახურების ადგილებსა და სპეციალურ კლინიკებში.

როგორც ვხედავთ იაპონიას აქვს მოსახლეობის სამედიცინო მომსახურებისა და ჯანმრთელობის დაზღვევის საკმაოდ მაღალი დონე, რომლის მთავარი ღირსებებია:

1. ეს სისტემა გარანტიას აძლევს ნებისმიერ მოქალაქეს, მიუხედავად საცხოვრებელი ადგილის, პროფესიისა და სოციალური მდგომარეობისა, მიიღოს სამედიცინო მომსახურება ქვეყნის ნებისმიერ სამედიცინო დაწესებულებაში, თვითონ შეარჩიოს სამედიცინო მომსახურებისთვის სასურველი სამედიცინო პერსონალი;

2. იგი განსაზღვრავს სადაზღვევო გადასახდელების ერთნაირ წილს დაზღვევის ყველა სქემისთვის (70%) მოსახლეობის სამედიცინო მომსახურების ხარჯების დაფარვაში, 75 წელს მიღწეულ პირთა გამოკლებით, რომლებიც იხდიან მომსახურების ღირებულების 10%-ს, აგრეთვე, დაბალშემოსავლიან პირთა გარდა, რომელთათვისაც დაწესებულია სხვადასხვა სახის შეღავათები;

3. ქვეყნის ყველა საავადმყოფოსა და კლინიკისთვის დადგენილია ერთნაირი ფასები სამედიცინო მომსახურებაზე, რომელსაც განსაზღვრავს და პერიოდულად აკორექტირებს ჯანდაცვის, შრომისა და კეთილდღეობის სამინისტრო, სოციალური დაზღვევის საბჭოს რეკომენდაციების შესაბამისად;

4. ეს სისტემა დაფუძნებულია თაობათა სოლიდარობის პრინციპებზე, როცა მომუშავე ახალგაზრდა თაობა ფარავს ხანდაზმული ასაკის პირთა სამედიცინო მომსახურების ხარჯებს.

ამასთან, ყოველმხრივ მაღალგანვითარებულ იაპონურ სოციალური უზრუნველყოფის სისტემას აქვს სერიოზული სირთულეები და გამოწვევები, რომელთაგან მთავარია მოსახლეობის

სწრაფი დაბერება. ექსპერტ-სპეციალისტების პროგნოზით „ვერცხლის სუნამი“ /ასე უწოდებენ იაპონიაში ხანდაზმული მოსახლეობის რაოდენობის ზრდის პროცესს/ გაგრძელდება 2043 წლამდე, როცა ხანდაზმულთა რაოდენობა მიაღწევს 38,9 ათას კაცს. შემდგომში იგი დაიწყებს კლებას, მაგრამ ქვეყანაში მოსახლეობის დაბერების პროცესი გაგრძელდება. სათანადო გათვლებით დასტურდება, რომ ხანდაზმულთა წილი მოსახლეობის სტრუქტურაში იქნება 2025 წ. – 29.6%, 2055 წ. – 39.4% და 2060 წ. - თითქმის 40%. ამასთან, თუ 2015 წ. 1 ხანდაზმულზე მოდიოდა 2.3 შრომისუნარიანი პირი, 2060 წლისთვის უკვე 1 ხანდაზმულს შეინახავს 1,3 შრომისუნარიანი ადამიანი [3].

საერთოდ კი, დასკვნის სახით უნდა აღინიშნოს, რომ მსოფლიოს მაღალგანვითრებულ ქვეყნებს - აშშ-სა და იაპონიას აქვთ სერიოზული მიღწევები /გამოწვევებთან ერთად/ სოციალურ-ეკონომიკური და ეკოლოგიური უსაფრთხოების სფეროში, რომელთა გაზიარება დიდად წაადგება როგორც განვითარებული, ისე განვითარებადი სამყაროს ქვეყნებს, მ.შ. საქართველოს, მდგრადი და უსაფრთხო სოციალურ-ეკონომიკური და ეკოლოგიური განვითარების მაღალი დონის მიღწევაში.

### **გამოყენებული ლიტერატურა**

1. Гордиенко Д. В. – Обеспечение экономической безопасности США при реализации интернациональных проектов. <http://www.fin.izdat.ru/journal/national/>
2. Кудинов В. В., Мухина Е. Г. – Некоторые особенности регулирования обеспечения экономической безопасности в США, журн. “Международная Экономика”, №12, 2020.
5. <https://panor.ru/articles/nekotorye-osobennosti-regulirovaniya-obespecheniya-ekonomicheskoy-bezopasnosti-v-ssha/53671.html>
3. Лебедева И. П. – Система социального обеспечения Японии: достижения и проблемы <https://cyberleninka.ru/article/n/sistema-socialnogo-obespecheniya-yaponii-dostizheniya-i-problemy>.
4. Лобанова В. В., Симоненко О. А. – Национальная безопасность Японии и разногласия в Японо-Американских

- отношениях. [http://pnu.edu.ru/meida/ejournal/articles-2016/TGU\\_7\\_53.pdf](http://pnu.edu.ru/meida/ejournal/articles-2016/TGU_7_53.pdf)
5. Миямото Таро – Специальная политика и занятость XXI века <https://www.nippon.com/ru/in-depth/a04203/>
  6. Павлюшина В., Брилянтova В – Япония в поисках новых драйверов роста, Бюлетень о текущих тенденциях мировой Экономики, Январь 2019.
  7. Пушкарева Л. В. – Экономическая безопасность, учебник, М, 2018 [https://szu-lib.ranepa.ru/new\\_book/Html\\_01.19/pushkareva/pushkareva.html](https://szu-lib.ranepa.ru/new_book/Html_01.19/pushkareva/pushkareva.html)
  8. Тимонина И Л – Уровень социально-экономического развития Японии и новый вектор экономической стратегии
  6. <https://cyberleninka.ru/article/n/uroven-sotsialno-ekonomicheskogo-razvitiya-yaponii-v-mezhdunarodnyh-sravneniyah-i-novyy-vektor-ekonomicheskoy-strategii>
  9. Бедность в Японии – невеселый прогресс <https://www.nippon.com/ru/features/h00072/>
  10. ВВП стран мира: доля стран в мировом ВВП <https://fingeniy.com/vvp-stran-mira-dolya-stran-v-mirovom-vvp/>
  11. Внешняя торговля Японии [https://studwood.net/1453201/ekonomika/vneshnyaya\\_torgovlya\\_yaponii](https://studwood.net/1453201/ekonomika/vneshnyaya_torgovlya_yaponii)
  12. Как Япония избежала массовой безработицы в пандемию Коронавируса <https://www.nippon.com/ru/in-depth/a07603/>
  13. Международная торговля США [https://studme.org/54510/ekonomika/mezhdunarodnaya\\_torgovlya\\_ssha](https://studme.org/54510/ekonomika/mezhdunarodnaya_torgovlya_ssha)
  14. От каких экологических проблем страдает США <https://musorniy.ru/ot-kakih-ekologicheskikh-problem-stradaet-ssha>
  15. Промышленность США [https://ru.wikipedia.org/wiki/Промышленность\\_США](https://ru.wikipedia.org/wiki/Промышленность_США)
  16. Сельское хозяйство США <https://geographyofrussia.com/selskoe-hozyajstvo-ssha/>
  17. Уровен бедности в Японии <https://take-profit.org/statistics/unemployment-rate/japan/>

18. Экологические проблемы США  
<https://ecoportal.info/ekologicheskie-problemy-ssha>
19. Экологические проблемы США и пути их решения  
[ჰტტპს://ეკოლოგია66ა.რე/ ეკოლოგიკეპისკიე-პრობლემაე/ ეკოლოგიკეპისკიე-პრობლემაე-სსა](#)
20. Экологическая политика США  
<https://works.doklad.ru/view/pp-RrWIHUKI.html>
21. Экономика Японии [ჰტტპს://რე.წიკიკეპილია.ორბ/წიკიკიკეპილია-იპონია](#)
22. Электроэнергетика США [ჰტტპს://რე.წიკიკეპილია.ორბ/წიკიკიკეპილია-სა](#)
23. Экологическая политика США и Канады  
[ტბტბ.რე/23/18.ჰტმლ](#)
24. Экономическая безопасность - Национальная безопасность  
<https://usacanada.jes.su/s268667300008239-2-1/>
25. Эволюция понятия “Экономическая безопасность” в США, в Западной Европе и России  
<https://moluch.ru/conf/econ/archive/14/1765/>

*Revaz Javakhishvili*

**GENERALIZATION OF EXPERIENCE IN THE FIELD OF  
SECURITY OF SOME DEVELOPED COUNTRIES - USA  
(ECONOMIC AND ECOLOGICAL), JAPAN (ECONOMIC AND  
SOCIAL)  
Summary**

Economic security and its provision is one of the current problems of modern economic theory. In the scientific literature, the category of "economic security" is quite rightly considered as an integral part of national security.

Economic security is a state of the economy during which its sustainable development and growth, optimal satisfaction of personal and public needs, high quality of management, protection of the country's economic interests at the national and international levels are achieved.

The paper covers the theoretical and methodological aspects of economic security - its essence, levels and internal structural elements,

internal and external threats affecting it, their causes and ways of overcoming them.

In the first part of the paper, according to the individual stages of economic development, the economic and ecological security problems of the USA, domestic and foreign threats affecting security, their causes and ways of overcoming them are discussed. Its second part is devoted to the discussion of Japan's socio-economic problems, where the socio-economic indicators of the country are analyzed, the successes achieved in this direction, the existing challenges and ways to overcome them are identified.

The paper concludes that the main guarantor of socio-economic and ecological security is the economic strength of these countries / these two countries make up almost 1/3 of the world GDP/. Sharing their successes in the field of security and the experience of overcoming existing challenges will greatly help the countries of both the developed and developing world (including Georgia) in ensuring a high level of socio-economic security.

*მამუკა ხუსკივაძე*

### **ეკოლოგიური უსაფრთხოების სფეროში ევროკავშირის გამოცდილების განზოგადება**

*ანოტაცია. ეკოლოგიური უსაფრთხოების პოლიტიკა ევროკავშირში, რომელიც თანამედროვე პირობებში ევროპის კონტინენტზე მთავარი მოთამაშეა ეკოლოგიის სფეროში, წარმოადგენს მისი საქმიანობის ერთ-ერთ ძირითად და პრიორიტეტულ მიმართულებას. იმის გათვალისწინებით, რომ ამჟამად არსებული გლობალური ეკოლოგიური პრობლემების დაძლევა შეუძლებელია რომელიმე ერთი ქვეყნის ფარგლებში, მათი ტრანსსასაზღვრო ხასიათიდან გამომდინარე, ევროკავშირი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს გარემოს დაცვისა და ეკოლოგიური უსაფრთხოების სფეროში ეფექტიანი საერთაშორისო პოლიტიკის ჩამოყალიბებას. ევროკავშირი ითვლება ეკოლოგიური უსაფრთხოების სფეროში მრავალი საერთაშორისო ნორმის შემოღების ინიციატორად. 2001 წელს მიღებულ ევროკავშირის მდგრადი განვითარების და ეკოლოგიური უსაფრთხოების სტრატეგიის მთავარი მაგისტრალური ხაზი არის ეკოლოგიური ფაქტორების სოციალურ-ეკონომიკურ და პოლიტიკურ ფაქ-*

ტორებთან თანაბარ დონეზე გათვალისწინება გადაწყვეტილებების მიღების დროს. ასევე, უნდა აღინიშნოს, რომ ევროკავშირის ეკოლოგიური უსაფრთხოების სფეროში ძირითად მიმართულებებს წარმოადგენს ბუნებრივ-რესურსული პოტენციალის ოპტიმალური გამოყენება და ეკოლოგიაზე უარყოფითი ანთროპოგენური ზემოქმედების შემცირება. თანამედროვე პირობებში ეკოლოგიური უსაფრთხოების უზრუნველყოფის ინსტიტუციურ მხარდაჭერა ევროკავშირში ხდება ძირითადად ევროპარლამენტის და ევროკომისიის მიერ.

ნაშრომში გაანალიზებულია ევროკავშირის საგარეო პოლიტიკური სტრატეგიის ცვლილება ეკოლოგიური უსაფრთხოების მიღწევის კონტექსტში, რამაც მას ახალი გლობალური მოთამაშის იმიჯი დაუმკვიდრა.

ნაშრომში განსაკუთრებული ყურადღება აქვს დათმობილი ეკოლოგიური უსაფრთხოების სფეროში ევროკავშირის გამოცდილების განზოგადებას ეკოლოგიური კანონმდებლობის, ეკოლოგიური პოლიტიკის და ინსტიტუციური სტრუქტურების სრულყოფის მიმართულებით. აგრეთვე, ბუნებრივი რესურსების რაციონალური მართვის და გარემოს გაჭუჭყიანების კონტროლის საკითხების გაშუქებას.

## შესავალი

ეკოლოგიური უსაფრთხოების პოლიტიკა ევროკავშირში, რომელიც თანამედროვე პირობებში ევროპის კონტინენტზე მთავარი მოთამაშეა ეკოლოგიის სფეროში, წარმოადგენს მისი საქმიანობის ერთ-ერთ ძირითად და პრიორიტეტულ მიმართულებას. იმის გათვალისწინებით, რომ ამჟამად არსებული გლობალური ეკოლოგიური პრობლემების დაძლევა შეუძლებელია რომელიმე ერთი ქვეყნის ფარგლებში, მათი ტრანსსასაზღვრო ხასიათიდან გამომდინარე, ევროკავშირი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს გარემოს დაცვისა და ეკოლოგიური უსაფრთხოების სფეროში ეფექტიანი საერთაშორისო პოლიტიკის ჩამოყალიბებას. ევროკავშირი ითვლება ეკოლოგიური უსაფრთხოების სფეროში მრავალი საერთაშორისო ნორმის შემოღების ინიციატორად. 2001 წელს მიღებულ ევროკავშირის მდგრადი განვითარებისა და ეკოლოგიური უსაფრთხოების სტრატეგიის მთავარი მაგისტრალური ხაზი არის ეკო-

ლოგიური ფაქტორების სოციალურ-ეკონომიკურ და პოლიტიკურ ფაქტორებთან თანაბარ დონეზე გათვალისწინება გადაწყვეტილებების მიღების დროს. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ ევროკავშირის ეკოლოგიური უსაფრთხოების სფეროში ძირითად მიმართულებებს წარმოადგენს ბუნებრივ-რესურსული პოტენციალის ოპტიმალური გამოყენება და ეკოლოგიაზე უარყოფითი ანთროპოგენური ზემოქმედების შემცირება. თანამედროვე პირობებში ეკოლოგიური უსაფრთხოების უზრუნველყოფის ინსტიტუციური მხარდაჭერა ევროკავშირში ხდება ძირითადად ევროპარლამენტისა და ევროკომისიის მიერ. ევროკავშირის სტრატეგიულ მიზნებს ეკოლოგიური უსაფრთხოების უზრუნველყოფის კონტექსტში წარმოადგენს:

- თანასწორობისა და ეფექტიანი პარტნიორობის მიღწევა გლობალური მასშტაბით მდგრადი გლობალური განვითარების უზრუნველსაყოფად;

- ეკოლოგიური უსაფრთხოების სფეროში ფიქსირებული რაოდენობრივი მიზნების დასხვა;

- ეკოლოგიური მონიტორინგის ეფექტიანობის ამაღლება (3).

ეკოლოგიური უსაფრთხოების უზრუნველყოფის სტრატეგიული მიზნის მიღწევას ევროკავშირი ახორციელებს პოლიტიკური, ეკონომიკური, სამართლებრივი, საგანმანათლებლო და სხვა მექანიზმების გამოყენებით.

### **ევროკავშირის ეკოლოგიური სტრატეგია**

ეკოლოგიური უსაფრთხოებისა და მდგრადი განვითარების მიმართულებით ევროკავშირის უმნიშვნელოვანესი დოკუმენტია ეკოლოგიური სტრატეგია, რომელიც მიიღეს 2001 წელს ევროსაბჭოს სესიაზე. აღნიშნული სტრატეგია წარმოადგენს ევროკავშირის წევრი ქვეყნების სამოქმედო დოკუმენტს ბუნებათსარგებლობისა და გარემოს დაცვის სფეროში. ის მათ აკისრებს მკაფიო პასუხისმგებლობას აღებული გარემოსდაცვითი ვალდებულებების შესრულების თვალსაზრისით.

ევროკავშირის ეკოლოგიური სტრატეგია ითვალისწინებს მის მონაწილეობას სხვადასხვა კონვენციებში, საერთაშორისო ფორუმებში და გარემოსდაცვით საკითხებზე ორგანიზებულ წარმომადგენლობით შეხვედრებში. ამ ასპექტში შეიძლება გამოიყოს



დუნაის, რეინის, ჰელსინკის (კონვენცია ბალტიის ზღვის დაცვაზე) კონვენციები, ასევე ბონის შეთანხმება (ჩრდილოეთის ზღვის და-ბინძურების საწინააღმდეგო). შეიძლება ითქვას, რომ ჩამოთვლილ და ზოგიერთ სხვა კონვენციაში აქტიური ჩართულობით ევროპის კონტინენტზე საგრძნობი დადებითი ეკოლოგიური შედეგები იქნა მიღწეული. ევროკავშირი ეკოლოგიური სტრატეგიის ფარგლებში ახორციელებს ისეთ პროგრამებს, როგორცაა: SMAR (თანამშრო-მლობის ჩარჩო პროგრამა), MAR (სპეციალიზებული ეკოლოგიური პროგრამა), METAR (მსხვილი სპონსორების გაერთიანების პროგ-რამა) და სხვა.

ეკოლოგიური უსაფრთხოების სფეროში ევროკავშირის საერ-თაშორისო თანამშრომლობის გათვალისწინებით გამოიყოფა ქვეყ-ნების შემდეგი ჯგუფები:

- შვეიცარია, ნორვეგია, ლიხტენშტეინი, მონაკო, ანდორა, სან-მარინო და ისლანდია (ასოცირებული წევრები);

- თურქეთი;

- სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნები (ალაბანეთი, ბოს-ნია-ჰერცეგოვინა, მაკედონია, სერბეთი და ჩერნოგორია;

- აღმოსავლეთ ევროპა და კავკასია (რუსეთი, უკრაინა, ბე-ლორუსი, მოლდოვა, სომხეთი, აზერბაიჯანი და საქართველო);

- ცენტრალური აზიის ქვეყნები (ყაზახეთი, ყირგიზეთი, ტა-ჯიკეთი, თურქმენეთი და უზბეკეთი) (3).

ევროკავშირი არა მხოლოდ მონაწილეობს ეკოლოგიურ ღო-ნისძიებებში, არამედ თვითონაც ხდება მასშტაბური პოლიტიკური ფორუმების ორგანიზატორი. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ეკოლოგიური კონფერენციები სახელწოდებით „გარემო ევროპი-სათვის“, რომელიც ტარდება რეგულარულად ყოველ ოთხ წელი-წადში ერთხელ ევროკავშირის წევრი ქვეყნების გარემოს დაცვის მინისტრების მონაწილეობით. ამ კონფერენციებზე განიხილება ევროკავშირში ბუნებრივი რესურსების გამოყენებისა და გარემოს დაცვის საკითხები და ხდება მისი ეკოლოგიური უსაფრთხოების სფეროში განხორციელებული საქმიანობის შეფასება (3). ასეთ და სხვა ტიპის შეხვედრებზე ყოველთვის ხდება ხაზგასმა ევროკავ-შირის წევრი ქვეყნების პასუხისმგებლობაზე ეკოლოგიური უსაფრ-თხოების მიღწევის სფეროში და მიიღება დეკლარაციები, რომ-ლებშიც განსაზღვრულია პრიორიტეტული მიმართულებები. ამ

ასპექტში ევროკავშირის პრიორიტეტულ მიმართულებებად ეკოლოგიური უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით უნდა გამოიყოს შემდეგი:

- ბუნებრივ-რესურსული პოტენციალის რაციონალური მართვა და მისი კვალავწარმოებისათვის ხელსაყრელი პირობების შექმნა;

- ბუნებათსარგებლობისა და გარემოს დაცვის სამართლებრივი ბაზის სრულყოფა;

- ეკოლოგიური პოლიტიკისა და მისი ინსტიტუციური საფუძვლების გაუმჯობესება;

- გარემოს დაბინძურების მონიტორინგის ეფექტიანი სისტემის შექმნა;

- ეკოლოგიური უსაფრთხოების სფეროში ოპტიმალური გადაწყვეტილებების მისაღებად საჭირო სარწმუნო ინფორმაციის მოძიება.

### **ევროკავშირის ეკოლოგიური პოლიტიკა ეკოლოგიური უსაფრთხოების კონტექსტში**

თანამედროვე პირობებში ეკოლოგიურ უსაფრთხოებაზე ორიენტირებული ეკოლოგიური პოლიტიკით და მისი რეალიზაციის ეფექტიანი ეკონომიკური და სამართლებრივი მექანიზმებით ევროკავშირი სამართლიანად ითვლება მსოფლიოს წამყვან რეგიონად. ევროკავშირის გამოცდილება და მიღწეული შედეგები, ჯანსაღი ეკოლოგიური გარემოს ფორმირებისა და მოსახლეობის ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესების ამოცანის გადაჭრაში სამართლიანად ითვლება საუკეთესო მაგალითად დანარჩენი მსოფლიოს როგორც განვითარებული, ისე განვითარებადი ქვეყნებისათვის. ევროკავშირის ძალისხმევით მოეწერა ხელი დედამიწის ოზონის შრის დაცვის მონრეალის ოქმს, კიოტოს ოქმს და გაეროს კონვენციას კლიმატის ცვლილების შესახებ. ის სულ უფრო ხშირად გამოდის ახალი საერთაშორისო ნორმებისა და ინოვაციური ინსტრუმენტების შექმნის ინიციატორად ეკოლოგიური პოლიტიკისა და გარემოს დაცვის მიმართულებით.

ევროკავშირის ეკოლოგიური პოლიტიკის ფორმირების პროცესმა რამდენიმე ეტაპი გაიარა და ამჟამად მასში გამოიყოფა შემდეგი ძირითადი მიმართულებები:

- გარემოს მდგომარეობის შეფასება, პრობლემების იდენტიფიცირება და მისი ხარისხის გაუმჯობესება;
- ადამიანის ჯანმრთელობაზე ზრუნვა და მისთვის ხელსაყრელი ეკოლოგიური გარემოს შექმნა;
- ბუნებრივი რესურსების ოპტიმალური გამოყენება და დაცვა;
- ეკოლოგიური უსაფრთხოების სფეროში ინოვაციური ევროპული პოლიტიკის ფორმირება და მისი პრაქტიკული რეალიზაციის ეფექტიანი გზების დასახვა;
- ეკოლოგიური აღზრდისა და განათლების სისტემის გაუმჯობესება;
- ეკოლოგიის სფეროში სამეცნიერო კვლევების აქტივიზაცია და კონტროლი;
- სამრეწველო და საყოფაცხოვრებო ნარჩენების მართვის ეფექტიანი მოდელის შექმნა;
- საერთაშორისო თანამშრომლობის აქტივიზაცია გლობალური და ლოკალური ეკოლოგიური პრობლემების გადაჭრის მიზნით.

უნდა აღინიშნოს, რომ ევროკავშირის შეთანხმებული ეკოლოგიური პოლიტიკის ერთ-ერთ თავისებურებად სპეციალურ ლიტერატურაში მიჩნეულია დირექტივებისა და ჩარჩო პროგრამების შექმნა, რომელთა რეალიზაციის კონკრეტულ ღონისძიებათა სისტემის შემუშავება უკვე წევრი ქვეყნების პასუხისმგებლობის საკითხია. ამიტომ აღნიშნული ეკოლოგიური პოლიტიკის მეორე თავისებურებად თვლიან იმას, რომ, ერთი მხრივ, ის არის უნიფიცირებული, ხოლო მეორე მხრივ, – განსხვავებული ქვეყნების მიხედვით. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ დაბინძურების ტრანსსასაზღვრო ხასიათიდან გამომდინარე გეოგრაფიული ფაქტორი (ევროკავშირის ქვეყნების კომპაქტური სამეზობლო განლაგება) არსებით ხასიათს იძენს და ახდენს მნიშვნელოვან ზეგავლენას ევროკავშირის ეკოლოგიური პოლიტიკის ფორმირებასა და რეალიზაციაზე.

ევროკავშირის ეკოლოგიურ უსაფრთხოებაზე ორიენტირებული ეკოლოგიური პოლიტიკის ფორმირებაში გამოყოფენ 5 ეტაპს (3):

1. პირველი ეტაპი (1957-1971 წლები). 1957 წლიდან პირველი ეტაპის დაწყება დაკავშირებულია იმასთან, რომ რომის შეთანხმებით ამ წლამდე ევროკავშირს არ გააჩნდა უფლებამოსილება და პრეფერენციები გარემოს დაცვის სფეროში დამოუკიდებელი პირდაპირი პოლიტიკის გასატარებლად. ამ ეტაპისათვის დამახასიათებელია ეკოლოგიური კომპეტენტურობის ნაკლებობა როგორც ეკონომიკურ, ისე სამართლებრივ ჭრილში, რის გამოც ხორციელდებოდა მხოლოდ ფრაგმენტული, ერთეული გარემოსდაცვითი ღონისძიებები. ამ ეტაპმა, მიუხედავად იმისა, რომ არ ჩამოყალიბებულა დასაბუთებული ეკოლოგიური პოლიტიკა, მოამზადა და საფუძველი ჩაუყარა მეორე ეტაპის დაწყებას.

2. მეორე ეტაპი (1972-1985 წწ). ამ ეტაპისათვის დამახასიათებელია პირველი გარემოსდაცვითი პროგრამების შემუშავება და მათი განხორციელების დაწყება. განსაკუთრებით აღსანიშნავია 1972 წელს ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების მთავრობების მეთაურთა საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება ევროკავშირის კომპეტენციების გაფართოების შესახებ ეკოლოგიის სფეროში. ეს გაფართოება, რომელმაც მიიღო „გადინების ეფექტის“ სახელწოდება, პირველ რიგში, გამოიხატა დირექტივების გამოცემით. გარდა ამისა, ევროკავშირი ამ პერიოდში მიუერთდა რამდენიმე მნიშვნელოვან საერთაშორისო კონვენციას ეკოლოგიის სფეროში. მათგან უნდა გამოიყოს ველური ფლორისა და ფაუნის დაცვის კონვენცია, ჰაერის ტრანსსასაზღვრო დაბინძურების შესახებ კონვენცია და ა.შ.

3. მესამე ეტაპი (1986-1991 წწ). ბიბლიოგრაფიულ წყაროებში ეს ეტაპი ძირითადად ხასიათდება როგორც ეკონომიკური, სამართლებრივი და ინსტიტუციური კომპეტენციების სრულყოფის და გამყარების ეტაპი. 1986 წელს მიღებულმა ერთიანმა ევროპულმა აქტმა შეიტანა არსებითი ცვლილებები ზემოთ ნახსენებ 1957 წელს მიღებულ რომის შეთანხმებაში და საფუძველი ჩაუყარა ბუნებათსარგებლობისა და გარემოს დაცვის სფეროში ევროკავშირის საქმიანობის ახალ ფორმატსა და მოდელს. ამ მოდელის მიხედვით დაინერგა ევროკავშირისა და მის წევრ ქვეყნებს შორის ე. წ. სუბსიდირების პრინციპი ეკოლოგიის სფეროში, ანუ ევროკავშირმა ჩათვალა, რომ წარმოქმნილი ეკოლოგიური პრობლემების მასშტაბებიდან და სიმწვავიდან გამომდინარე, საკმარისი ვერ იქნება წევრი

ქვეყნების ძალისხმევა და დასახული მიზანი – ჯანსაღი ეკოლოგიური მდგომარეობის ჩამოყალიბება – მიიღწევა მხოლოდ მის მიერ. ამ ეტაპზე ასევე შესამჩნევე იყო გარემოს დაცვითი პროცესების სამართლებრივი გააქტიურება და ისეთი საკითხების აქტუალიზაცია, როგორებიცაა: გარემოზე ზემოქმედების შეფასებისა და მონიტორინგის სისტემის დანერგვა, ეკოლოგიური ხასიათის ინფორმაციით საზოგადოების უზრუნველყოფა და სხვა. მიჩნეულია, რომ ევროკავშირის ეკოლოგიური პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების ფორმირება მესამე ეტაპზე დასრულდა.

4. მეოთხე ეტაპი მოიცავს 1992-2002 წლებს და ის შეფასებულია როგორც ევროკავშირის ეკოლოგიური პოლიტიკის სრულყოფის პერიოდი. ევროკავშირის ეკოლოგიური პოლიტიკის მიზნები და ამოცანები ჩამოყალიბდა შემდეგნაირად: გარემოს მდგომარეობის დაცვა და გაუმჯობესება; ადამიანების ჯანმრთელობაზე ზრუნვა; ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენების უზრუნველყოფა; გარემოს დაცვის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის ხელშეწყობა. ევროკავშირის ეკოლოგიურ პოლიტიკაზე გავლენა, განსაკუთრებით გარემოსდაცვითი ღონისძიებების დაფინანსების კონტექსტში, მოახდინა მასტრიხტის შეთანხმებამ, რომელიც მიიღეს 1992 წელს. ეს შეთანხმება მნიშვნელოვანი აღმოჩნდა იმითაც, რომ გაუქმდა სუბსიდიარობის პრინციპი. ამ პერიოდის მოვლენებიდან უნდა აღინიშნოს ასევე 1997 წელს მიღებული ამსტერდამის შეთანხმება, რომელმაც გარკვეული შესწორებები შეიტანა ევროკავშირის დამფუძნებელ შეთანხმებაში და გახდა ეკოლოგიის სფეროში სამართლებრივი ბაზის ტრანსფორმაციისა და სრულყოფის მასტიმულირებელი. განსაკუთრებით ხაზგასასმელია ის გარემოება, რომ ევროკავშირის წევრებისათვის და შესვლის მსურველი კანდიდატებისათვის ეკოლოგიური თანამშრომლობა და ინტეგრაცია გახდა აუცილებელი. ევროკავშირში გარემოსდაცვითი პროცესების განხორციელება დაიწყო შეთანხმების 174-176 და 95-ე სტატიების საფუძველზე, რაც არსებითად გულისხმობდა წევრი ქვეყნების ბუნებათსარგებლობისა და გარემოს დაცვის სფეროში არსებული კანონმდებლობის ჰარმონიზებას. ამ წლებში უფრო მეტი დატვირთვა შეიძინა ეკოლოგიური ინტეგრაციის პროცესებმა, რა მიზნითაც შემუშავდა ეკოლოგიური სერტიფიკაციის სისტემა, ხოლო ეკოლოგიური სამართლის სფეროში

ჩართო შემდეგი მიმართულებები: ეკოლოგიური მენეჯმენტი და აუდიტი, ეკოლოგიური მონიტორინგი, გარემოზე ანთროპოგენური და ტექნოლოგიური ზეგავლენის შეფასება, ეკოლოგიური სტანდარტიზაცია და სხვა.

მეხუთე ეტაპი დაიწყო 2003 წელს და გრძელდება მიმდინარე პერიოდში. თანამედროვე ეტაპზე ევროკავშირი ეკოლოგიურ უსაფრთხოებაზე ორიენტირებულ პოლიტიკას ატარებს მოწინავე ეკონომიკური და სამართლებრივი მექანიზმების მეშვეობით. ეკოლოგიური პრობლემების სიმწვავეზე და ევროკავშირის მიერ მის ასახვაზე პოლიტიკური პრიორიტეტების სისტემაში მიუთითებს ის ფაქტი, რომ გარემოსდაცვითი პრობლემები ასახულია მის კონსტიტუციაში (თუმცა რიგი წამყვანი ქვეყნების რეფერენდუმების მიერ ის არ იქნა მიღებული). არანაკლებ მნიშვნელოვანია ეკოლოგიური პოლიტიკის რეალიზაციის ინსტიტუციური უზრუნველყოფა, რაშიც ჩართულია ევროკომისია, ევროპარლამენტი, ევროპული სასამართლო და ა.შ.

გარდა ამ ინსტიტუციებისა, ევროკავშირში არსებობს გარემოს დაცვის ევროპული სააგენტო, რომელიც რეგლამენტის მე-20 სტატიის მიხედვით ახორციელებს მნიშვნელოვან როლს ევროკავშირის ეკოლოგიური პოლიტიკის განხორციელებაში. ის მონაწილეობს ეკოსტანდარტების შემუშავებაში, ეკოლოგიური კანონმდებლობის იმპლემენტაციის კონტროლში, გარემოზე ზემოქმედების შეფასების კრიტერიუმების სრულყოფაში (ყოველივე ეს გათვალისწინებულია შესაბამისი დირექტივებით). აქვე მნიშვნელოვანია აღვნიშნოთ, რომ დამფუძნებელი რეგლამენტის მე-19 სტატიის მიხედვით აღნიშნული სააგენტოს საქმიანობაში მონაწილეობის შესაძლებლობა ეძლევათ ევროკავშირის არაწევრ იმ ქვეყნებსაც, რომლებიც იზიარებენ მისი ფუნქციონირების პრინციპებს და მიმართულებებს (ეს საკითხი ყურადსაღებია საქართველოსათვის, ვინაიდან აჩენს შესაძლებლობის ფანჯარას ამ სააგენტოსთან კონსტრუქციულ თანამშრომლობის მიმართულებით).

საზოგადოდ, უნდა ითქვას, რომ ევროკავშირის ეკოლოგიური პოლიტიკის რეალიზაცია, განსაკუთრებით საწყის პერიოდში უპირატესად ხორციელდებოდა სამართლებრივი ინსტრუმენტების მეშვეობით. მათგან აღსანიშნავია: კონვენციები, დირექტივები, ნორმატიული აქტები და რეგლამენტები. ევროკავშირის ერთ-ერთი

საკვანძო დირექტივა 85/337, რომელიც ეხება სახელმწიფო და კერძო ობიექტების გარემოზე ზეგავლენის შეფასებას და რეგლამენტი 1210/90, რომელიც ასახავს გარემოსდაცვის ევროპული სააგენტოს და გარემოზე დაკვირვების ევროპული ქსელის დაარსებას. გავრცელებული შეხედულებებით ეს დირექტივები მნიშვნელოვანია იმით, რომ მათში ასახულია მისწრაფება ეკოლოგიური პრობლემების დაძლევაში ეკონომიკური სუბიექტებისა და სამოქალაქო საზოგადოების ჩართვის თაობაზე. 85/337 დირექტივა დიდი როლს ასრულებს ევროკავშირის მიერ ეკოლოგიური პროცესების რეგულირებაში, რაც იმით გამოიხატება, რომ ნებისმიერმა სახელმწიფომ თუ კერძო საინვესტიციო პროექტმა უნდა გაიაროს სათანადო ეკოლოგიური ექსპერტების შეფასებები და მომზადდეს დასკვნა მისი გარემოზე ზეგავლენის დადგენის მიზნით. ეს დირექტივა შეიცავს ინფორმაციას აღნიშნული ექსპერტული შეფასებების კრიტერიუმების შესახებ (ასახულია სტატია 3-ში).

მე-20 საუკუნის მიწურულს ევროკავშირის ეკოლოგიურ პოლიტიკაში შესამჩნევი გახდა პირდაპირი რეგულირების მექანიზმებიდან საბაზრო მექანიზმზე გადასვლის ტენდენცია. ეს განაპირობა იმან, რომ საბაზრო მექანიზმები და ინსტრუმენტები უფრო მოქნილი და ეფექტიანი აღმოჩნდა ისეთ სფეროებში, როგორცაა: ბუნებრივ-რესურსული პოტენციალის რაციონალური გამოყენება და დაცვა; ბიომრავალფეროვნების დაცვა; გლობალური დათბობის წინააღმდეგ ბრძოლა და სხვა. ევროკავშირის მიერ ეკოლოგიური პოლიტიკის რეალიზაციის პროცესში საბაზრო ინსტრუმენტების აქტიურმა გამოყენებამ ხელი შეუწყო მწარმოებლებისა და მომხმარებლების ქცევის ეკოლოგიურ მოდიფიკაციას და შექმნა ახალი ეკოლოგიური პარადიგმა. გარემოს დაცვის ევროპული სააგენტოს ანალიტიკურ მოხსენებებში შემოთავაზებულია ის საბაზრო ინსტრუმენტები, რომლებიც აქტიურად გამოიყენება ევროკავშირის ეკოლოგიური პოლიტიკის განხორციელების პროცესში. მათგან აღსანიშნავია: ეკოლოგიური გადასახადები, რომელთა შემოღება, როგორც წესი, წინააღმდეგობრივი ხასიათისაა და არ იწვევს ბიზნეს-სუბიექტების კმაყოფილებას, თუმცა ახდენს ზეგავლენას ფასწარმოქმნაზე და იწვევს ცვლილებებს საბაზრო აქტორების პოლიტიკაში. ევროკავშირის ქვეყნებში ეკოლოგიური გადასახადების გამოყენების მიმართულებით პიონერები არიან სკანდინავიის ქვეყნები

და ნიდერლანდები (რომელიც ეკოლოგიური მდგომარეობით ლიდერობს ევროკავშირის ქვეყნებში). მიჩნეულია, რომ მათ ყველაზე ოპტიმალური მოდელი გააჩნიათ ეკოლოგიური გადასახადების კუთხით. ბოლო პერიოდში ევროკავშირის ქვეყნებში შეიმჩნევა აღნიშნული გადასახადების ზრდის ტენდენცია. კერძოდ, მოიმატა გადასახადებმა CO<sub>2</sub>-ის გამოფრქვევაზე, საწვავში გოგირდზე და ა.შ. მხოლოდ ზოგიერთი ეკოლოგიური გადასახადი დარჩა უცვლელი; ეკოლოგიური სუბსიდიები და შეღავათები, რომლებიც ახდენს ახალი, ინოვაციური ეკოტექნოლოგიებისა და ეკომეგობრული პროდუქციის შექმნის სტიმულირებას, ქმნის მათი გასაღების ახალ ბაზრებს და შესაბამისად ხელს უწყობს ეკონომიკის განვითარების დაჩქარებას; ეკოლოგიური შენატანები, რომლებიც მიემართება გარემოსდაცვითი პროგრამების დაფინანსებაზე; გაჭუჭყიანების უფლებები, რომლებიც აყალიბებს გაჭუჭყიანების უფლებათა ბაზარს სხვადასხვა სახის მავნე ნივთიერებების ემისიაზე (მაგ. კვოტები CO<sub>2</sub>-ის ემისიაზე) და სხვა. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ბოლო შეფასებებით ევროკავშირის ეკოლოგიურ უსაფრთხოებაზე ორიენტირებული ეკოლოგიური პოლიტიკის რეალიზაციის პროცესში უკეთესი შედეგების მომტანი აღმოჩნდა გარემოსდაცვითი პროცესების რეგულირების ადმინისტრაციული და საბაზრო მექანიზმების ჰარმონიული შეთანაწყობა.

ევროკავშირი მსოფლიოში თანამედროვე კლიმატური პოლიტიკისა და კლიმატური პროცესების მართვის ყველაზე მთავარი მოთამაშეა. „სტრატეგია 20-20-20“ -ით მან ახალ, ინოვაციურ ენერგეტიკულ პოლიტიკას ჩაუყარა საფუძველი, რომლის მიზანი არა მხოლოდ იმპორტირებულ ენერგომატარებლებზე დამოკიდებულების შემცირება იყო, არამედ ითვალისწინებდა „მწვანე“ ეკონომიკის ფორმირების ხელშეწყობას. ამ სტრატეგიის მიხედვით 2020 წლისათვის, 1999 წელთან შედარებით, გარემოში CO<sub>2</sub>-ის გამოფრქვევა უნდა შემცირებულიყო 20%-ით, ენერგომომხმარების საერთო სტრუქტურაში ალტერნატიული წყაროებიდან მიღებული ენერგიის წილი უნდა გაზრდილიყო 20%-ით, ხოლო საერთო ენერგოდანახარჯები უნდა შემცირებულიყო ასევე 20%-ით. გარდა ამისა, ევროკავშირი ავალდებულებს წევრ-ქვეყნებს რათა უზრუნველყონ სამრეწველო და საავტომობილო ტრანსპორტის ინდუსტრიის მიერ ზღვრულად დასაშვები გამონაბოლქვის სტანდარტების



დაცვა. საავტომობილო ტრანსპორტის მიერ ნახშირორჟანგის აირის გამოფრქვევის შემდგომი შემცირების მიზნით, ჯერ კიდევ 2011 წელს ევროკომისიამ მიიღო დოკუმენტი „ტრანსპორტის სტრატეგიის“ შესახებ, რომლის მიხედვითაც 2050 წლისთვის ევროკავშირის არცერთ ქვეყანაში არ უნდა დარჩეს ბენზინსა და დიზელზე მომუშავე ავტომობილები, ხოლო ავიასაწვავის 40% უნდა ჩანაცვლდეს ალტერნატიული წყაროებით ( 6).

ალტერნატიული ენერჯის წილის მთლიან მოხმარებაში გაზრდის მიზნით ევროკავშირმა 2009 წელს მიიღო დირექტივა „განახლებადი ენერჯის წყაროებიდან ენერჯის გამოყენების სტიმულირების შესახებ“, რითაც წევრ-ქვეყნებს, მათი ეკონომიკური მდგომარეობისა და განახლებადი ენერჯის წყაროების პოტენციალის საფუძველზე, დირექტიულად განესაზღვრათ 2020 წლისთვის შესაბამისი მიზნობრივი მაჩვენებლები. 2014 წელს ევროკავშირმა მიიღო ახალი პროექტი ენერჯეტიკისა და კლიმატის შესახებ 2030 წლამდე. ამ დოკუმენტით 2030 წლისათვის 1990 წლის დონესთან შედარებით დადგენილია სათბური აირების 40%-ით შემცირება, ხოლო განახლებადი ენერჯის წყაროებიდან მიღებული ენერჯის წილის გაზრდა კი – მინიმუმ 27%-მდე (6).

შეიძლება ითქვას, რომ ეკოლოგიური უსაფრთხოების მიღწევაზე ორიენტირებული ეკოლოგიური პოლიტიკის ფორმირება შეუძლებელია სახელმწიფოსა და სამეცნიერო-აკადემიური საზოგადოების მჭიდრო თანამშრომლობისა და სახელმწიფოების მხრიდან ეკოლოგიური პრობლემების რეგულირების სფეროში სამეცნიერო საქმიანობის სტიმულირების გარეშე. ამ მიმართულებით ევროკავშირი ყოველწლიურად ზრდის დანახარჯებს ეკოლოგიის სფეროში კვლევებსა და განვითარებაზე.

ეკოლოგიური უსაფრთხოების მიღწევის კონტექსტში ძალზედ მნიშვნელოვანია ეკოლოგიური კულტურისა და განათლების ეფექტიანი სისტემის შექმნა, რომელმაც უნდა უზრუნველყოს მომავალი თაობების გარემოს დაცვისადმი ინტერესების სტიმულირება, საზოგადოებაში ეკოლოგიური პასუხისმგებლობის იდეოლოგიის ფორმირება, ეკოლოგიის სფეროში კადრების მომზადება და კვალიფიკაციის ამაღლება (განსაკუთრებით მდგრადი განვითარების მიმართულებით), სახელმწიფო მხარდაჭერა ეკოლოგიური განათლების განმახორციელებელი ორგანიზაციების მიმართ,

ეკოლოგიური კანონმდებლობისა და მდგრადი განვითარების პრინციპების შესახებ საზოგადოების ინფორმირებულობა და ა. შ. ევროკავშირი ეკოლოგიური განათლების სფეროში ეყრდნობა სტრატეგიას „ეკოლოგიურ განათლებაში ევროპული საზომი“, რომელიც ორიენტირებულია პიროვნების აღზრდაზე სამოქალაქო პოზიციით, პროფესიული ეკოლოგიური თვითშეგნებითა და გარემოს დაცვის სურვილით. ევროკავშირის ეკოლოგიური განათლების სფეროში სათანადო ადგილი უჭირავს ბოლონიის პროცესს, რომლის წევრი საქართველოცაა. იგი არა მხოლოდ უშუალოდ უმაღლესი განათლების მიღებასთან დაკავშირებული რეგულაციებისა და პრინციპების ემიტენტია, არამედ მოწოდებულია თანამედროვე ევროპული საზოგადოებისთვის დამახასიათებელი სხვადასხვა სახისა და მათ შორის ეკოლოგიური პრობლემების დაძლევის ხელშეწყობაზე.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ევროკავშირი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ეკოლოგიური პოლიტიკის რეალიზაციის პროცესში მიმდინარე მდგომარეობის შეფასებისა და მონიტორინგის საკითხებს. ამ ასპექტში ევროკავშირის შესაბამისი სტრუქტურების მიერ ქვეყნის ეკოლოგიური უსაფრთხოების შეფასებისათვის შემუშავდა ინდიკატორი – ეკონოვაციის ინდექსი. ეკონოვაციის ინდექსი არის კომპოზიტური ინდექსი, დაფუძნებული 16 ინდიკატორზე და ასახავს ეკონოვაციების ეფექტიანობას ევროკავშირის წევრ ქვეყნებში. იგი ეკონოვაციების სხვადასხვა ასპექტებს გამოხატავს ხუთ განზომილებაში დაჯგუფებული 16 ინდიკატორის გამოყენებით: 1. ეკონოვაციების მიწოდება; 2. ეკონოვაციური აქტივობები; 3. ეკონოვაციების შედეგები; 4. რესურსების ეფექტიანობა 5. სოციალურ-ეკონომიკური შედეგები. ეკონოვაციების ინდექსი გვიჩვენებს, თუ რამდენად კარგად მუშაობენ ცალკეული წევრი სახელმწიფოები ეკონოვაციების სხვადასხვა განზომილებაში და წარმოაჩენს მათ ძლიერ და სუსტ მხარეებს. იგი ასევე მიზნად ისახავს ხელი შეუწყოს ეკონომიკურ, გარემოსდაცვითი და სოციალური საქმიანობის შესახებ პოლისტიკური ხედვის განვითარებას.

**ეკონოვაციების მიწოდება.** ეკონოვაციების მიწოდება მოიცავს ინვესტიციებს (ფინანსურ და/ან ადამიანურ რესურსებს), რომლებიც მიზნად ისახავს ეკონოვაციური საქმიანობის გააქტიუ-

რებას. იგი მოიცავს სახელმწიფო დანახარჯებს გარემოსდაცვით კვლევებსა და განვითარებაზე (მშპ-ის %), R&D პერსონალისა და მკვლევარების (დასაქმებულთა %); მწვანე ინვესტიციების ჯამურ ღირებულებას (USD/capita);

**ეკონოვაციური აქტივობები** მოიცავს უშუალოდ კომპანიების მიერ განხორციელებული ეკონოვაციური აქტივობების მონიტორინგის ინდიკატორებს. ეს კომპონენტი ფოკუსირებულია კონკრეტულ აქტივობებზე და არა ინოვაციური საქმიანობის შედეგებზე. მაგალითად, განიხილება ინდიკატორები: რესურსების ეფექტური მოხმარების იმპლემენტაცია მცირე და საშუალო საწარმოებში (ქულა); მდგრადი პროდუქტების დანერგვა მცირე და საშუალო საწარმოებში (გამოკითხული ფირმების %); ISO 14001 სერტიფიკატების რაოდენობა (მლნ. მოსახლეზე).

**ეკონოვაციების შედეგები.** ეკონოვაციის შედეგები აღწერს მისი საქმიანობის უშუალო შედეგებს. ამ კომპონენტის ინდიკატორები გამოიყენება იმის მონიტორინგისთვის, თუ რამდენადაა დაკავშირებული ბიზნესისა და მკვლევარების მიერ წარმოებული ცოდნის შედეგები ეკონოვაციებთან. ინდიკატორებია ეკონოვაციებთან დაკავშირებული პატენტები (მლნ მოსახლეზე), აკადემიური პუბლიკაციები (მლნ. მოსახლეზე) და მასთან დაკავშირებული მედია პროდუქტი (მლნ. მოსახლეზე).

**ეკონოვაციების სოციალურ-ეკონომიკური შედეგები.** ეკონოვაციების სოციალურ-ეკონომიკური შედეგები ასახავს ეკონოვაციური საქმიანობის ეფექტებს. იგი მოიცავს დასაქმების, ბრუნვის ან ექსპორტის ცვლილებებს, რომლებიც დაკავშირებულია ეკონოვაციური აქტივობების განხორციელებასთან. ინდიკატორებია: პროდუქციის ექსპორტი ეკონიდუსტრიებიდან (მთლიანი ექსპორტის %); დასაქმება გარემოს დაცვისა და რესურსების მართვის საქმიანობებში (სამუშაო ძალის %); გარემოს დაცვისა და რესურსების მართვის აქტივობებში წარმოქმნილი დამატებული ღირებულება (მშპ-ის %);

**ეკონოვაციური რესურსების ეფექტიანობის შედეგები.** რესურსების ეფექტიანობის შედეგები უკავშირდება ეკონოვაციების გავლენის შეფასებას რესურსების პროდუქტიულობის გაუმჯობესებაზე. ეკონოვაციას შეუძლია ორმაგად დადებითი გავლენა მოახდინოს რესურსების ეფექტიანობაზე: მას შეუძლია გაზარდოს

ეკონომიკური ღირებულება და ამავე დროს შეამციროს ზეწოლა ბუნებრივ გარემოზე. ინდიკატორებია მატერიალური პროდუქტიულობა (მსპ/მასალების შიდა მოხმარება); წყლის პროდუქტიულობა (მსპ/მტკნარი წყლის მთლიანი მოცულობა); ენერჯის პროდუქტიულობა (მსპ/მთლიანი შიდა ენერჯის მოხმარება); სათბურის გაზების ემისიების ინტენსივობა (CO<sub>2</sub>e/GDP).

როგორც ვხედავთ ეს ინდექსი საკმაოდ სრულყოფილად აღწერს და ასახავს ქვეყნის ეკოლოგიურ მდგომარეობას, გვამღვეს როგორც არსებული მდგომარეობის ნათელ სურათს, ასევე გარემოსდაცვითი ღონისძიებების მასშტაბს, ეფექტიანობას და პერსპექტივებს. საინტერესოა აგრეთვე ისიც, რომ საკმაოდ მაღალია კორელაცია ეკოლოგიური უსაფრთხოების შეფასებისათვის გამოყენებულ ამ ინდექსსა და ერთ სულ მოსახლეზე გაანგარიშებულ მთლიან სამამულო პროდუქტს შორის (1).

### დასკვნა

კაცობრიობის განვითარების თანამედროვე ეტაპზე ევროკავშირი სამართლიანად ითვლება ეკოლოგიური უსაფრთხოების უზრუნველყოფისა და ჯანსაღი ეკოლოგიური გარემოს ფორმირების თვალსაზრისით მსოფლიო ლიდერად. ამ კონტექსტში, მიუხედავად იმისა, რომ ევროკავშირი ფართოდ არის ჩართული საერთაშორისო ეკოლოგიურ პარტნიორობასა და თანამშრომლობაში გლობალურ მითამაშებთან (გაერო და სხვა), ის ბოლო ათეული წლების განმავლობაში ახორციელებს დამოუკიდებელ პოლიტიკას, რომლის ფარგლებშიც ტარდება მასშტაბური გარემოსდაცვითი ღონისძიებები, აქტიურად გამოიყენება ეკოლოგიის სფეროს რეგულირების ეკონომიკური და სამართლებრივი მექანიზმები, ინოვაციური მიდგომები და ხდება წევრი სახელმწიფოების გარემოსდაცვითი საქმიანობის კოორდინაცია. ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ ბოლო შეფასებებით ევროკავშირის ეკოლოგიურ უსაფრთხოებაზე ორიენტირებული ეკოლოგიური პოლიტიკის რეალიზაციის პროცესში უკეთესი შედეგების მომტანი აღმოჩნდა გარემოსდაცვითი პროცესების რეგულირების ადმინისტრაციული და საბაზრო მექანიზმების ჰარმონიული შეთანაწყობა. ეკოლოგიური უსაფრთხოების ასპექტში ევროკავშირი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ეკოლოგიური კულტურისა და განათლების ეფექტიანი

სისტემის შექმნას და მიიჩნევს, რომ ეკოლოგიური უსაფრთხოების მიღწევაზე ორიენტირებული ეკოლოგიური პოლიტიკის ფორმირება შეუძლებელია სახელმწიფოსა და სამეცნიერო-აკადემიური საზოგადოების მჭიდრო თანამშრომლობისა და სახელმწიფოების მხრიდან ეკოლოგიური პრობლემების რეგულირების სფეროში სამეცნიერო საქმიანობის სტიმულირების გარეშე. ამ მიმართულებით ევროკავშირი ყოველწლიურად ზრდის დანახარჯებს ეკოლოგიის სფეროს კვლევებსა და განვითარებაზე.

### გამოყენებული ლიტერატურა

1. ხუსკივაძე მ., თოთლაძე ლ., ეკოლოგიური უსაფრთხოება, როგორც მდგრადი განვითარების ფაქტორი: ბენელუქსის ქვეყნების გამოცდილება. თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია: „გლობალიზაციის გამოწვევები ეკონომიკასა და ბიზნესში“. 2022.
2. ხუსკივაძე მ., ნოზაძე ზ., ინოვაციური ეკოლოგიური პოლიტიკის ფორმირების პრობლემები და მათი დაძლევის ძირითადი გზები საქართველოში. თსუ პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის შრომათა კრებული, თბილისი, ტ. IX .
3. Гусев А. А. Основные направления и этапы формирования экологической политики Европейского Союза.
4. Матвеева Е.В. Экологическая Политика Евросоюза.
5. Мохаммад С.М. Экологическая Политика Европейского Союза Как Пример Системы Международного Экологического Управления, 2013
6. Новая Рамочная Политика Европейского Союза В Области Климата И Энергетики До 2030 Года, Евразийский Журнал N3 (70) 2014
7. Иновационная Политика В Поддержку «Зелёных» Технологии, Руководство Для Директивных Органов Стран С Переходной Экономикой В Европе И Центральной Азии - Европейская Экономическая Комиссия Организации Объединённых Наций
8. Wysokińska Z. The “New” Environmental Policy Of The European Union: A Path To Development Of A Circular Economy And

Mitigation Of The Negative Effects Of Climate Change Comparative Economic Research. Central and Eastern Europe 19(2) June 2016, DOI: 10.1515/cer-2016-0013

9. Wolf, M. J., Emerson, J. W., Esty, D. C., de Sherbinin, A., Wendling, Z. A., et al. (2022). 2022 Environmental Performance Index. New Haven, CT: Yale Center for Environmental Law & Policy;
10. <https://wecoop.eu/regional-knowledge-centre/eu-policies-regulations/>;
11. <https://www.europarl.europa.eu/factsheets/en/sheet/71/environment-policy-general-principles-and-basic-framework>
12. <https://epi.yale.edu>
13. <https://global-reports.23degrees.eu/epi2022/root>;
14. <https://www.sgi-network.org>

*Mamuka khuskivadze*

## **GENERALIZATION OF EU EXPERIENCE IN THE FIELD OF ECOLOGICAL SECURITY**

### **Summary**

Ecological security policy in the European Union, which in modern conditions is the main player in the field of ecology on the European continent, is one of the main and priority areas of its activity. Considering that currently existing global ecological problems cannot be overcome within the framework of any one country, due to their transboundary nature, the European Union attaches great importance to the establishment of an effective international policy in the field of environmental protection and ecological security. The European Union is considered the initiator of the introduction of many international norms in the field of environmental safety. The main main line of the European Union's Sustainable Development and Environmental Security Strategy adopted in 2001 is to consider environmental factors at the same level as socio-economic and political factors when making decisions. Also, it should be noted that the main directions in the field of ecological security of the European Union are the optimal use of natural resource poten-

tial and the reduction of negative anthropogenic impact on ecology. In modern conditions, the institutional support for ensuring environmental safety in the European Union is provided mainly by the European Parliament and the European Commission.

The paper analyzes the change in the foreign policy strategy of the European Union in the context of achieving environmental security, which established the image of a new global player.

In the work, special attention is given to the generalization of the experience of the European Union in the field of environmental security in the direction of improving environmental legislation, environmental policy and institutional structures. Also, coverage of issues of rational management of natural resources and control of environmental pollution.

*ლინა დათუნაშვილი*

### **გლობალური სასურსათო უსაფრთხოება და მისი ეროვნულ სასურსათო უსაფრთხოებაზე გავლენის თეორიული საკითხები**

*ანოტაცია.* ნაშრომი ეძღვნება ისეთ მნიშვნელოვან პრობლემას, როგორცაა გლობალური სასურსათო უსაფრთხოება და მისი გავლენა ეროვნულ სასურსათო უსაფრთხოებაზე. როგორც ცნობილია სურსათს, როგორც სასურსათო უზრუნველყოფის მთავარ კომპონენტს, სტრატეგიული მნიშვნელობა ენიჭება და ეროვნული უსაფრთხოების საერთო სისტემაში განმსაზღვრელი ადგილი უკავია.

სასურსათო უსაფრთხოების ცნება 1970-იან წლებში გაჩნდა და მას შემდეგ მუდმივად იხვეწება გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის ამა თუ იმ დადგენილებებში. ნაშრომში განხილულია სასურსათო უსაფრთხოების ძირითადი მიმართულებები; სასურსათო პრობლემების არერთგვაროვნება პლანეტის სხვადასხვა რეგიონში; მითითებულია სასურსათო კრიზისის მიზეზები და მისი გადაჭრის ძირითადი გზები, ნაშრომი შესრულებულია საქართველოს მაგალითზე. გაანალიზებულია ქვეყანაში არსებული მდგომარეობა და მოყვანილია მისი გამოსწორების ღო-

ნისძიებათა ჩამონათვალი, მ.შ. სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ ბოლო წლებში უკვე განხორციელებული და მომავლისათვის დასახული ესა თუ ის პროექტი. ნაშრომში აგრეთვე გაანალიზებულია საინტერესო საინტერესო სტატისტიკური ციფრობრივი მასალა.

**საკვანძო სიტყვები:** გლობალური საფრთხეები, სასურსათო უსაფრთხოება, ეროვნული უსაფრთხოება, შიმშილი, სიღარიბე, საკანონმდებლო აქტები.

\*\*\*\*

დღეს მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში და მ.შ. საქართველოშიც კვლავ მნიშვნელოვანია ეკონომიკური უსაფრთხოების პრობლემა, რომელიც სახელმწიფოს საშინაო და საგარეო პოლიტიკის შემადგენელი ნაწილია. იგი უდიდეს გავლენას ახდენს გლობალურ სასურსათო უსაფრთხოებაზე და ქმნის ეროვნულ უსაფრთხოებას, სადაც სურსათს, როგორც სასიცოცხლო უზრუნველყოფის მთავარ კომპონენტს, სტრატეგიული მნიშვნელობა აქვს. შეიძლება ითქვას, რომ ეროვნული უსაფრთხოების საერთო სისტემაში განმსაზღვრელი ადგილი ეკუთვნის ეკონომიკურ უსაფრთხოებას, რომლის უმთავრეს გლობალურ პრობლემებს შორისაა სასურსათო პრობლემები. სასურსათო უსაფრთხოება უკავშირდება არა მხოლოდ საზოგადოების სასიცოცხლო ინტერესების დაცვას, არამედ საფრთხეს უქმნის ქვეყნის ეკონომიკური სისტემის მყარ ფუნქციონირებას და უარყოფით გავლენას ახდენს დემოგრაფიულ პროცესებზე. სასურსათო უსაფრთხოება უტოლდება ფიზიკურ უსაფრთხოებას, რომელიც იძლევა სიცოცხლის გარანტიას და იგი საზოგადოების სოციალ-ეკონომიკური განვითარების ერთ-ერთი ძირითადი პრიორიტეტია.

ქრონოლოგიურად თუ გავყვებით - ტერმინი „სასურსათო უსაფრთხოება“ პირველად გასული საუკუნის 70-იან წლებში შემოვიდა ხმარებაში. დღეისათვის ამ ტერმინის განმარტების სხვადასხვა ვარიანტი არსებობს. სასურსათო უსაფრთხოების პირველი განმარტება 1974 წელს მსოფლიო სასურსათო სამიტზე იქნა შემუშავებული და ასე იყო ფორმულირებული: „სასურსათო უსაფრთხოება მიღწეულია მაშინ, როდესაც მუდმივად არსებობს საბაზისო სურსათის საკმარისი ხელმისაწვდომობა, რაც უწყვეტ მოხმარებას უზრუნველყოფს და წარმოებისა და ფასების დაბალანსებას უწყობს



ხელს“. მსოფლიო სასურსათო სამიტმა 1996 წელს ცვლილებები შეიტანა არსებულ განმარტებაში, რომელმაც მიიღო ასეთი სახე: „სასურსათო უსაფრთხოება დაცულია მაშინ, როდესაც ჯანსაღი და სრულფასოვანი სურსათი ყველასთვის საკმარისი და ხელმისაწვდომია, არა მარტო ფიზიკურად, არამედ ეკონომიკურადაც. ასეთ შემთხვევაში იგი უნდა აკმაყოფილებდეს დიეტურ საჭიროებებს და ასევე ქმნიდეს შესაძლებლობას, რომ საზოგადოებამ უპირატესობა მიანიჭოს იმ საკვებს, რომელიც ხელს უწყობს აქტიური და ჯანსაღი ცხოვრების წესს“. მოტანილი ორივე განმარტება ხაზს უსვამს იმას, თუ როდის არის სასურსათო უსაფრთხოება დაცული და მიღწეული. დღეისათვის სასურსათო უსაფრთხოებას ასე განმარტავს გაერთიანებული ერების სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაცია (FAO): „სასურსათო უსაფრთხოება არის ყველა ადამიანის ფიზიკური და ეკონომიკური ხელმისაწვდომობა აქტიური და ჯანმრთელი ცხოვრების შენარჩუნებისათვის საჭირო რაოდენობისა და კვებითი ღირებულების მქონე უვნებელ სურსათზე“.

სასურსათო უსაფრთხოება - FAO-ს განმარტებით უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგი ძირითადი მიმართულების მოთხოვნებს, ისეთის როგორც არის: სურსათზე ხელმისაწვდომობა, სურსათზე როგორც ეკონომიკური, ისე ფიზიკური წვდომა, სურსათის მოხმარება და სურსათის მოხმარების სტიმულირება. ვნახოთ როდის არის თითოეული ამ მიმართულების მოთხოვნის დაკმაყოფილების შესაძლებლობა. 1. საკვებზე ხელმისაწვდომობა მიღწეული იქნება მაშინ, თუ ადგილობრივი წარმოების ან იმპორტის მეშვეობით ქვეყანაში იქნება ყველასთვის საკმარისი რაოდენობით ჯანსაღი და სრულფასოვანი სურსათი; 2. სურსათზე როგორც ფიზიკური, ისე ეკონომიკური წვდომა მიღწეული იქნება მაშინ, როდესაც ადამიანებს ექნებათ ისეთი საკვების შეძენისა და მიღების შესაძლებლობა, რომელიც აკმაყოფილებს დაბალანსებული კვების მოთხოვნებს; 3. სურსათის მოხმარება ზომავს ადამიანის მიერ მიღებულ საკვებში, როგორია ენერგეტიკული და საკვები ნივთიერებების დონე, რამდენად ჯანსაღია საკვები, როგორ მზადდება და რამდენად მრავალფეროვანია იგი; 4. სურსათის მოხმარების სტიმულირება ამოწმებს დანარჩენი სამი მიმართულების სტაბილურობას დროთა განმავლობაში, რადგან ადამიანს დღეს შეიძლება

ჰქონდეს საკმარისი საკვები, მაგრამ არ ჰქონდეს სტაბილური წვდომა საკვებზე. თუ დაცულია ყველა ეს მოთხოვნა, მაშინ სასურსათო უსაფრთხოება გარანტირებულია, თუ არა და საზოგადოების თითოეული წევრი, ან მთლიანად ქვეყანა შეიძლება დადგეს სასურსათო რისკის წინაშე.

თანამედროვე მსოფლიოში არსებული ეკოლოგიური ვითარება გასცდა პრობლემის არსს და საფრთხის შემცველია. დღევანდელი სასურსათო კრიზისი საზოგადოების მოთხოვნებსა და ბიოსფეროს რესურსულ-ეკოლოგიური შესაძლებლობების ღრმა შეუსაბამობაში ვლინდება. კაცობრიობა თავისი არსებობის განმავლობაში მჭიდრო კავშირშია ბუნებასთან და მუდმივად იყენებს მის რესურსებსა და სიმდიდრეებს: სითბოსა და ტენს, ნიადაგს, ხეტყეს, წყალს, სასარგებლო წიაღისეულს და სხვ. ადამიანის არასწორმა შრომითმა საქმიანობამ დაარღვია ბუნებრივი წონასწორობა, რასაც ბუნებამ სხვადასხვა სტიქიებითა და კატაკლიზმებით უპასუხა. გაუარესებული კლიმატური პირობები, კლიმატის გლობალური ცვლილება - დათბობა და მისი თანმდევი შედეგები: გვალვა, წყალდიდობები და სხვა, პოლიტიკური არასტაბილურობა და რიგი ეკონომიკური ფაქტორი, როგორცაა სურსათზე ფასების ზრდა და უმუშევრობა ნეგატიურად აისახება სასურსათო უსაფრთხოებაზე.

გლობალური დათბობისგან გამოწვეული გვალვის შედეგად მნიშვნელოვანად ნადგურდება ერთწლიანი კულტურების (ხორბალი, სიმინდი, ქერი, ბრინჯი და სხვა) ნათესები, რაც იწვევს ამ კულტურების მოსავლიანობის და შესაბამისად მოსავლის შემცირებას. აღნიშნული მოვლენა რისკის ქვეშ აყენებს სასურსათო უსაფრთხოებას.

თანამედროვე მსოფლიოს სასურსათო უსაფრთხოების პრობლემა მატერიალური წარმოების თითქმის ყველა დარგსა და პლანეტის თითქმის ყველა რეგიონში ვლინდება.

ყოველ საათში ჩვენს პლანეტაზე დაახლოებით 700 ჰა ნაყოფიერი მიწის გაუდაბნობა ხდება, დაახლოებით 2000 ჰა ვეშვი კვდება მიმშლით, 55 ადამიანი იწამლება და კვდება პესტიციდებითა და სხვა ქიმიური ნივთიერებებით, 1000 კაცი იღუპება დაჭუჭყიანებული წყლით, 2000 ტ მყავური წვიმა მოდის ჩრდილოეთ ნახევარსფეროში (1852 წელს შოტლანდიელმა ქიმიკოსმა

რობერტ ანგუს სმითმა მანჩესტერში (ინგლისი) პირველმა უჩვენა, რომ არსებობს კავშირი მჟავე წვიმასა და დაბინძურებულ ატმოსფეროს შორის. ეს პროცესი ბუნებრივ წვიმასთან შედარებით წვიმის წყლის მჟავიანობის მომატებას გულისხმობს. მჟავური წვიმების შედეგად ნადგურდება და ილუპება მცენარეები და ცხოველები), მცენარეული და ცხოველური სამყაროს 5-6 სახეობის წარმომადგენელი ქრება. დედამიწაზე ყოველ წუთს 20 ჰა ტროპიკული ტყე ნადგურდება, 5500 ტ ნავთობი გამოიყენება, 50 ტ ნაყოფიერი ნიადაგი ნადგურდება არასწორი სამეურნეო გამოყენების შედეგად, ატმოსფეროში 12000 ტ ნახშირორჟანგი გამოიყოფა.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ექსპერტები ხაზს უსვამენ მოსახლეობის ზრდით გარემოზე მიყენებულ საშიშროებას. ამასთან ეს ზრდა გაცილებით მეტ საფრთხეს ქმნის მდიდარ ქვეყნებში, სადაც მოხმარების მაჩვენებელი გაცილებით მაღალია, ვიდრე ღარიბებში, სადაც მოსახლეობის ზრდის ტემპები წინ უსწრებს სურსათის წარმოების მოცულობის ტემპებს.

დედამიწის მზარდი მოსახლეობისათვის სურსათის შესაძლო უკმარისობის პრობლემა პირველად დააყენა ინგლისელმა მღვდელმა რობერტ მალთუსმა, რომელმაც გაამახვილა ყურადღება იმ ფაქტზე, რომ მოსახლეობის ზრდა ხდება გეომეტრიული პროგრესიით მაშინ, როცა სურსათის წარმოება არ იზრდება იმავე პროპორციით.

თანამედროვე მსოფლიოს მნიშვნელოვანი ნაწილი ჯანსაღი ცხოვრებისათვის აუცილებელი ძირითადი პირობების უკმარისობას განიცდის. თუმცა, ბოლო წლებში მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში მოსახლეობის ზრდამ სურსათის წარმოების ზრდაც გამოიწვია, ამის მიუხედავად, სურსათის პრობლემა ჯერაც არ არის მოგვარებული. თითქმის 1.3 მლრდ ადამიანი ცხოვრობს აბსოლუტური სიღატაკის პირობებში, 840 მლნ ადამიანი ქრონიკულად ვერღელულობს საკმარის საკვებს, 2 მლრდ ადამიანს არ აქვს საკმარისი სასურსათო უსაფრთხოება, ხოლო თითქმის 1.4 მლრდ ადამიანი სასმელი წყლის უკმარისობას განიცდის. აღნიშნული პრობლემა არა მხოლოდ სურსათის არასაკმარისი რაოდენობით წარმოებისა და არასათანადო განაწილების შედეგია, არამედ განპირობებულია ასევე ღარიბთა მხრიდან ნორმალური ხარისხის სურსათის სათანადო რაოდენობით შეძენისთვის საჭირო ფინანსური საშუალებების

არქონით (გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაცია (FAO). სამწუხაროდ, მსოფლიოში წარმოებული სურსათის 14% წარმოების პროცესში, ხოლო 17% მოხმარებისას იკარგება. ამას ემატება მავნებლებისა და დაავადებების ზემოქმედება, ბუნებრივი კატასტროფები, ბიომრავალფეროვნებისა და ჰაბიტატების განადგურება, კონფლიქტები - და ჩვენ ვხედავთ რამხელა გამოწვევაა მსოფლიო მოსახლეობის სურსათით უზრუნველყოფა, გარემოზე და კლიმატზე მიყენებული გამოუსწორებელი ზიანის გარეშე.

ამის გარდა სურსათზე ფასების ზრდაც გარკვეულ ცვლილებას იწვევს როგორც განვითარებული, ისე განვითარებადი ქვეყნების ეკონომიკაზე. გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის მონაცემებით, 2022 წლის თებერვლის მდგომარეობით, სურსათზე ფასები 20%-ით გაიზარდა. განვითარებულ ქვეყნებში სურსათის გაძვირება იწვევს მოსახლეობის ცხოვრების დონის და ხარისხის დაქვეითებას, განვითარებად ქვეყნებში კი - მოსახლეობის ფართო ფენების ყოველდღიური კვების პროდუქტების დეფიციტს და ხელმიუწვდომლობას. აღნიშნული იწვევს მასშტაბურ სოციალურ-პოლიტიკურ და ეკონომიკურ რყევებს, რაც სხვადასხვა სახით ვლინდება. მაგ. 2007-2008 წლებში მსოფლიოში სურსათზე ფასები გაიზარდა, რაც რიგმა მიზეზმა განაპირობა. ესენია: სტრატეგიული სასურსათო რეზერვის შემცირება, ენერგორესურსებზე და მინერალურ სასუქებზე ფასების ზრდა, ზოგიერთი აგრარული ქვეყნის მიერ მონოკულტურების ფართოდ დანერგვის მცდელობა და სხვა, რასაც დაემატა 2010 წლის გვალვის შედეგად მარცვლეული კულტურების მოუსავლიანი პერიოდი. სურსათზე ფასების ზრდას ხელი შეუწყო იმ ფაქტმა, რომ ზოგიერთმა ქვეყანამ შეამცირა ან აკრძალა ძირითადი მარცვლეული კულტურების ექსპორტი.

ზოგიერთი ექსპერტის აზრით განხილულმა მიზეზებმა გამოიწვია ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებში რიგი უწესრიგობა, რევოლუცია და სამოქალაქო ომი, რომელიც „არაბული გაზაფხული“-ს სახელით არის ცნობილი. ამ ვითარების გამო ევროპის ქვეყნებს ლტოლვილების არნახული რაოდენობა მიაჩყდა, რომლებსაც თავშესაფარი და სამუშაო სჭირდებოდათ და რამაც მნიშვნელოვნად გაამწვავა ამ ქვეყნებში უმუშევრობის პრობლემა. აღნიშნული

მიზეზები, ყველა ერთად, ან თითოეული ცალ-ცალკე უარყოფითად მოქმედებს სასურსათო უსაფრთხოებაზე.

თანამედროვე სასურსათო პრობლემა არაერთგვაროვანია მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონში. კვების პროდუქტების დეფიციტი განსაკუთრებით XX საუკუნის 70-იანი წლების პირველ ნახევარში გამწვავდა და მიიღო გლობალური პრობლემის „სტატუსი“, თუმცა მაშინ იგი მხოლოდ განვითარებად ქვეყნებს ეხებოდა.

როგორც ავღნიშნეთ, სასურსათო პრობლემა მდგომარეობს კალორიული და რაციონალური კვების უკმარისობაში, რომელსაც მსოფლიო მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი განიცდის. ყოველწლიურად პლანეტის მოსახლეობა დაახლოებით 90 მლნ ადამიანით იზრდება, რესურსები კი, პირიქით, მცირდება. ამიტომ სასურსათო უზრუნველყოფა ერთ-ერთ უმთავრეს გლობალურ პრობლემად იქცა.

„ათასწლეულის დეკლარაციაში“, რომელიც გაცხადებულ იქნა გაეროს გენერალურ ასამბლეაზე 2000 წელს, შემდეგ წელს კი „ათასწლეულის განვითარების მიზნებში“ კაცობრიობის სასურსათო უსაფრთხოება წამოყენებულ იქნა პირველ ადგილას: 1990-2015 წლების პერიოდისთვის დასახული იყო ამოცანა - „მოშიშვნილ მოსახლეობის წილის ორჯერ შემცირება“, „სიღარიბისა და შიმშილის ლიკვიდაცია, სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფა“, „კვების გაუმჯობესება“ წამოწეულია კაცობრიობის უმნიშვნელოვანეს ამოცანად 2030 წლისთვის. 2015 წელს მიღებულ დადგენილებაში: „მდგრადი განვითარების მიზნები“. უკვე მრავალი წელია გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაცია (FAO) წარმოადგენს „ნულოვანი შიმშილის“ საკუთარ კონცეფციას მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონისთვის. ევროკავშირში იგივე მიზანი დასახულია საერთო სასურსათო პოლიტიკის ფარგლებში. 2016 წლიდან მუშაობს სასურსათო კრიზისებთან ბრძოლის გლობალური ქსელი, რომელიც შექმნილია გაეროში FAO-ს, ევროკავშირისა და მსოფლიოს სასურსათო პროგრამის ეგიდით. 2016-2025 წლების პერიოდი გამოცხადებულია გაეროს „კვების დეკადად“.

თუმცა მსოფლიოს ბოლო წლების სტატისტიკა აჩვენებს მსოფლიოში შიმშილისა და არასრულფასოვანი კვების ფართო გავრცელებას. FAO-ს 2018 წლის მოხსენებაში გლობალური არასრულყოფილი კვება 3 წლის განმავლობაში განუხრელად იზრდე-

ბოდა: 2015 წელს არასრულფასოვნად იკვებებოდა 784 მლნ ადამიანი, 2016 წელს - 804 მლნ და 2017 წელს 821 მლნ (FAN). FAO-ს განმარტებით შიმშილი, რომელიც განისაზღვრება როგორც ხანგრძლივი და მწვავე (acute hunger), დღეს მსოფლიოს 53 ქვეყანაში 113 მლნ ადამიანი განიცდის, ხოლო 143 მლნ ადამიანი 43 ქვეყანაში ცხოვრობს შიმშილისა და ქრონიკული დაუკმაყოფილებლობის ზღვარზე.

ყველაზე მძიმე რეგიონებად ითვლება აფრიკა, ახლო აღმოსავლეთი, დასავლეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთი აზია, მაგრამ განვითარებულ ქვეყნებშიც სასურსათო უსაფრთხოების სტატისტიკა „უბედურების ნიშნად“ წარმოგვიდგება. აშშ-ში 12.6% შინამეურნეობებისა განიცდის საკვები პროდუქტების ნაკლებობას დროდადრო ან მუდმივად: ეს არის 41 მლნ-ზე მეტი ადამიანი. დიდ ბრიტანეთში საკვების უკმარისობას განიცდის 8.4 მლნ ადამიანი, მათგან ნახევარზე მეტი შიმშილობს (მთელი დღე ვერ ჭამენ). ფრანგების 21%-ს არ გააჩნია დღეში სამჯერადი კვების საშუალება, ხოლო 27%-ს არა აქვს საშუალება შეიძინოს ხილი და ბოსტნეული.

შიმშილი და არასაკმარისი კვება ადამიანის ჯანმრთელობის უპირველესი საფრთხე ხდება. მსოფლიო მოსახლეობის 22.2%-ს ხუთ წლამდე ასაკის ბავშვებში შეინიშნება ზრდაში ჩამორჩენა, ანემია რეპროდუქტიულ ქალებში 2012 წელს 30.3%-დან გაიზარდა 2016 წელს 32.8%-მდე, რაც პლანეტის განვითარების გრძელვადიან პერსპექტივაში სერიოზულ პრობლემებს ქმნის.

მსოფლიო თანამეგობრობა სასურსათო პრობლემის გადასაჭრელად იყენებს როგორც ექსტენსიურ, ისე ინტენსიურ გზებს. ექსტენსიური გზა მოითხოვს მნიშვნელოვან რესურსებს, ახალი სასოფლო-სამეურნეო და სხვ. სავარგულების ათვისებას, მაშინ, როდესაც ინტენსიური გზა ეყრდნობა სამეცნიერო-ტექნიკურ პროგრესს აგრარულ სექტორში: აგროტექნიკური კულტურის გაზრდა, მცენარეების მაღალმოსავლიანი სახესხვაობების, შინაური ცხოველების და ფრინველების მაღალპროდუქტიული ჯიშების გამოყვანა, მექანიზაცია, ქიმიზაცია, მელიორაცია, აკვა და მარიკულტურების განვითარება და სხვ., რაც არსებული სასოფლო-სამეურნეო სავარგულების პროდუქტიულობის ზრდას იწვევს. ცალკეული ქვეყნის მოსახლეობის სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფაში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ეროვნული მეურნეობის

ერთ-ერთი ძირითადი დარგის - სოფლის მეურნეობის განვითარება, რომლის მთავარი ამოცანაა სამედიცინო ნორმით გათვალისწინებული ხარისხიანი მცენარეული და ცხოველური წარმოშობის სრულფასოვანი საკვები პროდუქტებით ქვეყნის მოსახლეობის უზრუნველყოფა, ხოლო მეორის - სოციალური მნიშვნელობის ასეთი ამოცანის გადაწყვეტა ობიექტურად მოითხოვს როგორც სოფლის მეურნეობის, ისე ქვეყნის მთლიანი აგროსამრეწველო კომპლექსის მდგრად განვითარებას, რაც პირდაპირ უკავშირდება ამ დარგში წარმოებული პროდუქციის მოცულობის გადიდებას - მემცენარეობის კულტურების მოსავლიანობისა და მეცხოველეობის პროდუქტიულობის ამაღლებას, ასევე მათი ხარისხობრივი მაჩვენებლის გამუჯობესებას.

მარცვლეულისა და მოპოვებული მოსავლის უდიდესი ნაწილი გენური ინჟინერიის შედეგადაა მოპოვებული. საზოგადოებაში დღეს ფართოდაა დამკვიდრებული აზრი გენმოდიფიცირებული პროდუქციის საფრთხის შესახებ. თუმცა მეცნიერთა გარკვეული ნაწილი არ ეთანხმება იმ აზრს, რომ ასეთი ტიპის პროდუქცია კანცეროგენურია. გარემოს დაცვა და ეკოლოგიურად სუფთა სურსათის წარმოება სოციალური მნიშვნელობის პრობლემები და მაკროეკონომიკური რეგულირების მნიშვნელოვანი სფეროა.

თანამედროვე პირობებში ბუნებრივი რესურსების წარმოებაში სულ უფრო მეტი რაოდენობით ჩართვის შედეგად იზრდება ექსტერნალიების უარყოფითი გავლენა საზოგადოებრივ განვითარებაზე. ეს მოვლენა სახელმწიფოს მხრიდან აქტიურ ჩარევას ითხოვს, რადგან ექსტერნალიები არღვევს წონასწორობას საზოგადოებას, ეკონომიკასა და ბუნებას შორის.

ბოლო წლებში სურსათის უკმარისობის გამომწვევ ქვენს მიერ განხილულ მიზეზებს დაემატა ღორისა და ქათმის გრიპი, ხოლო 2020 წლის დასაწყისში კორონავირუსის ეპიდემია, რომელმაც მსოფლიოს უმრავლესი ქვეყანა მოიცვა და მილიონობით ადამიანის სიცოცხლე შეიწირა.

2020 წლის პირველ ნახევარში ძნელია განვსაზღვროთ გლობალურად პანდემიის შედეგად გამოწვეული ზარალის მასშტაბი, რომელიც ალბათ დიდი იქნება, მაგრამ ჯერ-ჯერობით ძირითად მარცვლეულ კულტურებზე - ხორბალი, სიმინდი, ბრინჯი, რომლებიც მსოფლიოს მრავალი ქვეყნის მოსახლეობისათვის ძირითად

საკვებს წარმოადგენს ფასები სტაბილურია, რამდენადაც მარცვ-  
ლელის მოსავალი და რეზერვი გლობალურად 2019 წელს მა-  
ღალი იყო წინა წლებთან შედარებით.

სოფლის მეურნეობა მაღალი რისკის მქონე დარგია, რომელ-  
ზედაც ზემოთ ვისაუბრეთ. მიმდინარე პერიოდში ამ სფეროში მი-  
რითად რისკს გლობალურად წარმოადგენს დარგში წარმოებულ  
პროდუქციაზე საერთაშორისო ვაჭრობის შეზღუდვა, რაც შემოიღო  
ზოგიერთი ქვეყნის მთავრობამ კორონავირუსის პანდემიის გამო  
და რომელმაც გამოიწვია საგარეო და საშინაო ბაზარზე ლ ჯაჭვის  
ჩამოშლა, ასევე სოფლის მეურნეობაში სამუშაო ძალის მობილუ-  
რობის შეზღუდვა ქვეყნის შიგნით და ამის გარეთ, რაც დაკავში-  
რებულია სხვადასხვა ქვეყანაში მიღებულ საკარანტინო ზომებზე.

სხვადასხვა დაავადებების გავრცელების შესამცირებლად  
ბოლო პერიოდში რიგი ქვეყნის მთავრობების მიერ საზღვრების  
ჩაკეტვამ ხელი შეუწყო მსოფლიოში გლობალიზაციის პროცესის  
შესუსტებას და დეგლობალიზაციის პროცესის გააქტიურებას. ამ  
ფაქტთან დაკავშირებით აკადემიკოსი ვლ. პაპავა აღნიშნავს, რომ  
სწორედ დეგლობალიზაციის პირობებშია ახლებურად გასააზ-  
რებელი რიგი პრობლემების გადაწყვეტა, განსაკუთრებით კი სა-  
სურსათო უსაფრთხოება, რომლის სიმწვავეს ხაზს უსვამს თუნდაც  
რუსეთის გადაწყვეტილება შეეჩერებინა ხორბლის ექსპორტი, რაც  
საერთაშორისო ბაზრებზე მასზე ფასების ზრდას გამოიწვევს, ასევე  
სხვა ქვეყნების მხრიდანაც სასურსათო პროდუქტების ექსპორტის  
შემცირება მძიმედ აისახება იმ ქვეყნებზე, რომლებიც დამოკიდე-  
ბული არიან ამ პროდუქტების იმპორტზე. მათ რიცხვს განეკუთვ-  
ნება საქართველოც.

საქართველოში, სადაც დაბალია ეკონომიკის განვითარების  
დონე, უკიდურესად რთული პრობლემების წინაშეა აგრარული  
სექტორი, სუსტია სოფლის მეურნეობის ტექნიკური აღჭურვილო-  
ბა, მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, ეცემა მიწების ნაყოფიერება,  
უარესდება სოფლის მეურნეობის გენოფონდი, მოძველებული  
ტექნოლოგიის გამოყენება ხელს უწყობს გარემოს დაბინძურებასა  
და ეკოლოგიური კატასტროფების წარმოქმნას. განსაკუთრებით  
ყურადსაღებია ეკოლოგიურად საშიში, სხვადასხვა დანიშნულების  
საქონლის იმპორტი, რამაც კიდევ უფრო გაამწვავა სასურსათო



უსაფრთხოების პრობლემა. კვების პროდუქტების ხარისხზე კი მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული მოსახლეობის ჯანმრთელობა.

საქართველოში სასურსათო უსაფრთხოების საკითხის შესწავლა დაიწყო გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან: სოფლის მეურნეობის სამინისტროში არსებობს სოფლის მეურნეობისა და სურსათის დეპარტამენტი, რომლის ერთ-ერთი ძირითადი ამოცანაა სურსათის უვნებლობისა და ხარისხის უზრუნველყოფა; ამავე სამინისტროსთან არსებული სურსათის ეროვნული სააგენტო, რომელიც ახორციელებს მხოლოდ სურსათის უვნებლობის მონიტორინგს; სამინისტროსთან შექმნილია სამეცნიერო ცენტრი, სადაც არის რისკის ანალიზის დეპარტამენტი (რომლის ძირითადი ფუნქციაა სასურსათო უსაფრთხოების ერთ-ერთ მიმართულებებს - სურსათის უვნებლობის - უზრუნველყოფა). მიუხედავად იმისა, რომ მოსახლეობის სასურსათო უსაფრთხოების დაცვა სახელმწიფოს განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვს, ჩვენთან დღესაც არ ექცევა სათანადო ყურადღება.

საქართველოში არ არსებობს როგორც სასურსათო უსაფრთხოების ერთიანი სტრატეგია, პროგრამა, მისი განმახორციელებელი ინსტიტუტი, ასევე სასურსათო უსაფრთხოების სისტემის სახელმწიფოებრივი გაგება. სასურსათო უსაფრთხოების კომპონენტები გაფანტულია სხვადასხვა სამინისტროებში, უწყებებსა და მათ ნორმატიულ აქტებში და არ არსებობს მათ შორის კომუნიკაცია და ერთი ცენტრიდან კოორდინაცია.

აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ მიუხედავად 2013-2015 წლებში მთელი რიგი ღონისძიებების გატარებისა (მობილიზებული იქნა 1,8 მილიარდი ლარი), რაც განხორციელდა სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოების ხელშეწყობის მიმართულებით (უსასყიდლოდ მიწების დახვნა 700-800 ათასზე მეტი ოჯახური მეურნისათვის, მათთვის უსასყიდლოდ თესლის, სასუქების, შხამქიმიკატების, პესტიციდების, ვეტ. პრეპარატების, სასოფლო-სამეურნეო იარაღების გადაცემა; დაბალპროცენტიანი კრედიტების გამოყოფა კოოპერატივებისა და კვების გადამამუშავებელი მრეწველობის საწარმოების შექმნისათვის; სოფლად ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება, გზების გაყვანა, ელ. დენით, ბუნებრივი აირით, სასმელი წყლით მოსახლეობის უზრუნველყოფა, სარწყავი სისტემის რეაბილიტაცია და სხვა, გაკვირვებას იწვევს „საქართ-

ველოს სოფლის მეურნეობის განვითარების 2015-2020 წლების სტრატეგიის“ პროექტში სასურსათო უსაფრთხოების თემისა და მისი მნიშვნელობის არადადამაკმაყოფილებლად და არასრულყოფილად გამოუქება.

სამწუხაროდ, ეს პროექტი ყურადღებას ამახვილებს მხოლოდ სასურსათო უსაფრთხოების ორ მიმართულებაზე: საკვების ფიზიკური არსებობა (საკმარისობა) და მისი ხელმისაწვდომობა. უგულვებელყოფილია ისეთი მნიშვნელოვანი მიმართულება, როგორცაა საკვების მოხმარება, რომელსაც ადამიანისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს.

საქართველოს მოსახლეობის 50%-ს სურსათზე მატერიალური ხელმისაწვდომობის პრობლემები აქვს, - ამის შესახებ საუბარია „ოქსფამის“ კვლევაში.

2013 წლიდან, ევროკავშირის დაფინანსებით, „ოქსფამი“ ახორციელებდა 4-წლიან პროექტს „ეროვნული სასურსათო უსაფრთხოების სტრატეგის სრულყოფა და მცირე ფერმერების მხარდაჭერა სამხრეთ კავკასიაში“ (საქართველო, სომხეთი). იმისთვის, რომ მომხდარიყო სასურსათო უსაფრთხოების მხრივ არსებული მდგომარეობის შეფასება და პროცესში ჩართული მხარეების ცნობიერების დონისა და შესაძლებლობების გამოკვლევა, „ოქსფამმა“ ბოლო წლების საბაზისო კვლევამ აჩვენა, რომ: ქვეყანაში მთლიანი მოსახლეობის მხოლოდ 1/3 და ქალებისა და ბავშვების 33-34% მოიხმარს რკინით მდიდარ ხორცის პროდუქტს; მოხუცი ქალები და ასაკოვანი მოსახლეობის მხოლოდ 24-25%-ს მიუწვდება ხელი ცხოველური წარმოების პროდუქციაზე, რომელიც მდიდარია A ვიტამინით; ქალების 50%, რომელთა ყოველთვიური შემოსავალი 100-1000 ლარია, მოიხმარს 4 ჯგუფის საკვებს, რეკომენდებული 10 ჯგუფის ნაცვლად, მაშინ როდესაც ოჯახის დანარჩენი წევრები მოიხმარენ 5 ან მეტი ჯგუფის საკვებს, ქალები თავს იკავებენ ხორცეულისა და ხილის მოხმარებისგან (საქართველოში სასურსათო მინიმუმის კალათაში სურსათის კალორიულობა შეფასებულია 2300 კკალ-ის დონეზე, რაც საგრძნობლად ნაკლებია საერთაშორისოდ აღიარებულ ნორმაზე (2450 კკალ)); საქართველოს მოსახლეობის 50%-ს სურსათზე მატერიალური ხელმისაწვდომობის პრობლემები აღენიშნება; მოსახლეობის 61% - ხორცეულისა და თევზეულის, 45% - ხილის და ბოსტნეულის, 20% კი რძის ნაწარმის

დეფიციტს განიცდის; ოჯახების 14% სისტემატურად სესხულობს ფულს სურსათის შესაძენად; საქართველოში 10-17 წლის ასაკის მოზარდების 50% მოკლებულია ვიტამინებით, ცილებით და რკინით მდიდარ სურსათს, რაც უარყოფითად აისახება მოზარდის ფიზიკურ და გონებრივ განვითარებაზე, ქმნის ცილოვანი დეფიციტით გამოწვეულ მდგომარეობას, ანემიის განვითარებისა და ზრდის შეფერხების რისკს.

„ოქსფამი“-ს, გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის მიერ შემუშავებულ 4 მიმართულებაზე დაყრდნობით კვლევების საფუძველზე, სამხრეთ კავკასიაში არსებული მდგომარეობიდან გამომდინარე დაასკვნა, რომ: სურსათის წარმოების ინდექსი დაბალია, ხოლო სურსათზე ფასები - მაღიან მაღალი. ამასთან, რეგიონში ძირითადი პრობლემა არის ჭარბი სახამებლიანი სურსათი, ხოლო ცილები ნაკლებად ხელმისაწვდომია, რაც ბავშვებში ზრდის შეფერხებასა და განუვითარებლობას იწვევს. ამასთან, კვლევის თანახმად, საქართველოსა და სომხეთში მოხმარებული საკვების 50%-ზე მეტი იმპორტირებულია და სურსათის იმპორტზე დამოკიდებულების დონე ამ ორ ქვეყანაში გაცილებით უფრო მაღალია, ვიდრე დანარჩენ რეგიონში ან განვითარებულ ქვეყნებში. საყურადღებოა, რომ რეგიონში სურსათის ძირითადი მწარმოებლები და გადამამუშავებლები ქალები არიან - მცირე მეურნეთა 54% საქართველოში და 58.7% სომხეთში ქალია. მთლიანი მოსახლეობის სამუშაო ძალას რაც შეეხება, 53% საქართველოში და 40% სომხეთში სოფლის მეურნეობის სფეროში არიან დასაქმებულნი. სომხეთის მოსახლეობის მთლიანი შემოსავლის 64%, ხოლო საქართველოს მოსახლეობის მთლიანი შემოსავლის 54% სურსათზე იხარჯება. ამასთან, სურსათზე მუდმივი ხელმისაწვდომობა მაღალმთიან რეგიონებში უფრო დიდ პრობლემას წარმოადგენს, რაც ისეთი ლოგიკური შემაფერხებელი ფაქტორებით არის გამოწვეული, როგორცაა ინფრასტრუქტურა და კლიმატი.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ სურსათის უვნებლობისა და ხარისხის მონიტორინგი 2005 წლის ჩათვლით ხორციელდებოდა სახელმწიფოს მიერ ქვეყანაში დამკვიდრებული საბჭოთა სტანდარტის – ГОСТ-ის შესაბამისად. 2006 წლიდან მაშინდელი ხელისუფლების მიერ საერთოდ გაუქმდა კონტროლი სასურსათო პროდუქციაზე, რამაც გზა გაუხსნა იმპორტიორებს შემოეტანათ სა-

ქართველოში სხვაგან დაწუნებული, ფალსიფიცირებული, მიკრობებითა და ტოქსიკური ნივთიერებებით დაბინძურებული, ასევე გენმოდულირებული, დაბალი ღირებულების პროდუქტები, რამაც, გამოიწვია არამარტო მომხმარებელთა მასიური დაავადებები (განსაკუთრებით ავთვისებიანი სიმსივნით 7-8 ათასი ადამიანი წელიწადში), არამედ სურსათის ადგილობრივი წარმოების პარალიზება. მცირე მეწარმეების მიერ მოყვანილმა ადგილობრივმა პროდუქციამ კონკურენცია ვერ გაუწია შედარებით იაფფასიან იმპორტულ პროდუქციას და ფაქტიურად სამამულო წარმოება მოკვდა (2013 წლამდე საქართველოში სახნავ-სათესი მიწების 80% ყოველწლიურად დაუმუშავებელი რჩებოდა). ყოველივე ამან განაპირობა სოფლის მოსახლეობის კიდევ უფრო გადარიბება და მათმა მნიშვნელოვანმა ნაწილმა მიატოვა სოფელი და სამუშაოსა და სარჩოს სამებნელად ქალაქს მიაშურა (ასეულობით სოფელი დაცარიელდა და ყველაზე შეძლებულად სოფელში პენსიონერი ითვლება).

2013 წლიდან ინტენსიურად დაიწყო სახელმწიფოს მიერ სურსათის უვნებლობისა და ხარისხის კონტროლი, რასაც საწარმოებში და სავაჭრო ქსელში ანხორციელებს სურსათის ეროვნული სამსახური, ხოლო საბაჟოზე – ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახური. საგულისხმოა ის, რომ 3 წელიწადში მონიტორინგის (სასურსათო პროდუქციის ლაბორატორიული კვლევა) რაოდენობა 10-ჯერ გაიზარდა და 2015 წელს 6 ათასს მიაღწია, რაც მისასაღმებელია, თუმცა, მონიტორინგის მასშტაბები ჯერ კიდევ არასაკმარისია. საჭიროა ამ სამსახურისათვის დაფინანსების მნიშვნელოვანი გაზრდა და შესაბამისი რაოდენობის კვალიფიციური სპეციალისტებით უზრუნველყოფა.

სასურსათო უსაფრთხოების მიღწევა და მისი განმტკიცება მოიცავს სხვადასხვა სახის რისკებს: მაკროეკონომიკურს, სოციალურ-პოლიტიკურს, ტექნოლოგიურს, აგროეკოლოგიურს, საგარეო-ეკონომიკურს.

ჩვენი აზრით, სურსათის უვნებლობის სფეროში სახელმწიფოს ეროვნულ ინტერესებს შეიძლება მივაკუთვნოთ:

- ადგილობრივი კვების პროდუქტების წარმოების აუცილებელი დონის უზრუნველყოფა, როგორც აუცილებელი პირობა სოფლის შემოსავლის უზრუნველყოფისათვის;

- სურსათის სახელმწიფო რეზერვის მუდმივი განახლება;
- ქვეყანაში წარმოებული და იმპორტირებული საკვები პროდუქტების ხარისხის სახელმწიფო და სურსათის უვნებლობის ხარისხის სტანდარტებთან შესაბამისობის მუდმივი მონიტორინგი, ;
- სასოფლო-სამეურნეო სექტორის მართვის ეფექტური სისტემის შექმნა ყველა დონეზე, ასევე კვების სექტორში ერთიანი სამეცნიერო-ტექნოლოგიური და ინოვაციური პოლიტიკის გატარება.

დღეისათვის მსოფლიოს ქვეყნების მოსახლეობა დგას სურსათის უკამრისობის პირისპირ, რომლის მიზიზები გლობალურია და გამოწვეულია სასოფლო-სამეურნეო მიწის ფართობის შეზღუდულობისა და სუფთა წყლის რესურსების შემცირების, კლიმატის ცვლილებების, ბუნებრივი რესურსების გამოფიტვის, ფინანსური არამდგრადობის და სხვა პრობლემების გამო. აღნიშნული მიზეზების შერბილების მიზნით აუცილებელია სურსათის იმპორტისაგან ამ ქვეყნების დამოკიდებულების შემცირება და მსოფლიო სასურსათო ბაზარზე მათი ეკონომიკური მდგომარეობის განმტკიცება. ასევე სასურსათო უსაფრთხოების საკითხების საკორდინაციო სტრუქტურის შექმნა; სასურსათო უსაფრთხოების შესახებ კანონის მიღება; სასურსათო ბიზნესისა და ექსპორტის გაფართოების ხელშეწყობა; მსოფლიოს მაღალ ტექნოლოგიური მიღწევების გამოყენება და დანერგვა, რაც დიდ საზოგადოებრივ ძალისხმევას მოითხოვს.

და, ბოლოს, მიგვაჩნია, რომ ქვეყნისათვის სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფა სოციალურ-ეკონომიკური ორიენტაციის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანი ფაქტორი უნდა გახდეს. ამ პროცესის დარეგულირება ხელს შეუწყობს ეკონომიკურ ზრდას და მნიშვნელოვან როლს შეასრულებს როგორც ეკოლოგიური, ასევე სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიღწევაში.

### **გამოყენებული ლიტერატურა**

1. მოსახლეობის სასურსათო ...<http://agronews.ge> › mosakhle...
- 9 დეკ. 2017 გ. — *სასურსათო უსაფრთხოება*, მისი არსი, ... *სასურსათო უსაფრთხოების გლობალური ...*
2. Продовольственный кризис (2022) — Википедия

[ru.wikipedia.org](http://ru.wikipedia.org)Продовольственный кризис (2022)

3. **Сельское хозяйство будущего: глобальные тренды**  
[if24.ru](http://if24.ru)Сельское хозяйство будущего: глобальные тренды
4. **Глобальная продовольственная безопасность: угрозы ...**  
<https://mgimo.ru> › about › news › experts › globalnaaya...  
22 мая 2020 г. – Под *продовольственной безопасностью* понимают способность всего человеческого сообщества и отдельных государств удовлетворять потребности ..
5. [https://www.researchgate.net/publication/360375140\\_sasursato\\_usaprtk\\_hoeba\\_da\\_sakartvelos\\_soplis\\_meurneoba](https://www.researchgate.net/publication/360375140_sasursato_usaprtk_hoeba_da_sakartvelos_soplis_meurneoba)
6. [https://www.researchgate.net/publication/330759911\\_ekologiuri\\_da\\_sas\\_ursato\\_usaprtk\\_hoebis\\_saqoveltao\\_problemebi](https://www.researchgate.net/publication/330759911_ekologiuri_da_sas_ursato_usaprtk_hoebis_saqoveltao_problemebi)
7. [https://www.researchgate.net/publication/337651186\\_zurab\\_tsereteli\\_stati\\_a\\_sas\\_usapr\\_rogoritsChasvar](https://www.researchgate.net/publication/337651186_zurab_tsereteli_stati_a_sas_usapr_rogoritsChasvar) Как предупреждают авторы 7. **Глобального доклада о ...**  
<https://www.fao.org> › news › story › item › icode

*Lina Datunashvili*

## **GLOBAL FOOD SECURITY AND THEORETICAL ISSUES OF ITS IMPACT ON NATIONAL FOOD SECURITY**

### **Summary**

The work is devoted to such an important problem as global food security and its impact on national food security. As it is known, food, as the main component of food supply, is of strategic importance and occupies a decisive place in the overall system of national security.

The concept of food security appeared in the 1970s and since then it has been constantly improved in one or another resolution of the United Nations Food and Agriculture Organization. The paper discusses the main directions of food security; the heterogeneity of food problems in different regions of the planet; The causes of the food crisis and the main ways to solve it are indicated, the paper is made on the example of Georgia. The current situation in the country is analyzed and a list of measures to correct it is provided, including this or that project already implemented by the Ministry of Agriculture in recent years and planned for the future. The paper also analyzes interesting statistical numerical material.

**გლობალური ეკონომიკური და ეკოლოგიური საფრთხეები და მათი ეროვნული სოფლის მეურნეობის უსაფრთხოებაზე გავლენის თეორიული საკითხები**

*ანოტაცია.* ნაშრომში შესწავლილია ეროვნული უსაფრთხოების გამტკიცების პრობლემა, რომლის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია გლობალური ეკონომიკური უსაფრთხოება. დადგენილია, რომ ქვეყნის გლობალური ეკონომიკური საკითხები მოიცავენ როგორც გარეგანი ხასიათის, ისე საშინაო საფრთხეებს, რომლებიც არანაკლებ ემუქრებიან ეკონომიკურ უსაფრთხოებას. საუბარია ეკოლოგიურ საფრთხეებზე და მათ გავლენაზე საზამთრო და საზაფხულო საძოვრების პროდუქტიულობაზე, ნაშრომში მოცემულია ქვეყნის ეროვნული სოფლის მეურნეობის ეკონომიკური ჩამორჩენის ობიექტური და სუბიექტური მიზეზები, მათი დაძლევის ეკონომიკური და მეურნეობრივი ორგანიზაციული ღონისძიებები და განხორციელების კონკრეტული გზები.

*საკვანძო სიტყვები.* გლობალური ეკონომიკური საფრთხეები, ეკოლოგიური საფრთხეები, სოფლის მეურნეობის უსაფრთხოება, ინოვაცია.

\*\*\*

საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენამ და ქვეყნის ეკონომიკის ავტონომიურ რეჟიმში მართვამ დღის წესრიგში დააყენა ეროვნული უსაფრთხოების განმტკიცების პრობლემა, რომლის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია ეკონომიკური უსაფრთხოება. ამ უკანასკნელის მნიშვნელობას კიდევ უფრო აქტუალურს ხდის ის გარემოება, რომ მსოფლიო ეკონომიკის გლობალიზაციის პროცესში საქართველოს ჩართვამ ქვეყანა უფრო მეტად დამოკიდებული გახადა გარე სამყაროსზე და პირობებზე. შესაბამისად გაიზარდა ეროვნულ ეკონომიკაზე გარე საფრთხეების არახელსაყრელი გავლენის ალბათობის კოეფიციენტი.

გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში და მათ შორის საქართველოშიც გლობალური ეკონომიკური საფრთხეების კვლევის პრობლემა დროულად იქნა აყვანილი სახელმწიფოებრივი

პოლიტიკის რანგში, რაც გამოწვეული იყო იმით, რომ მსოფლიო ეკონომიკურ მეცნიერებაში ეკონომიკური საფრთხეების პრობლემის გამოკვლევას არ ექცეოდა სათანადო ყურადღება. რაც შეეხება განვითარებულ საბაზრო ეკონომიკის ქვეყნებს, მათ წინაშე აღნიშნული პრობლემა არ იდგა და, შესაბამისად, არ წარმოებდა კვლევები. გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში ეკონომიკურ საკითხებზე ყურადღება გამახვილდა მხოლოდ საბაზრო რეფორმების დაწყებიდან საკმაო ვადის გასვლის შემდეგ, როდესაც მწვავე კრიზისული ხასიათი მიიღო ეკონომიკის განვითარებამ და მნიშვნელოვნად დაეცა მოსახლეობის ცხოვრების დონე. მართალია, დაგვიანებულად, მაგრამ მაინც ეკონომიკურ საფრთხეებთან ბრძოლა ერთ-ერთი საკვანძო საკითხი გახდა ჯერ კიდევ 1976 წელს. რაც იძლევა კიდევ იმის გარანტიას, რომ უახლოეს მომავალში ქვეყნის ეკონომიკური საფრთხეების ბრძოლის განმტკიცების მიმართულებით მეტი პრაქტიკული ნაბიჯები იქნება გადადგმული.

საქართველოს გლობალური ეკონომიკური საფრთხეების თეორიულ-გამოყენებითი კვლევა, უპირველეს ყოვლისა, უნდა განხორციელდეს დამოუკიდებლად საკუთარი ინტელექტუალური ძალებით. იგი არაა ის პრობლემა, რომელშიაც სასურველ ეფექტს მოგვცემს საერთაშორისო საფინანსო ეკონომიკური ინსტიტუტების და უცხოელი ექსპერტების კონსულტაციები. რა თქმა უნდა, აქ არ იგულისხმება გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში ეკონომიკური საფრთხეების პრობლემების ირგვლივ დაგროვილი თეორიული და პრაქტიკული ბრძოლის გამოცდილების შესწავლა-განზოგადება და გამოყენება, თუმცა აქაც საჭიროა დიდი სიფრთხილე და შემოქმედებითი მიდგომა.

ამ რთული და მრავალწახნაგოვანი ამოცანის გადაწყვეტა მოითხოვს სათანადო თეორიულ-მეცნიერული საფუძვლების შემუშავებას, გლობალური ეკონომიკური საკითხების არსის, ამოცანების, პრინციპების, კრიტერიუმების, ინდიკატორებისა და სხვა შემადგენელი ელემენტების მკაფიო და ცალსახად მეცნიერულ ფორმულირებას. სხვა შემთხვევაში ეკონომიკური საფრთხეების წინაღმდეგ ბრძოლა მიიღებს სქოლასტიკურ, ზედაპირულ ხასიათს და მას არ ექნება გამოყენებითი მნიშვნელობა. უპირველეს ყოვლისა, ცალსახად და მკაფიოდ უნდა იქნეს წარ-



მოდგენილი გლობალური ეკონომიკური საფრთხეების არსი. ამას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება იმის გამოც, რომ დღემდე აღნიშნული კატეგორიის გაგებაში ერთიანი აზრი არაა ჩამოყალიბებული მკვლევრებსა და სპეციალისტებს შორის და შესაბამისად რთულდება იმ საფრთხეების ხასიათის ფაქტორების განსაზღვრა, რომელთა საფუძველზეც უნდა მოხდეს ეროვნულ ეკონომიკაზე მათი ნეგატიური ზეგავლენის ბლოკირების მიმართულებით ღონისძიებათა კომპლექსის შემუშავება.

დღეისათვის გლობალურ-ეკონომიკური უსაფრთხოების კატეგორიების განმარტებებს შორის ყველაზე უფრო გავრცელებულია მისი შემდეგნაირი განმარტება: ეკონომიკური უსაფრთხოება ნიშნავს ეკონომიკისა და ხელისუფლების ინსტიტუციების ისეთნაირ მდგომარეობას, რომლის დროსაც უზრუნველყოფილია ეროვნული ინტერესების გარანტირებული დაცვა. ეკონომიკური პოლიტიკა სოციალური მიმართულებებისაა და შენარჩუნებულია თავდაცვითი პოტენციალი იმ დროსაც კი, როდესაც საგარეო და საშინაო საფრთხეები არახელსაყრელ მდგომარეობაშიც. არსებობს ეკონომიკური უსაფრთხოების ასეთი განმარტებაც, სადაც საერთოდ არაა მინიშნებული ქვეყნის ეროვნული ეკონომიკური ინტერესები. კერძოდ, ეკონომიკური უსაფრთხოებაში იგულისხმება ეკონომიკური, პოლიტიკური და სამართლებრივი პირობების ისეთი შეთანაწყობა, რომელიც უზრუნველყოფს ერთ სულ მოსახლეზე მაქსიმალური რაოდენობის ეკონომიკური რესურსების მდგრად და გრძელვადიან პერსპექტივაში წარმოებას შედარებით ექვექტიანი ხერხით [1]. არსებობს სხვა განმარტებებიც. ...

ჩვენი აზრით, გლობალური “ეკონომიკური უსაფრთხოების” კატეგორია არ უნდა იქნეს გაიგივებული “ეკონომიკური პოლიტიკისა” და “ქვეყნის უსაფრთხოების” კატეგორიებთან. რა თქმა უნდა, იგი ორივე მათგანის შემადგენელი ნაწილია, მაგრამ მისი ამოცანები და მიმართულებები სპეციფიკურია და სწორედ ეს უკანასკნელი უნდა დაედოს საფუძვლად აღნიშნული კატეგორიის განმარტებას. ეკონომიკის მდგრადი განვითარება, ეკონომიკური ზრდის უზრუნველყოფა და ერთ სულ მოსახლეზე შემოსავლების გაზრდა ეკონომიკური პოლიტიკის მთავარი ამოცანებია და მის შინაარსს განსაზღვრავს. რაც შეხე-

ბა ეკონომიკურ უსაფრთხოებას, იგი მართალია ზემო აღნიშნული ამოცანების ხელშემწყობი პირობაა, მაგრამ მას გააჩნია თავისი კონკრეტულად გამოხატული ამოცანები, რომელთა შორის მთავარია ეროვნული ეკონომიკური ინტერესების დაცვა და ქვეყნის საგარეო ეკონომიკურ ფაქტორებთან დამოკიდებულების ხარისხის მინიმუმადე დაყვანა. თავის მხრივ, ეროვნული ეკონომიკური ინტერესები “ეროვნულ-სამართლებრივი ინტერესების” შემადგენელი ნაწილია და მიმართულია საკუთარი ეკონომიკური პოტენციალის პრიორიტეტული გამოყენებისაკენ. პლანეტაზე არსებული ყველა ქვეყანა ორიენტირებულია იმ პრიორიტეტების განსაზღვრისა და დაცვისაკენ, რომელიც მაქსიმალურად გამოხატავს თითოეული ქვეყნის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის ეროვნულ ინტერესებს, პოლიტიკურ, სოციალურ, ტექნიკურ-ტექნოლოგიურ და ეკონომიკურ სფეროებში.

ეროვნული ეკონომიკური ინტერესების დაცვა დაკავშირებულია გლობალური ეკონომიკური უსაფრთხოების მეორე ძირითად ამოცანასთან – ქვეყნის საგარეო ეკონომიკურ ფაქტორებთან, დამოკიდებულების ხარისხის შემცირებასთან. ამ უკანასკნელის როლი და მნიშვნელობა კიდევ უფრო გაიზარდა თანამედროვე ეტაპზე, როდესაც სწრაფი ტემპით მიმდინარეობს მსოფლიო ეკონომიკის გლობალიზაციის პროცესი, რომელსაც პოზიტიური შედეგები მოაქვს იმ ქვეყნებისათვის, რომლებიც დიდი ხანია აშენებენ საბაზრო ეკონომიკას, და შედეგად დააგროვეს უზარმაზარი გამოცდილება, ფინანსური და ეკონომიკური პოტენციალი და მსოფლიო ეკონომიკაში დაიკავეს მონოპოლიური მდგომარეობა. დიდი და მდიდარი ქვეყნები ცდილობენ მათ მიერ შემუშავებულ და მათთვის მისაღებ პოლიტიკურ და ეკონომიკურ წესრიგს მოარგონ შედარებით პატარა, სუსტი და ეკონომიკურად განუვითარებელი ქვეყნების პოლიტიკა და ეკონომიკა. განსხვავებით წინა არაცივილიზებული მეთოდებისგან (ომები), ამჟამად მათი გავლენის სფეროების გასაფართოებლად გამოიყენება უფრო ცივილიზებული ფორმები და მეთოდები – ეკონომიკური დახმარებები, კრედიტები, გრანტები, ინვესტიციები და ა.შ. ამ მიმართულებით შექმნილია უზარმაზარი საფინანსო ეკონომიკური პოტენციალის მქონე საერთაშო-

რისო ინსტიტუტები (საერთაშორისო სავალუტო ფონდი, მსოფლიო ბანკი და ა.შ.), რომლებიც ძირითადად მონოპოლისტი ქვეყნების ინტერესებს გამოხატავენ და იცავენ.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, გლობალური ეკონომიკური კატეგორია ვიწრო გაგებით და მარტივად შეიძლება ჩამოყალიბდეს, როგორც ქვეყნის ეროვნული ეკონომიკური ინტერესების დაცვა, მისი ეკონომიკური დამოუკიდებლობა და უზრუნველყოფა. პირველი აქედან გულისხმობს საკუთარი საწარმოო ფაქტორების (მიწა, კაპიტალი, შრომა, მეწარმეობრივი აქტივობა და ა.შ.) მაქსიმალური ინტენსიური გამოყენებით ქვეყნის ეროვნული სიმდიდრის ზრდას და შესაბამისად მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლებას. რაც შეეხება ეკონომიკური დამოუკიდებლობის უზრუნველყოფას, იგი გარკვეულ განმარტებას საჭიროებს. უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ ეკონომიკურად დამოუკიდებელი ქვეყანა დღეს მსოფლიოში არ არსებობს, მათ შორის ეკონომიკურად დამოუკიდებელი არაა ისეთი გიგანტური ქვეყანა, როგორცაა აშშ. შრომის საერთაშორისო დანაწილებამ, რესურსების შეზღუდულობამ და გეოგრაფიულმა თავისებურებამ ქვეყნები ერთმანეთთან ეკონომიკურად დამოკიდებული გახადა, მაგრამ გლობალური საკითხების პოზიციიდან მთავარია არა ეკონომიკური დამოუკიდებლობა, არამედ კონკრეტულად დამოუკიდებლობის ზომა და მასშტაბები. იმ შემთხვევაში, თუ ამა თუ იმ ქვეყნის ეკონომიკა სტრატეგიული რესურსებით მთლიანად სხვა ქვეყნებზეა დამოკიდებული, მაშინ ძნელია მის ეკონომიკურ დამოუკიდებლობაზე საუბარი. მაგრამ თუ ქვეყნის შიგნით არსებობს საკუთარი რესურსული პოტენციალი, რომელიც სხვადასხვა ფაქტორების გამო გამოუყენებელია, მაშინ არსებობს იმის პოტენციური შესაძლებლობა, რომ გაიზარდოს ქვეყნის ეკონომიკური დამოუკიდებლობის ხარისხი და შესაბამისად განმტკიცდეს გლობალური ეკონომიკური უსაფრთხოება. კვლევის შედეგად დადგინდა, რომ გლობალური ეკონომიკური საფრთხეები მოიცავენ როგორც გარეგანი ხასიათის საფრთხეებს, ისე საშინაო საფრთხეებს, რომლებიც არანაკლებ ემუქრებიან ეკონომიკურ უსაფრთხოებას. საუბარია ისეთ საშინაო საფრთხეზე, როგორცაა: განვითარების ინოვაციური საწყისების სისუსტე (სასტარტო პოტენციალი), ეკონომიკის

სახელმწიფოებრივი რეგულირების არაეფექტურობა, საზოგადოების განსხვავებულ შეხედულებათა დაბალანსების მიუღწევლობა და ა.შ. აღნიშნულიდან გამომდინარე შეიძლება ეკონომიკური საფრთხეების არსის დაზუსტებული ვარიანტი შემდეგნაირად დავაფიქსიროთ; გლობალური ეკონომიკური საფრთხეების არსის გაგებაში იკვეთება ორი ძირითადი ინგრედიენტი. ერთი დაკავშირებულია საგარეო მუქარასთან, მეორე – საშინაო მუქარა-ნეგატიურ ფაქტორებთან. უნდა აღნიშნოს, რომ საგარეო და საშინაო საკითხებს შორის მკაფიო ზღვარის გავლენა გამძლეობს. მაგალითად, უცხოური კრედიტების აღება და მისი გადახდისუნარიანობა ქვეყნას უქმნის გლობალურ საგარეო საფრთხეს, რამეთუ ასეთ შემთხვევაში ამოქმედდება საერთაშორისო სანქციები. ამავე დროს საგარეო საფრთხეების საფუძვლები ფორმირდება ქვეყნის შიგნით, რადგან საგარეო სესხის აღების აუცილებლობას წარმოშობს ის ეკონომიკური კრიზისი, რომელიც ფორმირდება ქვეყნის შიგნით არაეფექტური ეკონომიკური საქმიანობის გამო.

მთელ რიგ შემთხვევებში გლობალური ეკონომიკური უსაფრთხოების კატეგორია გაიგივებულია ეკონომიკურ მდგრადობასთან, რაც არაა მართებული. მდგრადობისა და უსაფრთხოების საერთო დამახასიათებელი ნიშანია განვითარება, თუმცა არა ყველანაირი განვითარება უზრუნველყოფს უსაფრთხოებას. მაგალითად, განვითარება, რომელიც უსაფრთხოა ეკოლოგიურად ან კიდევ ეწინააღმდეგება სოციალურ ორიენტაციას ანუ ეკონომიკურ ზრდას და თან არ ახლავს ცხოვრების დონის ამაღლებას, არ შეიძლება იყოს უსაფრთხო. ასეთი ვითარებაჲ, სამწუხაროდ, დღევანდელ საქართველოში. კერძოდ, მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდის ტემპებს არ ახლავს მოსახლეობის ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესება, რაც გამოწვეულია იმით, რომ წარმოებული ეროვნული შემოსავლის საკმაოდ დიდი ნაწილი ხმარდება საგარეო ვალების დაფარვას.

გლობალური ეკონომიკური საფრთხეების გავლენა დიდია ეკოლოგიურ საფრთხეებზე, მათ შორის საზამთრო და საზაფხულო სამოვრების პროდუქტიულობაზე.

ბუნებრივი პირობების – სამოვრების ზედაპირის აგებულების, წყლით უზრუნველყოფის, ჰავის, ნიადაგებისა და მცე-

ნარეული საფარის – ეკოლოგიური საფრთხეების აღწერა შეეხება მხოლოდ რესპუბლიკაში მეცხვარეობის გავრცელების წამყვან რაიონებს, რომლებიც დაკავშირებულია საქართველოს სამხრეთი მთიანეთის საგაზაფხულო სამოვრებზე ცხვრის გადარეკვასთან. ეს არის აღმოსავლეთ საქართველოს – დედოფლის წყაროს, სიღნაღის, საგარეჯოს, გარდაბნის, თეთრი წყაროს, მარნეულის, ბოლნისის, დმანისის, წალკის, ბორჯომის, ნინოწმინდის, ახალქალაქისა და ასპინძის ადმინისტრაციული რაიონების საზამთრო სამოვრები.

აღმოსავლეთ საქართველოს საზამთრო და გარდამავალი სამოვრების საერთო ფართობი 427401 ჰა-ს შეადგენს. მცენარეული საფარი ძირითადად ნახევარუდაბნოსა და ტიპური ველის მცენარეული ფორმაციებისაგან შედგება.

ნახევარუდაბნოს მცენარეული ფორმაციისათვის ჩვენში ყველაზე გავრცელებულია აბზინდა. აბზინდა და მისი დაჯგუფებები მეცხვარეობას ასაზრდოებს სამოვრების სახით 7-8 თვის განმავლობაში. აღმოსავლეთ საქართველოს ზამთრის სამოვრების ძირითად საკვებად ითვლება ასევე ურო ბალახი და მისი დაჯგუფებები. უროს მოსავლიანობას ძირითადად ძირისირველივი ფოთლები ქმნის, რომელიც უხვად ეზრდება მას. უროსათვის დამახასიათებელია გვიანი ვეგეტაცია. სითბოსა და სინოტივის პირობებში ურო გაზაფხულზე საკმაოდ გვიან იღვიძებს – აპრილის ბოლოს, ყვავილობს ივლისში, მაგრამ ზაფხულის გვალვიან პირობებში იგი ვეგეტაციას აჩერებს და აგრძელებს მხოლოდ შემოდგომით, მისთვის სასურველი ამინდის დადგომის შემდეგ. ოქტომბერში იწყება უროს მეორე ყვავილობა, ხოლო ნოემბერში – ნაყოფიანობა. ურო საკვებად წლის ყველა დროს გამოიყენება, მაგრამ მისი კვებითი ღირებულების საუკეთესო პერიოდად საგაზაფხულო ვეგეტაციის დრო, ანუ მაისი ითვლება, როდესაც უროს მწვანე, ნორჩი და ყუათიანი ფოთლები აქვს. ცხვარი საკმაო ხალისით ჭამს უროს მისი მეორე ნაყოფიანობის პერიოდში — ოქტომბერ-დეკემბერშიც.

ბუნებრივი პირობების განსხვავების მიხედვით აღინიშნება უროს დაჯგუფებათა ნაირსახეობებიც: ეფემერებსა და ეფემეროიდებს შორის გავრცელებულია მარცვლოვანთაგან – იაპონური შვრიელა, კოლპოდიუმი დაბალი, ბრახიპოდიუმი, წყვილ-

თავთუნა, ბოლქვიანი თავაქასრა; პარკოსანთაგან – პატარა, დისკოსებრი, ხეშეში, იონჯები, ულუმბო, მონსელიანა და თავთავიანი; აღინიშნება ჯვარისნები და რთულყვავილოვნები; ძირითად კომპონენტთა შორის აღნიშნება მარცვლოვნები – წივანა, ბალნიანი ვაციწვერა, ბალნიანი ქერი, კაპუეტა; პარკოსნები – ცისფერი იონჯა, კახურბა და მტკვრისპირის ესპარცეტები; ნაირბალახი – კუტიბალახა, სალბი მწვანე, თბილისური ბეგქონდარა, ცხვრის ღიღილო, კოლპოდიუმი ვიზნერის მიწყარციას, ვიწროფოთლოვანი სელა, მცირე გავრცელებით აღინიშნება მოკლენაყოფიანი და სტევენის ბლერტმები.

ზამთრის სამოვრების აღწერის დასასრულს გულისტკივილით უნდა აღინიშნოს მათი ძალზე ცუდი მდგომარეობა, რომ ზამთრის სამოვრების საერთო ფართობის თითქმის მეხუთედი სამოვრებად სრულიად უვარგისია. ეს არის ეროზიით განადგურებული დანაწევრებული, ხევ-ხრამებად ქცეული ადგილები, ძირითად ქანებამდე ნიადაგების სრული გადარეცხვით, აგრეთვე ბიცი-მლაშობები, ჭაობები და სამოვრებისაგან სრულიად გამოთიშული სხვა ადგილები. ეკოლოგიური საფრთხეების თვალსაზრისით კიდევ უფრო სამწუხაროა ის გარემოება, რომ სამოვრების განადგურების პროცესი სრულებითაც არ შეწყვეტილა და უვარგისი მიწების რაოდენობა ყოველწლიურად მატულობს არა მარტო შეუწელებელი ეროზიების მიზეზით, არამედ პირუტყვის უსისტემო ძოვებითა და სამოვრების უზომო გადატვირთვის გამო. ეკოლოგიური საფრთხეების თვალსაზრისით სამოვრებზე შეინიშნება სარეველა მცენარეების მოძალეობა, როგორცაა: ველური სტაფილო, ალისარჩულა, ნეგი, ლურჯი, წითელი, ყვითელი და სხვა ნარები, ბრტყელეკალა, რძიანა, ქარცეცხლა და მრავალი სხვა.

სარეველებმა ხშირად შამბიანების სახე მიიღო და არა თუ შეამცირა სამოვრების ფართობები, არამედ ცხვრისათვის დიდ უბედურებად იქცა, რადგან ეკლიანობის გამო სარეველები მატყლის საშინელ დასარეველიანებას და გაღვერვას იწვევენ. უკანასკნელ წლებში განუსაზღვრელად გავრცელდა საშინელი სარეველა, ეგრეთ წოდებული ღორის ბირკა, რომელიც პირუტყვის საკვებად უვარგისია და ჯაგნარის სახით მძლავრად მოედო სამოვრებს, მინდვრებს, რუებსა და გზისპირებს; მოხმარებისაგან

გამოთიშა უამრავი სამოვარი ფართობი და დაასარევიანა მატყლი, რამაც გამოიწვია მატყლის ხარისხის გაუარესება, ფასდაკლება, მრეწველობაში მისი გადამუშავების შეფერხება, მანქანების დაზიანება, ქსოვილების უხარისხობა და თავად ცხვრის გაწვალება, გაღუბება, დაავადების გახშირება და პროდუქტიულობის შემცირება.

გლობალურმა ეკონომიკურმა საფრთხეებმა გამოავლინა, რომ სამოვრების პირუტყვით უზომოდ გადატვირთვა და უსისტემო ძოვება შემდგომში შეუწელებლად იწვევს ნიადაგის განადგურებას; უვარგისი გახდა ფართობის კიდევ 25-30%, რომელთა ნაწილს საშუალოდ 15%-ით დასარევიანებული ფართობები შეადგენს.

ზამთრის სამოვრების აღდგენისა და მოვლა-პატრონობის გაუმჯობესების მიზნით, სპეციალისტების ერთი ნაწილი ვარაუდობს, რომ საჭიროა სამოვრების გადახვნა და მასზე იონჯისა და სამყურას დათესვა. ჩვენი აზრით, ეს გამოსავალი არ არის. საქმე ისაა, რომ სამყურასა და იონჯის ნათესების ერთი გამოძოვების შემდეგ მთელი წლის განმავლობაში უნდა ვუცადოთ მათ ხელმეორედ ვეგეტაციას. ამდენად ველი გამოუსადეგარი ხდება, რადგან მასზე არ ხარობს აზინდის, ურო ბალახისა და მათი ზემოთ ნახსენები ბუნებრივი სამოვრული ბალახების ჯგუფები, წლის სხვადასხვა პერიოდში არ ხდება მათი ზრდა-განვითარება, რის გამოც პირუტყვის (ცხვრისათვის) საკვები ბალახი გაიშვიათებულია.

თესლბრუნვის დანერგვის ორგანიზაციასთან და მინდვრისა და ბუნებრივი საკვებწარმოების მეურნეობების სათანადო სიმადლეზე დაყენებასთან დაკავშირებით ეკოლოგიური საფრთხეების ასაცილებლად ყოველგვარი გადამჭრელი ღონისძიებები უნდა იქნეს მიღებული ერთწლიანი და მრავალწლიანი ბალახების მეთესლეობის მოსაწესრიგებლად, რაც ამჟამად დიდი პრობლემაა და ზრუნვას საჭიროებს. ამ მიზნით რესპუბლიკის ბალახის მთესველ მეურნეობებში უნდა გამოიყოს სათანადო სათესლე ნაკვეთები და მოსავლიანობის მკვეთრ ზრდასთან ერთად, ყოველწლიურად უნდა შეგროვდეს ველურად მზარდი ბალახების თესლი, რომელთა ნაწილი გამოყენებული იქნება

ბუნებრივ სათიბებსა და სამოვრებზე ჩასათესად, ხოლო დანარჩენი – გასამრავლებლად.

ცნობილი მეცნიერი, პროფესორი შ. ნახუცრიშვილი სრულიად სამართლიანად შენიშნავს, რომ საქართველოში, განსაკუთრებით ზოგიერთ რაიონში, ბუნებრივი სათიბ-სამოვრების მცირე პროდუქტიულობას განაპირობებს ის გარემოება, რომ მოუწესრიგებელია როგორც ორგანიზაციული, ისე აგროტექნიკური მხარე. კერძოდ, მათი მოვლა არც წარსულში და არც ამჟამად არ წარმოებს. ეკოლოგიური საფრთხეების თვალსაზრისით რესპუბლიკის 3.2 ათასი ჰა სათიბი და 6.9 ათასი ჰა სამოვარი დაჭაობებულია, შესაბამისად 4. 8-99. 3 ათასი ჰა ჯაგნარით, მეჩხერი ტყეებითა და კოლბოხებითაა დაფარული, ხოლო სამოვრების გარკვეული ნაწილი ქვიანია და მთელ რიგ ღონისძიებათა განხორციელებას მოითხოვს. ამას ისიც ემატება, რომ ბუნებრივ სათიბ-სამოვრებზე რეგულარულად არ ტარდება ისეთი ღონისძიებები, როგორცაა შხამიანი სარეველა და პირუტყვისათვის სხვა უვარგისი ბალახ-მცენარეებისაგან გაწმენდა. კერძოდ, მწირი, ხავსმოკდებული, გაშიშვლებული მეჩხერი სამოვრების გადახვნა და კულტურული და ველური ბალახების ჩწეთესვის გზით ბალახის საფარის გაუმჯობესება; ზედაპირული ჭაობებიდან წყლის მოცულობა და მორწყვა; სისტემატურად არ შეაქვთ ან თუ შეაქვთ – მცირე დოზით, ორგანული და მინერალური სასუქები და ა.შ. აღნიშნულ გარემოებებთან ერთად ბუნებრივი სამოვრების დაბალწარმადობას ისიც განაპირობებს, რომ დღეისათვის პირუტყვის სულადობის არარაციონალურ დატვირთვასთან ერთად, ჯერ კიდევ არ არის აღმოფხვრილი უსისტემო მოვება, დანერგილი არ არის სამოვართბრუნვა და ნაკვეთმორიგეობითი მოვების სისტემა.

მართალია, ამ ეკოლოგიური საკითხების აღმოფხვრა დიდ შრომით და ფულად-მატერიალურ დანახარჯებს მოითხოვს, მაგრამ საკვებწარმოების გადიდებითა და ხარისხის ამაღლებით ეს დანახარჯები მოკლე პერიოდში ანაზღაურდება. კვლევითი მონაცემები და მოწინავე მეურნეობათა პრაქტიკული გამოცდილება მეტყველებს, რომ ჩვენ მიერ ზემოთ აღნიშნული მოვლა-გაუმჯობესების ორგანიზაციულ და აგრომელიორაციულ ღონისძიებათა მაღალ დონეზე განხორციელების შედეგად შე-



სადღებელია საქართველოში ბუნებრივი საკვები სავარგულების პროდუქტიულობა 2-3-ჯერ და კიდევ უფრო მეტად გაიზარდოს.

ცდებით დადგენილია, რომ დაჭაობებული საძოვრების დაშრობა და ძირეული გაუმჯობესების ღონისძიებების განხორციელება ბალახის საფარის მოსავლიანობას ზრდის 100-200%-ით, მორწყვა – 100-150%-ით, ბუჩქნარისაგან გაწმენდა – 30-60%-ით, შერჩევითი გამოვების სისტემის დანერგვა – 20-30%-ით, ქვების აკრეფა და კოლბოხების მოსწორება – 10-20%-ით, საკვები ბალახების ჩათესვა დაფარცხვითა და სასუქების შეტანით ბალახის საფარის ხარისხობრივ გაუმჯობესებასთან ერთად მოსავალს ზრდის 60-87%-ით, ხოლო სარეველებისაგან გაწმენდა – 15-20%-ით.

საქართველოს ზოოტექნიკურ-სავეტერინარო სასწავლო კვლევითი ინსტიტუტის მდელოსნობის განყოფილების მიერ წარმოებული ცდებით დადგენილია საძოვრის სხვადასხვა ტიპზე ორგანული და მინერალური სასუქების შეტანით მაღალი ეფექტურობის მიღწევა, შემუშავებულია მათი შეტანის ოპტიმალური ვადები, დოზები და სხვა. მაგალითად, ჰექტარზე 10, 20, 30 და 40 ტონა ცხვრის ნაკელის შეტანით ბალახის საფარის მოსავლიანობა მატულობს ხუთ წელიწადში საშუალოდ 56,4, 118,8, 155,9 და 168,3%-ით, ჰექტარზე 60 კგ აზოტისა და 90 კგ ფოსფორის შეტანა კი მოსავალს ადიდებს 72-77 ც-ით (100-183%), ხოლო 120 კგ აზოტის, 60 კგ ფოსფორის და 60 კგ კალიუმის შეტანა – 91-107 ცენტნერთ.

ბუნებრივი სათიბ-საძოვრების (ხელოვნური სათიბების) ეკოლოგიური საფრთხეებით გამოწვეული დაბალი პროდუქტიულობა იმითაც არის განპირობებული, რომ მარნეულის, ბოლნისის, თეთრი წყაროს, წალკის, ბოგდანოვკის, ახალქალაქის, ახალციხის, ბორჯომის, დუშეთის, თიანეთისა და სხვა რაიონებში ბუნებრივი სათიბ-საძოვრებისა და მრავალწლიანი ბალახების ნათეს ფართობებზე პირუტყვს ამოვებენ არა მარტო გვიან შემოდგომამდე (ვეგეტაციის სრულ შეწყვეტამდე), არამედ ადრე გაზაფხულიდან (ვეგეტაციის დაწყებამდე) ხშირად მაისის ბოლომდეც კი, სანამ პირუტყვს მთაში იალაღებზე გარეკავენ. რა თქმა უნდა, რომ სათიბ-საძოვრების ასეთი უსისტემო ექს-

პლოატაცია, გარდა იმისა, რომ უარყოფითად მოქმედებს და შესამჩნევ გავლენას ახდენს მოსავლიანობის დონესა და ბალახის საფარის ხარისხზე, მეტისმეტად აზრკოლებს თიბვის დაწყებას და ა.შ.

ეკოლოგიური საფრთხეების ზემოაღნიშნული ნაკლოვანი მხარეების აღმოფხვრასთან ერთად, ყურადღება უნდა გამახვილდეს საძოვრებისა და სათიბების გაკულტურებაზე, აგრეთვე მაღალპროდუქტიული სათიბების, სარწყავი მდელოებისა და კულტურული საძოვრების შექმნაზე. ამ მიმართულებით გადაიდგა გარკვეული ნაბიჯები. 1971 წლის 1 იანვრისათვის ჩვენს რესპუბლიკაში ძირეულად გაუმჯობესდა 2,5 ათასი ჰექტარი საძოვარი, 0,2 ათასი ჰექტარი სათიბი; 21,2 ათას ჰექტარ საძოვარზე ჩატარდა ზედაპირული გაუმჯობესება წალკის, დმანისის, დედოფლის წყაროსა და კასპის რაიონებში, გამდებლობული იქნა 1002 ჰა სათიბ-საძოვარი, 2574 ჰა-ზე შეიქმნა კულტურული საძოვრები.

მაგრამ ყოველივე ეს მცირეა იმასთან შედარებით, რასაც 1971-1975 წლების ხუთწლიანი გეგმა ითვალისწინებდა. კერძოდ, აღნიშნულ წლებში იგეგმებოდა მაღალპროდუქტიული სათიბებისა და კულტურული საძოვრების შექმნა 100 ათას ჰექტარზე, მათ შორის 50-ათასი ჰექტარი ძირეულად გაუმჯობესდებოდა. მნიშვნელოვანი პერსპექტივები იყო დასახული აგრეთვე სათიბ-საძოვრების წყლით უზრუნველყოფისა და მელიორაციის, ცილებით მდიდარი კონცენტრატების, იონჯის, სამყურას, ბარდას, ცერცვის, ხანჭკოლას, სოიას, ნათესების გადიდების და საკვების დამზადებაში ისეთი პროგრესული მეთოდების გამოყენების თვალსაზრისით, როგორცაა სენაჟის დამზადება, აქტიური ვენტილაციის მეთოდით თივის გაშრობა და სხვა.

### დასკვნა

უკანასკნელ პერიოდში "ეკონომიკური უსაფრთხოების" კატეგორიის პარალელურად ბრუნვაში შემოდის მისი ახალი რედაქცია, რომელიც იწოდება "ეროვნულ ეკონომიკურ უსაფრთხოებად". ამასთან განასხვავებენ აღნიშნული კატეგორიის ორგანოზომილებიან (ფართო და ვიწრო) გაგებას.

ვართო გაგებით ეროვნული ეკონომიკური უსაფრთხოება ემყარება ზოგადეროვნულ პლატფორმას და ნიშნავს ეროვნული ეკონომიკის ისეთ მუდმივ განვითარებას და სრულყოფას, რომელიც საზოგადოების ყველა ფენის ინტერესებს შეესაბამება და რომელშიც ყველა მათგანს ეძლევა მონაწილეობის მიღების საშუალება. ამასთან, ეროვნული ეკონომიკური უსაფრთხოება ითვალისწინებს მსოფლიო გამოცდილების, საერთაშორისო დახმარებებისა და გონიერი პროტექციონიზმის გამოყენებას, რომელიც მიმართული იქნება მხარეთა კანონიერი ინტერესების დაცვისაკენ, აგრეთვე ისეთი პრეფერენციების გამოყენებას იმ უცხოური ფაქტორების მიმართ, რომლებიც არ ეწინააღმდეგებენ ქვეყნის ეროვნულ ინტერესებს.

რაც შეეხება ეროვნული ეკონომიკური უსაფრთხოების ვიწრო გაგებას, იგი გულისხმობს სათანადო წესით დამტკიცებულ სახელმწიფო პროგრამას, რომელიც შეიცავს იმ პირველი რიგის ღონისძიებებს, რომლებიც მიმართული იქნება მსოფლიო სამეურნეო პროცესებში არაორგანიზებული მონაწილეობისა და არახელსაყრელი კონიუნქტურის შედეგად საბაზრო ძალების ნეგატიური გამოვლინების წინააღმდეგ.

სასურსათო უსაფრთხოების ირგვლივ წამოჭრილ პოლემიკაში ამ საკითხის განხილვის ადრეულ ეტაპზე, პრივალირებდა კონცეფცია, რომლის თანახმადაც ეროვნული სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფის ოპტიმალური საშუალება იყო დახმარება და იმპორტი. იმ ხანებში ეროვნული სოფლის მეურნეობის უსაფრთხოების თეორიული თვითუზრუნველყოფა არ იყო აქტუალური თემა, რადგან მსოფლიო სასურსათო ბაზარზე სურსათის მიწოდება შედარებით მრავალფეროვანი არხებით ხდებოდა. მაგრამ შემდგომ, მსოფლიო მოსახლეობის ზრდამ და ქვეყნების არათანაბარმა ეკონომიკურმა განვითარებამ გამოიწვია სასურსათო ბაზრის მონოპოლიზება. ამასთან, სურსათის ძირითად ექსპორტიორებსაც გაუზნდათ გარკვეული პრობლემები საკუთარი მოსახლეობის გამოკვებაში, რამაც სურსათის მიწოდების არასტაბილური ტენდენცია წარმოშვა. ამან სურსათის იმპორტზე დამოკიდებულ ქვეყნებს უბიძგა, შეექმნათ და აქტიურად განეხორციელებინათ თვითუზრუნველყოფის ეროვნული კონცეფციები.

თანამედროვე მსოფლიოში არსებობს ქვეყნები, რომლებმაც უკვე გადაჭრეს სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოების თეორიული საკითხები, სასურსათო უსაფრთხოების საკმარისობის, ხელმისაწვდომობისა და თვითუზრუნველყოფის თვალსაზრისით. მაგრამ ადამიანის აქტიური და ჯანსაღი ცხოვრებისათვის მნიშვნელოვან საფრთხეს წარმოადგენს კვების პროდუქტების დაბინძურების საკმაოდ მაღალი ხარისხი. სურსათის ვარგისიანობა სულ უფრო აქტუალური თემა ხდება ეკოლოგიური სიტუაციის გამწვავებისა და სოფლის მეურნეობის მზარდი ქიმიზაციის პირობებში.

ეროვნული სოფლის მეურნეობის სასურსათო უსაფრთხოების თეორიული საკითხები შემდეგია:

1. მოხმარებული სასურსათო პროდუქციის მთელი მოცულობის 75-80% უნდა იწარმოებოდეს საქონელმწარმოებლების მიერ;

2. მოსახლეობა უნდა მოიხმარდეს ბიოლოგიურად სრულფასოვან პროდუქტს, კალორიულობის რეკომენდებული დონით - საქართველოს ჯანდაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროს მონაცემებით საქართველოში დღე-ღამური კვების რაციონის ენერგეტიკული ფასეულობა, მოხმარების რაციონალური ნორმის მიხედვით, არანაკლებ 2500 კ.კალ-ს უნდა შეადგენდეს.

3. სასურსათო მარაგების შექმნა უნდა განხორციელდეს მთელი მოხმარებული პროდუქციის მოცულობის 20%-ის დონეზე.

საქართველო დიდი ხანია ჩამოცდა სასურსათო უსაფრთხოების ზღვარს. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის (საქსტატი) მონაცემების მიხედვით ირკვევა, რომ ძირითადი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოება ერთ სულ მოსახლეზე წლითიწლობით მცირდება, ხოლო იმპორტი იზრდება, რაც იმის მაჩვენებელია, რომ ქვეყნის სასურსათო უსაფრთხოება დარღვეულია.

ყველა ქვეყანა ცდილობს წინასწარ დაიჭიროს თადარიგი და საგანგებო სიტუაციებს მომზადებული შეხვდეს, ანუ კრიზისულ სიტუაციაში მინიმალურ დონეზე მაინც შეინარჩუნოს სასურსათო უსაფრთხოება. ეს პირველ რიგში ეხება ისეთ პრო-

დუქტებს, როგორცაა ხორბალი, ბოსტნეული და ა.შ. ამ მხრივ საყურადღებოა საქართველოში მიმდინარე პროცესები. საქსტატის მონაცემებით 2003 წელთან შედარებით ნათესი ფართობები შემცირდა დაახლოებით 2-ჯერ, ხორბლის წარმოება შემცირდა 4-ჯერ, ანუ თუ 2003 წელს იწარმოებოდა 225000 ტ. ხორბალი, ბოლო წლებში მისი რაოდენობა 54 ათას ტონამდე შემცირდა; კარტოფილის წარმოება შემცირდა 2-ჯერ, ხილისა – 50%-ით, ყურძნის – 30%-ით, ჩაის – 5-ჯერ, ბოსტნეულის – 2.5-ჯერ, სამაგიეროდ კარტოფილის იმპორტი გაიზარდა ამავე სიდიდით, ბოსტნეულის იმპორტი კი 10-ჯერ, ხორცის იმპორტი 2-ჯერ და დღესდღეობით სასურსათო ბაზარზე პროდუქციის 60% იმპორტირებულია. მცენარეული ცხიმების მთლიან მოცულობაში 85% არის იმპორტირებული. რაც შეეხება ყველაზე მნიშვნელოვანს, ხორბალს, მის იმპორტზე 92%-ით ვართ დამოკიდებული. ზოგადად მთელ სასურსათო პროდუქციაში იმპორტის წილი 76%-ია.

ასევე, ქვეყანაში დიდი რაოდენობით შემოდის უხარისხო გენმოდიფიცირებული პროდუქცია, რისი შემოწმების საშუალება სახელმწიფოს არ გააჩნია. ვინაიდან საქართველო ერთადერთი ქვეყანაა, სადაც სურსათის უვნებლობის სამსახურის ფუნქციები შეზღუდულია, ამის გამო როგორც ადგილობრივი, ისე იმპორტული პროდუქცია ხშირად ადამიანის ჯანმრთელობისათვის საშიში ხდება.

საქართველოს ეროვნულ-ეკონომიკური სასურსათო უსაფრთხოების კრიტიკული დონისათვის, რომლის ქვემოთაც იწყება სასურსათო უსაფრთხოების შესუსტება და დაკარგვა, საიმპორტო მოწოდებისაგან რაოდენობრივ გამოხატულებაში დამოკიდებულების გაძლიერება სავსებით რეალურია შემდეგი პარამეტრებით: 800 ათასი ტონა მარცვლეული, 240 ათასი ტონა კარტოფილი, 250 ათასი ტონა ბოსტნეული, 330 ტონა ხილი და კენკრა, 20 ათასი მცენარეული ცხიმები, 110 ათასი ტონა შაქარი, 85 ათასი ტონა ხორცი (ცოცალი წონით), 580 ათასი ტონა რძე და 360 მლნ ცალი კვერცხი. ეს დონე უნდა იქცეს სურსათო წარმოების ზრდის ტემპებისა და სასურსათო ბაზრის გაჯერებულობის ათვლის საზღვრად.

ამრიგად, ეროვნული სოფლის მეურნეობის უსაფრთხოების სტრატეგია უნდა დაეფუძნოს სურსათით ქვეყნის თვითუზრუნველყოფის პრინციპს, როგორც სახელმწიფოს სუვერენიტეტისა და დამოუკიდებლობის მტკიცე ეკონომიკური საფუძვლის უმნიშვნელოვანესი პირობა (საკმარისობისა და ხელმისაწვდომობის პრინციპებთან ერთად). თვითუზრუნველყოფაზე ყურადღების გამახვილება არ გულისხმობს ქვეყნის თვითიზოლაციას სასურსათო რესურსების ფორმირებაში. პირიქით, საუბარი მიდის ექსპორტისათვის წარმოების ზრდისა და იმპორტის სტრუქტურის სრულყოფის შესახებ, რაც შრომის საერთაშორისო დანაწილების უპირატესობებისა და ბაზრის ხელსაყრელი კონიუქტურის გამოყენებასთან ერთად ხელს შეუწყობს ეროვნული სოფლის მეურნეობის მიერ სახელმწიფოს სასურსათო უსაფრთხოების დამოუკიდებლობის განმტკიცებას.

### **გამოყენებული ლიტერატურა**

1. რამაზ აბესაძე, ვახტანგ ბურდული, ლინა დათუნაშვილი, ქვეყნის სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფის რეგულირების პრობლემები, თსუ სამეცნიერო შრომათა კრებული ტ. IV. 2011 წ.
2. ამერიკის ეკონომიკა – ზოგადი საფუძვლების მიმოხილვა, ამერიკის შეერთებული შტატების საინფორმაციო სააგენტო, 2010.
3. ვანიშვილი მ. საქართველოს სასურსათო უსაფრთხოების საშინაო და საგარეო ეკონომიკური ასპექტები: თეორია, მეთოდოლოგია, პრაქტიკა. თბილისი, საზოგადოება ცოდნა, 2003.
4. კოლუაშვილი პ. საქართველოს სასურსათო უშიშროება: რეალობა და პროგნოზები. თბილისი, 2004.
5. მესხია ი. ეკონომიკური უსაფრთხოების კონცეპტუალური საკითხები. ჟურნ. "ეკონომიკა", 1996 # 1-3.
6. Илларионов А. Критерии экономической безопасности . ж "Вопросы экониомики ". 1998 #10.
7. Сенчагов В. К. Экономическая безопасность: геополитика , глобализация, самосохранение и развитие (книга четвертая

## *ნატალია დავლაშერიძე*

### **ევროკავშირში შემავალი ქვეყნების გამოცდილება ეკონომიკური, სოციალური და ეკოლოგიური უსაფრთხოების სფეროში**

*ანოტაცია.* ნაშრომში სისტემატიზებულია ევროკავშირის წევრი ქვეყნების ღონისძიებების შემუშავებისა და განხორციელების გამოცდილება ეკონომიკური, სოციალური და ეკოლოგიური უსაფრთხოების სფეროში და გაანალიზებულია საქართველოში მისი გამოყენების შესაძლებლობები. ევროკავშირის ქვეყნების გამოცდილებამ აჩვენა, რომ ერის ეკონომიკური, სოციალური და გარემოსდაცვითი უსაფრთხოების უზრუნველყოფა გადამწყვეტ გავლენას ახდენს გლობალურ სამყაროში მკაფიო ადგილის უზრუნველყოფაზე, რომელიც ითვალისწინებს ერის ეროვნულ სტრატეგიულ ღირებულებას და პოტენციალს. განხილულია ევროკავშირის ქვეყნებში ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად ყველაზე გავრცელებული გზები. ხაზგასმულია, რომ ბოლო ათწლეულებში სულ უფრო აქტუალური ხდება ევროკავშირის ერთიანი სოციალური პოლიტიკის ჩამოყალიბების ამოცანა. ევროკავშირის მიერ შემოთავაზებული ახალი ევროპული სოციალური მოდელი შეიცავს საზოგადოების ყველა სექტორის ურთიერთდაკავშირებისა და სოლიდარობის იდეას სახელმწიფოების სოციალური ინსტიტუტების არასამთავრობო ორგანიზაციების სოციალური პარტნიორების ძალისხმევით გაერთიანებით ახალი, ძლიერი სოციალური ევროპის მშენებლობის საქმეში. ასევე ევროპის მწვანე შეთანხმებას და მომავალ ციფრულ ათწლეულს (2030) გახდის წარმატებულს. გაანალიზებულია ეკოლოგიური პოლიტიკის განსაკუთრებული ადგილი ევროკავშირის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად აღნიშნულია, რომ ევროპულმა ინსტიტუტებმა მიიღეს შვიდი „გარემოს დაცვის სამოქმედო პროგრამა“, ხოლო მერვე მოქმედი ასეთივე პროგრამა გათვლილია 2021-2030 წლებისთვის. ის მიზნად

*ისახავს დააჩქაროს კლიმატის ნეიტრალურობაზე, სუფთა და ეფექტურ ენერჯიასა და ციკლურ ეკონომიკაზე გადასვლა*

\* \* \*

დიდ ინტერესს იწვევს ევროკავშირის წევრი ქვეყნების გამოცდილება ეკონომიკური, სოციალური და გარემოსდაცვითი უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად. მათ საბოლოო მიზანს წარმოადგენს სრულად ინტეგრირებული ევროპის ფორმირება ერთნაირი ცხოვრების დონით ყველა წევრ ქვეყანაში.

თანამედროვე საბაზრო ეკონომიკის სწრაფად ცვალებად პირობებში – გლობალიზაცია და გლობალური კრიზისები – ეკონომიკური უსაფრთხოების საკითხი განსაკუთრებით აქტუალურია, ვინაიდან ეკონომიკა არის საზოგადოების არსებობის, სოციალური ურთიერთობების აგებისა და მსოფლიო პოლიტიკის საფუძველი. ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფა უმნიშვნელოვანესი ეროვნული პრიორიტეტია მსოფლიოს უმეტეს ქვეყნებში. უსაფრთხოების წარმატებული გამოცდილების ანალიზი და შემდგომი ადაპტაცია ერთ-ერთი ყველაზე ეფექტური მექანიზმია ეროვნული ეკონომიკის მდგრადობისა და ეფექტურობის მისაღწევად. ევროკავშირის წევრ ქვეყნებში მათი ეკონომიკური უსაფრთხოება გაგებულია არა როგორც ეროვნული ეკონომიკისა თუ პოლიტიკის დამოუკიდებლობისა და თვითუზრუნველყოფის მისწრაფების სურვილი დანარჩენი მსოფლიოსგან, არამედ როგორც ქვეყნის სტაბილური და მდგრადი სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მდგომარეობა, რისი უზრუნველყოფაც შესაძლებელია მჭიდრო პოლიტიკური და ეკონომიკური თანამშრომლობით.

სხვადასხვა ქვეყანაში ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფის გზები განსხვავებულია, მაგრამ არსებობს რამდენიმე ძირითადი მიმართულება, რომელსაც თითქმის ყველა სახელმწიფო იყენებს.

1. ევროკავშირის ქვეყნებში ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად ყველაზე გავრცელებული გზებია:
2. უცხოური ინვესტიციების მოზიდვა;
3. სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროგრამების შემუშავება;



4. ტერიტორიული კონფლიქტების დიპლომატიური გადაწყვეტა;

5. კორუმპირებული მოხელეებისთვის სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის გამკაცრება;

6. ყოვლისმომცველი საერთაშორისო პროგრამების ფორმირება სხვადასხვა საკითხებზე, მათ შორის ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში;

7. რეზერვებისა და ფონდების შექმნა.

ზოგადად, ამ პრობლემების გადასაჭრელად ევროკავშირის ეკონომიკური უსაფრთხოების კონცეფციის შემუშავებისას ითვალისწინებენ მასში შემავალი ცალკეული სახელმწიფოების ინტერესებს, მათ ეროვნულ დოქტრინებს, პროგრამებს, ასევე ეროვნულ უსაფრთხოებას.

**გერმანიაში**, როგორც ევროკავშირის ერთ-ერთ უდიდეს და ყველაზე აქტიურ ქვეყანაში, ტერმინი ეკონომიკური უსაფრთხოება განიხილება, როგორც ღონისძიებების ერთობლიობა, რომელიც მიმართულია საზოგადოების საერთო კეთილდღეობაზე და არა კონკრეტულ ქვეყანაზე.

გერმანიაში ეკონომიკური უსაფრთხოება უფრო მეტად ესმით, როგორც ეკონომიკური ზრდის სტაბილურობა. გერმანიის მდგრადი განვითარების სტრატეგია შეიცავს კონკრეტულ მიზნებს, რომელთა მიღწევაც გარკვეული ინდიკატორების საფუძველზე უნდა გაიზომოს.

სხვადასხვა ინსტიტუტები, მათ შორის გერმანიის მდგრადი განვითარების საბჭო (RNE), რომელიც შეიქმნა 2001 წელს, მზად არიან უზრუნველყონ, რომ მდგრადობა ერთ-ერთი ფუნდამენტური პრინციპი გახდეს. გერმანიაში მდგრადი განვითარების პოლიტიკა მჭიდროდ არის გადაჯაჭვული ევროპულ და საერთაშორისო პოლიტიკასთან და ორიენტირებულია მდგრადი განვითარების გლობალურ მიზნებზე – მდგრადი განვითარების მიზნებზე (SDGs), რომლებიც ჩამოყალიბდა 2015 წელს გაეროს მიერ, როგორც 2030 წლის დღის წესრიგის ნაწილი. გერმანიაში მდგრადი განვითარების თემა კანცელარიის პასუხისმგებლობას ეკუთვნის. მდგრადი განვითარების სახელმწიფო მდივნების კომიტეტი რეგულარულად იკრიბება ფედერალური კანცელარიის ხელმძღვანელის ეგიდით. 2004 წლიდან ბუნდესტაგი ასევე იწვევს მდგრადი განვითარების

საპარლამენტო მრჩეველთა საბჭოს (PBnE). ეს მრავალპარტიული ორგანო თავის თავს მიიჩნევს პარლამენტში მდგრადობის პოლიტიკის „დამკვირვებლად“ და აფასებს დაგეგმილ კანონმდებლობას გერმანიის მდგრადობის ეროვნული სტრატეგიის მიზნებთან შესაბამისობის თვალსაზრისით. 2002 წელს გამოქვეყნდა გერმანიის პირველი ეროვნული მდგრადი განვითარების სტრატეგია სახელწოდებით „პერსპექტივები გერმანიისთვის“. მიმდინარე ვერსია რატიფიცირებული იქნა ფედერალური კაბინეტის მიერ 2017 წლის იანვარში. გერმანიის ფედერალურ სახელმწიფოთა უმეტესობას (Länder) ასევე გააჩნია საკუთარი მდგრადობის სტრატეგია.<sup>18</sup>

გერმანიის ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველსაყოფ მრავალმხრივ კანონად შეიძლება ჩაითვალოს კანონი „ეკონომიკის მდგრადობისა და ზრდის მხარდაჭერის შესახებ“, რომლის მიხედვითაც „სახელმწიფომ უნდა გაატაროს ისეთი ეკონომიკური პოლიტიკა, რომ საბაზრო ეკონომიკის არჩეული მოდელის ფარგლებში ერთდროულად ხელი შეუწყოს ფასების სტაბილურობას, დასაქმების მაღალ დონეს და გარე ეკონომიკურ წონასწორობას ეკონომიკური თანაზომიერი ზრდის ტემპის დროს. ამ დოკუმენტში გაწერილია ზომები, რომლებიც აუცილებლად მისაღებია ეკონომიკური პოლიტიკის სფეროში შიდა და გარე საფრთხეების შემთხვევაში. მიუხედავად იმისა, რომ გერმანია იმპორტირებული ნედლეულის ერთ-ერთი უმსხვილესი მომხმარებელია, ეს ფაქტი ეკონომიკური უსაფრთხოებისთვის საფრთხედ არ განიხილებოდა (ყოველ შემთხვევაში, რუსეთ-უკრაინის ომამდე). ენერგორესურსების მოხმარების მიღწეული დონის შენარჩუნებისას გათვალისწინებულია დაფიქსირდეს სამრეწველო წარმოებისა და გერმანიის ექსპორტზე ფასების ზრდა. შიდა ეკონომიკური თვალსაზრისით კი ძირითადი მიზანია ქვეყნის ჯანსაღი ეკონომიკური განვითარების, მოსახლეობის მატერიალური და სოციალური კეთილდღეობის გარანტია. საგარეო ეკონომიკური თვალსაზრისით ძირითადი აქცენტი, ეკონომიკის საექსპორტო ორიენტაციის გამო, კეთდება გაყიდვების ბაზრების სტაბილურობასა და გაუმჯობესებაზე. გერმანიაში ეკონომიკის უსაფრთხო განვითარების უზრუნველსაყოფად გამოყენებული ძირითადი მეთოდებია: საბაზრო ურთიერთობების ცი-

<sup>18</sup> <https://www.nachhaltigkeitsrat.de/en/sustainability-policy-in-germany/>

ვილიზებული ბუნების შენარჩუნება, კონკურენციის თანაბარი პირობების შექმნა, ცალკეულ დარგებში მონოპოლიზაციის თავიდან აცილება და ეროვნული ვალუტის სტაბილურობის შენარჩუნება. მნიშვნელოვანი შესაბამისი დასკვნები გაკეთდა გერმანიისა და ევროკავშირის ეკონომიკური განვითარების მრჩეველთა საბჭოს ყოველწლიურ ანგარიშში 2022/2023 წლებში<sup>19</sup>:

1) გლობალურ ეკონომიკაში გაჩნდა ახალი რეალობა, რომელშიც მიწოდების ჯაჭვებისა და სტრატეგიული ავტონომიის მდგრადობის უზრუნველყოფა ხდება მთავარი ეროვნული პრიორიტეტები;

2) ენერგეტიკული კრიზისის დაწყება მნიშვნელოვნად გააუარესებს გერმანიის (და მთლიანად ევროკავშირის) ეკონომიკის მდგომარეობას 2023 წელს, მაგრამ უკვე ნათელია, თუ როგორ უნდა გადაილახოს იგი პრაქტიკაში – სტრატეგიულად და ლოჯისტიკურად.

3) გერმანიის (და ევროკავშირის) სტრატეგიული ავტონომიის მთავარი გამოწვევაა მისი მძიმე დამოკიდებულება ჩინეთზე იმპორტის კრიტიკული პროდუქტებისთვის. ამ გამოწვევაზე პასუხი ჯერ კიდევ გაურკვეველია, რადგან დიაპაზონი ძალიან ფართოა (278 კრიტიკული პროდუქტიდან 208) და ჩინეთის წილი (45.1%) კრიტიკულ იმპორტში ძალიან დიდია.

გერმანიისა და ევროკავშირის დამოკიდებულება იმპორტზე (ევროკავშირისთვის ეს კიდევ უფრო მაღალია – 52%) საერთოდ არ არის დამოკიდებული სამომხმარებლო საქონელზე (როგორც ბევრს, ვინც არ იცნობს რეალურ მდგომარეობას შეცდომით სჯერა). მაგალითად, გერმანიის სამი უმსხვილესი კრიტიკული იმპორტის ჯგუფია კომპიუტერები, თვითმფრინავების ძრავის ნაწილები და ანტიბიოტიკები; კრიტიკული იმპორტის მცირე ჯგუფების არარსებობაც კი შეიძლება შეაჩეროს გერმანიის წევის ელექტრომრავლების, თვითმფრინავების, სამრეწველო რობოტების, 3D ბეჭდვის

---

<sup>19</sup> Jahresgutachten 2022/23 ENERGIEKRISE SOLIDARISCH BEWÄLTIGEN, NEUE REALITÄT GESTALTEN <https://www.sachverstaendigenrat-wirtschaft.de/jahresgutachten-2022.html>

მოწყობილობების, საწვავის უჯრედების, ფოტოელექტრული სისტემების და ა.შ. წარმოება; 2022 წლის მონაცემებით, გერმანიის შესაძლებლობა, შეცვალოს კრიტიკული იმპორტის საქონელი, არსებობს მხოლოდ ორი ქვეყნის პროდუქციისთვის.

ანგარიშში ასევე ნათქვამია, რომ საშუალო და გრძელვადიანი გამოწვევები, როგორცაა დეკარბონიზაცია, დემოგრაფიული დაბერება და ეკონომიკური და ფულადი კავშირის სტაბილურობა, არ უნდა გადავიდეს მეორე პლანზე. ეს ყველაფერი მოითხოვს ერთობლივ მოქმედებას და სოლიდარობას ევროპაში. ვალის მაღალი დონის, საპროცენტო განაკვეთების ზრდის, აგრეთვე კრიზისთან დაკავშირებულ სამთავრობო ამოცანებზე გაზრდილი მოთხოვნების პირობებში, რომლებიც დაკავშირებულია კრიზისთან, ეკონომიკური და სავალუტო კავშირის ინსტიტუციური სტრუქტურა უნდა იყოს გაძლიერებული.

**საფრანგეთში** ეკონომიკური უსაფრთხოება ხორციელდება ეკონომიკური საფრთხეების არიდების და პრევენციული ღონისძიებების საშუალებით. მთავრობა იყენებს ახალ სექტორებს ეროვნული ეკონომიკის განვითარების უზრუნველსაყოფად, რომელიც ადაპტირებულია მსოფლიოში არსებულ ვითარებაზე. საფრანგეთში, ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად კონკრეტულ დებულებებთან დაკავშირებული მთავარი სახელმწიფო დოკუმენტი არის 1964 წლის ეროვნული უსაფრთხოების აქტი, რომელიც მოიცავს შემდეგს:

1. უცხოურ ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებული რისკების დონის შემცირებას;
2. სტაბილური პირობების ფორმირებას და ეროვნული ეკონომიკის სექტორების თანაბარზომიერ განვითარებას, განვითარებაში დისპროპორციების აღმოფხვრას;
3. ეკონომიკის სტრატეგიულად მნიშვნელოვან სექტორებზე დამოკიდებულების მინიმუმამდე შემცირებას.

**ესპანეთი** ერთ-ერთია იმ რამდენიმე ქვეყანას შორის, რომელმაც შეძლო აეშენებინა ღონისძიებების კომპლექსი მრავალდონიანი ეროვნული ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად. ქვეყანა მაღალი ეფექტურობით ახორციელებს ეროვნული ეკონომიკური ინტერესების დაცვის პრინციპებს. მათ შორის უნდა აღინიშნოს:

1) ეკონომიკური უსაფრთხოების საკითხების მონიტორინგის სპეციალიზებული სამსახურის არსებობა;

2) მარეგულირებელი სამართლებრივი აქტების მოქნილი სისტემა;

3) დეპარტამენტების, სამინისტროების, ორგანიზაციების პასუხისმგებლობის სფეროების მკაცრი და ლოგიკური დელიმიტაცია;

4) აღმასრულებელი და საკანონმდებლო უფლებამოსილების ყველა ორგანოზე მკაცრი კონტროლი;

5) ეკონომიკური უსაფრთხოების დამტკიცებული პროგრამა;

6) ქვეყნის ეკონომიკის განვითარების დამტკიცებული პროგრამა.

**იტალიაში** აქცენტი გამახვილებულია საგარეო ეკონომიკურ გაფართოებაზე. ამ მიდგომის განხორციელება შესაძლებელია იტალიის მჭიდრო კავშირით საზღვარგარეთის ტექნოლოგიურ პარტნიორებთან. ეკონომიკური ექსპანსიის ყველაზე პრიორიტეტული მიმართულებებია OECD (Organization for Economic Cooperation and Development) ქვეყნები და აგრეთვე, აზიის, ლათინური ამერიკის განვითარებადი ქვეყნები. აქცენტი კეთდება აგრეთვე იტალიის ურთიერთობაზე საზღვარგარეთთან საერთაშორისო ინდუსტრიული თანამშრომლობის განვითარების გზით.

საერთაშორისო თანამშრომლობა, ტექნოლოგიური პარტნიორობის გარდა, აქტიურად ვითარდება სხვა სფეროებში, თუმცა ეკონომიკური უსაფრთხოების დოქტრინის ოფიციალური შექმნა არ არის პრიორიტეტი იტალიის მთავრობისთვის. მთავარი ძალისხმევა მიმართულია ქვეყნის ეროვნული ინტერესების დაცვისა და ზრდისაკენ თანამშრომლობის ხელმისაწვდომი და ეფექტური ინსტრუმენტების გამოყენებით, – განაცხადა იტალიის ახალმა პრემიერ-მინისტრმა, ჯორჯ მელონიმ, თავის პირველ საპარლამენტო გამოსვლაში 2022 წლის 25 ოქტომბერს და მოითხოვა ნდობა ქვედა პალატის მიმართ.

მელონიმ განაცხადა, რომ მემარჯვენე მთავრობა, რომელსაც იგი ხელმძღვანელობს, პირველ ადგილზე აყენებს ეროვნული ინტერესების დაცვას და სურს მისი ხმა გაიგოს ევროკავშირის ინსტიტუტებმა. "ნებისმიერი, ვინც კითხვებს სვამს ევროპის შესახებ, არც მტერია და არც ერეტიკოსი, არამედ პრაგმატული ადა-

მიანია, რომელსაც არ ეშინია იმის თქმა, რომ რაღაცამ შეიძლება უკეთესად იმუშაოს", – თქვა მან და თან დასძინა: "ჩვენ არ გვინდა ევროპული ინტეგრაციის შეკავება ან საბოტაჟი. პირიქით, გვინდა, რომ კრიზისულ სიტუაციებზე უფრო ეფექტური რეაგირებისკენ მივმართოთ იგი. ევროკავშირი არ შეიძლება იყოს ელიტური კლუბი, რომლის წევრები ეკუთვნიან სერია A ან B აქციონერულ საზოგადოებებს ევროკომისიის დირექტორთა საბჭოში, რომლის ერთადერთი ამოცანაა ფინანსური წესრიგის შენარჩუნება", – მიიჩნევს იტალიის პრემიერ-მინისტრი<sup>20</sup>.

**ბალტიისპირეთის ქვეყნებს, უნგრეთს, სლოვაკეთს, ჩეხეთს, პოლონეთს** ცალ-ცალკე აქვთ შეზღუდული პოტენციალი, გავლენა მოახდინონ მსოფლიო ეკონომიკაზე, ამიტომ ისინი ირჩევენ განვითარების მოდელს, რაც შესაძლებლობას იძლევა შეიქმნას მოქნილი და მდგრადი ეროვნული უსაფრთხოების სისტემა. ჯერ კიდევ XX ს-ის 90-იან წლებში მათ ჩამოაყალიბეს და წარმატებით განახორციელეს ეროვნული თითქმის იდენტური უსაფრთხოების უზრუნველყოფის მოდელი, რომელიც მოიცავს:

- 1) გეოპოლიტიკური მდგომარეობის საფუძვლიან შეფასებას;
- 2) ქვეყანაში ეკონომიკური რეფორმების კორექტირებას;
- 3) განვითარების ვექტორისა და სტრატეგიის არჩევას;
- 4) განვითარების საბაზისო, რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლების კორელაციას მსოფლიო და რეგიონალურ სტანდარტებთან;

- 5) ქვეყნის ეფექტური მოდელის შექმნას 5, 10, 30 წლისთვის.

ასეთი მიდგომა ხელს უწყობს ამ ქვეყნების პოტენციალის განვითარებას, ასევე ამცირებს სოციალურ ტვირთს მოსახლეობაზე. კერძოდ, უნგრეთი ეკონომიკური უსაფრთხოების მთავარ საფრთხეებად მიიჩნევს ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის რეგიონების ეკონომიკურ ჩამორჩენას დასავლეთ ევროპის ქვეყნებთან შედარებით, საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის სირთულეებს, დემოკრატიული ინსტიტუტების ფორმირების პრობლემებს. პოლონეთის კონცეფციაში კიდევ ერთი საფრთხე დაემატა ზემოთ ჩამოთვლილ უნგრეთის ეკონომიკურ უსაფრთხოებას – სტრატეგიულად

---

<sup>20</sup> <https://eadaily.com/ru/news/2022/10/25/italiya-evrosoyuz-ne-akcionernoe-obschestvo-a-evrokomissiya-ne-sovet-direktorov>

მნიშვნელოვანი ნედლეულის იმპორტის შეწყვეტა ან მნიშვნელოვანი შეზღუდვა.

მცირე ქვეყნების გამოცდილება დასავლეთ ევროპაში (**ნიდერლანდები, ბელგია, დანია, ლუქსემბურგი, შვეიცარია**) ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად აჩვენებს, რომ მათი ეროვნული ეკონომიკური ინტერესების დაცვის მთავარი სტრატეგიული მიზანია ეკონომიკის მდგრადი ეკონომიკური ზრდისა და მოდერნიზაციის უზრუნველყოფა მსოფლიო ბაზარზე კონკურენციის პირობების შესაბამისად. ამ ქვეყნებს არ აქვთ შესაძლებლობა მნიშვნელოვნად იმოქმედონ მსოფლიო ეკონომიკის სტრუქტურის ფორმირებაზე. ისინი იძულებულნი არიან მოერგონ მსოფლიო ეკონომიკის განვითარების პირობებს, შეცვალონ ეროვნული ეკონომიკის არსებული სტრუქტურები და მათი განვითარების პროპორციები. აქედან გამომდინარეობს ეკონომიკის მოქნილი, ეფექტური სტრუქტურისა და სპეციალიზაციის ფორმირების სტრატეგიული მიზნები. ამავე დროს, ევროკავშირის ე.წ. "მცირე ქვეყნები" განსაზღვრავენ ეკონომიკის ეფექტური სტრუქტურისა და სპეციალიზაციის სტრატეგიულ მიზნებად ჩამოყალიბებას.

ზოგადად, ევროკავშირის ქვეყნებმა, რომლებმაც გააერთიანეს თავიანთი ეკონომიკა, მნიშვნელოვანი და ხარისხობრივი ნახტომი გააკეთეს მათი ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად. თუმცა მათ არ გაითვალისწინეს გარე ფაქტორების გავლენა. აშშ-ის ეკონომიკასთან გაერთიანებული და ინტეგრირებული ქვეყნები მოექცნენ მისი ეკონომიკის გავლენის ქვეშ. შეერთებულ შტატებს ნებისმიერ დროს შეუძლია დაუწესოს ეკონომიკური სანქციები ევროკავშირის კომპანიებს, გაყინოს მათი აქტივები და ანგარიშები, რაც სინამდვილეში ნიშნავს სრულ კონტროლს ასეთი კომპანიების ქმედებებსა და საქმიანობაზე. შედეგად, ჩვენ ვაკვირდებით მჭიდრო ურთიერთკავშირს ეკონომიკასა და პოლიტიკას შორის ან, უბრალოდ რომ ვთქვათ, "ეკონომიკის პოლიტიზებას".

თანამედროვე პირობებში, კერძოდ, კორონავირუსის ინფექციის გავრცელებისა და უკრაინაში გაჩაღებული ომის კონტექსტში, მსოფლიოს აბსოლუტურად ყველა ქვეყანა, მათ შორის ევროკავშირის ქვეყნები, დაგანან ახალი, ჯერ კიდევ უცნობი ზომის გლობალური კრიზისის ზღვარზე, რომელიც ახლა იწყებს საკუთარი თავის გამოვლენას და გაძლიერებას. ამრიგად, მსოფლიოში

გლობალური ფინანსების ერთ-ერთი ყველაზე ავტორიტეტული ექსპერტი, ნოურიელ რუბინი თავის სტატიაში პროექტის სინდიკატის ვებგვერდზე "რუსეთის ომი და გლობალური ეკონომიკა" წერს: "მაცდურია ვიფიქროთ, რომ სპეცოპერაცია უკრაინაში მოახდენს უმნიშვნელო ეკონომიკურ და ფინანსურ გავლენას მსოფლიოში, იმის გათვალისწინებით, რომ რუსეთის წილი მსოფლიო ეკონომიკაში მხოლოდ 3%-ია. დღევანდელი კრიზისი წარმოადგენს თვისებრივ გეოპოლიტიკურ ნახტომს. მისი გრძელვადიანი ეფექტები და მნიშვნელობა მწელი გადასაფასებელია"<sup>21</sup>. საომარი მოქმედებების ეკონომიკური და ფინანსური შედეგები და მასთან დაკავშირებული სტაგფლაციის შოკი, რა თქმა უნდა, ყველაზე დიდი იქნება რუსეთსა და უკრაინაში, შემდგომ ევროკავშირში რუსულ გაზზე მძიმე დამოკიდებულების გამო.

ეკონომისტების თქმით: ომი უკრაინაში არის მესამე ასიმეტრიული შოკი, რომელიც ევროკავშირმა განიცადა ბოლო ოცი წლის განმავლობაში. 2008 წლის ფინანსურ და ეკონომიკურ კრიზისს მოჰყვა ევროზონის კრიზისი, შემდგომ დაიწყო COVID-19-ის პანდემია. ასიმეტრიული შოკი არის ეკონომიკური პირობების მოულოდნელი ცვლილება, რომელიც გავლენას ახდენს ევროკავშირის ქვეყნებზე სხვადასხვა ხარისხით, კერძოდ, უკრაინაში ომი ბევრად უფრო დიდ გავლენას ახდენს მის მეზობელ ქვეყნებზე ლტოლვილთა შემოდინებისა და ამ ქვეყნების დამოკიდებულების გამო რუსულ გაზზე. უკრაინელი ლტოლვილები ევროპას ძვირად დაუჯდება, ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) თანახმად – მხოლოდ 26 მილიარდი ევრო. ამ თანხის ორი მესამედი არის მიღებისა და განსახლების პირდაპირი ხარჯები. განათლებისა და ჯანმრთელობის დამატებითი დაფინანსებისთვის საჭირო იქნება კიდევ 9 მილიარდი ევრო, მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ ლტოლვილები (ევროკავშირში უკვე 5 მილიონზე მეტი უკრაინელი ლტოლვილია) უკრაინიდან (და რუსეთიდან) ეს არ არის მხოლოდ ევროპის ხარჯები. ეს ფაქტი საშუალებას მისცემს ევროკავშირის ქვეყნებს ნაწილობრივ აანაზღაურონ სამუშაო ძალის დეფიციტი – პანდემიის შემდეგ გლობალური ეკონომიკის აღდგე-

---

<sup>21</sup> <https://www.project-syndicate.org/onpoint/russias-war-and-the-global-economy-by-nouriel-roubini-2022-02>



ნის ერთ-ერთი მთავარი მუხრუჭი. "შრომის ბაზრის ნორმალიზაცია გაგრძელდება 2022-23 წლებში, მიუხედავად უკრაინაში ომის უარყოფითი შედეგებისა", – წერენ OECD ეკონომისტები. "ეპიდემიოლოგიური ვითარების გაუმჯობესებით, ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის წილი გაიზრდება, ხოლო მიგრანტების შემოდინება და შრომის ბაზარზე უკრაინელი ლტოლვილების თანდათანობითი ჩართვა, საშუალებას მისცემს აანაზღაუროს შრომის დეფიციტი."<sup>22</sup> როგორც მსოფლიო ბანკი აღნიშნავს: "უკრაინელი ლტოლვილებისა და რუსი მიგრანტების შემოდინება, განსაკუთრებით განათლებული და გამოცდილი მუშაკებისა, სავარაუდოდ, დადებითად იმოქმედებს შიდა მოთხოვნაზე და, საშუალოვადიან პერიოდში, ეკონომიკურ ზრდაზე სამუშაო ძალის მქონე მოსახლეობის ზრდის გამო"<sup>23</sup>.

ნებისმიერი ქვეყნის შიდა პოლიტიკის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი კომპონენტია **სოციალური** უსაფრთხოების უზრუნველყოფა. ერთიანი სოციალური სივრცის ფორმირება ევროპული ინტეგრაციის ერთ-ერთი ამოცანაა. ეს დებულება 1986 წლის ერთიან ევროპულ აქტშია გათვალისწინებული. სიტუაციის არსი არის სოციალური პროგრამების განხორციელების უზრუნველყოფა. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა სოციალური დიალოგის ინსტიტუტების გაძლიერებას ქვეყნის დონეზე. სოციალური განზომილება – "social dimension" არის ტერმინი, რომელიც აქტიურად გამოიყენება ევროკავშირის დოკუმენტებში სოციალურ სფეროში ინტეგრაციის პროცესების აღწერისას<sup>24</sup>.

1989 წელს მიღებულია ეკონომიკური საზოგადოების მუშაკთა ფუნდამენტური სოციალური უფლებების ქარტია. ეს დოკუმენტი კონცენტრირებული იყო კონკურენციის საკითხებზე, რად-

---

<sup>22</sup> [https://www.oecd-ilibrary.org/economics/oecd-economic-outlook/volume-2022/issue-1\\_62d0ca31-en?jsessionid=92nyFIM8ZvUm4P\\_gDXNOHi9Opi8WeTm9WjFq-qP6.ip-10-240-5-137](https://www.oecd-ilibrary.org/economics/oecd-economic-outlook/volume-2022/issue-1_62d0ca31-en?jsessionid=92nyFIM8ZvUm4P_gDXNOHi9Opi8WeTm9WjFq-qP6.ip-10-240-5-137)

<sup>23</sup> [www.worldbank.org](http://www.worldbank.org) Global Economic Prospects JUNE 2022

<sup>24</sup> <https://hkls.ru/ka/profession/osnovy-ekologicheskoi-politiki-evropeiskogo-soyuza-ekologicheskaya.html>

გან კომპანიებმა დაიწყეს თავიანთი წარმოების ადგილმდებარეობისთვის შესაფერისი პირობების არჩევა, რის შედეგადაც ამ ქვეყნების მოქალაქეებმა მიიღეს უპირატესობა. პროფკავშირის ორგანიზაციები გამოდიოდნენ ბაზრის რეგულირების წინააღმდეგ, რადგან დასაქმების საკითხებში მიიჩნევდნენ მას უსამართლოდ და არ ითვალისწინებდნენ სოციალურ ასპექტს. წესდება მხოლოდ შრომით ურთიერთობებს ეხებოდა, მაგრამ მისი პრინციპები მასტ-რიხტის ხელშეკრულების ანექსიაში იყო განმტკიცებული.

ევროკავშირის თანამედროვე სოციალური პოლიტიკის საფუძველი 2002 წელს იოჰანესბურგში მდგრადი განვითარების მსოფლიო სამიტზე ჩაისახა. ევროკავშირში სოციალური სისტემა ორი დონისგან შედგება:

1. ნაციონალური,
2. ზენაციონალური.

ცალკეული ქვეყნების დონეზე სოციალური პოლიტიკის ფუნქცია მოიცავს კოლექტიური სოციალური საჭიროებების უზრუნველყოფას, რეგულირების ძირითად სფეროებს შორისაა ჯანდაცვა, შრომის დაცვა, გარემოს დაცვა, განათლება და პროფესიული სწავლება. ასევე უზრუნველყოფილია პენსიონერების, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოქალაქეების, მრავალშვილიანი ოჯახებისა და უმუშევართა სოციალური დაცვა. ევროკავშირის ცალკეული ინსტიტუტების საქმიანობა სუპრანაციონალურ დონეზე აგრძელებს ზედნაშენის როლის შესრულებას, რაც ხელს უწყობს იმ პრობლემების მოგვარებას, რომლებიც, მათი მასშტაბით და მოცულობით, სცილდება სახელმწიფოს მთავრობების ძალას. სუპრანაციონალურ სოციალურ პოლიტიკას ახორციელებს არა მხოლოდ ევროკავშირის წამყვანი ინსტიტუტები, როგორცაა ევროპული საბჭო, პარლამენტი, კომისია და სასამართლო, არამედ სპეციალიზებული კომიტეტები – ეკონომიკური და სოციალური, რეგიონების კომიტეტი, ასევე სპეციალიზებული ორგანიზაციები – დასაქმების მუდმივმოქმედი კომიტეტი, სტრუქტურული ფონდები, ევროპის დასაქმების სამსახური, დასაქმების პოლიტიკის ურთიერთსაინფორმაციო სისტემა და ა.შ.

იმისათვის, რომ ხელი შეუწყოს ისეთი საკითხების გადაწყვეტას, როგორცაა ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესება, შრომის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის გაუმჯობესება, ასევე ევრო-

კავშირის წევრი ქვეყნების სოციალური სისტემების დაახლოება, ძირითადად გამოიყენება სამართლებრივი რეგულირებაც, რომლის მიზანი ევროკავშირის ყველა წევრი ქვეყნის სოციალური სისტემების ზოგადი კოორდინაციაა.

ამრიგად, ევროკავშირის სოციალური დაცვის მექანიზმი ემყარება სხვადასხვა დონეებს შორის პასუხისმგებლობის სფეროების დაყოფის სუბსიდირების პრინციპს, რაც იმას ნიშნავს, რომ სოციალური და პოლიტიკური საკითხები უნდა გადაწყდეს ყველაზე უმუშალო (ან ადგილობრივ) დონეზე, რომელიც შეესაბამება მათ გადაწყვეტას.

ევროკავშირის თითოეულ ქვეყანას აქვს საკუთარი სოციალური უსაფრთხოების კანონები. ამ კანონის შესაბამისი ვალდებულებები და უფლებები ერთნაირია ყველა მომუშავესთვის, ადგილობრივია ის თუ უცხოელი. თუმცა ევროკავშირის წესები კოორდინაციას უწევენ ეროვნულ სისტემებს ისე, რომ ევროკავშირის სხვა ქვეყანაში გადასული ადამიანები არ კარგავენ სოციალურ უზრუნველყოფას (მაგ. უფლებები პენსიასა და ჯანდაცვაზე) და ყოველთვის იციან, რომელი ეროვნული კანონები ვრცელდება მათზე. ევროკავშირის წესების თანახმად, მხოლოდ ერთი ქვეყანა შეიძლება დაექვემდებაროს სოციალური დაცვის კანონებს, ამიტომ სოციალური უზრუნველყოფის შენატანები უნდა გადაიხადოს მხოლოდ ამ ქვეყანაში. საერთო წესის თანახმად, ქვეყნის კანონები, გამოიყენება იქ, სადაც ადამიანი რეალურად მუშაობს (დასაქმებული ან თვითდასაქმებული) და შენატანებიც იქვე უნდა გადაიხადოს. არ აქვს მნიშვნელობა სად ცხოვრობს ადამიანი (მაგალითად, თუ ის სამუშაოდ მიემგზავრება) ან სად იმყოფება მისი დამსაქმებელი. გამონაკლისს წარმოადგენენ ის მუშაკები, რომლებიც 2 წელზე ნაკლები ხნის განმავლობაში იყვნენ მივლინებაში საზღვარგარეთ: მათ შეუძლიათ დაზღვეულებად დარჩნენ და გადაიხადონ შენატანები იმ ქვეყანაში, საიდანაც იყვნენ მივლინებული. 1-ზე მეტ ქვეყანაში ერთდროულად მომუშავე ადამიანებისთვის არსებობს სპეციალური წესები, რომლებიც განსაზღვრავს, თუ რომელი ქვეყნის კანონებს უნდა დაექვემდებარონ და სად უნდა გადაიხადონ შენატანები.

ნებისმიერი მოქალაქისთვის უნდა იყოს გარანტირებული სოციალური დაცვა, რათა მათ თავისუფლად აირჩიონ თავიანთი

საცხოვრებელი ქვეყანა და სამუშაო ევროკავშირში. მაგალითად, უფასო ჯანმრთელობის დაცვის, შეღავათებისა და შემწეობის, ასევე პენსიის მიღების უფლება. ეს ყოველთვის არ შეიძლება გარანტირებული იყოს მხოლოდ ერთი ქვეყნის კანონების გამოყენებით. შესაბამისად, ევროკავშირმა მიიღო სოციალური უსაფრთხოების სხვადასხვა სისტემის კოორდინაციის წესები. ეს შეიძლება მოიცავდეს ევროპარლამენტისა და საბჭოს (EC) № 883/2004 რეგლამენტში და (EC) № 987/2009 ევროპარლამენტისა და საბჭოს განმარტებულ რეგულაციაში<sup>25</sup>.

კოორდინაციის წესები ვრცელდება ევროპის ეკონომიკურ ზონაში (EEA) – ევროკავშირის ყველა წევრ სახელმწიფოში, ნორვეგიაში, ლიხტენშტეინში, ისლანდიასა და შვეიცარიაში. წესები ვრცელდება ევროკავშირის წევრი ქვეყნების ყველა მოქალაქეზე და ევროკავშირში კანონიერად მცხოვრებ არამოქალაქეებზე.

უნდა აღინიშნოს, რომ ბოლო ათწლეულების განმავლობაში, ევროკავშირის საერთო სოციალური პოლიტიკის ფორმირების ამოცანა სულ უფრო აქტუალური ხდება. ცალკე ხაზი გაესვა ხანშიშესული მოსახლეობის მზარდი წილის სოციალური უსაფრთხოების პრობლემის მოგვარებას. 2017 წლის ნოემბერში გოტებურგში ევროპარლამენტის, ევროკომისიისა და საბჭოს მიერ გამოცხადდა სოციალური უფლებების ევროპული საყრდენი (EPSR), რომელიც დოკუმენტების ერთობლიობაა და მოიცავს 20 ძირითად პრინციპსა და უფლებებს. იგი მიზნად ისახავს უფრო სამართლიანი ევროპის მშენებლობას შრომის ბაზრებისა და სოციალური უსაფრთხოების სისტემის სფეროში.

სოციალური უფლებების ევროპული საყრდენი შეიცავს პრეამბულას და 3 თავს მიზნობრივი მნიშვნელობებით 20 სფეროსთვის:

თავი I: თანაბარი შესაძლებლობები და ხელმისაწვდომობა შრომის ბაზარზე (ზოგადი განათლება, პროფესიული მომზადება და სწავლა მთელი ცხოვრების განმავლობაში, გენდერული თანასწორობა, თანაბარი შესაძლებლობები, დასაქმების აქტიური მხარდაჭერა);

---

<sup>25</sup> <https://eur-lex.europa.eu/legal-content/en/LSU/?uri=CELEX%3A32004R0883>

თავი II: სამართლიანი სამუშაო პირობები (უსაფრთხო და ადაპტირებადი დასაქმება, ხელფასი, ინფორმაცია დასაქმების პირობებისა და დაცვის შესახებ სამსახურიდან გათავისუფლების შემთხვევაში, სოციალური დიალოგი და თანამშრომლების ჩართულობა, სამუშაოსა და პირად ცხოვრებას შორის ბალანსი, ჯანსაღი, უსაფრთხო და კარგად ადაპტირებული სამუშაო გარემო და მონაცემთა დაცვა);

თავი III: სოციალური დაცვა და ინტეგრაცია (ბავშვებზე ზრუნვა და მხარდაჭერა, უმუშევრობაზე შეღავათები, მინიმალური შემოსავალი, მოხუცებულობაზე შემოსავალი და პენსია, ჯანდაცვა, ინვალიდობაზე გრძელვადიანი მოვლა, საცხოვრებელი და უსახლკაროების დახმარება, ხელმისაწვდომობა ძირითად სერვისებზე).

EPSR მიზნად ისახავს იყოს, როგორც ერთგვარი საცნობარო დოკუმენტი, რომლის საშუალებითაც შრომის ბაზარი და სოციალური სტანდარტები შეიძლება მიუახლოვდეს წვერი სახელმწიფოების სტანდარტებს ძირითად განმსაზღვრელ კომპონენტებში, გრძელვადიან პერსპექტივაში.

ამ პოლიტიკის შემდგომ, 2020 წლის 17 დეკემბერს, მიღებულ იქნა ევროპარლამენტის რეზოლუცია ძლიერი სოციალური ევროპის შესახებ სამართლიანი გადასვლებისთვის<sup>26</sup>. ხოლო პორტოში (2021 წლის მაისი)<sup>27</sup> ევროპის სოციალურ სამიტზე ევროკავშირის ქვეყნების ლიდერებმა 2030 წლამდე განსაზღვრეს ევროკავშირის სამი ძირითადი მიზანი 2030 წლამდე, სოციალური უფლებების სამოქმედო გეგმის ფარგლებში. ევროკავშირის მიერ შემოთავაზებულ ახალ ევროპულ სოციალურ მოდელში შემოთავაზებულია იდეა (რომელიც შეიცავს საზოგადოების ყველა სეგმენტის ურთიერთდაკავშირებისა და სოლიდარობის იდეას, სახელმწიფოების, სოციალური ინსტიტუტების, არასამთავრობო ორგანიზაციების, სოციალური პარტნიორების ძალისხმევის შერწყმის გზით ახალი ძლიერი სოციალური ევროპის მშენებლობის საქმეში და ასევე გახდის ევროპის მწვანე კურსის შეთანხმებას და მომავალ 2030 წლის ციფრულ ათწლეულს წარმატებულს. ამ მთავარ მიზნებს წარმოადგენს:

<sup>26</sup> <https://op.europa.eu/webpub/empl/european-pillar-of-social-rights/en/>

<sup>27</sup> <https://www.2021portugal.eu/fr/sommet-social-de-porto/>

**2030 წლისთვის 20-დან 64 წლამდე ასაკის მოსახლეობის მინიმუმ 78%-ს უნდა ჰქონდეს სამუშაო;**

- 2019 წელთან შედარებით გენდერული უთანასწორობის სხვაობა დასაქმების სფეროში უნდა განახევრდეს;
- გაიზარდოს ფორმალური განათლებისა და მცირეწლოვანი ბავშვების მოვლის (ECEC) შესაძლებლობები, რაც ხელს შეუწყობს პროფესიული და პირადი ცხოვრების უკეთეს ნაზავს და მზარს დაუჭერს ქალთა უფრო აქტიურ მონაწილეობას შრომის ბაზარზე;
- შეამცირეთ 15-29 წლის ახალგაზრდების პროპორცია, რომლებიც არ არიან დასაქმებული სამუშაოზე, განათლებაში ან ტრენინგში (NEET) 12.6 %-დან (2019) 9 %-მდე, კერძოდ, დასაქმების პერსპექტივების გაუმჯობესებით;
- შრომის ბაზრის რეფორმა და უმუშევრობის შემცირება დასაქმების სტრატეგიის განხორციელების გზით, რომელიც მიზნად ისახავს "სამუშაო ცხოვრების" გახანგრძლივებას.

**შრომისუნარიანი მოქალაქეების მინიმუმ 60%-მა ყოველწლიურად უნდა გაიაროს პროფესიული მომზადება ან გადამზადება.**

- 16-დან 74 წლამდე ასაკის ადამიანების მინიმუმ 80% უნდა ფლობდეს ძირითად ციფრულ უნარებს, რაც წინაპირობას წარმოადგენს შრომის ბაზარზე და საზოგადოებაში მათი ჩართულობისა და მონაწილეობისთვის ევროპაში, რომელიც ტრანსფორმირდება ციფრულ ტექნოლოგიებში;
- კიდევ უფრო უნდა შემცირდეს იმ ბავშვების რაოდენობა, რომლებიც ადრეულ ასაკში ტოვებენ სკოლას და უნდა გაიზარდოს საჯარო სკოლის ზედა კლასებში დამსწრე ბავშვების რაოდენობა.

**უნდა შემცირდეს სიღარიბის ან სოციალური გამორიცხვის რისკის ქვეშ მყოფი იმ ადამიანების რაოდენობა, რომელთაც ემუქრებათ სიღარიბე და სოციალური იზოლაცია, 15 მილიონით, მათ შორის უნდა იყოს მინიმუმ 5 მილიონი ბავშვი.**

- სწავლების დანერგვა მუშაობის პროცესში;
- სადაზღვევო სისტემის რეფორმირება, პირველ რიგში კი – სავალდებულო საპენსიო დაზღვევის სისტემის;

- სოციალური ინტეგრაციის ხელშეწყობა და საიმიგრაციო პოლიტიკის განვითარება.

რეგიონების კომიტეტის, ევროპის მრავალრიცხოვანი რეგიონალური ასოციაციისა და ბოლოს, მიმღები რეგიონების მოწოდებები რომ შენარჩუნდეს, "ერთიანობის პოლიტიკის" რესურსები ისევ უნდა იყოს გათვალისწინებული. 2021 წლის ივნისში პარლამენტმა და ევროკავშირის საბჭომ ხელი მოაწერა შეთანხმებას მისი დაფინანსების შესახებ 2021-2027 პერიოდისთვის იმავე თანხით, როგორც წინა შვიდი წლის განმავლობაში (373 მილიარდი ევრო; კომისია მიესალმება 2021 წლის მიღებას)<sup>28</sup>. მიმღებთა შემფოთება საერთო ბიუჯეტის დაახლოებით 9%-ით შემცირების გამო გამოიწვია დიდი ბრიტანეთის მიერ ევროკავშირის დატოვებამ, თუმცა მოლოდინი არ გამართლდა. ასიგნებების საჭირო მაჩვენებლებამდე მიღწევა შესაძლებელი გახდა რიგი დონორი ქვეყნების შენატანებზე ფასდაკლებების გაუქმების ხარჯზე.

უფრო ზუსტად, ევროპის რეგიონული განვითარების ფონდი 226 მილიარდ ევროს მოიცავს, ერთობითი ფონდით – 48 მილიარდი ევრო, ევროპის სოციალური ფონდი – 99.3 მილიარდი ევრო, სამართლიანი გარდამავალი ფონდი – "ერთობის პოლიტიკის" ახალი ინსტიტუტი – 19.2 მილიარდი ევრო. გარდა ამისა, შეიქმნა სახელმწიფო ორგანოებისთვის შედევათიანი დაკრედიტების მექანიზმი დაბალი შემოსავლის მქონე პროექტების განხორციელებისთვის. დაბოლოს, გაგრძელდება „ინტერრეგის“ (Interreg) პროგრამა (გამოყოფილია 8.1 მილიარდი ევრო), რომელიც მიზნად ისახავს ტერიტორიულ თანამშრომლობას მთელ ევროპაში (ტრანსსასაზღვრო, ტრანსნაციონალური და რეგიონათაშორისი, მათ შორის ევროკავშირის გარე რეგიონებთან ურთიერთქმედება).

გაერთიანების ფონდი, როგორც ადრე, ძირითადად მხარს დაუჭერს ტრანსევროპული ინფრასტრუქტურის განვითარებას. ამავე დროს, პროექტების შერჩევა განხორციელდება ისეთი პარამეტრების მიხედვით, როგორცაა ენერგოეფექტურობა, განახლე-

<sup>28</sup> [https://ec.europa.eu/regional\\_policy/en/newsroom/news/2021/06/25-06-2021-commission-welcomes-the-adoption-of-eur373-billion-cohesion-policy-legislative-package-2021-2027](https://ec.europa.eu/regional_policy/en/newsroom/news/2021/06/25-06-2021-commission-welcomes-the-adoption-of-eur373-billion-cohesion-policy-legislative-package-2021-2027)

ბადი ენერჯის წყაროების გამოყენება ან სხვა ეკოლოგიური სარგებელი რეგიონებისთვის.

სამართლიანი გადასვლის ფონდი (Just Transition Fund) არის "ერთიანობის პოლიტიკის" სრულიად ახალი ინსტრუმენტი. მისი უნიკალურობა მდგომარეობს იმაში, რომ იგი შერწყმულია საერთო ბიუჯეტიდან კლასიკურ საგრანტო შემოსავლებთან (8.4 მილიარდი ევრო 7 წლის განმავლობაში) და პროგრამის სპეციალური – „ევროკავშირის ახალი თაობის“ (NextGenerationEU) რესურსებიდან, რომელიც დაფუძნებულია მ.შ. გარანტებსა და კრედიტებზე 10.8 მილიარდი ევროს მოცულობით (ჯამში 19.2 მილიარდი ევრო).

COVID-19-მა რადიკალურად შეცვალა ევროპის საქმიანობა, განათლებაში, ეკონომიკაში, სოციალური უსაფრთხოების სისტემებსა და სოციალურ ცხოვრებაში. COVID-19 პანდემიის საპასუხოდ, ეროვნულ და ევროკავშირის დონეზე გადამწყვეტი პოლიტიკური ზომები წარმატებული აღმოჩნდა. კოორდინაციის მეშვეობით ევროკულმა სოლიდარობამ მხარი დაუჭირა წევრ სახელმწიფოებს მოკლევადიანი სამუშაო სქემებისა და სამუშაო ადგილების შენარჩუნების ღონისძიებებში მსგავსი ზომების დანერგვაში, სამუშაო ადგილების შენარჩუნებისათვის, უმუშევრობის შესაკავებლად ჯანდაცვის სფეროში საგანგებო სიტუაციის პირობებში. ამან ხელი შეუწყო დასაქმების, შემოსავლებისა და ეკონომიკის შენარჩუნებას.

ამავე დროს პანდემიამ გამოავლინა ღრმა ფესვები და მნიშვნელოვანი ხარვეზები ყველა ქვეყანაში სოციალური დაცვის სფეროში, სრულად მოცვასა და მნიშვნელოვანი დონის მიღწევაში. საქართველოში არსებული ხარვეზების გადასაჭრელად ქვეყნის პროფკავშირის კონფედერაციამ შემოგვთავაზა ცვლილებები შრომის კანონმდებლობაში, რომელიც გულისხმობდა ხელფასების გადახდას კარანტინში მყოფი მუშაკებისთვის და პანდემიის წინააღმდეგ ბრძოლის სპეციალური ფონდის შექმნას; ეს წინადადებები იქნა მიღებული. მსგავსი ზომების გამოყენება წარმატებით შეიძლება სხვა ქვეყნებში სოციალური დაცვის სისტემების რეორგანიზაციისას, რათა ამ უკანასკნელებმა ღირსეულად უპასუხონ წარმოშობილ გამოწვევებს.

ევროკავშირის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად განსაკუთრებული ადგილი უკავია **ეკოლოგიურ** პოლიტიკას. ევროკავ-



შირის აქტიური მონაწილეობით 1995 წლიდან ტარდება COP (მხარეთა კონფერენცია – Conference of the Parties) – გაეროს კლიმატური სამიტი. აქ იკრიბებიან სახელმწიფოები, რომლებიც რატიფიცირდნენ გაეროს კლიმატის ცვლილების ჩარჩო კონვენციის (UNFCCC) შესახებ, რომლის ირგვლივ 1992 წლიდან დღემდე გაერთიანებულია 198 სახელმწიფო. ამ შეხვედრების დროს დგინდება ახალი კლიმატური მიზნები და სამართლებრივი ვალდებულებები – სამიტების "პროდუქტები" იყო, მაგალითად, 1997 წელი კიოტოს პროტოკოლი (1997 წელი) და პარიზის შეთანხმება (2015 წელი). 2022 წლის ნოემბერში იგი შარმ ელ-შეიხში გაიმართა, თუმცა, მიუხედავად მიღწეული წარმატებებისა, საბოლოო დოკუმენტში არ შევიდა დებულება ყველა წიაღისეული ენერგორესურსების თანდათანობით მიტოვების შესახებ. საუდის არაბეთი, ირანი და ჩინეთი ეწინააღმდეგებოდნენ მას.

COP27 (30 November 2022)-ის ერთ-ერთი მთავარი თემა იყო "კლიმატური უსამართლობა", რაც ასე აქტუალურია მთელი აფრიკის კონტინენტისთვის. მდიდარი ქვეყნები ახდენენ უფრო მეტი სასათბურე გაზების გამოყოფას, მაგრამ ამავე დროს ღარიბი სახელმწიფოები უფრო მეტად ზარალდებიან კლიმატური კატასტროფებისაგან – მათ არ შეუძლიათ ადვილად ადაპტირება ახალ პირობებთან და მდგრადად განვითარება, თუმცა მათი წვლილი კლიმატის ცვლილებაში მინიმალურია. აქედან გამომდინარე, ჩამორჩენილი ქვეყნები საჭიროებენ განვითარებული გიგანტების ფინანსურ მხარდაჭერას კატასტროფების ზარალის დასაფარად და ახალ პირობებთან შესაგუებლად.<sup>29</sup>

1972 წლის ოქტომბერში შედგა ევროპის ეკონომიკური თანამეგობრობის (EEC) სახელმწიფოთა და მთავრობების მეთაურთა პარიზის სამიტი, რომელიც ხშირად გამოიყენება ევროკავშირის გარემოსდაცვითი პოლიტიკის ამოსავალ წერტილად. ამ სამიტზე მიიღეს განცხადება გარემოსდაცვითი და სამომხმარებლო პოლიტიკის შესახებ. რომელიც ითხოვდა ევროკომისიის მხრიდან გარემოს დაცვის სამოქმედო პროგრამის შემუშავებას. ეს (პირველი)

---

<sup>29</sup> <https://www.newscientist.com/article/mg25634152-700-cop27-saw-progress-on-climate-reparations-but-more-action-is-needed/>

გარემოსდაცვითი სამოქმედო პროგრამა მიღებულ იქნა 1973 წლის ივლისში და წარმოადგენდა ევროკავშირის პირველ გარემოსდაცვით პოლიტიკას. ამ მომენტიდან ევროპის ინსტიტუტებმა მიიღეს კიდევ 7 ასეთი პროგრამა. მიმდინარე, მერვე მსგავსი პროგრამა გათვლილია 2021-2030 წლებზე. ის მიზნად ისახავს დააჩქაროს კლიმატის ნეიტრალიტეტზე გადასვლა, სუფთა და ეფექტური ენერჯია და ციკლური ეკონომიკა.

პრინციპები, რომლებსაც ეფუძნება ევროპული გარემოსდაცვითი პოლიტიკა:

- ა) გარემოს დაცვის მაღალი დონის პრინციპი;
- ბ) სიფრთხილის პრინციპი;
- გ) პრევენციული მოქმედების პრინციპი;
- დ) ზიანის წყაროების აღმოფხვრის პრინციპი;
- ე) „დამბინძურებელი იხდის“ პრინციპი.

ამ მიზნით შექმნილი ევროკავშირის გარემოსდაცვითი პოლიტიკა მიზნად ისახავს პირველ რიგში „მწვანე ეკონომიკის“ კონცეფციის განხორციელებას, ასევე ევროკავშირის გარემოსდაცვითი პოლიტიკა პასუხისმგებელია გარემოზე, ბუნებრივ რესურსებზე და ეკოსისტემებზე უარყოფითი ზემოქმედების დონის შემცირებაზე, მათი ხარისხის გაუმჯობესებისა და ეფექტური გამოყენებისათვის. სწორედ ამ მიზნით შეიქმნა და გამოიყენება გარემოსდაცვითი პოლიტიკის ინსტრუმენტების ფართო სპექტრი. იგი თავის თავში მოიცავს ისეთ ინსტრუმენტებს, როგორცაა შეთანხმების ღია მეთოდი, გარემოსდაცვითი მარკირება და გარემოსდაცვითი მართვის სისტემები.

თუმცა ეს ინსტრუმენტები ამჟამად არც ისე ფართოდ არის გავრცელებული და გარემოზე უარყოფითი ზემოქმედების ინტერნალიზებისა და ბუნებრივი რესურსების მდგომარეობის გაუმჯობესების მთავარი საბაზრო მექანიზმებია. მათ შორის ძირითად მექანიზმად უნდა გამოიყოს გარემოსდაცვითი გადასახადები. სწორედ გარემოსდაცვითი გადასახადები წარმოადგენს ევროკავშირის გარემოსდაცვითი პოლიტიკის გავლენის ძირითად საზომს. ისინი მოქმედებენ პოლიტიკის ცხრა ძირითადი მიმართულებით: ენერჯეტიკა, სათბურის გაზების გამონაბოლქვი და ოზონის შრის დაშლა, ჰაერის ხარისხი, ტრანსპორტი, ნარჩენების წარმოქმნა, წყლის რესურსები, ქიმიკატების გამოყენება, მოხმარება და წარმოება, ბიო-

მრავალფეროვნება, მიწათსარგებლობა. ევროპული გარემოსდაცვითი პოლიტიკის ინსტიტუტის მონაცემების მიხედვით, გარემოსდაცვითი სამართალი მოიცავს 500-ზე მეტ დირექტივას, რეგულაციებსა და გადაწყვეტილებებს, რაც გარემოსდაცვით პოლიტიკას ევროპული პოლიტიკის ძირითად სფეროდ აქცევს.<sup>30</sup>

თავდაპირველად ევროკავშირის გარემოსდაცვითი პოლიტიკა ორიენტირებული იყო ევროპაზე. ახლახან ევროკავშირმა აჩვენა ლიდერობა გლობალურ გარემოსდაცვით მმართველობაში, მაგალითად, თავისი როლი კიოტოს პროტოკოლის რატიფიკაციისა და ძალაში შესვლის უზრუნველსაყოფად, მიუხედავად შეერთებული შტატების წინააღმდეგობისა. ეს საერთაშორისო განზომილება აისახება ევროკავშირის მეექვსე გარემოსდაცვით სამოქმედო პროგრამაში, რომელიც აღიარებს, რომ მისი მიზნების მიღწევა შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ძირითადი საერთაშორისო შეთანხმებები აქტიურად იქნება მხარდაჭერილი და სათანადოდ განხორციელდება როგორც ევროკავშირის დონეზე, ისე მთელ მსოფლიოში. ლისაბონის ხელშეკრულებამ კიდევ უფრო გააძლიერა ლიდერობის ამბიციები. ევროკავშირის კანონმდებლობამ მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ევროპაში ბინადრობის არეალისა და სახეობების დაცვის გაუმჯობესებაში, აგრეთვე ჰაერისა და წყლის ხარისხისა და ნარჩენების მართვის გაუმჯობესებაში.

ევროკავშირის გარემოსდაცვითი პოლიტიკა ამ ეტაპზე შედგება შემდეგი ძირითადი (მაგრამ არა ერთადერთი) მარეგულირებელი სამართლებრივი აქტებისგან:

- ევროკავშირის მერვე "გარემოსდაცვითი სამოქმედო პროგრამა" 2030 წლამდე ვადით;
- ევროკავშირის მწვანე შეთანხმება (ასევე ცნობილია როგორც ევროპის მწვანე კურსი);
- "ევროპარლამენტისა და საბჭოს 2021/1119 რეგულაცია" (ცნობილია როგორც "ევროპის კლიმატის კანონი");
- ევროკავშირის სამოქმედო გეგმა "ჰაერის, წყლისა და ნიადაგის ნულოვანი დაბინძურებისკენ";
- ევროკავშირის REPowerEU გეგმა.

---

<sup>30</sup> <https://ieep.eu/>

ევროკომისიის გეგმა 2030 წლისთვის რუსული წიაღისეული საწვავის მოხმარებაზე უარს ითვალისწინებს 2022 წელს უკრაინაში შეჭრის საპასუხოდ. გეგმის ფარგლებში დადგენილია, რომ ევროკავშირმა მთლიანად შეწყვიტოს ქვანახშირის იმპორტი რუსეთიდან 2022 წლის 10 აგვისტოდან, ნავთობის – 2022 წლის ბოლოდან, გაზის 2022 წლის ბოლოსთვის შეამცირონ 3-ჯერ. ევროკავშირის ქვეყნები, ხანგრძლივი კონსულტაციების შემდეგ, შეთანხმდნენ გაზის მარგინალური ფასის შეზღუდვის კომპრომისულ ვერსიაზე – დაახლოებით 2 ათასი დოლარი 1 ათას კუბურ მეტრზე. ეს რამდენჯერმე აჭარბებს კრიზისულ დონეს, მაგრამ მნიშვნელოვნად დაბალია, ვიდრე მიმდინარე მნიშვნელობები.

ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის გარემოსდაცვითი სამოქმედო პროგრამა და მერვე სამოქმედო პროგრამა 2030 წლამდე პერიოდში კლიმატის სფეროში ძირითადი დოკუმენტის როლს ასრულებს, რადგან ის ევროკავშირის გარემოსდაცვითი პოლიტიკის ძირითად მიმართულებებს ადგენს.

2019 წლის 11 დეკემბერს მიღებული მწვანე შეთანხმება გახდა ევროკავშირის გარემოსდაცვითი პოლიტიკის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი სტრატეგია. გამოდიოდა რა, როგორც საგზაო რუკა, რომელიც მიზნად ისახავდა ევროკავშირის ეკონომიკის მდგრადობის უზრუნველყოფას. „მწვანე შეთანხმება“ მოიცავს შემდეგ მიზნებს:

1. ნახშირბადის ნეიტრალიტეტი (ე.ი. ნულოვანი წმინდა სათბურის გაზების ემისიები) 2050 წლისთვის;
2. სუფთა წრიული ეკონომიკის შექმნა;
3. ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებში შენობების რეკონსტრუქციისა და რემონტის მოცულობის გაზრდა;
4. დაბინძურებისგან თავისუფალი გარემოს ფორმირება 2050 წლისთვის;
5. ბიომრავალფეროვნების შენარჩუნება და ეკოსისტემების დაცვა ევროკავშირის ქვეყნებში;
6. „მწვანე“ და შედარებით ჯანმრთელი სასოფლო-სამეურნეო სისტემა;
7. რეფორმების განხორციელება სატრანსპორტო სექტორში (ნახშირორქანგის გამონაბოლქვის შემცირება, ალტერნატიულ საწვავზე გადასვლა);

8. ცვლილების დასაფინანსებლად "სამართლიანი გარდამავალი მექანიზმის" შექმნა;
9. გაზრდილი დაფინანსება შესაბამისი სამეცნიერო კვლევისთვის;
10. ნახშირბადის გადასახადის კორექტირების მექანიზმის (CBAM - The Carbon Border Adjustment Mechanism) შექმნა "მწვანე" ევროპული ინდუსტრიის დასაცავად უსამართლო კონკურენციისგან.

"ევროპის კლიმატის კანონში" მოიაზრება ევროპარლამენტისა და საბჭოს 2021/1119 რეგლამენტი (EC) 2021 წლის 30 ივნისიდან. რეგლამენტის ძირითადი მიზნებია ევროკავშირის ქვეყნების ნახშირბადის ნეიტრალიტეტის მისაღწევად მარეგულირებელი ჩარჩოს შექმნა 2050 წლისთვის და კლიმატის ცვლილებასთან გლობალური ადაპტაციის მიზნით უწყვეტი პროგრესის უზრუნველსაყოფი წესების დადგენა.

გარდა ამისა, რეგლამენტის შესაბამისად იქმნება კლიმატის ცვლილების სამეცნიერო მრჩეველთა ევროპული საბჭო. დოკუმენტის ტექსტი ასევე შეიცავს ისეთ შუალედურ მიზნებს, როგორიცაა სათბურის გაზების გამორტყოვნის შემცირება მინიმუმ 55%-ით 2030 წლისთვის, ევროკომისიისათვის უფლებამოსილების მინიჭება 2040 წლისთვის პირველი გლობალური ინვენტარიზაციის შემდგომ 6 თვის განმავლობაში 2015 წლის პარიზის შეთანხმების ფარგლებში და სხვა.

ეკოლოგიის სფეროში ევროკავშირის თანამედროვე დოკუმენტებზე საუბრისას, პირველ რიგში, უნდა აღინიშნოს სამოქმედო გეგმა "ჰაერის, წყლისა და ნიადაგის ნულოვანი დაბინძურების გზა", რომელიც მიღებულია 2021 წელს, გეგმა შექმნილია 2050 წლამდე და მისი მთავარი მიზანია შექმნას სისტემა, რომელშიც გარემოს დაბინძურება მცირდება იმ დონემდე, რომელიც ზიანის მიმყენებელი არ არის.

ევროკავშირში 2022 წლის გაზაფხულზე ძალაში შევიდა გარემოსდაცვითი პოლიტიკის სფეროში მიღებული ერთ-ერთი უახლესი დოკუმენტი, რომელიც უკრაინის ტერიტორიაზე რუსეთის სპეციალურ სამხედრო ოპერაციას უკავშირდება. გეგმის მთავარი მიზანია მოკლევადიან პერიოდში უარი თქვას რუსულ წიაღისეულ საწვავზე (ნავთი, ბუნებრივი აირი, ნახშირი და ა.შ.). კერძოდ, 2022

წლის 10 აგვისტოდან ევროკავშირმა უკვე შეწყვიტა ქვანახშირის იმპორტი რუსეთიდან, ხოლო 2022 წლის ბოლოდან ევროკავშირის ხელისუფლება რუსეთის ნავთობის იმპორტის მიტოვებასაც გეგმავდა.

იმისდა მიუხედავად, რომ გეგმა თავდაპირველად ნაკარნახევი იყო ევროკავშირის შიდა პოლიტიკური მიზნებით და სურვილით, რაც შეიძლება მალე შეემცირებინათ რუსეთის ენერგომომარაგებზე დამოკიდებულება, ის ასევე შეიძლება ჩაითვალოს ერთ-ერთ ახალ ფუნდამენტურ დოკუმენტად, რადგან არაგანახლებადი ენერჯის წყაროების უარყოფა არის წინ გადადგმული ნაბიჯი როგორც მწვანე შეთანხმებისა, ასევე ეკოლოგიის სფეროში სხვა ევროპული სამართლებრივი აქტებისა.

ამ ეტაპზე ევროკავშირი ახორციელებს აქტიურ გარემოსდაცვით პოლიტიკას, რომელიც გამოიხატება გარემოს დაცვის სფეროში ფართო მარეგულირებელი ჩარჩოს არსებობით, რომელიც ხასიათდება განშტოებული და ადვილად მიკვლევადი იერარქიით. ამრიგად, ევროკავშირში მიღებული დირექტივებისა და რეგულაციების უმეტესობა ხელს უწყობს გარემოსდაცვითი პოლიტიკის ფუნდამენტური დოკუმენტების ამოქმედებას ("მწვანე შეთანხმება", მერვე EBRD 2030 წლამდე, "ევროპული კლიმატის კანონი" და ა.შ.).

თავად ევროკავშირის გარემოსდაცვითი პოლიტიკა შედგება ორი ძირითადი სფეროსგან: მავნე ემისიების შეზღუდვა გარემოში და განახლებადი ენერჯის წყაროებზე გადასვლა. ცალკეული წევრი ქვეყნების გარემოსდაცვით პოლიტიკაში უზარმაზარი განსხვავებების მიუხედავად (განსაკუთრებით ენერჯის სფეროში), ევროკავშირის პოლიტიკაში ერთი გარემოსდაცვითი ხაზია.

ევროკავშირმა, ევროკომისიასთან ერთად, შეიმუშავა და მიიღო მნიშვნელოვანი რაოდენობის კანონები და ინიციატივები ტრადიციული ენერჯის წყაროებიდან (პირველ რიგში ნახშირწყალბადების) განახლებადზე გადასვლისთვის. ამ ინიციატივებს მომავალში შეუძლია შეამციროს გაზების მავნე გამონაბოლქვები ატმოსფეროში, რაც, თავის მხრივ, გამოიწვევს კლიმატის ცვლილების სფეროში უფრო სტაბილურ სიტუაციას, რომელსაც ევროკავშირის ხელისუფლება ითვალისწინებს.

შეიძლება ითქვას, რომ რუსეთის ნავთობსა და გაზზე თავის დაღწევის მცდელობამ ევროპის ეკონომიკის "მწვანე რესტრუქტურისაციის" გეგმები საფრთხეში ჩააგდო. ისინი ევრდნობდნენ "ბინძური" ქვანახშირისა და ბირთვული საწვავის ჩანაცვლებას "სუფთა" ბუნებრივი გაზით, რომლის უდიდესი ნაწილი რუსული წარმოშობის იყო. ამერიკული და კატარის გაზი და პოლონური ან გერმანული ქვანახშირიც კი რუსული საწვავის შესაცვლელად მოვიდა. "ენერგეტიკული კრიზისის თავიდან აცილების მცდელობები გადაიქცა ნახშირწყალბადების ალტერნატიული მომწოდებლების პანიკად და ქვანახშირის მოხმარების ზრდად. ეს საუკეთესო დროებითი გამოსავალია, რადგან მსოფლიოს სჭირდება ზუსტად საპირისპირო, მას სჭირდება სუფთა ენერჯის წყაროები", - წერს მისი მთავარი ეკონომისტი ლორენს ბოუნინ ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) ანგარიშში.<sup>31</sup>

### დასკვნა

ჩატარებული კვლევების საფუძველზე შეიძლება შემდეგი დასკვნების გამოტანა:

- ეკონომიკური უსაფრთხოება სახელმწიფოს ეროვნული უსაფრთხოების კომპონენტია და განისაზღვრება სახელმწიფოს ეკონომიკის დაცვის მდგომარეობით გარე და შიდა საფრთხეებისგან;

- ეკონომიკური უსაფრთხოების საფრთხედ მიჩნეულია გარკვეული პირობები და ფაქტორები, რომლებიც ხელს უწყობენ სახელმწიფოს ეკონომიკაზე უარყოფით გავლენას, რაც მისი ეროვნული უსაფრთხოების ძირითადი კომპონენტია;

- მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში ეკონომიკური უსაფრთხოების დასაცავად შემუშავებულია ძირითადი სამოქმედო გზები, რომლებიც განსხვავდებიან ერთმანეთისგან, მაგრამ აქვთ საერთო ფესვები, რაც გამოხატულია მდგრადი განვითარების დონის შენარჩუნებითა და კრიზისის დროს ეკონომიკური სტაგნაციის თავიდან აცილებით;

---

<sup>31</sup> <https://asiaplustj.info/ru/news/world/20220615/kak-voennii-konflikt-v-ukraine-delaet-mir-bednee-10-faktov-i-prognozov>

– კორონავირუსის პანდემია არის და კვლავაც იქნება "ახალი" გლობალური, ეკონომიკური კრიზისის ფორმირების მიზეზი. ამასთან დაკავშირებით, დღეს აუცილებელია ზომების მიღება თითოეულ სახელმწიფოში ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად.

საბოლოო ჯამში, ევროკავშირის ქვეყნების მიერ ეროვნული ეკონომიკური უსაფრთხოების წარმატებული უზრუნველყოფა დამოკიდებულია ქვეყნის ეკონომიკის მდგრადობასა და სიძლიერეზე. მხოლოდ ძლიერ ეკონომიკებს შეუძლიათ წარმატებით დაიცვან თავიანთი ეროვნული ინტერესები ზრდადი გლობალური კონკურენციისა და გლობალური ეკონომიკური დისბალანსის ფონზე.

აქედან გამომდინარე, სახელმწიფოები არა მხოლოდ უნდა დაეყრდნონ მსოფლიო გამოცდილებას ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციის შემუშავებაში, არამედ, პირველ რიგში, განახორციელონ ეროვნული და საგარეო პოლიტიკის ეკონომიკური რეფორმები ყველა სუბიექტის დასაცავად. ევროკავშირის ქვეყნების გამოცდილება აჩვენებს, რომ ეროვნული ეკონომიკის განვითარების უზრუნველყოფა გადამწყვეტი ფაქტორია გლობალურ სამყაროში სახელმწიფოს მკაფიო ადგილის შესანარჩუნებლად, რაც ეროვნული პოტენციალის გამოვლენის საშუალებას იძლევა. გლობალურ ეკონომიკაში გაჩნდა ახალი რეალობა, რომლის მიხედვითაც ძირითადი ეროვნული პრიორიტეტები უზრუნველყოფს მიწოდების ჯაჭვებისა და სტრატეგიული ავტონომიის მდგრადობას. მცირე ქვეყნები განსაზღვრავენ ეკონომიკის ეფექტური სტრუქტურისა და სპეციალიზაციის ფორმირებას მათი სტრატეგიული მიზნებით. ამრიგად, საქართველოს სტრატეგიული ადგილმდებარეობის გამო, შეუძლია მნიშვნელოვანი როლი შეასრულოს სატრანსპორტო მარშრუტების დივერსიფიკაციაში და ევროპაში ენერგომომარაგების უზრუნველყოფაში. საქართველო უფრო მნიშვნელოვანი ხდება ევროკავშირისთვის ენერგომომარაგების თვალსაზრისით. შავი ზღვის გასწვრივ გაყვანილი კაბელი ევროპაში ენერჯის ტრანსპორტირებისთვის უნდა გახდეს საქართველოს თანამშრომლობის სიმბოლო მთელ რეგიონთან. მანამდე აზერბაიჯანმა მზადყოფნა გამოთქვა, რომ ევროპას საქართველოს გავლით მიაწოდოს ელექტროენერჯია და უნგრეთი გახდეს პირველი ევრო-



კავშირის ქვეყანა, რომელიც რეალურად გამოხატავდა ამ ფაქტის მიმართ ინტერესს. ჩვენი აზრით, ისეთი მცირე სახელმწიფოს გადარჩენის მთავარი პირობა, როგორც საქართველოა, არის გარე გარემოში ცვლილებების მიმართ ადაპტირება. განვითარების სხვადასხვა ეტაპზე გადარჩენის იგივე პრობლემა შეექმნა ისეთ ქვეყნებს, რომლებიც ზომებით საქართველოს შეესაბამებინ, ესენია: დანია, ნორვეგია, შვეიცარია, ირლანდია, ბელგია, ნიდერლანდები. თითოეულმა ამ ქვეყანამ აღმოაჩინა თავისი სპეციალიზაცია თავის რეგიონში, წარმატებით გადაჭრა ეს პრობლემა და გადარჩა როგორც სახელმწიფო.

ამასთან დაკავშირებით, გრძელვადიან პერსპექტივაში ეროვნული უსაფრთხოების მთავარი მიზანი საქართველოსთვის უნდა იყოს ევროკავშირის სტანდარტების მიღწევა ყველა სფეროში (ტექნოლოგიები, აღჭურვილობა, შრომის პროდუქტიულობა, წარმოების ხარჯები, ხელფასები და ა. შ.) და საქართველოს ევროკავშირში გაწევრიანება. საქართველოსა და ევროკავშირს შორის ეკონომიკური განვითარების დონით, ცხოვრების დონითა და სტანდარტებით დაახლოების შემთხვევაში, ევროკავშირსა და საქართველოს შორის დაახლოება თავისთავად მოხდება; გაადვილდება ხალხის, საქონლისა და კაპიტალის გადაადგილება. საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების მიზანი უნდა იყოს ევროკავშირის სტანდარტების მიღწევა და შენარჩუნება. წინააღმდეგ შემთხვევაში, დროთა განმავლობაში ვერავინ დააკავებს ხალხს, ბიზნესსუბიექტებს, კაპიტალს საქართველოს ტერიტორიაზე, რადგან ისინი უკეთეს პირობებს ნახავენ ევროპისა და მსოფლიოს სხვა ადგილებში. 2022 წლის 28 დეკემბერს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა ყოველწლიურ ანგარიშში განაცხადა, რომ პარლამენტისა და მთავრობის მონაწილეობით, საქართველომ "სკრუპულოზურად განახორციელა" ევროკავშირის 12-ვე რეკომენდაცია და ახლა ევროპელი კოლეგების გადაწყვეტილებას ელოდება.

### **გამოყენებული ლიტერატურა**

1. <https://www.nachhaltigkeitsrat.de/en/sustainability-policy-in-germany>
2. Jahresgutachten 2022/23 ENERGIEKRISE SOLIDARISCH BEWÄLTIGEN, NEUE REALITÄT GESTALTEN.

- <https://www.sachverstaendigenrat-wirtschaft.de/jahresgutachten-2022.html>
3. <https://easaily.com/ru/news/2022/10/25/italiya-evrosoyuz-ne-akcionerhoe-obshchestvo-a-evrokomissiya-ne-sovet-direktorov>
  4. <https://www.project-syndicate.org/onpoint/russias-war-and-the-global-economy-by-nouriel-roubini-2022-02>
  5. [https://www.oecd-ilibrary.org/economics/oecd-economic-outlook/volume-2022/issue-1\\_62d0ca31-en;jsessionid=92nyFIM8ZvUm4P\\_gDXNOHi9Opi8WeTm9WjFx-qP6.ip-10-240-5-137](https://www.oecd-ilibrary.org/economics/oecd-economic-outlook/volume-2022/issue-1_62d0ca31-en;jsessionid=92nyFIM8ZvUm4P_gDXNOHi9Opi8WeTm9WjFx-qP6.ip-10-240-5-137)
  6. [www.worldbank.org](http://www.worldbank.org) Global Economic Prospects JUNE 2022
  7. <https://hkls.ru/ka/profession/osnovy-ekologicheskoi-politiki-evropeiskogo-soyuza-ekologicheskaya.html>
  8. <https://eur-lex.europa.eu/legal-content/en/LSU/?uri=CELEX%3A32004R0883>
  9. <https://op.europa.eu/webpub/empl/european-pillar-of-social-rights/en/>
  10. <https://www.2021portugal.eu/fr/sommet-social-de-porto/>
  11. <https://ieep.eu/>

*Natalia Davlasheridze*

## **THE EXPERIENCE OF EU MEMBER STATES IN THE FIELD OF ECONOMIC, SOCIAL AND ECOLOGICAL SECURITY**

### **Summary**

The work systematizes the experience of developing and implementing measures of the EU Member States in the field of economic, social and ecological security and analyzes the possibility of its application in Georgia. The experience of the EU countries has shown that ensuring the economic, social and ecological security of the nation has a decisive influence on ensuring a clear place in the global world, which takes into account the national strategic value and potential of the nation. The most common ways to ensure economic security in the EU countries are considered. It is emphasized that in recent decades the task of forming a common social policy of the European Union has become increasingly important. The new European social model proposed by the EU contain the idea of interconnectedness and solidarity of all sectors of society, by combining the efforts of states, social institutions, non-governmental organizations, social partners in building a new strong Social Europe, which will also make the European Green Deal and the upcoming Digital Decade 2030 successful. The special place of ecological policy in ensuring the security of the EU is

analyzed. It is noted that seven "Programs of Action for Environmental Protection" were adopted by European institutions, and such current, eighth program is designed for the period of 2021-2030. It aims to accelerate the transition to climate neutrality, clean and efficient energy and a circular economy.

*გიორგი ბრეგვაძე*

**გლობალური ეკონომიკური და ეკოლოგიური საფრთხეები და მათი  
მშენებლობის ეროვნული სექტორის უსაფრთხოებაზე გავლენის  
თეორიული საკითხები**

*ანოტაცია. ეკონომიკური უსაფრთხოება – ღონისძიებათა სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს ქვეყნის ეროვნული ეკონომიკური სისტემის დამოუკიდებლობას, თვითმყოფადობას, მის განვითარებას, საშინაო და საგარეო მუქარების აღკვეთას, წინასწარი ზომების მიღებას მოსალოდნელი საფრთხის თავიდან ასაცილებლად.*

*ეკონომიკური უსაფრთხოება ემყარება შემდეგ ძირითად პრინციპებს: განვითარების ისტორიული გამოწვევებისა და მუქარების გათვალისწინება; გრძელვადიანი სტრატეგიული მიზნებისა და ინტერესების განსაზღვრა; ადამიანის, საზოგადოების, სახელმწიფოს სასიცოცხლო ინტერესების დაცვა; ეროვნული და საერთაშორისო უსაფრთხოების თავსებადობა. აქედან გამომდინარე, მისი უმნიშვნელოვანესი ეკონომიკური ინტერესია მოსახლეობის კეთილდღეობისა და ცხოვრების ღონის ამაღლება; ეკონომიკური ზრდის უზრუნველყოფა; ერთიანი ეკონომიკური სივრცის შენარჩუნება; ეკონომიკური ეფექტიანობისა და ქვეყნის კონკურენტუნარიანობის ამაღლება; სახელმწიფოს ინტეგრაცია მსოფლიო ეკონომიკაში; ეკონომიკის მდგრადი და უსაფრთხო განვითარების მიღწევა.*

\*\*\*\*

საქართველოს გარემოსდაცვითი პრობლემები და გამოწვევები გარემოს დაცვა და უსაფრთხოება გარემოს დაცვისა და განვითარების კომისიის ანგარიშში გარემოსდაცვითი პრობლემატიკისა და უსაფრთხოების კავშირი პირველად 1987 წელს გამოიკ-

ვეთა: „კაცობრიობას ორი ძირითადი საფრთხე ემუქრება. პირველი, ეს არის ატომური იარაღის გამოყენება - იმედს ვიტოვებთ, რომ მომავალში ეს პერსპექტივა აღარ იარსებებს და მეორე საფრთხე, მსოფლიოს გარემოს დეგრადაცია და ეს არ არის მომავლის პერსპექტივა, ეს ფაქტია დღეს“. გაეროს 42-ე გენერალურმა ასამბლეამ ოფიციალურად შემოიტანა უსაფრთხოებისა და გარემოს დაცვის კონცეფცია. ამ კონცეფციის თანახმად, მსოფლიოში არსებული გლობალური საფრთხეებიდან, რომელიც მნიშვნელოვნად ემუქრება საერთაშორისო მშვიდობასა და უსაფრთხოებას, ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორი არის გარემოს დეგრადაცია და მისი თანამდევი პრობლემები. 2004 წელს, გაერთიანებული ერების მიერ გამოქვეყნებულ ანგარიშში „უფრო უსაფრთხო მსოფლიო: ჩვენი საერთო პასუხისმგებლობა“ ხაზი გაესვა იმას, რომ აუცილებელია პრობლემათა გადაჭრისადმი ერთიანი მიდგომის შემუშავება.

მსოფლიო ჯერ კიდევ არ არის მზად შეხედოს განვითარების პრობლემებს ინტეგრირებულად და თანმიმდევრულად. სიღარიბესთან, გადამდებ დაავადებებსა და გარემოს დეგრადაციასთან ბრძოლა ფრაგმენტულ ხასიათს ატარებს. მაგ. უკანასკნელი ათწლეულის მანძილზე დაახლოებით 2 მილიარდმა ადამიანმა განიცადა ბუნებრივი კატასტროფების ზეგავლენა, ხოლო ამ ბუნებრივი კატასტროფების შედეგად წარმოშობილმა ეკონომიკურმა ზარალმა გადააჭარბა წინა ოთხი ათეული წლის ანალოგიურ მაჩვენებელს. პროგნოზების თანახმად კლიმატის ცვლილება კიდევ უფრო გაამძაფრებს როგორც ბუნებრივი კატასტროფების სიხშირესა და სიმძიმეს, ასევე საკმაოდ უარყოფითი ზეგავლენა ექნება როგორც სიღარიბის, ასევე გადამდები დაავადების ზრდაზე. საჭიროა პრობლემათა გადაჭრის ინტეგრირებული გზების ძიება. ზემოთ აღნიშნულის მიუხედავად, ბევრ ქვეყანაში გარემოსდაცვითი საკითხების ინტეგრირება ეროვნული უსაფრთხოების დღის წესრიგში კვლავაც პრობლემატურია. გადაწყვეტილების მიძღვრთა ფრაგმენტულ ქმედებებს, გარემოსდაცვით რისკებსა და უსაფრთხოების პრობლემებს შორის კავშირების უგულვებელყოფას სამოქალაქო კონფლიქტებისა და დამაბულობის ესკალიაციამდე, ბუნებრივი თუ ტექნოგენური კატასტროფების კატალიზირებამდე, სოციალური და ბუნებრივი გარემოს შეუქცევად დეგრადაციამდე, ადამიანების ჯანმრთელობის გაუარესებისა და სხვა უარყოფით ზემოქმედებამდე

მივყავართ. დღევანდელი თვალსაზრისით, გარემოსდაცვითი უსაფრთხოება განსაზღვრავს ქვეყნის და საზოგადოების უნარს გადაიტანოს და/ან წინ აღუდგეს გარემოსდაცვითი რესურსების სიმწირეს, შეუქცევად გარემოსდაცვით ცვლილებებს ან ბუნებრივი რესურსების გამო წარმოშობილ დამაბულობასა და კონფლიქტებს. გარემოს დეგრადაციამ და ბუნებრივი რესურსების და ეკოსისტემების არარაციონალურმა მოხმარებამ შეიძლება საფრთხე შეუქმნას თემებსა და ერებს. ხოლო კონკურენცია სწრაფად ამოწურვად რესურსებზე, როგორცაა ტყეები, მტკნარი წყალი, ნაყოფიერი ნიადაგები, კლიმატის ცვლილების ზეგავლენა და ადამიანთა მიგრაცია საფრთხეს უქმნის სტაბილურობასა და მშვიდობას. ტრანსსაზღვრო დაბინძურება და/ან გარემოსდაცვითი ავარიები და კატასტროფები ხშირად უარყოფითად მოქმედებს მეზობელ სახელმწიფოებზე. თუმცა, ბუნებრივი რესურსების გამოყენებისას წამოჭრილმა პრობლემებმა ასევე შეიძლება გააერთიანოს ადამიანები და თემები, რათა ერთობლივად გამოასწორონ ბუნებრივი რესურსების მართვა. შესაბამისად, თანამშრომლობა გარემოს დაცვის კუთხით შეიძლება მნიშვნელოვანი ინსტრუმენტი გახდეს კონფლიქტების პრევენციასა და ერებსა და თემებს შორის მშვიდობის დამყარებაში.

ევროპის უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციამ (ეუთო), გაეროს ადამიანის განვითარების პროგრამამ და გაეროს გარემოსდაცვითმა პროგრამამ 2003 წელს დააარსეს გარემო და უსაფრთხოების ინიციატივა (ENVSEC). სამხრეთ კავკასიაში, მათ შორის საქართველოში 2004 წლიდან ამოქმედდა ENVSEC პროგრამა. სამხრეთ კავკასიაში უსაფრთხოების ორი კატეგორიის პრობლემას ვხვდებით, ეს არის არსებული კონფლიქტები სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთში (საქართველო), კონფლიქტი სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის ყარაბაღში და მასთან დაკავშირებული ასობით ათასი დევნილი და კონფლიქტების მაღალი რისკი ჩრდილოეთ კავკასიაში. ხოლო პრობლემების მეორე კატეგორია დაკავშირებულია ახალ პოლიტიკურ და სოციალურეკონომიკურ რეალობასთან, რამაც შეიძლება გააძლიეროს და გამოიწვიოს ახალი კონფლიქტები როგორც ქვეყნებში, ასევე ქვეყნებს შორის. 31 გარემოს დაცვა და უსაფრთხოება მჭიდროდ არის დაკავშირებული ერთმანეთთან ამ რეგიონში. ერთის მხრივ, არ არსებობს ინფორმაცია კონ-

ფლიქტის ზონებში არსებულ გარემოსდაცვით მდგომარეობაზე, რამაც შესაძლოა ნეგატიურად იმოქმედოს სამშვიდობო პროცესებზე. მეორეს მხრივ, სწორი რეგულირების გარეშე ეკონომიკური პროცესების კატალიზირებამ შესაძლოა გაზარდოს დამაბულობა გაზრდილი დაბინძურების, ბუნებრივი რესურსების ხელმისაწვდომობის გამო, როგორცაა სუფთა წყალი, ნიადაგი და სასიცოცხლო სივრცე. და როგორც წესი გაზრდილი გარემოსდაცვითი რისკების შედეგად იზრდება სოციალური პოლარიზაცია (სიღარიბისა და უთანასწორობის ზრდა) და შიდა პოლიტიკური ბრძოლა უფრო დაუნდობელი ხდება.

გარემოსდაცვითი უსაფრთხოების თვალსაზრისით ტერიტორიულ პრინციპთან მიმართებაში ENVSEC პრიორიტეტულად გამოყოფს აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთს, აგრეთვე ქვემო ქართლის რეგიონს, მტკვრისა და ხრამი-დებედას აუზს (სომხეთისა და აზერბაიჯანის საზღვართან). სამწუხაროდ, ინფორმაცია კონფლიქტურ ტერიტორიებზე არსებული გარემოსდაცვითი მდგომარეობის შესახებ პრაქტიკულად არ არსებობს, ხოლო ხელმისაწვდომი ინფორმაცია არ გვიტოვებს ოპტიმიზმის საფუძველს. გარდა კონფლიქტური ტერიტორიების გარემოს დეგრადაციისა და ინფორმაციის არ არსებობისა, ENVSEC პროგრამა პრიორიტეტულად გამოყოფს სამხრეთ კავკასიისთვის შემდეგ ტიპის რისკებს: ტრანსასაზღვრო გარემოსდაცვითი რისკების მართვა: ტრანსასაზღვრო წყლის რესურსები, ბუნებრივი კატასტროფები, საბჭოთა კავშირის სამრეწველო და სამხედრო მემკვიდრეობა; დედაქალაქის და სხვა მთავარი ქალაქების სწრაფი განვითარება და მოსახლეობის ზრდა. საქართველოსთვის სპეციფიური რისკები მოიცავს: ჰაერის დაბინძურებას ავტოტრანსპორტის გამონაბოლქვით; ნიადაგისა და წყლის დაბინძურებას; მინერალების ღია კარიერული წესით მოპოვებას; წყლის და კანალიზაციის გაუმართავი სისტემების არსებობას, რაც მნიშვნელოვან საფრთხეს უქმნის გარემოს და ადამიანების ჯანმრთელობას. პრობლემურ საკითხებს შორის გამოყოფილია აგრეთვე თურქეთის მიერ მდ.ჭოროხზე ჰესების მშენებლობა, რაც იწვევს შავი ზღვის სანაპიროს წარეცხვასა და ეროზიას, საძოვრების დეგრადაციასა და ტყეების გამეჩხერიანებისა, მდ. მტკვრის დაბინძურებას. საბჭოთა მემკვიდრეობიდან დარჩენილია: ნიადაგების დეგრადაცია და ეროზია, დაბინძურება პესტიციდებით და მძიმე

მეტალებით, საშიში ქიმიური და რადიოაქტიური ნივთიერებები ყოფილი სამხედრო ბაზებიდან.

საქართველოს უსაფრთხოების კონცეფცია აღსანიშნავია, რომ საქართველოს უსაფრთხოების კონცეფცია ეროვნული ინტერესების განუყოფელ ნაწილად განიხილავს „საქართველოს და რეგიონის ეკოლოგიური უსაფრთხოების უზრუნველყოფას“, რაც ნამდვილად წინ გადადგმული ნაბიჯია. დოკუმენტის თანახმად, „საქართველოს ეკოლოგიური უსაფრთხოების პოლიტიკის მიზანია მოსახლეობის და გარემოს უსაფრთხოების დაცვა ბუნებრივი რესურსების მნიშვნელოვანი შემცირების, გარემოს დაბინძურების, ბუნებრივი მოვლენებისა და ადამიანის საქმიანობის შედეგად წარმოქმნილი კრიზისების პრევენციის გზით. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ისეთ ბუნებრივ მოვლენებს, როგორებიცაა წყალდიდობა, მეწყერი, ზვავი, მიწისძვრა, ასევე სამრეწველო ავარიების პრევენციას და სხვა“. ამასთან, დოკუმენტი მართებულად აღნიშნავს, რომ „გარემოს დაცვის ხარისხი და ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენება მჭიდროდაა დაკავშირებული საზოგადოებრივ უსაფრთხოებასა და ჯანმრთელობასთან. საერთაშორისო და ადგილობრივი პროექტების განხორციელებისას საგანგებო მნიშვნელობა ენიჭება ეკოლოგიურ უსაფრთხოებას“. დოკუმენტში სწორედაა გამოკვეთილი, რომ არსებულ გარემოსდაცვით პრობლემებს - „ბუნებრივი პროცესებისა და ადამიანის საქმიანობის შედეგად წარმოქმნილ კრიზისებს შეუძლია საფრთხე შეუქმნას საქართველოს ბუნებრივ გარემოს, ბიომრავალფეროვნებას და მისი მოქალაქეების კეთილდღეობას“. თუმცა, სამწუხაროა, რომ არსებულ გამოწვევებში ხაზგასმულია მხოლოდ ის ზიანი, რომელსაც რუსეთის ფედერაცია აყენებს აფხაზეთს სოჭის 2014 წლის ზამთრის ოლიმპიური თამაშებისათვის მზადებასთან დაკავშირებით. მათ შორის შავი ზღვის ეროზიას და ტყეების გამეჩხერიანებას, რაც შეიძლება მოჰყვეს აფხაზეთში სამშენებლო მასალებისა და ხე-ტყის უკანონო მოპოვებას და რუსეთის ფედერაციაში გატანას. ეს განხილულია მთავარ პრობლემად, რომელიც „მთელ ქვეყანას უქმნის საფრთხეს“. მიუხედავად იმისა, რომ აფხაზეთსა და ოსეთში ბუნებრივი რესურსების არარაციონალური გამოყენება მნიშვნელოვანი პრობლემაა, საქართველოს დანარჩენ ტერიტორიაზე მსგავსი პრობლემები იშვიათობას არ წარმოადგენს და ასევე საფრთხეს

უქმნის ქვეყნის მოსახლეობას. მართალია, საქართველოს შემთხვევაში კავშირი კონფლიქტსა და გარემოს შორის არაპირდაპირია, რადგანაც კონფლიქტები ეთნიკურ ნიადაგზე აღმოცენებული, თუმცა მას აქვს უარყოფითი ზემოქმედება გარემოზე ტყეების გამეჩხერიანების, ნიადაგების დეგრადაციისა და უკონტროლო საშიში ნივთიერებების არსებობის გამო. ამასთან სამხრეთ ოსეთში თუმცა, წყალთან და სახნავ მიწასთან დაკავშირებული კონფლიქტები მხოლოდ ამწვავებენ სიტუაციას კონფლიქტის მხარეებს შორის. წყლის რესურსები ზედაპირული წყლების ხარისხის არასრულყოფილი მონიტორინგის გამო, მონაცემები ზედაპირული წყლების მდგომარეობის შესახებ მწირია.

საქართველოში დღეს ფიზიკურ-ქიმიური ხარისხობრივი ელემენტების ყოველ თვიური მონიტორინგი მხოლოდ 22 მდინარეზე წარმოებს; მაშინ, როდესაც გასული საუკუნის 90-იან წლებში მსგავსი დაკვირვებები 72 მდინარეზე მიმდინარეობდა. სულ საშუალოდ 33 ელემენტის მონიტორინგი წარმოებს; არ იზომება ორგანული ნივთიერებების დიდი ნაწილი. ჰიდროლოგიური დაკვირვება წარსულში არსებული 150 სადგურიდან 29-ზე მიმდინარეობს. 7 სადგურის გარდა, რომელთა რეაბილიტაცია და აღჭურვა ახლახანს განხორციელდა, სადგურები არ არის სათანადოდ აღჭურვილი. ჰიდრობიოლოგიური მონიტორინგი მხოლოდ ახლა იკიდებს ფეხს. მონიტორინგის არსებული მონაცემები აჩვენებს, რომ საქართველოში წყლის დაბინძურების ძირითადი წყაროა მუნიციპალური ჩამდინარე წყლები. საქართველოში ამჟამად არსებული თითქმის ყველა გამწმენდი ნაგებობა მწყობრიდან გამოსულია და არ ფუნქციონირებს. ამჟამად, ფუნქციონირებს ერთი ბიოლოგიური გამწმენდი ნაგებობა, ხოლო მეორე, გარდაბანში არსებული გამწმენდი ნაგებობა, რომელიც თბილისიდან და რუსთავიდან ტრანსპორტირებული მუნიციპალური ჩამდინარე წყლების გაწმენდას ემსახურება, უზრუნველყოფს მხოლოდ პირველად, მექანიკურ გაწმენდას. გარდა ამისა, ჩამდინარე წყლების მნიშვნელოვანი ნაწილი საერთოდ არ უერთდება შემკრებ სისტემას და პირდაპირ ჩაედინება მდინარე მტკვარში. გარდაბნის გამწმენდი ნაგებობის სანებართვო პირობებით გათვალისწინებულია მისი სრული რეაბილიტაცია 2018 წლამდე. თუმცა, ჯერჯერობით, სარეაბილიტაციო სამუშაოები არ დაწყებულა. სამრეწველო სექტორებიდან



ზედაპირული წყლების ხარისხზე განსაკუთრებით ზეგავლენას ახდენს: სასარგებლო წიაღისეულის გადამუშავება, ნავთობის გადამუშავება და კვების მრეწველობა. დაბინძურების სხვა წყაროებია: ნაგავსაყრელები, ნარჩენების არალეგალური განთავსება და სასოფლო-სამეურნეო საქმიანობები.

გამოკვლევული მდინარეების უმრავლესობაში აღინიშნება ამონიუმის და ჟანგბადის ბიოლოგიური მოხმარების მაღალი მაჩვენებლები, ხოლო ცალკეული მდინარეების ზოგიერთ მონაკვეთზე მძიმე ლითონების კონცენტრაცია ზღვრულად დასაშვებ ნორმებს აჭარბებს. მძიმე ლითონებით დაბინძურების შემთხვევები აღინიშნება მდინარეებში ყვირილასა (მანგანუმი) და მამავერაში (სპილენძი). არსებობს ინფორმაცია მდინარეების ლუხუნისწყალისა და ცხენისწყალის დარიშხანით დაბინძურების შესახებ, თუმცა ამ დაბინძურების მონიტორინგი დღესდღეობით არ წარმოებს. მდ. ყვირილას დაბინძურებას მანგანუმის იონებით მანგანუმის მოპოვება იწვევს. 2009 წლის იანვარში, მაგალითად, ქ. ჭიათურის შესასვლელთან, მდ. ყვირილას წყალში მანგანუმის იონების შემცველობა 39-ჯერ აღემატებოდა მანგანუმის იონის ზღვრულად დასაშვები კონცენტრაცია წყლებში. მოპოვების ადგილიდან დაწყებული მდინარის ქვემო წელი და მისი მომიჯნავე მიწები მთლიანად დაბინძურებულია იმ ნიშნულამდე, სადაც განზავება ხდება. საწარმოო დაბინძურება განპირობებულია იმ გარემოებითაც, რომ მდინარე თავის მხრივ რეცხავს მადნიან ჰორიზონტებს და მასში ბუნებრივად მომატებულია მანგანუმის იონების შემცველობა. გარემოსთვის დიდი ზიანის მომტანია, აგრეთვე, ბოლნისის ჯგუფის პოლიმეტალური საბადოების მადნების მოპოვებასთან დაკავშირებული საქმიანობა. აქ მადნის მოპოვება ღია კარიერული წესით ხდება. კარიერზე წარმოებს ბურღვა-აფეთქებითი სამუშაოები, რასაც ემატება კარიერის ტერასებზე და კარიერზე მისასვლელ გზებზე ავტოთვითმცლელების აქტიური ორმხრივი მოძრაობა, რაც ჰაერში მტვრისა და სხვა დამბინძურებელი ნივთიერებების მნიშვნელოვან გაფრქვევას იწვევს. ჰაერში მოხვედრილი მავნე ნივთიერებების გადატანა ემისიის ცენტრიდან დიდ მანძილზე ხდება. ატმოსფერული ნალექების ზეგავლენით ამ მტვრიდან გამოტუტული მძიმე ლითონების გარემოში მოხვედრა სერიოზულ ზიანს აყენებს ნიადაგსა და გრუნტის წყლებს. მოპოვებითი სამუშაოების

გარდა, გარემოზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ნედლეულის გადამუშავებასთან დაკავშირებული პროცესები, რაც აისახა, მაგალითად, მდ. კაზრეთულას მდგომარეობაზე, რომელიც წლების განმავლობაში ბინძურდება ბოლნისის მადნის გამამდიდრებელი საწარმოს საქმიანობის შედეგად. აგრეთვე ნაწილობრივია დაბინძურებული მდ. მაშვერაყ. ფაბრიკის ფუჭი ქანის საყარის და გამოსატუტი გროვების განთავსების ტერიტორიაც დაბინძურებულია მძიმე ლითონების იონებით (ძირითადად, სპილენძი, თუთია, რკინა, ასევე, სულფატის იონები. მდინარეების ლუხუნისწყალისა და ცხენისწყალის დარიშხანით დაბინძურების მიზეზს წარმოადგენს საბჭოთა პერიოდში (1933-1997 წ.წ.) ამბროლაურის რაიონის სოფ. ურავში და ლენტეხის რაიონის სოფ. ცანაში დარიშხანის მოპოვება და მისი გადამამუშავებელი საწარმოები. ამ საქმიანობათა შედეგად წლების მანძილზე მოგროვდა დარიშხანის შემცველი ასობით ტონა ნარჩენი, რომელიც საწარმოების მიმდებარე ტერიტორიაზე აკუმულირდებოდა. დღესდღეობით დარიშხანის მოპოვება შეჩერებულია, აღნიშნული საწარმოები მთლიანად განადგურებულია და ნარჩენები მიმოფანტულია ურავში დაახლოებით 20 ჰა-ზე, ცანაში კი - 4-5 ჰა ტერიტორიაზე. რაც შეეხება მიწისქვეშა წყლებს, 1990 წლის შემდეგ მიწისქვეშა წყლების მონიტორინგი საქართველოში შეწყდა და ამდენად, უახლესი მონაცემები მიწისქვეშა წყლების ეკოლოგიური მდგომარეობის შესახებ არ არსებობს.

2000 წელს ჩატარდა 1970-1990 წლების მონიტორინგული კვლევების მასალების ანალიზი. ანალიზმა აჩვენა, რომ მიწისქვეშა წყლებმა განიცადეს რაოდენობრივი და ხარისხობრივი ცვლილებები, გაუარესების თვალსაზრისით. ხშირ შემთხვევაში, მოსახლეობის მიერ სასმელად მოხმარებული მიწისქვეშა წყლების ხარისხი არ პასუხობდა სასმელი წყლისადმი სახელმწიფო სტანდარტებით წყენებულ მოთხოვნებს. გასათვალისწინებელია, რომ საქართველოში ქალაქის მოსახლეობის 5%-ი და სოფლის მოსახლეობის 65%-ი სასმელ წყალს დამოუკიდებლად მოიპოვებს და ამისათვის, ძირითადად, მიწისქვეშა წყლებს იყენებს. საქართველოში სარეკრეაციო წყლები იგივე რეგულაციებს ექვემდებარება, რასაც ზოგადად, ზედაპირული წყლები. არ არის განსაზღვრული მოთხოვნები სარეკრეაციო წყლების ხარისხის მართვისთვის საბანაო სეზონის განმავლობაში. მიკრობიოლოგიური მონიტორინგი საქართველოში

მხოლოდ ზოგიერთ სარეკრეაციო წყლის ობიექტზე ხორციელდება. მით უფრო, არ ხდება სარეკრეაციო წყლების მდგომარეობის შეფასება და კლასიფიცირება წყლის ხარისხის მიხედვით. შესაბამისად, არ ხდება ღონისძიებების დაგეგმვა და განხორციელება სარეკრეაციო წყლების ხარისხის გაუმჯობესებისათვის, სადაც ეს საჭიროა. კანონმდებლობა ასევე არ ითვალისწინებს საზოგადოების ინფორმირებას სარეკრეაციო წყლების ხარისხის, დაბინძურების ხასიათის, მიზეზების და ხანგრძლივობის, შესაძლო საფრთხეების და გატარებული ღონისძიებების შესახებ.

ზოგადად, საქართველოს წყლის შესახებ კანონმდებლობა ფრაგმენტული და წინააღმდეგობრივია. იგი არ შეიცვას დაბინძურებისა და წყლის ჭარბი მოხმარების პრევენციის ეფექტურ მექანიზმებს და არ იძლევა წყლის მართვის გამართული სისტემის ჩამოყალიბების წინაპირობას. წყლის მართვასთან დაკავშირებული პასუხისმგებლობები გაბნეულია სხვადასხვა უწყებებს შორის სახელმწიფო და ადგილობრივ დონეზე, თუმცა, წყლის მართვა, ძირითადად, ცენტრალიზებულია. წყლის მართვის სფეროში ფუნქციები და პასუხისმგებლობები ყოველთვის არ არის მკაფიოდ გაწერილი, ხშირია ურთიერთგადაფარვებიც. ბოლო წლებში ადგილი ჰქონდა წყლის მართვის სხვადასხვა ასპექტის გადატანას ერთი უწყებიდან მეორეში. უფრო მეტიც, გარემოს დაცვის სამინისტროს რეორგანიზაციის შემდეგ 2011 წლის მარტში, როდესაც ბუნებრივი რესურსების მართვა ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს კომპეტენციაში გადავიდა, ბუნდოვანი გახდა წყლის, როგორც ბუნებრივი რესურსის მართვის ბედი. მომავალში, ეკონომიკურ განვითარებასთან ერთად, სავარაუდოდ, წყლის რესურსებით სარგებლობის პროცესები გააქტიურდება როგორც წყალაღების, ისე წყალჩაშვების თვალსაზრისით. კერძოდ, დაგეგმილი ჰიდროელექტროსადგურების ქსელის გაფართოება, მზარდი ტურიზმის ინდუსტრია, წყალმომარაგების ქსელების და ირიგაციის სისტემების გაუმჯობესება გამოიწვევს წყალზე მოთხოვნის და წყლის ობიექტებზე ზეგავლენის ზრდას. ამდენად, საჭირო იქნება ეფექტიანი მარეგულირებელი მექანიზმების შემუშავება. 8.4 ატმოსფერული ჰაერი საქართველოში ატმოსფერული ჰაერი, ძირითადად, ბინძურდება ავტოტრანსპორტიდან, სამრეწველო და ენერგეტიკული ობიექტებიდან წარმოებული ატმოსფერული გაფრქვე-

ვებით. ამათგან, ძირითადი ურბანული დამბინძურებელია ავტოტრანსპორტი. არსებული მონიტორინგის მონაცემების მიხედვით, ყველა იმ ქალაქში, სადაც სადამკვირვებლო ჯიხურია განთავსებული აღინიშნება ე. წ. „ძირითადი დამბინძურებლის“ ( $\text{SO}_2$ ,  $\text{NO}_2$ ,  $\text{CO}$ , ზესტაფონში -  $\text{MnO}_2$ ) კონცენტრაციების გადაჭარბება მათ დასაშვებ მნიშვნელობებზე. გასათვალისწინებელია, რომ ატმოსფერული ჰაერის მონიტორინგის შესაძლებლობები ამჟამად მეტად შეზღუდულია; დაბინძურებაზე დაკვირვება წარმოებს ხუთ ქალაქში: თბილისში, რუსთავში, ქუთაისში, ზესტაფონსა და ბათუმში. ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე დაკვირვების პუნქტების სიმცირე და სინჯების ლაბორატორიული ანალიზის სფეროში არსებული პრობლემები არ იძლევა საშუალებას, შეიქმნას დამაკმაყოფილებელი სურათი საქართველოს დასახლებულ პუნქტებში ჰაერის ხარისხის მდგომარეობის შესახებ.

საქართველოს სატრანსპორტო სექტორიდან დამბინძურებელ ნივთიერებათა დიდი გაფრქვევები რამდენიმე მიზეზითაა გამოწვეული: 1. ბოლო ათი წლის განმავლობაში ქვეყანაში მსუბუქი ავტომობილების რაოდენობა გაორმაგდა: დღეს საქართველოში ყოველ 100 კაცზე 12 მსუბუქი ავტომობილი მოდის; 2. ქვეყანაში არსებული საავტომობილო პარკის უდიდესი ნაწილი მოძველებულია; 3. ქვეყანაში ამჟამად გამოყენებული საწვავის პირობებში გამონაბოლქვის გამწმენდი მოწყობილობა (კონვერტერი), სწრაფად გამოდის მწყობრიდან, რის გამოც გაფრქვევები რამდენჯერმე იზრდება; 4. საქართველოს ზოგიერთ ქალაქში არასაკმარისად ფუნქციონირებს სატრანსპორტო ნაკადების ოპტიმიზაციის სისტემები. შედეგად ხშირია საცობები, რის გამოც ავტომობილების ძრავები მაღალი გაფრქვევის რეჟიმში მუშაობს. გარდა აღნიშნულისა, არსებულ ვითარებას განაპირობებს მოძრავი წყაროებიდან გაფრქვევების სუსტი სამართლებრივი რეგულირება. საქართველოს კანონმდებლობა ავტოსატრანსპორტო საშუალებებიდან გაფრქვევების შეზღუდვისთვის ორ მიდგომას ითვალისწინებს: საავტომობილო საწვავის ხარისხის ნორმების დადგენას და ავტოსატრანსპორტო საშუალებებიდან ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებების გაფრქვევის ნორმების დადგენას.

ამჟამად, ამ მიდგომებიდან არცერთი არ ფუნქციონირებს: 2004 წელს მიღებული აქტის ამოქმედება, რომელიც ადგენს საავ-

ტომობილო ბენზინის ხარისხობრივ ნორმებს, მიღებიდან დღემდე შვიდჯერ გადავადდა. ამჟამად მოქმედი ნორმების მიხედვით, საავტომობილო ბენზინზე ახალი სტანდარტი უნდა დაინერგოს 2012 წლიდან. ამ სტანდარტმა გარკვეულწილად უნდა შეზღუდოს ქვეყანაში მოხმარებულ ბენზინში ტყვიის, გოგირდის, არომატული ნახშირწყალბადებისა და ბენზოლის შემცველობა. საავტომობილო ბენზინის ხარისხის ნორმის შემდგომი გამკაცრება გათვალისწინებულია 2014 წლიდან. რაც შეეხება დიზელის საწვავს, ამ საწვავში გოგირდის შემცველობის შემცირება გათვალისწინებულია 2014 წლიდან. ავტოსატრანსპორტო საშუალებებიდან ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებების გაფრქვევის ნორმების შემთხვევაში, ვითარება უფრო რთულია. კანონმდებლობით გათვალისწინებული, ამ სფეროში მისაღები ნორმატიული აქტებიდან დღემდე არცერთი არ არის შემუშავებული და მიღებული. 2011 წელს მიღებული ტექნიკური რეგლამენტი, რომელიც განსაზღვრავს სხვადასხვა კატეგორიის ავტოსატრანსპორტო საშუალებებისათვის გამოწვავილობაში ნახშირჟანგის მაქსიმალურ დასაშვებ ოდენობებს და ტესტირების მეთოდებს, საავტომობილო სატრანსპორტო საშუალებების უმრავლესობისათვის ამოქმედდება მხოლოდ 2013 წლის 1 იანვრიდან. 2004 წელს კანონმდებლობაში შეტანილი ცვლილებით, ყოველწლიური ტექდათვალიერება ნებაყოფლობითი გახდა მსუბუქი ავტომობილებისთვის. სავალდებულო ტექნიკური დათვალიერება შეჩერებული იკო 2014 წლამდე. ეკონომიკური ინსტრუმენტებიდან დღეისათვის საქართველოში მოქმედებს იმპორტირებულ ავტომობილებზე აქციზის გადასახადი ავტომობილის ხნოვანების და ძრავის მოცულობის მიხედვით. რაც უფრო “ახალგაზრდაა” ავტომანქანა, გადასახადი მით მეტია, რაც სტიმულს აძლევს უფრო მოძველებული (7-14 წლის) ავტომანქანების იმპორტს. სამრეწველო სექტორში ისტორიულად ძირითად დამაბინძურებელ წყაროდ ითვლებოდა ცემენტის წარმოება რუსთავსა და კასპში, ფეროშენადნობთა წარმოება ქ. ზესტაფონში, მეტალურგიული კომპლექსები რუსთავსა და ქუთაისში. ჰაერის ერთ-ერთ დამბინძურებელს წარმოადგენს ენერგეტიკის სექტორიც. თუმცა, იმის გამო, რომ საქართველოში, კერძოდ კი, გარდაბანში, მოქმედი სამი მსხვილი თბოელექტროსადგური საწვავად ძირითადად ბუნებრივ აირს მოიხმარს, მათ მიერ გამოწვეული დაბინძურება, მაღალი საკვამლე

მიღების გამო, მნიშვნელოვან ზემოქმედებას არ ახდენს ჰაერის ხარისხის ფორმირებაზე. გასათვალისწინებელია, რომ გაფრქვევის ნორმები ყოველი ცალკეული საწარმოო ობიექტისათვის იანგარიშება თავად მეწარმე სუბიექტის მიერ და დასამტკიცებლად და ნებართვის მისაღებად წარედგინება გარემოს დაცვის სამინისტროს. მიდგომა არ მოითხოვს მაკონტროლებელი სახელმწიფო ორგანიზაციებისაგან იმის ცოდნას და ძალისხმევას, რომ მათ განსაზღვრონ, თუ რა მოწინავე ტექნოლოგიები შეიძლება იქნეს გამოყენებული მოცემულ სიტუაციაში დაბინძურების მაქსიმალურად შესაზღულდად.

გარდა აღნიშნულისა, კანონმდებლობის მოთხოვნათა თანახმად, გაფრქვევების გაზომვას, აღრიცხვას და მაკონტროლებელ ორგანოსთან ანგარიშგებასაც თავად მეწარმე სუბიექტები ახორციელებენ. რადგან საქართველოს საწარმოების უმეტესობას არ გააჩნია ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვევების გამზომი მოწყობილობები, ისინი, ძირითადად, გაფრქვევების რაოდენობას აფასებენ გარემოს დაცვის სამინისტროს მიერ შემუშავებული გაანგარიშების მეთოდის გამოყენებით. საქართველოს გეოგრაფიული მდგომარეობა განსაზღვრავს მის სატრანზიტო როლს კავკასიაში. დღესდღეობით ქვეყანაში აქტიურად ვითარდება სატრანზიტო ინფრასტრუქტურა: მიმდინარეობს სარკინიგზო ქსელის გაუმჯობესებისა და გაფართოვების სამუშაოები, შენდება ჩქაროსნული საავტომობილო მაგისტრალები. შესაბამისად, მომავალში მოსალოდნელია სატრანზიტო სატრანსპორტო ნაკადის და გადაზიდვათა ზრდა. შესაბამისი ზომების გატარების გარეშე, ამ პროცესის თანმდევნი შედეგი იქნება ატმოსფერულ ჰაერში დამბინძურებელთა ემისიების ზრდა. მოსალოდნელია, რომ ქვეყნის ეკონომიკური განვითარება გაზრდის ადამიანთა როგორც საქმიან, ასევე სარეკრეაციო მობილურობას ქვეყნის შიგნით. თუკი ამ პროცესის პარალელურად არ მოხდა საზოგადოებრივი ტრანსპორტის ადექვატური განვითარება, სწრაფად გაიზრდება კერძო მსუბუქი ავტომობილების რიცხვი. ქვეყანაში ეკონომიკური ზრდის პირობებში, მოსალოდნელია, აგრეთვე, სამრეწველო სექტორის განვითარება და შესაბამისად, ატმოსფერულ ჰაერში მავნე გაფრქვევების მატება, რაც საწარმოო ობიექტების გარემოსდაცვითი რისკების საფუძვლიანი შეფასების და კანონდასრულების სათანადო კონტროლის უზრუნველყოფას მო-

ითხოვს. 8.5 ნარჩენები და ქიმიური ნივთიერებები საქართველოში ერთ-ერთ გარემოსდაცვით პრობლემას წარმოადგენს გარემოს დაბინძურება ნარჩენებითა და ქიმიური ნივთიერებებით.

პრობლემა კომპლექსურია და მოიცავს გარემოს დაბინძურებას საყოფაცხოვრებო ნარჩენებით, მოუწესრიგებელი ნაგავსაყრელებიდან, ასევე სახიფათო და აკუმულირებული ნარჩენების მართვასთან დაკავშირებულ საკითხებს. უკონტროლოდ დაყრილი საყოფაცხოვრებო ნარჩენებით გარემოს დაბინძურების ძირითად მიზეზს ნარჩენების შეგროვების სისტემის მოშლა წარმოადგენს. ამჟამად საყოფაცხოვრებო ნარჩენების რეგულარული შეგროვება, ძირითადად, მხოლოდ მსხვილ ქალაქებსა და რაიონულ ცენტრებში ხორციელდება. სოფლებში მოსახლეობა, როგორც წესი, ნარჩენებს უახლოეს ხევში, გზისპირას ან მდინარის ნაპირებზე ყრის. ეს ტერიტორიები არ სუფთავდება და შესაბამისად, მცირე ზომის უკონტროლო „ნაგავსაყრელები“ წარმოიქმნება. საქართველოში დღეს არსებული 63 ოფიციალური მუნიციპალური ნაგავსაყრელების უმრავლესობას არ გააჩნია ნაგავსაყრელიდან გამოჟონილი წყლების შეგროვება-გაწმენდის სისტემა და წყალგაუმტარი ფუძე, რომელიც მიწისქვეშა წყლებს დაბინძურებისგან დაცავდა. ნაგავსაყრელების ნაწილი მდინარეების ნაპირზე ან წყალგამტარ ხევებშია განთავსებული, რაც ზედაპირული და გრუნტის წყლების დაბინძურების საშიშროებას ქმნის. ნაგავსაყრელებზე სპონტანურად მიმდინარეობს ნარჩენების დაბალტემპერატურული ღია წვა, რაც იწვევს ჰაერში მავნე დამბინძურებლების, დიოქსინებისა და ფურანების გაფრქვევას. საქართველოში მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს ასევე გარემოს დაბინძურება სახიფათო ნარჩენებით. გაუმჯობესებას საჭიროებს სამრეწველო, სამედიცინო, ვეტერინარული, სასოფლო-სამეურნეო და სხვა სახიფათო ნარჩენების წარმოქმნის, გადაზიდვისა და გაუვნებელყოფის ან გადამუშავება-განადგურების აღრიცხვისა და კონტროლის სისტემა. გარემო ასევე ბინძურდება სამთო-მოპოვებითი და გამამდიდრებელი წარმოებების აკუმულირებული ნარჩენებისა და შლამებისგან, რომელიც განთავსებულია ყოფილი საბჭოთა საწარმოების მიმდებარე ტერიტორიებზე.

გარემოს დაბინძურების მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს აგრეთვე ვადაგასული სასოფლო-სამეურნეო ქიმიკატები, განსა-

კუთრებით პესტიციდები, რომელთა ნარჩენები საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ დიდი რაოდენობით დარჩა ქვეყნის ტერიტორიაზე. 2700-მდე ტონა სახიფათო ქიმიკატი განთავსებულია სახიფათო ნარჩენების დაზიანებულ სამარხში, იაღლუჯას მთაზე. დაახლოებით 230 ტონა ვადაგასული პესტიციდი ყოფილი კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების დანგრეული საწყობების ტერიტორიებიდან მოგროვდა და დროებით განთავსდა იაღლუჯის სამარხში. საჭიროა მათი შემდგომი გაუვნებელყოფა ეკოლოგიური მოთხოვნების გათვალისწინებით. გარდა ამისა, სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის შედეგად ქვეყანაში წარმოიქმნება სახიფათო ნარჩენები (პესტიციდებისა და აგროქიმიკატების ცარიელი ტარა, ბაზრიდან ამოღებული ვადაგასული და მოძველებული პესტიციდები). აუცილებელია აღნიშნული ნარჩენების გაუვნებელყოფის საკითხის გადაწყვეტაც. საქართველოში დღემდე არ არის ჩამოყალიბებული ეროვნული პოლიტიკა და მიზნები ნარჩენების მართვის სფეროში. ნარჩენებთან დაკავშირებული კანონმდებლობა არასრული, ფრაგმენტულია და რიგ შემთხვევაში, მოძველებულია. ამასთან, საქართველოს კანონმდებლობისათვის უცხოა ნარჩენების პრევენციის დაკავშირება რესურსების დაზოგვასთან და ნარჩენების რესურსად განხილვა. ასევე არ არსებობს მწარმოებლის პასუხისმგებლობა ნარჩენების მიმართ ან წამახალისებელი მექანიზმები რესურსების დაზოგვის და ნაკლები ნარჩენის წარმოქმნისათვის. ქვეყანაში ეკონომიკის განვითარებასთან ერთად მოსალოდნელია ნარჩენების მოცულობის ზრდა, რაც გამოიწვევს როგორც ნარჩენების წარმოქმნის მინიმუზაციის ხელშემწყობი ღონისძიებების გატარების, ისე უკვე წარმოქმნილი ნარჩენების სეპარაციისა და რეციკლირების საჭიროებას. მრეწველობის განვითარებამ სამრეწველო ქიმიური ნივთიერებების მოხმარებისა და სახიფათო ნარჩენების წარმოქმნის მატებაც გამოიწვია. ბიომრავალფეროვნება, დაცული ტერიტორიები, ტყითსარგებლობა ბიომრავალფეროვნებაზე მოქმედი ძირითადი საფრთხეებია: საბინადრო გარემოს განადგურება, დეგრადაცია და ფრაგმენტაცია; ჭარბი მოპოვება; უცხო სახეობების შემოყვანა; დაბინძურება და კლიმატის ცვლილება. ჰაბიტატების რღვევისა და მზარდი, არარეგულირებული მოხმარების გამო, მცენარეების და ცხოველების მრავალი სახეობა გადაშენების ზღვარზეა მისული. მათ შორის, ცხოველთა 135 სახეობა და 4 ქვე-



სახეობა და მცენარეთა 56 სახეობა შეტანილია საქართველოს წითელ ნუსხაში. ამასთან, საქართველოში გავრცელებულ ხერხემლიან ცხოველთა 44 სახეობა გლობალურად გადაშენების პირას მყოფია და შეტანილია IUCN-ის წითელ ნუსხაში, როგორც მოწყვლადი, გადაშენების პირას მყოფი ან გადაშენების უკიდურესი საფრთხის წინაშე მყოფი სახეობა. ინტენსიური ძოვება განიხილება ბიომრავალფეროვნებაზე მოქმედ ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორად, რაც, ძირითადად, ეხება საქართველოს მაღალმთიანეთის სუბალპურ და ალპურ სამოვრებს და საქართველოს სამხრეთ-აღმოსავლეთის არიდულ ეკოსისტემებს. აქ შინაური პირუტყვის დიდი რაოდენობა და მოუწყვსრიგებელი ძოვება იწვევს ნიადაგის ეროზიას, უარყოფითად მოქმედებს მცენარეული საფარის შემადგენლობასა და პროდუქტიულობაზე, ასევე ქმნის ინვაზიური მცენარეების გავრცელების პირობებს.

კვლავ მნიშვნელოვან პრობლემად რჩება უკანონო თევზჭერის და ნადირობის მაღალი დონე, არასრულყოფილი მონიტორინგის სისტემა, კვალიფიციური კადრების სიმწირე. მნიშვნელოვან გაუმჯობესებას საჭიროებს თევზისა და სანადირო სახეობების შეფასებისა და კვოტების დადგენის სისტემა. მონაცემთა სიმწირე მნიშვნელოვნად ართულებს კონკრეტული ღონისძიებების დასახვას, რომელთა გატარებაც აუცილებელია თევზჭერის და ნადირობის მდგრადი მართვისათვის. საქართველოს ეკონომიკაში შექმნილმა სირთულეებმა და ბაზრების დაკარგვამ, აგრეთვე შავ ზღვაში თევზის რესურსების მკვეთრმა შემცირებამ, უარყოფითი ზემოქმედება იქონია თევზის მეურნეობის სექტორზე. მნიშვნელოვნად შემცირდა თევზჭერის მოცულობა შავ ზღვაში. მნიშვნელოვნადაა შემცირებული თევზის რესურსები საქართველოს შიდა წყალსატევებში, სადაც ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრობლემაა თევზის ინვაზიური სახეობები. არ არის შეფასებული იქთიოფაუნის უმრავლესი სახეობების (ზუთხისებრთა და შავი ზღვის ორაგულის გარდა), მათ შორის, შიდა წყლებში გავრცელებული ენდემური ფორმების მდგომარეობა. ბიომრავალფეროვნების შენარჩუნების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს და ეფექტურ ინსტრუმენტს დაცული ტერიტორიების დაარსება წარმოადგენს. ამჟამად საქართველოში სხვადასხვა კატეგორიის 56 დაცული ტერიტორიაა, რომლებიც სა-

ქართველოს ტერიტორიის სულ 7.3%-ს ფარავს (ევროპაში დაცულ ტერიტორიებს საშუალოდ 18%-ი უკავია).

დაცული ტერიტორიების სისტემის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი გამოწვევაა დაცული ტერიტორიების ერთიანი ქსელის განვითარება; საქართველოს დაცული ტერიტორიები პრაქტიკულად იზოლირებული არიან და არ უკავშირდებიან ერთმანეთს ეკოლოგიური დერეფნებით. გარდა ამისა, ქვეყანაში არსებობს ისეთი სენსიტიური უბნები, რომლებიც ჯერ კიდევ არ არის მოქცეული დაცული ტერიტორიების სტატუსის ქვეშ. ნაკლოვანია დაცული ტერიტორიებთან დაკავშირებული კანონმდებლობა - ის, ხშირ შემთხვევაში, ვერ უზრუნველყოფს დაცული ტერიტორიის ძირითადი ფუნქციის - ბიომრავალფეროვნების შენარჩუნების - რეალიზებას. საქართველოს დაცული ტერიტორიებიდან დღეს მხოლოდ სამს გააჩნია მართვის გეგმა - სახელმძღვანელო დოკუმენტი, რომლის მიხედვითაც უნდა წარიმართოს ყოველდღიური საქმიანობა ამ ტერიტორიებზე. საქართველოს დაცულ ტერიტორიებს არაადეკვატურად მწირი დაფინანსება გააჩნიათ. ეს, სხვა პრობლემებთან ერთად, განაპირობებს ბიომრავალფეროვნების მონიტორინგისა და აღდგენის სამუშაოების არასაკმარისობას. ბოლო წლებში გარკვეულწილად შეფერხდა დაცული ტერიტორიების დაარსება და გატარდა ბიომრავალფეროვნების კონსერვაციისა და მდგრადი გამოყენებისთვის საზიანო არაერთი ინიციატივა, მათ შორის, მიღებულ იქნა გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფ, „წითელ ნუსხაში“ შეტანილ სახეობებზე კომერციული ნადირობის დაშვების შესახებ გადაწყვეტილება, დაშვებული იქნა ნადირობა დაცულ ტერიტორიებში (გარდა ნაკრძალებისა და ეროვნული პარკებისა), კანონმდებლობის მოთხოვნათა იგნორირებით, დაცული ტერიტორიების ფარგლებში არაერთი ეკონომიკური პროექტი განხორციელდა. გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან მნიშვნელოვნად გაიზარდა საქართველოში ტყის რესურსებით სარგებლობა. საშემე მერქანი ჯერ კიდევ არის ზოგიერთი სოფლისა და პატარა ქალაქის სათბობი ენერჯის უმთავრესი წყარო. მნიშვნელოვანი მოთხოვნა არსებობს აგრეთვე სამასალე მერქანზე.

საქართველოს კანონმდებლობით, დაშვებულია მოკლევადიანი (ერთ წლამდე) და ხანგრძლივადიანი (20 წლამდე) ტყითსარგებლობა. 2007 წლამდე ტყითსარგებლობა, ძირითადად, ერთ

წლამდე ვადით გაცემული 38 ტყითსარგებლობის დოკუმენტებით ხორციელდებოდა. 2006 წელს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრომ გასცა პირველი 20-წლიანი ხე-ტყის დამზადების სპეციალური ლიცენზია. მას შემდეგ 2012 წლის თებერვლამდე გაცემულია ხე-ტყის დამზადების 66 ლიცენზია 5, 10 და 20 წლის ვადით. ლიცენზიებით დაფარულია 151 574 ჰექტარი ფართობის ტერიტორია. ტყითსარგებლობის ლიცენზიები 2006 წლიდან აუქციონის წესით გაიცემა. აუქციონების გამოცხადებასა და ჩატარებას არაერთი პრობლემა ახლავს თან; მათ შორის, უმნიშვნელოვანესია შემდეგი: ირღვევა საქართველოს მოქალაქეთა უფლება, მონაწილეობა მიიღონ გარემოსთან/ტყესთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღების პროცესში; აუქციონებზე გამოტანილ იქნა ისეთი სალიცენზიო ობიექტები, რომლებზეც ტყეთმოწყობა (ინვენტარიზაცია) მოძველებულია; ტყითსარგებლობის აუქციონის საწყისი ფასის დადგენისას, დღემდე არცერთხელ არ იქნა გამოყენებული კანონმდებლობით დადგენილი წესი; სალიცენზიო ობიექტების შერჩევისას, საერთოდ არ ფასდება, თუ რამდენად მიზანშეწონილია, გარემოსდაცვითი თვალსაზრისით, კონკრეტული ტყის ფართობის გამოყოფა. შედეგად, ტყის ჭრისთვის გაიცემა მაღალი კონსერვაციული (გარემოსდაცვითი) ღირებულების ტყეები.

პრობლემებია სალიცენზიო პირობების შესრულების კონტროლის სფეროშიც - მოქმედი კანონმდებლობა მეტად მწირ შესაძლებლობებს ქმნის გაცემული ლიცენზიების საკონტროლებლად, თუმცა, ეს შესაძლებლობებიც არ გამოიყენება სრულად. იმის გათვალისწინებით, რომ ქვეყანა ორიენტირებულია სწრაფ ეკონომიკურ განვითარებაზე, უკვე ხორციელდება და მოსალოდნელია მთელი რიგი ინფრასტრუქტურული და ენერგეტიკული პროექტების, ასევე ბუნებრივი რესურსების, მათ შორის, ხე-ტყისა და სასარგებლო წიაღისეულის მოპოვებისა და გადამუშავების პროექტების განხორციელება, მნიშვნელოვანია, ქვეყანაში არსებობდეს ბიომრავალფეროვნების დაცვის, აღდგენისა და შენარჩუნების ეფექტური მექანიზმები. 8.7 კლიმატის ცვლილება და საადაპტაციო ღონისძიებები საქართველო, თავისი გეოპოლიტიკური მდებარეობით, რელიეფით, ჰიდროგრაფიული ქსელით და გარემო პირობებით, მოწყვლადია როგორც ბუნებრივი (მიწისძვრა, მეწყერები,

ღვარცოფები, გვალვები, ზვავები და წყალდიდობები), ისე ანთროპოგენული კატასტროფებისადმი (სატრანსპორტო და საწარმოო ავარიები). ამას ემატება ბუნებრივ რესურსებზე მაღალი ანთროპოგენული ზეწოლა, რაც ქმნის ხელსაყრელ პირობებს ბუნებრივი კატასტროფების პროვოცირებისთვის. ბოლო წლებში გახშირებული სტიქიური მოვლენების მიზეზები აგრეთვე უნდა ვეძიოთ კლიმატის გლობალურ ცვლილებაში. კვლევებით დასტურდება, რომ კლიმატის ცვლილებას უკვე ადგილი აქვს სამხრეთ კავკასიაში და ის გარკვეულ ნეგატიურ როლს ითამაშებს გარემოსდაცვითი უსაფრთხოების თვალსაზრისით. პროგნოზების თანახმად, კლიმატის ცვლილების შედეგად 2050 წლისთვის საქართველოში ტემპერატურის საშუალო მატება ნავარაუდევია 0.9-1.9 C0-ით, ხოლო 2100 წლისთვის 4.1-5.5 C0-ით. ამასთან, ნავარაუდევია სითბური ტალღების სიხშირისა და ოდენობის ზრდა, ნალექიანობის რეჟიმის ცვლილება, გაუდაბნობა და მიწის რესურსების შემდგომი დეგრადაცია, ზღვის დონის აწევა და სხვა ექსტრემალური მოვლენების გახშირება, რაც ქმნის კლიმატის ცვლილებისადმი ადაპტაციის ღონისძიებების სასწრაფოდ გატარების აუცილებლობა. ამასთან დადგენილია კლიმატის ცვლილებისადმი ყველაზე მოწყვლადი ადგილები: შავი ზღვის სანაპირო ზოლი (იწვევს ზღვის დონე და იზრდება შტორმული მოდინებების სიხშირე და სიმძლავრე; ამას, ფოთის მიმდებარე ტერიტორიაზე, ემატება მდ. რიონის ადიდებით გამოწვეული პრობლემები), ქვემო სვანეთი - ლენტეხი (ნიადაგის ეროზიის გაძლიერება და სტიქიური მოვლენების (წყალმოვარდნები, მეწყერები, ზვავები დიდთოვლობა, წყალდიდობა გახშირდება) და დედოფლისწყარო - ალაზნის აუზი (მიმდინარეობს გაუდაბნობების პროცესი). გარემოს ეროვნული სააგენტოს მონაცემებით, ბოლო წლებში მკვეთრად გაიზარდა ბუნებრივი კატასტროფების სიხშირე და მასშტაბი. 1995-2008 წლებში ბუნებრივი კატასტროფების შედეგად საქართველომ 1.3 მლრდ. აშშ დოლარზე მეტი ღირებულების ზარალი განიცადა, სტიქიის შედეგად დაზარალდა 700 ათასამდე ადამიანი, მსხვერპლთა რაოდენობამ კი, 1000-ს მიაღწია.

უკანასკნელ წლებში მეწყერებისა და ღვარცოფების სიხშირის ზრდა განპირობებულია სეისმური აქტივობის გაძლიერებით, ადამიანის ანთროპოგენული ზემოქმედების ზეგავლენით (დასახლე-

ბების და მიწის უსისტემო ათვისება, სატრანსპორტო ობიექტების მშენებლობა, ტყეების გაჩეხვა და გამეჩხერიანება) და კლიმატის გლობალური ცვლილებებით. 39 გეოლოგიური ხასიათის სტიქიური მოვლენებიდან ყველაზე ხშირია წყლისმიერი ეროზიული პროცესები, მეწყერულ-გრავიტაციული და ღვარცოფული მოვლენები, რომელთა რაოდენობა იზრდება. 2009 წელს დაფიქსირდა მეწყერულ-გრავიტაციული მოვლენებით დაზარალებული ან მოსალოდნელი გააქტიურების ქვეშ მყოფი 53 ათასი უბანი, რაც ორიათას დასახლებულ პუნქტსა და სატრანსპორტო ინფრატრუქტურის 25-30%-ს იკავებს. ღვარცოფებისგან მიყენებული ეკონომიკური ზარალი წელიწადში 100 მლნ აშშ დოლარამდეა, რომ არაფერი ვთქვათ ადამიანურ მსხვერპლზე. სანაპირო ზონა წარმოადგენს კლიმატის ცვლილების მიმართ ყველაზე მოწყვლად სისტემას საქართველოში. მისი წარეცხვა, რომელიც ჯერ კიდევ წინა საუკუნის 80-იან წლებში დაიწყო, პრობლემებს უქმნის გაგრის, ახალი ათონის, ოჩამჩირის, ანაკლიის, ფოთის, ქობულეთის და ადლიის მონაკვეთებს, სადაც 1992 წლამდე ხელოვნურად შეჰქონდათ ნატანი პლიაჟის ფორმირებისთვის. განსაკუთრებით სენსიტიურია მდ. რიონისა და მდ. ჭოროხის დელტები, სადაც ანთროპოგენული ზემოქმედება ერწყმის ზღვის დონის აწევის და კლიმატის ცვლილების პროცესს. მაგალითად, 2005-2007 წლებში ზღვამ მიიტაცა ადლიის შიდა საავტომობილო ტრასა და უშუალო საფრთხე შეუქმნა ბათუმის აეროპორტის ასაფრენ ზოლს. 2007 წლის თებერვალში ჰოლანდიის გარემოზე ზემოქმედების შეფასების კომისიის მიერ რეკომენდირებულ იქნა მდ. ჭოროხიდან ამოღებული მასალის განლაგება ეროზირებული სანაპიროს ტერიტორიაზე და გარემოსდაცვითი შეფასებისა და წინასწარი კვლევების ჩატარება სანაპირო ზოლის მდგრადი ხანგრძლივადიანი აღდგენის გეგმის შესამუშავებლად<sup>10</sup>. ასეთი გეგმა დღემდე არ შემუშავებულა.

2015 წლისთვის თურქეთის ტერიტორიაზე დაგეგმილი ჰიდროელექტროსადგურების ამოქმედებით 83%-ით შემცირდება მდ. ჭოროხით ნატანის ტრანსპორტირება შავ ზღვაში. ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობა მდ. ჭოროხზე და მდ. აჭარისწყალზე დაგეგმილია საქართველოშიც. საქართველოს ტერიტორიაზე დაგეგმილი ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობის შემთხვევაში, პრაქტიკულად, აღარც არსებული ნატანის ჩატანა მოხდება

შავ ზღვაში, რაც კიდევ უფრო გაზრდის ზეგავლენას შავი ზღვის სანაპიროზე. ქ. ფოთში 1925 წლიდან 2009 წლამდე წყლის დონემ 0,7მ-ით აიწია. ეს საფრთხეს უქმნის ფოთს, რომელიც მდებარეობს მდ.რიონის დონის დაბლა 1.5-2 მ-ით. 1920-იანი წლებიდან დღემდე შტორმებისა და ანთროპოგენური ჩარევის შედეგად, ზღვამ მიიტაცა 3.5 კმ სიგანის სანაპირო, რომლის დიდი ნაწილი იპოდრომს, საცხოვრებელ სახლებსა და სასოფლო-სამეურნეო სავარგულებს ეკავა. ნავარაუდევია, რომ უახლოეს მომავალში (2030-2050 წ.წ.) შტორმების მოსალოდნელი გახშირებისა და ზღვის დონის კიდევ 0.2-0.3 მ-ით მატების შემთხვევაში, შტორმული მოდენები კატასტროფული შედეგების მომტანი გახდება. ამავე უბანზე მკვეთრია სედიმენტაციის გააქტიურება (მდ. რიონი იკვებება მყინვარული ჩამონადენით), რის შედეგადაც გაძლიერდა მდინარის ორივე კალაპოტის (ფოთის არხი, ნაბადა) მოსილვა, რამაც უფრო შეასუსტა მათი გამტარუნარიანობა. მდ. რიონის მიერ ჩამოტანილი ნაშალი მასალა, ძირითადად, ჩრდილოეთ სანაპიროზე ილექება და ხმელეთი ზღვაში იჭრება; მაშინ, როდესაც ფოთის სამხრეთით ზღვამ უკვე, დაახლოებით, 600 ჰა ფართობის ტერიტორია მიიტაცა. კლიმატის ცვლილების ჩარჩო კონვენციის მიმართ საქართველოს მეორე ეროვნულ შეტყობინებაში ხაზგასმულია, რომ აღმოსავლეთ საქართველოში გაიზრდება გვალვების ხანგრძლივობა და ინტენსივობა; შესაბამისად, გაიზრდება მოთხოვნა წყალზე. ამასთან, დასავლეთ საქართველოს გარდა, მთელ სამხრეთ კავკასიაში, ნავარაუდევია სულ მცირე 10-40% დინების კლება ძირითად მდინარეებზე. წყლის რესურსების კლებამ, შესაძლოა, ასევე, გაზარდოს როგორც შიდასახელმწიფოებრივი, ისე სახელმწიფოთაშორისი კონფლიქტების რისკი. ეს განსაკუთრებით ეხება ისეთ ტრანსსასაზღვრო მდინარეებს, როგორცაა, ალაზანი, ხრამიდებედა და მტკვარი. პროგნოზის თანახმად, ალაზანში წყლის დონის კლება ნავარაუდევია სულ მცირე 26-35%-ით, ხოლო ხრამიდებედაში - 45-65%-ით. ყურადსაღებია, რომ დედოფლისწყაროს რაიონში, ქარისმიერი ეროზიის შედეგად, 1986 - 2006 წლებში, ჰუმუსის შემცველობამ დაიკლო 7.5-დან 3.2%-მდე, თითქმის ორჯერ დაეცა ნიადაგის ნაყოფიერება, საშუალო წლიური ტემპერატურა კი, გაიზარდა 0,6 C0-ით, რამაც თავის მხრივ, მნიშვნელოვნად გაზარდა სარწყავი წყლის გამოყენება. პროგნოზის თანახმად,

რეგიონში ნალექების მნიშვნელოვანი შემცირება, უახლოეს პერიოდში, გაზრდის ადგილობრივი კლიმატის არიდულობას და აქაურ ნახევრადარიდულ ლანდშაფტებს ნახევარუდაბნოდ და უდაბნოდ გადააქცევს. შესაბამისად, 2100 წლისთვის, დედოფლისწყაროს რაიონში ირიგაციაზე მოთხოვნა გაიზრდება ზამთრის ხორბალზე 114 %-ით, სამოვრებზე - 82%-ით და მხესუმშირაზე - 50%-ით. 1 ამჟამად, გაეროს დახმარებით, მიმდინარეობს ეროვნული საადაპტაციო მოქმედებათა გეგმის მოსამზადებელი სამუშაოები, თუმცა, საქართველოს არ გააჩნია კლიმატის ცვლილების პოლიტიკა და მასთან დაკავშირებული კანონმდებლობა; ეს კი, ხელს უშლის საერთაშორისო ორგანიზაციებიდან საადაპტაციო ღონისძიებების განხორციელებისთვის მეტი ფინანსური რესურსის მოზიდვას.

სამართლებრივი და პოლიტიკური ჩარჩო მთავარი კანონი, რომელიც გარემოსდაცვით საკანონმდებლო ჩარჩოს შეადგენს, არის საქართველოს კანონი გარემოს დაცვის შესახებ (1996). თუმცა, ის მოძველებულია და ვეღარ პასუხობს ქვეყნის პოლიტიკას და თანამედროვე მიდგომებს. შესაბამისად, საჭიროა მისი განახლება, რათა არსებობდეს საკანონმდებლო საფუძველი ყველა დარგობრივი კანონისთვის და დარეგულირდეს ურთიერთგადამკვეთი გარემოსდაცვითი საკითხები. ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ სხვადასხვა გარემოსდაცვითი სფეროები რეგულირდება კონკრეტული დარგობრივი კანონებით და კანონქვემდებარე აქტებით, რომლებიც უფრო დეტალურად განხილულია გარემოს 15 დაცვის მოქმედებათა მესამე ეროვნული პროგრამის კონკრეტულ თავებში. ევროკავშირთან ასოცირების პროცესის შედეგად ინტენსიურად მიმდინარეობს გარემოსდაცვითი კანონპროექტების მომზადება. 2014 წელს საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შესახებ შეთანხმების ხელმოწერა იძლევა სხვადასხვა სფეროში ეროვნული პოლიტიკის შემუშავების გრძელვადიან პერსპექტივას, გარემოსა და ბუნებრივი რესურსების ჩათვლით. ასოცირების შესახებ შეთანხმება იძლევა სოლიდურ სამართლებრივ საფუძველს სამომავლო კანონშემოქმედებისა და კანონადსრულების პროცესისთვის. სხვა საკითხთა შორის, ის განსაზღვრავს ამოცანებს, რომლებიც უნდა განხორციელდეს დადგენილ ვადებში შემდეგი მიმართულებებისთვის: (i) გარემოსდაცვითი მმართველობა; (ii) ჰაერის ხარისხი; (iii) წყლის ხარისხი და რესურსების მართვა, საზღვაო

გარემოს ჩათვლით; (iv) ნარჩენების მართვა; (v) ბუნების დაცვა; (vi) სამრეწველო დაბინძურება და სამრეწველო საფრთხეები; (vii) ქიმიური ნივთიერებების მართვა; და (viii) კლიმატის ქმედება. ტყის მდგრადი მართვა და თევზჭერასთან დაკავშირებული ასპექტები მოყვანილია ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის (DCFTA) შესახებ ხელშეკრულებაში, რომელიც ასოცირების შესახებ შეთანხმების ნაწილია. რამდენიმე კანონპროექტი (მაგალითად, ნარჩენების იმპორტის, ექსპორტის და ტრანზიტის შესახებ; წყლის რესურსების მართვის შესახებ) და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები უკვე მომზადებულია, ხოლო სხვები ან შემუშავების პროცესშია ან დაგეგმილია. ასოცირების შესახებ შეთანხმების განხორციელების საგზაო რუკა, რომელიც გზის-მშენებელს, აწესებს კონკრეტულ ქმედებებს ასოცირების შესახებ შეთანხმების ვალდებულებების დროულად შესრულებისთვის. კიდევ ერთი მნიშვნელოვანი დოკუმენტი, რომელიც ეროვნული გარემოსდაცვითი პოლიტიკის ჩარჩოს განსაზღვრავს, არის 2015 წელს დამტკიცებული გაეროს მდგრადი განვითარების მიზნები (SDGs). დოკუმენტი მოიცავს 169 ქვემიზანს, რომლებიც 2030 წლისთვის უნდა იქნას მიღწეული. ამ ქვემიზნების გარკვეული რაოდენობა მოიცავს გარემოსდაცვით ასპექტებს, რომლებსაც ქვეყნებმა უნდა მოარგონ თავიანთი პოლიტიკა. დამატებითი ინფორმაცია SDGs-ის გარემოსდაცვითი მიზნების შესახებ მოცემულია მე-15 თავში - "მწვანე ეკონომიკა და მდგრადი განვითარების გარემოსდაცვითი მიმართულება". საერთაშორისო ხელშეკრულებები, რომელთა მხარეც არის საქართველო, მნიშვნელოვან როლს თამაშობენ ეროვნული პოლიტიკის ფორმულირების პროცესში. საქართველო არის გლობალური და რეგიონული მრავალმხრივი გარემოსდაცვითი შეთანხმების, მათ შორის 18 კონვენციის, მათი ოქმების, დამატებების და შეთანხმებების მხარე. ერთ-ერთი ასეთი ხელშეკრულება, რომელიც გავლენას ახდენს მთელ გარემოსდაცვით მმართველობაზე ეროვნულ დონეზე და ხელს უწყობს საქართველოში უკეთესი გარემოსდაცვითი დემოკრატიის განვითარებას, არის კონვენცია ორჰუსის კონვენცია. იცავს რა მოსახლეობის გარემოსდაცვით უფლებებს, ორჰუსის კონვენცია იძლევა გარემოსდაცვითი მმართველობის სფეროს შემდგომი გაუმჯობესების მყარ საფუძველს.



საერთაშორისო ვალდებულებებთან ერთად, არსებობს მრავალი ეროვნული სტრატეგიული დოკუმენტი, რომლებიც აყალიბებს პოლიტიკურ ჩარჩოს და ქმნის ერთიანი ეროვნული გარემოსდაცვითი პოლიტიკის საფუძველს. გარემოსდაცვითი უსაფრთხოებისა და მდგრადობის უზრუნველყოფა ბუნებრივი კატასტროფების 18 თავიდან აცილებისა და ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენების გზით გახლავთ ერთ-ერთი იმ სამი მთავარი პრინციპიდან, რომელიც ასახულია საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიაში - „საქართველო 2020“ (2014). საქართველოს 2015-2017 წლების რეგიონული განვითარების პროგრამა ასახავს მთელ რიგ გარემოსდაცვით პრიორიტეტულ მიმართულებებს, როგორებიცაა ატმოსფერული ჰაერის დაცვა, წყალმომარაგებისა და სანიტარიის განვითარება, ტყის რესურსების მდგრადი გამოყენება, ნარჩენების მართვა და ახალი მექანიზმების განხორციელება ბუნებრივი და ანთროპოგენური საფრთხეების შესამცირებლად. სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ შემუშავებულ საქართველოს 2015-2020 წლების სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგიას აქვს სტრატეგიული მიმართულება 3.7, რომელიც ეძღვნება კლიმატის ცვლილებას, გარემოს დაცვას და ბიომრავალფეროვნებას. აღნიშნული სტრატეგია და სამოქმედო გეგმა გახლავთ კიდევ ერთი დოკუმენტი, რომელიც გარემოს და ბუნებრივი რესურსების მდგრად მართვას ერთ-ერთ პრიორიტეტულ სფეროდ მიიჩნევს. დოკუმენტი შეიცავს ქმედებებს დაცული ტერიტორიების, ბიომრავალფეროვნების, ტყის, წყლის, ბუნებრივი სამოვრების, მყარი ნარჩენების მართვის, კლიმატის ცვლილებებისა და ბუნებრივი კატასტროფების მიმართულებით. სხვა საკითხებთან ერთად, ის ითვალისწინებს მინიმალური მოთხოვნების შემოღებას სასუქებისა და მცენარეთა დაცვის საშუალებებისთვის, ინვესტირებას ფერმერულ წარმოებაში და/ან ენერჯის განახლებადი წყაროების გამოყენებაში, აზოტის სასუქების გამოყენების შემცირებას, მეცხოველეობის მართვის გაუმჯობესებას (ცხოველური ნარჩენების მოვლის ჩათვლით), მარცვლეული კულტურების კლიმატისადმი უფრო მედეგი სახეობებით ჩანაცვლებას, წყლის მდგრად მართვას, მათ შორის წყლის ეფექტურობის გაზრდას ფერმაში წყლის დასაგროვებელი ზონების მოწყობის გზით, წყლის ეფექტური გამოყენებით მოსავლის აღების მოდე-

ლების და გარემოსათვის უსაფრთხო მეურნეობის სისტემების ხელშეწყობას. საქართველოს კულტურის სტრატეგია „კულტურა 2025“ და სამოქმედო გეგმა 2017-2018 წლებისთვის მოიცავს საკითხებს კლიმატის ცვლილების, ბიომრავალფეროვნებისა და დაცული ტერიტორიების შესახებ. გარემოსდაცვითი პოლიტიკის მიმართულებები ასახულია ეროვნული საბიუჯეტო და ფინანსური მართვის ჩარჩო დოკუმენტში - ძირითადი მონაცემები და მიმართულებები. დოკუმენტი გამოყოფს ბიუჯეტის მრავალწლიან ზედა ზღვრებს სამთავრობო პრიორიტეტების გათვალისწინებით, რომლებიც დადგენილია თითოეული სამინისტროს საშუალოვადიან სამოქმედო გეგმებში. დოკუმენტი ასახავს სამინისტროების საშუალოვადიან პრიორიტეტებს, მათ დაფინანსებას და მიზნებს. არსებობს ასევე კონკრეტული დარგობრივი გარემოსდაცვითი პოლიტიკისა და სტრატეგიის დოკუმენტები, რომლებიც მიღებულია საქართველოს მთავრობის ან პარლამენტის მიერ. ეროვნული ბიომრავალფეროვნების სტრატეგია და სამოქმედო გეგმა 2014-2020 წლებისთვის, საქართველოს ეროვნული სატყეო კონცეფცია (2013), გაუდაბნობასთან ბრძოლის ეროვნული სამოქმედო პროგრამა (2014-2022), ნარჩენების მართვის ეროვნული სტრატეგია (2016-2030) და ნარჩენების მართვის ეროვნული სამოქმედო გეგმა (2016-2020) მთავარი დარგობრივი სტრატეგიული დოკუმენტებია, რომელთა ძირითადი ასპექტებიც ასახულია გარემოს დაცვის მოქმედებათა მესამე ეროვნულ პროგრამაში. ზემოაღნიშნული პოლიტიკური დოკუმენტები უფრო დეტალურად განხილულია ქვემოთ კონკრეტულ თავებში. 19 უნდა აღინიშნოს, რომ გარემოს დაცვის მოქმედებათა მეორე ეროვნულ პროგრამა იყო მთავარი დოკუმენტი, რომელიც წარმართავდა გარემოსდაცვით პოლიტიკას 2012-2016 წლებში. აუცილებელია მიმდინარეობდეს კომპანიების თვითმონიტორინგი, რაც ძალზე მნიშვნელოვანია, ვინაიდან ის იძლევა პირველადი გარემოსდაცვითი ინფორმაციის შეგროვების ფართო შესაძლებლობას. მონიტორინგის ამ სფეროს გაფართოების მიზნით დაგეგმილია შესაბამისი სამართლებრივი და პრაქტიკული ღონისძიებების გატარება. ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, უაღრესად მნიშვნელოვანია სამთავრობო უწყებების, ასევე, გარემოსდაცვითი პოლიტიკისა და კანონმდებლობის შემუშავება/განხორციელებაში ჩართული სხვა დაინტერესებული მხარეების კვალიფიკა-

ციის ამალეობა და გამოცდილების გაზიარება. მაგალითად, სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების ჩატარება და მისი გამოყენება უდიდესი გამოწვევა იქნება, ვინაიდან მოითხოვს ყველა სამთავრობო უწყების გამოცდილების, პრაქტიკის, შესაძლებლობების განვითარებას და სწრაფ კოორდინაციას. დასახული მიზნების მიღწევა მოითხოვს არა მხოლოდ სხვადასხვა სამთავრობო უწყების, არამედ საზოგადოების ყველა დაინტერესებული მხარის - ქალაქებისა და მუნიციპალიტეტების, იურიდიული და კერძო პირების - მონაწილეობას. ამის გათვალისწინებით, ქვემოთ, კონკრეტულ თავებში მოყვანილი მიზნებისა და ამოცანების მისაღწევად საჭირო იქნება სხვადასხვა უწყებების შესაძლებლობების გაძლიერება და კოორდინირებული მოქმედება. ბოლოს, ძალიან მნიშვნელოვანია არასამთავრობო ორგანიზაციებისა და ფართო საზოგადოების ცნობიერების ამალეობა გარემოსდაცვით თემებზე, მათ როლზე გარემოსდაცვით საკითხებში გაცნობიერებულ და გარემოსადმი პასუხისმგებლობის მქონე საზოგადოების ფორმირებაში და მათ უფლებებზე, გადაწყვეტილების მიღების პროცესში მონაწილეობის ჩათვლით და ა. შ. საზოგადოების მონაწილეობის ეფექტურობის მიღწევა შესაძლებელია მხოლოდ სათანადო გარემოსდაცვითი განათლების სისტემის საშუალებით, როგორც ფორმალურ, ასევე არაფორმალურ დონეზე. გარემოსდაცვითი ასპექტები შეტანილია საშუალო განათლების პროგრამაში. სხვადასხვა ორგანიზაციის მიერ ხორციელდება მრავალი საგანმანათლებლო ქმედება. სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი ასევე ხელს უწყობს საქართველოში მდგრადი განვითარებისათვის განათლების დამკვიდრებას ტრენინგებისა და საგანმანათლებლო ღონისძიებების განხორციელების საშუალებით. აღნიშნული პროცესის გაგრძელება და ერთიანი გარემოსდაცვითი განათლების, როგორც ფორმალურის, ისე არაფორმალურის მხარდაჭერა წარმოადგენს გარემოს დაცვის მოქმედებათა მესამე ეროვნული პროგრამის ერთ-ერთ პრიორიტეტს.

გლობალური ეკონომიკური და ეკოლოგიური უსაფრთხოების მხრივ, მშენებლობის სექტორს უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება. ურბანიზაციისა და ინდუსტრიალიზაციის პირობებში, როდესაც ახალი ინოვაციური ტექნოლოგიების ხანაში, მშენებლობა ერთერთი უმთავრესი დარგია. სამშენებლო ნაგებობების, ხიდების,

ჰესების, გზების, საცხოვრებელი სახლებისა თუ კომერციული ფართების მშენებლობა ყოველთვის იწვევს ეკოლოგიურ პრობლემებს. ნადგურდება მწვანე ნარგავები, რომელთა აღდგენას ათეულობით წლები სჭირდება, ბინძურდება ჰაერი და განსაკუთრებით კი ჰესებისა და კაშხალების მშენებლობამ შეიძლება საერთოდ შეცვალოს ეკოლოგიური გარემო, ამის გარდა შეიძლება დიდი ეკოლოგიური და ეკონომიკური კატასტროფაც გამოიწვიოს, ამის მაგალითები მსოფლიოში ბევრია, მაგალითად ჩერნობილი, იაპონიის ატომურ სადგურზე მიწისძვრით მიყენებული ზარალი და მრავალი სხვა. დღეს როდესაც ასე გახშირდა სამხედრო კონფლიქტები, ძალზე საშიშია კაშხალებისა და თბოსადგურების აფეთქება. მაგალითად გათვლილია რომ თუ ჟინვალის კაშხალი დაირღვა 2 საათში თბილისში წყლის დონე 8 მეტრით აიწევს, გზად კი მთელ არაგვის და მტკვრის ხეობას წალეკავს. ამიტომ, საჭიროა ასეთი გრანდიოზული მშენებლობის დროს ყველაფერი იყოს გათვლილი, არამარტო გეოდეზიური და ეკოლოგიური საფრთხეები, არამედ სამხედროც. გასათვალისწინებელია ისიც, რომ საქართველო სეისმურად აქტიურ ზონას მიეკუთვნება და კავკასიის მთები ჩამქვრალი ვულკანია. როდის რა მოხდება ამის გათვლა ჯერჯერობით არავის შეუძლია. ამის მაგალითია ვერეს ადიდება, რომელიც შეიძლება საუკუნეში ერთხელ მოხდეს, მაგრამ ყველამ დავინახეთ რა ეკონომიკური და ეკოლოგიური საფრთხეები შექმნა 2015 წელს. ამასთან რამდენი ადამიანის სიცხოცხლე შეიწირა. ასე რომ მშენებლობის სფეროში ძალზედ აუცილებელია კვალიფიციური და მაღალი პროფესიონალური მიდგომები, რათა არ შეექმნას მოსახლეობას და ქვეყანას საფრთხეები. უმჯობესია განვითარდეს ალტერნატიული ელექტროსადგურების მშენებლობა, როგორცაა ქარის, მზის, ზღვის მიმოქცევაზე დაფუძნებული. საქართველოში ამის შესაძლებლობა არის. საჭიროა სწორი გათვლები და გაანგარიშებები. ზოგჯერ მძლავრი ჰიდროელექტროსადგურების და კაშხლების აშენებას შეიძლება სჯობდეს ელექტროდეფიციტის დაფარვა მოხდეს უცხო ქვეყნიდან შესყიდვით. რაც შეიძლება უფრო ძვირი დაჯდეს მაგრამ ქვეყნის უსაფრთხოებისთვის სჯობდეს.

მთლიანობაში გლობალიზაციის პირობებში ეკონომიკური და ეკოლოგიური საფრთხეების აცილების თვალსაზრისით ჩვენი

ხელისუფლება შეძლებისდაგვარად ყველაფერს აკეთებს გაეროსა და ევროკავშირის შესაბამისი საკანონმდებლო ბაზის შესაქმნელად.

### გამოყენებული ლიტერატურა

1. ასათიანი რ., 2010, გლობალიზაცია, ეკონომიკური თეორია და საქართველო, გვ. 17, 18.
2. ქავთარაძე მ., ბეჟანიძე ნ., 2016, „საქართველო და გლობალიზაციის გამოწვევები“ - ჟურნალი „ეკონომიკა“ #11-12 გვ. 43-45; 49.
3. გ. ხარშილაძე - ი.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კონფერენციის მასალები - გლობალიზაცია და საქართველოს კონომიკა, პერსპექტივა ძირითადი გამოწვევები
4. მ.ჭანია - სოციალურ-ეკონომიკური უსაფრთხოება და მასთან დაკავშირებული პრობლემები საქართველოში - გლობალიზაცია და ბიზნესი. #4 / 2017
5. მ.ხუსკვიამე - საქართველოს ეკოლოგიური პოლიტიკა მდგრადი განვითარების კონტექსტში - კონფერენციები 2017
6. <http://globalization.kof.ethz.ch/>
7. [www.geostat.ge](http://www.geostat.ge)
8. <http://forbes.ge/news/692/saqarTvelos-ekonomikuri-globalizacia;>

*Giorgi Bregvadze*

## GLOBAL ECONOMIC AND ECOLOGICAL THREATS AND THEORETICAL ISSUES OF THEIR IMPACT ON THE SECURITY OF THE NATIONAL CONSTRUCTION SECTOR

### Summary

The paper analyzes global and economic threats and theoretical issues of their influence on the security of the national construction sector. Acceptable measures necessary for economic and ecological security in the construction sector in Georgia are set

ეკონომიკური, სოციალური და ეკოლოგიური უსაფრთხოება  
ბენელუქსის ქვეყნებში

**ანოტაცია.** მდგრადი განვითარება, როგორც საზოგადოების განვითარების სისტემა, მიზნად ისახავს საზოგადოების ეკონომიკური განვითარებისა და გარემოს დაცვის ინტერესების გათვალისწინებით ადამიანის კეთილდღეობის, ცხოვრების დონის ხარისხის ზრდას და ეფუძნება პრინციპს, რომლის თანახმად, დღევანდელი მოთხოვნილებები უნდა დაკმაყოფილდეს ისე, რომ საფრთხე არ შეექმნას მომავალ თაობებს. იგი, უპირველეს ყოვლისა, ორიენტირებულია რაოდენობრივი და თვისებრივი ცვლილებებისაგან საზოგადოების მაქსიმალურად დაცვაზე ბუნებრივი რესურსებითა და გარემოთი უზრუნველყოფაზე.

აღნიშნულიდან გამომდინარე ნაშრომში განხილულია მდგრადი განვითარების ეკონომიკური, სოციალური და ეკოლოგიური უსაფრთხოების თეორიული და ემპირიული ასპექტები ბენელუქსის ქვეყნების მაგალითზე. გაეროს მეთოდოლოგიის თანახმად შემუშავებულია ინდიკატორთა და მაჩვენებელთა სისტემა, რომელიც იძლევა ქვეყნის განვითარების ეკონომიკური, სოციალური და ეკოლოგიური ასპექტების შეფასების საშუალებას. სწორედ ამ ინდიკატორთა საფუძველზეა შესწავლილი ბენელუქსის ქვეყნებში არსებული მდგომარეობა. უნდა აღინიშნოს, რომ როგორც სოციალური, ასევე ეკონომიკური კუთხით ამ ქვეყნების გამოცდილება ერთ-ერთ წარმატებულია მსოფლიო მასშტაბით.

განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ეკოლოგიურ ინდიკატორებს თეორიულ და პრაქტიკულ ჭრილში. ბენელუქსის ქვეყნების მოდელი ითვლება ერთ-ერთ წარმატებულ და საინტერესო მოდელად და ამიტომ ნაშრომში გაანალიზებულია ბენელუქსის ქვეყნების გარემოსდაცვითი პოლიტიკისა და ეკოლოგიური უსაფრთხოების თავისებურებები და შესაბამისი ინდიკატორები.

განხორციელებული კვლევის საფუძველზე, რომელიც ეყრდნობა ბენელუქსის ქვეყნების ეკონომიკური, ეკოლოგიური და ეკოლოგიური უსაფრთხოების ინდიკატორების შედარებით ანალიზს შეგვიძლია დავასკვნათ:

➤ **ეკონომიკური უსაფრთხოების** ინდიკატორების მიხედვით, როგორცაა გაეროს მიერ შემოთავაზებული მეთოდოლოგიით გაანგარიშებადი კონკურენტუნარიანობისა და ეკონომიკური თავისუფლების ინდექსები, ზოგადად ბენელუქსის ქვეყნებს მოწინავე პოზიცია უკავიათ მსოფლიოში. განსაკუთრებით მაღალია ეს მაჩვენებელი ნიდერლანდებსა და ლუქსემბურგში.

➤ **სოციალური უსაფრთხოების თვალსაზრისით** მნიშვნელოვნად ეფექტიანი და შედეგებზე ორიენტირებულია ნიდერლანდებისა და ლუქსემბურგის პოლიტიკა. ეს უკავშირდება განსაკუთრებით ნიდერლანდებში სახელმწიფოს მიერ სწორი და მიზანმიმართული სოციალური ღონისძიებების გატარებას. მათ საგრძნობლად ჩამორჩება ბელგია. აღნიშნული დასკვნებს ასევე ადასტურებს ადამიანის განვითარების ინდექსის, ცხოვრების ხარისხის ინდექსისა და სოციალური პროგრესის ინდექსის მნიშვნელობები.

➤ **ეკოლოგიური უსაფრთხოების** კონტექსტში ეკოლოგიური მდგრადობის ინდექსისა და ეკონოვაციების ინდექსის მნიშვნელობებზე დაყრდნობით ასევე შეგვიძლია ხაზი გაუსვათ ნიდერლანდების უაღრესად საინტერესო პოლიტიკის შედეგებს, ეს ქვეყანა სამაგალითოა ეკოლოგიის დაცვის, კლიმატის ცვლილების გავლენის შეფასებისა და შესაბამისი ღონისძიებების გატარების სფეროში და გვიჩვენებს თუ როგორ შეიძლება ეფექტურად განხორციელდეს საკმაოდ მაღალი სტანდარტების ევროპული კლიმატის პოლიტიკა ეკონომიკის მწვანე აღდგენისთვის.

➤ ბენელუქსის ქვეყნების **ეკონომიკური, სოციალური და ეკოლოგიური უსაფრთხოების** ანალიზიდან გამომდინარე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ამ ქვეყნებში არსებული მდგომარეობა და გატარებული ქმედითი, ეფექტიანი და პროგრესული ღონისძიებები შესაბამისობაშია მდგრადი განვითარების მიზნებთან. ბენელუქსის ქვეყნები შესაძლებელია განვიხილოთ ერთ-ერთ წარმატებულ მაგალითად, განსაკუთრებით ეკოლოგიური უსაფრთხოების პოლიტიკის კონტექსტში.

\*\*\*\*

მდგრადი განვითარების კონცეფცია განსაკუთრებით აქტუალური გახდა ბოლო ათწლეულებში. მრავალი საერთაშორისო დოკუმენტი და შეთანხმება, აგრეთვე მრავალი ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია შეიცავს დებულებას

ბას მდგრად განვითარებაზე გადასვლის აუცილებლობის შესახებ, რაც ითვალისწინებს ეკონომიკური, ეკოლოგიური და სოციალური განვითარების აქტივიზაციას, რათა თაობებიდან თაობებამდე არ დაქვეითდეს ადამიანების ცხოვრების ხარისხი, უსაფრთხოება და გადაწყდეს საზოგადოებისა და ბუნების ჰარმონიული განვითარების, ანუ კოველოუციის ამოცანა (ხუსკივამე მ., 2017).

განისაზღვრა მდგრადი განვითარების მიზნები და მასთან ერთად – რამდენად მიზანმიმართული და სწორი პოლიტიკა ტარდება ამ მიზნების მისაღწევად პოლიტიკის 16 სფეროს შედეგების შესწავლით. თითოეული მათგანის შესწავლის საფუძველს კი წარმოადგენს თვისებრივი და რაოდენობრივი შეფასებები. შედეგები განიხილება იმის დასადგენად, თუ რამდენად აქტიურად უწყობენ ხელს მთავრობები შიდა შესაძლებლობებსა და გლობალური საზოგადოებრივი საქონლის უზრუნველყოფას.

მდგრადი განვითარების არსებული მდგომარეობის შესაფასებლად გაეროს მიერ „XXI საუკუნის დღის წესრიგის“ მეთოდის შესაბამისად გაიანგარიშება კრიტერიუმები და ინდიკატორები მდგრადი განვითარების ეკონომიკური, ეკოლოგიური და სოციალური ასპექტების დასახსიათებლად.

მეთოდის შესაბამისად, მდგრადი განვითარება *ეკონომიკურ ასპექტში იზომება მაჩვენებლებით:*

- მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის კონკურენტუნარიანობის ინდექსი;

- The Hezitage Foundation-ის ეკონომიკური თავისუფლების ინდექსი;

*მდგრადი განვითარების სოციალური ასპექტები* კი ფასდება ინდექსებით:

- გაეროს ადამიანის განვითარების ინდექსი;

- ცხოვრების ხარისხის ინდექსი, რომელსაც ყოველწლიურად აქვეყნებს საერთაშორისო ორგანიზაცია Internacional living;

*მდგრადი განვითარების შეფასება ეკოლოგიურ ჭრილში* ხდება:

- ეკოლოგიური მდგრადობის ინდექსით EPI — იელის უნივერსიტეტის ეკოლოგიური კანონმდებლობისა და პოლიტიკის ცენტრის, კოლუმბიის უნივერსიტეტის, მსოფლიო ეკონომიკური



ფორუმისა და ევროკომისიის კვლევითი ცენტრის ერთობლივი პროექტი;

➤ ევროკომისიის ეკონომიკის ინდექსი;

### ***ეკონომიკური უსაფრთხოება***

ICRC ეკონომიკური უსაფრთხოება განსაზღვრავს ინდივიდების, შინამეურნეობების ან თემების უნარს, დაფარონ თავიანთი ძირითადი საჭიროებები მდგრადად და ღირსეულად. იგი შეიძლება განსხვავდებოდეს ინდივიდის ფიზიკური მოთხოვნილებების, გარემოსა და კულტურული სტანდარტების მიხედვით. ეკონომიკური სტაბილურობა ბედნიერების მნიშვნელოვანი ფაქტორია. როდესაც ეკონომიკა სტაბილური და პროგნოზირებადია, ადამიანებს შეუძლიათ დაგეგმონ და ინვესტიციები განახორციელონ საკუთარი და შვილების მომავლისთვის. ეკონომიკური უსაფრთხოების პროგრამები, როგორცაა სოციალური უზრუნველყოფა, სასურსათო დახმარება, საგადასახადო კრედიტები და საბინაო დახმარება, ხელს უწყობს ნდობას სახელმწიფოსა და ინსტიტუტების მიმართ. იმავდროულად ამ პროგრამებს მოკლევადიან პერიოდში სიღარიბისა და გაჭირვების შემცირებით აქვს გრძელვადიანი შედეგებიც.

ეკონომიკური უსაფრთხოება უმთავრესად ემყარება სოციალურ უზრუნველყოფას, განისაზღვრება ძირითადი საჭიროებების ინფრასტრუქტურაზე ხელმისაწვდომობით, რომელიც ეხება ჯანმრთელობას, განათლებას, საცხოვრებელს, ინფორმაციას და სოციალურ დაცვას, ასევე სამუშაოსთან დაკავშირებულ უსაფრთხოებას.

სახელმწიფოს ეკონომიკური უსაფრთხოება ძირითადად მოიცავს: ფინანსურ, სოციალურ, დემოგრაფიულ, ინოვაციურ, საინვესტიციო, სასურსათო, ენერგეტიკულ და ტექნოლოგიურ კომპონენტებს. სახელმწიფოს ეკონომიკური უსაფრთხოების მაღალი დონე კი მიიღწევა მისი თითოეული კომპონენტის უსაფრთხოების უზრუნველყოფის გზით.

სახელმწიფოს ეკონომიკური უსაფრთხოების დონის შესაფასებლად იყენებენ სხვადასხვა ინდიკატორებს. ერთ-ერთი ასეთი ინდიკატორია ***ეკონომიკური თავისუფლების*** ხარისხი. ***ნიდერლანდების*** ეკონომიკური თავისუფლების ინდექსი არის 79.5, რაც განაპირობებს მის მე-8 ადგილს 2022 წლის ინდექსში. ნიდერლანდები ევროპის რეგიონის 45 ქვეყანას შორის მე-5 ადგილზეა და

მისი ინდექსი აღემატება რეგიონულ და მსოფლიო საშუალო მაჩვენებელს.

**ბელგიის** ეკონომიკური თავისუფლების ინდექსი არის 69,6 და იკავებს 37-ე ადგილს 2022 წლის ინდექსში. ბელგია ევროპის რეგიონის 45 ქვეყანას შორის 24-ე ადგილზეა და მისი მნიშვნელობა აღემატება რეგიონულ და მსოფლიო საშუალო მაჩვენებელს.

**ლუქსემბურგის** ეკონომიკა ხასიათდება ფისკალური სისტემით და საერთაშორისო ღიაობის მაღალი ხარისხით. ფინანსური სექტორი არის დიდი საპროცენტო ეკონომიკის მთავარი მამოძრავებელი ძალა, რომელიც წარმოადგენს ქვეყნის მთლიანი სამამულო პროდუქტის დაახლოებით მესამედს, რაც ქვეყანას დაუცველს ხდის გარე შოკების მიმართ. საფრანგეთთან, ბელგიასა და გერმანიასთან სიახლოვეთ ლუქსემბურგს აქვს შერეული ეკონომიკა, რომელშიც ეკონომიკა მოიცავს ღიაობისა და სამეწარმეო საქმიანობის მაღალ დონეს და ცენტრალიზებულ ეკონომიკურ დაგეგმვას სამთავრობო რეგულირებასთან ერთად.

ეკონომიკური უსაფრთხოება ცხადია, პირდაპირ უკავშირდება მსოფლიოში დღეს არსებულ მდგომარეობას და ახალ ლოჯისტიკურ შესაძლებლობებს, მათ შორის ევროპის უდიდესი ანუ როტერდამის პორტისთვის, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ მსოფლიოში დღეს არსებული მდგომარეობა უკავშირდება რუსეთ-უკრაინის ომს, რომელიც აქტიურ ფაზაშია, შესაბამისად ვითარება არაა სტაბილური და ვერც იქნება მდგომარეობის დასტაბილურებამდე. სავაჭრო ურთიერთობების, ლოჯისტიკური ქსელების დატვირთვების შეფასება ამ ეტაპისათვის უადრესად რთულია. ვინაიდან ქვეყნები ცდილობენ მოიძიონ ახალი ლოჯისტიკური ქსელები. გერმანია ევროკავშირის ყველაზე მნიშვნელოვანი ქვეყანა ჩინეთთან ვაჭრობის თვალსაზრისით, მაგრამ ნიდერლანდები იმპორტის მხრივ მეორე ადგილს იკავებს. მეტიც, გერმანიის იმპორტის უმეტესობა ევროპაში შემოდის როტერდამის პორტის გავლით, მაგრამ მომავალში ჩინეთმა შესაძლოა გაზარდოს დუიხბურგთან სარკინიგზო კავშირის გამოყენება. ექსპერტთა პროგნოზების მიხედვით, მომდევნო ორი ათწლეულის განმავლობაში ჩინეთის ვაჭრობა ევროპასთან შესაძლებელია გაგრძელდეს სუეცის არხის მარშრუტის გამოყენებით, თუმცა ნავთობისა და გაზის პროდუქტების იმპორტი, ნაწილობრივ მაინც, შესაძლებელია

ევროპაში შევიდეს როტერდამის პორტის გზით. ეს კი პოტენციალია როტერდამის პორტისთვის. ტურიზმი და მეთევზეობა არის ორი სხვა პოტენციური ეკონომიკური სექტორი, რომელიც უაღრესად საინტერესოა ნიდერლანდებისათვის არქტიკულ წყლებზე წვდომის გაზრდასთან დაკავშირებით. კრუიზები არქტიკაში უკვე დაწყებულია და, სავარაუდოდ, მათი რაოდენობა გაიზრდება. რაც შეეხება მეთევზეობას, დღეისათვის დიდი ჰოლანდიური ფირმები მუშაობენ არქტიკულ წრესთან ახლოს. ჩრდილოეთით ცურვა დიდწილად იქნება დამოკიდებული ეკონომიკურ ბიზნესზე, განსაკუთრებით თუ დამატებითი ხარჯები – როგორცაა გემის კორპუსის გამაგრება, დამატებითი საწვავი და ა.შ. – დაბალანსდება შემოსავლების მიხედვით. გარდა ამისა, თევზაობა საერთაშორისო წყლებში აკრძალულია შეთანხმებით, რომელიც ხელს უშლის ცენტრალურ არქტიკულ ოკეანეში ღია ზღვაში მეთევზეობას.

**ნახ. 1. ეკონომიკური უსაფრთხოების ინდიკატორები  
ბენელუქსის ქვეყნებში**

<i>ქვეყანა</i>	<i>კონკურენტუნარიანობის ინდექსი</i>	<i>ეკონომიკური თავისუფლების ინდექსი</i>
<i>ბელგია</i>	<i>76,38 (მსოფლიო რანგი - 24)</i>	<i>69,6 (მსოფლიო რანგი - 37)</i>
<i>ლუქსემ-ბურგი</i>	<i>77,03 (მსოფლიო რანგი - 12)</i>	<i>80,6 (მსოფლიო რანგი - 5)</i>
<i>ნიდერ-ლანდები</i>	<i>94,29 (მსოფლიო რანგი - 6)</i>	<i>79,5 (მსოფლიო რანგი - 8)</i>

წყარო: <https://www.heritage.org/index/ranking>

**სოციალური უსაფრთხოება**

ბელგიის საგანმანათლებლო სფეროს ათწლიანმა რეფორმამ გამოიწვია მდგომარეობის მცირე გაუმჯობესება. მიუხედავად იმისა, რომ სტუდენტებმა გამოავლინეს ზოგადად ძლიერი უნარები, განათლების საერთო დონე მაინც დაბალია, განსაკუთრებით ქვეყნის ფრანგულენოვან ნაწილში. განათლებაზე ხელმისაწვდომობა დიდწილად თანაბარია. ჯანმრთელობის დაცვის სფერო ფართო და ინკლუზიური, ზრუნვაზე ხელმისაწვდომობის ხარისხი კი — მაღალი. ბავშვზე ზრუნვა არის ხელმისაწვდომი. როდესაც ბელ-

გიაში ახალ სამუშაოს იწყებთ, დამსაქმებელმა უნდა უზრუნველყოს, დასაქმებულის დარეგისტრირება საჭირო შენატანების შესატანად. სოციალური დაზღვევის შენატანები ყოველთვიურად პირდაპირ ხელფასიდან ჩამოიჭრება. სოციალური დაცვის სისტემაში დასაქმებულები ხელფასის 13,07%-ს იხდიან, დამსაქმებლები კი – ორჯერ მეტს (დაახლოებით 27%).

**ნიდერლანდების** სოციალური დაცვის სისტემა შედგება სოციალური სერვისებისა და სოციალური დაზღვევებისაგან. სოციალური დაზღვევა შეიძლება დაიყოს ეროვნულ დაზღვევად და დასაქმებულთა დაზღვევად. მთავარი განსხვავება მდგომარეობს იმაში, რომ სოციალურ სერვისებს სახელმწიფო აფინანსებს გადასახადებით, ხოლო ხალხი ვალდებულია ეროვნული დაზღვევა გადაიხადოს პრემიით. ეროვნული დაზღვევის გადახდა ხდება შემოსავალთან დაკავშირებული პრემიებითა და დაზღვევით. დასაქმებულთა დაზღვევა, მეორე მხრივ, იხდის შემოსავალთან დაკავშირებული პრემიით თანამშრომლებისთვის. ნიდერლანდების სოციალური უზრუნველყოფის სისტემა ორიენტირებულია ინდივიდებისა და ოჯახების დახმარებაზე, რომლებიც აღმოჩნდნენ რთულ ფინანსურ მდგომარეობაში. სოციალური სისტემა უზრუნველყოფს შესაბამის ფინანსურ მხარდაჭერას, როდესაც ამას მოითხოვს ოჯახის მდგომარეობა. იგი განკუთვნილია ადამიანებისათვის, რომლებიც იღებენ არასაკმარის შემოსავალს (მუდმივსა და დროებითს) უმუშევრობის, ინვალიდობის, დაავადების ან პენსიაზე გასვლის გამო. დასაქმებულებს ექვითებათ სოციალური უზრუნველყოფის შენატანები მათი მთლიანი ხელფასის 27,65%-ის ოდენობით; დამსაქმებლებმა უნდა გადაიხადონ უმუშევრობის პრემია 2,94% ან 7,94% ხელშეკრულების ხანგრძლივობის მიხედვით. დამსაქმებლებმა ასევე უნდა შეიტანონ წვლილი 8,55%-ით ინვალიდობის დაზღვევაში და 5%-ით ბავშვის მოვლისთვის. სოციალური უზრუნველყოფა ნიდერლანდებში ემყარება სოლიდარობის პრინციპს. ყველა მოქალაქეს კოლექტიური მხარდაჭერა აქვს და მაღალი შემოსავლის მქონე ადამიანები უფრო დიდ კონტრიბუციას იხდიან სისტემაში, ვიდრე დაბალი ხელფასის მქონე ადამიანები.

ეფექტური მიდგომების რეალიზაციით, **ნიდერლანდები** მე-13 ადგილზეა სოციალური პოლიტიკის მიხედვით. მიუხედავად

იმისა, რომ განათლების დონე მაღალია, ქვეყნის განათლების სისტემისათვის რთულია შრომის ბაზრის საჭიროებებთან სწრაფი ადაპტაცია. პოლიტიკის აქცენტი გადატანილია მასწავლებლების მწვავე დეფიციტის დაძლევისა და დაფინანსების მოდელის რეფორმაზე. სიღარიბის რისკი ძალიან დაბალია ევროკავშირის ქვეყნებთან შედარებით. შემოსავლების თვალსაზრისით გენდერული თანასწორობაა. მთავრობა უზრუნველყოფს ბავშვის შემწეობას და დედის შვებულებას. საპენსიო სისტემა ზოგადად ძლიერია. ქვეყანაში იმიგრანტი მოსახლეობის დიდი რაოდენობაა და შესაბამისად კარგადაა განვითარებული ინტეგრაციის პოლიტიკა.

ძლიერი სოციალური უსაფრთხოების ქსელით **ლუქსემბურგი** თავისი სოციალური პოლიტიკით, საერთაშორისო რანჟინგებით ერთ-ერთ პირველ ადგილზეა (მე-3 ადგილი). განათლებაზე დანახარჯები მაღალია, ამავდროულად უთანასწორობისა და სიღარიბის მაჩვენებლები იზრდება, რაც გამოწვეულია ქონებისა და იჯარის მაღალი ხარჯებით. სწრაფად მზარდი საბინაო ხარჯების საპასუხოდ, 2018 წელს ამოქმედდა ახალი საბინაო შემწეობა, გაფართოვდა ბავშვზე ზრუნვის სერვისები. ქალთა შრომის ბაზარზე მონაწილეობის მაჩვენებელი შედარებით დაბალია, თუმცა ზრდადი. ზოგადად, მაღალი ხარისხის ჯანდაცვის სისტემას უჭირს მოსახლეობის ზრდის ტემპის შესაბამისი სერვისების უზრუნველყოფა და პაციენტები ხშირად იგზავნებიან ახლომდებარე ქვეყნებში სამკურნალოდ. საპენსიო შეღავათები საკმაოდ მაღალია, მაგრამ მდგრადობის უზრუნველსაყოფად საჭიროა შემდგომი რეფორმები. ქვეყნის მაცხოვრებლების ნახევარზე მეტი მიგრანტები არიან. ნატურალიზაციის ახალმა აქტმა გაამარტივა გზა მოქალაქეობისკენ და ყველა უცხოელს, იქნება ეს ევროკავშირის თუ მესამე ქვეყნის მოქალაქეები, შეუძლიათ ადგილობრივ არჩევნებში ხმის მიცემა, თუ ისინი აკმაყოფილებენ ბინადრობის მოთხოვნებს.

**ნახ. 2. სოციალური უსაფრთხოების ინდიკატორები ბენელუქსის ქვეყნებში (2021 წლის მონაცემებით)**

<i>ქვეყანა</i>	<i>ადამიანის განვითარების ინდექსი</i>	<i>ცხოვრების ხარისხის ინდექსი</i>	<i>სოციალური პროგრესის ინდიკატორი</i>
----------------	---------------------------------------	-----------------------------------	---------------------------------------

ბელგია	0,937 (მსოფლიო რანგი - 13)	155,76 (მსოფლიო რანგი - 26)	87,22 (მსოფლიო რანგი - 16)
ლუქსემ-ბურგი	0,930 (მსოფლიო რანგი -17)	173,76 (მსოფლიო რანგი - 13)	87,48 (მსოფლიო რანგი - 14)
ნიდერ-ლანდები	0,941 (მსოფლიო რანგი - 10)	191,46 (მსოფლიო რანგი - 3)	88,97 (მსოფლიო რანგი - 7)

წყარო: [https://www.numbeo.com/quality-of-life/rankings\\_by\\_country.jsp](https://www.numbeo.com/quality-of-life/rankings_by_country.jsp)  
<https://www.socialprogress.org/global-index-2022-results>

**სოციალური პროგრესის ინდიკატორი.** 2022 წლის სოციალური პროგრესის ინდექსი 169 ქვეყანას აფასებს სოციალური პროგრესის მიხედვით. ინდექსი აერთიანებს 60 სოციალური და გარემოსდაცვითი შედეგების ინდიკატორს, რომელთა საფუძველზეც ფასდება ქვეყნების დონე მინიჭებული ქულების მიხედვით, რომელიც მოიცავს ზომებს ჯანმრთელობის, უსაფრთხოების, განათლების, ტექნოლოგიების, უფლებებისა და სხვა სფეროებში. სოციალური პროგრესის ინდექსი აფასებს სოციალური პროგრესის ზოგიერთ ასპექტს მსოფლიოს მოსახლეობის 99,97%-ზე მეტში. 2011 წლიდან ინდიკატორის დინამიკის ანალიზით ჩვენ შეგვიძლია უკეთ გავიგოთ რა მიმართულებით ვითარდებიან ქვეყნები, რათა ნათლად დავინახოთ წინგადადგმული ნაბიჯები და ჩამორჩენა. ის ნათელ სურათს იძლევა იმის შესახებ, თუ როგორ ცხოვრობენ ადამიანები მთელ მსოფლიოში, რა არის მათი საჭიროებები და გვიჩვენებს, თუ რა უნდა გაკეთდეს მათი ცხოვრების გასაუმჯობესებლად. ზოგადად მიმდინარე ინდექსი ხაზს უსვამს იმას, რომ თუ ჩვენთან არ განხორციელდა რადიკალური ცვლილებები, სავარაუდოდ, მომავალ წელს გადავალთ სოციალური პროგრესის რეცესიაში. მთლიანობაში მსოფლიოს მაჩვენებელი გაუმჯობესდა, მაგრამ გასულ წელს – მხოლოდ 0,37 პუნქტით, რადგან 52 ქვეყანაში (31%) დაფიქსირდა სოციალური პროგრესის კლება. მიუხედავად იმისა, რომ 2011 წლიდან მსოფლიოს მაჩვენებელი 5,4 პუნქტით გაუმჯობესდა, ბოლო ხუთ წელიწადში (2017 წლიდან) პროგრესის ტემპი თითქმის ნახევრით შენედა (2011-16 +3,44 პუნქტი; 2017-22 +1,95 პუნქტი). მისი შენელების ერთ-ერთი მიზე-



ზია Covid-ის მემკვიდრეობა. კლიმატის ცვლილების, ეკონომიკური ტურბულენტობისა და პოლიტიკური ცვლილებების რისკების გათვალისწინებით, არსებობს მნიშვნელოვანი მოლოდინი, რომ პირველად მსოფლიოში სოციალური პროგრესის მაჩვენებელი შემცირდეს 2023 წელს.

### **ეკოლოგიური უსაფრთხოება**

გარემოსდაცვითი ეფექტურობის ინდექსი (EPI) არის სახელმწიფოს პოლიტიკის გარემოსდაცვითი მაჩვენებლების რაოდენობრივი შეფასების მეთოდი. EPI შემუშავდა იელისა (იელის გარემოსდაცვითი სამართლისა და პოლიტიკის ცენტრი) და კოლუმბიის (დედამიწის მეცნიერების საერთაშორისო საინფორმაციო ქსელის) უნივერსიტეტების მიერ მსოფლიო ეკონომიკურ ფორუმთან და ევროკომისიის ერთობლივ კვლევით ცენტრთან თანამშრომლობით. პროექტის მიზანია გარემოსდაცვითი მდგრადობის შეფასება. ინდექსი ეფუძნება შედეგზე ორიენტირებულ ინდიკატორებს და გამოიყენება როგორც საორიენტაციო ინდექსი, რომელსაც იყენებენ პოლიტიკის შემქმნელები, გარემოს შემსწავლელი მეცნიერები, ფართო საზოგადოება. ზოგჯერ ამ ინდექსს მოიხსენიებენ როგორც გარემოსდაცვითი მდგრადობის ინდექსს (ESI), რომელიც გარემოს მდგრადობის მიმართულებით პროგრესის საზომია [Wolf, M. J., Emerson, J. W., Esty, D. C., de Sherbinin, A., Wendling, Z. A., *et al.* (2022)].

ევროკავშირის შესაბამისი სტრუქტურების მიერ ქვეყნის ეკოლოგიური უსაფრთხოების შეფასებისათვის შემუშავდა ინდიკატორი – ეკონოვაციის ინდექსი. ეკონოვაციის ინდექსი არის კომპოზიტური ინდექსი, დაფუძნებული 16 ინდიკატორზე და ასახავს ეკონოვაციების ეფექტიანობას ევროკავშირის წევრ ქვეყნებში. იგი ეკონოვაციების სხვადასხვა ასპექტებს გამოხატავს ხუთ განზომილებაში დაჯგუფებული 16 ინდიკატორის გამოყენებით: 1. ეკონოვაციების მიწოდება; 2. ეკონოვაციური აქტივობები; 3. ეკონოვაციების შედეგები; 4. რესურსების ეფექტიანობა; 5. სოციალურ-ეკონომიკური შედეგები. ეკონოვაციების ინდექსი გვიჩვენებს, თუ რამდენად კარგად მუშაობენ ცალკეული წევრი სახელმწიფოები ეკონოვაციების სხვადასხვა განზომილებაში და წარმოაჩენს მათ ძლიერ და სუსტ მხარეებს. იგი ასევე მიზნად ისახავს ხე-

ლი შეუწყოს ეკონომიკურ, გარემოსდაცვითი და სოციალური საქმიანობის შესახებ ჰოლისტიკური ხედვის განვითარებას.

**ეკონოვაციების მიწოდება.** ეკონოვაციების მიწოდება მოიცავს ინვესტიციებს (ფინანსურ და/ან ადამიანურ რესურსებს), რომლებიც მიზნად ისახავს ეკონოვაციური საქმიანობის გააქტიურებას. იგი მოიცავს სახელმწიფო დანახარჯებს გარემოსდაცვით კვლევებსა და განვითარებაზე (მსპ-ს %), R&D პერსონალსა და მკვლევარებს (დასაქმებულთა %); მწვანე ინვესტიციების ჯამურ ღირებულებას (USD/capita);

**ეკონოვაციური აქტივობები** მოიცავს უშუალოდ კომპანიების მიერ განხორციელებული ეკონოვაციური აქტივობების მონიტორინგის ინდიკატორებს. ეს კომპონენტი ფოკუსირებულია კონკრეტულ აქტივობებზე და არა ინოვაციური საქმიანობის შედეგებზე. მაგალითად, განიხილება ინდიკატორები: რესურსების ეფექტური მოხმარების იმპლიმენტაცია მცირე და საშუალო საწარმოებში (ქულა); მდგრადი პროდუქტების დანერგვა მცირე და საშუალო საწარმოებში (გამოკითხული ფირმების %); ISO 14001 სერტიფიკატების რაოდენობა (მლნ მოსახლეზე).

**ეკონოვაციების შედეგები.** ეკონოვაციის შედეგები აღწერს ეკონოვაციების საქმიანობის უშუალო შედეგებს. ამ კომპონენტის ინდიკატორები გამოიყენება იმის მონიტორინგისთვის, თუ რამდენადაა დაკავშირებული ბიზნესისა და მკვლევრების მიერ წარმოებული ცოდნის შედეგები ეკონოვაციებთან. ინდიკატორებია ეკონოვაციებთან დაკავშირებული პატენტები (მლნ მოსახლეზე), აკადემიური პუბლიკაციები (მლნ მოსახლეზე), მედია პროდუქტი (მლნ მოსახლეზე).


**ეკონოვაციების სოციალურ-ეკონომიკური შედეგები.** ეკონოვაციების სოციალურ-ეკონომიკური შედეგები ასახავს ეკონოვაციური საქმიანობის ეფექტებს. იგი მოიცავს დასაქმების, ბრუნვის ან ექსპორტის ცვლილებებს, რომლებიც დაკავშირებულია ეკონოვაციური აქტივობების განხორციელებასთან. ინდიკატორებია: პროდუქციის ექსპორტი ეკონიდუსტრიებიდან (მთლიანი ექსპორტის %); დასაქმება გარემოს დაცვისა და რესურსების მართვის საქმიანობებში (სამუშაო ძალის %); გარემოს დაცვისა და რესურსების მართვის აქტივობებში წარმოქმნილი დამატებითი ღირებულება (მსპ-ის %);



**ეკონომიკური რესურსების ეფექტიანობის შედეგები.**  
 რესურსების ეფექტიანობის შედეგები უკავშირდება ეკონომიკური გაზრდის შედეგებს რესურსების პროდუქტიულობის გაუმჯობესებაზე. ეკონომიკის შეუძლია ორმაგად დადებითი გაზრდა მოახდინოს რესურსების ეფექტიანობაზე: მას შეუძლია გაზარდოს ეკონომიკური ღირებულება და ამავე დროს შეამციროს ზეწოლა ბუნებრივ გარემოზე. ინდიკატორებია მატერიალური პროდუქტიულობა (მსპ/მასალების შიდა მოხმარება), წყლის პროდუქტიულობა (მსპ/მტკნარი წყლის მთლიანი მოცულობა), ენერჯის პროდუქტიულობა (მსპ/მთლიანი შიდა ენერჯის მოხმარება), სათბურის გაზების ემისიების ინტენსივობა (CO<sub>2</sub>e/GDP).

როგორც ვხედავთ ზემოთ აღწერილი ინდიკატორები საკმაოდ სრულყოფილად აღწერს და ასახავს ქვეყნის ეკოლოგიურ მდგომარეობას, გვაძლევს როგორც არსებული მდგომარეობის ნათელ სურათს, ასევე გარემოსდაცვითი ღონისძიებების მასშტაბს, ეფექტიანობას და პექსპექტივებს. საინტერესოა აგრეთვე ისიც, რომ საკმაოდ მაღალია კორელაცია ეკოლოგიური უსაფრთხოების შეფასებისათვის გამოყენებულ ამ ინდექსსა და ერთ სულ მოსახლეზე გაანგარიშებულ მთლიან სამამულო პროდუქტს შორის.

**ნახ.3. დამოკიდებულება ერთ სულ მოსახლეზე გაანგარიშებულ მსპ-ს და EPI შორის**



წყარო: <https://epi.yale.edu>

როგორც იელის უნივერსიტეტის მიერ განხორციელებული კვლევებიდან კარგად ჩანს, ეკოლოგიური მდგრადობის შეფასების თვალსაზრისით საუკეთესო შედეგებით გამოირჩევიან ჩრდილოეთ ევროპის ქვეყნები.

საინტერესოა აგრეთვე ბენილუქსის ქვეყნების გამოცდილებაც, რომლებიც ატარებენ მიზანმიმართულ და გონივრულ ეკოლოგიურ პოლიტიკას. ამ ქვეყნების შეფასებისათვის, რა თქმა უნდა, შეგვიძლია დავეყრდნოთ ზემოაღწერილ ინდიკატორებსაც, ვინაიდან დღეისათვის სწორედ ამ ინდექსების რიცხვითი მნიშვნელობების მიხედვით მარტივადაა შესაძლებელი არა მხოლოდ ქვეყნების მდგომარეობის შეფასება, არამედ მათი შედარებაც (ხუსკივაძე მ., თოთლაძე ლ. 2022).

ბენელუქსი ცდილობს იყოს ლიდერი როგორც ევროპულ თანამშრომლობაში, ასევე თანამედროვე გამოწვევების კონტექსტში, როგორცაა COVID-19-ის კრიზისიდან მწვანე აღდგენა. ბენილუქსის კავშირმა წარმოადგინა თავისი ერთობლივი სამუშაო პროგრამა 2021-2024 წლებისთვის. ხელშეკრულება განსაზღვრავს მის ერთ-ერთ მთავარ მიზანს, იყოს „ცოცხალი ლაბორატორია ევროპისთვის“ და უახლოესი წლების გეგმები ეხმიანება სწორედ ამ ამბიციას. თუ გავითვალისწინებთ მწვანე შეთანხმების მნიშვნელოვან როლს ევროკავშირისათვის, მდგრად ეკონომიკაზე გადასვლა იქნება მომავალი წლების სამი ძირითადი პრიორიტეტიდან ერთ-ერთი ბენელუქსში ბელგიის პრეზიდენტობის პირობებში. იმის გამო, რომ ბელგია, ნიდერლანდები და ლუქსემბურგი მიიჩნევენ, რომ მდგრადობა მათი უნიკალური ეკონომიკური მოდელის ბირთვია, ბენელუქსი წელს დაიწყებს "ბენელუქსის მწვანე გარეგების" რეალიზაციას. მათი მიზანია ენერგეტიკისა და მდგრადი განვითარების სფეროში ტრანსსასაზღვრო პილოტური პროექტების დანერგვა, რაც, მათი მოსაზრებით, „ბენელუქსის მწვანე გარეგების“ მოდელის განხორციელებას ასევე შესაძლებელს გახდის ევროკავშირის მასშტაბით (ხუსკივაძე მ., თოთლაძე ლ. 2022).

**ლუქსემბურგი** საკმაოდ წარმატებულია გარემოსდაცვითი პოლიტიკის განხორციელების მიმართულებით. ქვეყანამ პროგრესს მიაღწია ემისიების შემცირების თვალსაზრისით, თუმცა მისი ამჟამინდელი მიზანი (2005 წელთან შედარებით), 40%-იანი შემცირება, რომელიც 2030 წლისთვის უნდა მიღწეულიყო, საკმაოდ ამბიცი-

ური ჩანს. სახელმწიფომ მომხმარებლებისთვის უფასო გახადა სა-ზოგადოებრივი ტრანსპორტი, აფართოებს ტრამვაის ქსელს და მხარს უჭერს ელექტრონული ველოსიპედების შექმნას. საწვავის მოხმარება კლებულობს. განხორციელებული სტრატეგიის შედეგად, მომავალი ემისიების შემცირების მიზნები მიიღწევა CO<sub>2</sub>-ზე გადასახადის, საავტომობილო მოძრაობის ელექტრიფიკაციის, ახალი საცხოვრებელი კორპუსების ენერგოეფექტურობის უფრო მაღალი სტანდარტების დანერგვით და ნავთობის გათბობის განახლებადი ენერჯის წყაროებით ჩანაცვლების გზით. რაც შეეხება გარემოსდაცვითი ეფექტურობის ინდექსს (EPI) ლუქსემბურგი მსოფლიო რანგით მე-6 ადგილზეა, ხოლო ინდექსის მნიშვნელობა კი 72,3 (<https://epi.yale.edu>).

ლუქსემბურგი უსწრებს ევროკავშირის სხვა წევრ ქვეყნებს და 2021 წლის ეკონომიკის ინდექსში 175 ქულით პირველ ადგილს იკავებს, 2017 წელს ეს მაჩვენებელი შეადგენდა 157 ([https://ec.europa.eu/environment/ecoap/indicators/index\\_en](https://ec.europa.eu/environment/ecoap/indicators/index_en)). ქვეყანამ ბოლო პერიოდში გააუმჯობესა 2019 წლის ხუთკომპონენტური ინდექსის თითქმის ყველა მაჩვენებელი და გადააჭარბა ევროკავშირის საშუალო მაჩვენებელს. ლუქსემბურგში არსებობს ინიციატივები საკვების ნარჩენების გადანაწილებიდან და მეორეული ტანსაცმლისა და ავეჯის გამოყენებიდან აგროეკოლოგიამდე, რომელთა რეალიზაციაც ხელს უწყობს ქვეყნის მოწინავე პოზიციებზე ყოფნას. ორგანული პროდუქტების მაღაზიებში პროდუქცია იყიდება პაკეტების გარეშე, სუბსიდირდება ელექტრომანქანები და ველოსიპედები. აღსანიშნავია აგრეთვე ლუქსემბურგის პირველი ეკოსოფლის არსებობაც. კლიმატის ცვლილებებთან დაკავშირებულ პოლიტიკის კონტექსტში, 2020 წლის დეკემბერში **ლუქსემბურგმა** მიიღო კლიმატის კანონი, რომლის მიხედვითაც განისაზღვრა კლიმატის ნეიტრალიტეტის სამიზნე მაჩვენებელი 2050 წლისთვის და 55%-იანი ემისიების შემცირების სამიზნე მაჩვენებელი 2030 წლისთვის.

კლიმატის ცვლილებისა და კლიმატთან ადაპტაციის პოლიტიკით **ნიდერლანდები** მოწინავე რიგებშია. მთავრობა აქტიურად უჭერს მხარს ევროკავშირის ძალისხმევას გლობალური გარემოსდაცვითი რეჟიმების განვითარებაში. ნიდერლანდები მსოფლიოში პირველ ადგილზეა მატერიალური რესურსების ხელახალი გამო-

ყენების თვალსაზრისით: პირველ რიგში ეს ეხება ნარჩენების მენეჯმენტს. ნიდერლანდების პოლიტიკა ამ მიმართულებით შეიძლება ჩაითვალოს სამაგალითო მოდელად დანარჩენი მსოფლიოსთვის. ნიდერლანდების მდგრადი განვითარების მიზანმიმართული პოლიტიკა აისახება ჭკვიანი ქალაქის სტრატეგიაშიც. ტრანსპორტის, ენერგეტიკისა და მრეწველობის სფეროების მიმართულებით გაწეული ერთობლივი ძალისხმევის შედეგად, ნიდერლანდების მდგრადი ინფრასტრუქტურა ორიენტირებულია ნახშირორჟანგის გამოყოფის შემცირებაზე. გარდა ამისა, ქვეყანა უზრუნველყოფს კომპანიებს და ინდივიდებს განახლებადი რესურსებით მდიდარი, ეკოლოგიურად სუფთა საცხოვრებელი ადგილებით. ნიდერლანდები დასახელდა ევროპის ყველაზე მწვანე ქვეყანად მოგზაურობისთვის (ამას არაფერი აქვს საერთო ველოსიპედის სიყვარულთან). ნიდერლანდების სტატისტიკის თანახმად, განახლებადი ენერჯის მოხმარებამ შეადგინა 2020 წელს ჰოლანდიის მთლიანი ენერჯის მოხმარების 11.1 % ([www.sgi-network.org](http://www.sgi-network.org)).

**ნიდერლანდების** გეოგრაფიული მდებარეობიდან გამომდინარე, კლიმატის ცვლილების ზეგავლენის თვალსაზრისით, ქვეყნის პოლიტიკა უკავშირდება სანაპირო ზონის დაცვასაც. კლიმატის ცვლილება სანაპირო რეგიონებზე ახდენს სამი ძირითადი ტიპის ზემოქმედებას: წყალდიდობა ქარიშხლის დროს, სანაპირო ეროზია და დაკარგვა ან გადაადგილება ბუნებრივი ჭარბტენიანი ტერიტორიების შიგნით. მოსალოდნელი ზეგავლენა დაკავშირებულია აგრეთვე მიწისქვეშა წყლების დონის აწევასა და ნიადაგისა და მიწისქვეშა წყლების დამლაშებასთან. კლიმატის ცვლილებასთან საბრძოლველად, ნიდერლანდების მთავრობას სურს შეამციროს ნიდერლანდების სათბურის გაზების ემისიები 49%-ით 2030 წლისთვის, 1990 წელთან შედარებით, და 95%-ით – 2050 წლისთვის. ეს მიზნები დასახულია კლიმატის აქტში, რომელიც მიღებულია 2019 წლის 28 მაისს. ნიდერლანდები ინდექსით, რომელიც 62,6-ის ტოლია, მსოფლიო რანჟირებულ ცხრილში მე-11 ადგილზეა, ხოლო ეკონომიკის ინდექსი 2021 წლისათვის კი 124-ია (ინდექსის მნიშვნელობა 2017 წლისათვის შეადგენდა 106).

არქტიკაში კლიმატის ცვლილების შედეგები ნიდერლანდებში ასევე განიხილება, როგორც გლობალური დათბობის გავლენის გამოხატულება. ასევე, განიხილება ზღვის დონის აწევა, თუმცა ეს

უფრო გრძელვადიანია პრობლემა. ნიდერლანდების სამეფო მეტეოროლოგიური ინსტიტუტი ზღვის დონის აწევას პროგნოზირებს ჰოლანდიის სანაპიროზე 2050 წლისთვის მაქსიმუმ 40 სმ-ით და 2085 წლისთვის – მაქსიმუმ 80 სმ-ით. 2100 წლისთვის ზღვის დონის მაქსიმალური ზრდა შეიძლება იყოს 1 მეტრი. უახლესი მაჩვენებლები გვიჩვენებს არქტიკისა და ანტარქტიდის ყინულის უფრო სწრაფ დნობას წინა მონაცემებთან შედარებით. ამინდის ცვალებადობამ და ზღვის დონის აწევამ შეიძლება გამოიწვიოს მეტი დატბორვა, რასაც გავლენა ექნება სოფლის მეურნეობაზე, ბუნებაზე, ტურიზმსა და ჯანმრთელობაზე. 2017 წელს მიღებული ახალი ნორმებით განისაზღვრა ღონისძიებები დინებისა და დიუნების გასამაგრებლად და 2019 წელს დაიწყო ახალი პროგრამის განხორციელება ამ საკითხების მოგვარებისათვის.

ნიდერლანდებისა და ლუქსემბურგისაგან განსხვავებით, გარემოსდაცვითი პოლიტიკის არათანმიმდევრული სტრატეგიები გამო, **ბელგია** საერთაშორისო რეიტინგში 26-ე ადგილს იკავებს. მთავრობის კლიმატის პოლიტიკა ძირითადად არაეფექტურია. 2009-2012 წლების კლიმატის ეროვნული გეგმა რჩება მიმდინარე პოლიტიკად, ხოლო ეროვნული ენერგეტიკის 2021-2030 წლების კლიმატის გეგმა არ იყო დასრულებული 2019 წლის ვადის მიუხედავად. ჰაერის დაბინძურება ქალაქებში სერიოზული პრობლემაა. ამის გამო ბრიუსელის გეგმა, 2035 წლისთვის აკრძალოს წიაღისეულ საწვავზე მომუშავე მანქანები. ეროვნული ენერგეტიკისა და კლიმატის გეგმის მიხედვით, **ბელგიამ** განსაზღვრა ეროვნული მიზანი 2030 წლისთვის, რაც ითვალისწინებს სათბურის გაზების ემისიების 35%-ით შემცირებას. გეგმა მოიცავს როგორც რეგიონულ ძალისხმევას/მიზნებს სათბურის გაზების ემისიების შესამცირებლად, ასევე ფედერალურ ზომებს, თუ მიზნების მიღწევა ვერ მოხერხდება რეგიონულ დონეზე (<https://www.sgi-network.org>).

რაც შეეხება რაოდენობრივ ასპექტებს: ბელგიის გარემოს მდგრადობის ინდექსი 58,2 (<https://global-reports.23degrees.eu/epi2022/root>), ხოლო ეკონომიკის ინდექსი — 107.

**ნახ. 4. ეკოლოგიური უსაფრთხოების ინდიკატორები ბენელუქსის ქვეყნებში**

ქვეყანა	EPI	ეკონომიკის ინდექსი
ბელგია	<b>58,2</b>	<b>107</b>
ლუქსემბურგი	<b>72,3</b>	<b>175</b>
ნიდერლანდები	<b>62,6</b>	<b>124</b>

წყარო: <https://epi.yale.edu>

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ არსებული მდგომარეობიდან და სამომავლო ამბიციური გეგმებიდან გამომდინარე, თავისი რეგიონალური და ტრანსსასაზღვრო თანამშრომლობით, ბენელუქსს შეუძლია აჩვენოს, თუ როგორ შეიძლება ეფექტურად განხორციელდეს საკმაოდ მაღალი სტანდარტების ევროპული კლიმატის პოლიტიკა ეკონომიკის მწვანე აღდგენისთვის. ეს აქცევს ბენელუქსს ევროკავშირის პოლიტიკის სამაგალითო ადგილად მდგრადობის სფეროში, რაც, რა თქმა უნდა, შეიძლება გახდეს მნიშვნელოვანი ნაბიჯი ევროკავშირის მასშტაბით ევროპის მწვანე შეთანხმების განსახორციელებლად უახლოეს ათწლეულებში.

**გამოყენებული ლიტერატურა**

1. ხუსკივაძე მ. (2017) საქართველოს ეკოლოგიური პოლიტიკა მდგრადი განვითარების კონტექსტში. საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „ეკონომიკური განვითარების სტრუქტურული და ინოვაციური პრობლემები. თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტი, თბილისი.
2. ხუსკივაძე მ., თოთლაძე ლ. (2022). ეკოლოგიური უსაფრთხოება, როგორც მდგრადი განვითარების ფაქტორი: ბენელუქსის ქვეყნების გამოცდილება. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის 100 წლის იუბილესადმი მიძღვნილი მე-7 საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია: “გლობალიზაციის გამოწვევები ეკონომიკასა და ბიზნესში”, თბილისი.
3. Dick Zandee, Kimberley Kruijver and Adája Stoetman (2020). The Netherlands and Arctic security. <http://www.jstor.com/stable/resrep24676.8>

4. Wolf, M. J., Emerson, J. W., Esty, D. C., de Sherbinin, A., Wendling, Z. A., *et al.* (2022). *2022 Environmental Performance Index*. New Haven, CT: Yale Center for Environmental Law & Policy. [epi.yale.edu](http://epi.yale.edu);
5. <https://global-reports.23degrees.eu/epi2022/root>;
6. <https://ec.europa.eu>;
7. [https://ec.europa.eu/environment/ecoap/indicators/index\\_en](https://ec.europa.eu/environment/ecoap/indicators/index_en)
8. <https://www.sgi-network.org>;

*Lia Totladze,  
Tamar Tafladze*

## ECONOMIC, SOCIAL, AND ENVIRONMENTAL SECURITY IN THE BENELUX COUNTRIES

### Summary

Sustainable development, the purpose of which is to increase human well-being and quality of life, is based on the principle that the needs of the present must be met without endangering future generations. That takes into account the interests of economic development and environmental protection of society and primarily focuses on providing society with natural resources and environmental protection as much as possible from quantitative and qualitative changes.

The paper discusses the theoretical and empirical aspects of economic, social, and ecological security of sustainable development in the example of the Benelux countries. According to the United Nations' methodology for the evaluation of the economic, social, and ecological aspects of the country's development, a system of indicators has been developed. It should be noted that the experience of these countries in both social and economic terms is one of the most successful in the world. Special attention is paid to ecological indicators in theoretical and practical terms. The model of the Benelux countries is considered one of the successful and interesting models, and therefore the paper analyzes the features of the environmental policy and ecological security of the Benelux countries and the relevant indicators.

Based on the conducted research, which is based on the comparative analysis of economic, ecological, and environmental security indicators of the Benelux countries, we can conclude:

- Based on **Economic security** indicators, such as competitiveness and economic freedom indices calculated according to the United Nations methodology the Benelux countries occupy a leading position in the world. These indicators are especially high for the Netherlands and Luxembourg.
- In terms of **social security**, the policies of the Netherlands and Luxembourg are significantly effective and result-oriented. This is related to the state's implementation of correct and targeted social measures, especially in the Netherlands. Belgium is significantly behind them. The conclusions are also confirmed by the values of the human development index (HDI), quality of life index, and social progress index.
- In the context of **ecological security**, based on the values of the ecological sustainability index and the eco-innovation index, we can also highlight the extremely interesting policy results of the Netherlands, this country is exemplary in the field of environmental protection, climate change impact assessment and appropriate measures, and shows how fairly high European standards can be effectively implemented. Climate policy for a green recovery of the economy.
- From the analysis of the Benelux countries' **economic, social, and ecological security**, we can conclude that the current situation and effective, efficient, and progressive measures implemented in these countries align with the goals of sustainable development. The Benelux countries can be considered one of the successful examples, especially in the context of environmental security policy.



**გლობალური ეკოლოგიური საფრთხეები და მისი ეროვნული ტურიზმის უსაფრთხოებაზე გავლენის თეორიული საკითხები**

**ანოტაცია.** ნაშრომი ეძღვნება დღევანდელი მსოფლიოს ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრობლემას, როგორცაა გლობალური ეკოლოგიური საფრთხეები. ავტორს აღნიშნული პრობლემა დაკავშირებული აქვს ეროვნული ტურიზმის უსაფრთხოების საკითხებთან. ასევე მითითებული აქვს გლობალური ეკოლოგიური საფრთხეების ძირითადი მიზეზები და, რომ ისინი უშუალოდ ეხება კაცობრიობის არსებობას საერთოდ. ავტორს მოყვანილი აქვს ეკოლოგიური საფრთხეების განმარტება, რომელიც მიღებულია და შემდგომ მუდმივად იხვეწება გაეროს სხვადასხვა დებულებების მიხედვით; აგრეთვე გაეროს მიერ მიღებული და ადგილობრივი საკანონმდებლო აქტები, რომლებიც არეგულირებენ ტურიზმის შემდგომ განვითარებას და მის შესაბამისობას ამა თუ იმ რეგიონის ეკოლოგიურ მდგომარეობასთან. ავტორს ჩატარებული აქვს ტურიზმის, როგორც ეკოლოგიაზე დიდი ზემოქმედების მქონე დარგის მნიშვნელობის ანალიზი და მისი შემდგომი განვითარების გზები.

ნაშრომში დაწვრილებითაა განხილული ტურიზმის ყველა ის ქვედარგი, რომლებიც გავლენას ახდენს ეკოლოგიურ სიტუაციაზე ადგილებზე. ავტორის მიერ ჩატარებული ანალიზი ეყრდნობა საკმაოდ საინტერესო სტატისტიკურ მონაცემებს.

**საკვანძო სიტყვები:** ეკონომიკური უსაფრთხოება, ეკოლოგიური უსაფრთხოება, ეროვნული უსაფრთხოება, ტურიზმი, ტურისტული საფრთხეები, საკანონმდებლო აქტები.

\*\*\*\*

ატმოსფეროს დაბინძურება, ოზონის შრის რღვევა, კლიმატის ცვლილება, მიწების გაუდაბნობა, ოკეანეში მოდრეიფე პლასტიკის უზარმაზარი კუნძულები, ეკოსისტემის რღვევა, ბიომრავალფეროვნების მკვეთრი შემცირება, დემოგრაფიული აფეთქება, ენერგორესურსების დასუსტება, გარემოს დაბინძურება, სასმელი წყლის დეფიციტი, რედუცენტების (Reducentis - „აღმდგენი“) – მიკროორგა-

ნიზმები) კრიზისი, განსაკუთრებულად დაცული ბუნებრივი ტერიტორიების შემცირება ან განადგურება - ეს მსოფლიო გლობალური ეკოლოგიური პრობლემების მხოლოდ პატარა ნაწილია, რომელიც გადაუდებელ გადაწყვეტილებას საჭიროებს. მათი გადაჭრა გამოწვევაა მთელი მსოფლიოსთვის, ყველა ქვეყნისთვის, რომლებიც დაინტერესებული არიან არ დაუშვან გლობალური ეკოლოგიური კატასტროფა. მათ გადაწყვეტაზე დამოკიდებულია ცივილიზაციის შემდგომი არსებობა. გლობალური პრობლემები წარმოიქმნება ცხოვრების სხვადასხვა სფეროს არათანაბარი განვითარებით და წინააღმდეგობებით სოციალურ-ეკონომიკურ, პოლიტიკურ-იდეოლოგიურ, სოციალურ-ბუნებრივ და სხვა სფეროებში. ეს პრობლემები მთელი კაცობრიობის არსებობას ეხება და გლობალური ეკონომიკური კრიზისის საფუძველი ხდება.

თავისი არსებობის მთელი პერიოდის განმავლობაში ადამიანები ზემოქმედებენ ბუნებასა და ეკოლოგიაზე. ეს ზემოქმედება მეტად საშიში გახდა ბოლო 100-200 წლის განმავლობაში, როდესაც სამრეწველო რევოლუცია დაიწყო და ამან თანდათანობით კლიმატის ცვლილებებიც გამოიწვია. ეკოლოგიური უსაფრთხოება რეალიზდება გლობალურ, რეგიონულ (ეროვნულ) და ლოკალურ დონეზე. გლობალური ეკოლოგიური უსაფრთხოების მართვა სახელმწიფოთაშორისი ურთიერთობების დონეზე გაერო-ს (UN), გაეროს განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაციის (UNESCO), გაეროს გარემოს დაცვის პროგრამის (UNEP) და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების პრეროგატივაა. ამ დონეზე ეკოლოგიური უსაფრთხოების მართვის მეთოდები მოიცავს საერთაშორისო აქტების მიღებას, სახელმწიფოთაშორისი გარემოსდაცვითი პროგრამების განხორციელებას, მთავრობათაშორისი ძალების შექმნას ბუნებრივი ან ანთროპოგენური ხასიათის ეკოლოგიური კატასტროფების აღმოსაფხვრელად და სხვ.. მნიშვნელოვან როლს თამაშობს საერთაშორისო და რეგიონული ეროვნული ეკოლოგიური პროგრამები და პროექტები, როგორცაა მონრეალის პროტოკოლი (1989) - ოზონის ხვრელებთან ბრძოლა, კიოტოს პროტოკოლი (1997)-ბრძოლა გლობალურ დათბობასთან, კიოტოს პროტოკოლი; რომლის მიხედვითაც (2008-2012) ხელმომწერმა განვითარებულმა ქვეყნებმა უნდა შეამცირონ სათბურის გაზების ექვსი ძირითადი ემისია 5.2-ით; გაეროს ბიოლოგიური მრავალფეროვნების კონვენ-

ციის (CBD) სამდივნომ 2021 წლის 12 ივლისს გამოაქვეყნა ბიომრავალფეროვნების კონსერვაციის ახალი გლობალური სტრატეგიის პირველი ოფიციალური ჩარჩო-პროექტი „ბიომრავალფეროვნების შენარჩუნების გლობალური სტრატეგია 2020 წლის შემდეგ“, რომელიც იქნება სამოქმედო პროგრამა ბუნების და მისი ძირითადი სერვისების შენარჩუნებისა და დაცვისთვის. კაცობრიობისთვის 2030 წლამდე. 2022 წელს UNEP იწყებს ახალ სამუალოვადიან სტრატეგიას, რომელიც მოიცავს შვიდ ურთიერთდაკავშირებულ სამუშაო პროგრამას კლიმატის ცვლილების, ქიმიკატებისა და დაბინძურების, გარემოს დაცვის, სამეცნიერო პოლიტიკის, გარემოს მენეჯმენტის, ფინანსების, ეკონომიკური და ციფრული ტრანსფორმაციის შესახებ.

დღემდე გლობალურ დონეზე გადაიჭრა საერთაშორისო მასშტაბის არაერთი ეკოლოგიური პრობლემა: მაგ. საერთაშორისო დონის უდიდესი წარმატება იყო ბირთვული იარაღის გამოცდის აკრძალვა ყველა გარემოში, გარდა მიწისქვეშა ტესტებისა. მიღწეულია ვეშაპზე ნადირობის გლობალური აკრძალვის შეთანხმება, ასევე მოხდა თევზჭერისა და სხვა ზღვის პროდუქტების გამოყენების სახელმწიფოთაშორისო სამართლებრივი რეგულირება. ბიომრავალფეროვნების შესანარჩუნებლად შეიქმნა საერთაშორისო წითელი წიგნები. ადამიანის აქტივობით გარდაქმნილ ბიოზონებთან შესადარებლად საერთაშორისო დონეზე შეისწავლება არქტიკა და ანტარქტიდა, როგორც ხელუხლებელი ბუნებრივი ბიოსფერული ზონები და სხვ..

ეროვნულ დონეზე, ეკოლოგიური უსაფრთხოების მართვის სისტემა მოიცავს: ადგილობრივი ეკონომიკის ეკოლოგიზაციას; ახალი ეკოლოგიურად სუფთა ტექნოლოგიებს; ეკონომიკური განვითარების ტემპის შენარჩუნებას, რომელიც ხელს უწყობს ლოკალური გარემოს ხარისხის აღდგენას და ბუნებრივი რესურსების რაციონალურ გამოყენებას.

ყველაზე მდიდარი და ყველაზე ლამაზი ტერიტორიები პირველები ხდებიან ადამიანის დაუდევარი ჩარევის მსხვერპლი. ამ პროცესში დიდი როლი სამრეწველო რევოლუციასთან ერთად ტურიზმსაც ეკუთვნის. ტურიზმი ეს არის არა მარტო შთაბეჭდილებების მიღება მოგზაურების მიერ და მოგების მიღება ადგილობრივი მაცხოვრებლებისათვის, არამედ საგრძნობი ზარალი რეგიონ-

ნის ეკოლოგიისათვის. ტურიზმი ეკონომიკის თავისებური დარგია. იგი როგორც ხელს უწყობს ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებას, ასევე უარყოფითად მოქმედებს ეკოლოგიურ მაჩვენებლებზე. სულ რაღაც რამოდენიმე ათწლეულის განმავლობაში ტურიზმმა რადიკალურად შეცვალა ლანდშაფტი: ყველაზე საუკეთესო და ლამაზ ადგილებში მიმდინარეობს სწრაფი ურბანიზაცია, საუკეთესო ლანდშაფტების ათვისება და ექსპლოატაცია. ტურისტული ცენტრები იქმნება სწორედ ულამაზეს და ხელთუქმნელ ადგილებში, სადაც მოკლე დროში ირღვევა უნიკალური ლანდშაფტის იდენტურობა და სტრუქტურა: აქ საჭირო ხდება ჰესების, ავტოდრომების, გზების, რესტორნების, ტურისტული ბილიკების მშენებლობა. მაგ. შვეიცარიაში მთის კურორტი ცერმატი ითვლებოდა საუკეთესო ალპინისტურ ცენტრად. ახლა აქ უამრავი ტურისტი ტრიალებს, რომლებსაც არაფერი აქვთ საერთო ალპინიზმთან, ლანდშაფტი საეთოდ შეიცვალა, გაჩნდა უამრავი საბაგრო ხაზები, ავტოსადგომები, სათხილამორო გასართობი ტრასები, სასადილოები, ოტელები და სხვ.. მსგავსი ბედი ეწიათ ბევრ სხვა ადგილებს - საფრანგეთში კურორტი ტრუა-ვალლე, ავსტრიაში - ტიროლი და სხვ..

გაერთიანებული ერების ორგანიზაცია (UN), ასევე მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაცია (UNWTO) პირველ რიგში, გამოყოფენ მდგრადი ტურიზმის სამ კონცეფციას: ეკოლოგიური, სოციალურ-კულტურული და ეკონომიკური. ეს კონცეფცია გახდა ტურიზმის სფეროს სამეცნიერო ლიტერატურისა და პროგრამების ცენტრალური იდეა. მის მომხრეებსა და მოწინააღმდეგეებს შორის მწვავე პოლემიკამ გამოიწვია ტურიზმის სფეროში ეკონომიკურ და ეკოლოგიურ ინტერესებს შორის ბალანსის დაცვაზე ყურადღების გამახვილების აუცილებლობა.

ეს პრობლემები საფუძვლად დაედო საერთაშორისო დისკუსიას ტურიზმისა და ეკოლოგიის ურთიერთკავშირის საკითხების შესახებ. ეს დებატები დაიწყო 1970-იანი წლებიდან, როდესაც ჯ. იანგმა განაცხადა, რომ ტურიზმის განვითარების შედეგები ერთდროულად წარმოადგენს „ღვთის წყალობას და წყევლას“. ბევრი მეცნიერი, მ.შ. შვეიცარიელი მკვლევარები - კლოდ კასპარი, ი. კრიპენდორფი - ამტკიცებენ, რომ მასიური ტურიზმი წარმოუდგენელია ეკოლოგიაზე გავლენის, ხშირ შემთხვევაში, უარყოფითი გავლენის

გარეშე. ისინი თვლიან, რომ თუ არ შეიცვლება ადამიანთა შეგნება, პირველ რიგში, ტურისტების მენტალობა და აგრეთვე მათი, ვინც ქმნის ტურისტულ პროდუქტს, აუარესდება გარემოს მდგომარეობას და ეს პროცესი მუდმივად მზარდია.

ტურიზმის კრიტიკოსები 1980-იანი წლებიდან მოუწოდებდნენ „დიდი პასუხისმგებლობისაკენ“ მოგზაურებისა და ადგილობრივების მხრიდან. ამ მოწოდებამ გამოიწვია ტურიზმის ალტერნატიული ფორმების ძიება და სხვა კონცეფციების შექმნა, როგორცაა: ალტერნატიული, რბილი, ხარისხიანი, მწვანე, ეთიკური, პასუხისმგებლური ტურიზმი და სხვ.. ზოგადად გლობალური ეკოლოგიური დისკუსიის და მდგრადობის კონცეფცია გლობალური და ადგილობრივი სოციალური და პოლიტიკური დისკუსიის სათავეში მოექცა.

გაეროს გარემოს დაცვის პროგრამაში ჩამოყალიბებულია ტენდენციები, რომლებიც უახლოეს პერიოდში მოახდენენ მნიშვნელოვან გავლენას ადამიანის ცხოვრებაზე, მსოფლიო ეკონომიკაზე და ეკოსისტემების მდგომარეობაზე. ეს არის სინთეტიკური ბიოლოგიის, მუდმივი მყინვარების დნობის, ტორფის ჭაობების გაჩენა, აზოტით დაზინძურება, კლიმატის შეცვლა და მრავალი სხვ..

ტურიზმის დარგის ეკოლოგიურობა ან არაეკოლოგიურობა განისაზღვრება მისი გარემოზე ზემოქმედების ხასიათით და ხარისხით (იქნება ეს ატმოსფეროზე, წყლის რესურსებზე, ნიადაგზე, ფლორაზე თუ ფაუნაზე; აგრეთვე ხმაური, ელექტრომაგნიტური, თუ რადიაქტიული გამოსხივება), რაც მატერიალური ფაქტორია. ტურიზმის ეკოლოგიზაციის კონცეფცია მოიცავს გარემოს დაცვისა და აღდგენის როგორც საერთო, ისე კონკრეტულ ღონისძიებებს, სადაც ტურისტულ-რეკრეაციული რესურსი ტურიზმის წარმატებული განვითარების მთავარი ფაქტორია. აღსანიშნავია, რომ სხვა დარგებთან შედარებით გარემოზე ტურიზმის დარგის უარყოფითი გავლენა შედარებით დაბალია. თუმცა, აუცილებელია მხედველობაში იმის მიღება, რომ ტურიზმი გარემოზე ზემოქმედების გარეშე ვერ განვითარდება. მთავარი აქ იმ ოქროს შუალედის მოძებნაა, სადაც ტურიზმის განვითარება და ეკოლოგიაზე ზრუნვა ერთმანეთთან თანხვედრაშია.

გაეროს მსოფლიო ტურისტული ორგანიზაციის (UNWTO) და საერთაშორისო სატრანსპორტო ფორუმის (ITF) მონაცემებით, ტურისტული საქმიანობის ნარჩენები 2030 წლისათვის მინიმუმ 25%-ით გაიზრდება. გაეროს მსოფლიო ტურისტული ორგანიზაციის (UNWTO) მოხსენებაში „მწვანე ეკონომიკაზე“ ნათქვამია, რომ 2050 წლისათვის ენერჯის მოხმარება ტურიზმში გაიზრდება - 154%-ით, სასათბურე გაზების გაფანტვა - 131%-ით, წყლის მოხმარება - 152%-ით, მყარი ნარჩენების უტილიზაცია - 251%-ით. ამგვარად, ტურიზმი თავისი წვლილს შეიტანს კლიმატის ცვლილებაში.

მდგრადი განვითარების პარიზის ხელშეკრულება და დღის წესრიგის დოკუმენტი 2030 წლამდე პერიოდში ასრულებს ორიენტირის როლს კლიმატის ცვლილების შედეგებზე უკუქმედების მხრივ, რასაც 2015 წლის 25 სექტემბერს გაეროს 193 სახელმწიფომ მოაწერა ხელი, რომელიც მოიცავს 17 მიზანსა და 169 ამოცანას. ნიშანდობლივია, რომ ტურიზმი, როგორც სტრატეგიული დარგი, მოხსენიებულია სამ მიზნობრივ კატეგორიაში, კერძოდ: მიზანი №8 – „სტაბილური, ინკლუზიური და მდგრადი ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობა, სრული და პროდუქტიული დასაქმება და ღირსეული სამუშაო ყველასათვის“, მიზანი №12 – „მდგრადი მოხმარება და წარმოება“ და მიზანი №14 „ოკეანისა და ზღვის რესურსების კონსერვაცია და მუდმივი გამოყენება განვითარებისათვის“. ტურიზმის მდგრადი განვითარებისათვის ასევე გასათვალისწინებელია პარიზის შეთანხმება კლიმატის ცვლილების შესახებ, რომელიც მიღებულ იქნა 2015 წლის 12 დეკემბერს ქ. პარიზში, გაეროს კლიმატის ცვლილების ჩარჩო კონვენციის ფარგლებში დასწორედ კლიმატის ცვლილებაა გრძელვადიან პერიოდში ტურიზმის სექტორის მთავარი გამოწვევა. მნიშვნელოვანია, რომ საქართველო ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის სახით გახლავთ ტურიზმის მდგრადი განვითარების საერთაშორისო წლის ერთ-ერთი ძირითადი პარტნიორი და სპონსორი.

ტურისტული საქმიანობის ფარგლებში სატრანსპორტო სექტორი, მ.შ. საჰაერო, საავტომობილო, სარკინიგზო ტურისტული ნარჩენების მთლიანი ნარჩენების უდიდეს წილს - 75%-ს მოიცავს. ჰაერის ხარისხი ევროპული რეგიონის მოსახლეობის ჯანმრთელობის ყველაზე დიდ ეკოლოგიურ რისკს წარმოადგენს, განსაკუთრებით ბავშვების, მოხუცების და მოსახლეობის ღარიბი ფენე-

ბისათვის. სატრანსპორტო გამონაბოლქვი შეიცავს მომწამვლელ ნივთიერებებს, რომლისგან გაწმენდა ყოველთვის არ ხდება დასაშვები კონცენტრაციის დონემდე, რის გამოც ადამიანი იძულებულია ისუნთქოს გოგირდით, ტყვიით, თუთიითა და სხვა ტოქსიკური ნივთიერებებით გაჯერებული ჰაერი, რაც იწვევს სხვადასხვა სახის დაავადებების გავრცელებას. მაგ., 2015 წელს მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციისა და ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის – OECD-ის შეფასებით, ევროპას ჰაერის დაბინძურება 1.6 ტრილიონ დოლარზე მეტი დაუჯდა. სატრანსპორტო ტურიზმის მიერ წარმოქმნილი სასათბურე გაზები მთლიანი ანთროპოგენური გამონაყოფების 5%-ს შეადგენს.

ნახშირბადის ემისია მსოფლიოს 20 უმდიდრეს ქვეყანაში სწრაფად იზრდება. BBC-ის ცნობით, კლიმატის გამჭვირვალობის ანგარიშის თანახმად, ნახშირორჟანგის მაჩვენებელი, რომელიც ეპიდემიის გამო 2020 წელს 6 პროცენტით შემცირდა, G20-ის ქვეყნებში წელს 4 პროცენტით გაიზრდება. ისეთმა ქვეყნებმა, როგორცაა ჩინეთი, ინდოეთი და არგენტინა, გადააჭარბეს თავიანთ 2019 წლის ემისიის დონეს, ხოლო წიაღისეული საწვავის უწყვეტი გამოყენება ძირს უთხრის გლობალური ტემპერატურის შემცირების ძალისხმევას. მოხსენებაში, ასევე ნათქვამია, რომ G20-ის ქვეყნები პასუხისმგებელი არიან ნახშირბადის ემისიების დაახლოებით 75 პროცენტზე, რაც ხელსუწყობს გლობალურ დათბობას, G20-ის ქვეყნებში ნახშირის გამოყენება ბოლო წლებში 5 %-ით გაიზარდა. ჩინეთი პასუხისმგებელია ამ ზრდის დაახლოებით 60 პროცენტზე (წელიწადში 10375 მლნ ტ CO<sub>2</sub>-ს გამოყოფს) და ნახშირის მოხმარება იზრდება ამერიკის შეერთებულ შტატებსა (ყოველწლიურად 5,414 მლნ ტ CO<sub>2</sub>-ს გამოყოფს) და ინდოეთშიც (წელიწადში 2,274 მლნ ტ CO<sub>2</sub>-ს გამოყოფს). ატმოსფეროში საშიში გამონაბოლქვის რაოდენობის შემცირება შეიძლება ქვანახშირისა და ნავთობპროდუქტების გამოყენების შეზღუდვით, ალტერნატიული წყლის, ქარის, მზის, ატომური და ენერჯის სხვა წყაროების მოხმარებით. 2015 წელს მიღებულ კლიმატის პარიზულ ხელშეკრულების მონაწილეებისათვის აუცილებელია სასათბურე გაზების რაოდენობის შემცირება, რათა არ იქნეს დაშვებული გლობალური ტემპერატურის ზრდა 1.5-2<sup>o</sup> C-ზე მეტად. ევროკავშირი გეგმავს 2050 წლისათვის მიაღწიოს კლიმატურ ნეიტრალიტეტს, გადავიდეს მზის, ქარის

და ენერჯის სხვა „მწვანე“ წყაროების მოხმარებაზე. ცვლილებები ტრანსპორტსაც შეეხება. ასე მაგალითად, 2035 წლისათვის ევროკავშირში აიკრძალება შიდაწვის ძრავის ავტომობილების გაყიდვა-ექსპლუატაცია. მათ შეცვლის ელექტრომობილები (დამტუმბი სადგურების ქსელის შექმნის გათვალისწინებით), რაზეც იგეგმება 120 მლრდ ევროს გამოყოფა. საერთაშორისო ენერგეტიკული სააგენტოს გეგმით 2025 წლისათვის მსოფლიოს გზებზე ივლის 70 მლნ აკუმულატორული ბატარეების მქონე ავტომობილი, ხოლო 2030 წლისათვის მათი რაოდენობა 230 მლნ-ს გაუტოლდება.

ყველა ინდუსტრია, მათ შორის ტურიზმიც საჭიროებს რესურს, რომელიც ამოწურვადია, ამიტომ უმნიშვნელოვანესია ამ რესურსების მდგრადი გამოყენება და დაცვა, რისთვისაც ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორია ბიომრავალფეროვნების შენარჩუნება, რასაც დიდ საფრთხეს უქმნიან ტურისტები, ამ მიზნით იუნესკომ მთელ მსოფლიოში თავისი მფარველობის ქვეშ აიყვანა ზოგიერთი ტურისტული ობიექტი. უცხოურმა გამოცდილებამაც დაამტკიცა, რომ ამ პროცესის მართვის ერთერთი ალტერნატიული გზაა ეკოტურიზმის შემდეგი სახეების განვითარება: სამეცნიერო ტურიზმი, ბუნების ისტორიის ტურიზმი, სათავგადასავლო ტურიზმი, მოგზაურობა ბუნებრივ რეზერვატებში, ტურიზმი კემპინგებში და ქარავნებით, აგროტურიზმი, ფერმერული და სასოფლო ტურიზმი, ღვინის ტურიზმი. ტურიზმის მსოფლიო ორგანიზაციამ აღიარა ეკოტურიზმი, როგორც საკვანძო მიმართულება სიღარიბის ეფექტურად დაძლევისთვის, გარემოს დაცვისა და კონსერვაციისთვის, რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია მდგრადი განვითარების პოპულარიზაციისთვის. ბოლო დროს გაჩნდა ტერმინი ბენჩმარკინგი - ბაზარზე არსებული მოწინავე უცხოური გამოცდილების შესწავლის გათვალისწინებით, რაიმე კონკრეტული ადგილის შედარებით ანალიზის ჩატარება, ანუ რომელიმე საწარმო, ქალაქი, ან რეგიონი ხდება შედარებითი სტანდარტი. ცნობილია მაგ., აშშ-ს ქალაქი - ნორფოლკი (ვირჯინიის შტატი) და იზრაელში - ჰაიფა.

ნორფოლკი არის აშშ-ს მთავარი სამხედრო-საზღვაო ბაზა ატლანტის ოკეანეში, რაც დადებითად მოქმედებს ქალაქის ეკონომიკის განვითარებაზე. ობიექტის ეროვნული მნიშვნელობის მიუხედავად, ნორფოლკის ეკონომიკაში ფუნდამენტური ადგილი უკავია ტურისტულ ბიზნესს. ნორფილკი არის მთავარი ეკოტუ-



რისტული ცენტრია, რადგანაც ქალაქს გააჩნია უნიკალური ფლორა, წყალქვეშა საოცარი სამყარო, მსუბუქი სუბტროპიკული კლიმატი. იგი ნამდვილი „მწვანე“ ეკოლოგიური ცენტრია, აქ არ არის ეკოლოგიური პრობლემები. მთავრობა პასუხისმგებლობით ეკიდება ბუნებრივი რესურსების კონსერვაციას, რათა თავიდან აიცილოს ბიომრავალფეროვნებისა და ეკოსისტემის პროდუქტიულობის შემცირება. თანამედროვე ტექნოლოგიები ხელს უწყობს ნარჩენების წარმოქმნის მოცულობის შემცირებას, ხოლო სწორი მსოფლმხედველობის განვითარება, გარემოზე უარყოფითი ზემოქმედების შეზღუდვა, ქმნის აუცილებელ კომფორტულ პირობებს როგორც მოსახლეობისთვის, ისე ტურიზმის განვითარებისთვის.

ჰაიფაში განლაგებულია იზრაელის ძირითადი სამხედრო-საზღვაო ბაზა. მიუხედავად ამისა, აქ უამრავი ისტორიული ღირ-შესანიშნაობა და იუნესკოს მსოფლიო მემკვიდრეობის უამრავი ობიექტია. ჰაიფა ტურისტებს აინტერესებთ, როგორც კულტურული და სულიერი განათლების ცენტრია. აქ პოპულარობა შეიძინა გამაჯანსაღებელმა, სამედიცინო, სპორტულმა, აგრო, ბიზნეს და რელიგიური ტურიზმის სახეობებმა. ჰაიფა, ისევე როგორც მთლიანად ისრაელი, არის „ინოვაციების ქარხანა“, რომელიც ვრცელდება და იწერება ქვეყნის საკურორტო ქალაქებში. თუმცა ბოლო წლების მონაცემებით აქ უფრო და უფრო პრობლემური ხდება „სუფთა ჰაერის“ შენარჩუნება (სატრანსპორტო სისტემის გაძლიერების გამო). 2017 წელს ქალაქის მუნიციპალიტეტმა „ბრძოლა სუფთა ჰაერისათვის“ განვითარების პრიორიტეტულ მიმართულებად გამოაცხადა და მიიღო „კანონი სუფთა ჰაერის შესახებ“ ეს იზრაელში პირველი შემთხვევა. ამ პრობლემამ მთავრობას ნათლად დაანახა, რომ ეკონომიკური განვითარების სისტემაში მათ შორის ტურიზმის განვითარებაში ეკოლოგიური ორიენტაციისა და ეკოლოგიური ასპექტის ნაკლებობამ გამოიწვია ეკოლოგიური კრიზისის წარმოქმნა. ეკოლოგიურმა პრობლემებმა იმოქმედა მოსახლეობის ჯანმრთელობაზე და ტურისტების ნაკადის შემცირებაზე, რაც უარყოფითად აისახება ქალაქისა და მთლიანად ქვეყნის განვითარებაზე.

რესურსების არარაციონალური გამოყენება და თვითაღდგენის უნარის შემცირება დიდ საფრთხეს უქმნის ისეთ უმნიშვნელოვანეს ბიოლოგიურ რესურს როგორცაა - ტყე, რომლის დეგრად-

დირება უამრავ უარყოფით ეკოლოგიურ შედეგს იწვევს. ამჟამად პლანეტაზე 4,1 მლრდ. ჰა ტყეა, რომელსაც მიწის სავარგულების 80% უჭირავს. ბიოსფეროში ჟანგბადის 60%-ზე მეტს ხმელეთის მცენარეულობა და მისი მთავარი კომპონენტი – ტყე – გამოყოფს. ერთი ჰექტარი შერეული ტყე წელიწადში ატმოსფეროდან შთანთქავს 13-17 ტონა ნახშირორჟანგს და გამოყოფს 10-15 ტონა ჟანგბადს. ტყეს აქვს მრავალი ფუნქცია: ტყე მზის ენერჯის მძლავრი აკუმულატორია. ის არსებით გავლენას ახდენს კლიმატის ფორმირებაზე; ბუნებაში წყლის წრებრუნვაზე; ატმოსფეროში აირცვლაზე; ტყე ასუფთავებს ჰაერს მტვრისაგან (ერთი ჰექტარი ტყე წლის განმავლობაში 50-70 ტონა მტვერს ფილტრავს, მაგ., საქართველოს ტყეები მთლიანად – 135-190 მლნ. ტონამდე ჰაერს ასუფთავებს); ტყე არეგულირებს თოვლის დნობის ინტენსივობას; ასევე მნიშვნელოვანია როგორც ტყის წყალდაცვითი ფუნქცია, ისე ტყის როლი ნიადაგის ნაყოფიერების ამაღლებასა და წყლისა და ქარისმიერი ეროზიისაგან დაცვაში; მონაწილეობს მრავალფეროვანი ლანდშაფტის შექმნაში; აქვს ძალზე დიდი სანიტარულ-ჰიგიენური მნიშვნელობა; ერთი სიტყვით, იგი ასრულებს ბიოგეოქიმიურ ფუნქციას. განვითარებად ქვეყნებში ტყე წარმოადგენს მცხოვრებთა უმეტესობის ერთადერთ სასიცოცხლო წყაროს, როგორცაა ბანგლადეში, შუა აფრიკის სავანები, ლათინური ამერიკის ქვეყნები, გვატემალა, ჰონდურასი, პარაგვაი. მათ რიცხვში ჩვენი ქვეყანაცაა. აღსანიშნავია, საქართველოს ტერიტორიის საერთო ფართობიდან სატყეო ფონდს უკავია 40%, რომელიც ძალზედ მნიშვნელოვანი ფაქტორია როგორც ეკონომიკური, ისე ეკოლოგიური თვალსაზრისით.

სამწუხაროდ, ტყის მასივები თანდათანობით ნადგურდება. ინგლისში დღეისათვის განადგურებულია ტყეების 95%, იტალიაში, საფრანგეთში, ესპანეთსა და ევროპის სხვა ქვეყნებში ადრე არსებული ტყეების სულ 10-15% დარჩა. ექსპერტთა შეფასებით ყოველწლიურად ნადგურდება ტყის თითქმის 1%. ტყის განადგურების უპირველეს მიზეზთა შორის მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს: ტყის უკანონო ჭრას, სოფლის მეურნეობის წარმოების განვითარებას, ურბანიზაციას და ინდუსტრიალიზაციას, საქალაქო მშენებლობას, ფორსმაჟორულ სიტუაციებს (მათ შორისაა ომისაგან მიყენებული ზარალი).

1997 წელს ქ. ანტალიაში ჩატარებულ მსოფლიო მეტყვევება XI კონგრესზე აღინიშნა, რომ 2010 წლისათვის მსოფლიოში მერქნის მოხმარების დონე ყოველწლიურად 4 მლრდ მ<sup>3</sup>-ს მიუახლოვდება. მსოფლიოს თითქმის უმეტეს ქვეყნებში ეკოლოგიური თვალსაზრისით მიმდინარეობს ტყეების მიუღებელი ექსპლუატაცია. დედამიწაზე ყოველ წუთში იჭრება 26 ჰა ტყე, ცალკე ტროპიკებში კი - 40 ჰა. ყოველწლიურად კი, დაახლოებით 14 მლნ. ჰა. ასეთი ტემპით ტყეების განადგურება დედამიწაზე ქმნის ურთულეს ეკოლოგიურ პრობლემებს. აქედან გამომდინარე, თუ არ გატარდა გადამჭრელი ზომები ტყის გადასარჩენად და მისი პერიოდული განახლებისათვის, უკვე უახლოეს 20 წელიწადში დაგვიანებული იქნება და მოსალოდნელია ისეთი ეკოლოგიური კატასტროფა, რომელიც შეიძლება საბედისწერო აღმოჩნდეს კაცობრიობისათვის. ამას თან ერთვის ბიოდივერსიები, რომელიც ანადგურებს ტყის ფლორას, ფაუნას და სხვა ცოცხალ ორგანიზმებს, რომელთა არსებობა აუცილებელია ბუნებაში ჰარმონიის შესანარჩუნებლად.

ტყეების განადგურების მავნე შედეგები: კლიმატის ცვლილება, გაუდაბნოება და ნიადაგის ეროზია, მეწყერები და სხვა იწვევს სოციალურ და ეკონომიკურ პრობლემებს: მაგ., სვანეთისა და აჭარის ტყეები, სადაც ფერდობების ეროზია და მისგან გამოწვეული მეწყერები ტყეების ნაწილობრივმა ჭრამაც გამოიწვია. სამწუხაროდ, ამ ბოლო 10 წელიწადში საქართველოში უამრავი უნიკალური ჯიშის ხე მოიჭრა და საზღვარგარეთ გაიზიდა.

ბოლო 50 წლის განმავლობაში მთელ მსოფლიოში შეიქმნა დაცული ტერიტორიები (ნაკრძალები), თითქმის აკრძალულია ტყის ჭრა, ნადირობა, კომერციული თევზჭერა და სხვ.. ამ ღონისძიებათა შედეგად ოკეანის ბინადართა რაოდენობა, რომელთაც გაქრობა ემუქრება 18%-დან (2000) 11.4%-მდე (2019) შემცირდა. ხშირად ტურისტულ საფეხმავლო ბილიკებზე გვხვდება ნაგვის გროვები, ამასთან ერთად ტურიზმის ეს მიმართულება (მაგ. ეკოტურიზმი) იწვევს ადგილის გადატკეპვნას, ასევე ტურისტული ობიექტების გადატვირთვას, რითაც ირღევა ტურობიექტის გამტარუნარიანობისა და მდგრადობის პრინციპი. ეს სხვა დამაბინძურებლებთან ერთად დამანგრეველ გავლენას ახდენს ადგილობრივ ფლორაზე. ოკეანის სიღრმეებიდან მარჯნის უზომოდ რაოდენობით ამოტანამ

ბოლო ათწლეულების განმავლობაში გამოიწვია 35 მლნ მარჯნის რიფის (იაპონიის ღრმა წყლები) უკვალოდ გაქრობა. ამიტომ მარჯნის რიფების უდუდესი ნაწილი ნაკრძალებად გამოცხადდა.

ტურისტული მიმართულებები და კურორტები იძულებულნი გახდნენ მეტი ყურადღება დაუთმონ, როგორც გლობალურ ისე ეროვნულ დონეზე, ეკოლოგიური უსაფრთხოებას და შეინარჩუნონ ტურისტულ დესტინაციებზე სისუფთავე, ვინაიდან თევზაობა, ბაიდარკები, დაივინგი, ნავით ცურვა, სანაპიროზე გასეირნება - ყველაფერი შეიძლება გადაიქცეს დადებითი აქტიურობიდან დაზინძურებად.. ტურისტული რაიონები, რომლებიც სუფთადაა შენახული, ტურიზმში იწვევს უკან დაბრუნების სურვილს. დასახლებული რაიონების გამწვანება ხდება არა მარტო სილამაზისთვის და გასასეირნებლად, არამედ მიკროკლიმატის აღსადგენად, ჰაერის გასაწმენდად და სხვ., ხეების დარგვა სასურველია საწარმოების გარშემო, გზის პირას და ა.შ..

გაერომ 2021-2030 წლები გამოაცხადა ეკოსისტემის აღდგენის და კლიმატის ცვლილებასთან ბრძოლის ათწლეულად. ერთ-ერთ მიმართულებად დასახულია ნიადაგის ნაყოფიერების გაზრდა. სპეციალისტების შეფასებით, 2 მლრდ ჰა გაჩეხილი ტყეები და დეგრადირებული მიწები შეიძლება აღდგეს და გამოყენებულ იქნეს სასოფლო-სამეურნეო მიზნებისათვის.

1972 წელს გაეროს კონფერენციაზე, რომელიც ეხებოდა გარემოს დაცვის პრობლემებს, მიღებულ იქნა სტოკჰოლმის დეკლარაცია. აქ მიიღეს 26 ეკოლოგიური პრინციპი, რომელიც აუცილებელია ყველა ქვეყნისთვის. მათ შორის იყო ისეთები, რომელიც ეხებოდა არააღდგენადი რესურსების დაცვასა და რაციონალურ გამოყენებას, ატმოსფეროში ტოქსიკური ნივთიერებების გაფრქვევის შემცირებას და აკრძალვას.

დავას არ იწვევს ის, რომ ტურიზმის ეკონომიკურ განვითარებას და წინსვლას, რესურსების ირაციონალურ გამოყენებას თან ახლავს ნარჩენების წარმოქმნა. ევროპის კონტინენტი უკვე კაი ხანია ეკოლოგიურად არასუფთად ითვლება. ეს უფრო აქტუალურია დიდ ქალაქებში. დიდ ტურისტულ ობიექტებზე ჩნდება მყარი ნარჩენების დიდი რაოდენობა, რომელთა არასწორი უტილიზაცია იწვევს ავადმყოფობებს, ნეგატიურ ეკოლოგიურ და ესთეტიკურ შედეგებს. ამიტომ მეტად მნიშვნელოვანია ნარჩენების სწორი

უტილიზაციის პროცესი, გადამუშავება, განმეორებით გამოყენება, აღდგენა და სხვ.. ამ პრობლემის გადაწყვეტა უშუალო კავშირშია ისეთი უმნიშვნელოვანეს საკითხთან როგორცაა წლიური ეკონომიკა, რაც ითვალისწინებს ნედლეულის მრავალჯერად გამოყენებას, შეამცირებს ადამიანის საქმიანობის შედეგად წარმოქმნილი ნარჩენების რაოდენობას 80%-ით. მისი ძირითადი მიმართულებებია:

- ნარჩენების სორტირება და გადამუშავება შემდგომი გამოყენების მიზნით;
- პროდუქციის ექსპლუატაციის ვადის გაგრძელება (შერინგი);
- ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციის წარმოება;
- პროდუქციის პასუხისმგებლური გამოყენება - ჭარბიანობაზე, მ.შ. საკვების მარაგებზე უარის თქმა, რომელთა ნაწილი ბოლოს მაინც იყრება.

ამგვარი მიდგომის მაგალითს წარმოადგენს Horizon 2020-ის (ევროკავშირის კვლევისა და ტექნოლოგიების განვითარების მერვე ჩარჩო პროგრამა (2014-2020)) ერთ-ერთი პუნქტი - „ქალაქური ნარჩენები“, რომელიც მოწოდებულია დაეხმაროს პოლიტიკოსებს შეიმუშაონ სტრატეგია ტურისტულ ქალაქებში მუნიციპალური ნარჩენების წარმოქმნის, შეგროვების, ხელმეორე გამოყენების, გადამუშავების, და უტილიზაციის მიმართულებით. ევროპული რეგიონის, როგორც სხვა ბევრი ქვეყნის, უდიდეს პრობლემას პლასტიკური ნარჩენების უტილიზაცია წარმოადგენს. მხოლოდ ევროკავშირის ქვეყნებში 2019 წელს წარმოებული იქნა 58 მლნ ტ. პლასტიკი. აქედან მხოლოდ 30% იქნა გადამუშავებული. აშშ-შიც ასევე ძალზე მწვავედ დგას **მყარი ნარჩენების** გადაყრის პრობლემა. ქვეყანაში მყარი ნარჩენებისა და ნაგვის რაოდენობა მოსახლეობის ერთ სულზე წელიწადში შეადგენს 760 კგ-ს, რაც ერთ-ერთი ყველაზე მაღალი მაჩვენებელია მსოფლიოში [8]. დათვლილია, რომ მთის კურორტზე 1 ტურისტი ტოვებს 0,4 კგ ნარჩენს - ქაღალდი, სინთეტიკური მასალა, კონსერვის ქილები, ბოთლები და სხვ..

COVID-19-ის პანდემიის გამო, ერთის მხრივ, დაფიქსირდა დადებითი ცვლილებები. კორონავირუსის პანდემიამ მსოფლიო მასშტაბით გამოიწვია ატმოსფეროს ჰაერის ხარისხის ამაღლება, რაც საგანგებო მდგომარეობის შემოღებით აიხსნება, თუმცა ექსპერტები თანხმდებიან, რომ ცოტაოდენი გაუმჯობესება მხოლოდ დროებით

თი მოვლენა იყო. მეორე მხრივ, კი გაუარესდა მდგომარეობა დაბინძურებული მყარი და პლასტიკური ნარჩენების მატების მხრივ. პანდემიის დროს მოთხოვნა გაიზარდა პლასტიკურ ჭურჭელზე. ადამიანები ხშირად საკვებს უკვეთავდნენ და ყიდულობენ ინტერნეტით, მისი დიდი ნაწილი ერთჯერად პლასტიკურ შეფუთვაში იყო მიწოდებული. ამასთან ერთად ბევრი ტურისტული კომპანია ცდილობდა თავისი თანამშრომლებისთვის და მომხმარებლებისთვის უსაფრთხო მომსახურება გაეწია სწორედ ერთჯერადი პლასტიკის ნივთებით, რამაც კიდევ უფრო გაზარდა მათზე მოთხოვნა და შეამცირა კოროვირუსის გავრცელება. ტაილანდის გარემოს დაცვის ინსტიტუტის მონაცემებით, პლასტიკის ნარჩენების რაოდენობა მსოფლიოში პანდემიის დროს გაიზარდა 6300 ტონამდე დღეში, ხოლო ეპიდემიამდე საშუალოდ 1500 ტონა დღეში იყო. გაიზარდა ერთჯერადი პირბადეების, ხელთათმანების, ხელსაწმენდების გამოყენება. მათი მრავალჯერადი გამოყენება ზრდის დაავადების გავრცელების რისკს. ამის გამო გროვდება მათი უზარმაზარი მასა. თანაც ცნობილია, რომ სამედიცინო ნარჩენების გადამუშავება აკრძალულია. ისინი სპეციალური წესით ნადგურდება. ამ პერიოდში მთელ მსოფლიოში სწორედ სამედიცინო ნარჩენები გაიზარდა უამრავჯერ. მაგალითად, „კოპულარულ“ იუჰანში ზოგჯერ დღეში ნარჩენის რიცხვი 200 ტონას აღწევდა.

პლასტიკის ნარჩენების სწრაფმა ზრდამ, რომელიც თითქმის ყველა მომხმარებლისთვის გახდა აშკარა, დააფიქრა საზოგადოება და უფრო ინფორმირებული და გაცნობიერებული გახდა ამ საკითხთან მიმართებაში. ერთ-ერთი კვლევის მიხედვით, დღეს ტურისტების დაახლოებით 82 პროცენტმა იცის პლასტიკური ნარჩენების პრობლემა და ატარებს ინდივიდუალურ ზომებს გარემოს დაბინძურების წინააღმდეგ საბრძოლველად.

ბევრი ქვეყანა ცდილობს ამ პრობლემის გადაჭრას. მაგალითად, ევროკავშირის ქვეყნებში აკრძალეს ერთჯერადი პლასტიკის ნივთების წარმოება. შესაბამისი კანონი 2021 წლის 3 ივლისს იქნა მიღებული. აკრძალულ ნივთებს შორის მოხვდა ერთჯერადი ჭურჭელი, სამაგიდო ნივთები, კონტეინერები, ბუშტების დამჭერი ჯოხები. შვეიცარიაში უტილიზაციას ექვემდებარება 50%. ეს მსოფლიოში საუკეთესო მაჩვენებელია. საფრანგეთში სუპერმარკეტებს აუკრძალეს ვადაგასული, მაგრამ ხარისხიანი პროდუქციის უტი-

ლიზება. 2016 წლიდან საკვები პროდუქტები, რომლებსაც ამ დღეს გაუვიდა ვადა, გადაეცემა საქველმოქმედო ორგანიზაციებს, მეცხოველეობის ფერმებს. 2021 წლის 1 იანვრიდან საფრანგეთში აღარ იყიდება პლასტიკურ მასალებში დაფასოებული ხილი და ბოსტნეული და ა. შ..

იტალიაში სკოლის პროგრამაშია შეტანილი მდგრადი განვითარების კონცეფცია: ბავშვები შეისწავლიან ცივილიზაციის გავლენას პლანეტაზე, სასათბურე ეფექტს და გლობალურ დათბობას, ეკოლოგიური პრობლემების თანამედროვე გადაწყვეტის ფორმებს.

ერთ-ერთი უდიდესი ეკოლოგიური პრობლემაა წყლისა და ჩამდინარე წყლების დაბინძურება. „ევროპის ეკონომიკური თანამეგობრობა-ის (EEC) კონვენცია „ტრანსსასაზღვრო წყლის ნაკადების და საერთაშორისო ტბების შესახებ“ და „ევროკავშირის ჩარჩო-დირექტივა წყლის რესურსების შესახებ“ წარმოადგენს მეტად მნიშვნელოვან ინსტრუმენტს სხვა ორმხრივ და მრავალმხრივ კონცეფციებთან ერთად ტრანსსასაზღვრო მდინარეების, ტბებისა და მიწისქვეშა აუზების ნაკლებად დაბინძურებისა და შეძლებისდაგვარად გაწმენდისათვის, როგორცაა მაგალითად მდინარე დუნაი. კოორდინაციის გაუმჯობესებამ ენერგეტიკის, სოფლის მეურნეობის, ბიომრავალფეროვნების პოლიტიკასა და წყლის რესურსებს შორის შიძლება უზრუნველყოს პროგრესი წყლის ხარისხსა და რაოდენობას შორის საკითხში. ბევრ სანაპირო ქალაქში არ არსებობს წყლის გასასუფთავებელი დანადგარები და ჩამდინარე წყლები პირდაპირ ზღვებსა და ოკეანეებში ჩაედინება. ამას ემატება ნავთობის ტანკერები, მრეწველობა, სოფლის მეურნეობა, რომლებიც ერთად აღებული აბინძურებენ წყალს ტოქსიკური ნარჩენებით. ნებისმიერი სამრეწველო და ენერგომომარაგების მშენებლობა ნიშნავს გარემოს გაუარესებას, ამიტომ ტურისტულ რეგიონებში ნებისმიერი მშენებლობა უნდა დაექვემდებაროს გონივრულ მინიმუმს. ტურისტულ ობიექტებზე აშენებული რესტორნები ქმნიან ჩამდინარე წყლებს, რაც აბინძურებს ნაიადაგსაც და ადგილობრივ სუფთა წყალსაც. ზამთრის სპორტის ცენტრებში 1 ადამიანზე საკანალიზაციო წყლების რაოდენობა 400 ლ უტოლდება. ხოლო, მსხვილ სათხილამურო ცენტრებში იგი 700მ<sup>3</sup> -ს აჭარბებს.

ახალი ტექნოლოგიების და მ.შ. გაუმჯობესებული გამწმენდი საშუალებებისა და ელექტროსადგურების, რომლებიც ენერჯის

ალტერნატიულ წყაროებზე მუშაობენ (მზის, ქარის და სხვ.) გამოყენება საშუალებას მისცემს მინიმუმამდე იქნას დაყვანილი გარემოს დაბინძურების მაჩვენებლები.

### დასკვნა

ამგვარად, დასკვნის სახით შეიძლება აღინიშნოს, რომ თანამედროვე პირობებში მსოფლიო სერიოზული გამოწვევების წინაშე აღმოჩნდა გარე სამყაროს დაბინძურებასთან ბრძოლასა და ქვეყნის ეკოლოგიური უსაფრთხოების უზრუნველყოფის სფეროში, ვინაიდან შეიმჩნება ეკოლოგიური უსაფრთხოების გაუარესების ტენდენცია. მსოფლიო გამოცდილება გვიჩვენებს, რომ დაბინძურებული და დეგრადირებული გარემო (ატმოსფეროს დაბინძურება, ოზონის შრის რღვევა, კლიმატის ცვლილება, მიწების გაუდაბნობა, ოკეანეში მოდრეიფე პლასტიკის უზარმაზარი კუნძულები, ეკოსისტემის რღვევა, ბიომრავალფეროვნების მკვეთრი შემცირება, დემოგრაფიული აფეთქება, ენერგორესურსების დასუსტება, გარემოს დაბინძურება, სასმელი წყლის დეფიციტი და ა.შ.) ნეგატიურად ზემოქმედებს ტურიზმის დარგის განვითარებაზე, ადამიანების ჯანმრთელობაზე და მთლიანად ეკონომიკურ სისტემაზე. აღნიშნული პრობლემები გადაუდებელ გადაწყვეტას საჭიროებს: ახალი ეკოლოგიურად სუფთა ტექნოლოგიების გამოყენების, გარემოს ხარისხის აღდგენის საშუალებებისა და ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენების გზით (მწვანე ეკონომიკა, წრიული ეკონომიკა) რათა თავიდან იქნეს აცილებული გლობალური ეკოლოგიური კატასტროფა. გლობალური ეკოლოგიური პრობლემები ეხება ყველა ქვეყანასა და ცხოვრების ყველა სფეროს და მათ გადაჭრაზე ხშირად დამოკიდებულია კაცობრიობის გადარჩენის ამოცანა, ამიტომ მათთან ბრძოლა და დამარცხება ადემატება ერთი ქვეყნის შესაძლებლობას. ვთლით, რომ მათი გლობალურად გადაჭრის გზები თავის თავზე უნდა აიღონ საერთაშორისო ორგანიზაციებმა, ხოლო ეროვნულ ჭრილში ეს თითოეული ქვეყნის მთავრობების პრეროგატივაა და მათ დასაძლევად ეკონომიკურ-სამართლებრივი მექანიზმების სრულყოფასთან ერთად, აუცილებელია ქვეყნის ეკონომიკის განვითარების სულ სხვა დონეზე გადაყვანა, სადაც ფართოდ იქნება გამოყენებული ინოვაციური ტექნოლოგიების, რაც ეროვნულ დონეზე შექმნის სათანადო პირობებს მნიშვნელოვნად



შემცირდეს ატმოსფერული ჰაერის, ნიადაგის, წყლის დამაბინძურებელი ნივთიერებების ემისიები და განსაზღვროს ტურიზმის დარგისა და ეკონომიკური სისტემის გრძელვადიანი განვითარება. მიზნის მიღწევის პროცესში აუცილებელია ეკონომიკური სუბიექტების საქმიანობის შესწავლა (ბენჩმარკინგი) და მათი პოზიტიური გამოცდილების გამოყენება რეგიონების განვითარებაში, რაც ტურიზმის სფეროში ეკოლოგიური პრობლემური სიტუაციის გაუმჯობესების შესაძლებლობების ხარისხობრივ და რაოდენობრივ შეფასების საშუალებას იძლევა.

### გამოყენებული ლიტერატურა

1. Глобальные проблемы современности и туризма  
<https://scienceforum.ru> › article
2. Реферат на тему: Экологическая безопасность  
<lfirmal.com>›referat-na-temu...bezopasnost/
3. Пандемия, туризм и пластиковый мусор. Новый доклад о ...  
<https://news.un.org> › story › 2021/07
4. ECE/cep Bureau meeting 2-3 June 2021  
[unecese.org](https://www.un.org/News/Press/docs/2021/210601.eco.html)›sites/default/files/2021-12/Sustainable...
5. Повышение уровня экологической безопасности как...  
<cyberleninka.ru>›Научные статьи›...-turizma-v-sevastopole
6. Развитие устойчивого туризма и глобальные проблемы
7. <cyberleninka.ru>›article...ustoychivogo...i-globalnye...  
<https://www.bibliofond.ru/view.aspx?id=820855> © Bibliofond
8. Экологические проблемы США <https://ecoportal.info/ekologicheskie-problemy-ssha>
- 2022 год: природа в аварийном режиме - UNEP  
a. <https://www.unep.org> › novosti-i-istorii › istoriya › 202...
9. Туризм и окружающая среда возможности воздействия...  
<zclub-caspian.ru>›turizm...vozmozhnosti-vozdjestviya...
10. ნახშირბადის ემისია მსოფლიოს 20 ... <https://www.trt.net.tr> › georgian
11. ტყის რესურსები - <http://mastsavlebeli.ge> › ...

## **GLOBAL ECOLOGICAL THREATS AND THEORETICAL ISSUES OF ITS IMPACT ON NATIONAL TOURISM SECURITY**

### **Summary**

The work is dedicated to one of the important problems of today, such as global environmental threats. The author relates the mentioned problem to the security issues of national tourism. It also states the main causes of global environmental threats and that they directly affect the existence of humanity in general. The author cites the definition of ecological threats, which is accepted and subsequently constantly improved according to various provisions of the United Nations; as well as local legislative acts adopted by the United Nations, which regulate the further development of tourism and its compliance with the ecological situation of this or that region. The author has conducted an analysis of the importance of tourism as a field with a great impact on ecology and the ways of its further development.

The paper discusses in detail all the sub-fields of tourism that affect the ecological situation in places. The author's analysis is based on quite interesting statistical data.

### *ნუნუ ქისტაური*

#### **ეკონომიკური, სოციალური და ეკოლოგიური უსაფრთხოების სფეროში ზოგიერთი განვითარებადი ქვეყნის (ჩინეთი, თურქეთი) გამოცდილება**

*ანოტაცია. ნაშრომი ეძღვნება მსოფლიოს ნებისმიერი ქვეყნისათვის პირველხარისხოვან პრობლემებს, როგორცაა: ეკონომიკური, სოციალური და ეკოლოგიური უსაფრთხოება და აღნიშნულია, რომ თითოეული მათგანი ეროვნული უსაფრთხოების ძირითადი შემადგენელი ნაწილია. აქ მოყვანილია ამ პრობლემათა ამომწურავი განმარტებები, მათი შემადგენელი კომპონენტები, მაჩვენებელთა (ინდიკატორთა) სისტემები და თითოეული მათგანი დაწვრილებითაა გაშლილი. ნაშრომში განხილულია მიზეზები, რაც უარყო-*

ფითად მოქმედებს ეკონომიკური, სოციალური და ეკოლოგიური უსაფრთხოების ზოგად მაჩვენებლებზე, მითითებულია მათი აღმოფხვრის გზები.

ნაშრომი შესრულებულია ჩინეთის და თურქეთის მაგალითზე. განხილულია ამ ქვეყნებში ეკონომიკური, სოციალური და ეკოლოგიური უსაფრთხოების არსებული მდგომარეობა, მოყვანილია მათი მათი შედარება სხვა ქვეყნების შესაბამის მაჩვენებლებთან და თითოეული მათგანის მთავრობათა მიერ დასახული მომავლის გეგმები. ეს ანალიზი გაკეთებულია საკმაოდ ფართო სტატისტიკური ციფრული მასალის საფუძველზე. ნაშრომში გაკეთებულია როგორც თურქეთში, ისე ჩინეთში აღნიშნული პრობლემების ანალიზის საფუძველზე შესაბამისი დასკვნები, რომლებიც განზოგადოებულია.

**საკვანძო სიტყვები:** ეკონომიკა, ეროვნული უსაფრთხოება, ეკონომიკური უსაფრთხოება, სოციალური უსაფრთხოება, ეკოლოგიური უსაფრთხოება.

\*\*\*\*

მსოფლიოს ნებისმიერი ქვეყნისათვის პირველხარისხოვან პრობლემას ეროვნული უსაფრთხოება წარმოადგენს.

ტერმინი „ეროვნული უსაფრთხოება“ პირველად გამოიყენა აშშ-ს პრეზიდენტმა ტ. რუზველტმა 1904 წელს (პანამის არხთან დაკავშირებით). ეს კონცეფცია მოიცავდა პოლიტიკურ, სამხედრო და ეკონომიკურ სფეროებს. ეროვნული უსაფრთხოება მრავალ სფეროს აერთიანებს, რომელთა შორის წამყვანია: სახელმწიფო თავდაცვა, შიდა, საგარეო, ეკონომიკური, სოციალური, ეკოლოგიური, ენერგეტიკული, ინფორმაციული უსაფრთხოებები, მართლწესრიგი და სხვ.

ეროვნული უსაფრთხოება ეს არის სახელმწიფო სტრატეგიისა და მიზნების ოფიციალურად მიღებული შეხედულებების ერთობლიობა, რომელიც უზრუნველყოფს პიროვნების, საზოგადოებისა და სახელმწიფოს დაცვას პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური, სამხედრო, ინფორმაციული, ტექნოლოგიური, ეკოლოგიური ან სხვა ხასიათის გარე და შიდა საფრთხეებისგან, არსებული რესურსებისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით.

ეკონომიკური უსაფრთხოება სახელმწიფოს უსაფრთხოების მთლიან სისტემასთან მჭიდროდ არის დაკავშირებული. იგი უნდა

განვიხილოთ, როგორც სახელმწიფოს მიერ გატარებული ყველა თავდაცვითი ღონისძიების ერთობლიობა, რომელსაც მინიმუმამდე დაჰყავს ქვეყანაზე ნეგატიური შიდა და გარე ფაქტორების გავლენა ეკონომიკური ინტერესების დაცვასთან ერთად. მისი აქტუალობა განსაკუთრებით იზრდება ეკონომიკური, პოლიტიკური, სოციალური, დემოგრაფიული, ეკოლოგიური და სხვა პროცესებისა და მოვლენების მწვავე კრიზისულ, ე.წ. გარდამავალ პერიოდში.

ეკონომიკური უსაფრთხოება შედგება სხვადასხვა კომპონენტებისაგან: ქვეყანაში ბუნებრივი რესურსების ტიპი და რაოდენობა; ქვეყნის გეოგრაფიული მდებარეობა და ტერიტორიების თავისებურება; სახელმწიფო მართვის თავისებურება; საწარმოო სფეროს პოტენციალი; სასოფლო-სამეურნეო კომპლექსის განვითარება; სოციალურ-დემოგრაფიული მდგომარეობა და სხვ. იმ ქვეყნებს, რომლებიც ლიდერობენ ეკონომიკური განვითარების მხრივ, თითქმის ყველა ეს კომპონენტი გააჩნიათ, რაც მათი ეკონომიკური უსაფრთხოების საფუძველს წარმოადგენს. თუმცა უნდა ითქვას, რომ უსაფრთხოების მაღალი დონის მისაღწევად სულაც არ არის აუცილებელი ყველა ჩამოთვლილი კომპონენტის არსებობა. ზოგიერთ ეკონომიკურად განვითარებულ ქვეყანას არ გააჩნია სახარბიელო გეოგრაფიული მდებარეობა ანდა მდიდარი ბუნებრივი რესურსები, მაგრამ ეს მათი „ნაკლი“ სხვა ფაქტორებით კომპენსირდება: წარმოების მაღალი დონე, ინოვაციურობა და ა.შ. ეკონომიკური უსაფრთხოების ობიექტებია როგორც ეკონომიკური სისტემა კომპლექსში, ასევე მისი ცალკეული ელემენტი: ბუნებრივი სიმდიდრე, საწარმოო და არასაწარმოო ფონდები, უძრავი ქონება, ფინანსური რესურსები, სამეურნეო სტრუქტურები და სხვ., ხოლო მისი სუბიექტებია: საკანონმდებლო სტრუქტურები, სახელმწიფო და მისი ინსტიტუტები (სამინისტროები, უწყებები, სამსახურები და სხვ.), სახელმწიფო და კერძო სექტორის დაწესებულებები. გამოყოფენ ეკონომიკური უსაფრთხოების სამ ძირითად შემადგენელს: - სამეურნეო დამოუკიდებლობა, რაც ძირითადად ნიშნავს ეროვნული რესურსების სახელმწიფო კონტროლს; - სახელმწიფო ეკონომიკის მდგრადობა და სტაბილურობა, რაც ძირითადად ნიშნავს ქონების (მის ყველა ფორმებში) დაცვას, გარანტიების და საიმედო პირობების შექმნას სამეწარმეო აქტიურობისათვის, ბრძოლას კრიმინალთან და სხვ.; - თვითგანვითარების და პროგრესის შე-

საძლებლობა. ქვეყნის ეკონომიკური უსაფრთხოების დონე მრავალი ფაქტორით განისაზღვრება: ქვეყნის გეოპოლიტიკური და გეოგრაფიულ-ეკონომიკური მდებარეობა და, ამასთან, ადგილობრივი და უცხოური რესურსების ხელმისაწვდომობა; ქვეყნის ეკონომიკური და სამხედრო-პოლიტიკური სიძლიერე და მისი კონკურენტუნარიანობა მსოფლიო ეკონომიკურ სისტემაში; სტრატეგიული მნიშვნელობის მატერიალურ სიმდიდრეთა არსებობა, რომელიც საკმარისი იქნება ეკონომიკური უსაფრთხოებისათვის ფორსმაჟორული სიტუაციის შემთხვევაში, მაგრამ მათ შორის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია: ქვეყნის ინსტიტუციური სისტემის ორიენტაცია ინდუსტრიული ინოვაციური ეკონომიკის შექმნის ხელშეწყობაზე, რომელზეც ეროვნული უსაფრთხოების ხარისხია დამოკიდებული; სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკის პრიორიტეტების მიმართვა იმ დარგებისა და საწარმოებისაკენ, რომლებიც უზრუნველყოფენ ქვეყნის კონკურენტუნარიანობის ზრდას.

ეკონომიკური უსაფრთხოების მაჩვენებელთა (ინდიკატორთა) სისტემა, რომლის დანიშნულებაა წინასწარ განსაზღვროს მოახლოებული ეკონომიკური საფრთხე, მოიცავს ისეთ მაჩვენებლებს, როგორცაა: მოსახლეობის ცხოვრების დონე, ინფლაციის დონე და ტემპი, უმუშევრობის დონე, ეკონომიკური ზრდა, ბიუჯეტის დეფიციტი, სახელმწიფო ვალი, ქვეყნის ოქროს რეზერვების შემადგენლობა, ჩრდილოვანი ეკონომიკის დონე, შემოსავალი ერთ სულ მოსახლეზე, ერთობლივი ეროვნული პროდუქტი. მათი საშუალებით შესაძლებელია უმნიშვნელოვანესი ეკონომიკური პროცესების შეფასება, ქვეყნის რესურსული პოტენციალის, მისი ეფექტურად გამოყენების, ქვეყნის ეკონომიკის კონკურენტუნარიანობის, სუვერენიტეტის, სოციალური სტაბილურობის და ა.შ. გაანალიზება.

ბოლო წლებში ეკონომიკური განვითარების მხრივ წარმატებულ ქვეყანათა რიგს უდაოდ მიეკუთვნება ჩინეთი. არავინ არ დაობს იმაზე, რომ ჩინეთმა ეკონომიკური სასწაული მოახდინა და თავისი განვითარების ტემპებით მსოფლიოში პირველი ადგილი დაიკავა. ჩინეთის მთავრობა სულ უფრო ცდილობს მსოფლიოს აჩვენოს ინდუსტრიალიზაციის ახალი სცენარი, რომელიც დაფუძნებულია უახლესი ტექნოლოგიების განვითარებაზე, ბუნებრივი რესურსების რაციონალურად გამოყენებაზე, უზარმაზარი ადამიანური რესურსის მაქსიმალურ გამოყენებაზე. ეს ყველაფერი თავის

ასახვას ჰპოვებს ქვეყნის სახელმწიფო პოლიტიკაში, რომელიც მიმართულია ჰარმონიული, მდგრადი საზოგადოების ჩამოყალიბებისკენ, სადაც დაცულია ეკონომიკური, სოციალური და ეკოლოგიური ინტერესების პარიტეტი.

მიუხედავად იმისა, რომ ბოლო წლებში ჩინეთმა ძალიან დიდ წარმატებებს მიაღწია, აქ მაინც რჩება სოციალურ-ეკონომიკურ-ეკოლოგიური პრობლემების მთელი სპექტრი. 2021 წლის ყოველწლიურ კონფერენციაზე - „ცენტრალური ეკონომიკური საქმიანობა“ (CEWC) ჩინეთის მთავრობამ წარმოადგინა ყოვლისმომცველი ეკონომიკური პოლიტიკის ძირითადი პუნქტები მომავლისათვის და დასახა ძირითადი გარანტიების გეგმა, რომელთა შორის პრიორიტეტულია: დასაქმების გარანტია; არსებობის ძირითადი საშუალებების გარანტია; ენერგეტიკული და სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფა; მომარაგების ჯაჭვის სტაბილურობის უზრუნველყოფა და სხვ., რომელთა შესრულება ქვეყანაში 2022 წლიდან დაიწყოს.

ჩინეთის ეკონომიკის განვითარების დღევანდელ მდგომარეობაზე წარმოდგენას გვაძლევს ცხრილი 1.

ცხრილი 1

ჩინეთის ეკონომიკური განვითარების ზოგიერთი მაჩვენებელი

მაჩვენებელი	2018	2019	2020	2021
მშპ 1 სულ მოსახლეზე (აშშ. დოლარი)	9905.3	10144	10409	12556
ოქროს სარეზერვო ფონდი (მლრდ აშშ დოლარი)	3168.2	3222.9	3357.2	3427.9
უმუშევრობის დონე (%)	4.28	4.52	5.00	4.82
ინფლაცია (%)	2.10	2.90	2.40	1.00
სახელმწიფო ვალი (მლრდ აშშ დოლარი)	-	2 ტრლნ-ზე მეტი	-	-
სახელმწიფო ვალი (% მშპ-თან)	53.85	57.24	68.08	71.5

ეკონომიკური ზრდა: რეალური მშპ-ზრდის ტემპი (%)	6.75	5.95	2.24	8.11
ბიუჯეტის დეფიციტი (% მშპ-თან))	2.6	2.8	3.6	3.2
ბიუჯეტის დეფიციტი (მლრდ აშშ დოლარი)	380	411	141	980
ჩრდილოვანი ეკონომიკის წილი მშპ-ში (%)	14.67	-	10.05	-
ბედნიერების ინდექსი (0-10)	5.25	5.19	5.34	5.59
მოსახლეობის ცხოვრების დონე	99.07	97.92	102.81	103.15

ცხრილში მოყვანილი თითქმის ყველა მაჩვენებელი განუხრელ ეკონომიკურ ზრდაზე მიუთითებს. ბოლო 4 წლის მონაცემებით მშპ-ს რაოდენობა ერთ სულ მოსახლეზე 2651 აშშ დოლარით გაიზარდა, ხოლო ეკონომიკურმა ზრდამ 8.11% შეადგინა, რაც 4 წლის წინანდელ მაჩვენებელს 1.36%-ით სჭარბობს. ამ პერიოდში გაიზარდა მოსახლეობის ცხოვრების დონე 99.07-დან 103.5-მდე, ხოლო, რაც ნიშანდობლივია, ბედნიერების ინდექსი 5.59 ქულას გაუტოლდა.

საერთაშორისო სავალუტო ფონდის მონაცემებით თურქეთის ეკონომიკა ითვლება თავის რეგიონში ერთ-ერთ უძლიერესად და მიეკუთვნება სწრაფად განვითარებადს. მსოფლიო რუკაზე მომგებიანი ადგილმდებარეობა, უცხოური საშუალებების შემოსული ნაკადები და იაფი სამუშაო ძალა - ყველაფერი ეს დადებითად აისახება ეკონომიკურ მაჩვენებლებზე, რომელთა გამო ქვეყანა მიკუთვნებულია განვითარებული ქვეყნების რიგს. შრომისუნარიანი

მოსახლეობის (15-64 წლამდე) მხოლოდ 51%-ს გააჩნია მუდმივი ანაზღაურებადი სამუშაო (თუმცა ეს არ ნიშნავს უმუშევრობას, რაც თურქეთში ბოლო წლებში 10%-ის ფარგლებში მერყეობს). მთელი დღით დასაქმებული თურქეთის მოქალაქის წლიური შემოსავალი 22.848 აშშ დოლარს შეადგენს.

თურქეთი უდაოდ მიეკუთვნება უახლეს ინდუსტრიულ სა-ხელმწიფოთა რიცხვს, სადაც მშპ ერთ სულ მოსახლეზე 10 ათას აშშ დოლარს აღემატება.

2018 წელს -ინფლაცია - 25%-ს გადააჭარბა ეს იყო ბოლო 15 წლის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი.

თურქეთის ბოლო წლების ეკონომიკურ მდგომარეობაზე წარმოდგენას გვაძლევს ცხრილი 2 .

**ცხრილი 2**

**თურქეთის ეკონომიკური განვითარების ზოგიერთი მაჩვენებელი**

მაჩვენებელი	2018	2019	2020	2021
მშპ 1 სულ მოსახლეზე (აშშ. დოლარი)	9 454	9121.5	8536,4	9586.6
ოქროს სარეზერვო ფონდი (მლრდ აშშ დოლარი)	93.00	105.6	93.51	109.5
უმუშევრობის დონე (%)	10.89	13.67	13.11	13.39
ინფლაცია (%)	16.3	15.2	12.3	19.6
სახელმწიფო ვალი (მლრდ აშშ დოლარი)	-	439	-	441.1
სახელმწიფო ვალი (% მშპ-თან)	30,07	32,57	39,66	41,98
ეკონომიკური ზრდა: რეალური მშპ-ზრდის ტემპი (%)	2.98	0.89	1.79	10.99
ბიუჯეტის დეფიციტი (%)	1.9	2.9	3.5	2.7



მშპ-თან)				
ბიუჯეტის დეფიციტი (მლრდ აშშ დოლარი)	13.35	21	25.6	14.9
ჩრდილოვანი ეკონომიკის წილი მშპ-ში (%)	31.38		23.85	
ბედნიერების ინდექსი (0-10)	5.48	5.37	4.95	4.74
მოსახლეობის ცხოვრების დონე	127.93	125.51	127.1	125.97

ცხრილის მიხედვით თურქეთს ბოლო წლებში ზრდა აქვს ისეთი მაჩვენებლის მიხედვით, როგორცაა მშპ ერთ სულ მოსახლეზე და იგი დღეს 9586.6 აშშ დოლარს უტოლდება. ასევე, საკმაოდ დიდი ზრდა ფიქსირდება ისეთი ინდიკატორის მიხედვით, როგორცაა ეკონომიკური ზრდა, რამაც 2021 წელს 10.99% შეადგინა და 2018 წლის მონაცემს (2.98%) 8.0ა%-ით გადააჭარბა. ამავე დროს მოსახლეობის ცხოვრების დონე ამ პერიოდში ცოტათი, მაგრამ მაინც შემცირებულია და 2018 წლის 127.98-დან 125.97-მდე დაეცა, შესაბამისად ბედნიერების ინდექსიც იგივე პერიოდში 5.48-დან 4.74 ქულამდე ჩამოვიდა.

XXI საუკუნეში თურქეთში ბევრი დადებითი ცვლილება მოხდა, ცხოვრების ხარისხი მთლიანობაში გაიზარდა, გაეროს „ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების“ ორგანიზაციის 2019 წლის მონაცემებით თურქეთში საგრძნობი წინსვლა შეინიშნება. მართალია, ქვეყანაში ოჯახების წლიური შემოსავალი გადასახადების დაფარვის შემდეგ 17000 აშშ დოლარზე ოდნავ მეტია, მაშინ როცა აღნიშნული ორგანიზაციის მიერ შესწავლილი ქვეყნების საშუალო მაჩვენებელი 30.5% უდრის, თურქეთი მიზნად ისახავს ამ მაჩვენებლის სწრაფ და განუხრელ გაზრდას და იმედოვნებს 2023 წლისთვის ჩადგეს მსოფლიოს 10 უმსხვილეს ეკონომიკათა რიგში.

ქვეყნის ეროვნული პოლიტიკის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ნაწილია სოციალური პოლიტიკა. სოციალური პოლიტიკის

რეგულირების ერთ-ერთ სფეროს წარმოადგენს სოციალური უსაფრთხოების, როგორც ეროვნული უსაფრთხოების ნაწილის უზრუნველყოფა.

სოციალური უსაფრთხოება ეს არის პიროვნების და საზოგადოების (სოციალური ჯგუფების) ინტერესების და სასიცოცხლო მოთხოვნილებების დაცულობის მდგომარეობა სხვადასხვა ეკონომიკური, სამართლებრივი და ორგანიზაციული ღონისძიებების დახმარებით.

სოციალური უსაფრთხოების მნიშვნელოვანი ინდიკატორებია: მოსახლეობის კმაყოფილება თავისი ცხოვრების დონით, სოციალური კონფლიქტების არარსებობა, საცხოვრებლით უზრუნველყოფა, ღირსეული საპენსიო და სამედიცინო მომსახურების განაწილება, განათლების ხელმისაწვდომობა და სხვ.

ისინი შეიძლება გავაერთიანოთ შემდეგ მსხვილ ჯგუფებში:

- სოციო-დემოგრაფიული (შობადობა, სიკვდილიანობა, მოსახლეობის რაოდენობის დინამიკა, სიცოცხლის ხანგრძლივობა);

- სოციო-ეკონომიკური - პირველ რიგში დაკავშირებულია მშპ-ს წარმოებასთან, მნიშვნელოვანი საკვები პროდუქტებისა და მომსახურებების წარმოებასა და მოხმარებასთან მოსახლეობის 1 სულზე და სხვ.

- სოციო-კულტურული - სახელმწიფო დანახარჯების მაჩვენებლები განათლებასა და კულტურაზე;

- ინტეგრალური (ადამიანური პოტენციალის განვითარების ინდექსი)- შეჯამებული და სინთეზირებულია მოსახლეობის სიცოცხლის ხანგრძლივობის, განათლების დონის მაჩვენებლები მოსახლეობის ერთ სულზე.

სახელმწიფოს მიერ აღნიშნულ პრობლემებზე არასათანადო ყურადღების, პიროვნებასა და საზოგადოებაზე სოციალური საფრთხეების ხანგრძლივი გავლენის შედეგად აუცილებლად ყალიბდება ისეთი უარყოფითი ტენდენციები, როგორიცაა: ცხოვრების ხანგრძლივობის დაბალი დონე; სიღარიბის მაღალი დონე; მოსახლეობის გაუმართლებლად მაღალი დიფერენციაციის დონე; ცხოვრების ხარისხის რეგიონული დისპროპორცია მოსახლეობის განათლების, ჯანდაცვის, სულიერი და კულტურული დონის შემცირება; დემოგრაფიული პრობლემები და სხვ. ჩვენ ვთვლით, რომ

აღნიშნული პრობლემების მოგვარების მხრივ სამაგალითოდ ჩინეთის გამოცდილება გამოდგება.

1950-იანი წლების დასაწყისში შეიქმნა უფასო ჯანდაცვის და განათლების სახელმწიფო სისტემები, ქალაქებში შეიქმნა მუშათა დაზღვევის და მოხუცთა პენსიების სისტემა. ჩინეთის სოციალური უზრუნველყოფის სისტემის ტრანსფორმაცია მოხდა დასავლეთის გამოცდილების გათვალისწინებით, მაგრამ ადგილობრივ გამოცდილებაზე დაყრდნობით.

ქვეყანაში სოციალური პოლიტიკის ახალი ეტაპი დაიწყო 2002 წელს, როცა მოხდა გარკვეულწილად ახალი, საბაზრო და ძველი გეგმური მეთოდების სინთეზი.

თანამედროვე ჩინეთში სოციალური უზრუნველყოფა ეს, უპირველეს ყოვლისა, წარმოადგენს სოციალურ დახმარებას. ზოგადად სოციალური დახმარება ეს ნიშნავს სამუშაო ადგილების შექმნას, შრომის მინიმალური ანაზღაურების რეგულირებას, მოსახლეობის მხარდაჭერის ფონდების ფორმირებას (მ.შ. ინვალიდებისათვის), სიღარიბის მდგომარეობიდან გამოსვლის პირობების შემნას და სხვ. თუმცა სოციალური დახმარების ორგანიზება ნატურალური ფორმით მოითხოვს არა მარტო ქვეყნის ხელმძღვანელობის პოლიტიკურ ნებას, არამედ შემსრულებელთა დიდ არმიას, რომლებიც არ ჩაიძირებიან ბიუროკრატიულ ფორმალიზმსა და კორუფციაში, არამედ შეძლებენ დროულად დაარეგულირონ განაწილების პროცესი.

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის არსებობის საწყის პერიოდში ჩინელებმა, დაინახეს რა, რომ დასავლეთის მდიდარ ქვეყნებში დახმარებები კლავენ შრომისადმი მოტივაციას, ამ პრობლემას კონცეპტუალურად სხვა მხრივ მიუდგნენ. ქვეყანაში შემოტანილი იქნა „დენვეი“-ს სისტემა, რომლის მიხედვითაც მოსახლეობის სოციალური დახმარება ცენტრალიზებულად, სახელმწიფო საწარმოების მეშვეობით ხორციელდებოდა არა ფულადი დახმარებების, არამედ საკვები პროდუქტების, ტანსაცმლის, საცხოვრებელი ადგილების სახით. ბევრი სკოლა და საავადმყოფო შენდებოდა და ფუნქციონირებდა მსხვილი ფაბრიკა-ქარხნების ხარჯზე.

ეს გამოცდილება მეტად მნიშვნელოვანია. ჩინეთში თვლიან, რომ ფულადი შემწეობები „რყვნიან“ ადამიანებს, სრულიად არ

უზრუნველყოფენ ადამიანების მიერ საზოგადოებრივ საქმიანობაში მონაწილეობის აუცილებლობის გაგებას და სურვილს.

სოციალური დახმარების საფუძველს ჩინეთში წარმოადგენს ოჯახის დაბალი შემოსავალი, რაც, თავის მხრივ, ეყრდნობა „საარსებო მინიმუმის“ მაჩვენებელს. ეს ინდიკატორი, როგორც წესი, მუშავდება ცალკეული რეგიონისათვის, ზოგჯერ კი - ადამიანების ცალკეული ჯგუფებისათვის და, რაც აღსანიშნავია, იგი განუხრელად იზრდება. ადგილობრივ ბიუჯეტებში აუცილებლად არსებობს სტატია „საარსებო მინიმუმის უზრუნველსაყოფად“ (მეორე უმნიშვნელოვანესი მაჩვენებელია შრომის მინიმალური ანაზღაურება, რომელიც აგრეთვე იანგარიშება ცალკეულ რეგიონში და აგრეთვე განუხრელად იზრდება).

2021 წელს ჩინეთმა თამამად გამოაცხადა, რომ დაამარცხა სიღარიბე, რისთვისაც ბოლო 8 წლის განმავლობაში 250 მლრდ აშშ დოლარი დახარჯა. გაეროს კვლევების მიხედვითაც, ჩინეთში არ დარჩა ღარიბები, ხოლო ჩინეთის წილი სიღარიბესთან საერთო მსოფლიო ბრძოლაში 70%-ს შეადგენს.

სოციალური უზრუნველყოფის მეორე უმნიშვნელოვანესი სფერო სოციალური დაზღვევა: საპენსიო, სამედიცინო, უმუშევრობის, დედებისათვის და ბავშვებისათვის. აქ ყველაფერი სტანდარტულადაა, როგორც სხვა ქვეყნებში საგადასახადო ამონაგებები ფორმირდება როგორც სოციალური დაზღვევის ფონდები, საიდანაც ხორციელდება მოქალაქეების დახმარებები. ჩინეთში უმუშევრობის შემწეობაც არსებობს, რომელიც დგინდება ადგილობრივ დონეზე და რომელიც არ არის საარსებო მინიმუმზე ნაკლები. ეს შემწეობა ინიშნება მაქსიმუმ 1-24 თვის განმავლობაში. ბოლო დროს ჩინეთში განვითარებას იწყებს საპენსიო დაზღვევის კერძო ინიციატივა მდიდარი მოქალაქეებისათვის.

ბოლო წლებში ჩინეთის სოციალური განვითარების შესახებ წარმოდგენას გვაძლევს ცხრილი 3.

### ცხრილი 3

#### ჩინეთის სოციალური განვითარების ზოგიერთი მაჩვენებელი

მაჩვენებელი	2018	2019	2020	2021
დანახარჯები ჯანდაცვაზე (აშშ	501,1	535,1		

დოლარი)				
დანახარჯები ჯანდაცვაზე % მშპ- თან, (%)	5,17	5,35	5.2	
სახელმწიფო დანახარჯები განათლებაზე % მშპ- თან, (%)	3.54	3.54	3.57	
სახელმწიფო დანა- ხარჯები განათ- ლებაზე % სახ. დანახარჯებიდან	10.76	11.23	10.53	
წიგნიერების დონე (%)	96.84	96.4		97.0
დანაშაულთა ინდექსი	48.67	45.46	31.83	30.14
უსაფრთხოების ინდექსი	60.56	54.54	63.04	69.83
სახელმწიფო სოცია- ლური დანახარჯები (% მშპ-თან)			39.02	39.02
სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა (წელი)	76.7	76.91	77.1	72.95
პენსიაზე გასვლის ასაკი (წელი) (კაცი/ქალი)	60/60	60/55	60/55	60/50-55
საშუალო პენსია (აშშ დოლარი)	170	170	145-210	210
65 და მეტი ასაკის მოსახლეობა (% - მთლიანი მოსახლეო- ბის)	10.92	11.47	11.97	12.41

როგორც ცხრილში მოყვანილი მონაცემების მიხედვით შეგვიძლია ვიმსჯელოთ, ჩინეთში 2018-2019 წლებში შესამჩნევია ჯანდაცვაზე გაწეული დანახარჯების ზრდა 501.1 აშშ დოლარიდან 535.1 დოლარამდე. ზრდა შეიმჩნევა აგრეთვე განათლების სფეროში, რაც ასევე ასახულია წიგნიერების დონეზე, რაც 2021 წლი-

სათვის 97.0%-ს უტოლდება. საკმაო ზრდა შეიმჩნევა უსაფრთხოების ინდექსში, რაც 2018 წლის 60.56 ქულიდან 69.83-მდე გაიზარდა. ამას ეხმაურება დანაშაულობათა ინდექსიც, რომელიც ამ პერიოდში 48.67 ქულიდან 30.14-მდე შემცირებული.

რაც შეეხება პენსიას, 2021 წლისათვის ეს მაჩვენებელი 210 აშშ დოლარს გაუტოლდა (2018 წელს 170 აშშ დოლარი იყო); ქალეზისათვის საპენსიო ასაკმა ამ პერიოდში 5 პუნქტით დაიწია და 55 წლით განისაზღვრა. მოსახლეობის ცხოვრების დონის გაუმჯობესება ასახება ისეთ მაჩვენებელზე, როგორცაა ხანშიშესული მოსახლეობის ხვედრითი წილი საერთო მოსახლეობაში. ამ მაჩვენებლით ჩინეთში საკმაოდ კარგი მდგომარეობაა და აქ 65 და მეტი ასაკის მოსახლეობის ხვედრითი წილი 2021 წლისათვის საერთო რაოდენობაში 10.92-დან 12.41%-მდე გაიზარდა.

რაც შეეხება თურქეთს, გაეროს ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაციის 2019 წლის მონაცემებით, ქვეყანა მოწინავეთა რიგში მეექვსე ადგილზე იმყოფება „სამოქალაქო უფლებების“ ინდიკატორის მხრივ, რაც მოსახლეობის დემოკრატიულ პროცესებში ჩართულობას ასახავს.

XXI საუკუნეში თურქეთში მომხდარ უმნიშვნელოვანეს სოციალურ ცვლილებათა შორის აღსანიშნავია ჯანდაცვის სისტემის რეფორმა, რომლის შედეგადაც ქვეყნის ყველა მოქალაქეს საშუალება მიეცა მიიღოს შეღავათიანი მკურნალობა. საინტერესოა, რომ იგივე შეღავათებით რეზიდენტებსაც შეუძლიათ ისარგებლონ თურქეთში ცხოვრების 1 წლის შემდეგ და თურქული ენის აუცილებელი ცოდნით. აღნიშნულ პრობლემაზე თურქეთში წარმოდგენას გვაძლევს ცხრილი 4.

#### ცხრილი 4

#### თურქეთში სოციალური განვითარების ზოგიერთი მაჩვენებელი

მაჩვენებელი	2018	2019	2020	2021
დანახარჯები ჯანდაცვაზე მოსახლეობის ერთ სულზე (აშშ დოლარი)	389,9	396.9		
დანახარჯები ჯანდაცვაზე % მშპ- თან, (%)	4,12	4,34	4.2	5

სახელმწიფო დანახარჯები განათლებაზე % მშპ-თან, (%)	4.29	4.3	2.9	
სახელმწიფო დანახარჯები განათლებაზე % სახ. დანახარჯებიდან	12.43			
წიგნიერების დონე (%)		96.74		97.0
დანამაშულებათა რიცხვი	40.66	40.38	39.49	39.62
უსაფრთხოების ინდექსი	58.94	59.62	60.51	60.47
სახელმწიფო სოციალური დანახარჯები (% მშპ-თან)	12.5	12.5	34.5	37.5
სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა (წელი)	77.44	77.69	77.93	72.95
პენსიაზე გასვლის ასაკი (წელი) (კაცი/ქალი)	60/58	60/60	60/58	60/58
საშუალო პენსია (აშშ დოლარი)	272,51	272,51	272,51	380
65 და მეტი ასაკის მოსახლეობა (% მთლიანი მოსახლეობის)	8.48	8.73	8.98	9.29

ინდიკატორით „ჯანმრთელობა“ ქვეყანამ 10 ქულიდან 6.9 დააგროვა. გაეროს მიერ შესწავლილი ქვეყნების ცხოვრების ხანგრძლივობის საშუალო მონაცემი 80 წელს უდრის, თურქეთში იგი 78 წელია, თურქი რესპოდენტების 66% თავის თავს ჯანმრთელად თვლის, რაც იმანაც გამოიწვია რომ XXI საუკუნეში თურქეთში ამოქმედდა საერთო სამედიცინო დაზღვევის სისტემა. ქვეყანაში საპენსიო ასაკი მამაკაცებისთვის 60 წელია, ქალებისთვის - 58, მაგრამ თუ ქალს 5 და მეტი შვილი ჰყავს მას პენსიაზე გასვლა 48 წლის ასაკიდან შეუძლია.

რაც შეეხება განათლებას, სავალდებულო განათლება აქ 8 წელს მოიცავს, სრული სასკოლო პერიოდი - 12 წელია და თურქები სკოლას 18 წლის ასაკში ამთავრებენ. უმაღლესი განათლება მოიცავს სხვადასხვა სახის უმაღლეს სასწავლებელს და 2 დან 9 წლამდე გრძელდება. ბოლო პერიოდში სახელმწიფო უმაღლეს სასწავლებლებში უფასო გახდა როგორც მოქალაქეებისთვის, ისე რეზიდენტებისათვის, თუმცა ეს პირველ 4 წელს ხდება, შემდეგი პერიოდი ფასიანია.

წიგნიერების დონე ქვეყანაში საკმაოდ მაღალია - 97.0%.

ზოგადად თურქეთში უსაფრთხოების დონე მზარდი მონაცემია: 2018 წლის 58.94-დან 2021 წელს 60.47-მდე გაიზარდა.

რაც შეეხება პენსიის რაოდენობას, ისიც გაიზარდა 272.51 აშშ დოლარიდან 380-მდე. გაიზარდა აგრეთვე ისეთი ინდიკატორი, როგორიცაა 65 და მეტი ასაკის ადამიანების რიცხვი მთლიან მოსახლეობაში 8.48%-დან 9.29%-მდე 2018 წლიდან 2021 წლამდე.

ეროვნული უსაფრთხოების კიდეც ერთი უმნიშვნელოვანესი პრობლემაა ეკოლოგიური უსაფრთხოება. მიღებული განმარტებით, ეკოლოგიური უსაფრთხოება ეს არის გარემოსა და ადამიანზე ეკოლოგიური საფრთხეების ბუნებრივი და ანტროპოგენური ფაქტორების ნეგატიური გავლენის დასაშვები დონე.

ეკოლოგიური უსაფრთხოების მაჩვენებლებია: ბუნებრივი ეკოსისტემების დაზღვევის დონე; ბუნებრივი გარემოს ცალკეული კომპონენტების მდგომარეობა (წყალი, ჰაერი, ნიადაგი); დამაბინძურებელი ნივთიერებების ატმოსფეროში გატყორცნის მოცულობა; დეგრადირებული მიწების ფართობი; რეგიონში დაავადებათა დინამიკა; დაბინძურების შედეგად მიღებული ეკონომიკური ზარალი და სხვ.

ამის შესაბამისად ყველაზე მწვავე ეკოლოგიურ პრობლემებს წარმოადგენს:

- ჰაერის დაბინძურება, განსაკუთრებით დიდ ქალაქებში, ავტოტრანსპორტის დიდი გამონაბოლქვების, გამათბობელი სისტემების, ენერგეტიკის და სამრეწველო საწარმოების მუშაობის შედეგად;

- სასმელი წყლის დაბალი, სულ უფრო გაუარესებული ხარისხი და მთლიანად წყლის რესურსების დაბინძურება;



- ბიომრავალფეროვნების შემცირება და გაქრობა, მიწის და წყლის ეკოსისტემების დეგრადაცია, ტყის მასივების შემცირება ხანძრების, მავნებლების შესევის, უკანონო ჭრის შედეგად და სხვ.;

- ეკოლოგიური კატასტროფების რისკების ზრდა, ნაგავსაყრელების, ნარჩენების არადამაკმაყოფილებელი შენახვის პრობემის შედეგად.

აქედან შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ეკოლოგიური უსაფრთხოების საფუძველში დევს: ადამიანსა და ბუნებას შორის მდგრადი ურთიერთკავშირის შენახვა; რესურსების რაციონალური გამოყენება; იმ პროცესების რეგულირება, რომელსაც შეუძლია გამოიწვიოს გარემოს დაზიანება და ეკოლოგიურად საშიში სიტუაციების შექმნა, მაგალითად, ეკოლოგიურად საშიშ წარმოებათა ნარჩენების დამარხვა (მ.შ. ატომური და ქიმიური მრეწველობის) ყველა საერთაშორისო წესების დაცვით; აგრეთვე მასიური განადგურების იარაღის გამოცდის შედეგების აუცილებელი გათვალისწინება და სხვ..

ეკოლოგიური უსაფრთხოების სრული უზრუნველყოფა ერთი ეროვნული ინტერესების ფარგლებში შეუძლებელია. ეს არის მსოფლიო მასშტაბის პრობლემა. ამიტომ თითოეული ქვეყანა, პირველ რიგში, ეკონომიკურად მოწინავე ქვეყნები ვალდებული არიან გაითვალისწინონ ეკოლოგიური პრობლემების აღმოფხვრის ყველა მათ ხელში არსებული საშუალებების გამოყენება. ჩინეთი ერთ-ერთი მათგანია.

ჩინეთის ეკოლოგიური პრობლემების აღწერა საკმაოდ რთულია. ძალიან დიდხანს ეკონომიკა ქაოტური იყო, ბუნებრივი რესურსები ნადგურდებოდა ამწუთიერი მოგების მიზნით. XX საუკუნის მეორე ნახევარში აქტიური ინდუსტრიალიზაციის პერიოდში ჩინეთის მთავრობა პრაქტიკულად არ აქცევდა ყურადღებას გარემოს დაზიანების პრობლემას. 1978 წლის რეფორმების დაწყებიდან ამ საკითხისადმი მიდგომები შეიცვალა, თუმცა რეალურ მოქმედებებზე მთავრობა 1990-იანი წლების მეორე ნახევრიდან გადავიდა. ეხლა გარემოს დაცვის სახელმწიფო მართვის ეგიდით მოქმედებს ათზე მეტი მსხვილმასშტაბიანი გარემოსდაცვითი პროექტი, რომლის დიდმა ნაწილმა სტარტი 1995-98 წლებში აიღო. მათ შორისაა ეკოლოგიური მდგომარეობის მონიტორინგი ჩინეთის 7

ძირითადი მდინარის აუზში; ძლიერად დაბინძურებული წყლის ობიექტების (ტბების) გასუფთავების ღონისძიებათა დანერგვა.

ბოლო 20 წლის განმავლობაში ეკოლოგიური მდგომარეობა ჩინეთში იმდენად გაუარესდა, რომ პროგრესისა და ტექნიკური რევოლუციის უდიდესი მიღწევები ნულამდე დაჰყავს. მოსახლეობის უდიდეს ნაწილს სასმელი წყლის და საკვები პროდუქტების უხარისხობის გამო ჯანმრთელობის და დაბალი იმუნიტეტის პრობლემები გააჩნია. მოსახლეობის მაღალი სიმჭიდროვის გამო სეზონური ვირუსები ძალიან მალე ვრცელდება, მუტირებას განიცდის, ახალი შტამები ჩნდება.

მეცნიერების აზრით ჩინეთის ეკოლოგიის ძირითადი პრობლემა შხამიანი სმოგია. ატმოსფეროში ნახშირორჟანგის გაფანტვა ხდება უამრავი სამრეწველო საწარმოს, ჰესების, ტრანსპორტის და ა.შ. მიერ. თუკი ევროპელები პირბადეების ტარების პრობლემას პირველად კოვიდის დროს შეეჯახნენ, ჩინეთში მათი მასიური ტარება შედარებით ადრე დაიწყო. გაეროს მიერ შემუშავებული ჰაერის დაბინძურების ინდექსის მიხედვით, აღნიშნული მაჩვენებელი ჩინეთში სწრაფად უარესდება, 2019 წლიდან (39.12 ქულა) 2021 წელს (20.6 ქულა) 19.6 ქულით შემცირდა. მსოფლიოს ყველაზე დაბინძურებული ქალაქების ტოპ-20-ში 16 ჩინური ქალაქი შედის.

ჩინეთის ეკოლოგიის მდგომარეობაზე წარმოდგენას გვაძლევს ცხრილი 5.

**ცხრილი 5**

**ჩინეთის ეკოლოგიური მდგომარეობის ზოგიერთი მაჩვენებელი**

მაჩვენებელი	2018	2019	2020	2021
ეკოლოგიის ინდექსი	50.74		37.3	28.4
გარემოს დაბინძურების ინდექსი	83.08	81.24		81.17
აირების გამონაბოლქვი (მლნ. ტ)	10.502.930	10.707.220	11948,12	12466,32

აირების გამონა- ბოლქვი ერთ სულ მოსახლეზე (მეტრული ტ.)	7.95	7.61	6.74	
ჰაერის დაბინძუ- რების ინდექსი		39.12	27.1	20.6

ეკოლოგიური კატასტროფის მნიშვნელოვანი წილი იმ საწარ-  
მოებზე მოდის, რომელიც აბინძურებს წყლის რესურსებს. შედარე-  
ბისათვის, ევროპაში ხდება ჩამდინარე წყლების 80-85%-ს, ჩინეთში  
კი მხოლოდ 20%-ს. ჰიდროსფეროს დაბინძურება იწვევს სასმელი  
წყლის დეფიციტს. ბუნებრივი წყლის წყაროების (მდინარეების,  
ტბების) ნაპირზე მცხოვრები სოფლის მოსახლეობა ვერ ახერხებს  
ამ წყლების სარწყავად გამოყენებას თავიანთ მეურნეობებში.

გაეროს მიერ შემუშავებული ეკოლოგიური ინდექსის მიხედ-  
ვით ჩინეთში სულ რაღაც 4 წლის წინ - 2018 წელს ეს მაჩვენებელი  
50.74 ქულას შეადგენდა, ხოლო 2021 წელს იგი 28.4 ქულამდე და-  
ეცა. ბოლო პერიოდში ადგილი აქვს მის განუხრელ შემცირებას.

2014 წელს ჩინეთმა ბუნებრივი რესურსების დაცვა კონსტი-  
ტუციაში შეიტანა. შემუშავებულია სახელმწიფო პროგრამა სასათ-  
ბურე გაზების გაფანტვის შემცირების მიზნით. 2025-30 წლებში  
ქვეყანაში იგეგმება ქვანახშირის მოხმარების შემცირება 75%-ით.  
იგი ქარის და მზის ელექტროსადგურებმა უნდა ჩაანაცვლოს. უკვე  
აკრძალულია პლასტიკის იმპორტი. 2019 წლიდან შემოტანილია  
ერთჯერადი პაკეტების და სამაგიდო საგნების მოხმარების თანდა-  
თანობითი აკრძალვა. აქტიურად ხდება ხეების დარგვა, „მწვანე  
სარტყლის“ შექმნა მაქსიმალურად დიდ ტერიტორიებზე.

რაც შეეხება თურქეთს, აქაც ერთ-ერთ უმწვავეს პრობლემას  
ეკოლოგია წარმოადგენს. სხვადასხვა კვლევების მიხედვით, ამ  
კუთხით იგი მსოფლიოში ერთ-ერთ ყველაზე ჩამორჩენილ ქვეყა-  
ნათა რიგში დგას. აქ სხვადასხვა მტერის სახეობათა რაოდენობა 1 მ<sup>3</sup>  
ჰაერში მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის მიერ რეკომენდებულ  
მონაცემებზე 2-ჯერ მეტია. თურქეთის მოსახლეობა ძალიან ცდი-  
ლობს გააუმჯობესოს ეკოლოგიური მდგომარეობა. აქ ფუნქციონი-  
რებს მრავალი ბუნებისდაცვითი მიმართულების საზოგადოებრი-  
ვი ორგანიზაცია. თურქული მთავრობაც ატარებს სხვადასხვა ღო-

ნისძიებას. 2018 წლის ბოლოსათვის სამი წლის მონიტორინგის შემდეგ სერვის Numbeo-ს მიერ თურქეთს მიენიჭა 100-დან 67,7 ინდექსი ჰაერის დაბინძურების მხრივ. ეს საკმაოდ მაღალია. სხვა მონაცემებით, თურქეთი საშუალო მაჩვენებლებით ხასიათდება, მაგალითად, წყლის ხარისხის ინდექსი 48.4-ია, თუმცა ნიშანდობლივია, რომ თურქეთის მოსახლეობის 63% წყალს ხარისხიანად თვლის. თურქეთის ეკოლოგიურ მდგომარეობაზე წარმოდგენას გვაძლევს ცხრილი 6.

### ცხრილი 6

#### თურქეთის ეკოლოგიური მდგომარეობის ზოგიერთი მაჩვენებელი

მაჩვენებელი	2018	2019	2020	2021
ეკოლოგიის ინდექსი	52.96		42.6	26.30
გარემოს დაბინძურების ინდექსი	69.03	68.63		
აირების გამონაბოლქვი (მლნ. ტ)	441.730	396.840	416,51	449,72
აირების გამონაბოლქვი ერთ სულ მოსახლეზე (მეტრული ტ.)	5.00	4.76		
ჰაერის დაბინძურების ინდექსი		20.62	49.5	44.6

გაეროს მიერ შემუშავებული ეკოლოგიის ინდექსი თურქეთში 2018 წლიდან - 52.96 ქულა - 2021 წელს 26.30 ქულამდე შემცირდა.

თურქეთის პოლიტიკის საფუძველს, რომელიც მოიცავს გარემოს დაცვის ელემენტებს (2014-2018), წარმოადგენს ქვეყნის განვითარების მე-10 გეგმა. ამ გეგმის მთავარი ნაწილია ენერჯის განახლებადი წყაროების განვითარება, განსაკუთრებით ქარის და გეოთერმული ენერჯის მზარდი გამოყენება.

გაეროს ჩარჩოს კონვენციამ კლიმატის ცვლილების შესახებ 2015 წელს დასახა მიზნობრივი მაჩვენებლები. თურქეთისათვის მზის ენერჯის სიმძლავრე 2030 წლისათვის 10 გბტ-ს უნდა გაუტოლდეს. თანამედროვე პირობებში თურქეთი აწარმოებს ენერჯის 28%-ს ქვანახშირისგან. თურქეთში გათბობის მიზნით მხოლოდ ბუნებრივი გაზი და მაღალხარისხიანი ნახშირი გამოიყენება,

ხოლო წვის პროდუქტები განსაკუთრებული ყურადღებით კონტროლდება, რათა შემცირდეს მათი უარყოფითი გავლენა ბუნებაზე. ეს ღონისძიება აისახება ქვეყნის სხვადასხვა ეკოლოგიურ მაჩვენებელზე. მაგალითად, ცხრილი 6-ის მიხედვით თუ ჰაერის დაბინძურების ინდექსი 2019 წელს 20.62 ქულას შეადგენდა, 2020 წელს იგი უკვე 49.5 გაუტოლდა, 2021 წელს ოდნავ შემცირდა და 44.6 ქულა შეადგინა. თუმცა ეკოლოგები ამტკიცებენ, რომ მზის და ქარის ენერჯის გამოყენებით იგივე შედეგების მიღება შეიძლება და თანაც მინიმუმამდე იქნება შემცირებული გარემოს დაბინძურების რისკები. თურქეთი მომავალში გეგმავს გაზარდოს ენერჯის ალდგენითი წყაროების გამოყენება, დიდ ყურადღებას უთმობს საკუთარი ქვანახშირის, იმპორტული ნავთობპროდუქტების და გაზის გამოყენებას თავისი ეკონომიკური ზრდის მიზნით.

თურქეთის გარშემო ზღვებში ასევე მუდმივად კონტროლდება ტანკერების და გემების ტექნიკური მდგომარეობა, რომელიც ბოსფორისა და დარდანელის სრუტეებს გაივლიან. ყველანაირი დარღვევისათვის საკმაოდ მაღალი ჯარიმებია გათვალისწინებული. ეს პირდაპირ აისახება წყლის რესურსების დაბინძურების მაჩვენებელზე.

ეკოლოგიის სფეროში თურქეთის სახელმწიფო პოლიტიკა გამოიხატა იმაში, რომ 2025 წლიდან იგეგმება თურქული სკოლების საგანმანათლებლო პროგრამებში ჩართული იყოს სხვადასხვა საგნები, მიმართული ბუნებისადმი ფრთხილი მოპყრობისაკენ. (მაგალითად, არ დატოვონ პიკნიკის შემდეგ ანთებული კოცონი), დაწყებითი კლასებიდანვე იწყება ფლორისა და ფაუნის მოვლა-შენარჩუნების შესახებ სპეციალური სახელმძღვანელოების გამოყენება.

ყოველივე ზემოთქმული ნათლად მიუთითებს იმაზე, რომ ქვეყნის ეროვნულ უსაფრთხოებაზე მოქმედი შიდა და საგარეო ფაქტორები, ერთად აღებული, სახელმწიფო უსაფრთხოების მთლიანი სისტემის უმნიშვნელოვანეს სეგმენტს წარმოადგენს. ისინი კონკურენტუნარიანობის ზრდის, ეკონომიკური მდგრადობის და განვითარების უპირველეს ამოცანათა რიგში დგას. მხოლოდ სახელმწიფოს ხელეწიფება თავდაცვით ღონისძიებათა მწყობრი სისტემის გონივრული გატარებით მინიმუმამდე დაიყვანოს ქვეყნის ეკონომიკაზე მოქმედ სოციალურ-ეკონომიკურ-ეკო-

ლოგიურ ფაქტორთა უარყოფითი გავლენა და ამით ქვეყანაში ეკონომიკური განვითარების სტაბილურობას და მდგრადობას მიაღწიოს.

### გამოყენებული ლიტერატურა

1. <https://cyberleninka.ru/article/n/kitay-ekonomicheskii-bum-i-ekologicheskaya-ugroza> КИТАЙ: ЭКОНОМИЧЕСКИЙ БУМ И ЭКОЛОГИЧЕСКАЯ УГРОЗА Бубакар Бадиан
2. <https://ecologanna.ru/ekologicheskie-problemy/ekologiya-v-kitae> 30.04.2021 Экология в Китае и пути решения проблем
3. <https://www.bestreferat.ru/referat-207784.html> Экологические угрозы и проблемы их преодоления правительством КНР
4. <https://prc.today/perspektivy-kitaya-na-2022-god/> Перспективы Китая на 2022 год Экономика, Covid, бизнес и нормативно-правовая база в Китае в 2022 год
5. [https://studopedia.ru/1\\_45123\\_kitayskaya-sistema-sotsialnoy-zashchiti.html](https://studopedia.ru/1_45123_kitayskaya-sistema-sotsialnoy-zashchiti.html) Китайская система социальной защиты
6. <https://prc.today/sistema-soczialnogo-obespecheniya-kitaya/> Система социального обеспечения Китая: краткий обзор
7. [https://rusdozor.ru/2021/07/27/socialnoe-obespechenie-v-kitae\\_1092267/](https://rusdozor.ru/2021/07/27/socialnoe-obespechenie-v-kitae_1092267/) Анатолий Широкобородов 27.07.2021
8. [https://studwood.ru/1123251/turizm/ekologicheskoe\\_sostoyanie\\_stran\\_y](https://studwood.ru/1123251/turizm/ekologicheskoe_sostoyanie_stran_y) Экологическое состояние страны
9. <https://tolerance-homes.ru/articles/ekologia-v-turtsii-zashita-ekologii-vopros-gosudarstvennogo-znachenia/> Экология в Турции. Защита экологии – вопрос государственного значения.
10. <https://evolvelium.com/ecology/ekologiya-v-turtsii/>
11. [https://studbooks.net/661429/turizm/otsenka\\_sovremennogo\\_sotsialno\\_ekonomicheskogo\\_politicheskogo\\_ekologicheskogo\\_polozheniya\\_re\\_gione](https://studbooks.net/661429/turizm/otsenka_sovremennogo_sotsialno_ekonomicheskogo_politicheskogo_ekologicheskogo_polozheniya_re_gione) Оценка современного социально-экономического, политического и экологического положения в регионе
12. [https://studbooks.net/913411/ekologiya/sistema\\_ugroz\\_ekologo\\_ekonomicheskomu\\_bezопасному\\_razvitiyu\\_territorii](https://studbooks.net/913411/ekologiya/sistema_ugroz_ekologo_ekonomicheskomu_bezопасному_razvitiyu_territorii) Система угроз эколого-экономическому безопасному развитию территории
13. <https://lookmytour.com/countries/turkey/life-quality> Уровень жизни в Турции - 14
8. <https://zagranportal.ru/turciya/zhizn-turciya/ekonomika-v-turcii.html> Особенности и тенденции турецкой экономики
9. 14. <https://www.ataberkestate.com/vse-cto-nado-znat-ob-ekologii-v-turcii> Все, что нужно знать об экологии в Турции

**EXPERIENCE OF SOME DEVELOPING COUNTRIES (CHINA,  
TURKEY) IN THE FIELD OF ECONOMIC, SOCIAL AND  
ENVIRONMENTAL SECURITY**

**Summary**

The work is devoted to the primary problems for any country in the world, such as: economic, social and ecological security, and it is noted that each of them is a major component of national security. The author has provided comprehensive definitions of these problems, their components, systems of indicators and has detailed each of them. The paper discusses the causes that negatively affect the general indicators of economic, social and ecological security, and indicates ways of their elimination.

The work is done on the example of China and Turkey. The current situation of economic, social and ecological security in these countries, their situation compared to other countries and the future plans set by the governments of each of them are discussed. This analysis is made on the basis of interesting statistical digital material. Based on the analysis of the mentioned problems both in Turkey and China, relevant conclusions are presented in the paper, which are generalized.

*თეიმურაზ გოგობია*

**ფირმის ეკონომიკური უსაფრთხოების სტრატეგიის შემუშავების  
მეთოდოლოგიური ასპექტები**

*ანოტაცია.* ნაშრომში განხილულია ფირმის ეკონომიკური უსაფრთხოების არსი და სტრატეგიული მნიშვნელობა მის ფუნქციონირებაში, მიმოხილულია კომპანიის ეკონომიკური უსაფრთხოების შესახებ ფართოდ გავრცელებული შეხედულებები.

აღწერილია ეკონომიკურ უსაფრთხოებასთან დაკავშირებული გარკვეული პრობლემები, მათ შორის პოტენციური საფრთხეები და რისკები.

დასაბუთებულია ფირმის ეკონომიკური უსაფრთხოების მდგომარეობის ანალიზისა და შეფასების და, შესაბამისად, ფირმა-

ში ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფის სისტემის შემუშავებისა და დანერგვის აუცილებლობა. აღწერილია კომპანიის ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიმართულებები და მოცემულია ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფის კონცეფციები, მეთოდები და ინსტრუმენტები.

ჩამოყალიბებულია ეკონომიკური უსაფრთხოების სტრატეგიის შემუშავებისა და რეალიზაციის მეთოდოლოგიური პრინციპები და მიდგომები.

**საკვანძო სიტყვები:** ფირმა, სტრატეგია, ეკონომიკური უსაფრთხოება.

### შესავალი

გლობალიზაციის პროცესის კვალდაკვალ ეკონომიკური განვითარების თანამდეროვე ეტაპზე ძალზე აქტუალური ხდება სხვადასხვა ეკონომიკური სისტემის როგორც დამოუკიდებელი ერთეულის (სუბიექტის) უსაფრთხოების უზრუნველყოფა, ეხება ეს საერთაშორისო, ეროვნულ, თუ ცალკეული ორგანიზაციის (ფირმის, საწარმოს) დონეს. თანამდეროვე ტურბულენტური ეკონომიკური გარემო წარმოქმნის სხვადასხვა საფრთხეებსა და რისკებს ეკონომიკური სუბიექტების ფუნქციონირებისათვის. ამ ვითარებაში ამ უკანასკნელთ სჭირდებათ თავისი საქმიანობისთვის სათანადო საორიენტაციო ეკონომიკური უსაფრთხოების სტრატეგიული გეგმების შემუშავება და მანევრული ოპერატიულ-ტაქტიკური რეალიზაცია.

აღსანიშნავია, რომ ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საწარმოების საქმიანობის სტრატეგიის შემუშავებისა და განხორციელების პროცედურები განისაზღვრება მეთოდოლოგიურ ასპექტებზე დაყრდნობით. სათანადო მისიის, მიზნებისა და ამოცანათა ნაკრების, განვითარების სტრატეგიული გეგმის შემუშავების საფუძველზე საწარმოების სტრატეგიული ორიენტაცია ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად ხელს უწყობს ამ ეკონომიკური სუბიექტების უსაფრთხოების სისტემის დროულ კორექტირებას და მუდმივ გაუმჯობესებას, გარემოპირობების ცვლილებების შესაბამისად. სტრატეგიის განხორციელების მუდმივი მონიტორინგი და ადეკვატური კორექტირება უზრუნველყოფს საწარმოს სტაბილურობას, თანმიმდევრულ განვითარებას და ეკო-



ნომიკური ინტერესების მიღწევის შესაძლებლობას [Shynkar S. et al., 2019: 6].

ჩვენი სტატია ეძღვნება ეკონომიკური უსაფრთხოების სტრატეგიის შემუშავების მეთოდოლოგიური ასპექტების განხილვას ფირმის (როგორც დამოუკიდებელი და თვითმყოფადი ეკონომიკური სუბიექტის) დონეზე.

### **1. ეკონომიკური უსაფრთხოების არსი და სტრატეგიული მნიშვნელობა ფირმის ფუნქციონირებაში**

შესაბამისი ეკონომიკური ლიტერატურიდან ცნობილია, რომ „ფირმის ეკონომიკური უსაფრთხოების“ გაგება ძალზე კომპლექსურია და ფირმის საქმიანობის, ერთი მხრივ, სხვადასხვა მიმართულებას, ხოლო მეორე მხრივ - როგორც შიდა, ისე გარე არეალის სხვადასხვა ფაქტორს მოიცავს.

ქვემოთ მოვიყვანთ ორგანიზაციის (ფირმის, საწარმოს) დონეზე ეკონომიკური უსაფრთხოების ცნების განსაზღვრის მიმართ ფართოდ გავრცელებული მიდგომების, სხვადასხვა ავტორის მიერ შემოთავაზებულ, კლასიფიკაციას.

*ს. კასპეროვიჩისა და ე. დერბინსკაიას* მოსაზრების მიხედვით, „ფირმის (საწარმოს) ეკონომიკური უსაფრთხოების“ ცნების არსის განსაზღვრის ორი ძირითადი მიდგომა არსებობს:

1. საწარმოს ეკონომიკური უსაფრთხოება წარმოსდგება როგორც საწარმოს ფუნქციონირებისთვის საფრთხეების ჰიპოთეტური არარსებობა და რაიმე სახიფათო სიტუაციების აღმოცენების შესაძლებლობა;
2. საწარმოს ეკონომიკური უსაფრთხოება განიხილება როგორც საფრთხისგან მისი რეალური დაცულობა, ანუ როგორც უნარი, შეინარჩუნოს საკუთარი დამოუკიდებლობა და მოახდინოს თავისი ინტერესების რეალიზაცია, არახელსაყრელი გარემოპირობების მიუხედავად [Касперович С.А., Дербинская Е.А., 2016: 279].

*ბ. ლაკაშუკის* შეხედულებით, ორგანიზაციის ეკონომიკური უსაფრთხოების განსაზღვრის სამი მიდგომა არსებობს, რომელიც ისეთ ასპექტებზე არის ფოკუსირებული, როგორიცაა:

- ორგანიზაციის ეკონომიკის მდგომარეობა;

- ორგანიზაციის საქმიანობის დაცულობა (შეზღუდული რესურსების ეფექტიანი გამოყენებისათვის ხელსაყრელი პირობების შექმნის პროცესი);
- ორგანიზაციის თვისებების (საწარმოო, ფინანსური, საკადრო, ეკოლოგიური, ინოვაციური და სხვ. პოტენციალის) რაოდენობრივი და ხარისხობრივი მახასიათებლები [Лукашук Н.А., 2016: 284].

აქ მკვლევარი ფირმის ეკონომიკურ უსაფრთხოებას განიხილავს, როგორც ორგანიზაციის საქმიანობას (პროცესს), როდესაც რესურსები გამოიყენება მაქსიმალურად ეფექტიანად, რაც განაპირობებს საფრთხეების თავიდან აცილებას და საწარმოს სტაბილური და მდგრადი ფუნქციონირების უზრუნველყოფას როგორც მიმდინარე დროის პერიოდში, ისე მომავალში [Лукашук Н.А., 2016: 284].

ფირმის ეკონომიკური უსაფრთხოების განმარტებასთან დაკავშირებით *ი. კისელიოვა და სხვ.* გამოყოფენ სამ მთავარ მდგომას, რომელიც ითვალისწინებს ისეთ ფაქტორებს, როგორცაა:

- ფირმის ფუნქციონირებისთვის არსებული და შესაძლო საფრთხეები;
- ფირმის ეკონომიკური სისტემის გარკვეული მდგომარეობა (ყოველგვარი საფრთხეების მითითების გარეშე);
- ფირმის კომერციული საიდუმლოების შენახვისა და ინფორმაციის დაცვის უზრუნველყოფა [Киселева И.А. и др., 2018: 416].

*ამ მკვლევართა* აზრით, სამეწარმეო სტრუქტურისთვის ეკონომიკური უსაფრთხოების არსი მდგომარეობს რესურსების საუკეთესო გამოყენების მდგომარეობის შექმნაში, რათა თავიდან აიცილოს მეწარმეობისთვის შესაძლო საფრთხეები და უზრუნველყოს სტაბილური, ეფექტიანი ფუნქციონირებისთვის და მოგების მიღებისთვის სათანადო პირობების ფორმირება [Киселева И.А. и др., 2018: 416].

*ა. იანიოგლოსა და ტ. პოლაიევას* კლასიფიკაციის მიხედვით „საწარმოს ეკონომიკური უსაფრთხოების“ კონცეფტუალური აპარატი ეფუძნება შემდეგ პრინციპებს:

- საფრთხეებისგან დაცვის კონცეფციის გამოყენება;
- რესურსების ეფექტიანი გამოყენების მდგომარეობის მიღწევა და შენარჩუნება;

- სტაბილური ფუნქციონირებისა და განვითარების შესაძლებლობის რეალიზაცია;
- კონკურენტული უპირატესობის მქონე პოზიციის ფორმირება;
- საწარმოს ეკონომიკური უსაფრთხოების მდგომარეობის როგორც ერთიანი მრავალკომპონენტებიანი მთელის (ანუ სისტემის) გაგება, რაც განაპირობებს ამ სისტემის საერთო ბიზნესმიზნების მიღწევის შესაძლებლობას [Ianioglo A., Polajeva T., 2016: 3-5].

ამ ავტორთა აზრით, საწარმოს ეკონომიკური უსაფრთხოება არის მდგომარეობა, რომელიც ხასიათდება ეკონომიკური სუბიექტის უნარით, უზრუნველყოს რესურსების და შესაძლებლობების ეფექტიანი გამოყენება, რათა თავიდან აიცილოს საფრთხეები და გაზარდოს კონკურენტული უპირატესობები, რაც საშუალებას მისცემს, მიაღწიოს თავის ბიზნესმიზნებს. საწარმოს ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფა მნიშვნელოვანია აღწარმოების უწყვეტი პროცესის განსახორციელებლად. ამასთან, მათი შეხედულებით, საწარმოს ეკონომიკური უსაფრთხოება მოიცავს სამ მნიშვნელოვან ელემენტს, როგორცაა:

- ეკონომიკური დამოუკიდებლობა,
- მდგრადობა და
- განვითარება [Ianioglo A., Polajeva T., 2016: 5].

აღსანიშნავია, რომ ტ. ფედორენკოსა და სხვ. მოსაზრებით "საწარმოს ეკონომიკური უსაფრთხოების" შინაარსის შესწავლა უნდა ხდებოდეს – კომპლექსური მიდგომის გამოყენების საფუძველზე, რასაც უპირატესობა გააჩნია. შესაბამისად, ეს "საწარმოს ეკონომიკური უსაფრთხოების" კონცეფცია უნდა იქნას განმარტებული, როგორც მიმდინარე დროის პერიოდში უსაფრთხოების არარსებობა და უახლოეს მომავალში საწარმოს ნეგატიური ბუნების აქტივობებში ცვლილებების წარმოქმნის დაბალი ალბათობა, რომელიც წარმოადგენს საფრთხეების რეალიზაციის შედეგს და შეიძლება გამოიწვიოს საწარმოს საქმიანობის პირობებისა და შედეგების გაუარესება, შეაფერხოს მისი განვითარება, წახალისოს მნიშვნელოვანი რესურსების დახარჯვა ამ უარყოფითი ცვლილებების დასაძლევად ან აღმოსაფხვრელად [Fedorenko T. et al., 2022: 6].

ფირმის დონეზე ეკონომიკური უსაფრთხოების ინტერპრეტაციის ზემოთ მოყვანილი მაგალითებიდან გამომდინარე, ბევრი

მკვლევარი აღნიშნავს, რომ ჯერ კიდევ არ არის მიღწეული კონსენსუსი ამ ცნების შინაარსთან დაკავშირებით.

## **2. ეკონომიკურ უსაფრთხოებასთან დაკავშირებული პოტენციური საფრთხეები და რისკები**

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ნებისმიერი ორგანიზაციის (საწარმოს) სტაბილური ფუნქციონირების და განვითარების უზრუნველსაყოფად, მისი საქმიანობის წარმართვისას აუცილებელია დიდი ყურადღება მიექცეს ზოგადად უსაფრთხოებას, მათ შორის ეკონომიკურ უსაფრთხოებას.

ამისათვის აუცილებელია გაირკვეს, თუ რა საფრთხეებმა შეიძლება უარყოფითად იმოქმედოს კონკრეტულ ორგანიზაციაზე (საწარმოზე), რა რისკებს მოიცავს მისი ფუნქციონირება და, შესაბამისად, განისაზღვროს ღონისძიებათა ნაკრები (სისტემა) ამ საფრთხეების თავიდან ასაცილებლად და რისკების შესამცირებლად [Перова Д.А., 2020b: 243]. მკვლევარი ხაზს უსვამს იმას, რომ თანამედროვე რეალობაში არსებობს უამრავი საფრთხე, რომელიც გავლენას ახდენს ეკონომიკური სუბიექტის უსაფრთხოებაზე. ეს ნიშნავს, რომ საწარმომ მუდმივად უნდა აწარმოებდეს თავისი საქმიანობის მონიტორინგს იმის დასარწმუნებლად, რომ საფრთხეების გავლენა მისი ორგანიზაციის ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფაზე მინიმალურია და იდეალურ შემთხვევაში საერთოდ არ არსებობს [Перова Д.А., 2020a: 242].

დ. პეროვას აზრით, საწარმოს ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფის აუცილებლობა, ისევე როგორც მისი მენეჯმენტი, განპირობებულია ისეთი სერიოზული საფრთხეების არსებობით, როგორიცაა: გაზრდილი კონკურენცია, ეკონომიკური პროცესების არასტაბილურობა, წარმოების აღჭურვილობის მდგომარეობის გაუფასურება, მომველებული ტექნიკისა და ენერგოტექვადი ტექნოლოგიების გამოყენება და მრავალი სხვა [Перова Д.А., 2020b: 246].

აქ გვინდა მოვიყვანოთ სხვადასხვა ავტორის მოსაზრებები ორგანიზაციის (ფირმის) საქმიანობაზე ზემომქმედი საფრთხეების კლასიფიკაციასთან დაკავშირებით.

ე. სელიუტინას აზრით, არსებობს საფრთხის სამი ძირითადი გარე წყარო:

1. ორგანიზაციისთვის სახელმწიფოს არახელსაყრელი ეკონომიკური პოლიტიკა. ამ უკანასკნელის მანიპულაციები ეკონომიკის დარეგულირების მიზნით დისკონტის, ვალუტის კურსის, საბაჟო ტარიფის განაკვეთების, გადასახადებისა და სხვ. გამოყენებით ზოგიერთ შემთხვევაში შეიძლება ეწინააღმდეგებოდეს ფირმის საწარმოო, კომერციულ და ფინანსურ პოლიტიკას;
2. სხვა ეკონომიკური სუბიექტების ქმედებები (არაკეთილსინდისიერი კონკურენცია);
3. კრიზისული მოვლენები მსოფლიო ეკონომიკაში [*Селютина Е.О., 2020: 265*].

ეკონომიკური უსაფრთხოების საფრთხეების ყველაზე გავრცელებული კლასიფიკაცია არის მათი დაყოფა შიდა და გარე ჯგუფებად (კლასებად). გარე საფრთხეები არ არის დამოკიდებული ფირმის საწარმოო საქმიანობაზე და წარმოიქმნება ორგანიზაციის გარეთ. როგორც წესი, გარე საფრთხეები მოიცავს გარემოში მიმდინარე და მოსალოდნელ ცვლილებებს, რომლებიც შეიძლება საზიანო იყოს საწარმოსთვის. საწარმოს ეკონომიკური უსაფრთხოების გარე საფრთხეებს შორის გამოირჩევა შემდეგი:

- პოლიტიკური სიტუაციის ფუნდამენტური ცვლილება;
- მაკროეკონომიკური კრიზისები;
- კანონმდებლობის ცვლილებები, რომლებიც გავლენას ახდენს ბიზნესგარემოზე;
- კრიმინალური სტრუქტურების ქმედებები;
- არაკეთილსინდისიერი კონკურენცია;
- კონკურენტების არასანქცირებული წვდომა კომერციული საიდუმლოების შემადგენელ ინფორმაციაზე;
- სტიქიური უბედურებები და სხვა საგანგებო სიტუაციები და სხვა [*Киселева И.А. и др., 2018: 420*].

აღსანიშნავია *ბ. უკტამოვის* მიერ შემოთავაზებული, ეკონომიკური უსაფრთხოებისთვის საფრთხეებისა და რისკების კლასიფიკაცია, რომელიც შემდეგ კრიტერიუმებს უყრდნობა:

- ალბათობის დონე (მოხდენის დაბალი, საშუალო და მაღალი ალბათობა);
- გამოვლინების ხასიათი (რეალური, პოტენციური);
- წარმოშობის წყაროები (შიდა და გარე);

- დროის პერიოდის მიხედვით (მიმდინარე, გრძელვადიანი);
- საფრთხის ობიექტი (ქონება, ტექნოლოგია, ინფორმაცია და ა.შ.);
- პროგნოზირებადობის ხარისხი (პროგნოზირებადი და არა-პროგნოზირებადი საფრთხეები);
- შესაძლო ზიანის მოცულობა (ზარალის მისაღები, მნიშვნელოვანი და კატასტროფული დონე) [Uktamov Kh., 2020: 42].

ძირითადი გან

მასხვავებელი თვისებებიდან გამომდინარე ეკონომიკური უსაფრთხოებისათვის საფრთხეებისა და რისკების, მათ შორის მათი შემადგენელი ნაწილების დაზუსტებით და დადგენით, შესაძლებელი ხდება მათი (საფრთხეებისა და რისკების) კუთვნილების განსაზღვრა კონკრეტული სახეობის ჯგუფში. შესაბამისად, ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფის ქმედებების (დონისძიებების) მიმართულება უფრო ზუსტი და კონკრეტული იქნება.

ამ თვალსაზრისით აღსანიშნავია რ. ნიკულინის მოსაზრება, რომ კომპანიის გარე და შიდა საფრთხეებისგან დაცვისას აუცილებელია გაიზარდოს ისეთი ამოცანების მნიშვნელობა, როგორცაა:

- ორგანიზაციაში ფინანსური სტაბილურობის სათანადო დონეზე შენარჩუნება;
- საკუთრების და ორგანიზაციის თანამშრომლების ფიზიკური და ინტელექტუალური დაცვის უზრუნველყოფა;
- საინფორმაციო, ეკოლოგიურ, ტექნოლოგიურ და სამართლებრივ სფეროებში წარმოქმნილი საფრთხეების თავიდან აცილება.

ავტორი მიუთითებს, რომ ზემოთ აღნიშნული ამოცანის თითოეული კომპონენტი უნიკალურია და აქვს ინდიკატორების საკუთარი დიაპაზონი, რომელსაც ორგანიზაციამ (ფირმამ) ყურადღება უნდა მიაქციოს არახელსაყრელი პირობებისა და საფრთხეების გამოსავლენად და თავიდან ასაცილებლად [Никулин Р.Ю., 2022: 171].

### **3. ფირმაში ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფის სისტემის შემუშავებისა და დანერგვის აუცილებლობა**

ბევრი მკვლევარი თანხმდება, რომ საწარმოს ეფექტიანი ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად საჭიროა ეკონომიკური

უსაფრთხოებასთან დაკავშირებული შესაძლო რისკებისა და საფრთხეების სისტემატური ანალიზისა და პროგნოზირების განხორციელება, რათა დროულად იქნას შემუშავებული და მიღებული (ცხოვრებაში გატარებული) სათანადო ზომები, ამ რისკებისა და საფრთხეების გასანეიტრალებლად ან საწარმოს საქმიანობაზე მათი (რისკებისა და საფრთხეების) ზემოქმედების უარყოფითი შედეგების მინიმუმამდე დასაყვანად [Перова Д.А., 2020a: 240].

ე. სელიუტინა აღნიშნავს, რომ თანამედროვე პირობებში აქტუალურია ეკონომიკური უსაფრთხოების პრობლემა, ვინაიდან საწარმოები მოქმედებენ სხვადასხვა გარე და შიდა რისკების პირობებში, ხოლო კონკურენტული ეკონომიკური გარემო მრავალ საფრთხეს მოიცავს. ეს გარემოება მოითხოვს საწარმოს მენეჯმენტის სუბიექტებს ეკონომიკური უსაფრთხოების დონის ამაღლებისკენ მიმართული ინტეგრირებული სისტემის შემუშავებას და დანერგვას [Селютин Е.О., 2020: 264].

ს. კასპეროვიჩისა და ე. დერბინსკაიას მიხედვით, საწარმოების ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად ინტეგრირებული სისტემის შემუშავება და დანერგვა, რომელიც შესაძლებელს გახდის ეკონომიკური უსაფრთხოების საფრთხის პროგნოზირებას და ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად ხარჯების მოცულობისა და სტრუქტურის სწრაფად რეგულირებას, ხარისხობრივად პოზიტიურად იმოქმედებს კონკრეტული კომპანიის მთლიან ფინანსურ მდგომარეობაზე. შედეგად, ეკონომიკური უსაფრთხოების ეფექტიანი სისტემის დანერგვა, საბოლოო ჯამში, დადებითად აისახება არა მხოლოდ თავად საწარმოს საქმიანობაზე, არამედ მთლიანად ქვეყნის ეკონომიკის აღდგენა-განვითარებაზე [Касперович С.А., Дербинская Е.А., 2016: 281].

ე. კონოპლევის მიაჩნია, რომ ნებისმიერი საწარმოს წარმატება დიდწილად განისაზღვრება წარმოშობილ საფრთხეებზე მისი რეაგირების სისწრაფითა და სისწორით, სადაც სამეწარმეო საქმიანობის ეფექტიანობის განმსაზღვრელი მთავარი ფაქტორია ეფექტიანად მოქმედი სისტემის არსებობა საწარმოს ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად [Коноплев Е.М., 2020: 136].

ფირმის (ორგანიზაციის) ეკონომიკური უსაფრთხოება არის მისი საერთო საქმიანობის ქვესისტემა, რომელიც საფრთხეებისა და რისკების განეიტრალებისა და შემცირების გზით უზრუნველყოფს

მისი (ფირმის) ფუნქციონირების ყველა რგოლის ეფექტიან მუშაობას, ხელს უწყობს მიზნების მიღწევას, განაპირობებს მართვის სისტემის სტაბილური და საიმედო განვითარების შესაძლებლობას და სხვ.

ამავე დროს, უნდა გვახსოვდეს, რომ ეკონომიკური უსაფრთხოება როგორც დანერგილი სისტემა ზოგადი გაგებით მიზნად ისახავს, გარე და შიდა არეალის ფაქტორების ნეგატიური გავლენისაგან საწარმოს ინტერესებისა და მისი საქმიანობის ისეთი კომპონენტების დაცვას, როგორცაა: პერსონალი, მატერიალური და არამატერიალური რესურსები, ფინანსური აქტივები, საბაზრო პოზიცია, იმიჯი და სხვ. [Перова Д.А., 2020b: 246].

#### **4. ეკონომიკური უსაფრთხოების სტრატეგიის შემუშავებისა და რეალიზაციის მეთოდოლოგიური პრინციპები და მიდგომები**

რაც უფრო მაღალია ეკონომიკური უსაფრთხოების სტრატეგიის კონტექსტის გაცნობიერება და გაგება, მით უფრო რეალიზებულია კონკრეტული სტრატეგიის არჩევანი და მით უფრო მნიშვნელოვანი იქნება მისი განხორციელების შედეგი [Драган О.А., 2015: 211].

აღსანიშნავია საწარმოების ეკონომიკური უსაფრთხოების სტრატეგიის შემუშავებისა და რეალიზაციისთვის *ბ. უკტამოვის* მიერ შემოთავაზებული კონცეპტუალური მიმართულებები (სხვადასხვა საფრთხისა და რისკის გათვალისწინების საფუძველზე):

- საწარმოს უსაფრთხოების სისტემის დახვეწა და მათი თანამედროვე ტექნიკური საშუალებებით უზრუნველყოფა;
- საწარმოს ქონების (ძირითადი საშუალებები, მარაგები, ნედლეული და მარაგები, ნახევარფაბრიკატები, მზა პროდუქცია და ა.შ.) დაცვის სისტემის შექმნა და უწყვეტი გაუმჯობესება;
- თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად ქონების ტრანსპორტირებისას საწარმოების უსაფრთხოების გაუმჯობესება;
- საწარმოების ინფორმაციული და სამეცნიერო-ტექნიკური უსაფრთხოების გაუმჯობესება;
- საწარმოს მენეჯმენტისა და ქონების მფლობელების უსაფრთხოების უზრუნველყოფის ღონისძიებების შემუშავება და გაუმჯობესება;



- საწარმოში ქურდობისა და ძარცვის ფაქტებზე სამართალ-დამცავი ორგანოებისთვის სწრაფი შეტყობინების სისტემის დახვეწა;
- საწარმოში შესვლისა და გასვლის ოპტიმალური რეჟიმის დანერგვა [Uktamov Kh., 2020: 46].

ო. დრაგანის შეხედულებით, ეკონომიკური უსაფრთხოების კონცეფციის წარმატებით განხორციელება საწარმოს დონეზე დიდ-წილად დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ განსაზღვრავს და ესმის ეკონომიკურ სუბიექტს ეკონომიკური უსაფრთხოების მიზნები და სტრატეგია. ამ თვალსაზრისით, საკმაოდ აქტუალური ჩანს საწარმოს ეკონომიკური უსაფრთხოების სტრატეგიისა და მისი სახეობების არსებითი ასპექტების შესწავლა. ამ კუთხით საწარმოებისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია უარყოფითი საფრთხეების ზემოქმედების შემცირება და შემდგომი ფუნქციონირებისა და განვითარების უზრუნველყოფა. ეს ყველაფერი წინასწარ განსაზღვრავს თანამედროვე საწარმოს ყველაზე გადაუდებელ პრიორიტეტს, კერძოდ, მისი ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფას. ამავდროულად, გასათვალისწინებელია ის, რომ საწარმოს ეკონომიკურ უსაფრთხოებაზე პირდაპირ ან ირიბად გავლენას ახდენს სხვადასხვა ფაქტორი და გარემოპირობები, რამაც შეიძლება განსაზღვროს მთლიანი საწარმოს საქმიანობის პროგრესი ან რეგრესი [Драган О.А., 2015: 206-207]. ამ თვალსაზრისით ავტორი გამოყოფს საწარმოების ეკონომიკური უსაფრთხოების სამ ძირითადი ტიპის სტრატეგიას, რომელიც შესაბამის პრინციპს ეყრდნობა:

1. სტრატეგიის პირველი ტიპი ორიენტირებულია არსებული საფრთხეების აღმოფხვრაზე (ე.წ. „ელიმინაციაზე“) ან ეკონომიკური უსაფრთხოებისთვის შესაძლო საფრთხეების პრევენციაზე;
2. სტრატეგიის მეორე ტიპი მიზნად ისახავს ზიანის თავიდან აცილებას ეკონომიკურ უსაფრთხოებაზე არსებული ან შესაძლო საფრთხეების ზემოქმედებით;
3. სტრატეგიის მესამე ტიპი ორიენტირებულია ეკონომიკური უსაფრთხოების საფრთხის შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურებაზე („კომპენსაციაზე“) [Драган О.А., 2015: 210].

მიგვაჩნია მართებულად ო. დრაგანის მეთოდოლოგიური პრინციპების გამოყენება ეკონომიკური უსაფრთხოების სტრატეგი-

ის შემუშავებასა და დანერგვაში მცირედი დაზუსტებით, რომლის მიხედვით ეკონომიკური უსაფრთხოების სტრატეგია ფირმის დონეზე უნდა ეფუძნებოდეს, პირველ რიგში, შესაძლო საფრთხეების წინასწარი განჭვრეტის პრინციპს (ანუ პრევენციას), ხოლო მას შემდეგ - არსებული საფრთხეების განეიტრალების პრინციპს (ანუ ნიველირებას, ელიმინაციას) და ბოლოს - საფრთხეებით გამოწვეული ზიანის დაფარვის პრინციპს (ანუ კომპენსაციას).

### დასკვნა

ხაზი უნდა გავუსვათ იმ ფაქტს, რომ ეკონომიკურ ლიტერატურაში ჯერ კიდევ არ არის მიღწეული კონსენსუსი ფირმის დონეზე ეკონომიკური უსაფრთხოების ცნების შინაარსთან დაკავშირებით. მსგავსი ვითარება აღენიშნება ორგანიზაციის (ფირმის) საქმიანობაზე ზემომქმედი საფრთხეების კლასიფიკაციასთან დაკავშირებით.

ფირმის (ორგანიზაციის) ეკონომიკური უსაფრთხოება არის მისი საერთო საქმიანობის ქვესისტემა, რომელიც საფრთხეებისა და რისკების განეიტრალებისა და შემცირების გზით უზრუნველყოფს მისი (ფირმის) ფუნქციონირების ყველა რგოლის ეფექტიან მუშაობას, ხელს უწყობს მიზნების მიღწევას, უზრუნველყოფს მართვის სისტემის სტაბილურ და საიმედო განვითარებას და ა.შ.

იქიდან გამომდინარე, რომ ეკონომიკის განვითარების თანამედროვე ეტაპისთვის დამახასიათებელი ტურბულენტური ეკონომიკური გარემო ქაოტურად და სპონტანურად წარმოქმნის სხვადასხვა საფრთხეებსა და რისკებს ეკონომიკური სუბიექტების ფუნქციონირებისათვის, ამ უკანასკნელთ სჭირდებათ თავისი საქმიანობისთვის სათანადო საორიენტაციო ეკონომიკური უსაფრთხოების სტრატეგიული გეგმების შემუშავება და მანევრული ოპერატიული-ტაქტიკური განხორციელება-რეალიზაცია. შესაბამისად, აღნიშნული სტრატეგია უნდა ეფუძნებოდეს კარგად შემუშავებულ, ქმედით, ორიენტირების მომცემ მეთოდოლოგიურ პრინციპებს.

### გამოყენებული ლიტერატურა

1. Dokiienko L. (2021). Financial Security of the Enterprise: An Alternative Approach to Evaluation and Management. // *Business, Man-*

- agement and Economics Engineering. Volume 19, Issue 2: 303–336 - <https://doi.org/10.3846/bmee.2021.14255>.
2. Fedorenko T., Dolynskiy S., Zahorodnia A. (2022). An Evolutionary Approach to the Interpretation of the Term «Economic Security of Enterprises». // International Journal of Innovative Technologies in Economy. 4(40). doi: 10.31435/rsglobal ijite/30122022/7926.
  3. Ianioglo A., Polajeva T. (2016). Origin and Definition of the Category of Economic Security of Enterprise. // *9<sup>th</sup> International Scientific Conference “Business and Management 2016”*, May 12–13. Vilnius, LITHUANIA. <http://dx.doi.org/10.3846/bm.2016.46>.
  4. Mamychev A.Y., Sulimova E.A., Yakovenko N.V., Savvidi S.M., Molchan A.S., Dianova V.A. (2016). Economic Security and Organizational Culture: Theoretical Approaches and Categorical Relationship. // *International Review of Management and Marketing*, 6(S1), 153-158.
  5. Shynkar S., Brynzei B., Rozumovych N. and Kurliak M. (2019). Modeling the Effects of Key Threats on the Economic Security of Industrial Enterprises. // *Fifteenth Scientific and Practical International Conference “International Transport Infrastructure, Industrial Centers and Corporate Logistics” (NTI-UkrSURT 2019)*, 15 October, SHS Web Conf., Volume 67 - <https://doi.org/10.1051/shsconf/20196704010>.
  6. Uktamov Kh. (2020). Scientific and Theoretical Basis of Threats to the Economic Security of the Enterprise. // *Asian Journal of Technology & Management Research (AJTMR)*, ISSN: 2249 –0892, Vol., 10, Issue–02, Dec.
  7. Драган О.А. (2015). Стратегия экономической безопасности предприятия: содержательный и таксономический аспект. // *Зовнішня торгівля: економіка, фінанси, право*. Науковий журнал. Серія: Економічні науки. №3 (80).
  8. Касперович С.А., Дербинская Е.А. (2016). Экономическая безопасность предприятия: сущность, цели и направления обеспечения. // *Труды БГТУ*, № 7, С. 278-282.
  9. Киселева И.А., Симонович Н.Е., Косенко И.С. (2018). Экономическая безопасность предприятия: особенности, виды, критерии оценки // *Вестник ВГУИТ*. Т. 80. № 2. С. 415–423. doi: 10.20914/2310-1202-2018-2-415-423.
  10. Коваленко О.А., Малютина Т.Д., Ткаченко Д.Д. (2018). Экономическая безопасность предприятия: моделирование и оценка. // Учебное пособие. М.: РИОР.

11. Коноплев Е.М. (2020). Система экономической безопасности современного предприятия. С. 133-137. // В сб.: *Экономическая безопасность: правовые, экономические, экологические аспекты*. Сборник научных трудов 5-й Международной научно-практической конференции, 4 апреля 2020 года. Юго-Зап. гос. ун-т., Курск: Юго-Зап. гос. ун-т.
12. Лукашук Н.А. (2016). Экономическая безопасность предприятия: сущность, оценка, факторы роста в контексте концепции устойчивого развития. // *Труды БГТУ*, № 7, С. 283-288.
13. Моденов А.К., Белякова Е.И., Власов М.П., Лелявина Т.А. (2019). *Экономическая безопасность предприятия*. // Монография, СПбГАСУ, СПб.
14. Никулин Р.Ю. (2022). Классификация угроз экономической безопасности предприятия. // *Электронный научно-экономический журнал «Стратегии бизнеса»*, Т. 10, № 7.
15. Перова Д.А. (2020а). Виды и источники угроз экономической безопасности предприятия, С. 240-242. // В сб.: *Экономическая безопасность: правовые, экономические, экологические аспекты*. Сборник научных трудов 5-й Международной научно-практической конференции, 4 апреля 2020 года. Юго-Зап. гос. ун-т., Курск: Юго-Зап. гос. ун-т.
16. Перова Д.А. (2020б). Понятие и сущность экономической безопасности предприятия, С. 243-247. // В сб.: *Экономическая безопасность: правовые, экономические, экологические аспекты*. Сборник научных трудов 5-й Международной научно-практической конференции, 4 апреля 2020 года. Юго-Зап. гос. ун-т., Курск: Юго-Зап. гос. ун-т.
17. Селютин Е.О. (2020). Теоретические аспекты экономической безопасности предприятия, С. 264-266. // В сб.: *Экономическая безопасность: правовые, экономические, экологические аспекты*. Сборник научных трудов 5-й Международной научно-практической конференции, 4 апреля 2020 года. Юго-Зап. гос. ун-т., Курск: Юго-Зап. гос. ун-т.
18. *Современные подходы к определению сути экономической безопасности предприятия* (2014). [Электронный ресурс] / Е.А. Князева, А.А. Сечняк // *Економіка: реалії часу*. Науковий журнал. № 6 (16). – С. 34-40. – Режим доступу до журн.: <http://economics.opu.ua/files/archive/2014/n6.html>.

## **THE METHODOLOGICAL ASPECTS OF THE ELABORATION OF THE STRATEGY OF FIRM'S ECONOMIC SECURITY**

### **Summary**

The paper discusses the essence of the economic security of a firm and its strategic importance in its operation, and reviews the widespread views on the economic security of the company.

Certain problems related to economic security are described, including potential threats and risks.

The need to analyze and evaluate the state of economic security of a firm and, accordingly, to develop and implement a system for ensuring economic security in the firm is substantiated. Directions for ensuring economic security of the company are described and concepts for ensuring economic security are given.

Methodological principles and approaches for the development and implementation of the economic security strategy have been established.

*ხათუნა ბერიშვილი*

### **რუსეთისა და უკრაინის სოციალურ-ეკონომიკური და ეკოლოგიური განვითარება**

*ანოტაცია. 1980-იანი წლების ბოლოს რუსეთის ეკონომიკა ღრმა კრიზისში აღმოჩნდა, რომლის მიზეზი საკმაოდ რთული და მრავალფეროვანი იყო, დაწყებული საშინაო პოლიტიკიდან, დამთავრებული სოციალურ-კულტურულამდე. თუმცა, გამწვავებული წინააღმდეგობების სირთულის მიუხედავად, ერთ-ერთი ყველაზე მტკივნეული თემა იყო სოციალური მიმართულებების სტრუქტურის დისბალანსი და მისი განვითარების მექანიზმების ნაკლებობა. სსრკ-ს ეკონომიკის მილიტარიზაციამ და მონოპოლიზაციამ, მოქალაქეთა სამეწარმეო საქმიანობის ჩახშობასთან ერთად მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებაში, აგრეთვე სოციალური სექტორების მიმართულებით დაფინანსების ნაკლებობამ, წარმოშვა სო-*

ციალურ-ეკონომიკური ხასიათის მწვავე პრობლემები, რაც უმნიშვნელოვანესი მაჩვენებლების მიხედვით მკვეთრად ჩამორჩებოდა განვითარებულ ქვეყნებს. თანამედროვე რუსეთმა მემკვიდრეობით მიიღო პრობლემები და აღმოჩნდა ისეთ სიტუაციაში, როდესაც გადაუჭრელი სოციალური საკითხები ხელს უშლიდა შემდგომ ეკონომიკურ განვითარებას, საჭიროებდა პრობლემების დაუყოვნებლივ გადაწყვეტას და მოქმედი მექანიზმის ჩამოყალიბებას.

შესაბამისად, რეფორმების მიმდინარე ეტაპის ერთ-ერთი მთავარ ამოცანად მიიჩნეოდა სოციალური სფეროს პრიორიტეტული განვითარება. სახელმწიფოს გაზრდილმა შესაძლებლობებმა, ახალი ეტაპი დაიწყო ქვეყნის თანამედროვე სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაში, მოხდა ნაწილობრივი ე.წ. „სახელმწიფოს დაბრუნება“ დაკარგულ პოზიციებზე. საკითხები, რომლებიც დიდი ხანია ხელისუფლების მხრიდან სათანადო ყურადღების გარეშე დარჩა, უკვე კონტროლის ქვეშ მოექცა.

განვითარებადი ქვეყნების გადასვლა განვითარების პოსტინდუსტრიულ ეტაპზე, რომელიც დაფუძნებულია არა მხოლოდ ინფორმაციული ტექნოლოგიების სწრაფ ზრდაზე, არამედ ადამიანური კაპიტალის ღირებულების განახლების განუყოფელ პროცესზე, არ შეიძლება იგნორირებული იყოს რუსეთის მიერ, რომელიც მიზნად ისახავს გაუთანაბრდეს განვითარებული ქვეყნების დონეს, რაც უზრუნველყოფს მოქალაქეების ცხოვრების ღირსეულ დონეს.

\*\*\*\*

თანამედროვე რუსეთის ეკონომიკაში კრიზისული ფენომენების მიზეზების, ბუნებისა და შინაარსის კვლევა ერთობ აქტუალურია. ქვეყანაში არსებულ ეკონომიკურ თავისებურებებს სამი ძირითადი ტენდენცია ახლავს:

პირველი არის ეკონომიკის სტაგნაცია. სტაგნაცია გამოიხატება ეკონომიკური ზრდის მაჩვენებლის ნულოვან ნიშნულთან მიახლოებით. 2020 წელს რუსეთში მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდამ შეადგინა 1,3%, ინდუსტრია პრაქტიკულად არ გაიზარდა, ინვესტიციები შემცირდა 0,3%-ით, მშენებლობა – 1,5%-ით, ხოლო მანქანებისა და აღჭურვილობის წარმოება – 3,4%-ით, შეჩერდა ექსპორტის ზრდა, სატვირთო მიმოსვლა, შემცირდა საწარმოების საქმიანობის ფინანსური შედეგი – 14,3%-ით და შემცირდა საფონდო

ბირჟებზე მსხვილი რუსული კომპანიების კაპიტალიზაცია. ამიტომ მაკროეკონომიკური მაჩვენებლების ცვლილების დინამიკის მიხედვით, ამ პროცესს სამართლიანად შეიძლება ეწოდოს ეკონომიკის სტაგნაცია. მეორე არის რეცესია. რეცესიაში ვგულისხმობთ ძირითადი მაკროეკონომიკური მაჩვენებლების გაუარესებას. რუსეთი გადავიდა რეცესიაში 2020 წლის პირველ კვარტალში, როდესაც აშშ-სა და ევროპული საზოგადოების მიერ რუსეთის წინააღმდეგ დაწესებულმა სანქციებმა მის ეკონომიკას მნიშვნელოვნად დაარტყა. ამ სანქციებიდან მთავარია ფინანსური ურთიერთქმედების შეზღუდვა წამყვანი ქვეყნების ფინანსურ ორგანიზაციებთან, საიდანაც რუსეთი ყოველწლიურად 100 მილიარდ დოლარზე მეტს იღებდა სესხის სახით [1]. მესამე არის სტაგფლაცია, რომელიც განსაკუთრებული უარყოფითი პროცესია ეკონომიკაში, როდესაც სტაგნაციას და რეცესიას თან ახლავს ინფლაციის დაჩქარება. ტერმინი „სტაგფლაცია“ პირველად გასული საუკუნის 60-იან წლებში გაჩნდა, ხოლო შეერთებული შტატები 70-იან წლებში პირველად ჩავარდა დიდ სტაგფლაციაში. 70-იანი წლებში აშშ-ის ეკონომიკა პრეზიდენტი ჰენრის ეკონომიკური რეფორმების შედეგად მაინც ვერ გამოვიდა სტაგფლაციიდან. მხოლოდ რონალდ რეიგანმა მიიღო წარმატებას. მან გამოაცხადა ახალი ეკონომიკური პოლიტიკა, რომელსაც ეწოდა "რეიგანომიკა". რ. რეიგანმა მკვეთრად შეამცირა გადასახადები, დაიწყო ეკონომიკის, ტექნოლოგიური სტრუქტურის სწრაფი განახლება. მან პრიორიტეტი მიანიჭა ინოვაციურ განვითარებას, გადავიდა დაჩქარებულ ინვესტიციებზე, რითაც უზრუნველყო აშშ-ის 25-წლიანი კეთილდღეობა.

რუსეთში 2020 წელს წლიური ინფლაცია 5,1% იყო, 2013 წელს – 6,8%, 2021 წელს – 7,8%, ხოლო 2022 წელს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს მონაცემებით 22%-ზე მეტი იყო. ინფლაცია განსაკუთრებით მას შემდეგ გაიზარდა, რაც რუსეთმა დასავლეთის ქვეყნების წინააღმდეგ ანტისანქციები შემოიღო. სასურსათო ანტისანქციები არის ინფლაციის მთავარი მიზეზი, რის შედეგადაც სურსათზე ფასები 20%-ზე მეტით გაიზარდა. „შეზღუდული ღია ეკონომიკის მოქმედება“, სახელმწიფო და ოლიგარქიული მონოპოლიების დომინირებით, მოთხოვნის შემცირების მიუხედავად, ზრდის ფასებს [2]. უნდა აღინიშნოს, რომ სტაგფლაციის პრო-

ცესი უფრო უარესი შედეგის მატარებელია, ვიდრე კრიზისი, რომელიც გარკვეული პერიოდულობით მეორდება განვითარებულ საბაზრო ეკონომიკაში. რადგან ჭარბწარმოების კრიზისი არის ჩვეულებრივი კრიზისი, რომელიც არაერთხელ მომხდარა კაპიტალიზმის ისტორიაში და ის თავად ქმნის მისგან გამოსვლის წინაპირობებს. ნორმალური კრიზისის დროს ფასები ეცემა, რადგან კრიზისის დროს მცირდება ხარჯები, მოთხოვნა აჭარბებს მიწოდებას და, შესაბამისად, ხდება დეფლაცია. ჩინეთშიც კი 2020 წლის კრიზისის დროს საცალო ფასები მცირდებოდა. საცხოვრებლის ფასები აშშ-ში 2008 წლის კრიზისის დროს განახევრდა, დასავლეთის ქვეყნებში კრიზისის დროს ფასები 20%-ით დაეცა. ამავდროულად, კრიზისში მყოფი ყველა ქვეყანა ატარებს დაბალი საპროცენტო განაკვეთების პოლიტიკას: აშშ-ში 2018-2019 წლებში, ფედერალურმა სარეზერვო სისტემამ გამოაცხადა განაკვეთის 0,25%-მდე დაწევა. ამის შედეგად აშშ-ის ბანკებმა შეძლეს ფედერალური სარეზერვო სისტემისგან სესხების აღება და მათი მარჟის დამატებით, სესხების გაცემა ფიზიკური პირებისა და ბიზნესებისთვის. კრიზისიდან გამოსავალი კი ძირითადად იაფ ფულს და იაფ საქონელს უკავშირდება.

დღევანდელ რუსეთში, ეკონომიკური მდგომარეობა გაცილებით უარესია, ვიდრე 2018-2019 წლების კრიზისის დროს, როდესაც მშპ შემცირდა 8%-ით, ინვესტიციები – 17%-ით, საგარეო ვაჭრობა კი – 40%-ით. საფონდო ბირჟაზე აქციების კურსი 4-ჯერ დაეცა, უმუშევრობა თითქმის გაორმაგდა. მაგრამ, მეორე მხრივ, მაშინ კრიზისიდან გამოსვლა რუსეთის ეკონომიკამ 3 წელიწადში შეძლო და მიაღწია 2018 წლის დონეს ძირითადი ეკონომიკური და სოციალური მაჩვენებლების თვალსაზრისით. ამჟამად სტაგნაციის, რეცესიისა და სტაგფლაციის შედეგად რუსეთის ეკონომიკა აგრძელებს ვარდნას [3].

იმისათვის, რომ გავიგოთ, რა უნდა გაკეთდეს ამ პროცესიდან გამოსასვლელად, ჯერ უნდა განვიხილოთ რუსეთის ეკონომიკური ვარდნის მიზეზები. სტაგნაცია დაკავშირებულია შინაგან მიზეზებთან და ამიტომ აუცილებელია ამ მიზეზების გააზრება, იმის გაგება, თუ რა ძალები უბიძგებენ ეკონომიკას?

უპირველეს ყოვლისა, 2019 წლის კრიზისის დროს დაფიქსირდა ინვესტიციების უზარმაზარი ვარდნა 17%-ით. შემდეგ ინვესტიციები ოდნავ გაიზარდა, ხოლო 2020 წლის მონაცემები, 2021



წელთან შედარებით, 11%-ით დაბალი იყო. ეკონომიკაში ინვესტიცია არის მთავარი ძალა, რომელიც უზიარებს მის განვითარებას, ამიტომ ინვესტიციების ზრდის გარეშე ქვეყანას მომავალი არ აქვს. ზოგადად ინვესტორები, ქმნიან ახალ შესაძლებლობებს, იზრდება საქონლისა და მომსახურების წარმოება და მშპ. არსებობს ეკონომიკური ზრდის შესაძლებლობა ახალი ინვესტიციების გარეშეც, ინოვაციური ეკონომიკის ხარჯზე. მაგალითად, 1999–2000 წლებში რუსეთის ეკონომიკური ზრდა მოხდა XX საუკუნის 90-იან წლებში უმოქმედო შესაძლებლობების გამოყენების საფუძველზე, რომელიც შეიქმნა ჯერ კიდევ საბჭოთა ეპოქაში, მაგრამ ეს ზრდის რესურსი ამოიწურა. დღეისათვის რუსეთში ამორტიზებული ტექნიკის დონე აღწევს 50%-ს, მანქანებისა და აღჭურვილობის საშუალო მომსახურების ვადა 14 წელია. ძველი აღჭურვილობის ეფექტიანად გამოყენება შეუძლებელია, მას მუდმივად ესაჭიროება კაპიტალური რემონტი, იწვევს შრომის დიდ დანახარჯებს. ძველი ტექნოლოგიები მოითხოვენ მეტ ელექტროენერგიას, მასალებს, შრომის დანახარჯებს და უფრო დაბალი პროდუქტიულობით ხასიათდებიან, ანუ ინვესტიციებზე დაზოგვის მცდელობა იწვევს დიდ ზარალს. ამიტომ, სხვა ქვეყნებისგან განსხვავებით, რუსეთს აქვს ნაკლები შესაძლებლობა, განვითარდეს ექსტენსიური გზით, რადგან ის ტექნოლოგიურად ჩამორჩენილია. რუსეთის ეკონომიკური განვითარების სამინისტროს ინფორმაციით, 2021 წელს ინვესტიციები თითქმის 14%-ით შემცირდა. ეს ნიშნავს, რომ 3–4 წელიწადში მნიშვნელოვნად შემცირდება სიმძლავრეები და ქვეყანა ვერც სოციალური განვითარებას შეძლებს. 2021 წელს ქვეყანაში სტაგნაცია დაფიქსირდა, რადგან 2020 წელს ინვესტიციები 17%-ით შემცირდა. გარდა ამისა, 2020 წელს სახელმწიფომ შეამცირა სახელმწიფო ინვესტიციები. სახელმწიფო ბიუჯეტში ინვესტიციებმა მხოლოდ 23% შეადგინა, ცენტრალურმა ბანკმა შეაჩერა საინვესტიციო სესხების ზრდა. ამდენად, პირველი ფაქტორი, რომელმაც რადიკალურად შეცვალა რუსეთის განვითარების კურსი, არის ინვესტიციების ზრდის ნაკლებობა [4].

მეორე ფაქტორი არის კაპიტალის გადინება. 2019 წლის კრიზისამდე იყო კაპიტალის შემოდინება. 2018 წელს ამ შემოდინებამ 43 მილიარდი დოლარი შეადგინა, 2021 წლის კრიზისის დროს ქვეყნიდან მოხდა 133 მილიარდი დოლარის ინვესტიციების გადი-

ნება. სულ რაღაც 6 წელიწადში ქვეყნიდან 575 მილიარდი დოლარით მეტი კაპიტალი გავიდა, ვიდრე შემოვიდა [2]. რამ გამოიწვია კაპიტალის ასეთი დიდი გადინება? უპირველეს ყოვლისა ინვესტიციური აქტივობის ნეგატიურმა გარემომ – ბიუროკრატია, კორუფციამ, არასაიმედო სამართლებრივმა სისტემამ. მეწარმეები ზეწოლას განიცდიან, განსაკუთრებით ძალოვანი უწყებების მხრიდან: რუსეთში ყოველი მეექვსე მეწარმე არის დაპატიმრებული ან გამოძიების რეჟიმში, ნორმები და კანონები არ არის დაცული, ამიტომ ბევრმა ბიზნესმენმა დაიწყო თავისი კაპიტალის ქვეყნიდან გატანა. კაპიტალის გადინება მჭიდროდ არის დაკავშირებული ქვეყნის ვალთან. რუსეთი შევიდა 2018 წლის კრიზისში 480 მილიარდი დოლარის ვალით, კრიზისის დროს ეს ვალი ოდნავ შემცირდა. მაგრამ შემდეგ 2020 წელს, საწარმოებმა და ბანკებმა, პირველ რიგში, სახელმწიფო ბანკებმა, დაიწყეს ყოველწლიურად 100 მილიარდი დოლარის სესხის აღება და საგარეო ვალი თითქმის 730 მილიარდ დოლარამდე გაიზარდა და როდესაც დასავლეთმა სანქციები დააწესა, რუსეთი აღმოჩნდა მდგომარეობაში, როდესაც ვადიანი გადახდები უნდა განხორციელებულიყო სესხის გაცემის გარეშე, რამაც უარყოფითად იმოქმედა მის ეკონომიკურ განვითარებაზე [3].

მესამე ფაქტორი, რამაც გამოიწვია სტაგნაცია, იყო ეკონომიკური ზრდის შენელება და ნავთობის ფასების ვარდნა. 2015 წლიდან 2018 წლამდე ბარელი ნავთობის ფასი რვაჯერ გაიზარდა. 1998 წელს ბარელი ნავთობი 12 დოლარი ღირდა, 2008 წელს კი 95 დოლარი. აქედან გამომდინარე, რუსეთის ექსპორტი ნახტომისებურად გაიზარდა, 2010 წლიდან 2018 წლამდე ქვეყანამ ექსპორტით მიიღო 2 ტრილიონი დოლარის შემოსავალი, საიდანაც 1,5 ტრილიონი დოლარი არის შემოსავალი არა შრომის, არამედ ფასის გამო. იმიტომ, რომ ნავთობი რუსეთის ექსპორტის 56%-ს შეადგენს. ფედერალური ბიუჯეტის შემოსავლების ნახევარი მოდის ნავთობისა და გაზის ექსპორტიდან. 2018 წლის კრიზისის შემდეგ კი ნავთობის ფასი თითქმის არ გაზრდილა და მაქსიმუმ 114 დოლარს მიაღწია, ე.ი. ის მხოლოდ 1,5%-ით გაიზარდა 5 წლის განმავლობაში. რუსეთმა დაკარგა ზრდის წყარო და როდესაც ნავთობის ფასმა 2018 წლის მეორე ნახევარში დაიწყო ვარდნა, ექსპორტი შემცირდა და ის ეკონომიკური განვითარების მუხრუჭად გადაიქცა,

ბოლო 2020 წელს ნავთობის ფასის 65 დოლარამდე დაცემამ რუსეთის ბიუჯეტი მნიშვნელოვნად შემცირდა. 2020 წელს ბიუჯეტმა დაკარგა მთელი ექსპორტის შემოსავლის 25-30%, ძირითადად ნავთობის ფასის განახევრებით და ნაწილობრივ გაზის ექსპორტის ფასისა და მოცულობის შემცირებით [4].

ამ სამი ფაქტორის გარდა, ეკონომიკა იკლებს მისი არაეფექტიანი სტრუქტურის გამო. რუსეთის ეკონომიკაში დიდი წილი უკავია ნედლეულის, ნახევარფაბრიკატებისა და მასალების წარმოებას. ეს ის სექტორია, რომლის ზრდაც მსოფლიოში თითქმის არ ხდება. მსოფლიოში მეტალურგიული პროდუქციის ზრდის ნაცვლად სინთეტიკური მასალების წარმოება იზრდება. ეროვნულ ეკონომიკაში უნდა იყოს სწრაფადზრდადი დარგების დიდი ნაწილი, კერძოდ მრეწველობა, რომლის პროდუქტებზეც მზარდი მოთხოვნაა. მაგალითად, „ცოდნის ეკონომიკა“ ორჯერ უფრო სწრაფად იზრდება, ვიდრე მთლიანი შიდა პროდუქტის დონე. ევროპაში ის იკავებს 35%-ს, ამერიკაში – 40%-ზე მეტს. მსოფლიოში მეორე სწრაფადზრდადი სფერო არის მაღალტექნოლოგიური ინდუსტრიები, რომლებიც ასევე მცირე წილს იკავებს რუსეთის ეკონომიკაში. იმისათვის, რომ ეკონომიკა გაიზარდოს, აუცილებელია პროგრესული ინდუსტრიების წილის ზრდა, იმ დარგების, რომლებიც განვითარების ლოკომოტივები არიან. თუ ბოლო წლების ეკონომიკურ პოლიტიკას გავანალიზებთ, შეიძლება მივიღეთ დასკვნამდე, რომ სანქციებმა გააუარესა და გააღრმავა რუსეთის ეკონომიკური მდგომარეობა. სახელმწიფო არ ატარებდა იძულებითი ინვესტიციების პოლიტიკას და რუსეთის ფედერაციის ცენტრალური ბანკი ვერ უმკლავდებოდა ინფლაციას. ინფლაციასთან ბრძოლის მცდელობით, ცენტრალურმა ბანკმა შეამცირა ლიკვიდობა, ე.ი. ფულადი მეთოდებით იზრდოდა. რუსეთს დღეს ფაქტობრივად არ გააჩნია კლასიკური საბაზრო ეკონომიკა, რადგან უკანასკნელი გულისხმობს კონკურენციის მაღალ ხარისხს. რუსეთში კი დომინირებს სახელმწიფო მონოპოლიები, რომლებიც ახშობენ კონკურენციას. რუსეთის ფედერაციის ცენტრალური ბანკი ვერ უმკლავდება ინფლაციას, რადგან მას არ შეუძლია გავლენა მოახდინოს სახელმწიფო მონოპოლიებზე და ბიუჯეტის ხარჯებზე, რის გამოც ეკონომიკა შენედა. განსაკუთრებით დამღუპველი იყო ცენტრალური ბანკის ძირითადი

თადი განაკვეთის 5,5%-დან 17%-მდე ზრდა, რაც სტაგნაციიდან რეცესიაზე გადასვლის მთავარი მიზეზი იყო.

რუსეთის მთავრობამ ცოტა ხნის წინ მიიღო ეკონომიკის აღდგენის 60 ღონისძიების პროგრამა, რომელიც უახლოეს თვეებში განხორციელდება, მაგრამ მთავრობას ჯერ არ წარმოუდგენია კრიზისის დაძლევის, საინვესტიციო აქტივობის ზრდის, ინფლაციის დაძლევის პროგრამა, ამიტომ აუცილებელია რუსეთის ეკონომიკური პოლიტიკის რადიკალურად შეცვლა.

2021 წელს ფედერალურ ასამბლეაზე რუსეთის პრეზიდენტმა კვლავ გააუქმრა მშპ-ში ინვესტიციების წილის 25%-მდე გაზრდის დავალება, რეალურად კი მთავრობა ინვესტიციებს ზრდის ნაცვლად ამცირებს. 2022 წლის ფედერალური ბიუჯეტი ითვალისწინებს ინვესტიციების მშპ-ში 13,6%-ით შემცირებას.

სად არსებობს ინვესტიციების ზრდის რეზერვი? უპირველეს ყოვლისა, საბანკო სისტემის აქტივებში, რომლებიც 77 ტრილიონს შეადგენს. მსოფლიომ დიდი ხანია იცის, რომ შესაძლებელია სახელმწიფო სავალო ფასიანი ქაღალდების გამოშვება, რომელსაც რუსეთის ფედერაციის ცენტრალური ბანკი შეისყიდის და შემდეგ გრძელვადიანი სესხების გაცემას შეძლებს. აუცილებელია ინფლაციის შემცირება, მაგრამ რუსეთის ფედერაციის ცენტრალური ბანკი დამოუკიდებლად ვერ უმკლავდება ამ ამოცანას. ინფლაციის შესამცირებლად აუცილებელია მონეტარული პოლიტიკის მკაცრი რეჟიმის შემოღება სახელმწიფო კორპორაციასა და სახელმწიფო საწარმოებში ყველა მიმართულებით. ასევე მნიშვნელოვანია რუსეთ-უკრაინის ომის შეჩერება და დასავლეთის სანქციების მოხსნა, რაც იქნება მნიშვნელოვანი წვლილი ინფლაციის შემცირებაში.

რაც მთავარია, აუცილებელია მკაცრი სტრუქტურული რეფორმების გატარება, ინვესტიციები უნდა გადაიზარდოს საინვესტიციო სესხებად და წარიმართოს მოწინავე ინდუსტრიებსა და პროგრამული ინფრასტრუქტურის განვითარებაზე.

მწვავე ეკონომიკური პრობლემებისა და რუსეთ-უკრაინის ომის ფონზე კვლავაც მნიშვნელოვანია რუსეთში ეკოლოგიური დისბალანსის დაძლევა. 2021 წელი გარემოს დაცვის მსოფლიო წლად გამოცხადდა. რუსეთის, როგორც უმდიდრესი ბუნებრივი რესურსების მფლობელის როლი ამ პროცესში საკმაოდ დიდია, ამ თვალსაზრისით მას ეკისრება პასუხისმგებლობა ეკოლოგიური

პერსპექტივის წინაშე. გარემოსდაცვით სფეროში რუსეთის კანონმდებლობის სპეციფიკა, ამ სფეროში პოლიტიკის ზოგადი მიმართულებები, არსებული სირთულეებითა და პრობლემებით გავლენას ახდენს ბუნების მართვის მდგრადობის შენარჩუნებაზე, კლიმატის ცვლილებასთან ბრძოლაზე და ბუნებრივი კაპიტალის შესანარჩუნებლად ეკოსისტემური სერვისების ინსტიტუტის განვითარებაზე.

მრავალ პრობლემას შორის, რომელიც გააჩნია კაცობრიობას, არის ისეთებიც, რომლებიც მარადიულია. ერთ-ერთი მათგანია ცივილიზაციის განვითარებასა და ბუნების დაცვას შორის წინააღმდეგობის აღმოფხვრა (გაეროს კონფერენცია გარემოსა და განვითარებაზე; UNCED; 1992 წლის ივნისი. რიო დე ჟანეირო). ფორუმზე აღინიშნა გლობალური ეკოლოგიური მდგომარეობის სწრაფი გაუარესება, რომელიც 21-ე საუკუნეში კაცობრიობას ემუქრება გლობალური კატასტროფით, რაც უფრო ნათელი და ცხადი გახდა რუსეთ-უკრაინის ომის ფონზე ბირთვული ომის საფრთხის ზრდით.

UNCED-ში შეკრებილმა 179 ქვეყნის ლიდერებმა მიიღეს უპრეცედენტო გადაწყვეტილება, შეეცვალათ მთელი მსოფლიო საზოგადოების განვითარების კურსი ტექნოლოგიურიდან მდგრად განვითარებამდე. „მდგრადი განვითარება“ ნიშნავს ეკონომიკური და სოციალური ცვლილებების პროცესს, რომელშიც ბუნებრივი რესურსების ექსპლუატაცია, ინვესტიციების მიმართულება, სამეცნიერო და ტექნოლოგიური პროგრესის ორიენტაცია, ინდივიდუალური და ინსტიტუციური ცვლილებების განვითარება კოორდინირებულია ერთმანეთთან და აძლიერებს ამჟამინდელ და მომავალ პოტენციალს კაცობრიობის მოთხოვნილებებისა და მისწრაფებების დასაკმაყოფილებლად. „რიო-92-ის“ გადაწყვეტილებების შემდგომ 1996 წელს მიღებულ იქნა რუსეთის ფედერაციის მდგრად განვითარებაზე გადასვლის კონცეფცია, რომელიც გულისხმობდა სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების დაბალანსებულ გადაწყვეტას და ამავე დროს ხელსაყრელი გარემოს და ბუნებრივი რესურსების პოტენციალის შენარჩუნებას ადამიანთა დღევანდელი და მომავალი თაობების მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად [5].

2020 წელს მიღებულია გარემოს დაცვის ახალი დოქტრინა, რომლის თანახმად, ეკოლოგიის სფეროში სახელმწიფო პოლიტი-

კის სტრატეგიულ მიზანს წარმოადგენდა ბუნებრივი სისტემების შენარჩუნება, მათი მთლიანობის შენარჩუნება და საზოგადოებისთვის სიცოცხლის ხელშემწყობი ფუნქციების განვითარება, ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესება, მოსახლეობის ჯანმრთელობის გაუმჯობესება. დემოგრაფიული მდგომარეობა და ქვეყნის ეკოლოგიური უსაფრთხოების უზრუნველყოფა.

რუსეთის ბუნებრივი რესურსების და ეკოლოგიის სამინისტრომ, რომელმაც შეცვალა ეკოლოგიის სახელმწიფო კომიტეტი, 2016 წლის 28 ოქტომბერს დაამტკიცა რუსეთის ფედერაციის ეკოლოგიური დოქტრინის 2017– 2021 წლების სამოქმედო გეგმა. ამავე პერიოდში გარემოსდაცვითი კონტროლის მიმართულებით, შეიცვალა თითქმის ყველა გარემოსდაცვითი კანონი. გარემოსდაცვითი პოლიტიკის ნაკლებობა აიხსნება იმით, რომ „არ არის შესაფერისი დრო“ ეკოლოგიასთან გამკლავებისთვის. „რუსეთი იზრუნებს გარემოზე, როცა გამდიდრდება“, – აცხადებდნენ წამყვანი ეკონომისტები. რუსეთის განვითარება თავისი გზით წავიდა – პროგრესის, როგორც საჭიროებების შეუზღუდავი ზრდის გაგებით.

უნდა ვაღიაროთ, რომ არა მხოლოდ რუსეთი აღმოჩნდა მოუმზადებელი ბუნების მდგრადი განვითარების მართვის პოლიტიკისთვის. იოჰანესბურგში მდგრადი განვითარების მსოფლიო სამიტმა (2002), რომელიც ჩაფიქრებული იყო როგორც „რიო-92-ის“ იდეების გაგრძელება და განვითარება, აჩვენა, რომ გარემოს დაცვამ ადგილი დაუთმო სიღარიბის აღმოფხვრის პრობლემას მრავალი ქვეყნის პოლიტიკაში. ველური ბუნების მსოფლიო ფონდი (WWF), ლონდონის ზოოლოგიურ საზოგადოებასთან და მსოფლიო ეკოლოგიური ნაკვალევის ქსელთან ერთად, აღნიშნავდა, რომ მთელი მსოფლიოს ეკონომიკა მუშაობს ბუნებრივ კრედიტზე, მოიხმარს 50%-ით მეტ ბიორესურსს, ვიდრე მას შეეძლო, „მწვანე ეკონომიკა“ და შემდგომი ზომები სიღარიბესთან და ბუნებრივი რესურსების ამოწურვასთან საბრძოლველად, სამწუხაროდ, მხოლოდ საკონსულტაციო ხასიათისაა და არ არის სავალდებულო [6].

ბუნებისა და მისი სიმდიდრისადმი ასეთმა დამოკიდებულებამ, არ შეიძლება არ მოახდინოს ზეგავლენა რუსეთზე, რომლის ეკონომიკა ძირითადად რესურსებზეა დაფუძნებული. სტრატეგიების განხორციელების მიზნით, რომლებიც ხელს უწყობენ

ეკონომიკურ ზრდას და აკმაყოფილებენ სოციალური საჭიროებების მთელ რიგ განათლების, ჯანმრთელობის, სოციალური დაცვისა და დასაქმების სფეროებში, ზრდის ბუნებრივი რესურსების კიდევ უფრო აქტიურად გამოყენების პოტენციალის.

2015 წლის 12 დეკემბერს გაეროს კლიმატის ცვლილების ჩარჩოკონვენციის მხარეთა კონფერენციაზე კიოტოს პროტოკოლის ნაცვლად მიიღეს პარიზის შეთანხმება, რომელიც არეგულირებს ზომებს ატმოსფეროში ნახშირორჟანგის შემცველობის შესამცირებლად 2020 წლიდან. შეთანხმებას 192-მა ქვეყანამ მოაწერა ხელი, 113-მა კი რატიფიცირება მოახდინა. ხელმოწერაზე უარის მიუხედავად, რუსეთმა განაცხადა, რომ 2030 წლამდე შეამცირებს ატმოსფეროში მანვნივთიერებების გამოფრქვევის დონეს 70%-მდე. რა თქმა უნდა, სათბურის გაზების გამონაბოლქვი პირდაპირ კავშირშია გარემოს მდგომარეობასთან, მაგრამ მას არანაკლებ საფრთხე ემუქრება ისეთი საშიშროებებით, როგორცაა დაბინძურება, ნაგვის გადაყრა და ამოწურვა [7].

იელისა და კოლუმბიის უნივერსიტეტების ექსპერტები, მსოფლიოს წამყვანი გარემოსდაცვითი ექსპერტების ჩართულობით, აკვირდებიან პლანეტაზე გარემოსდაცვითი ვითარების მდგომარეობას (Environmental Performance Index – EPI). ქვეყნების ერთგვაროვანი ჯგუფები გამოიყოფა ხუთი მიღებული ცვლადის მრავალვარიანტული ვექტორის კლასტერული ანალიზის საფუძველზე:

- გარემოსდაცვითი საქმიანობის ინდექსი;
- ნახშირორჟანგის ემისიები ერთ სულ მოსახლეზე;
- სასუქების გამოყენება;
- ნამდვილი დანაზოგი [8].

2016 და 2018 წლებში რუსეთმა რეიტინგში საკმაოდ მაღალი ადგილები დაიკავა – 32-ე და 29-ე, ხოლო ბუნებრივი რესურსების ახალი კოდექსის ძალაში შესვლის შემდეგ დაღმავალი ტენდენცია დაფიქსირდა. მსოფლიო ბუნებისდაცვითი ორგანიზაციის 2021 წლის ანგარიშში რუსეთის პოზიცია ჩამოქვეითდა 69-ე პოზიციაზე. რუსეთი მიეკუთვნება "სუსტი" ქვეყნების ჯგუფს, მათ შორის ქვეყნებს, რომლებიც ნავთობის ექსპორტს ახდენს ან სამხედრო ოპერაციებში არიან ჩართული, არადაამაკმაყოფილებელი ეკოლოგიური სიტუაციით და არასტაბილური გარემოთი ხასიათდებიან.

ამრიგად, რუსეთში სახელმწიფო გარემოსდაცვითი პოლიტიკის ეფექტიანობა დაბალია, ქვეყნის საკანონმდებლო ბაზა არ არის ორიენტირებული ეკოლოგიურად ჯანსაღ განვითარებასა და მართვაზე. უფრო მეტიც, ეკონომიკაში სტრუქტურული ცვლილებებიდან გამომდინარე, შეიძლება საუბარი დეეკოლოგიზაციის მკაფიო პროცესებზე. ამ მიმართულებით ქვეყანაში არ არსებობს მკაფიო სტრატეგია და კანონპროექტები და სახელმწიფო სტანდარტები ძირითადად უგულბებლყოფენ გარემოსდაცვით კომპონენტს [10]. ამავდროულად, ბუნებრივი რესურსების შეფასება ხდება მეთოდების გამოყენებით, რომლებიც არ ასახავს წარმოების სრულ ხარჯებს, არ ითვალისწინებს ბუნებრივი ობიექტების რაიმე ფუნქციას, გარდა ნედლეულისა.

1992 წელს რიო დე ჟანეიროში გამართულ კონფერენციაზე წამოაყენეს "ბუნებრივი კაპიტალის" თეორია. რუსეთის ბუნებრივი კაპიტალის 99%-მდე არის ნავთობი და გაზი – მინერალები განვითარებული ბაზრებით, შიდა და მსოფლიო ფასებით. ბუნებრივი რესურსების პოტენციალის ყველა ელემენტი, რომელსაც მოაქვს ეკოლოგიური და ეკონომიკური ეფექტი და ხელს უწყობს ეროვნული სიმდიდრის ზრდას ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში [11]; ბუნებრივი კომპონენტებისა და ფენომენების ერთობლიობა, რომლებიც გამოიყენება ან შეიძლება გამოყენებულ იქნეს საქონლისა და მომსახურების წარმოებაში, ასევე ასრულებენ ეკოსისტემურ, რეკრეაციულ, კულტურულ და ისტორიულ ფუნქციებს [12];

ტერმინი „ეკოსისტემური სერვისები“ შემოღებულია 2001–2005 წლებში ანთროპოგენური აქტივობების გარემოზე ზემოქმედების ფართომასშტაბიანი კვლევის შედეგად.

რუსეთის ბიომრავალფეროვნების ეროვნული სტრატეგია (2001) განსაზღვრავს ES-ის სამ ჯგუფს, რომლებიც უფრო მეტად ორიენტირებულია ეკონომიკურ შეფასებაზე, ეროვნულ, რეგიონულ და ადგილობრივ დონეზე. ამ სფეროსთან დაკავშირებული საერთაშორისო განვითარება ეფუძნება ამ პროექტების შედეგებს, ევროპის გარემოს დაცვის სააგენტოს CICES (ეკოსისტემური სერვისების საერთო, საერთაშორისო კლასიფიკაცია) კვლევებს და ხაზს უსვამს ბუნებრივი კაპიტალისა და ეკოსისტემური სერვისების შემდეგ ძირითად ფუნქციებს:



- უზრუნველყოფა ან რესურსი – ბუნებრივი რესურსების უზრუნველყოფა საქონლისა და მომსახურების წარმოებისთვის;

რესურსებით უზრუნველყოფის მაგალითია ეკოსისტემებით მოწოდებული საქონელი: საკვები, მასალები (საწვავი, ხე და ა.შ.), გენეტიკური, ორნამენტული და ბიოქიმიური რესურსები და მტკნარი წყალი;

- მარეგულირებელი – ეკოსისტემა/გარემოს მომსახურება, რომელიც დაკავშირებულია ბიოსისტემების მიერ სხვადასხვა სახის მარეგულირებელი ფუნქციების უზრუნველყოფასთან: წყლისა და ატმოსფერული ჰაერის გაწმენდა, ნალექებისა და გვალვის რეგულირება, ნარჩენების ათვისება და დეტოქსიკაცია, ნიადაგის ფორმირება და კონსერვაცია, მავნებლების კონტროლი და დაავადებები, ბიომრავალფეროვნების კონსერვაცია სოფლის მეურნეობისთვის, UV დაცვა, კლიმატის სტაბილიზაცია და სხვა;

- ბუნების მომსახურება, რომელიც დაკავშირებულია ესთეტიკურ, ეთიკურ, ემოციურ, მორალურ, კულტურულ, ისტორიულ ასპექტებთან – ერთგვარი „სულიერი“ გარემოსდაცვითი მომსახურება, რომელიც განპირობებულია ადამიანის ჰაბიტატთან მიჯაჭვულობით, სოციალური კავშირებით, კულტურული მემკვიდრეობის ღირებულებებით, ჯანმრთელობის გასაუმჯობესებელი დასვენების შესაძლებლობებით და ა. შ.;

- ადამიანის ჯანმრთელობის უზრუნველყოფა – ეს ფუნქცია ჯერ კიდევ ახალია ეკონომიკური მეცნიერებისთვის, გარკვეულწილად ის არის ბუნებრივი კაპიტალის პირველი სამი ფუნქციისგან წარმოებული, მაგრამ ასევე შეიძლება ცალკე გამოვეყნოთ [13].

ამ მექანიზმების უმეტესობა ეფუძნება „დამზინძურებელი იხდის“ პრინციპს და წარმოადგენს სანქციების, ჯარიმების, გადასახადებისა და ა.შ. ფართო სპექტრს, რომელიც შექმნილია გარემოსთვის მიყენებული ზიანის კომპენსაციისთვის.

ეკოსისტემური სერვისი არის პირდაპირი და გაზომვადი სარგებელი, რომელიც მოდის ეკოსისტემიდან, როგორცაა ტყის უნარი, თავიდან აიცილოს ნიადაგის ეროზია, დაეხმაროს სუფთა ჰაერსა და წყალს (ნივთიერებების დეტოქსიკაცია და დაშლა). როგორც ჩანს, გარემოსდაცვით პოლიტიკაში აუცილებელია განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდეს მარეგულირებელი, დამხ-

მარე და კულტურული ES-ის დარღვევით მიყენებული ზიანის აღრიცხვაზე და კომპენსაციაზე.

Against the background of acute economic problems and the Russia-Ukraine war, it is still important to overcome the ecological imbalance in Russia. After Russia's military intervention, the situation in Ukraine and the world economy has changed dramatically.

A comparative analysis of the socio-economic development of Russia and Ukraine reveals that Ukraine was a rapidly developing and growing state before Russia's military intervention. The dynamics of the war changed this picture radically, today, despite significant economic aid, Ukraine's economy is not distinguished by a high growth rate, while the main causes of Russia's economic crisis should be found in the unsystematic economic policy of its government.

*მედეა მელაშვილი*

**სოციალური უსაფრთხოების გამოცდილება  
ამერიკის შეერთებულ შტატებში**

*ანოტაცია. ნაშრომი ეძღვნება დღევანდელი მსოფლიოსათვის ისეთ მწვავე პრობლემას, როგორცაა სოციალური უსაფრთხოება, რომელიც ნებისმიერი ქვეყნის ეროვნული უსაფრთხოების უმნიშვნელოვანესი შემადგენელი ნაწილია. მითითებულია, რომ ეროვნული უსაფრთ-*

ხოება, როგორც უმნიშვნელოვანესი ამოცანა პირველად ჯერ კიდევ XX საუკუნის დასაწყისში - 1904 წელს ახსენა თ. რუზველტმა პანამის არხთან დაკავშირებით. ნაშრომში მოყვანილია სოციალური უსაფრთხოების განმარტება; მისი, როგორც პრობლემის მიზეზები; ინდიკატორთა სისტემა.

ნაშრომი შესრულებულია აშშ-ს მაგალითზე. განხილულია სოციალური პოლიტიკის ეკონომიკური, სამართლებრივი აქტები, რომლებიც ქვეყანაში არეგულირებს სოციალურ პოლიტიკას. განხილულია ქვეყნის სოციალური უსაფრთხოების უზრუნველყოფა პუნქტების მიხედვით და ჩატარებულია მათი ანალიზი ბოლო წლების ციფრობრივი მონაცემების საფუძველზე.

**საკვანძო სიტყვები:** სოციალური პოლიტიკა, სოციალური უსაფრთხოება, ინდიკატორთა სისტემა, ეროვნული უსაფრთხოება, სამართლებრივი აქტები.

\*\*\*\*

დღევანდელი მსოფლიოსათვის პირველხარისხოვან პრობლემას ეროვნული უსაფრთხოება წარმოადგენს.

ტერმინი „ეროვნული უსაფრთხოება“ პირველად აშშ-ს პრეზიდენტმა ტ. რუზველტმა გამოიყენა 1904 წელს (პანამის არხთან დაკავშირებით). ეს კონცეფცია მოიცავდა პოლიტიკურ, სამხედრო და ეკონომიკურ სფეროებს. ეროვნული უსაფრთხოება მრავალ სფეროს აერთიანებს, რომელთა შორის წამყვანია: სახელმწიფო თავდაცვა, შიდა, საგარეო, ეკონომიკური, სოციალური, ეკოლოგიური, ენერგეტიკული, ინფორმაციული უსაფრთხოებები, მართლწესრიგი და სხვ. სოციალური უსაფრთხოება წარმოადგენს ქვეყნის ეროვნული უსაფრთხოების უმნიშვნელოვანეს ელემენტს. მიღებული განმარტების თანახმად სოციალური უსაფრთხოება არის პიროვნების და საზოგადოების (სოციალური ჯგუფების) ინტერესების და სასიცოცხლო მოთხოვნილებების დაცულობის მდგომარეობა სხვადასხვა ეკონომიკური, სამართლებრივი და ორგანიზაციული ღონისძიებების დახმარებით.

სოციალური უსაფრთხოების მნიშვნელოვანი ინდიკატორებია: მოსახლეობის კმაყოფილება თავისი ცხოვრების დონით, სოციალური კონფლიქტების არარსებობა, საცხოვრებლით უზრუნველყოფა, ღირსეული საპენსიო და სამედიცინო მომსახურების გა-

რანტიები, განათლების ხელმისაწვდომობა და სხვ. ამის საწინააღმდეგოდ პიროვნებასა და საზოგადოებაზე სოციალური საფრთხეების ხანგრძლივი გავლენის შედეგად ყალიბდება: ცხოვრების ხანგრძლივობის დაბალი დონე; სიღარიბის მაღალი დონე; მოსახლეობის გაუმართლებლად მაღალი დიფერენციაციის დონე; ცხოვრების ხარისხის რეგიონული დისპროპორცია, მოსახლეობის განათლების, ჯანდაცვის, სულიერი და კულტურული დონის შემცირება; დემოგრაფიული პრობლემები და სხვ. თანამედროვე კვლევებში ძირითადი მაჩვენებლები, რომელიც ახასიათებს სოციალური უსაფრთხოების მდგომარეობას ქვეყანაში, შემდეგია:

სოციო-დემოგრაფიული (შობადობა, სიკვდილიანობა, მოსახლეობის რაოდენობის დინამიკა, სიცოცხლის ხანგრძლივობა);

სოციო-ეკონომიკური - პირველ რიგში დაკავშირებულია მშპ-ს წარმოებასთან მნიშვნელოვანი საკვები პროდუქტებისა და მომსახურებების წარმოებასა და მოხმარებასთან მოსახლეობის 1 სულზე და სხვ.

სოციო-კულტურული - სახელმწიფო დანახარჯების მაჩვენებლები განათლებასა და კულტურაზე;

ინტეგრალური (ადამიანური პოტენციალის განვითარების ინდექსი) - შეჯამებული და სინთეზირებულია მოსახლეობის სიცოცხლის ხანგრძლივობის, განათლების დონის მაჩვენებლები მოსახლეობის ერთ სულზე.

მსოფლიოში ერთ-ერთ ყველაზე წარმატებულ ქვეყნად აშშ ითვლება. სწორედ ამიტომ აქ არსებული სოციალური სისტემის ანალიზი ჩვენთვის მეტად საინტერესოა. შეერთებული შტატები ატარებს მდგრადი ეკონომიკური ზრდის სტრატეგიას, აუმჯობესებს ადამიანთა ეკონომიკურ უსაფრთხოებას სოციალური უსაფრთხოების განვითარებისა და შრომისუნარიანი მოქალაქეების კონკურენტუნარიანობის გაძლიერების გზით. დასავლეთ ევროპის ქვეყნებისგან განსხვავებით, სადაც ჯერ კიდევ XIX საუკუნეში ჩაეყარა სახელმწიფო სოციალურ უზრუნველყოფას საფუძველი, შეერთებულ შტატებში სამთავრობო უწყებების სოციალური პოლიტიკის განხორციელების სახელმწიფო ეკონომიკურ და სამართლებრივ საფუძველს წარმოადგენს 1935 წლის სოციალური უზრუნველყოფის აქტი, რომლის თავდაპირველ ვარიანტს ხელი მოაწერა ფრანკლინ დ. რუზველტმა ამ აქტის მიღებით, დაზღვევისა

და დახმარების სხვადასხვა ფორმა შეიქმნა ქვეყნის მასშტაბით და აშშ-ს მოქალაქეებმა მიიღეს სახელმწიფო გარანტირებული დაცვის უფლებები მოხუცებულობის, ინვალიდობის, მარჩენალის გარდაცვალების, სამუშაოს დაკარგვის შემთხვევებში. გასული საუკუნის 30-იანი წლების ბოლომდე გაჭირვებული მოხუცების უზრუნველყოფა ხდებოდა ადგილობრივი საზოგადოების, მოხალისეობრივი ორგანიზაციების, შეძლებული ოჯახების მიერ.

ამერიკაში დიდი დეპრესიის პერიოდში თავისუფალი ბაზრისკენ სწრაფვის, საკუთარ შესაძლებლობებზე დაყრდნობის პირობებში გაჩნდა სახელმწიფოს სოციალური პასუხისმგებლობის აუცილებლობა მოსახლეობის სოციალურ უზრუნველყოფაზე, შრომის სფეროში თუნდაც მინიმალური გარანტიების დაწესება და თავისთავზე აღება. შემდგომ ათწლეულებში შეიქმნა საკანონმდებლო ბაზა და ინფრასტრუქტურა საბაზისო მიმართულებების რეალიზაციისათვის სოციალური უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით. ძირითდი მათგანი, რომელიც არეგულირებს სოციალურ დაზღვევას, შრომით ურთიერთობებს, შრომისა და ანაზღაურების პირობებს და სხვ. აშშ-ში, როგორც აღვნიშნეთ, მიღებულია XX საუკუნის 30-60-იან წლებში, შემდეგ კი ხდებოდა მისი დახვეწა ქვეყნის სოციალურ-პოლიტიკური და ეკონომიკური პირობების ცვლასთან შესაბამისად.

საკმაოდ მოგვიანებით, 1996 წელს, გაფორმდა პირადი პასუხისმგებლობის აქტი, სახელმწიფო სტრუქტურების უმნიშვნელოვანესი სოციალური ფუნქცია გახდა კერძო სექტორის საქმიანობის სტიმულირება და კოორდინაცია საპენსიო უზრუნველყოფისა და სოციალური სერვისების განვითარებისათვის. სოციალური პროგრამებისთვის მიმართული კერძო სექტორის სახსრების დაბეგვრისაგან გათავისუფლებამ ხელი შეუწყო მათ გადაქცევას მოსახლეობის მატერიალური მხარდაჭერის მნიშვნელოვან წყაროდ.

სოციალური უზრუნველყოფის პროგრამა შეერთებულ შტატებში მოიცავს როგორც დაზღვევის, ისე დახმარების (ბიუჯეტის სახსრებიდან) პრინციპებზე დაფუძნებული პროგრამების ერთობლიობას, ხანდაზმულთა, ინვალიდთა, გაჭირვებულთა მატერიალური და სხვა უზრუნველყოფის მიზნით.

1935 წლის აქტის ამჟამინდელი ვერსია მოიცავს რამდენიმე სოციალური კეთილდღეობისა და სოციალური დაცვის პროგრამას,

ასევე მის შესწორებულ და დამატებულ ვერსიებს. სოციალური პოლიტიკის განვითარებასთან ერთად, ეს სახელმწიფო აქტები პერიოდულად რეგულირდება და მოიცავს ახალ დებულებებს, რომლებიც ასახავს ამერიკის სახელმწიფოს სოციალური ფუნქციების დინამიკასა და განვითარების მიმართულებას.

ამერიკული გამოცდილება სოციალური უსაფრთხოების გაძლიერების მიზნით, კერძოდ: შრომითი ურთიერთობების რეგულირება; სახელმწიფოს, დამსაქმებლების, დასაქმებულების, მათი გაერთიანებების ურთიერთობები; შრომითი მიგრაცია; შრომის მინიმალური ანაზღაურების, შრომის პირობების, ნორმატივების დადგენა; ახალგაზრდების დასაქმება; ქალთა, საპენსიო ასაკის მოქალაქეების, ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლების უფლებების დაცვა, სახელმწიფო დაზღვევა; უმუშევრობა და სხვა პრობლემების საკითხებში აჩვენებს, რომ სახელმწიფოს პოლიტიკა გამოდის, როგორც შრომითი მოტივაციის გაზრდის მნიშვნელოვანი ფაქტორი, დასაქმებულთა სოციალური დაცულობის, საზოგადოებაში სოციალური სტაბილურობის უმნიშვნელოვანესი ფაქტორი. შრომის ანაზღაურების და სოციალური უზრუნველყოფის ღირსეული დონე წარმოადგენს დასაქმებულთა მატერიალური უზრუნველყოფის წამყვან ფაქტორს. დასაქმებულთა 96% მოცულია სახელმწიფო საპენსიო დაზღვევის სისტემით, რაც დამოკიდებულია მუშაობის სტაჟსა და ხელფასის ოდენობაზე, აგრეთვე უმუშევრობის დაზღვევის სისტემით (საწარმოო ტრამვის ან სხვა შემთხვევაში). შეერთებულ შტატებში ფუნქციონირებს ფედერალური ხანდაზმულობის, სიცოცხლის და ინვალიდობის დაზღვევის (OASDI) პროგრამა, რომელსაც ხელმძღვანელობას უწევს სოციალური დაცვის ადმინისტრაცია, აგრეთვე DI - ინვალიდობის დაზღვევის პროგრამა.

სოციალური უზრუნველყოფის სისტემა აშშ-ში რთულია და მრავალფეროვანი. ერთიანი ეროვნული ცენტრალიზებული სისტემა არ არსებობს. იგი შედგება სხვადასხვა პროგრამებით, რომელიც რეგლამენტირებულია ან ფედერალური ან ცალკეული შტატის კანონმდებლობით.

აშშ-ში „სოციალური უზრუნველყოფის“ პროგრამის ფარგლებში ფედერალური დახმარებები იყოფა შემდეგ ჯგუფებად: საპენსიო, არაშრომითუნარიანობის და საოჯახო.



საპენსიო დახმარებებს მიეკუთვნება მოხუცებულობის დახმარებები, რომელიც გაიცემა ყოველთვიურად, დახმარებები მარჩენალის დაკარგვის გამო. არაშრომისუნარიანი მოსახლეობის დახმარება გაიცემა ასევე ყოველთვიურად, როგორც დახმარება ინვალიდობის გამო.

საოჯახო დახმარება მოიცავს იმ ადამიანთა ოჯახის წევრებს, რომლებიც დებულობენ დახმარებას მოხუცებულობის ან არაშრომისუნარიანობის გამო. დახმარების კონკრეტული ოდენობა ბალური სისტემით ითვლება, რომელიც საკმაოდ ბევრ ინდიკატორს მოიცავს.

სოციალური უზრუნველყოფის ძირითადი მიმართულება სოციალური დაზღვევაა. სოციალური დაზღვევის პირველი სამოქალაქო კანონი აშშ-ში 1935 წელს იქნა მიღებული. შემდგომში კანონს მრავალი დამატება და დებულება შეემატა.

პირველი სადაზღვევო კომპანია აქ ჯერ კიდევ 1735 წელს გაჩნდა სამხრეთ კაროლინის შტატში. დღეისათვის ამერიკის სადაზღვევო ბაზარზე წარმოდგენილია როგორც უშუალო სადაზღვევო ორგანიზაციების, ასევე უამრავი საშუამავლო ორგანიზაციის სახით. სადაზღვევო ხელშეკრულებები - პოლისები - ფორმდება ბროკერების, სადაზღვევო აგენტების მიერ. მათი რიცხვი ქვეყანაში რამდენიმე ასეულობით ათასია. სადაზღვევო სისტემა ქვეყანაში რეგულირდება როგორც ცენტრალურ (ფედერალურ), ასევე რეგიონულ დონეზე. საინტერესოა, რომ ფედერალურ დონეზე სისტემა თითქმის არ კონტროლდება, რადგანაც თითოეულ შტატში კარგად გამართული კონტროლის სისტემა მოქმედებს. ქვეყნის მასშტაბით დაზღვევის პროცესს კოორდინირებას უწევს სადაზღვევო კომისიების ეროვნული ასოციაცია (NAIC).

აშშ-ში არსებობს დაზღვევის შემდეგი სახეობები: სამედიცინო, სოციალური, საპენსიო, უძრავი ქონების, სოცოცხლის, საბანკო შენატანების, ავტოდაზღვევა.

როგორც ცნობილია, ნებისმიერ ქვეყანაში სოციალური კეთილდღეობის და უსაფრთხოების ერთ-ერთ მნიშვნელოვან ინდიკატორს ქვეყნის ჯანდაცვის სისტემის არსებული მდგომარეობა წარმოადგენს. ბოლო წლებში, კერძოდ 2019 წელს სახელმწიფო დანახარჯები ჯანდაცვაზე მოსახლეობის ერთ სულზე 11 ათას აშშ დოლარს უდრიდა, რაც მშპ-თან შედარებით 17%-ს უტოლდებოდა.

შეიძლება ითქვას, რომ ეს ერთ-ერთი საუკეთესოა მთელ მსოფლიოში. სწორედ აქედან გამომდინარეა ის, რომ სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა ქვეყანაში უკვე რამდენიმე წელია 78 წელი და მეტია, ხოლო 65 წლის და მეტი ასაკის მოსახლეობის წილი მთელი მოსახლეობის 17%-ს აჭარბებს.

სამედიცინო დაზღვევის პოლისის შექმნა ამერიკაში თითოეული მოქალაქის ვალდებულებაა. არსებობს შედარებით იაფი, საშუალო და ძვირი სამედიცინო პოლისები. ნებისმიერ ადამიანს აქვს არჩევანი. შექმნილი პოლისის შესაბამისად ადამიანი ყოველთვიურად იხდის სადაზღვევო შენატანს, რასაც ამერიკაში „premium“ (პრემია) ეწოდება და, რაც 200-500 დოლარის ფარგლებში მერყეობს. ერთ-ერთი წარმატებულია უფასო სამედიცინო დაზღვევა Medicare, რომელიც 1965 წლიდან ფუნქციონირებს და განკუთვნილია ღარიბი ფენებისათვის, მძიმე ავადმყოფობით დაავადებულთათვის, უსინათლოთათვის, ფეხმძიმეთათვის და მათი ახლდაბადებული ბავშვებისათვის 1 წლამდე და სხვ..

აშშ-ში მეტად პოპულარულია სოციალური დაზღვევა. იგი შეიძლება იყოს უმუშევრობის, შრომისუნარის (დროებით) დაკარგვის, მარჩენალის დაკარგვის, მოხუცებულობის და ა.შ.

შრომისუნარის დროებითი დაკარგვის შემთხვევები შეიძლება იყოს ავადმყოფობის, ინვალიდობის გამო. აუცილებელი პირობაა 5 წლიანი სამუშაო სტაჟი და დროულად გადახდილი სადაზღვევო შენატანები.

საპენსიო ასაკის მიღწევას (65 წელი) ამერიკის ყველა მოქალაქეს შეუძლია მოითხოვოს პენსიის ჩარიცხვა. საპენსიო საკითხებს აშშ-ში არეგულირებს სოციალური უზრუნველყოფის სამმართველო. სწორედ ის გასცემს მოქალაქეებზე სოციალური დაცვის ნომერს (SSN). მომუშავე მოქალაქეები იხდიან ე.წ. საპენსიო გადასახადს, რომელიც შეადგენს საერთო შემოსავლის 7.65%-ს, თუ მისი წლიური შემოსავალი არ აღემატება 65 ათას დოლარს: 6.2% მისი უშუალოდ მომავალი პენსიის ფორმირებაზე, 1.45% - სამედიცინო უზრუნველყოფაზე. საინტერესოა, რომ თუ წლიური შემოსავალი აჭარბებს 65 ათას დოლარს, ადამიანს ჩამოეჭრება მხოლოდ 1.45%. ეს არის ის რაოდენობა, რასაც უშუალოდ ადამიანი იხდის. ამასთან, დამქირავებელი მას უხდის ზუსტად იმდენივე თანხას, და საბო-

ლოოდ საპენსიო დანაგროვი ადამიანის შემოსავლის 15%-ს უტოლდება.

როგორც აღვნიშნეთ, საპენსიო ასაკი 65 წლით განისაზღვრება, თუმცა შეიძლება იყოს 62 წელი და ნაკლებიც ინვალიდებისათვის. ამ შემთხვევაში ის სამი წელი, რომელიც აკლდება სრულ საპენსიო ასაკს, აისახება პენსიის ოდენობაზე.

თუ სამუშაო სტაჟი 10 წელზე ნაკლებია, პენსია საერთოდ არ გაიცემა, მაშინ მოქალაქე მიმართავს სპეციალურ ორგანოებს, რათა დაენიშნოს სიღარიბის დახმარება.

პენსიის საშუალო ოდენობა აშშ-ში 1300-1400 დოლარია, რაც მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე მაღალი მაჩვენებელია. ამას ემატება შენატანები ე.წ. დაგროვებით ფონდში, რისი შესაძლებლობაც თითოეულ ამერიკელს გააჩნია. ეს არის სადაზღვევო საპენსიო შენატანების ნაწილის გადარიცხვა დაგროვებით ფონდში, რისი გამოყენება თვითონ მოქალაქეს მხოლოდ 5-7 წლის შემდეგ შეუძლია. ამ ფონდში საკმაოდ მნიშვნელოვანი თანხები გროვდება, რაც პენსიასთან ერთად ამერიკელ ასაკოვან ადამიანებს საკმაოდ უზრუნველყოფილი ცხოვრების საშუალებას აძლევს.

ის, თუ სოციალური კიბის რომელ საფეხურზე იმყოფება ადამიანი და რამდენად აქვს შანსი უფრო მაღლა ასვლისა, უდიდესწილად მისი განათლების დონეზეა დამოკიდებული. ამდენად, ნებისმიერი ქვეყნის სოციალური უსაფრთხოების სისტემის ჩამოყალიბება და შემდგომი სრულყოფა განათლების სისტემაზეა დიდად დამოკიდებული.

სოციალური უზრუნველყოფა ფინანსდება ძირითადად სახელფასო გადასახადებით და რეგულირდება ფედერალური დაზღვევის კონტრიბუციის კანონით (FICA), გადასახადი ან თვითდასაქმებული შენატანების აქტით (SECA). საგადასახადო დეპოზიტები გროვდება შიდა შემოსავლების სამსახურის მიერ (IRS) და ოფიციალურად გადაეცემა ფედერალურ ხანდაზმულთა და სიცოცხლის დაზღვევის ტრასტს და ინვალიდობის დაზღვევის ფედერალურ ტრასტს. ეს ორი სატრასტო ფონდი ყიდულობს სახელმწიფო ფასიან ქაღალდებს, რომელთა საპროცენტო შემოსავალი ამჟამად გამოიყენება კვალიფიციური მოქალაქეების ყოველთვიური გადასახადების დასაფინანსებლად (რამდენიმე გამონაკლისის გარდა).

სოციალური დანახარჯების უმეტესი ნაწილი (ან, ამერიკული ტერმინოლოგიით, „ადამიანურ რესურსებზე“ გაწეული ხარჯები) შეერთებულ შტატებში იხარჯება ფედერალური რეგულირების პროგრამებზე სოციალური უზრუნველყოფის, მატერიალური დახმარების, ვეტერანთა დახმარების, განათლების მიღებას ან გაუმჯობესების, ან პროფესიულ მომზადებისა და ჯანდაცვის გაუმჯობესების მიზნით. სოციალური დაცვის სისტემის დაფინანსების ძირითად წყაროს წარმოადგენს მეწარმეების (დამსაქმებლების), დაზღვეული მუშაკების სოციალური შენატანები და საბიუჯეტო დაფინანსება.

აშშ-ს მოსახლეობის უმეტესი ნაწილისათვის დასაქმება წარმოადგენს შემოსავლების სტაბილურობის ძირითად წყაროს, ანუ აუცილებელი და დამატებითი სოციალური დაზღვევის, ავადმყოფობის, შვებულების ანაზღაურების, სახელმწიფო საპენსიო დაზღვევის და სხვა სოციალური სიკეთეების მიღების შესაძლებლობას. ამ პუნქტებზე მოდის ამერიკელების პირადი შემოსავლების 80%. სახელმწიფოს როლი აშშ-ს სოციალურ-შრომით სფეროში პირველ რიგში მდგომარეობს მოქალაქეთა შრომითი სამეწარმეო პოტენციალის რეალიზაციის მოსახლეობის ყველაზე მეტად მოწყვლადი ჯგუფების სოციალური გარანტიების უზრუნველყოფის პირობების შექმნაში.

უმრავლეს შემთხვევაში დასაქმების პროგრამების განსახორციელებლად თანხები გროვდება სახელფასო გადასახადიდან. შეერთებულ შტატებში შენატანები ძირითადად დამსაქმებლებისგან მოდის და წლიური შემოსავლების 6.2%-ით განისაზღვრება, ხოლო უმუშევარი პირი, როგორც წესი, თვეში 250-300 დოლარს ღებულობს. აშშ-ში მომუშავე ყველა ლეგალურ რეზიდენტს ახლა აქვს ინდივიდუალური სოციალური დაცვის ნომერი (SSN). 1935 წელს სოციალური უზრუნველყოფის დაარსების დღიდან თითქმის ყველა მომუშავე (და ბევრი არამომუშავე) მაცხოვრებელს ჰქონდა სოციალური დაცვის ნომერი, რადგან ბიზნესის ფართო სპექტრი ამას ითხოვს. დახმარების სიდიდე იმ შემთხვევებში, რაც დაწვრილებითაა გაწერილი სადაზღვეო ჩამონათვალში, დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენია ადამიანის სამუშაო სტაჟი, რამდენი იყო მისი შემოსავალი განსახილველ შემთხვევამდე და ა.შ..

შეერთებულმა შტატებმა დააწესა უმუშევრობის შემთხვევების ზღვარი, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს ხელფასის 80%-ს, ყველა პრემიის გამოკლებით.

ასევე არსებობს უმუშევრობის შეღავათების მიღების მაქსიმალური ხანგრძლივობა: ეს ძირითადად დამოკიდებულია ქვეყანაში ან შტატში უმუშევრობის საერთო მაჩვენებელზე, თუმცა, როგორც წესი, უმუშევრობის შეღავათების მიღების მაქსიმალური ვადა არის 26 კვირა.

უმუშევრობის შემწეობის გადახდის ვადის გასვლის შემდეგ პირს უფლება აქვს სახელმწიფო სახსრებიდან მიიღოს სპეციალური „სოციალური დახმარება“, რომელიც მცირეა და, პრინციპში, ოდნავ აღემატება ოფიციალურად მიღებული „სიღარიბის ზღვარს“. მაგრამ სოციალური შეღავათების მიღების ხანგრძლივობა, როგორც წესი, შეუზღუდავია. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, აშშ-ში არსებობს ე.წ. სოციალური უზრუნველყოფა, რომელიც არ უკავშირდება დაზღვევას. ეს არის დახმარებები ნაკლები შესაძლებლობების მქონე მოსახლეობისათვის, ობლებისათვის და სხვ.. ამ პროგრამით, მაგალითად, ამ კატეგორიის ბავშვები სკოლაში უფასოდ იკვებებიან; ზოგიერთი ადამიანი სარგებლობს უფასო საცხოვრებელით და სხვ..

ამერიკული განათლების სისტემა მეტად მოქნილია. სასწავლო პროგრამების მრავალფეროვნების ფონზე მოსწავლეებს და სტუდენტებს სრული თავისუფლება აქვთ შეისწავლონ ესა თუ ის დისციპლინა. უნივერსიტეტში სწავლის დროსაც კი შეუძლიათ გადავიდნენ სხვა ფაკულტეტზე. შეისწავლონ დამატებითი საგნები, ანუ შეადგინონ საკუთარი საგანმანათლებლო პროგრამა. დაფინანსების კუთხით ამერიკაში არის როგორც სახელმწიფო (Public schools), ასევე კერძო (private schools) სკოლები. სწავლების დონე ამ ორი სახეობის სკოლას შორის ძალიან განსხვავებულია. სახელმწიფო სკოლების დაფინანსება ხდება ადგილობრივი ბიუჯეტიდან, ამიტომ „მდიდარ“ რაიონებში სკოლები შედარებით უკეთესად ფინანსდება და, რადგანაც ამერიკული კანონმდებლობით ბავშვს შეუძლია მხოლოდ იმ სკოლაში იაროს, რომელიც მის სახლთან ახლოსაა, განათლების დონეც „მდიდარ“ და „ღარიბ“ რაიონებს შორის მეტად სხვადასხვაა და ამის შეცვლის არანაირი საშუალებაც არ არსებობს.

კერძო სკოლები სახელმწიფოსაგან ფინანსურად დამოუკიდებელი, მაგრამ სპონსორზე დამოკიდებულია, თუმცა, როგორც წესი, აქ განათლების ძალიან მაღალი დონეა, რაც ძალიან ძვირი ჯდება, მაგრამ მომავალი საუკეთესო კარიერის საფუძველია. საინტერესოა, რომ კერძო სკოლებში ამერიკულ მოსწავლეთა 50%-ზე ნაკლები სწავლობს. აქ უმეტესწილად უცხოელები იღებენ განათლებას.

უმაღლესი განათლებაც ორნაირია - სახელმწიფო და კერძო. აქაც სრული მოქნილობა და დემოკრატიულობა სუფევს. უმაღლეს კერძო უნივერსიტეტებში განათლების მიღება „ძალიან ძვირი სიამოვნებაა“, თუმცა იგი გარანტირებული საუკეთესო კარიერის საფუძველია.

ყოველივე აქედან გამომდინარე, განათლება და, რა თქმა უნდა, კარგი განათლება სოციალური უსაფრთხოების საუკეთესო წინაპირობაა. 2019 წელს სახელმწიფო დანახარჯები განათლებაზე მთელი დანახარჯების 14.15%-ს შეადგენდა. გარკვეულწილად აქედან გამომდინარეობს ე.წ. წიგნიერების დონე, რაც ამერიკაში 99.9%-ს შეადგენდა, რაც უდავოდ ძალიან მაღალია. საერთაშორისო კვლევითი ორგანიზაციების მონაცემებით, ზოგადად უსაფრთხოების ინდექსი აშშ-ში ბოლო წლებში 50%-ზე მაღალია. მაგალითად, 2021 წელს იგი 52.26%-ს უდრიდა.

აშშ-ს სოციალური უსაფრთხოების სისტემის მდგომარეობაზე სათანადო წარმოდგენას გვაძლევს ცხრილი 1.

ცხრილი 1

**აშშ-ს სოციალური უსაფრთხოების სისტემის ზოგიერთი მაჩვენებელი**

მაჩვენებელი	2018	2019	2020	2021
უსაფრთხოების ინდექსი	50.42	52.87	52.80	52.26
სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა (წელი)	78.64	78.79	77.28	78.1
პენსიაზე გასვლის ასაკი (წელი) (კაცი/ქალი)	66	67/67	67/67	67/65
საშუალო პენსია	2150	1503	1150	1500

(აშშ დოლარი)				
65 და მეტი ასაკის მოსახლეობა (% მთლიანი მოსახლეობის)	15.81	16.21	16.63	17.04
უმუშევრობის დონე (%)	3.9	3.67	8.05	5.46
დასაქმებულთა რაოდენობა (%)	61.97	62.21	60.88	60.73
ბედნიერების ინდექსი (0-10)	6.89	6.89	6.95	6.98
სახელმწიფო სოციალური დანახარჯები (% მშპ-თან)	18.9	18.7	15.3	15.3

2017 წელს სოციალური უზრუნველყოფის ხარჯები იყო 806,7 მილიარდი აშშ დოლარი OASDI-სთვის და 145,8 მილიარდი აშშ დოლარი DI-სთვის. საერთაშორისო ორგანიზაცია „Swiss Re“-ს მონაცემებით, 2020 წელს მთელ მსოფლიოში დაზღვევის მიზნით გაცემული 6.287 ტრლნ აშშ დოლარიდან 2.530 ტრლნ აშშ-ზე მოდიოდა. იგი უდავოდ წარმოადგენს მსოფლიოში უმსხვილეს სადაზღვევო ბაზარს, რომელიც წლების განმავლობაში აკონტროლებდა მსოფლიო სადაზღვევო ბაზრის ნახევარს, თუმცა ბოლო წლების მონაცემებით ეს მაჩვენებელი შემცირდა და მხოლოდ მსოფლიო ბაზრის ერთ მეოთხედს მოიცავს. თუმცა ესეც უზარმაზარი ციფრია. სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ ჩატარებული კვლევების თანახმად, აშშ-ში უსაფრთხოების ინდექსი მუდმივად მზარდია. ეს მაჩვენებელი, როგორც ცხრილი 1-დან ჩანს, ბოლო წლებში (2018-2021) 50.42-დან 52.26-მდე (ანუ 2 პუნქტით) გაიზარდა. ეს ასევე აისახა ე.წ. „ბედნიერების ინდექსზე“, რაც უშუალოდ მოსახლეობის შეფასება საკუთარი კეთილდღეობის შესახებ და, რაც 6.98-ს შეადგენს (10-დან, რაც საკმაოდ მაღალი მაჩვენებელია.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ აშშ-ს სოციალური უსაფრთხოების სისტემა ერთ-ერთი ყველაზე წარმატებულია მსოფლიოში და ნამდვილად სამაგალითოა სხვა ქვეყნებისათვის. მ.შ. საქართველოსათვის.

## გამოყენებული ლიტერატურა

- <https://zaochnik.com/spravochnik/pravo/pravo-sotsialnogo-obespechenija/sotsialnoe-obespechenie-v-ssha/> Социальное обеспечение в Соединенных Штатах Америки
- <http://www.univer5.ru/sotsialnaya-rabota/zarubezhnyj-opyt-soczialnoj-raboty/2.3.-sistema-sotsialnoy-zaschityi-naseleniya-v-ssha-2.3.1.-sistema-sotsialnogo-strahovaniya> зарубешный опыт социальной работы - 2.3. Система социальной защиты населения в США 2.3.1. Система социального страхования
- <http://www.foreignpolicy.ru/analyses/problemny-sotsialnoy-i-informatsionnoy-bezopasnosti-ssha/>  
<http://www.foreignpolicy.ru/analyses/problemny-sotsialnoy-i-informatsionnoy-bezopasnosti-ssha/> ПРОБЛЕМЫ СОЦИАЛЬНОЙ И ИНФОРМАЦИОННОЙ БЕЗОПАСНОСТИ США
- [https://360wiki.ru/wiki/Social\\_Security\\_\(United\\_States\)](https://360wiki.ru/wiki/Social_Security_(United_States)) ამერიკული სოციალური დაცვის სისტემა
- <https://cyberleninka.ru/article/n/transformatsiya-amerikanskoy-modeli-sotsialnoy-bezopasnosti> МИРОВАЯ ЭКОНОМИКА ТРАНСФОРМАЦИЯ АМЕРИКАНСКОЙ МОДЕЛИ СОЦИАЛЬНОЙ БЕЗОПАСНОСТИ1 Лебедева Людмила Федоровна
- [https://translated.turbopages.org/proxy\\_u/en-ru.ru.05f83026-6389b1f5-481e15fd-74722d776562/https/en.wikipedia.org/wiki/Insurance\\_in\\_the\\_United\\_States](https://translated.turbopages.org/proxy_u/en-ru.ru.05f83026-6389b1f5-481e15fd-74722d776562/https/en.wikipedia.org/wiki/Insurance_in_the_United_States)
- <https://finansial-crisis.ru/sistema-strahovaniya-v-ssha/>
- <https://visasam.ru/emigration/canadausa/strahovanie-v-ssha.html>
- [https://pikabu.ru/story/kak\\_rabotaet\\_meditsinskaya\\_strakhovka\\_v\\_ssha\\_4211273](https://pikabu.ru/story/kak_rabotaet_meditsinskaya_strakhovka_v_ssha_4211273)
- <https://www.globaldialog.ru/articles/sistema-obrazovaniya-ssha/>
- <https://ru.theglobaleconomy.com/USA/>



**SOCIAL SECURITY EXPERIENCE IN UNITED STATES OF AMERICA**  
**Summary**

The work is dedicated to such an acute problem for today as social security, which is the most important component of the national security of any country. The author has indicated that national security as the most important task was mentioned for the first time at the beginning of XX century - in 1904 by T. Roosevelt regarding the Panama Canal. The paper provides a definition of social security; Its causes as of the problem; System of indicators.

The work is done on the example of the USA. Economic and legal acts of social policy, which regulate social policy in the country, are discussed. Provision of social security of the country is discussed according to points and their analysis is carried out on the basis of digital data of recent years.

*ციცინო თეთრული*

**სოციალური უსაფრთხოების გამოცდილება ევროკავშირში**

*ანოტაცია.* ნაშრომში განხილულია სოციალური უსაფრთხოების გამოცდილება ევროკავშირში, მისი სტრატეგია და ბერკეტები რომელსაც იყენებს დასაქმების, ჯანდაცვის, განათლების და ა.შ. სექტორში. გაშუქებულია ევროკავშირის არსი, მიზნები და ამოცანები. გაანალიზებულია სოციალური ინოვაციების როლი და მნიშვნელობა. დახასიათებულია ევროკავშირში ინტეგრაციის სტანდარტები, რეკომენდაციები და მოთხოვნები. მიმოხილულია სოციალური ეკონომიკის ზოგიერთი საკითხი.

*საკვანძო სიტყვები:* ევროკავშირი, სოციალური ინოვაციები, ევროკავშირში გაწევრიანება, სოციალური პოლიტიკა სტრუქტურული ფონდები, სოციალური უთანასწორობა.

## შესავალი

გლობალური მსოფლიო ძალიან დიდი გამოწვევების წინაშე დგას. დამთავრდა ერთპოლუსიანი მსოფლიოს არსებობა, მიმდინარეობს ძალთა ხელახალი გადანაწილება, ბრძოლა გავლენის სფეროებისთვის. მოცემული პარადიგმიდან გამომდინარე გლობალური მსოფლიოს მომავალი გაურკვეველია, თუ როგორი იქნება ძალთა თანაფარდობა. დიდი ალბათობით აღმოსავლეთის ქვეყნები გააქტიურდებიან, მსოფლიო არენაზე გამოჩნდებიან ახალი მოთამაშეები. პანდემიამ ძალიან დიდი დადი დაასვა მსოფლიო ეკონომიკას, დაიღუპა მილიონობით ადამიანი. გაეროს მონაცემებით მეორე მსოფლიოს ომის შემდგომ, მსოფლიო ეკონომიკას არ მიუღია ასეთი დიდი ზარალი. ამ ფონზე ყველა ქვეყნისთვის უმნიშვნელოვანესია სოციალური უსაფრთხოების უზრუნველყოფა. ევროკავშირი ნამდვილად არის მსოფლიოში ისეთი ძლიერი ეკონომიკურ-პოლიტიკური გაერთიანება რომელსაც უამრავი ბერკეტი გააჩნია, რათა შეინარჩუნოს სოციალური უსაფრთხოება. ევროკავშირი მაქსიმუმს აკეთებს, რათა დაიცვას თავისი წევრი ქვეყნების მოქალაქეთა კეთილდღეობა.

\*\*\*

სოციალური უთანასწორობა ისეთივე ძველია როგორც კაცობრიობა, თუ გადავხედავთ კაცობრიობის ისტორიას დღემდე, ჩვენი წინაპარი მონადირე-შემგროვებლები, მომთაბარეები ბევრად უფრო ჰუმანურად გამოიყურებოდნენ ვიდრე მომდევნო თაობები. ისინი ბუნებიდან იღებდნენ იმდენს, რამდენიც აუცილებელი იყო მათი არსებობისთვის. არ ერჩოდნენ და ჩაგრავდნენ ერთმანეთს, პირიქით ყველაფერში ეხმარებოდნენ. თემურ საზოგადოებას ახასიათებდა: მატერიალური დოვლათის კოლექტიური წარმოება, საარსებო საშუალებათა თანაბარი განაწილება, ექსპლოატაციისა და კლასების არარსებობა, ადამიანი ჯერ კიდევ ვერ ბატონობდა ბუნებაზე. კაცობრიობის ისტორიაში პირველი რევოლუცია გუთნის გამოგონებას უკავშირდება, როდესაც ადამიანმა გავლო პირველი ხნული და დაიწყო ხორბლის მოყვანა, იგი უკვე სამუდამოდ მიეჯაჭვა მიწას. ადამიანთა ცხოვრებაში გაჩნდა მათი მთავარი საკვები პური, "პური ჩვენი

არსობასა". მომთაბარეები გადაიქცნენ მიწათმოქმედებად. წარმოიშვა ზედმეტი პროდუქტი. რამაც საფუძველი ჩაუყარა კლასობრივი საზოგადოების ჩამოყალიბებას, საფუძველი ჩაუყარა ადამიანის მიერ ადამიანის ჩაგვრას, ექსპლუატაციას და ასევე ამ გადასახედიდან თუ შვეაფასებთ ბუნებაზე ინტენსიურ ზემოქმედებას. ბუნების ძარცვას და ექსპლუატაციას. ბუნებაზე ანთროპოგენური ზემოქმედება საუკუნეებს ითვლის. რამაც კაცობრიობა ისეთ გლობალურ პრობლემებამდე მიიყვანს როგორცაა, გლობალური დათბობა, ოზონის შავი ხვრელი, გაუდაბნობა ჰაერისა და წყლის დაბინძურება, მიწის ეროზია და დეგრადაცია, ბიომრავალფეროვნების შემცირება, სასურსათო უსაფრთხოება ნარჩენების მართვა და ა.შ. საწარმოო ძალების ზრდამ გამოიწვია ადამიანის მიერ ბუნებაზე აქტიური ზემოქმედება. გაძლიერდა ცალკეული ინდივიდების როლი და აღარ იყო აუცილებელი კოლექტიური შრომა, წარმოიშვა მდიდარი და ღარიბი ოჯახები. აღმოცენდა ქონებრივი უთანასწორობა. ზედმეტი პროდუქტის გაჩენის შემდეგ კი ადამიანს აქცევენ მონად, რადგან მას შეეძლო შეექმნა არა მარტო მისი არსებობისათვის საჭირო, აუცილებელი, არამედ ზედმეტი პროდუქტიც. მონის მიერ შექმნილ ზედმეტ პროდუქტს კი მთლიანად ითვისებდა მონათმფლობელი. და კიდევ უფრო მდიდრდებოდა. კაცობრიობის ისტორიაში მონობა, იყო ყველაზე უფრო საშინელი, სამარცხვინო და მახინჯი სოციალური მოვლენა, მონას უყურებდნენ როგორც ნივთს, მას არ ქონდა არავითარი ქონება. რომ იტყვიან სულს იქით არაფერი ებადა. შეეძლოთ მონის გაყიდვა და ყიდვა. მონის მოკვლა, რაზეც არავინ მოსთხოვდათ პასუხს, ეს ყველაფერი ხდებოდა მდიდართა კლასის სიხარბისა და მომხეჭველობის გამო. ამ პერიოდიდან ადამიანთა ცნობიერებაში შემოვიდა და დამკვიდრდა ორი სიტყვა "უფრო მეტი". უფრო მეტის მიღების, მოპოვების მისწრაფება. რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს ეს "უფრო მეტი" დღესაც თანამედროვე ტექნოკრატიული საზოგადოების დევიზია. "მადა ჭამაში მოდისო". ადამიანს ძალიან დიდი მადა გაეხსნა. გააცნობიერა რა, რომ ბუნებიდან ძალიან ბევრი სიკეთის მიღება შეეძლო. დღემდე მეწველ ძროხასავით ექცევა მას მცენარეთა აზრით სასარგებლო წიაღისეულის მარაგები თითქმის გამოცარიელებულია.

მიწის ზევით კი რა გლობალური ეკოლოგიური პრობლემების წინაშე დგას მსოფლიო ზევით აღვნიშნეთ. მონათმფლობელობა შეცვალა ფეოდალიზმმა, რომელიც ასევე ადამიანთა ექსპლუატაციაზე იყო დაფუძნებული, მიწაზე ფეოდალის საკუთრება განაპირობებდა გლეხების ექსპლუატაციას. ყმა გლეხებს ფეოდალები საარსებო მინიმუმს უტოვებდნენ, დანარჩენს კი თვითონ ითვისებდნენ. ფეოდალიზმის ეპოქა კაცობრიობას უდიდესმა ნაწილმა გაიარა. მისი აღმოცენება იწყება რომის იმპერიის დაცემიდან და გრძელდებოდა ინგლისში XVII საუკუნემდე, საფრანგეთში – XVIII საუკუნემდე მონისგან განსხვავებით გლეხს ყავდა ოჯახი მისი მოკვლა ფეოდალს უკვე აღარ შეეძლო, თუმცა გლეხის დასჯისა და გაცვლის უფლება მაინც შეინარჩუნა. შემდგომში ბურჟუაზიულმა რევოლუციამ გზა გაუხსნა კაპიტალიზმის განვითარებას, სახეცვლილი ფორმით სოციალური უთანასწორობა, სოციალური უსამართლობა დღემდე არის მსოფლიოს ყველაზე უფრო მწვავე და ყბადაღებული პრობლემა, სოციალური ლათინური სიტყვაა და (ლათ. socialis – საზოგადოებრივი) და ნიშნავს საზოგადოებრივს. სოციალური გარემო კი არის საზოგადოებრივი ცხოვრების მატერიალური, ეკონომიკური და კულტურული ფაქტორების ერთობლიობა, როგორც ვნახეთ სოციალურ პრობლემებს ძალიან ღრმა ფესვები აქვს. მისი საფუძველი ადამიანის თავისუფლებისა და უფლებების შელახვაზე გადის. ყველა ადამიანს აქვს სიცოცხლისა და ნორმალური ღირსეული ცხოვრების უფლება. არავინ არავიზე არ არის მეტი და არ არის ნაკლები, "მცირე დიდია დიდი კი მცირე" ამბობს უფალი.

სოციალური საბაზრო ეკონომიკის ნიშნებია: 1) ეკონომიკაში სახელმწიფო საკუთრების მაღალი ხვედრითი წილი. 2) სოციალური (ქონებრივი) ურთიერთობების აქტიური სახელმწიფოებრივი რეგულირება. 3) მოსახლეობის სოციალურ ვენებს შორის შედარებით მცირე ქონებრივი განსხვავება. 4) მოსახლეობის ცხოვრების საკმაოდ მაღალი დონე. სოციალური საბაზრო ეკონომიკა აქვთ ევროკავშირის ქვეყნებსაც, მაგალითად შვედეთსა და გერმანიას, სადაც მოსახლეობის კეთილდღეობაზე ზრუნვა სახელმწიფო პოლიტიკის რანგშია აყვანილი. დაწესებულია სახელმწიფო ფიქსირებული ფასები, ხოლო მოსახლეობის

მდიდარი ფენებიდან ნაკლებად შეძლებულ ფენებზე შემოსავლების გადანაწილება მაღალი გადასახადებით ხორციელდება. ზოგიერთი ქვეყანა იყენებს შერეული საბაზრო ეკონომიკის მოდელს. ტერმინი "სოციალური" – მოიცავს ყველაფერს რაც საზოგადოებას ეხება. სოციალური ეკონომიკა შეისწავლის ადამიანთა ცხოვრების დონესა და ხარისხს, ყველა სახელმწიფოს უპირველესი მოვალეობაა მოსახლეობის სოციალური დაცვა, სოციალური უსაფრთხოების უზრუნველყოფა. სოციალურ სფეროს მიეკუთვნება: დასაქმება, ჯანდაცვა, განათლება, კულტურა, საპენსიო უზრუნველყოფა, ხანდაზმულთა სახელები, სოციალური დახმარება და ა.შ. ქველმოქმედებაც სოციალურ სფეროს მიეკუთვნება, როდესაც ბიზნესმენები, კულტურისა და საზოგადო მოღვაწენი უანგაროდ, საკუთარი კეთილი ნებით ეხმარებიან გაჭირვებულ, სოციალურად დაუცველ ადამიანებს, რითაც კი შეუძლიათ-ფულით, ნივთებით, მკურნალობით.

ევროპის გაერთიანებას საფუძველი ჩაუყარა საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა რობერ შუმანმა, რომელმაც ფრანგ პოლიტიკოს ჟან მონესთან (მოგვიანებით ევროპის პირველი საპატიო მოქალაქე) ერთად 1950 წლის 9 მაისს წამოაყენა ევროპის ნახშირის მოპოვებისა და ფოლადსადნობი წარმოების სფეროების გაერთიანების იდეა, მისივე სიტყვებით, ეს ისტორიული იდეა საფუძველს ჩაუყრიდა მომავალი "ორგანიზებული და ცხოვრებისუნარიან ევროპას", რომელიც აუცილებელია ცივილიზაციის შემდგომი განვითარებისა და მშვიდობისათვის მთელ მსოფლიოში. 1951 წლის 18 აპრილს პარიზში დაიდო ხელშეკრულება საფრანგეთსა და გერმანიას შორის ქვანახშირისა და ფოლადის წარმოებების გაერთიანების შესახებ, 1952 წელს ხელშეკრულებას შეუერთდა ბელგია, ლუქსემბურგი, ნიდერლანდები და იტალია. ამით შეიქმნა ევროპის ქვანახშირისა და ფოლადის გაერთიანება (ექფგ). 1957 წელს ქ. რომში ექვსმა სახელმწიფომ საფრანგეთმა, გერმანიამ, ბელგიამ, ლუქსემბურგმა, ნიდერლანდებმა და იტალიამ ხელი მოაწერეს ევროპის ეკონომიკური გაერთიანების (ეეგ) დამფუძნებელ ხელშეკრულებას. რომის ხელშეკრულებასთან ერთად ექვსივე სახელმწიფომ ხელი მოაწერა ევროპის ატომური ენერჯის გაერთიანების (ევრატომი) ხელშეკრულებას, რითაც ეკონომიკური ინტეგრაციის სექტორმა

უფრო სერიოზული ავტორიტეტი მოიპოვა. მშვიდობა და უსაფრთხოება ევროპის ეკონომიკური გაერთიანების ჩამოყალიბების ფუნდამენტური მოტივი, კვლევაც ძლიერ გავლენას ახდენს მთავრობებსა და სახელმწიფოებზე, დემოკრატიული მმართველობის პირობებში.

მეორე მსოფლიო ომის შემდგომ, რომელმაც 50 მილიონზე მეტი ადამიანი შეიწირა ხოლო ფაშიზმის ტალღამ გაანადგურა და მიწასთან გაასწორა ქვეყნები, მსოფლიომ ნელა-ნელა დაიწყო შოკიდან გამოსვლა, მსოფლიომ დაიწყო უსაფრთხოების გზების ძიება. ამის გამოძახილი იყო გაერთიანებული ერების ორგანიზაციის, გაეროს შექმნა. იგი 1945 წელს შეიქმნა აშშ-ის, დიდი ბრიტანეთის, ჩინეთისა და საბჭოთა კავშირის ინიციატივით. გაეროში 195 წევრი სახელმწიფოა. ნებისმიერი ქვეყანა, რა სიდიდისაც არ უნდა იყოს და რამდენი ადამიანიც არ უნდა ცხოვრობს იქ, გაეროს გენერალურ ასამბლეაში ერთი ხმის უფლებით სარგებლობს. საქართველო 1992 წელს გაწევრიანდა გაეროში. გაეროს მიზნებია, მეგობრული ურთიერთობები ერებს შორის, მშვიდობის შენარჩუნება მსოფლიოში, ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვა, სიღატაკესთან ბრძოლა. შემდგომში შეიქმნა ჩრდილო ატლანტიკური სამხედრო-პოლიტიკური კავშირი ნატო, 1949 წელს ვაშინგტონში. ამ ალიანსის ძირითადი მიზანია წევრი სახელმწიფოების თავისუფლებისა და უშიშროების გარანტია. ევროკავშირი როგორც ზემოთ აღვნიშნეთ თავიდან ჩამოყალიბდა, როგორც ეკონომიკური გაერთიანება. იგი უკვე თითქმის შვიდ ათეულ წელს ითვლის. ევროკავშირში თანდათან ეკონომიკურ-პოლიტიკურ გაერთიანებად გადაიქცა.

2012 წელს ევროკავშირი მშვიდობის ნობელის პრემიით დაჯილდოვდა, ევროკავშირი ეტაპობრივად ფართოვდებოდა. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდგომ, მას შეუერთდნენ ყოფილი პოსტკომუნისტური ქვეყნებიც. ეს იყო ევროკავშირის ყველაზე დიდი გაფართოება აღმოსავლეთ ევროპის მხრიდან. ამჟამად ევროკავშირში 27 ქვეყანაა გაწევრიანებული. (დიდმა ბრიტანეთმა დატოვა ევროკავშირი). როგორც ჟან მონე ამბობდა "ჩვენ სახელმწიფოებს არ ვაერთიანებთ ჩვენ ხალხებს ვაახლოვებთ ერთმანეთთან". ევროკავშირს გააჩნია საკუთარი დროშა, ჰიმნი, ვა-

ლუტა, ევროკავშირის დროშა არის ლურჯ-ფონზე 12 ოქროს ვარსკვლავებისგან შემდგარი წრე. აშშ-ს დროშისაგან განსხვავებით, ევროკავშირის დროშაზე გამოსახული ვარსკვლავების რაოდენობას არავითარი კავშირი არა აქვს წევრი ქვეყნების რიცხვთან. რიცხვი 12 სრულყოფილების უმველესი სიმბოლოა. (12 თვე, დღისა და ღამის 12 საათი, ისრაელის 12 ტომი, 12 მოციქული, ჰერკულესის 12 გმირობა) წრე კი ერთიანობისა და ურთიერთკავშირის სიმბოლოა. რაც შეეხება ჰიმნს, 1972 წელს ევროპის კავშირის მინისტრთა კომიტეტის გადაწყვეტილებით ლუდვიგ ვან ბეთჰოვენის მეცხრე სიმფონიის მეოთხე ნაწილი პრელუდია "სიხარულის ოდა" გამოცხადდა ევროპის ჰიმნად. მუსიკალური დამუშავება კი ეკუთვნის ჰერბერტ ფონ კაროიანს. ევროპული ვალუტის ერთეული ეკიუ ევროს წინამორბედი ვალუტაა, რომელიც ევროპული ეკონომიკური გაერთიანების მიერ 1979 წელს დაინერგა. ეკიუს ევროთი ჩანაცვლება 1999 წელს განხორციელდა, ევროკავშირის უმნიშვნელოვანესი დოკუმენტია მასტრიხტის 1992 წლის ხელშეკრულება, რომელიც 1993 წელს შევიდა ძალაში. ამ ხელშეკრულების ძირითადი მიზანია ევროპელ ხალხთა შორის უფრო მჭიდრო კავშირის შექმნა, სადაც გადაწყვეტილებები ღიად, მოქალაქეთა ინტერესების გათვალისწინების საფუძველზე მიიღება. აქედან გამომდინარე ევროკავშირი:

- ხელს უწყობს ხალხთა კეთილდღეობას.
- იცავს მის მთავარ ღირებულებებს: თავისუფლებას, დემოკრატიას სამართლის უზენაესობის, ადამიანის ღირსების პატივისცემას, ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვას.
- მოქალაქეებს სთავაზობს მართლმსაჯულების, უსაფრთხოებისა და თავისუფლების სივრცეს.
- აფუძნებს შიდა ბაზარს, რომელიც უზრუნველყოფს შესაბამის პირობებს დაბალანსებული ეკონომიკური ზრდისა და ფასების სტაბილურობისათვის.
- ებრძვის დისკრიმინაციას.
- ხელს უწყობს მოქალაქეთა სრულ დასაქმებას, კონკურენტუნარიანი სოციალური საბაზრო ეკონომიკის შექმნას, გარემოს დაცვასა და მდგრად განვითარებას, წევრ სახელმწიფოებს

შორის ეკონომიკური, სოციალური და ტერიტორიული ერთიანობის შექმნას.

– პატივს სცემს ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების კულტურას, ლინგვისტურ მრავალფეროვნებას.

– იცავს ევროპის კულტურულ მემკვიდრეობას.

– აფუძნებს ეკონომიკურ და მონეტარულ კავშირს.

– ხელს უწყობს საერთაშორისო მასშტაბით მისი ღირებულებების გავრცელებას.

ევროკავშირის ღირებულებებია: ადამიანის ღირსების პატივისცემა, თავისუფლება, დემოკრატია, თანასწორობა, სამართლის უზენაესობა და ადამიანის უფლებების, მათ შორის უმცირესობათა უფლებების პატივისცემა. კავშირის ღირებულებები საერთოა წევრ სახელმწიფოთა საზოგადოებაში, სადაც უზრუნველყოფილია პლურალიზმი, დისკრედიტაციის აკრძალვა, ტოლერანტობა, სამართლიანობა, სოლიდარობა და მამაკაცისა და ქალის თანასწორობა.

ევროკავშირში შექმნილია ძირითადი ინსტიტუტები, რომლებიც მიზნად ისახავენ კავშირის ღირებულებების, მოქალაქეებისა და წევრი სახელმწიფოების ინტერესების დაცვას, ინსტიტუტები უზრუნველყოფენ ევროკავშირის პოლიტიკისა და მოქმედებების ეფექტიანობას, უწყვეტობას და განგრძობას. ევროკავშირის ძირითადი ინსტიტუტებია: ევროპული პარლამენტი, ევროპული საბჭო, საბჭო (ევროპული კავშირის საბჭო, კავშირის საბჭო); ევროპული კომისია, ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლო, ევროპული ცენტრალური ბანკი, აუდიტორთა სასამართლო. თითოეული ინსტიტუტი მისთვის კავშირის დამფუძნებელი ხელშეკრულებებით მინიჭებული კომპეტენციის ფარგლებში მოქმედება.

დასაქმება ერთ-ერთი მწვავე სოციალური პრობლემაა. დაუსაქმებელ ადამიანს არა აქვს შემოსავლის წყარო, ვერ ახდენს საკუთარი თავის რეალიზაციას. ექმნება მატერიალური პრობლემები, ჯანმრთელობის პრობლემები, უქვეითდება თვითშეფასება, ადამიანები სამუშაოს საძებნელად ხშირად იძულებულები არიან წავიდნენ ემიგრაციაში. მოსწყდნენ თავიანთ ქვეყანას, ოჯახს, კარ-მიდამოს, ჩვენი ქვეყნიდან მილიონზე მეტი ადამიანია გასული საზღვარგარეთ. ბავშები "სკაიპით" იზრდებიან,



დასაქმების ევროპული პოლიტიკა მიზნად ისახავს, ევროკავშირის მოქალაქეების სრულ დასაქმებას და სოციალური პროგრესის მიღწევას. იგი ამ მიმართულებით მხარს უჭერს და საჭიროების შემთხვევაში, ავსებს წევრ სახელმწიფოთა მოქმედებას, ამასთან ევროკავშირი პატივს სცემს მათ კომპეტენციას დასაქმების სფეროში. კავშირის კომპეტენციებს მიკუთვნებულ სფეროებში პოლიტიკის დაგეგმვისა და იმპლემენტაციის პროცესში, კავშირის ორგანოებმა მხედველობაში უნდა მიიღონ დასაქმების ევროპული პოლიტიკის მიზნები. ევროპული საბჭო ყოველწლიურად განიხილავს კავშირში დასაქმების დონის მდგომარეობას და იღებს დასკვნას, რომელიც ეფუძნება კავშირის საბჭოსა და ევროპული კომისიის მიერ ერთობლივად წარმოდგენილ საერთო წლიურ ანგარიშს.

ევროპული საბჭოს დასკვნის შესაბამისად, საბჭო ევროპული კომისიის წინადადების საფუძველზე და ევროპულ პარლამენტთან, ეკონომიკურ და სოციალურ საკითხთა ევროპულ კომიტეტთან, რეგიონების კომიტეტთან და დასაქმების კომიტეტთან კონსულტაციების შემდეგ, შეიმუშავებს დასაქმების ევროპული პოლიტიკის სახელმძღვანელო პრინციპების, რომელიც წევრმა სახელმწიფომ უნდა გაითვალისწინოს დასაქმების ეროვნული პოლიტიკის განსაზღვრისას და იმპლემენტაციისას.

დასაქმების ევროპული პოლიტიკის სახელმძღვანელო პრინციპები უნდა შეესაბამებოდეს ფართო ეკონომიკური პოლიტიკის გაიდლაინებს, წევრი სახელმწიფო საბჭოსა და კომისიას წარუდგენს ყოველწლიურ ანგარიშს, რომელშიც გადმოცემულია დასაქმების ევროპული პოლიტიკის გაიდლაინების იმპლემენტაციის შედეგები. ევროკავშირი დასაქმების ევროპული სტრატეგიის ფარგლებში წევრ სახელმწიფოს მხარს უჭერს დასაქმების ეროვნული პოლიტიკის ეფექტიანად განხორციელებაში. ამ მიზნით იგი იყენებს: ევროპულ სოციალურ ფონდს და ორმხრივ სასწავლო პროგრამას. დასაქმების სფეროში კავშირის დონეზე საქმიანობას ახორციელებს: 1) დასაქმების ევროპული ობსერვატორია. იგი ხელს უწყობს დასაქმების ევროპული სტრატეგიის განვითარებას, ამუშავებს დასაქმების მდგომარეობის შესახებ ინფორმაციას. 2) სამსახურის მობილურობის ევროპული პორტალი, იგი შეიცავს ევროპულ შრომით ბაზარზე არსებული ვა-

კანსიების თაობაზე ინფორმაციას და ა.შ.

დასაქმების ევროპულ სტრატეგიას საფუძველი ჩაეყარა 1957 წელს ევროპული საბჭოს ლუქსემბურგის სამიტზე. დასაქმების ევროპული სტრატეგიის ყოველწლიური პროგრამა ერთი მხრივ შეიცავს, დასაქმების ეროვნული პროგრამების შედგენის, განხორციელების სახელმძღვანელო პრინციპებს და მეორე მხრივ, უზრუნველყოფს ამ მიმართულებით წევრ სახელმწიფოთა მჭიდრო კოორდინაციას. მისი უმთავრესი მიზანია ევროკავშირის ფარგლებში უმუშევრობის აღმოფხვრა. სტრატეგია ეფუძნება 3 კომპონენტს, ესენია:

1) დასაქმების გაიძლიანები – საერთო პრიორიტეტები წევრი სახელმწიფოების დასაქმების პოლიტიკისათვის, რომელსაც შეიმუშავებს ევროპული კომისია.

2) საერთო ანგარიში დასაქმების მდგომარეობის შესახებ.

3) რეკომენდაციები – კავშირის საბჭოს მიერ ხმათა კვალიფიციურ უმრავლესობით მიიღება (ძირითადად კონკრეტული წევრი სახელმწიფოს მიმართ).

ევროკავშირის საბჭო ევროპულ პარლამენტთან კონსულტაციის საფუძველზე აფუძნებს დასაქმების კომიტეტს, რომელსაც სათათბირო ორგანოს სტატუსი გააჩნია. კომიტეტი შედგება წევრი სახელმწიფოებისა და ევროპული კომისიის წარმომადგენლებისაგან. (თითოეული სუბიექტიდან წარმოდგენილია 2 წევრი). დასაქმების კომიტეტი: 1) ევროკავშირის საბჭოს ან ევროპული კომისიის ან საკუთარი ინიციატივით ამზადებს დასკვნებს. 2) მხარს უჭერს კავშირის საბჭოს დასაქმების ევროპული სტრატეგიისა და მისი ინსტრუმენტების (დასაქმების ევროპული პოლიტიკის გაიძლიანები, რეკომენდაციები დასაქმების ეროვნული პოლიტიკის იმპლემენტაციის თაობაზე და სხვა) შემუშავებაში.

ევროკავშირი ხელს უწყობს წევრ სახელმწიფოებს შორის ეკონომიკურ, სოციალურ და ტერიტორიულ გაერთიანებას. იგი ეკონომიკური, სოციალური და ტერიტორიული ერთიანობის მისაღწევად მოქმედებს შერეული კომპეტენციის ფარგლებში. ევროკავშირი ცდილობს მიაღწიოს წევრი სახელმწიფოებისა და მათი რეგიონების დაბალანსებულ, ჰარმონიულ განვითარებას, რეგიონებს შორის ცხოვრებისეულ დონესთან დაკავშირებული

განსხვავებების შემცირებას. ამ მიზნით იყენებს ცალკეულ ფინანსურ ინსტრუმენტებს როგორცაა: რეგიონული განვითარების ევროპული ფონდი, ევროპული სოციალური ფონდი და ა.შ. ევროპული კომისია 3 წელიწადში ერთხელ ევროპარლამენტს, საბჭოს, ეკონომიკურ და სოციალურ საკითხთა ევროპულ კომიტეტსა და რეგიონების კომიტეტს წარუდგენს, ეკონომიკური, სოციალური და ტერიტორიული ერთიანობის სფეროში განსახორციელებელი ღონისძიებების შესახებ ანგარიშს. (საჭიროების შემთხვევაში შესაბამის ინიციატორებსაც) რომელშიც ამ მიმართულებით კავშირის პროგრესია შეჯამებული.

ევროკავშირს აქვს ძალიან ძლიერი, ზედმიწევნით დახვეწილი და პროგრესული სოციალური პოლიტიკა. ევროკავშირის სოციალური პოლიტიკის სფერო ევროპული კავშირის შერეულ კომპეტენციათა რიცხვს მიეკუთვნება. ამ სფეროში კავშირი მოქმედებს მხოლოდ ძირითადი ხელშეკრულებებით გათვალისწინებული ასპექტების ფარგლებში. ევროკავშირი სოციალური პოლიტიკის განხორციელების მიზნით უფლებამოსილია მიიღოს დირექტივები, რომლებიც ხელს შეუწყობს: 1) დასაქმებას, 2) დასაქმებულთა საცხოვრებელი და სამუშაო პირობების გაუმჯობესებას, 3) დასაქმებული პირების გადამზადებას, კვალიფიკაციის ამაღლებას, 4) დასაქმებული პირების ჯამრთელობასა და უსაფრთხოების დაცვას, 5) სამსახურიდან დათხოვნის შემთხვევაში დასაქმებული პირების ინტერესების დაცვას, 6) ევროკავშირის ტერიტორიაზე მესამე ქვეყნების მოქალაქეების სამუშაო პირობების დაცვას, 7) დასაქმების სფეროში მამაკაცებისა და ქალების თანასწორობას, 8) დასაქმებული პირებისა და დამსაქმებლების კანონიერი ინტერესების დაცვას და სრულ ერთგულ და ზეეროვნული სოციალური პოლიტიკის ფორმირებას. იმპლემენტაციის პროცესში ევროკავშირსა და წევრ სახელმწიფოებს ეკისრებათ ევროპული სოციალური ქარტიისა და მუშათა ძირითადი სოციალური უფლებების შესახებ გაერთიანების ქარტიის მხედველობაში მიღების ვალდებულება.

სოციალური და ეკონომიკური პრობლემები ურთიერთგადაჯაჭვულია, ეკონომიკურად ძლიერ ქვეყნებშიც არსებობენ სოციალურად მოწყვლადი ჯგუფები, უსახლკარონი, შიმშილის ზღვარზე მყოფი ადამიანები. განვითარებულ ქვეყნებშიც არის

უფასო სასადილოები სოციალურად დაუცველთათვის (იტალია, ესპანეთი და ა.შ.) თავშესაფრები უსახლკაროებისთვის და ა.შ.

ევროკავშირი და სოციალურ საკითხთა ევროპული კომიტეტი ევროკავშირის საკონსულტაციო ორგანოა, იგი შედგება დამსაქმებლებისა და დასაქმებულთა პროფესიული კავშირების წარმომადგენლებისაგან და სამოქალაქო სექტორში, განსაკუთრებით სოციალურ-ეკონომიკურ, განათლების, კულტურის სფეროებში არსებული ორგანიზაციებში დასაქმებული პირებისაგან.

იქიდან გამომდინარე, რომ კომიტეტი წარმოადგენს დამსაქმებლების, დასაქმებულთა და სამოქალაქო საზოგადოების ზოგად ინტერესებს, იგი კონსულტაციას უწევს კომისიას, საბჭოსა და ევროპულ პარლამენტს. ეკონომიკურ და სოციალურ საკითხთა კომიტეტი არ არის ვალდებული იმოქმედოს კავშირის ინტერესების, მიზნების შესაბამისად, გარდა ამისა იგი ინსტრუქციებს არ იღებს კავშირის სხვა ორგანოებისაგან, ევროკავშირში ეკონომიკურ და სოციალურ საკითხთა კომიტეტის არსებობას გააჩნია 3 ძირითადი დანიშნულება: 1) კომიტეტი წევრების გამოცდილებისა და პროფესიონალიზმის გამოყენებით უზრუნველყოფს ევროპული პარლამენტის, საბჭოსა და ევროპული კომისიისათვის მხარდაჭერას, რაც გამოიხატება ეკონომიკურ, სოციალურ სფეროებში პოლიტიკის დაგეგმვისა და მისაღები საკანონმდებლო აქტის შინაარსის დახვეწაში. 2) კომიტეტი, როგორც სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზებული ინსტიტუციური ფორუმი ერთი მხრივ, მუდმივად აწარმოებს საზოგადოებასთან დიალოგს და მეორე მხრივ, გამოხატავს საზოგადოებაში არსებული შეხედულებებს, რაც განაპირობებს კავშირის ამ მიმართულებით განვითარებას. 3) ეკონომიკურ და სოციალურ საკითხთა ევროპული კომიტეტი წარმომადგენლობითი დემოკრატიის ერთ-ერთი უნიკალური შემთხვევაა, მასში წარმოდგენილნი არიან არა პოლიტიკოსები ან ხელისუფლების წარმომადგენლები, არამედ სამოქალაქო საზოგადოების წევრები.

ევროკავშირის ძირითადი ხელშეკრულებების მიხედვით ზოგიერთ შემთხვევაში ევროპული პარლამენტის, კავშირის საბჭოსა და ევროპული კომისიის მირ კომიტეტთან კონსულტაცია სავალდებულოა და მისი უგულვებელყოფა აქტის ბათილად გამოცხადების ერთ-ერთი საფუძველია. კომიტეტი უფლებამო-

სილია მოსაზრებებში საკუთარი ინიციატივით წარმოადგინოს თუ თვლის, რომ სამოქალაქო საზოგადოების ინტერესების დასაცავად ასეთი მოქმედება მიზანშეწონილია.

ეკონომიკურ და სოციალურ საკითხთა ევროპული კომიტეტი შედგება 353 წევრისგან. წევრი სახელმწიფოები კომიტეტის წევრების კანდიდატებს ნომენკლატურას დასანიშნად წარუდგენენ ევროკავშირის საბჭოს, კომიტეტის წევრები ინიშნებიან 5 წლის ვადით, როგორც წესი კომიტეტის 1/3 დამსაქმებელითა ორგანიზაციას, 1/3 დასაქმებულთა ორგანიზაციებს, 1/3 სხვადასხვა კავშირებს (მაგ. მომხმარებელთა ჯგუფი ფერმერები და ა.შ.) წარმომადგენლებისაგან შედგება. ეკონომიკურ და სოციალურ საკითხთა კომიტეტი ირჩევს პრეზიდენტსა 2 ვიცე-პრეზიდენტს. კომიტეტის პლენარული სესიები წელიწადში 9-ჯერ იმართება ბრიუსელში, გადაწყვეტილებას იღებს კენჭისყრაში მონაწილე წევრთა ხმათა უმრავლესობით. კომიტეტის პლენარული სესიების ორგანიზებას ახორციელებენ ერთი მხრივ, თემატური სექციები, რომელთაც კომიტეტის წევრები ხელმძღვანელობენ და მეორე მხრივ, კომიტეტის გენერალური სამდივნო, რომელიც განთავსებულია ბრიუსელში.

ევროკავშირში სოციალური უსაფრთხოების კიდევ ერთი ბერკეტი "სოციალური დიალოგი" იგი გულისხმობს პარტნიორი სოციალური ორგანიზაციების მოლაპარაკების პროცესს, რომელიც ამ ორგანიზაციებში გაწევრიანებული წევრების ინტერესების დაცვას ემსახურება. სოციალურ დიალოგს მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს ევროპული სოციალური პოლიტიკის განვითარებაში, სოციალური დიალოგის დაწყების თაობაზე გადაწყვეტილება ევროპულმა კომისიამ 1985 წელს მიიღო. კავშირის ინტეგრაციის შემდგომ ეტაპზე დიალოგს განსაკუთრებული ყურადღება ენიჭებოდა, იგი როგორც პარტნიორი სოციალური ორგანიზაციის ფორუმი აისახა ერთიან ევროპულ აქტში, მასტრიხტის ხელშეკრულების დანართში, ამსტერდამისა და ლისაბონის ხელშეკრულებებში. ევროპული სოციალური დიალოგი მასში მონაწილე სუბიექტებისა და განსახილველი საკითხებიდან გამომდინარე შეიძლება იყოს: 1) სამმხრივი – მოლაპარაკების პროცესში მონაწილეობენ ევროკავშირის ინსტიტუტები და პარტნიორი სოციალური ორგანიზაციები. 2) ორმხრივი –

მოლაპარაკებაში დასაქმებულთა გაერთიანებებისა და სავაჭრო კავშირების შორის ხორციელდება, 3) ფართო-დიალოგი შეეხება ზოგად-ეკონომიკურ საკითხებს, 4) სექტორული-პარტნიორი სოციალური ორგანიზაციები სექტორული დიალოგის კომიტეტში იმ სფეროსთან დაკავშირებულ საკითხებს განიხილავენ, რომელშიც ისინი საქმიანობას ახორციელებენ. სოციალური ინოვაციები – სოციალური პრობლემების ახალი შემოქმედებითი და ორგანიზაციული გადაწყვეტაა, სოციალურ ინოვაციებს ანხორციელებენ ისეთ სფეროში როგორცაა: დასაქმება რომელზეც დაკავშირებულია შემოსავლები და მოსახლეობის ცხოვრების დონე, ჯანდაცვა, სოციალური დაცვა, საზოგადოებრივი ცხოვრება, განათლება, კულტურა, დასვენება, გარემოს დაცვა, სოციალური ინოვაციები შეიძლება იყოს ინდივიდუალური, საზოგადოებრივი ლოკალური ან გლობალური. ლოკალური-ინდივიდუალური ინოვაციების მაგალითები ბევრია. მაგალითად "სკოლის ბაბუები". 1995 წლის ეს ინოვაცია დაიბადა, შვედეთის ერთ-ერთ პატარა ქალაქში. 50-60 წლის ასაკის 1000-ზე მეტმა უმუშევარმა მამაკაცმა გადაწყვიტეს სკოლაში სიარული, არა როგორც მოსწავლეებმა, არამედ როგორც სკოლის ბაბუებმა. სკოლის ბაბუები ეხმარებოდნენ როგორც მასწავლებლებს ისე მოსწავლეებს სკოლაში წარმოშობილი კონფლიქტების აღმოფხვრაში, "სკოლის ბაბუების" წარმატების საფუძველი გახდა მასწავლებლების, დირექტორებისა და დასაქმების ცენტრის მხარდაჭერა, ასევე ბაბუებმა თავი იგრძნეს როგორც საზოგადოებისათვის საჭირო ადამიანებმა. სკოლაში კი უკეთესი პირობები შეიქმნა. ამჟამად ქვეყანაში ფუნქციონირებს 10 რეგიონული ოფისი. 2009 წელს რიგის (ლატვია) ერთ-ერთ რაიონში რომელიც იმ დროს კრიმინალურ რაიონად ითვლებოდა, შეიქმნა "ახალგაზრდული მოძრაობა". ამჟამად ეს რაიონი ცნობილია თავისი სპორტული მიღწევებითა და ღონისძიებებით. პროექტს საფუძვლად დაედო ჯანსაღი ცხოვრების წესი. მოძრაობა მთელი ლატვიის მასშტაბით ატარებს ქუჩების შეფასებას, ფესტივალებსა და კონცერტებს. შეჯიბრებები ეწყობა გუნდური პრინციპით. ეს მოძრაობა აგრეთვე დაკავებულია ქველმოქმედებით. გაჭირვებულებისთვის აგროვებენ ტანსაცმელსა და სხვა საჭირო ნივთებს. ამ მოძრაობის საუკეთესო წევრებს აგზავნიან ნიუ-

იორკში, სადაც მათთვის იღებენ კლიპებს, სიკეთე და ქველმოქმედება ნამდვილად გადამდებია. "ლამის ბუთა" ასოციაცია შეიქმნა 1998 წელს დანიაში, მასში მონაწილეობენ მოქალაქეები ნებაყოფლობის საფუძველზე. თანამშრომლობენ ადგილობრივ მთავრობასთან. მათი საქმიანობის სფეროა: პოლიცია, საქმიანი წრეები, განათლება, ერთმა-ერთმა სტუდენტმა შექმნა "რობოტი ადვოკატი" იმ გაჭირვებული ადამიანებისთვის რომლებსაც არ შეუძლიათ რეალური ადვოკატის დაქირავება. შეიქმნა ასევე "საცხოვრებელი უსახლკაროთათვის", ეს არის კარავი რომელიც იცავს მობინადრებს ნებისმიერ ამინდში. საცხოვრებლის ერთი ნაწილი დაფარულია მასალით, რომელიც ინარჩუნებს სიგრილეს, მეორე ნაწილი კი დაფარულია მასალით, რომელიც ინარჩუნებს სითბოს. სოციალური ინოვაციაა "ნდობის ტელეფონი" რომელიც შეიქმნა და ფართოდ გავრცელდა, მათი დახმარებით მთელ მსოფლიოში მილიონობით სტრესულ მდგომარეობაში მყოფი ადამიანი იღებს ანონიმურ ფსიქოლოგიურ დახმარებას, ასევე გაჩნდა სოციალური თავშესაფრები.

ევროკავშირში სოციალური უსაფრთხოების ერთ-ერთი ბერკეტია მუშათა ძირითადი სოციალური უფლებების შესახებ გაერთიანების ქარტია, მუშათა ძირითადი სოციალური უფლებების შესახებ გაერთიანების ქარტიის კავშირის წევრმა სახელმწიფოებმა (გამონაკლისია გაერთიანებული სამეფო) ხელი მოაწერეს 1989 წელს, ქარტიის მიზნებს "სოციალური პოლიტიკის შესახებ" მასტრიხტის ხელშეკრულების პროტოკოლი შეიცავდა, რომლის განხორციელების სურვილი ამსტერდამის ხელშეკრულებით ხელახლა გაცხადდა. ევროკავშირის ფუნქციონირების შესახებ ხელშეკრულების 151-ე მუხლი აღიარებს მუშათა ძირითადი სოციალური უფლებების შესახებ გაერთიანების ქარტიის (მიღებულია 1961 წლის ევროპის საბჭოს ფარგლებში) მნიშვნელობას და მიზნად ისახავს ამ სამართლებრივ დოკუმენტებში დეკლარირებულ უფლებებისა და თავისუფლების ეფექტიან რეალიზაციას. მუშათა ძირითადი სოციალური უფლებების შესახებ გაერთიანების ქარტია ითვალისწინებს მუშათა გადაადგილებას თავისუფლებას, დასაქმებისა და ანაზღაურების უფლებას. საცხოვრებელი და სამუშაო პირობების გაუმჯობესების უფლებას, სოციალურ დაცვას, გაერთიანებისა და კოლექტიური

ვაჭრობის უფლებას, პროფესიული განვითარების უფლებას, მამაკაცისა და ქალისადმი თანასწორად მოპყრობის პრინციპს, ჯანმრთელობის დაცვას და უსაფრთხო სამუშაო გარემოს უფლებას.

ევროკავშირში უზრუნველყოფილია მუშახელის გადაადგილების თავისუფლება, კავშირის სამართლის მიზნებისათვის "მუშახელი" არის პირი რომელიც ახორციელებს ეკონომიკური ღირებულების საქმიანობას სხვა პირისთვის. ამ პირის მითითებას საფუძველზე და სანაცვლოდ იღებს ანაზღაურებას. აკრძალულია ევროკავშირის წევრ სახელმწიფოთა მიერ დასაქმებასთან, ანაზღაურებასთან და სამუშაო პირობებთან მიმართებაში მუშახელის მოქალაქეობრივი ნიშნით პირდაპირი თუ არაპირდაპირი დისკრიმინაცია, ევროკავშირის მიგრანტი მუშახელი უფლებამოსილია. დაიკავოს შეთავაზებული ვაკანტური ადგილი, ამ მიზნით თავისუფლად გადაადგილდეს ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების ტერიტორიაზე. დასაქმების მიზნით წევრი სახელმწიფოს კანონმდებლობის მომთხოვნების გათვალისწინებით დარჩეს ამ სახელმწიფოში; წევრ სახელმწიფოში შრომითი ურთიერთობების დასრულების შემდეგ, გარკვეული პირობების დაცვით დარჩეს ამ სახელმწიფოში მიგრანტი მუშახელისა და წევრი სახელმწიფოს მოქალაქის მიმართ მოქმედების დასაქმების ერთი და იგივე პირობები დაუშვებელია. ეროვნული ქვოტების განსაზღვრა, რომლებიც წევრ სახელმწიფოში დაადგენს ევროკავშირის მიგრანტი მუშახელის რაოდენობის ლიმიტს; მუშახელის რეგისტრაციის, რეკრუტარების სპეციალური პროცედურის დადგენას და ა.შ.

ევროკავშირის მიგრანტი მუშახელი და მისი ოჯახი სარგებლობს იმავე სოციალური და საგადასახადო შეღავათებით, როგორც წევრ სახელმწიფოთა მოქალაქეები.

აქვე უნდა შევხვით ისეთ მნიშვნელოვან საკითხს როგორცაა თანაბარი ანაზღაურების პრინციპი მამაკაცისა და ქალის მიერ გაწეული იდენტური სამუშაოსათვის. ქალთა მიმართ დისკრედიტაცია უძველესი პრობლემაა. ქალებს საუკუნეების მანძილზე უწევდათ თავიანთი უფლებებისათვის ბრძოლა. მათ არჩევნებში მონაწილეობის უფლებაც კი არ ჰქონდათ. მიუხედავად იმისა, რომ XXI საუკუნეში ვცხოვრობთ, მსოფლიოს მასშ-



ტაბით თუ შევხედათ (გლობალიზაციის პირობებში) ქალთა უფლებები მაინც დღემდე არ არის სათანადოდ დაცული. ქალების უფლებები ისევ ირღვევა, ისინი ხშირად არიან დისკრედიტაციისა და ძალადობის მსხვერპლი. ჩვენი გენიალური პოეტი შოთა რუსთაველი ჯერ კიდევ XII საუკუნეში თავის უკვდავ ნაწარმოებში "ვეფხისტყაოსანი" წერდა: "ლეკვი ლომისა სწორია ძუ იყოს თუნდა ხვადია". ასევე საქართველოს XII საუკუნეში მართავდა თამარ მეფე. მეფე-ქალი და არა დედოფალი. მაშინ ჩვენმა ქვეყანამ აყვავების ზენიტს მიაღწია. ქალები უვლიან ოჯახს.; ზრდიან შვილებს, ბევრი მათგანი პარალელურად სწავლობს, ან მუშაობს. ქალებს "ორ ფრონტზე" უწევთ საქმიანობა. ამიტომ ქალები ორმაგად დასაფასებელი არსებები არიან.

ევროკავშირში მამაკაცისა და ქალის მიერ გაწეული იდენტური სამუშაოსთვის თანაბარი ანაზღაურების უზრუნველყოფის შესახებ დებულებებს, ჯერ კიდევ ევროპულ ეკონომიკური გაერთიანების დაფუძნების შესახებ ხელშეკრულება ითვალისწინებდა. 1975 წლიდან ევროპის კავშირის ფარგლებში მიღებული იქნა დირექტივათა სერია, რომლებმაც მნიშვნელოვნად გაფართოვა მამაკაცისა და ქალის მიმართ თანასწორად მოპყრობის პრინციპი, ევროპული კავშირის სამართლიანობა მოიცავს სამუშაო პირობებთან, გადამზადებასთან, დაწინაურებასთან, სოციალურ უსაფრთხოებასთან, ორსულთა და მშობელთა უფლებების დაცვასთან დაკავშირებული საკითხები). ამსტერდამის ხელშეკრულებით მამაკაცისა და ქალის მიმართ თანასწორად მოპყრობის პრინციპი ინტეგრირებული იქნა გაერთიანების პოლიტიკის ყველა სფეროში, განხორციელდა მისი კავშირის ერთ-ერთ ძირითად უფლებად აღიარება. ამ პრინციპთან მიმართებაში ნიცას ხელშეკრულება წევრ სახელმწიფოებს აკისრებდა პოზიტიურ ვალდებულებებს. ევროპული კავშირის შესახებ ხელშეკრულების მე-2 მუხლის მიხედვით, თანასწორობის პრინციპი (იგულისხმება მამაკაცისა და ქალის მიმართ თანასწორად მოპყრობის პრინციპიც) ევროკავშირის მთავარ, წევრი სახელმწიფოების საერთო ღირებულებად არის გამოცხადებული, თანასწორობის ზოგადი პრინციპი აღიარებულია ევროკავშირის ძირითად უფლებათა ქარტიით. 2006 წელს ევროპული პარლამენტისა და ევროპული კავშირის საბჭოს მიერ მიღებული რე-

გულაციით დაფუძნდა გენდერული თანასწორობის ევროპული ინსტიტუტი. ევროკავშირში თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფის პრინციპი მოიცავს 2 ელემენტს ესენია: 1) ადამიანებისადმი თანასწორად მოპყრობის პრინციპი, 2) მამაკაცისა და ქალის თანასწორობის პრინციპი., ევროკავშირის ძირითად უფლებათა ქარტიის ერთ-მერთი თავში – "თანასწორობა" შედის: კანონის წინაშე თანასწორობა, დისკრიმინაციის აკრძალვა, ქალისა და მამაკაცის თანასწორობა, აგრეთვე ბავშვის უფლებები, მოხუცთა უფლებები, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების ინტეგრაცია, კულტურული, რელიგიური ლონგვისტური მრავალფეროვნება.

თანამედროვე მსოფლიოში ფართოდ ინერგება ჯანდაცვის სისტემის ეფექტურად ფუნქციონირების ინოვაციური მექანიზმები, ამ მხრივ განსაკუთრებით აქტუალურია ჯანდაცვის სექტორში სახელმწიფო-კერძო პარტნიორობის მოდელის მსოფლიო გამოცდილება. აღსანიშნავია, რომ ბევრ ქვეყანაში სამედიცინო ორგანიზაციების მესაკუთრეობის სხვადასხვა ფორმაა. ჯანდაცვა ძალიან დიდი და უმნიშვნელოვანესი სოციალური ინსტიტუტია. მისი მიზანია ცალკეული ადამიანისა და მთელი მოსახლეობისთვის ჯანმრთელობის შენარჩუნება, ჯანდაცვის ამოცანებია: ჯანმრთელობის დაცვა და გაუმჯობესება, დაავადებათა რაოდენობის შემცირება და პროფილაქტიკა, ეპიდემიებთან ბრძოლა, ვაქცინაცია, სამედიცინო და სოციალური დახმარების გაწევა, ჯანსაღი ცხოვრების წესის დაცვა და დანერგვა და ა.შ. ჯანდაცვაში არსებობს განსხვავებული ფორმები: სახელმწიფო სისტემა (იტალია, ნორვეგია, შვედეთი, საბერძნეთი, დანია და ა.შ.). სადაზღვევო სისტემას (საფრანგეთი, გერმანია, ბელგია, ჰოლანდია და ა.შ.). სადაზღვევო სისტემის ფუძემდებლად ბის მარკი ითვლება, გერმანიაში ჯერ კიდევ XIX საუკუნეში იქმნებოდა სოციალური სადაზღვევო ფონდები, სადაც ფინანსდებოდა მუშების მკურნალობა გაიცემოდა დახმარებები უმუშევართათვის, პენსიები და ა.შ. მთელ ევროკავშირში გერმანია ყოველთვის იყო ყველაზე მოწინავე ქვეყანა, ამიტომაც მას "ევროპის ძრავას" უწოდებენ, ევროკავშირის პოლიტიკა ჯანმრთელობის დაცვის სფეროში მიზნად ისახავს: 1) წევრ სახელმწიფოთა თანამშრომლობის ხელშეწყობას, 2) წევრ სახელმწიფოთა მოქმე-

დებებს მხარდაჭერას, 3) დაავადებების გამომწვევი მიზეზებსა და მათთან ბრძოლის თაობაზე კვლევების განხორციელების მხარდაჭერას, 4) ჯანმრთელობის დაცვის სფეროსთან დაკავშირებით ინფორმაციის გავრცელების ხელშეწყობის, 5) ჯანმრთელობის დაცვის სფეროში მომსახურების სტანდარტების ამაღლების ხელშეწყობას, 6) სამედიცინო პრეპარატების, პროდუქტების, ინსტრუმენტების გამოყენების სტანდარტების დადგენას და ა.შ. ევროკავშირი ვალდებულია, კავშირის ნებისმიერ სფეროში პოლიტიკის შემუშავებისა და მოქმედებების განხორციელების პროცესში მხედველობაში მიიღოს ადამიანის ჯანმრთელობის დაცვასთან დაკავშირებული მოთხოვნები. ევროკავშირში (ასევე როგორც მსოფლიოში) ფართოდ ინერგება ჯანდაცვის სისტემის ეფექტურად ფუნქციონირების ინოვაციური მექანიზმი. ამ მხრივ განსაკუთრებით აქტუალურია ჯანდაცვის სექტორში სახელმწიფო-კერძო პარტნიორობის მოდელის მსოფლიო გამოცდილება.

სოციალური უთანასწორობის მაღალი დონის პირობებში განათლებაზე ხელმისაწვდომობის ხარისხი დაბალია, რაც ეკონომიკური ზრდის ტემპის მნიშვნელოვნად ზღუდავს. XXI საუკუნეს მოიხსენიებენ ეპითეტებით: განათლების საუკუნე, ცოდნის საუკუნე, ინოვაციების საუკუნე, კეთილდღეობის საუკუნე და ა.შ. კაცობრიობამ საუკუნეების მანძილზე დააგროვა ცოდნა და გამოცდილება, თანამედროვე ცივილიზებული მსოფლიო ბევრად განათლებულია წინა საუკუნეებთან შედარებით. მეცნიერულ-ტექნიკურმა პროგრესმა თითქმის მწვერვალებს მიაღწია, ბოლო ათწლეულებში ინოვაციები ნახტომისებურად სწრაფად ვითარდება, გლობალიზაცია ხელს უწყობს ყველა ინფორმაციის ელვისებურ გავრცელებას მსოფლიო მასშტაბით. თუმცა რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, თანამედროვე მსოფლიოში ჯერ კიდევ არსებობს ქვეყნები, სადაც განათლების დონე ძალიან დაბალია. რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის შეფასებით, დასავლეთ აფრიკაში სწავლების ხანგრძლივობა შეადგენს მხოლოდ 2 წელიწადს, ტროპიკულ აფრიკაში – 3 წელიწადს. აღმოსავლეთ აფრიკაში დაახლოებით – 4 წელიწადს. ე.ი. მსოფლიოში ჯერ კიდევ არსებობს წერა-კითხვის უცოდინართა ლიკვიდაციის პრობლემა. აფრიკასა და სამხრეთ აზიაში წერა-

კითხვის უცოდინართა რაოდენობა 40%-ს შეადგენს, რაც საკმაოდ დიდი ციფრია. წინა საუკუნეებში არსებობდა წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებები. ევროპა ყოველთვის გამოირჩეოდა თავისი პროგრესული ხედვებით. ისტორიულად ევროპელი მისიონერები მოგზაურობდნენ და სხვადასხვა ჩამორჩენილ ქვეყნებში შექონდათ განათლება და პროგრესი, ევროპა ამიტომაც არის მიჩნეული, როგორც ცივილიზაციის აკვანი. განვითარების, პროგრესის კულტურის, განათლების სიმბოლო, ქრისტიანული ევროპა თავისი ჰუმანიზმითა და ქრისტიანული მორალით ყოველთვის იყო მსოფლიოსთვის ტონის მიმცემი. დიდმა სულხან-საბა ორბელიანმა ჩვენი ქვეყნის ძნელბედობის ჟამს დახმარების მიზნით ამიტომაც მიაშურა საფრანგეთს. რადგან საქართველო საერთო ღირებულებებით ყოველთვის გრძნობდა სულიერ ნათესაობას ევროპასთან. ყველა ქვეყანას თავისი განათლების სისტემა გააჩნია. განათლების ევროპული პოლიტიკა. მსოფლიოში ყველაზე საუკეთესოაა აღიარებული. ევროკავშირი ხელს უწყობდა წევრ სახელმწიფოებში განათლების ხარისხის განვითარებას, იგი უფლებამოსილია მხარი დაუჭიროს, შეავსოს ამ სფეროში წევრ სახელმწიფოთა მოქმედებები, თუმცა მან პატივი უნდა სცეს ერთი მხრივ მათ მიდგომას საგანმანათლებლო სისტემის ორგანიზაციებთან, სწავლის მეთოდების შემუშავებასთან, სასწავლო პროგრამების შედგენასთან მიმართებაში და მეორე მხრივ წევრ სახელმწიფოთა კულტურულ და ლონგვისტურ მრავალფეროვნებას.

ევროკავშირის მოქმედებები ამ მიმართულებით მიზნად ისახავს: 1) განათლების სფეროში ევროპული განზომილების განვითარებას; 2) სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის მობილობის ხელშეწყობას. 3) საგანმანათლებლო დაწესებულებებს შორის თანამშრომლობის ხელშეწყობას. 4) წევრ სახელმწიფოებს შორის განათლების სფეროსთან დაკავშირებული ინფორმაციისა და გამოცდილების გაცვლის ხელშეწყობას; 5) დისტანციური განათლების განვითარებას.

ევროკავშირის ინსტიტუტებისა და წევრ სახელმწიფოებს შორის განათლების სფეროში თანამშრომლობა "განათლებისა და ტრენინგის სფეროში ევროპული კოოპერაციის სტრატეგიულ ჩარჩოს" ეფუძნება, მნიშვნელოვანია რომ ევროკავშირი ახორციე-

ლებს უწყვეტი საგანმანათლებლო პროგრამების მხარდაჭერას, რომელიც იყოფა 4 ქვეპროგრამად, ესენია: 1) სკოლამდელი და ზოგადი განათლება (ე.წ. "კომენიუსი"), 2) უმაღლესი განათლება (ე.წ. "ერასმუსი") 3) პროფესიული კვალიფიკაციის ამაღლება და ტრენინგი, 4) ზრდასრულთა განათლება.

1998 წელს ხელი მოეწერა "სორბონის დეკლარაციას" რომლის მთავარი მიზანი იყო ევროპის უმაღლესი განათლების ერთიანი ღია სივრცის შექმნა, "სორბონის დეკლარაციის" შემდეგ 1999 წელს მიიღეს საყოველთაოდ ცნობილი "ბოლონიის დეკლარაცია" ბოლონიის პროცესს მიერთებულია ბევრი ქვეყანა, როგორც ევროკავშირის, ისე არა ევროკავშირის ქვეყნები. საქართველო 2005 წელს მიუერთდა ამ პროცესს, მიუხედავად იმისა რომ ევროკავშირი უდიდეს ყურადღებას უთმობს განათლების სფეროს, ევროკავშირის წევრი ქვეყნები თავის სუვერენულ ფარგლებში ანვითარებენ და ხვეწენ ეროვნული განათლების სისტემას. ამ მხრივ გამოირჩევა ფინეთი. იგი პატარა ქვეყანაა, მაგრამ მსოფლიოში ერთ-ერთ პირველ ადგილზეა განათლების ხარისხის მხრივ. მსოფლიოში ფინეთს ყველაზე საუკეთესო საგანმანათლებლო სისტემა გააჩნია. ფინელი ახალგაზრდები ყველაზე წიგნიერები არიან. წიგნი რომ ცოდნის წყაროა, ფინელებმა ეს ძალიან კარგად იცინ, ფინეთში ჯერ კიდევ ძალიან პატარა ბავშვს ფეხის ადგამდე, სათამაშოებთან ერთად აძლევენ წიგნებს. აყვარებენ და აჩვენებენ წიგნებთან ურთიერთობას და არა სმარტფონებთან და აიფონებთან, როგორც სხვა მრავალ ქვეყანაში, ინტერნეტი იძლევა ინფორმაციას, ცოდნას კი იძლევა წიგნი. ფინურ სკოლებში მოსწავლეებს ეკრძალებათ გაკვეთილზე მობილური ტელეფონით ყოფნა. ფინური სასწავლო სისტემა არაა სტრესული და გააჩნია სხვადასხვა ტიპის სწავლების მეთოდები, სწავლის 7 წლის ასაკიდან იწყებენ და 16 წლის ასაკში ამთავრებენ. ფინელი ბავშვები არ არიან ვალდებულნი დაემორჩილონ წინასწარ განსაზღვრულ რეგულაციებს, მათ აქვთ უფლება შეადგინონ საკუთარი სასწავლო გეგმა, მოსწავლეების შედარება აკრძალულია, ყველა მოსწავლე ერთნაირად ითვლება "განსაკუთრებულად" და სწავლობენ ერთად, ფინეთში არ არის ელიტური სკოლები. მცირეა კერძო სკოლები. მოსწავლის მშობლების პროფესია კონფიდენციალურია. ფინურ სკოლებში გა-

მოცდები არ ტარდება. მეშვიდე კლასამდე გამოიყენება სიტყვიერი შეფასებები, საშუალო, დამაკმაყოფილებელი, კარგი და ძალიან კარგი. არსებობს მხოლოდ აუცილებელი ტესტი, საშუალო სკოლის დამთავრებისას. გაკვეთილების გაცდენის გამო შეიძლება მეშვიდე კლასის მოსწავლე მეორე კლასის გაკვეთილზე დასვან, ფინელი მასწავლებლები ძალიან კვალიფიციურები არიან. მათი ხელფასი 3000-დან 5000 ევრომდეა. პედაგოგების მხოლოდ ერთწლიანი კონტრაქტი უფორმდებათ, გაგრძელების პერსპექტივით. ფინეთის განათლების მოდელი არა მართო ევროკავშირში, მსოფლიოში უნიკალურია.

ყოფილმა პოსტკომუნისტურმა ქვეყანამ ესტონეთმა ევროკავშირისა და ევროპის რეკონსტრუქციის განვითარების ბანკის მხარდაჭერით დაამუშავა ინოვაციური პოლიტიკის კონცეფცია და სტრატეგია, რომელიც ითვალისწინებდა "ესტონური-ცოდნის ეკონომიკაზე" გადასვლას ეტაპობრივად. პირველი ეტაპი მოიცავდა 2000-2006 წ.წ. მეორე ეტაპი 2007-2013 წ.წ. მესამე ეტაპი 2014-2020 წ.წ. ესტონეთი ძალიან პატარა ქვეყანაა, თუმცა პოსტკომუნისტურ ქვეყნებში ყოველთვის გამოირჩეოდა ინოვაციური პოლიტიკით განათლების დონის რეიტინგებითაც პოსტკომუნისტურ ქვეყნებს შორის (რომლებიც უკვე ევროკავშირის წევრები არიან) ერთ-ერთ პირველ ადგილზეა, "განათლება ყველაზე ეფექტური იარაღია მსოფლიოს შესაცვლელად" ამბობდა ნელსონ მანდელია.

პანდემიამ კოვიდ-19-მა ძალიან დიდი ზარალი მოუტანა მსოფლიოს დაიღუპა მილიონობით ადამიანი. დაზარალდა ეკონომიკა, გაეროს პრეზიდენტმა აღნიშნა, რომ მსოფლიო ეკონომიკას მეორე მსოფლიო ომის შემდგომ არ მიუღია ასეთი დიდი ზარალი. ევროპის სოციალური ფონდი (ESF) შეიქმნა 1957 წელს რომი დამფუძნებელი ხელშეკრულების შესაბამისად, ის არის უძველესი ევროპული სტრუქტურული და საინვესტიციო ფონდი, ევროპის სოციალური ფონდი იმართება შვიდწლიანი პროგრამირების ციკლის საფუძველზე. ევროპარლამენტმა პანდემიის კრიზისის შემდეგ ევროკავშირში უმუშევრობისა და სიღარიბის წინააღმდეგ ბრძოლის ახალი წესრიგი მიიღო. განახლებული და გამარტივებული ევროპული სოციალური ფონდი, რომელიც უკვე ცნობილია როგორც ევროპის სოციალური

ფონდი + (ESF+). იგი გამიზნული იქნება ახალგაზრდების, უმუშევრების, ბავშვების, მოხუცების მხარდასაჭერად. 2021-2027 წლისთვის 88 მილიარდი ევროს ბიუჯეტით ფონდი დაეხმარება ევროკავშირის ქვეყნებს, უზრუნველყონ ბავშვების უფასო განათლება, კვება, ღირსეული საცხოვრებელი პირობები, ხელის შეწყობის უმუშევართა დასაქმების, სტაჟირების ტრენინგების ახალგაზრდებისთვის. ყველაზე გაჭირვებულ ადამიანებს გაუწევს დახმარებას საკვებსა და ძირითადი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებაში.

ევროკავშირში გაწევრიანება ბევრი სახელმწიფოს სურვილია და შეიძლება ითქვას ოცნებაც. რადგან ევროკავშირი აღიქმება როგორც სტაბილურობის, კეთილდღეობის, პროგრესის კულტურის ადამიანთა თავისუფლების სიმბოლო. ევროკავშირში გაწევრიანება ეკონომიკური და სოციალური უსაფრთხოების გარანტიებს გულისხმობს. თუმცა ამ დიდ "ევროპულ ოჯახში" (როგორც მას უწოდებენ) შესვლა ადვილი არ არის, 1957 წლის რომის ხელშეკრულებით, რომელსაც 6-მა სახელმწიფომ (საფრანგეთი, გერმანია, იტალია, ნიდერლანდები, ბელგია, ლუქსემბურგი) მოაწერა ხელი, ევროკავშირი ნელ-ნელა ეტაპობრივად ფართოვდებოდა, 1973 წელს ევროკავშირს შეუერთდა დიდი ბრიტანეთი, დანია, ირლანდია, 1981 წელს – საბერძნეთი 1986 წელს – ესპანეთი და პორტუგალია. 1995 წელს-ავსტრია, ფინეთი და შვედეთი. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ყოფილმა პოსტკომუნისტურმა ქვეყნებმა მოინდომეს ევროკავშირში გაწევრიანება, რამაც აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებში. მათში შემფოთებას იწვევდა დიდი რაოდენობით შედარებით ღარიბი, შედარებით არასტაბილური ახალი წევრების მიღება, რომელთა მოსახლეობაც დასავლეთს მიაწყდებოდა სამუშაოს საძიებლად. აღმოსავლეთის გაფართოების პროცესი ძალიან დიდხანს გაგრძელდა. საბოლოოდ 2004 წელს ევროკავშირში გაწევრიანდნენ – ლატვია, ლიტვა, ესტონეთი, პოლონეთი, ჩეხეთი, უნგრეთი, სლოვაკეთი, სლოვენია. ამავე წელს გაწევრიანდნენ მალტა და კვიპროსი. ეს იყო ევროკავშირის ყველაზე დიდი გაფართოება, აღმოსავლეთ ევროპის მხრიდან. ამით ევროკავშირმა დაამტკიცა რომ მას არ ეშინია პრობლემების და ეკონომიკურად ჩამორჩენილი ქვეყნების გადაყვა-

ნაც შეუძლია თავის რელსებზე. მოგვიანებით 2007 წელს გაწვევრიანდნენ ბულგარეთი და რუმინეთი. ევროკავშირის ყველაზე ბოლო წევრი გახდა ხორვატია, რომელიც 2013 წელს შეუერთდა ევროკავშირს. ამით დამთავრდა ევროკავშირის გაფართოება.

ამჟამად ევროკავშირი 27 სახელმწიფოს აერთიანებს (დიდმა ბრიტანეთმა დატოვა ევროკავშირი) ევროკავშირმა 11 პოსტკომუნისტური ქვეყანა გააწევრიანა. ევროკავშირში გაწევრიანების მსურველმა სახელმწიფომ, ჯერ უნდა მოიპოვოს კანდიდატის სტატუსი, რაც არ ნიშნავს იმას რომ იგი ავტომატურად გაწევრიანდება. თურქეთმა 1987 წელს გააკეთა განაცხადი კანდიდატის სტატუსზე, მაგრამ ევროკავშირმა კანდიდატად მხოლოდ 1999 წელს აღიარა უკვე მესამე ათწლეულია თურქეთი ევროკავშირის კანდიდატის სტატუსს ინარჩუნებს. მისი გაწევრიანება ჯერ კიდევ ბუნდოვანია. ევროკავშირში გაწევრიანების საკითხები ე.წ. "კოპენჰაგენის კრიტერიუმებით" რეგულირდება, სახელმწიფომ უნდა დააკმაყოფილოს ორი წინა პირობა: 1) გეოგრაფიული თვალსაზრისით იგი უნდა იყოს ევროპული სახელმწიფო 2) აღიარებდეს, იცავდეს წევრი, სახელმწიფოების საერთო ღირებულებებს, როგორცაა: ადამიანის ღირსება, თავისუფლება, დემოკრატია, სამართლის უზენაესობა, ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების (მათ შორის უმცირესობების) პატივისცემა.

ევროკავშირში გაწევრიანების სურვილის მქონე სახელმწიფომ განცხადებით უნდა მიმართოს ევროკავშირის საბჭოს, ევროპარლამენტს და ეროვნულ პარლამენტებს, სადაც გამოთქმული იქნება კავშირში გაწევრიანების სურვილი, ისინი ერთმანეთთან მოლაპარაკების საფუძველზე იღებენ გადაწყვეტილებას, ერთხმად, ევროკავშირში გაწევრიანების მსურველის ახელმწიფო უნდა აკმაყოფილებდეს პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სამართლებრივ და გეოგრაფიულ კრიტერიუმებს. 1) პოლიტიკური კრიტერიუმი გულისხმობს, გაწევრიანების სურვილის მქონე სახელმწიფოს მიერ დემოკრატიის, სამართლის უზენაესობისა და ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვასა და პატივისცემას. 2) ეკონომიკური კრიტერიუმის თანახმად, სახელმწიფოში უნდა არსებობდეს ფუნქციონირებადი საბაზრო ეკონომიკა, რომელსაც უნდა გააჩნდეს კავშირის სივრცეში მოქმედი კონკურენ-



ციის წარმატებით დაძლევისა და საბაზრო ძალების "ზეწოლაზე" გამკლავების უნარი. 3) სამართლებრივი კრიტერიუმის თანახმად, ევროკავშირში გაწევრიანების სურვილის მქონე სახელმწიფო აღიარებული უნდა იყოს, როგორც საერთაშორისო სამართლის სუბიექტი, იგი თანხმობას უნდა აცხადებდეს ეროვნული სამართლებრივი წესრიგის, ევროკავშირის სამართლებრივ სისტემასთან ჰარმონიზაციაზე, კავშირის სამართლის სრულ მოქმედებასა და გამოყენებაზე. გაწევრიანების სურვილის მქონე სახელმწიფო უნდა ფლობდეს წევრობიდან გამომდინარე ვალდებულებების შესრულების უნარს. მისი მოქმედებები უნდა ემსახურებოდეს პოლიტიკური, ეკონომიკური და მონეტარული კავშირის მიზნების ერთგულებასა და განუხრელად დაცვას. 4) გეოგრაფიული კრიტერიუმის მიხედვით, ევროკავშირში შესაძლებელია გაწევრიანდეს სახელმწიფო, რომელიც მდებარეობს ევროპის კონტინენტზე. (1987 წელს ამ საფუძვლით ევროკავშირში გაწევრიანებაზე უარი ეთქვა მაროკოს) გაფართოების პროცესს თავისი რუტინული პროცედურა აქვს განაცხადის მიღებიდან დაწყებული საბოლოო შედეგებამდე. ზევით მოვიყვანეთ თურქეთის მაგალითი. ევროკავშირში გაწევრიანება ყველაზე ადვილად მოახერხა გერმანიის დემოკრატიულმა რესპუბლიკამ (გდრ-GDR) ასე უწოდებდნენ საბჭოთა კავშირის კონტროლის ქვეშ მოქცეულ გერმანიის ნაწილს, (ბერლინის კედლის დანგრევა კი დიდი ისტორიული მოვლენა იყო. როგორც საბჭოთა კავშირის დაშლა), 1990 წელს გდრ გერმანიის ფედერაციული ნაწილი გახდა და ევროკავშირმა საჭირო ტექნიკური დაზუსტებები უსწრაფესად განახორციელა. რაც შეეხება ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის დანარჩენ ქვეყნებს ევროკომისიის ხელმძღვანელობით გაძლიერებული დახმარებისა და განვითარებისკენ მიმართული პროგრამები შეიმუშავეს. ისეთი პროექტები როგორც იყო მაგალითად "პოლონეთი და უნგრეთი: დახმარება ეკონომიკის რეკონსტრუქციისთვის (პუდერ - PHARE)", ითვალისწინებდა ეკონომიკური და პოლიტიკური რეკონსტრუქციის პროცესში დახმარებას ახლად ფეხადგმული დემოკრატიებისთვის და 1990 წლიდან 2003 წლამდე, სანამ ეს პროექტი დასრულდებოდა მასზე წელიწადში დაახლოებით 600 მილიონი ევრო იხარჯებოდა, მართალია ასეთ დახმარებას მიესალმებოდ-

ნენ, მაგრამ ის ევროკავშირის წევრ-სახელმწიფოებს შორის აზრ-თა სხვადასხვაობის მიზეზი გახდა, მათ გაორებული დამოკი-დებულება ქონდათ გაფართოებისადმი, მიუხედავად ამისა 2004 წელს მოხდა ევროკავშირის ყველაზე დიდი გაფართოება.

ევროკავშირი ეკონომიკურად ჩამორჩენილი ქვეყნებისგან ითხოვდა რომ ყოფილიყვნენ სიციცხლისუნარიანი წევრები და მხარი დაეჭირათ გაერთიანების ისეთი პროექტებისათვის, რო-გორიცა იყო ერთიანი ბაზარი. სწორედ ამ მიზნით ერთიან ევროპულ აქტში შევიდა შერწყმის პოლიტიკა, რაც ეფუძნებოდა გაორმაგებული სტრუქტურული ფონდების ეკონომიკურად სუს-ტი რეგიონების დახმარებას. სტრუქტურული ფონდები არის ევროკავშირში ჩამორჩენილი, ეკონომიკური დაღმავლობის ან სტაგნაციის პირობებში მყოფი რეგიონების დასახმარებლად შექ-მნილი 5 ფონდის საერთო სახელწოდება, ეს ფონდებია: 1) ევ-როპის რეგიონული განვითარების ფონდი, 2) ევროპის სოცია-ლური ფონდი, 3) ევროპის სოფლის მეურნეობის მართვის და გარანტიის ფონდი, 4) სტრუქტურული ფონდი, 5) შერწყმის ფონდი. ევროკავშირის დამფუძნებელი 6 სახელმწიფოს შორის იტალია ძალიან სუსტი ეკონომიკით გამოირჩეოდა, აქედან გა-მომდინარე მათ უზრუნველყვეს ევროპის საინვესტიციო ბანკისა და სოციალური ფონდის ჩამოყალიბება. ევროკავშირის გაფარ-თოების გზაზე მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ნეიცას ხელშეკ-რულებამ, რომელსაც ხელი 2001 წელს მოეწერა და ძალაში შევიდა 2003 წელს. ნიცას ხელშეკრულებამ გაამარტივა ევრო-კავშირის ინსტიტუციონალური სისტემა, გადაწყვეტილებების მიღების წესები და პროცედურები. ამგვარი ცვლილებების სა-ჭიროება მომდინარეობდა ევროკავშირის სახელმწიფოთა რაო-დენობის მოსალოდნელი გაზრდით, ვინაიდან ევროკავშირში 2004 წლისთვის იგეგმებოდა სახელმწიფოთა ახალი ჯგუფის გაერთიანება.

კულტურა სოციალური სფეროს მნიშვნელოვანი ნაწილია. ყველა ერს გააჩნია თავისი ეროვნული ცნობიერება, ეროვნული იდენტობა თავისი ისტორიული და კულტურული მემკვიდრე-ობა, აღმსარებლობა, ტრადიციები, ადათები, ღირებულებები. საქართველო უძველესი ისტორიისა და კულტურის ქვეყანაა. დამოუკიდებლობის მოპოვებისთანავე იგი მიისწრაფვის ევრო-

კავშირისკენ ბეჯითად ასრულებას. მათ დავალებებისა და რეკომენდაციების, მართალია ჯერ-ჯერობით კანდიდატის სტატუსი ვერ მივიღეთ, თუმცა ევროპულ ოჯახში გაწევრიანების პერსპექტივა ნამდვილად გვაქვს, ევროკავშირი მხარს უჭერს წევრ სახელმწიფოთა კულტურის სფეროს განვითარებას. იგი ამ სფეროში მოქმედებისას პატივს სცემს სახელმწიფოთა ეროვნულ და რეგიონულ მრავალფეროვნებას. ევროკავშირი მიზნად ისახავს საერთო კულტურული მემკვიდრეობის მიღწევას, ევროპული კულტურული სივრცის ჩამოყალიბების მიზნით, ევროკავშირი უზრუნველყოფს წევრ სახელმწიფოთა შორის თანამშრომლობას და ხელს უწყობს:

- ევროპული ხალხების კულტურისა და ისტორიის გაცნობას.

- ევროპული მნიშვნელობის მქონე კულტურული მემკვიდრეობის კონსერვაციას.

- მხატვრული, ლიტერატურული და აუდიოვიზუალური სივრცეების ჩამოყალიბებას.

- არაკომერციულ კულტურულ გაცვლას (მაგ. სახელ-წიფოებს შორის სტუდენტების, არტისტების, სპორტსმენების გაცვლას).

და ბოლოს ნაშრომს დავასრულებთ, ევროპის პარლამენტის პრეზიდენტის დოქტორ კლაუს ჰენშის (სტრასბურგი 1994 წ.) წარმოთქმული სიტყვებით: "იმ შემთხვევაში თუ ჩვენ შევძლებთ ჩვენი ძალების გაერთიანებას, სუვერენიტეტის ხორც-შესხმასა და ადრეული დაპირისპირების სანაცვლოდ ურთიერთთანამშრომლობის განხორციელებას, მაშინ ევროპაში არსებული ენების, კულტურებისა და ტრადიციების მრავალფეროვნება ჩვენი სისუსტის ნაცვლად ჩვენს ძალად იქცევა".

## დასკვნა

ევროკავშირმა ათეული წლების განმავლობაში კოლოსალური სამუშაო გასწია სოციალური უსაფრთხოების დაცვის სფეროში. დასაქმების ევროპული პოლიტიკა, სტრატეგია, ჯანდაცვა, განათლება, სოციალური დიალოგი და ა.შ. სოციალური ინოვაციები უკვე აღიარა ევროკომისიამ და ჩართო თავის გრძელვადიან გეგმებში, როგორც საზოგადოებრივი მოთხოვნ-

ნილებების დაკმაყოფილების ბერკეტი. ევროკავშირი ეხმარება სოციალურ აქტივისტებს ინოვაციების დანერგვაში, როგორც პრაქტიკულად, ისე ფინანსურად, ევროკავშირის წევრ ქვეყნებში სოციალური გარემოს გაუმჯობესებისთვის დაგეგმილი კონკრეტული წინადადებები შევიდა ოფიციალურ დოკუმენტში "სტრატეგია ევროპა 2020" სადაც აღნიშნულია, რომ სოციალურ ინოვაციებს შეუძლია გადაწყვიტონ მოსახლეობის სოციალურად დაუცველი ჯგუფების პრობლემები, სოციალური ინოვაციები ევროპაში უკვე გავრცელებულ პრაქტიკად გადაიქცა.

### **გამოყენებული ლიტერატურა**

1. აბესამე რ. ევროკავშირის ინოვაციური სისტემა. თსუ პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის სამეცნიერო შრომების კრებული. ტ. X. თსუ პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა. თბილისი. 2018.
2. თეთრაული ც. ნანოტექნოლოგიების განვითარება და მისი გამოწვევები, თსუ პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის სამეცნიერო შრომების კრებული. ტ. XI. თსუ პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა, თბილისი, 2019.
3. თეთრაული ც. ინოვაციების როლი ეკონომიკის განვითარებაში და მაღალი ტექნოლოგიების გამოწვევები, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ გიორგი წერეთლის დაბადებიდან 70-ე წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალების კრებული, ეკონომიკის ინოვაციური განვითარება: მსოფლიო გამოცდილება და პერსპექტივები, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა. თბილისი. 2022.
4. ღვამიჩავა ა. ევროკავშირი XXI საუკუნის მიჯნაზე თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა. თბილისი. 1998.
5. მირიანაშვილი გ. როგორ ფუნქციონირებს ევროკავშირი. თბილისი. 2014.
6. აშერვუდი ს. და პინდერი ჯ. ევროკავშირი. ბაკურ სულა-

კაურის გამომცემლობა, 2019.

7. ხარშილაძე ი. ნიკოლა ტესლა. გამომცემლობა პალიტრა. თბილისი. 2018 წ.

*Tsitsino Tetrauli*

## **THE EXPERIENCE OF SOCIAL SECURITY IN THE EUROPEAN UNION**

### **Summary**

Social problems are as old as humanity itself, the social sphere includes such important issues as: employment, health care, education, culture, etc. The European Union has developed such social security levers as possible to protect the population of the European Union from social problems. In the world, the European Union looks like a citadel of development, progress, freedom, social and economic security, stability. That is why countries are moving towards the European Union. Based on the new paradigm created in the world, when the world is undergoing geopolitical changes and redistribution of spheres of influence, the most important task for our small country is to join the European Union. Finding a place under the umbrella of the European Union.

**ზურაბ წერეთელი**

**გლობალური ეკონომიკური საფრთხეები და მათი გავლენა  
საწარმოს ეკონომიკური განვითარების სტაბილურობაზე**

*ანოტაცია. თემის აქტუალურობა გამოწვეულია საწარმოს მართვის ეფექტური სისტემის შექმნის აუცილებლობით, რაც დაფუძნებულია მისი მდგრადი განვითარების მექანიზმის ფორმირებაზე და შეიძლება გამოყენებულ იქნეს, როგორც საწარმოს ეკონომიკური უსაფრთხოების მექანიზმი. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მსოფლიოში შექმნილი მძიმე ეკონომიკური მდგომარეობა, რამაც გამოიწვია ეკონომიკური არასტაბილურობის ზრდა, ეკონომიკის მდგრადი განვითარების შესაძლებლობის მნიშვნელოვანი შემცირება, ამასთან დაკავშირებით საწარმოებს სჭირდებათ მუდმივი*

მონიტორინგი, საწარმოზე შიდა და გარე ფაქტორების გავლენის სრულფასოვანი შეფასება. ეკონომიკური განვითარების ამჟამინდელ ეტაპზე დიდი ყურადღება ექცევა მთელი ეროვნული ეკონომიკის ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფის საკითხს. ეროვნული ეკონომიკის განვითარების სტაბილურობა დამოკიდებულია ტერიტორიებისა და საწარმოების ეკონომიკური უსაფრთხოების განვითარების დონის სტაბილურობაზე, აღნიშნული წარმოშობს ეკონომიკური კვლევების აუცილებლობას, რაც საჭიროა არა მხოლოდ მეწარმეებისათვის, არამედ ხელისუფლებებისთვისაც. საწარმოს ეკონომიკური უსაფრთხოების დონე დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად ეფექტურად შეუძლიათ მის მმართველ პერსონალს (მენეჯერებს) და სპეციალისტებს, თავიდან აიცილონ შესაძლო საფრთხეები და აღმოფხვრან შიდა და გარე გარემოს უარყოფითი ზემოქმედების შედეგები.

ნაშრომში წარმოდგენილია გლობალური ეკონომიკური საფრთხეები და მათი გავლენა საწარმოს ეკონომიკური განვითარების სტაბილურობაზე. თვალსაჩინოა იმ საფრთხეების განეიტრალების პრობლემის გადაწყვეტისთვის საჭირო აქტიურობისა და გზების ძიების მცდელობა, რომლებიც საწარმოს ეკონომიკის სტაბილურ განვითარებაზე მოქმედებს.

**საკვანძო სიტყვები:** გლობალური, ეკონომიკური საფრთხეები, საწარმოს განვითარების სტაბილურობა, ეკონომიკური უსაფრთხოება, სასურსათო უსაფრთხოება, პანდემია, ეკონომიკური კრიზისი.

## შესავალი

ეკონომიკა საზოგადოების, სახელმწიფოს, საწარმოს, ინდივიდის განვითარების ერთ-ერთი სასიცოცხლო ასპექტია, ამიტომ ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფა ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ეროვნული პრიორიტეტია. მსოფლიო სისტემაში დინამიკური ცვლილებები, პოლიტიკური, ეკონომიკური, სამეცნიერო და ტექნიკური ურთიერთობები, სოციალურ-ეკონომიკური განვითარების უარყოფითი ფაქტორები, მოქალაქეების, საზოგადოების, საწარმოსა და სახელმწიფოს ინტერესების საფრთხის გამწვავების ახალ ტენდენციებს წარმოშობს, რომელიც უკავშირდება მოქალაქეების, საზოგადოების, საწარმოსა და სახელმწიფოს უსა-

ფრთხობების პრობლემებს, ამიტომაც მათი გადაწყვეტის უზრუნველსაყოფად საჭიროა ეფექტური ზომების შემუშავება.

საზოგადოების სტაბილური და მდგრადი განვითარების ერთ-ერთი მთავარი პირობაა ქვეყნის, რეგიონებისა და ეკონომიკური სუბიექტების (მათ შორის საწარმოების) უსაფრთხოების უზრუნველყოფის სისტემის შექმნა. საქართველოს ეკონომიკური უსაფრთხოების სახელმწიფო სტრატეგიაში (ძირითადი დებულებები) გამოვლენილია ქვეყნის ეკონომიკური უსაფრთხოების ყველაზე სავარაუდო საფრთხეები: მოსახლეობის ქონებრივი დიფერენციაციის ზრდა და უსაფრთხოების დონის მატება; რეგიონების არათანაბარი სოციალურ-ეკონომიკური განვითარების გაზრდა; საზოგადოებისა და ეკონომიკური საქმიანობის კრიმინალიზაცია. ეკონომიკური უსაფრთხოების სისტემის შექმნისას საჭიროა ხელისუფლების ყველა დონის მონაწილეობა. მხოლოდ ეკონომიკური უსაფრთხოების ერთიანი მრავალდონიანი სისტემის შექმნა უზრუნველყოფს საფრთხეების შემცირებას და (ან) პრევენციას. ამ მხრივ საჭიროა ამ პრობლემაზე განსაკუთრებული ყურადღების გამახვილება და ეკონომიკური უსაფრთხოების სისტემის შექმნა, სახელმწიფოს ეროვნული ეკონომიკური უსაფრთხოების სტრუქტურის და რეგიონების ეკონომიკური უსაფრთხოების სისტემასთან და ბიზნესთან ურთიერთქმედების ძირითადი პრობლემების ახლებური გააზრება.

\* \* \*

როგორც მსოფლიო გამოცდილება გვიჩვენებს, ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფა ქვეყნის თავისუფლების, სტაბილურობის შენარჩუნებისა და მოსახლეობის კეთილდღეობის განვითარების უმნიშვნელოვანეს წინაპირობას წარმოადგენს. ეროვნული უსაფრთხოების სისტემის შექმნა ყოველი სახელმწიფოს ამოცანაა, რადგან იგი ხელს უწყობს მდგრადი ეკონომიკის ჩამოყალიბებას. ამდენად, ეკონომიკური უსაფრთხოების სისტემის ფორმირება სახელმწიფოს ეროვნულ პრიორიტეტთა რიცხვს განეკუთვნება. ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად გადაწყვეტილებათა მიღება დიდწილად დამოკიდებულია სამეურნეო სუბიექტის მდგომარეობის, ფუნქციონირების მიმართულებების და განვითარების პერსპექტივების შესახებ არსებულ ინფორმაციაზე, მის სისრულეზე, საიმედოობასა და დროულობაზე.

უსაფრთხოების უზრუნველყოფა ადამიანების სიცოცხლის აუცილებელი პირობაა. „უსაფრთხოების“ ცნება სპეციფიკური ისტორიული ხასიათისაა, ასოცირდება ცხოვრების ყველა ფორმასთან და შეიძლება განხილული იყოს საშინაო და სოციალურ სფეროებში [5].

თეორიასა და პრაქტიკაში საშიშროების ცნებასთან ერთად გამოიყენება საფრთხის ცნება: პიროვნებისთვის (ინდივიდი, საზოგადოება) ეს არის საფრთხე შესაძლებლობიდან რეალობაზე გადასვლის ეტაპზე, რაც, როგორც გამოცდილება გვიჩვენებს, შეუძლებელია მისი სრული არარსებობის უზრუნველსაყოფად. ამასთან დაკავშირებით გამოიყენება განმარტება, რომელიც ასახავს უსაფრთხოებას, როგორც საიმედო დაცვას საფრთხეებისგან. უნდა აღინიშნოს, რომ ინდივიდის უსაფრთხოება დამოკიდებულია არა მხოლოდ მის ქცევაზე, არამედ საფრთხეების რაოდენობასა და სიძლიერეზე, გარემოზე, რომელიც დიდწილად განისაზღვრება საზოგადოების ცხოვრების შედეგებით და ხასიათდება საშუალო ცხოვრებით.

ეროვნული ეკონომიკური უსაფრთხოება დიდადაა დამოკიდებული მსოფლიოს მასშტაბით მიმდინარე პროცესებზე, კერძოდ, გლობალურ ეკონომიკურ უსაფრთხოებაზე. გლობალური ეკონომიკური უსაფრთხოება ნიშნავს მსოფლიო ეკონომიკის უსაფრთხოების უზრუნველყოფას, მოსალოდნელს როგორც ეკონომიკური, ისე გარე საფრთხეებისგან [1].

თანამედროვე ეტაპზე გლობალური არაეკონომიკური საფრთხეები: მესამე მსოფლიო ომი; მშვიდობის დაცვა; განვითარებასა და შეიარაღებაზე კონტროლის დაწესება; განვითარებადი ქვეყნების პრობლემები; დემოგრაფიული პრობლემები; ადამიანისეული პოტენციალის განვითარების პრობლემა; ატმოსფეროს დაზიანება; კლიმატის ცვლილება; კოსმოსის ათვისების პრობლემა; საერთაშორისო ტერორიზმი; ნარკობიზნესი; ეთნოპოლიტიკური კონფლიქტები; ადამიანთა უფლებებისა და თავისუფლებათა დაცვა; კულტურულ მრავალფეროვნებათა შენარჩუნება; კიბერუსაფრთხოება და სხვა. ეკონომიკური ხასიათის გლობალური საფრთხეები: ეკონომიკური კრიზისები; ენერგეტიკული პრობლემა; სიღარიბის პრობლემა; სასურსათო პრობლემა; რესურსების ამოწურვის პრობლემა და ა.შ. [1].



ერთი წლის განმავლობაში, როდესაც COVID-19 პანდემია დომინირებდა მთელ მსოფლიოში, გასაკვირი არ იყო, რომ ამ ზაფხულს 14 ქვეყანაში გამოკითხული ადამიანების უმრავლესობა სერიოზულ საფრთხედ მიიჩნევდა ინფექციური დაავადებების გავრცელებას, მაგრამ ყველა ევროპულ ქვეყანაში, რომელიც შედის კვლევაში, ყველაზე დიდ საფრთხედ რჩება კლიმატის ცვლილება, მიუხედავად იმისა, რომ იქ ხალხი ასევე გამოხატავს ძლიერ შემფოთებას ინფექციების რისკებთან დაკავშირებით. საერთო ჯამში გამოკითხული 14 ეკონომიკურად განვითარებული ქვეყნიდან ათიდან შვიდი ამბობს, რომ გლობალური კლიმატის ცვლილება და ინფექციური დაავადებების გავრცელება სერიოზული საფრთხეა. საშუალოდ ათიდან ექვსი ან მეტი მთავარ საფრთხედ მიიჩნევს უსაფრთხოების საკითხებს, კერძოდ ტერორიზმს, კიბერშეტევებს სხვა ქვეყნებიდან და ბირთვული იარაღის გავრცელებას. შედარებითი რეიტინგის მიხედვით, კლიმატის ცვლილება აღემატება ინფექციურ დაავადებებს, როგორც ყველაზე ხშირად ციტირებულ „ძირითადი საფრთხე“, გამოკითხული 14 ქვეყნიდან რვაში, მათ შორის ცხრა ევროპული ქვეყნიდან – შვიდში. კორონავირუსის პანდემიის ფონზე, ხუთი ქვეყანა, მათ შორის აშშ, მთავარ საფრთხედ მიიჩნევს დაავადების გავრცელებას. ორი ქვეყანა, ავსტრალია და დანია, სიის სათავეში კიბერშეტევებს აყენებს. გამოკითხულ ქვეყნებში ადამიანები ნაკლებად ასახელებენ გლობალურ სიღარიბეს, ქვეყნებს შორის ხანგრძლივ კონფლიქტებს, ეთნიკურ ჯგუფებს ან ფართომასშტაბიან მიგრაციას. რამდენიმე წლის წინ ერაცოდან და სირიიდან ლტოლვილების დიდი რაოდენობით გასვლა იტალიასა და დიდ ბრიტანეთში მთავარ საფრთხედ ითვლებოდა. დღეს გამოკითხული 14 ქვეყნიდან 11-ში ადამიანების გადაადგილება ერთი ქვეყნიდან მეორეში ითვლება ცხრა გამოვლენილი საფრთხიდან ყველაზე ნაკლები ხიფათის შემცველად. იმის გამო, რომ გლობალური ეკონომიკა მძიმედ დაზარალდა COVID-19-ით, შემფოთება უმეტეს ქვეყნებში ამ მდგომარეობის მიმართ გაიზარდა 2018 წლის ბოლო გამოკითხვის შემდეგ. გამოკითხული 14 ქვეყნიდან ათში უმრავლესობა აღწერს გლობალური ეკონომიკის მდგომარეობას, როგორც სერიოზულ საფრთხეს. 2016 წლიდან კიბერშეტევების სერიოზულ საფრთხედ აღქმა გაიზარდა რიგ ქვეყნებში, მათ შორის ავსტრალიაში, ნიდერლანდებში, იაპონიასა და კანადაში. 14 ქვეყა-

ნაში ხანდაზმულებს უფრო მეტად აწუხებთ უსაფრთხოების საკითხები. მაგალითად, ტერორიზმს 50 წელზე უფროსი ასაკის პირების საშუალოდ 72% სერიოზულ საფრთხედ მიიჩნევს, ხოლო 18-დან 29 წლამდე ასაკის მოქალაქეებიდან – 53%. მსგავსი ასაკობრივი განსხვავებები საფრთხეებთან დაკავშირებით ჩნდება კიბერშეტევებისა და ბირთვული იარაღის გავრცელების გამო. იდეოლოგიურად, უმეტეს ქვეყნებში პოლიტიკური მემარცხენეები უფრო მეტად არიან შეშფოთებული კლიმატის ცვლილებით, ვიდრე მემარჯვენეები, ხოლო მემარჯვენეები უფრო მეტად არიან შეშფოთებული ტერორიზმითა და ფართომასშტაბიანი მიგრაციით. ეს არის ზრდასრულთა ახალი გამოკითხვის შედეგები, რომელიც ჩატარდა Pew Research Center-ის მიერ ტელეფონით 2020 წლის 10 ივნისიდან 3 აგვისტომდე ავსტრალიაში, ბელგიაში, კანადაში, დანიაში, საფრანგეთში, გერმანიაში, იტალიაში, იაპონიაში, ნიდერლანდებში, სამხრეთ კორეაში, ესპანეთში. თითხმეტივე გამოკითხულ ქვეყანაში უმრავლესობა თანხმდება, რომ გლობალური კლიმატის ცვლილება და ინფექციური დაავადებების გავრცელება სერიოზულ საფრთხეს უქმნის მათ ქვეყანას. კლიმატის ცვლილების შესახებ შეშფოთება განსაკუთრებით მაღალია ესპანეთში, საფრანგეთში, იტალიაში, სამხრეთ კორეასა და იაპონიაში, ათიდან რვა მას მთავარ საფრთხედ მიიჩნევს. იმათი წილი, ვინც გლობალურ დათბობას სერიოზულ საფრთხედ მიიჩნევს, დღეს გაცილებით მეტია იმ ათი ქვეყნიდან ცხრაში, რომელსაც ცენტრი აკონტროლებდა და ბოლო შვიდი წლის განმავლობაში. ყველა გამოკითხულ ქვეყანაში იდეოლოგიური მემარცხენეები უფრო მეტად თვლიან კლიმატის გლობალურ ცვლილებას მთავარ საფრთხედ, ვიდრე მემარჯვენეები. გამოკითხულ თითოეულ ქვეყანაში უმრავლესობა სერიოზულ საფრთხედ ასევე განიხილავს ინფექციური დაავადებების გავრცელებას. მკაფიო შეშფოთება განსაკუთრებით შესამჩნევია სამხრეთ კორეასა და იაპონიაში, სადაც ათიდან ცხრა ინფექციურ დაავადებებს მთავარ საფრთხედ მიიჩნევს [7].

გამოკითხული 14 ქვეყნიდან ადამიანებს სერიოზული შეშფოთება აქვთ ტერორიზმის, სხვა ქვეყნებიდან კიბერშეტევებისა და ბირთვული იარაღის გავრცელების გამო. საშუალოდ, გამოკითხულთა თითქმის 2/3 ამბობს, რომ ტერორიზმი (66%) და კიბერშეტევები (65%) სერიოზულ საფრთხეს უქმნის მათ ქვეყანას, ხოლო

ათიდან ექვსი (61%) იმავეს ამბობს ბირთვული იარაღის გავრცელებაზე. ცხრა ქვეყანაში იდეოლოგიური მემარჯვენეები თავიანთი ქვეყნისთვის სერიოზულ საფრთხედ მიიჩნევენ ტერორიზმს. ასევე 2020 წელს ძირითად საფრთხედ დაასახელა ტერორიზმი გამოკითხული 14 ქვეყნიდან 12-ში დაახლოებით ნახევარმა ან მეტმა, მათგან დაახლოებით საფრანგეთში – 80%-მა, იაპონიაში – 77%-მა და ესპანეთში – 74%-მა. კიბერშეტევები არის ძირითადი შემფოთება რამდენიმე გამოკითხულ ქვეყანაში, მათ შორის ავსტრალიაში (70%) და დანიაში (66%), ასევე მეორე ადგილზეა სამხრეთ კორეაში, აშშ-ში, ნიდერლანდებსა და გერმანიაში ცხრა საფრთხეს შორის. ზოგიერთ ქვეყანაში კიბერთავდასხმების შესახებ შემფოთება სწრაფად გაიზარდა. 2016 წლიდან ავსტრალიელების გამოკითხულთა წილი, რომლებიც ასეთ თავდასხმებს სერიოზულ საფრთხედ მიიჩნევენ, 47%-დან 70%-მდე გაიზარდა. იმავე პერიოდში ორნიშნა ზრდა შეინიშნება ნიდერლანდებში (13 პროცენტული პუნქტით), იაპონიაში (+12 პუნქტით) და კანადაში (+10 პუნქტით). ბირთვული იარაღის გავრცელებას ხშირად თან ახლავს ტერორიზმი და კიბერშეტევები, როგორც აღქმული უსაფრთხოების საფრთხე. ამ ნიმუშის გამონაკლისია იაპონია (87% ფიქრობს, რომ ეს არის სერიოზული საფრთხე) და იტალია (73%). გამოკითხულ ქვეყნებს შორის ბირთვული იარაღის გავრცელება ყველაზე ნაკლებად დანიელებს აწუხებთ (35%). შემოწმებული უსაფრთხოების სამი ნაწილიდან თითოეულს სერიოზულ საფრთხედ მიიჩნევენ უფრო მეტად 50 წელზე მეტი ასაკის ადამიანები, ვიდრე ახალგაზრდები. მაგალითად, აშშ-ში 18-დან 29 წლამდე ასაკის ადამიანების 51%-თან შედარებით, 50 წლის და უფროსი ასაკის ადამიანების 80% თვლის, რომ ტერორიზმი წარმოადგენს მთავარ საფრთხეს. მსგავსი უთანხმოება წარმოიქმნება კიბერშეტევებისა და ბირთვული იარაღის გავრცელების საკითხთან დაკავშირებით.

საერთაშორისო სავალუტო ფონდის პროგნოზით, 2020 წელს მსოფლიო ეკონომიკა 4,9%-ით შემცირდება. გამოკითხული 14 ქვეყნიდან საშუალოდ ათიდან ექვსი იზიარებს ამ სამწუხარო მოსაზრებას და აღწერს სერიოზული საფრთხის წინაშე მდგარ გლობალური ეკონომიკის მდგომარეობას. ყველაზე მეტად გლობალურ ეკონომიკურ მდგომარეობას სერიოზულ საფრთხედ მიიჩნევენ სამხრეთ კორეის მოსახლეობა (ათიდან რვა ან მეტი მოქალაქე, სულ

83%), ყველაზე ნაკლებად შეშფოთებულნი არიან დანიელები და შვედები (40%). გლობალური სიღარიბის შესახებ შეშფოთებას გამოთქვამს საშუალოდ 53%, რომლებიც აცხადებენ, რომ გლობალური სიღარიბე სერიოზული საფრთხეა მათი ქვეყნისთვის [7].

თანამედროვე სამყაროში ინდივიდისა და საზოგადოების უსაფრთხოების უზრუნველყოფა შეუძლებელია მუდმივად შენარჩუნებული გლობალური უსაფრთხოების გარეშე. დღეს წინა პლანზე წამოვიდა ხალხებს შორის არსებული რესურსების სასიცოცხლოდ გამოყენებისათვის კონკურენციის პრობლემა. თუ ვივარაუდებთ, რომ კაცობრიობა იპოვის გზებს კრიზისის დასაძლევად, მაშინ გარდაუვალი შეზღუდვები ცხოვრების მასშტაბებსა და ფორმებზე, რესურსებსა და არსებობის პირობებზე არათანაბრად გადანაწილდება არა მხოლოდ ინდივიდებს შორის, არამედ ერებს შორისაც. ცივილიზაციის პროგრესმა განსაზღვრა მსოფლიოს სოციალური სისტემის განვითარების თანამედროვე მიმართულებები: 1. საზოგადოების დემოკრატიზაციის განვითარება პიროვნების უფლებებისა და თავისუფლებების კონსოლიდირებით, ხოლო საზოგადოების მთავარი ინტერესი მისი წევრების ინტერესების დაცვით გამოიხატება. 2. საზოგადოების ინფორმატიზაციის განვითარება, ინფორმაციის გაცვლის სიჩქარისა და მასშტაბის გაზრდა. 3. მსოფლიოს ქვეყნების ინტეგრაციის განვითარება: ტრანსნაციონალური კორპორაციების მზარდი როლი და სოციალური შრომის პროდუქტიულობის პრიორიტეტი ხალხთა და სახელმწიფოთა ისტორიულ კონკურენციაში. 4. ინფორმატიზაციის შედეგად ახალი კულტურების გაჩენა, ეკონომიკური ინტეგრაციის შედეგად ერთიანი კულტურის დაბადება.

ეკონომიკური უსაფრთხოება ეროვნული უსაფრთხოების აუცილებელი კომპონენტია. ეკონომიკის უსაფრთხო ფუნქციონირების უზრუნველყოფა სახელმწიფოს მდგრადი განვითარების მთავარი პირობაა, შესაბამისად, ეკონომიკური უსაფრთხოება ახასიათებს როგორც სახელმწიფოს ზოგად მდგომარეობას, ასევე მისი ეკონომიკური კომპლექსის მდგომარეობას. ეს გამოყოფს ეკონომიკურ უსაფრთხოებას, როგორც შედარებით დამოუკიდებელ მიმართულებას, რომლის შეფასება აუცილებელია მაშინ, როდესაც სა-

ხელმწიფოს ხელმძღვანელობა იღებს უმნიშვნელოვანეს სოციალურ-ეკონომიკურ და სამხედრო-პოლიტიკურ გადაწყვეტილებებს.

სახელმწიფოს ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფა მოითხოვს სერიოზულ ყურადღებას განვითარების ეფექტური სტრატეგიისა და ადეკვატური ეკონომიკური პოლიტიკის დასაბუთებისა და განხორციელების პრობლემაზე, რომელიც მიმართული უნდა იყოს, ერთი მხრივ, ქვეყნის ეკონომიკური დამოუკიდებლობისა და ეროვნული ეკონომიკის განვითარების უზრუნველყოფისაკენ საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე; მეორე მხრივ კი – მოსახლეობის მიღწეული ცხოვრების დონის ამაღლებისა და სოციალური გარანტიების უზრუნველყოფისაკენ.

ეკონომიკურ სფეროში მთავარ სამეცნიერო კატეგორიას წარმოადგენს უსაფრთხოების ობიექტების სასიცოცხლო ინტერესები. ძირითადი ობიექტები, რომლებიც დაცული უნდა იყოს ეკონომიკურ სფეროში, არის ინდივიდი, საზოგადოება (ზოგადად, ასევე ადგილობრივი ხელისუფლებისა და კომერციული და არაკომერციული ხასიათის სხვადასხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციები) და სახელმწიფო (ზოგადად, ასევე ხელისუფლების სხვადასხვა შტოები და სახელმწიფო ინსტიტუტები). ძირითადი სუბიექტები, რომლებმაც უნდა დაიცვან აღნიშნული ობიექტების ინტერესები, არის სახელმწიფო, რომელსაც წარმოადგენს უფლებამოსილი სახელმწიფო ინსტიტუტები, ადგილობრივი თვითმმართველობები, სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციები და ცალკეული მოქალაქეები.

ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფა მიზნად ისახავს ქვეყნის დამოუკიდებლობის, საზოგადოების სტაბილური და ეფექტური ცხოვრების პირობების შექმნას და წარმატების მიღწევას. ეკონომიკა საზოგადოების, სახელმწიფოსა და ინდივიდის საქმიანობის ერთ-ერთი სასიცოცხლო ასპექტია, შესაბამისად, ეროვნული უსაფრთხოება ეკონომიკის სიცოცხლისუნარიანობის შეფასების გარეშე არანაირ დატვირთვას არ ატარებს.

ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფა ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ეროვნული პრიორიტეტია. იგი განიხილება, როგორც ქვეყნის ეკონომიკის უმნიშვნელოვანესი მახასიათებელი, რომელიც განსაზღვრავს მის უნარს, შეინარჩუნოს მოსახლეობის ნორმალური ცხოვრების პირობები, რესურსების მდგრადი უზ-

რუნველყოფა ეროვნული ეკონომიკის განვითარებისთვის, ასევე ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ინტერესების განსახორციელებლად.

ეკონომიკური უსაფრთხოება ხასიათდება რთული შიდა სტრუქტურით, რომელშიც შეიძლება გამოიყოს შემდეგი ელემენტები:

1. ეკონომიკური დამოუკიდებლობა. ეს არ არის აბსოლუტური, ვინაიდან შრომის საერთაშორისო დანაწილება ეროვნულ ეკონომიკებს ერთმანეთზე დამოკიდებულს ხდის. ამ პირობებში მთავარია ეროვნული რესურსების კონტროლის უნარი, წარმოების მაღალი სამეცნიერო და ტექნიკური დონე და პროდუქციის ხარისხი, რაც უზრუნველყოფს კონკურენტუნარიანობას და საშუალებას აძლევს მათ თანაბარ პირობებში მონაწილეობა მიიღონ მსოფლიო ვაჭრობაში, თანამშრომლობის კავშირებსა და სამეცნიერო გაცვლაში.

2. სტაბილურობა და მდგრადობა. მოიცავს საკუთრების დაცვას; სამეწარმეო საქმიანობის საიმედო პირობებსა და გარანტიებს, დესტაბილიზაციის ფაქტორების შეკავებას; შემოსავლის განაწილებაში მაღალი ხარვეზების თავიდან აცილებას, რომელიც საფრთხეს უქმნის სოციალურ რყევებს და ა.შ.

3. თვითგანვითარებისა და წინსვლის უნარი. აქ უმთავრესია ინვესტიციებისა და ინოვაციებისთვის ხელსაყრელი კლიმატის შექმნა, წარმოების მოდერნიზაცია; თანამშრომელთა მაღალი პროფესიული, საგანმანათლებლო და ზოგადკულტურული დონე, რაც ეროვნული ეკონომიკის სტაბილურობისა და თვითგადარჩენის აუცილებელი და სავალდებულო პირობაა. ეკონომიკური უსაფრთხოების ელემენტების განხორციელება უზრუნველყოფს ეროვნული ეკონომიკის დამოუკიდებლობას, მის სტაბილურობას, მუდმივი განახლებისა და საკუთარი თავის გაუმჯობესების უნარს. თანამედროვე პირობებში ამ ინტერესების რეალიზებას სხვადასხვა საფრთხე ეწინააღმდეგება. არსებობს ეკონომიკური საფრთხეების სხვადასხვა კლასიფიკაცია, მაგრამ წყაროების მიხედვით შეიძლება გამოიყოს ორი ურთიერთდაკავშირებული ჯგუფი: გარე და შიდა საფრთხეები.

შესაძლებელია ეკონომიკური უსაფრთხოების ყველაზე სავარაუდო შიდა საფრთხეების იდენტიფიცირება, რომელთა ლოკა-

ლიზაცია მიმართული უნდა იყოს საჯარო ხელისუფლების საქმიანობით:

1. მოსახლეობის ქონებრივი დიფერენციაცია და სიღარიბის დონე. ეს იწვევს სოციალური სიმშვიდის, სოციალური ჰარმონიისა და შესაბამისად სოციალური ინტერესების ბალანსის დარღვევას: საზოგადოების სტრატეფიკაცია მდიდრებისა და ღარიბი ხალხის გაბატონებული მასის ვიწრო წრეში; ღარიბთა წილის ზრდა, რაც ქმნის სოციალურ და კრიმინალურ დაძაბულობას და საფუძველს ნარკომანიის, ორგანიზებული დანაშაულის, პროსტიტუციისა და სხვა მსგავსისათვის; უმუშევრობის ზრდა, რამაც შეიძლება გამოიწვიოს სოციალური კონფლიქტები: ხელფასების დაგვიანება, საწარმოების დახურვა და ა.შ.

2. ქვეყნის ეკონომიკის სტრუქტურის დეფორმაცია. ეს განპირობებულია ისეთი ფაქტორებით, როგორცაა: ეკონომიკის საწვავისა და ნედლეულის ორიენტაციის გამლიერება; პროდუქციის დაბალი კონკურენტუნარიანობა; წარმოების შეზღუდვა საწარმოო მრეწველობაში, უპირველეს ყოვლისა, მანქანათმშენებლობაში; სამეცნიერო კვლევისა და განვითარების ტექნოლოგიური ერთიანობის შემცირება; დაარსებული სამეცნიერო სკოლების დაკარგვა; უცხოური ფირმების მაღალი წილი შიდა ბაზარზე მრავალი სახის საქონელზე; მაღალი საგარეო ვალი და ბიუჯეტის ხარჯების ზრდა მის დასაფარად.

3. რეგიონების არათანაბარი სოციალურ-ეკონომიკური განვითარება, რასაც ახასიათებს შემდეგი ფაქტორები: განსხვავებები რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დონეზე (დეპრესიული, კრიზისული და ეკონომიკურად ჩამორჩენილი რეგიონების არსებობა); საწარმოო მრეწველობის წილის შემცირება; ცალკეული რეგიონების საწარმოებს შორის საწარმოო და ტექნოლოგიური კავშირების დარღვევა; ცალკეულ სუბიექტებს შორის ერთ სულ მოსახლეზე ეროვნული შემოსავლის დონის მნიშვნელოვანი შემცირება.

4. საზოგადოებისა და ეკონომიკური საქმიანობის კრიმინალიზაცია. ეს გამოწვეულია ისეთი ფაქტორებით, როგორცაა უმუშევრობა, ვინაიდან დანაშაულთა მნიშვნელოვანი ნაწილი ჩადენილია იმ პირების მიერ, რომლებსაც არ გააჩნიათ შემოსავლის მუდმივი წყარო; ხელისუფლების წარმომადგენლების შერწყმა

ორგანიზებულ დანაშაულთან და მათი შეღწევა სხვადასხვა ძალა-  
უფლების სტრუქტურაში; სახელმწიფო კონტროლის სისტემის  
შემცირება ფინანსურ ბაზარზე, პრივატიზაციის, ექსპორტ-იმპორ-  
ტის ოპერაციებისა და ვაჭრობის სფეროში. მიზეზები, რომლებიც  
ქმნის ამ საფრთხეებს, არის: საწარმოების ფინანსური მდგომარეობის არასტაბილურობა, არახელსაყრელი საინვესტიციო კლიმა-  
ტი, ინფლაციური პროცესების არსებობა და სხვა პრობლემები,  
რომლებიც, პირველ რიგში, ეკონომიკაში ფინანსურ მდგომარეობას  
უკავშირდება.

ყველაზე სავარაუდო გარე საფრთხეებია: საკვების მაღალი  
დამოკიდებულება სურსათის იმპორტზე; მნიშვნელოვანი ტექნო-  
ლოგიური დამოკიდებულება; მსოფლიო ფინანსური, საფონდო,  
სავალუტო ბაზრების გავლენა; პროდუქციის გაყიდვების უცხო-  
ური ბაზრების დაკარგვა.

ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგია მიზნად ისახავს ეკო-  
ნომიკური უსაფრთხოებისთვის ბრძოლას და სახელმწიფო სოცი-  
ალურ-ეკონომიკური პოლიტიკის მხარდაჭერას, რომლის მიზანია:  
წარმოების განვითარება ექსპორტის გაძლიერებისათვის; ანტიმო-  
ნოპოლიური რეგულირების როლის გაზრდა და კონკურენციის  
პოლიტიკის მხარდაჭერა; საინოვაციო პოლიტიკის გაძლიერება  
ეკონომიკის მაღალტექნოლოგიური დარგების განვითარების მა-  
ღალეფექტური პროექტებისა და პრიორიტეტული პროგრამების  
განხორციელების მიზნით; ფინანსური ბაზრების როლის გაძლიე-  
რება და საბანკო სისტემის ლიკვიდურობის გაზრდა; შრომითი  
ურთიერთობების დაკანონება და ინვესტიციების გაზრდა ადა-  
მიანური კაპიტალის განვითარებაში; მიგრაციის პოლიტიკის გაუმ-  
ჯობესება, ასევე შრომითი მიგრანტების განაწილების გამართლება  
შრომით რესურსებში რეგიონების საჭიროებიდან გამომდინარე;  
სამეცნიერო და ტექნოლოგიური დაგეგმვისა და პროგნოზირების  
სისტემის განვითარების, სამეცნიერო და ტექნოლოგიური პრიო-  
რიტეტების განხორციელება, მეცნიერების, განათლებისა და წარ-  
მოების ინტეგრაციის გაძლიერება; კონკურენტუნარიანი შიდა  
ფარმაცევტული ინდუსტრიის შენარჩუნება და განვითარება; საინ-  
ფორმაციო და სატელეკომუნიკაციო ტექნოლოგიების, ატმოსფერო-  
ლობისა და პროგრამული უზრუნველყოფის ინდუსტრიის განვი-  
თარება. საშუალოვადიან პერსპექტივაში ეროვნული უსაფრთხოე-



ბის უზრუნველსაყოფად აუცილებელია ეკონომიკის კონკურენტუნარიანი სექტორების განვითარება, საწვავისა და ენერგეტიკული კომპლექსის ეფექტურობის გაუმჯობესება, სახელმწიფოსა და კერძო სექტორს შორის პარტნიორობის გაფართოება, რათა ეკონომიკური განვითარების პრობლემები ადვილად იქნეს გადაჭრილი. ძირითადი სატრანსპორტო, ენერგეტიკული, საინფორმაციო და სამხედრო ინფრასტრუქტურის ფორმირება. ეკონომიკური უსაფრთხოების გასამდიერებლად აუცილებელია სახელმწიფო რეგულირების გაუმჯობესება რეგიონთაშორისი და ტერიტორიული პროგნოზირებისა და დაგეგმვის კონცეპტუალური და პროგრამული დოკუმენტების შემუშავებით, საფრთხეების კონტროლის ინტეგრირებული სისტემის შექმნით, მათ შორის, აქტიური სახელმწიფო ანტიინფლაციური, სავალუტო, მონეტარული, საგადასახადო და საბიუჯეტო პოლიტიკის უზრუნველყოფით, რომელიც განაპირობებს იმპორტის ჩანაცვლებას და ეკონომიკის რეალური სექტორის მხარდაჭერას; ინოვაციების, მეცნიერების ინტენსიური პროდუქტებისა და პროდუქტების ბაზრის განვითარებას ზოგადი, ორმაგი და სპეციალური დანიშნულების მოწინავე ტექნოლოგიებით.

ეკონომიკური უსაფრთხოებისთვის საფრთხის შემცირება ან თავიდან აცილება მოითხოვს კრიტერიუმების შექმნას ფაქტორების შეფასებასა და მონიტორინგზე, რომლებიც ძირს უთხრის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მდგრადობას. ეკონომიკური უსაფრთხოების კრიტერიუმები მოიცავს: 1. ეკონომიკის გაფართოებული რეპროდუქციის რეჟიმში ფუნქციონირების უნარს; 2. ეკონომიკის დამოკიდებულებას ყველაზე მნიშვნელოვანი სახეობის პროდუქციასა და სურსათის იმპორტზე, რომლის წარმოებაც საჭირო დონეზე შეიძლება მოეწეოს ქვეყანაში; 3. საგარეო და შიდა ვალის დონეს და მისი დაფარვის შესაძლებლობას; 4. ეკონომიკის სტრატეგიული რესურსებით უზრუნველყოფასა და მათ მიმოქცევაზე სახელმწიფო კონტროლის ეფექტურობას; 5. სიღარიბის დონეს, მოსახლეობის ქონებრივი დიფერენციაციასა და უმუშევრობას, საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკური სტაბილურობის თვალსაზრისით მაქსიმალურად დასაშვებს; 6. ფინანსური სისტემის სტაბილურობას; 7. საგარეო ვაჭრობის რაციონალური სტრუქტურას; 8. მოსახლეობისთვის ხელმისაწვდომობას განათლების, კულტურის, სამედიცინო და სოციალური მომსახურების, სამგზავრო

ტრანსპორტისა და მასობრივი კომუნიკაციების, აგრეთვე საცხოვრებელ და კომუნალურ მომსახურებაზე; 9. ქვეყნის სამეცნიერო პოტენციალისა და შიდა სამეცნიერო სკოლების შენარჩუნებას, მეცნიერების განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ობიექტების ეფექტური ფუნქციონირების უზრუნველყოფას; 10. ერთიანი ეკონომიკური სივრცისა და რეგიონთაშორისი ეკონომიკური ურთიერთობების შენარჩუნებას, რომელიც უზრუნველყოფს ეროვნული ინტერესების დაცვას, სეპარატისტული ტენდენციების განვითარების გამოკლებით; 11. საბაზრო ეკონომიკის ნორმალური ფუნქციონირების პირობების შექმნის მიზნით ეკონომიკური პროცესების სახელმწიფო რეგულირების აუცილებელი დონის უზრუნველყოფას. ეკონომიკური უსაფრთხოების მდგომარეობის შესაფასებლად უნდა შემუშავდეს რაოდენობრივი და ხარისხობრივი პარამეტრები (ზღვრული მნიშვნელობები), რომელთა მიღმაც საფრთხე ემუქრება ქვეყნის ეკონომიკურ უსაფრთხოებას. ეს პარამეტრებია: მთლიანი შიდა პროდუქტის ზოგადი დინამიკა და სტრუქტურა, სამრეწველო წარმოების მოცულობა და მაჩვენებლები, ცალკეული დარგების ეკონომიკური სტრუქტურა და დინამიკა, კაპიტალის ინვესტიციები და ა.შ.; ქვეყნისა და რეგიონების რესურსის, წარმოების, სამეცნიერო და ტექნიკური პოტენციალის მდგომარეობა; ეკონომიკის შიდა და გარე ფაქტორებთან ადაპტაციის უნარი (ინფლაცია, ბიუჯეტის დეფიციტი, გარე ეკონომიკური ფაქტორები, ვალუტის სტაბილურობა, შიდა და გარე ვალი და ა.შ.); ქვეყანაში ფულის მიმოქცევის მდგომარეობა; მოსახლეობის ცხოვრების დონე, უმუშევრობის დონე და შემოსავლების დიფერენციაცია, მოსახლეობის ძირითადი ჯგუფების მატერიალური საქონლითა და მომსახურებით უზრუნველყოფა, გარემოს მდგომარეობა და ა.შ. რაოდენობრივი პარამეტრები შემუშავებულია როგორც მთლიანად ქვეყნისთვის, ასევე თითოეული რეგიონისთვის. [8]

ქვეყნის ეკონომიკის მდგრადი განვითარებისა და ეროვნული ინტერესების თვალსაზრისით, ეკონომიკური უსაფრთხოების კრიტერიუმები და ინდიკატორები დაკავშირებული უნდა იყოს რეგიონულ პარამეტრებთან. სტრატეგიაში ჩამოყალიბებული ეროვნული ეკონომიკური ინტერესები განსაზღვრავს ღონისძიებებს, რომელთა საფუძველზეც მუშავდება ეკონომიკური პოლიტიკის განხორციელების მექანიზმები. ისინი მიმართულია ქვეყნის, რეგიონ-

ნისა და ცალკეული საწარმოს ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფისკენ. ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმის ეფექტიანად განხორციელებისთვის აუცილებელია საფრთხის განმსაზღვრელი ფაქტორების მონიტორინგი და პროგნოზირება.

ეკონომიკის მონიტორინგი უნდა ეფუძნებოდეს ეკონომიკური უსაფრთხოების მაჩვენებლების კონკრეტული რაოდენობრივი მნიშვნელობების ანალიზს. ინდივიდუალური, საზოგადოებისა და სახელმწიფოს ეკონომიკური ინტერესების შიდა და გარე საფრთხეების გამოსავლენად ეფექტური მონიტორინგის განხორციელება შესაძლებელია მხოლოდ ორგანიზაციული და საინფორმაციო ბაზის შექმნით.

ქვეყნის ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფის ერთ-ერთი კონსტრუქციული მიდგომა არის სტრუქტურული, ინსტიტუციური და ფუნქციური სტაბილიზაციის გამოყოფა. ზოგადი გაგებით, სტაბილიზაცია არის მათი განხორციელების მიზნებისა და ღონისძიებების ერთობლიობა, რომელიც ორიენტირებულია ეკონომიკის კრიზისიდან გამოყვანაზე, სოციალურ-ეკონომიკური ვარდნის დასრულებასა და მდგრადი ეკონომიკური განვითარების მიღწევაზე. სტაბილიზაციას აქვს როგორც მაკროეკონომიკური, ასევე მიკროეკონომიკური არსი, წარმოადგენს ეკონომიკური და სოციალური ცხოვრების სხვადასხვა ასპექტს და მოიცავს სოციალური განვითარების ძალიან ფართო სპექტრს.

საწარმოს უსაფრთხოებას საშიშროების შიდა და გარე წყაროებიდან მომდინარე საფრთხეები განსაზღვრავს. შიდა და გარე უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად განასხვავებენ რეალურ და პოტენციურ აქტივობებს.

საფრთხეების შეფასება სავალდებულოა საწარმოს საქმიანობაში მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებამოსილების ფარგლებში დაგეგმვისა და გადაწყვეტილების მიღებისას. ეკონომიკური უსაფრთხოების რეალური და პოტენციური საფრთხეების სისტემა არ არის სტატიკური, რადგან ისინი შეიძლება გამოჩნდნენ და გაქრნენ, გაიზარდონ ან შემცირდნენ. ტერმინი „საწარმოს უსაფრთხოება“ გულისხმობს მისი სასიცოცხლო ფუნქციების (ინტერესების) დაცვას გარე და შიდა საფრთხეებისგან,

ინდივიდის, საზოგადოებისა და სახელმწიფოს ინტერესებს შორის ბალანსის არსებობის დროს.

საწარმოს უსაფრთხოება არის პირობებისა და ფაქტორების ერთობლიობა, რომელიც საფრთხეს უქმნის მის სასიცოცხლო ინტერესებს. ეფექტური უსაფრთხოების სისტემის შექმნა დამოკიდებულია პრობლემების გადაჭრის სისტემატური მიდგომის პრინციპების დანერგვის სისრულეზე.

ცნება „უსაფრთხოება“ გამოიყენება საქმიანობის თითქმის ყველა სფეროში. საწარმოების ეკონომიკური უსაფრთხოება მჭიდროდ არის დაკავშირებული პროდუქციის წარმოებასთან, სამუშაოს შესრულებასთან და მომსახურების გაწევასთან. მთელი ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობა დამოკიდებულია საწარმოების მუშაობის ეფექტურობაზე.

საწარმოს ეფექტურობის დაქვეითება გარკვეულ საფრთხეს წარმოადგენს თითოეული კონკრეტული საწარმოს გუნდისთვის. ის, როგორც ეკონომიკის მთავარი ელემენტი, ასრულებს არა მხოლოდ საწარმოო ფუნქციას, არამედ ეკისრება სოციალური ტვირთი და პასუხისმგებლობა.

საწარმოს საქმიანობა თანამედროვე ეკონომიკურ პირობებში ძალზე რთულია და ასოცირდება არა მხოლოდ ეკონომიკის ზოგად კრიზისულ მდგომარეობასთან, არამედ მთელ რიგ სპეციფიკურ ფაქტორებთან, რომლებიც ზრდის ეკონომიკური საფრთხეების გააქტიურებას. ამ ფაქტორებს შორის ყველაზე მნიშვნელოვანია შემდეგი:

1. ბაზრის მონოპოლიზაციის ხარისხი; 2. სახელმწიფო ორგანოების მხრიდან საწარმოზე მნიშვნელოვანი ზეწოლის შენარჩუნება (მაგალითად, ლიცენზირების, დაბეგვრის სფეროებში); 3. ბიზნესის კრიმინალიზაცია და ტრანზაქციების გამოყენება კრიმინალური სტრუქტურების მიერ „ბინძური“ ფულის გათეთრებისა და საზღვარგარეთ გატანის მიზნით; 4. სოციალური პრობლემები (მოსახლეობის დაბალი შემოსავლის დონე, უმუშევრობა, პერსონალის ხშირი ცვლილება) ამცირებს პასუხისმგებლობის ხარისხს და ზრდის უკანონო ქმედებებისკენ მიდრეკილ მუშაკთა ალბათობას; 5. არასრულყოფილი კანონმდებლობა და სხვადასხვა ძალოვანი სტრუქტურების ერთიანობისა და ურთიერთშეთანხმების

ნაკლებობა; 6. ეკონომიკური უსაფრთხოების დაცვის განუვითარებელი მეთოდები და გამოცდილი სპეციალისტების ნაკლებობა.

საწარმოები მუდმივად ადაპტირებენ საკანონმდებლო ბაზის არასრულყოფილებას; კვალიფიციური მუშაკების ნაკლებობას; საწარმოო ტექნიკის ცვეთას; საბრუნავი კაპიტალის დეფიციტს; სახელმწიფოს მკაცრ მონეტარულ და საგადასახადო პოლიტიკას; პარტნიორების გადახდისუუნარობას და სხვ.

საწარმოს ეკონომიკურ განვითარებას მნიშვნელოვან საფრთხეს უქმნის: საზოგადოების მრავალი სფეროს კრიმინალიზაცია; თანამდებობის პირების კორუფცია და მათის სტრუქტურების აგრესიულობა. ზოგადად, საწარმოს ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფა მოიცავს:

- საწარმოს მაღალ ფინანსურ ეფექტურობას, დამოუკიდებლობას და მდგრადობას;

- ტექნოლოგიური ბაზის განვითარებას და კონკურენტუნარიანობას;

- საწარმოს მენეჯმენტის მაღალ დონეს;

- გარემოსდაცვითი სტანდარტების დაცვის უზრუნველყოფას;

- საქმიანობის ყველა სფეროს სამართლებრივი რეგულირების ეფექტურ მექანიზმს;

- საწარმოს ინფორმაციული უსაფრთხოების უზრუნველყოფას; საწარმოს თანამშრომლების, ასევე მათი ქონებრივი და პროფესიული ინტერესების უსაფრთხოების გარანტიებს.

მიღებული ინფორმაციის საფუძველზე უნდა შემუშავდეს საწარმოს ეკონომიკური უსაფრთხოების სისტემა, რომელიც მოიცავს შემდეგ ბლოკებს:

ბლოკი 1. პრობლემური სიტუაციის აღწერა: გარემოს მდგომარეობის შეფასება; საწარმოს მდგომარეობის ანალიზი: რესურსების პოტენციალი; ობიექტების დაცვის ხარისხი; ადამიანური რესურსების საიმედოობა; ფუნქციური კომპონენტების მდგომარეობა (ფინანსური, საკადრო და ინტელექტუალური, სამართლებრივი, საინფორმაციო და ა.შ.); საფრთხისა და საფრთხეების იდენტიფიცირება; საფრთხისა და საფრთხეების წარმოშობის ფაქტორების განსაზღვრა; ინდივიდუალური საფრთხეების შედეგების პროგნოზირება და შესაძლო ზიანის გამოთვლა.

ბლოკი 2. სამიზნე ინსტალაციის განსაზღვრა: პოლიტიკის, სტრატეგიისა და უსაფრთხოების მიზნების განსაზღვრა; ამოცანების დასახვა, რომლებიც ხელს უწყობს მიზნის მიღწევას და შემუშავებული პოლიტიკისა და არჩეული ტიპის სტრატეგიის განხორციელებას.

ბლოკი 3. საწარმოს ეკონომიკური უსაფრთხოების სისტემის აგება: საწარმოს უსაფრთხოების სისტემის ფუნქციების განსაზღვრა და იმ პრინციპების არჩევა, რომლებზედაც იგი აგებულია; უსაფრთხოების სისტემის ობიექტების, ფუნქციებისა და პრინციპების განსაზღვრა და მათი უსაფრთხოების ანალიზი; უსაფრთხოების ორგანოებისა და უსაფრთხოების მექანიზმების შექმნა; საწარმოს უსაფრთხოების სისტემის მართვის სტრუქტურის შექმნა.

ბლოკი 4. მეთოდოლოგიური ინსტრუმენტების შემუშავება საწარმოს ეკონომიკური უსაფრთხოების მდგომარეობის შესაფასებლად: ეკონომიკური უსაფრთხოების მდგომარეობის ფუნდამენტური კრიტერიუმებისა და მაჩვენებლების განსაზღვრა; საწარმოს ეკონომიკური უსაფრთხოების მდგომარეობის შეფასების მეთოდების არჩევანი; ეკონომიკური რისკის ანალიზის მეთოდების სისტემის ფორმირება.

ბლოკი 5. ძალების და უსაფრთხოების საშუალებების გაანგარიშება: მატერიალური, ტექნიკური, ენერგეტიკული და სხვა რესურსების, დაცვის საშუალებების საჭიროების გაანგარიშება; ადამიანური რესურსების საჭიროებისა და მათი შენარჩუნების ღირებულების განსაზღვრა და შრომის სტიმულირება; საწარმოს უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად აუცილებელი ფინანსური ხარჯების განსაზღვრა; საჭირო ხარჯების შედარება საფრთხეების ზემოქმედებით შესაძლო ზიანთან.

ბლოკი 6. ღონისძიებების შემუშავება საწარმოს უსაფრთხოების სისტემის ძირითადი დებულებების განსახორციელებლად: სისტემის დანერგვისათვის აუცილებელი და საკმარისი პირობების განსაზღვრა; სისტემის რესურსების მხარდაჭერის წყაროების მოძიება; დაცვის სამსახურის სტრუქტურული ერთეულების სტრატეგიული გეგმისა და სამუშაო გეგმების შემუშავება; დაცვის სამსახურის შექმნა; დაცვის ტექნიკური საშუალებების შექმნა; კონტროლი ეკონომიკური უსაფრთხოების სისტემის ძირითადი დებულებების

ბების შესრულებაზე; საწარმოს უსაფრთხოების სისტემის განვითარება.

**ბლოკი 7.** დასკვნები საწარმოს ეკონომიკური უსაფრთხოების სისტემის შემუშავებისა და დანერგვის აუცილებლობისა და მისი გამოყენების ეფექტურობის შესახებ: სისტემის შესაბამისობა მიზნებთან და ამოცანებთან; რესურსების შესაბამისობა მიზნებისა და ამოცანების განსახორციელებლად; შესრულებული ამოცანების შესაბამისობა სისტემის მიზნებთან; სისტემის ეფექტურობის შეფასება. ამ სფეროების უზრუნველსაყოფად გამოყენებული უნდა იქნეს დაგეგმვის სისტემა, უპირველეს ყოვლისა, სტრატეგიული გეგმა, რომელშიც: დადგენილია რაოდენობრივი მაჩვენებლები საწარმოს ფუნქციური კომპონენტებისა და ზოგადად ეკონომიკური უსაფრთხოების მდგომარეობის უზრუნველსაყოფად; რესურსების საჭიროების განსაზღვრა.

საწარმოს განვითარების მდგომარეობისა და დინამიკის მონიტორინგი უზრუნველყოფს დროულ გაფრთხილებას მოსალოდნელი საფრთხის შესახებ და საჭირო დაცვისა და კონტროლშემდგომების მიღებას. მონიტორინგის ძირითადი მიზნებია: საწარმოს განვითარების მდგომარეობისა და დინამიკის შეფასება; უარყოფითი ტენდენციების, პროცესების, მიზეზების, წყაროების, ბუნების, საწარმოს პოტენციალზე უარყოფითი ფაქტორების ზემოქმედების ინტენსივობის იდენტიფიცირება; უარყოფითი ფაქტორების შედეგების პროგნოზირება; საწარმოს საფრთხეების შემცირების ან აღმოფხვრის ღონისძიებების ანალიტიკური შესწავლა და შემუშავება. მონიტორინგის დროს უნდა მოქმედებდეს ობიექტის მდგომარეობის უწყვეტი მონიტორინგის პრინციპი მისი პოტენციალის განვითარების ფაქტორული მდგომარეობისა და ტენდენციების, ასევე ეკონომიკის ზოგადი განვითარების, პოლიტიკური სიტუაციისა და ქმედებების გათვალისწინებით.

## **დასკვნა**

ეკონომიკური საფრთხეები (განსაკუთრებით კრიზისები) თავიდან რომ იქნეს აცილებული, მთავრობამ უნდა შეასრულოს არა მხოლოდ ეკონომიკის ოპერატიული მარეგულირებლის ფუნქცია, არამედ უნდა შეაფასოს მოსალოდნელი საფრთხეები და

თავიდან აიცილოს ეკონომიკაში უარყოფითი პროცესების წარმოშობა.

თანამედროვე ეტაპზე შეიძლება ერთმანეთისაგან განვასხვავოთ არაეკონომიკური და ეკონომიკური ხასიათის გლობალური საფრთხეები.

განვითარებადი ქვეყნების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრობლემაა მათი ურთიერთობები განვითარებულ ქვეყნებთან, ვინაიდან ცხოვრების დონე მათ შორის ერთმანეთისაგან ძლიერ განსხვავდება, ამიტომაც წარმოიშობა სხვადასხვა პრობლემა, რომელთაც აქვთ გლობალური ხასიათი. მაგალითად, განვითარებადი ქვეყნებიდან განვითარებულ ქვეყნებში მასშტაბური იძულებითი მიგრაცია, საგარეო ვალის გადაუხდელობა, ინფექციური დაავადებების მსოფლიოში გავრცელების საფრთხე და სხვა.

თანამედროვე მსოფლიოში ჯერ კიდევ არსებობს ისეთი ქვეყნები, სადაც განათლების დონე ძალიან დაბალია, რაც მნიშვნელოვნად აფერხებს მსოფლიო ეკონომიკის განვითარებას.

ეკონომიკური განვითარების გლობალურ საფრთხეებს ასევე წარმოადგენს: საერთაშორისო ტერორიზმი; ნარკობიზნესი; ეთნოპოლიტიკური კონფლიქტები; ადამიანთა უფლებების და თავისუფლების დაცვა; კულტურულ მრავალფეროვნებათა შენარჩუნება; კიბერუსაფრთხოება და სხვა.

ეკონომიკური უსაფრთხოებისათვის აუცილებელია მსოფლიოში არსებული მნიშვნელოვანი ალტერნატიული რესურსების ძიება.

სასურსათო უსაფრთხოება არის კაცობრიობის ერთ-ერთი უძველესი გლობალური პრობლემა, რომლის ყველაზე მძიმე შედეგია შიმშილი. რისთვისაც საჭიროა მეცნიერების თანამედროვე მიღწევების (სურსათის წარმოების და მიწის ნაყოფიერების გადიდება, ზღვებისა და ოკეანეების ბიოლოგიური რესურსები, გენეტიკისა და სელექციის მიღწევები, პირუტყვის უფრო მწარმოებლურ ჯიშთა გამოყვანა და სხვა) სრულყოფილი გამოყენება.

საწარმოს ეკონომიკური უსაფრთხოება არის საწარმოს მდგომარეობის ისეთი მახასიათებელი, რომელშიც მას შეუძლია მიაღწიოს მიზნებსა და შედეგებს გარე და შიდა გარემოში. აბსოლუტური ეკონომიკური უსაფრთხოება არ არსებობს. მისი მიწოდება შესაძლებელია მხოლოდ გარკვეულ პირობებში. მაგალი-



თად, პროდუქტებზე, ნედლეულზე, ენერგორესურსებზე ფასების უეცარი ცვლილებით, ხელფასების უეცარი ზრდით, ახალი კანონმდებლობის მოულოდნელი შემოღებით, სხვა სახელმწიფოების გაუთვალისწინებელი სანქციებით შეუძლებელია საწარმოს ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფა, თუ აღნიშნული ქმედებები იწვევს მოგების მკვეთრ შემცირებას ან გაკოტრებას.

აღსანიშნავია, რომ საწარმოს გააჩნია შიდა გარემო, რომელიც განსაზღვრავს მის მდგომარეობას, და გარე გარემო, რომელიც გავლენას ახდენს მისი საქმიანობის შედეგებზე. ამრიგად, არსებობს მენეჯმენტის გარკვეული პირობები, რომლებზეც მას შეუძლია გავლენა მოახდინოს, ხოლო დანარჩენზე კი მნიშვნელოვან გავლენას ვერ მოახდენს. მაგალითად, საწარმოს ეკონომიკური უსაფრთხოება არ შეიძლება უზრუნველყოფილი იყოს ფორს-მაჟორული მოვლენების შემთხვევაში, როგორცაა ბუნებრივი კატასტროფები, ტექნოგენური კატასტროფები, ომები, გაფიცვები, რევოლუციები და ა.შ. ამიტომ საწარმოს ეკონომიკური უსაფრთხოების შეფასების კრიტერიუმად შეიძლება გამოდგეს დაგეგმილი შედეგებისა და მიზნების მიღწევის ხარისხის შეფასება. ამ მხრივ შეიძლება გამოიყოს ქონებრივი მდგომარეობის ორი კომპონენტი და მისი გამოყენების შესახებ ეკონომიკური გადაწყვეტილებები.

საწარმოს საქმიანობა განისაზღვრება შემოსავლით, რომელსაც იგი იღებს თავისი საქმიანობიდან:

- მფლობელი (დივიდენდები);
- პარტნიორები (გადახდები მიწოდებულ მასალებზე, კომპონენტებზე, ენერგორესურსებზე);
- კლიენტები (კომპანიის პროდუქციით ვაჭრობა);
- პერსონალი (შრომის ანაზღაურება);
- სახელმწიფო (გადასახადები).

თუ შემოსავლის ოდენობა საკმარისია ზემოაღნიშნული მხარეების იდეების მიხედვით აწმყოსა და მომავალში, მაშინ შეიძლება ვისაუბროთ საწარმოს საკმარის ეკონომიკურ უსაფრთხოებაზე.

ამრიგად, საწარმოს ეკონომიკური უსაფრთხოების მდგომარეობის მიღწევის გზა განისაზღვრება აწმყოსა და მომავალში, საქმიანობის პირობების შესაძლო ცვლილების საფუძველზე, ვალდებულებების დროული შესრულებით, აქვე ხაზგასმით უნდა

მივუთითოთ, რომ ქონების შენარჩუნება აუცილებელია და მისი ეფექტური გამოყენება საწარმოს ეკონომიკური უსაფრთხოების საკმარისი პირობაა.

უსაფრთხოების განმარტებაზე დაყრდნობით უნდა:

- დადგინდეს დაგეგმილი შედეგები;
- განისაზღვროს მენეჯმენტის ფუნქციები, უფლებამოსილებები და პასუხისმგებლობის ხარისხი;
- შევისწავლოთ ინვესტიციების მიმართულება და გამოიყოს საჭირო რესურსები;
- გაკონტროლდეს ხარჯები.

ამრიგად, საფრთხეებთან ბრძოლაზე დაფუძნებული მიდგომა აშკარად უფრო დაბალი ეფექტურობის უნდა იყოს, ვიდრე საკუთრების შენარჩუნებასა და მისი გამოყენების ეფექტურობაზე დამყარებული მიდგომა.

საწარმოს ეკონომიკური უსაფრთხოება, საქმიანობის მრავალფეროვნების გამო, აერთიანებს რამდენიმე კომპონენტს და შესაბამისად მას უნდა ჰქონდეს იერარქიული სტრუქტურა. გარკვეული კრიტერიუმის მიხედვით, უსაფრთხოება შეიძლება იყოს: ეკონომიკური, ფინანსური, კომერციული, საინფორმაციო, საკადრო, ფსიქოლოგიური, ფიზიკური, სახანძრო და ა.შ. თითოეულ ჩამოთვლილ ტიპს უნდა გააჩნდეს თავისი სტრატეგია, თავისი ორგანიზაციული, ტექნოლოგიური და ეკონომიკური ინსტრუმენტები, რომლებიც უზრუნველყოფენ მის განხორციელებას.

### **გამოყენებული ლიტერატურა**

1. აბესაძე რ., ბიბილაშვილი ნ. გლობალური ეკონომიკური უსაფრთხოება. ეკონომიკური უსაფრთხოების გლობალური და ეროვნული პრობლემები. თსუ პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის ინტერნეტკონფერენციის მასალათა კრებული, თბილისი, 2018;
2. ასათიანი რ. გლობალიზაცია, ეკონომიკური თეორია და საქართველო. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია, შრომების კრებული, თბ., 2010;
3. ასათიანი რ. მსოფლიო ეკონომიკური კრიზისი და ეკონომიკური თეორიის მეინსტრიმი. ჟურნალი სოციალური ეკონომიკა. სპეც.№1. თბილისი. 2011;

4. ბაქრაძე გ. „2007-2008 წლის გლობალური ფინანსური კრიზისი: მიზეზები და ინტერპრეტაციები“; [https://www.nbg.gov.ge/uploads/journal/2014/2014\\_2/1.pdf](https://www.nbg.gov.ge/uploads/journal/2014/2014_2/1.pdf)
5. წერეთელი ზ. ბიზნესის როლი ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფაში. ეკონომიკური უსაფრთხოების გლობალური და ეროვნული პრობლემები. თსუ პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის ინტერნეტ კონფერენციის მასალათა კრებული, თბილისი, 2018;
6. წერეთელი ზ. სასურსათო უსაფრთხოება, როგორც ძირითადი გლობალური პრობლემა. საქართველოსა და სხვა პოსტკომუნისტურ ქვეყნებში არსებული ეკონომიკური პრობლემები და მათი გადაჭრის გზები, თსუ პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის ინტერნეტკონფერენციის მასალათა კრებული (01.11.2019 – 28.12.2019). თბილისი, 2019;
7. International security. 2018 [https://en.wikipedia.org/wiki/International\\_security](https://en.wikipedia.org/wiki/International_security)
8. Коновалов А. А., Наумов С. А., Колесникова Д. Д. 2018. Киберпреступность как глобальная угроза экономической безопасности: БЕЗОПАСНОСТИ: Виды, особенности, проблемы противодействия <http://rostjournal.ru/?p=2740>
9. Лапина Н. В. 2016. История возникновения науки о международной экономической безопасности государства <https://moluch.ru/conf/econ/archive/217/10923/> (дата обращения: 20.10.2018).
10. Назаренко А. В. 2014. Национальная и международная безопасность: концепции и реалии в XX - начале XXI вв. (Историко-политологический анализ). <http://www.dslib.net/politinstituty/nacionalnaja-i-mezhdunarodnaja-bezopasnost-konceptii-i-realii-v-xx-nachale-xxi-vv.html>
11. Международной к глобальной безопасности; <http://dfnc.ru/arhiv-zhurnalov/c129-2012-1-18/ot-mezhdunarodnoj-k-globalnoj-bezopasnosti/>
12. Проблема безопасности и мира, как центральная глобальная проблема 2015. <https://textbooks.studio/mirovaya-ekonomika-uchebnik/problema-bezopasnosti-mira-kak-tsentralnaya-25762.html>
13. Якунина М.В., Крутиков В.К., Посыпанова О.С. Модернизация и безопасность региона. Калуга: ИП Якунин А.В. 2015;

14. Агеев С.В. Приоритетная поддержка малого и среднего бизнеса как важнейший фактор экономической безопасности страны//Нац. интересы: приоритеты и безопасность.–2010.–N18.
15. Ворожихин В.В. Об определении экономической безопасности в условиях глобализации // Безопасность бизнеса. 2014. № 3..
16. Имамов М.М. Угрозы экономической и финансовой безопасности формирования инновационной сферы в России в условиях мировой экономической глобализации // Бизнес в законе. 2011. № 3.
17. Григорьева Е.А. Социально-экономические индикаторы экономической безопасности России // Актуальные проблемы экономики и права. 2011. № 2
18. Климонова А.Н., Юрина Е.А. Экономическая безопасность в условиях глобализации: угрозы и возможности // Социально-экономические явления и процессы. 2014. Т. 9. № 9.

*Zurab Tsereteli*

## **GLOBAL ECONOMIC THREATS AND THEIR INFLUENCE ON THE STABILITY OF ECONOMIC DEVELOPMENT IN THE ENTERPRISE**

### **Summary**

The relevance of this topic is due to the need for creating an effective enterprise management system, which is based on the formation of a mechanism for its sustainable development and can be used as a mechanism of economic security of the enterprise. The current economic situation created in the world, which has led to increase in economic instability, a significant reduction in the possibility for sustainable development of economics, is especially important issue. In these regards, enterprises need a constant monitoring, a full assessment of the impact of internal and external factors in the working process of enterprise. At the current stage of economic development, more attention is paid to the issue of ensuring economic security of the entire national economics. The stability in development the national economy depends on stability of all levels in the development an economic security of territories and enterprises. The level of economic security of the concrete enterprise depends on how effectively its managerial staff (managers) and other specialists can prevent possible threats and eliminate the consequences of negative effects of the internal and external factors. The paper presents global economic threats and their impact on the stability of enterprise's sus-

tainable economic development. It is visible the activities that are needed to solve the problem of neutralizing these threats and for trying to find ways that can affect the stable development of enterprise economy.

**Key words:** global, economic threats, enterprise stability, economic security, food security, pandemic, economic crisis.

*ღია დეალიშვილი*

**გლობალური ეკოლოგიური საფრთხეები და მისი ეროვნულ ეკოლოგიურ უსაფრთხოებაზე გავლენის თეორიული საკითხები (კლიმატის ცვლილება)**

*ანოტაცია.* ნაშრომში მიმოხილულია კლიმატის ცვლილების, როგორც ერთ-ერთი გლობალური საფრთხის, მის მიერ გამოწვეული კატასტროფებისა და სტიქიური მოვლენების შესახებ.

აღნიშნულია კლიმატის ცვლილებით გარემოზე ზეგავლენის შედეგებისა და მასშტაბების, შეცვლილი ბუნებისა და ეკოსისტემების, „სათბურის ეფექტით“ გამოწვეული მავნე შედეგების ინტენსივობის თაობაზე. ეკოლოგიური საფრთხეების შემცირებისა და მათი შედეგების შემსუბუქების საკითხებში საბაზისო გადაწყვეტილებების შესახებ.

გამოკვეთილია კლიმატის რყევაზე მოსახლეობის ეკონომიკურ-სოციალური განვითარების დამოკიდებულება, კლიმატის ცვლილებებიდან გამომდინარე გარკვეული პროგნოზების მოცემულობა. საქართველოს ტერიტორიაზე ცალკეული სტიქიური მოვლენისა თუ კატასტროფის ამსახველი მდგომარეობის შეფასება.

მითითებულია პრობლემის მოგვარების გზაზე თითოეული ჩვენგანის როლისა და ფუნქციური მონაწილეობის განსაზღვრაზე. განსაკუთრებით გამოკვეთილია სამთავრობო უწყებების მიერ დაგეგმილი და განხორციელებული ღონისძიებების ჰარმონიული ერთობლიობის თაობაზე.

**საკვანძო სიტყვები:** კლიმატის ცვლილება, ეკოლოგიური უსაფრთხოება, მსოფლიო კლიმატი, გლობალური დათბობა, კლიმატური

*ზონა, გლობალური პრობლემები, კლიმატური პარამეტრები, სათბურის ეფექტი.*

\*\*\*\*

ეკონომიკური უსაფრთხოება ეკონომიკური სისტემის ფუნქციონირების ხარისხის განმაზოგადებელი მაჩვენებელია. ეკონომიკური უსაფრთხოების პრობლემა ნებისმიერ პერიოდში იყო ყურადღების ცენტრში, მაგრამ განსაკუთრებულ აქტუალობას XXI საუკუნეში იძენს, რასაც მსოფლიოში მიმდინარე ეკონომიკური მოვლენებისა და პროცესების მთელი კომპლექსი განაპირობებს. მეტ-ნაკლები სიმწვავეთ იგი კომუნისტურ ქვეყნებშიც არსებობდა, მაგრამ XX საუკუნის 90-იანი წლებიდან მოყოლებული, აღნიშნულ ქვეყნებში, ეკონომიკური სისტემის შეცვლასთან დაკავშირებით, სოციალურ-ეკონომიკურ სფეროში წარმოქმნილმა რადიკალურმა პროცესებმა ეს პრობლემა არა მხოლოდ წინა პლანზე წამოსწია, არამედ ახალი შინაარსიც შესძინა.

ეკონომიკური უსაფრთხოება უშუალოდაა დაკავშირებული ეკონომიკის სტაბილურ განვითარებასთან, ინკლუზიური ეკონომიკური ზრდის პრობლემებთან. იგი იცავს ეროვნულ ეკონომიკას (როგორც საბაზრო, ისე არასაბაზრო სექტორებს) იმ შიდა და გარე ნეგატიური ფაქტორებისგან, რომლებიც საფრთხეს უქმნიან ეკონომიკის მდგრად განვითარებას, რესურსული და ტექნოლოგიური პოტენციალის შენარჩუნებას, აქედან გამომდინარე კი, ქვეყნის ეკონომიკური დამოუკიდებლობისა და სახელმწიფოებრიობის განმტკიცებას.

ქვეყნის ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფაზე არაპირდაპირი გზით უდიდეს გავლენას ახდენს ბუნებათსარგებლობის პრობლემები. ეკოლოგიური უსაფრთხოება უკავშირდება არა მხოლოდ საზოგადოების სასიცოცხლო ინტერესების დაცვას იმ შიდა და გარე უარყოფითი ეფექტებისგან, ექსტერნალიებისგან, რომლებიც საფრთხეს უქმნიან ქვეყნის ეკონომიკური სისტემის მყარ ფუნქციონირებას, არამედ, უარყოფით გავლენას ახდენენ დემოგრაფიულ პროცესებზე და, გარკვეული თვალსაზრისით, არყევენ ქვეყნის სახელმწიფოებრიობას.

გლობალური მნიშვნელობის ეს პრობლემა მსოფლიოს ეკონომიკური უსაფრთხოების შემადგენელი ნაწილი და ზოგადსაკა-

ცობრიო პრიორიტეტული მიმართულებაა. მისი სიმწვავე კიდევ უფრო გააძლიერა საზოგადოების გარემოზე ზემოქმედების ამჟამინდელმა მასშტაბებმა, რამაც რეალური საფრთხის წინაშე დააყენა მსოფლიოს განვითარება.

XX-XXI საუკუნეების მიჯნაზე პლანეტის მოსახლეობის უდიდესი ნაწილისათვის ბუნების სტიქიური კატასტროფებისგან დაცვა, სამეურნეო-საინჟინრო ობიექტების უსაფრთხო ფუნქციონირება და გარემოს მდგრადი მდგომარეობის უზრუნველყოფა უმნიშვნელოვანესი სოციალურ-ეკონომიკური, პოლიტიკური და ეკოლოგიური პრობლემა გახდა. შესაბამისად კაცობრიობა უამრავი პრობლემის წინაშე დგას. ყველაზე მნიშვნელოვანი ის გამოწვევებია, რომლებიც ადამიანის უპირველესს უფლებას და ღირებულებას, სიცოცხლეს ემუქრება. ეს არის კატასტროფების დროსა და სივრცეში გაზრდა და გაძლიერება. სიცოცხლე ადამიანის ხელშეუვალი უფლებაა და მას იცავს კანონი. (საქართველოს კონსტიტუცია - მუხლი 10).

ადამიანისა და ბუნების ურთიერთობამ ბოლო პერიოდში აშკარად კონფლიქტური ხასიათი მიიღო, წარმოიშვა გლობალურ-ეკოლოგიური კრიზისი და ეკოლოგიური კატასტროფის საფრთხე. შეიქმნა სიტუაცია, როდესაც ადამიანი მკვეთრად შეიგრძნობს მის მიერ დაზიანებული ბუნების უარყოფით ზემოქმედებას (ბუმერანგის კანონი).

„ეკოლოგიური კრიზისის“ ცნების ყოვლისმომცველი მეცნიერული განმარტება მოცემული აქვს ცნობილ მეცნიერ-ეკოლოგს ნ.რეიმერსს(1992): „ეკოლოგიური კრიზისი ეს არის კაცობრიობას და ბუნებას შორის ურთიერთობის დამაბული მდგომარეობა, რომელიც ხასიათდება საწარმოო ძალების და წარმოებით ურთიერთობათა განვითარების შეუსაბამობით ბიოსფეროს სარესურსო-ეკოლოგიურ შესაძლებლობებთან. იგი ხასიათდება არა იმდენად ბუნებაზე ადამიანის ზემოქმედების გაძლიერებით, არამედ (და ამას განსაკუთრებით უნდა გაესვას ხაზი) ადამიანის მიერ შეცვლილი ბუნების საზოგადოებრივ განვითარებაზე მკვეთრი გაძლიერებით“, ანუ თვით გეოგრაფიული გარემო საშიში ხდება ადამიანთა სიცოცხლისათვის. (3)

ადამიანთა საზოგადოების საქმიანობა, რომელიც წარმოების მოცულობაზეა მიმართული, მძიმე გავლენას ახდენს ბუნებაზე და

არახელსაყრელ ეკოლოგიურ შედეგებებს იწვევს-ერთის მხრივ რესურსების ამოწურვას და , მეორე მხრივ, ბუნებრივი გარემოს გაუარესებას. ძირითადი ეკოლოგიური პრობლემების რიცხვს მიეკუთვნება: კლიმატის შეცვლა; ოზონის შრის ამოწურვა; ტოქსიკური დაბინძურება; ნიადაგის მჟავიანობის გაზრდა; ქალაქებში გარემოს ხარისხის გაუარესება; საფრთხის შექმნა ბიომრავალფეროვნებისთვის და კულტურული ლანდშაფტებისთვის; წყლის, ტყის და თევზის რესურსების ხარისხის და ოდენობის ამოწურვა; ნიადაგის დეგრადაცია (ეროზია, გაუდაბნობა, დამლაშება). მაგალითად, დღეისთვის მსოფლიო ტყეების ნახევარი გაჩეხილია, დარჩენილი ტყეების 30% არადაამაკმაყოფილებელ მდგომარეობაშია. 1950-იანი წლებიდან გლობალური მოთხოვნა წყალზე 3-ჯერ გაიზარდა; გრუნტის წყლების მოცულობა და ხარისხი უარესდება, რაც წყლის გაუმართლებლად მაღალი ამოქაჩვით, სასუქების და პესტიციდების ჩადინებით და სამრეწველო ნარჩენების გაჟონვით აიხსნება. მსოფლიოში მოსახლეობა, რომელიც წყლის რესურსების დეფიციტს განიცდის, 0,5 მლრდ. ადამიანს შეადგენს, 2025 წლისთვის მათი რიცხვი, შესაძლოა, 2,4-3,4 მლნ. ადამიანამდე გაიზარდოს. მყარი საწვავის მოხმარების შედეგად ნახშიროჟანგის დონე დღეს 18%-ით უფრო მეტია, ვიდრე 1960 წელს და 31%-ით მეტი ვიდრე 1750 წელს (ანუ სამრეწველო რევოლუციის დასაწყისში) იყო. რეგიონული და გლობალური დათბობა იწვევს ყინულის მასების დადნობას და ოკეანეების ფართობების ზრდას, რის შედეგად ზღვის დონე 10-12 სმ-ით აიწევს. ცოცხალ ორგანიზმებში გროვდება მდგრადი ორგანული და ტოქსიკური დაბინძურება. მრავალი სახეობა სამუდამოდ გაქრა, დეგრადაციას მთლიანად ეკოსისტემები განიცდიან. გარდა ამისა, საზოგადოებრივი და ბუნებრივი სისტემები ძალზე მგრძობიარეა ბუნებრივი და ანტროპოგენური სტიქიური უბედურებების და კატასტროფების მიმართ.

ბუნებრივი გლობალური ეკოლოგიური პრობლემები (ეკოლოგიური კრიზისი) მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში განსხვავებული სიმწვავეითაა გამოხატული. მისი გამომწვევი ფაქტორებია: ფიზიკურ-გეოგრაფიული, სოციალურ-ეკონომიკური და სარესურსო ფაქტორები. ჩამოთვლილი ფაქტორების ერთობლიობა ქმნის განსაზღვრულ ეკოლოგიურ-გეოგრაფიულ სიტუაციას.



მსოფლიოში და ცხადია საქართველოშიც ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული სიტყვათა წყობა გახლავთ „ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური განვითარება“. ამ სამი კომპონენტის არსებობისა და განვითარების მიზეზიც რეალურად ადამიანია. ადამიანი, რომელიც ერთდროულად მონაწილეობს, როგორც სოციუმისა და ეკონომიკის, ასევე პოლიტიკის ფორმირებაში. თუმცა, ამ ყველა კომპონენტის თვისობრივი და რაოდენობრივი ხასიათი დამოკიდებულია სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან მოცემულობაზე, როგორიცაა ქვეყნის ფიზიკურ-გეოგრაფიული თავისებურება.

დღეს მსოფლიოში მიმდინარე გლობალიზაციის პროცესში გლობალური პრობლემების როლი და გავლენა ამა თუ იმ ქვეყნის განვითარებაზე არსებითია და უმრავლეს შემთხვევაში არაპოზიტიური კონტექსტით აისახება. სწორედ ასეთი გლობალური პრობლემა კლიმატის ცვლილება, რომელიც იწვევს სხვადასხვა ბუნებრივი სტიქიური მოვლენის ჩამოყალიბებას და რიგ შემთხვევებში კატასტროფების განვითარებას. ერთ-ერთი ავტორიტეტული საერთაშორისო ორგანიზაციის (WorldWatch Institute) მონაცემების მიხედვით 1980-იან წლებში საშუალოდ ბუნებრივი კატასტროფების წლიური მაჩვენებელი 300 იყო. 1980-იან წლებში ეს მაჩვენებელი 480-მდე გაიზარდა, ხოლო ბოლო ათწლეულში 620 მიაღწია. კატასტროფებით გამოწვეული დანაკარგები მსოფლიოში იზრდება სხვადასხვა ფაქტორთა გამო. მათ შორის ერთ-ერთია კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული ამინდის ექსტრემალური შემთხვევების რაოდენობის ზრდა. ბუნებრივი საფრთხეებით გამოწვეული კატასტროფები აისახება ნეგატიურად ქვეყნებისა და მათი მოსახლეობის სტაბილური სოციალურ-ეკონომიკური ცხოვრების მოშლაზე.

კლიმატის ცვლილება, ცხადია პროცედურულად ბუნებრივი პროცესია, თუმცა თითქმის 95%-იანი წილით ის გამოწვეულია ადამიანთა აქტივობით. როგორც ახალი კონცეპტუალური გამოწვევა დაფიქსირდა წინა საუკუნის შუა წლებში, როდესაც გამოიკვეთა მსოფლიოს საშუალო წლიური ტემპერატურის არაჯეროვანი და არარელევანტური ზრდა. მნიშვნელოვანია ავლნიშნოთ, რომ დედამიწაზე გახშირებული ბუნებრივი საფრთხეებით გამოწვეული კატასტროფების უმთავრესი და ყველაზე მნიშვნელოვანი მი-

ზეზი მსოფლიო კლიმატის ცვლილებაა, რომელსაც ჩვეულები-სამებრ ათწლეულები ან უფრო ხანგრძლივი პერიოდი სჭირდება.

კლიმატის ცვლილება წარმოადგენს დროში და დედამიწის სხვადასხვა რეგიონში ამინდის საშუალო ცვალებადობას, რასაც თან ახლავს ტემპერატურის, ქარისა და ნალექების საშუალო რაოდენობის მაჩვენებლების ცვლილება.

ყველაზე მძლავრი სასათბურე აირებია: წყლის ორთქლი, ნახშიროქსიდები, მეთანი და ოზონი. ზემოთ ჩამოთვლილი აირები იჭერენ მზის ენერჯიას და ინარჩუნებენ სითბოს. რაც მეტია სასათბურე აირები ატმოსფეროში, მით უფრო დიდხანს ინარჩუნებს დედამიწა სითბოს, თუმცა აღნიშნული აირების კონცენტრაციის მატება გახდა დედამიწაზე გლობალური დათბობისა და კლიმატური ცვლილებების მიზეზი.

მართალია კაცობრიობის არსებობის მთელი ისტორიის განმავლობაში კლიმატი იცვლებოდა, თუმცა ეს თანამიმდევრული და დინამიკური პროცესი იყო. გარემოზე ადამიანის უკონტროლო ზემოქმედებამ კი კლიმატის ცვლილების პროცესი დააჩქარა.

ადამიანის მხრიდან გარემოზე განხორციელებული არარაციონალური ქმედებების მიზანი, მასზე მორგებული და მისი ინტერესების შესაბამისი მიზნების განხორციელებაა მათივე კეთილდღეობისთვის. ანუ ბუნებას, ადამიანსა და სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებას შორის არსებობს მიზეზ-შედეგობრივი კავშირები. ამ კავშირების წრეზე კი ადამიანის ქმედება განსაზღვრავს ნეგატიური შედეგების მასშტაბებს. ენერჯის მოხმარებას, ნარჩენების ზრდას, ახალი სამრეწველო ტექნოლოგიების შექმნას და არასწორად წარმოებულ სოფლის მეურნეობას თან ახლავს სხვადასხვა ნივთიერებების და მათ შორის სათბურის გაზების გაფრქვევა ატმოსფეროში, რაც არის გლობალური დათბობის და წლების მანძილზე ჩამოყალიბებული გლობალური კლიმატის და კლიმატური ზონების ცვლილების ძირითადი მიზეზი.

კლიმატის ცვლილება აღიარებულია, როგორც კაცობრიობის წინაშე მდგარი უმწვავეესი გამოწვევა. თანამედროვე საზოგადოების, მეცნიერების შემფოთებას იწვევს ის, რომ გლობალური კლიმატი იცვლება სწრაფად და თანდათან უფრო თბილი ხდება. თუ ქვეყნის ბუნებრივ რესურსებს და ეკონომიკის დარგებს განსაზღვრავს მათ ტერიტორიაზე არსებული კლიმატური პარამეტრები, ამ

კლიმატური პარამეტრების ცვლილება ანუ კლიმატის და კლიმატური ზონების ცვლილება დააყენებს ქვეყნებს მათი ეკონომიკური მიმართულებების შეცვლის საჭიროების წინაშე.

დედამიწაზე სხვადასხვა კლიმატური ზონებია, რომლებიც ხშირად განსაზღვრავენ ქვეყნების განვითარების ეკონომიკურ მიმართულებებს და მნიშვნელოვან გავლენას ახდენენ ეკონომიკის სხვადასხვა სექტორის განვითარებაზე. კლიმატური ზონა ყალიბდება მრავალი წლის (სულ მცირე 30 წლის) განმავლობაში და ამ პერიოდში მისი კლიმატური მახასიათებლების (ტემპერატურის წლიური საშუალო, მაქსიმუმი და მინიმუმი; ნალექების წლიური ჯამი, დღიური მაქსიმუმი და მინიმუმი; ქარის საშუალო სიჩქარე, მაქსიმუმი, მინიმუმი და მიმართულება) საშუალო მნიშვნელობები მუდმივად იცვლება გარკვეულ საზღვრებში. ამ საშუალო მნიშვნელობებს და საზღვრებს დედამიწის სხვადასხვა ნაწილში, ძირითადად განსაზღვრავს მზის რადიაცია, კონკრეტულ ტერიტორიაზე ან მის სიახლოვეს არსებული წყლების მარაგი, ხოლო გლობალური მასშტაბით, კლიმატის ჩამოყალიბებაზე გავლენა აქვს ასევე ატმოსფეროში არსებული ე.წ სათბურის გაზების რაოდენობას.

გლობალური დათბობის შედეგად ადგილი აქვს კლიმატური პარამეტრების საშუალოდ დადგენილი მნიშვნელობების ცვლილებას კონტინენტებზე, წყლებსა და ოკეანეებში, რასაც თან ახლავს ცვლილებები კლიმატურ ზონებში, ტყეებში და სხვა ეკოსისტემებში, ეკონომიკის დარგებში და რაც ყველაზე ყურადსაღებია ამ ცვლილებებს თან ახლავს გახშირებული ექსტრემალური მოვლენები.

ტერმინი „გლობალური დათბობა“, ხშირ შემთხვევაში იხმარება კლიმატის ცვლილებასთან ერთად და ხანდახან ერთი და იგივე მნიშვნელობით, თუმცა როგორც მიანიშნებენ, კლიმატის ცვლილება გლობალური დათბობის შედეგია.

საშუალო გლობალური ტემპერატურის მატება არ ნიშნავს იმას, რომ ყველგან ერთი და იგივე ტემპერატურული მატება იქნება, მაგალითად აშშ-ს აერონავტიკის და კოსმოსური სივრცის კვლევის ეროვნული ადმინისტრაციის (ნასა) (National Aeronautics and Space Administrations-NASA) დედამიწის შემსწავლელი ობსერვატორიის ინფორმაციის თანახმად, ტემპერატურამ ბოლო პე-

რიოდში ჩრდილო-ყინულოვანი ოკეანის ტერიტორიაზე უკვე მოიმატა დაახლოებით 2,5 გრადუსით(9)

მსოფლიო მეტეოროლოგიური ორგანიზაციის (WMO) მონაცემების თანახმად საშუალო გლობალურმა ტემპერატურამ 1880 წლიდან მოიმატა 1,1 გრადუსით.(10)

გლობალური ტემპერატურის 1 გრადუსიან ცვლილებას სერიოზული პრობლემების გამოწვევა შეუძლია დედამიწაზე, მაგალითისთვის წარსულში გლობალური ტემპერატურის 1-2 გრადუსიანმა კლებამ გამოიწვია მცირე გამყინვარება, ხოლო 20 000 წლის წინ როდესაც ტემპერატურა 5 გრადუსით ნაკლები იყო ჩრდილოეთ ამერიკის ძირითადი ნაწილი ყინულით იყო დაფარული. მიუხედავად იმისა, რომ დათბობისა და გამყინვარების ციკლები წარსულშიც არსებობდა მიმდინარე დათბობა დასაფიქრებელია იმიტომ, რომ დედამიწაზე აქამდე არ დაფიქსირებულა გლობალური ტემპერატურის მატების ასეთი სწრაფი ტემპი და არც ამაზე მაღალი საშუალო გლობალური ტემპერატურა.(11)

ტემპერატურის მატება ყველაზე მეტად გავლენას ახდენს მყინვარებზე, სადაც ძალიან ჩქარა მიმდინარეობს ყინულის დნობა: არქტიკის ყინულოვანი საფარი ბოლო 30 წლის განმავლობაში დაახლოებით 10 %-ით შემცირდა; 1912 წლის შემდეგ კილიმანჯაროს მყინვარების 80% დადნა; მყინვარები ჰიმალაის მთათა სისტემაში იმდენად სწრაფად დნება, რომ მეცნიერების დიდი ნაწილის აზრით 2035 წლისთვის მყინვარების ძირითადი ნაწილი სრულებით გაქრება.(13)

სპეციალისტთა შეფასებით ყოველივე ეს კლიმატის ცვლილებით გამოწვეული ექსტრემალური მოვლენებია.

კლიმატის ცვლილების გარემოზე ზეგავლენის შედეგები გამოიხატება არა მარტო მყინვარების და ყინულის ფენის დნობაში, ასევე ოკეანის დონის აწევაში, დატბორვების, წყალდიდობების, ღვარცოფების, მეწყერების, ზვავების, ცუნამების, სხვადასხვა ქარიშხლების გაძლიერებასა და გახშირებაში.

საქართველო, თავისი მდებარეობით, ჰიდროგრაფიული ქსელით და გარემო პირობებით შეიცავს როგორც ზემოთჩამოთვლილი, ისე ანთროპოგენური კატასტროფების საფრთხეებს (სატრანსპორტო და საწამოო ავარიები). ამას ემატება ბუნებრივ რე-

სურსებზე მაღალი ანთროპოგენური ზეწოლა, რაც ქმნის ხელსაყრელ პირობებს კატასტროფების პროვოცირებისთვის.

სპეციალისტთა შეფასებით ბოლო წლებში გახშირებული სტიქიური მოვლენების მიზეზები კლიმატის გლობალურ ცვლილებას უკავშირდება. კვლევებით დასტურდება, რომ კლიმატის ცვლილებას უკვე ადგილი აქვს სამხრეთ კავკასიაში და ის გარკვეულ ნეგატიურ როლს ითამაშებს გარემოსდაცვითი უსაფრთხოების თვალსაზრისით. პროგნოზების თანახმად, კლიმატის ცვლილების შედეგად 2050 წლისთვის საქართველოში ტემპერატურის საშუალო მატება ნავარაუდებია 0,9-1,9 °C-ით, ხოლო 2100 წლისთვის 4,1-5°C-ით. ამასთან, ნავარაუდებია სითბური ტალღების სიხშირისა და ოდენობის ზრდა, ნალექიანობის რეჟიმის ცვლილება, გაუდაბნობა და მიწის რესურსების შემდგომი დეგრადაცია, ზღვის დონის აწევა და სხვა ექსტრემალური მოვლენების გახშირება, რაც ქმნის კლიმატის ცვლილებებისადმი ადაპტაციის ღონისძიებების სასწრაფოდ გატარების აუცილებლობას.(6)

ბუნებრივი ეკოლოგიური საფრთხეებით გამოწვეული კატასტროფების რისკის შემცირება, მათი შედეგების შემსუბუქების გზების ძიებით იყო ნაკარნახევი, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ეგიდით ჩატარებული:

- 2002 წლის იოჰანესბურგის (სამხრეთ აფრიკა) მსოფლიო სამიტი,
- 2005 წლის ჰიოგის (იაპონია) საერთაშორისო კონფერენცია,
- 2015 წლის სენდაის (იაპონია) კონფერენციებზე

მიღებული გადაწყვეტილებები კატასტროფების რისკების შემცირების და მათი შედეგების შემსუბუქების საკითხებში საბაზისო სახელმძღვანელოდ იქნა მიღებული.

ბუნებრივი სტიქიური პროცესები ორი ერთმანეთისგან სრულიად განსხვავებული მოვლენებითა და შედეგებით წარმოგვიდგება:

1. ატმოსფეროში მიმდინარე სამიში მეტეოროლოგიური მოვლენები;
2. დედამიწის ზედაპირზე და მის ქერქში წარმოქმნილი სტიქიური-გეოლოგიური პროცესები.

აქედან გამომდინარე ამ პრობლემების მართვით დაკავებული არიან შესაბამისი პროფესიის სპეციალისტები და ინსტიტუტები.

კლიმატის ცვლილების შედეგად იცვლება ბუნება და ეკოსისტემები, იზრდება ადამიანთა დაავადებების რისკი. ნიშანდობლივია, რომ „სათურის ეფექტით“ გამოწვეული მავნე შედეგების ინტენსივობა ყოველწლიურად მატულობს, რაც კიდევ უფრო მნიშვნელოვანს ხდის პრობლემის მოგვარების აუცილებლობას.

1992 წელს რიო-დე-ჟანეიროში (ბრაზილია) ხელი მოეწერა კლიმატის ცვლილების ჩარჩო კონვენციას, რომელიც გარკვეულ ნებაყოფლობით ვალდებულებს აკისრებს კარგად განვითარებულ ქვეყნებს, რომ გაატარონ ღონისძიებები სათურის გაზების ატმოსფეროში გაფრქვევის შესამცირებლად, რადგან გლობალურ დათბობას და დედამიწის კლიმატურ ზონებში ცვლილებებს თან ახლავს ექსტრემალური ამინდის და გეოლოგიური მოვლენები, რასაც, თავის მხრივ, დიდი უარყოფითი გავლენა აქვს როგორც ეკონომიკის სხვადასხვა სექტორის განვითარებაზე, ასევე გარემოზე და სოციალურ სფეროზე.

ეკონომიკის სექტორებიდან, კლიმატის ცვლილება ყველაზე მეტად სოფლის მეურნეობის პროდუქტიულობაზე მოქმედებს და განსაკუთრებით იმ ქვეყნებში, სადაც სოფლის მეურნეობა წამყვანი დარგია. არანაკლები გავლენა აქვს გლობალური დათბობის შედეგებს ტურიზმზე, ჰიდროენერგეტიკაზე და ა.შ. ცხადია, არც საქართველოა გამონაკლისი და კლიმატის ცვლილებებით გამოწვეული არასასურველი შედეგები მტკივნეულად აისახება ჩვენს ქვეყანაზეც.

საქართველოში უკანასკნელი 20 წლის განმავლობაში მკვეთრად გახშირდა ბუნებრივი კატასტროფები და სხვადასხვა ეკოსისტემებში (ტყეები, წყალი, ნიადაგი და სხვა.) შეინიშნება კლიმატურ ცვლილებებთან დაკავშირებული სტიქიური მოვლენების რაოდენობების ზრდის ტენდენცია; გახშირდა მეწყრები, წყალმთვარდნები, ზვავები, მდინარეების კალაპოტიდან გადმოსვლა; გარკვეულ ტერიტორიებზე (დედოფლისწყარო, გარდაბანი, საგარეჯო) უფრო მკვეთრად გამოიკვეთა გაუდაბნოების პროცესი; ზოგიერთი ტერიტორია (მაგ., ლაგოდეხი) ნახევრად ნოტიო კლიმატური ზონიდან ნოტიო ზონაში გადავიდა.

კლიმატის ცვლილების ერთ-ერთი ნეგატიური ზეგავლენა გამოიხატება გვალვების გახშირებაში, წყლის რესურსების კლებასა და მიწის დეგრადაციაში. კლიმატის ცვლილების ჩარჩო კონვენციის საქართველოს მეორე ეროვნული შეტყობინების თანახმად აღმოსავლეთ საქართველოში საგრძნობლად მოიმატებს გვალვების სიხშირე და ხანგრძლივობა, რაც წყალზე მოთხოვნის გაზრდის არსებითი წინაპირობაა. პარალელურად მოსალოდნელია დასავლეთ საქართველოში მდინარეების წყლის რესურსის კლება, განსაკუთრებით ე.წ ტრანზიტულ მდინარეებზე, როგორცაა: მტკვარი, ალაზანი და ხრამი. ასე მაგალითად მტკვარში წლის დონის კლება გამოიხატება 26-35 პროცენტით. მნიშვნელოვანია, რომ 2100 წლისთვის აღმოსავლეთ საქართველოში განსაკუთრებით გაიზრდება სასოფლო სამეურნეო მიწების ხელოვნური მორწყვის საჭიროება. ამ ფაქტორებმა შეიძლება უდიდესი გავლენა იქონიოს მომავალში ქვეყნის ეკონომიკურ ცხოვრებაზე, ვინაიდან მოსახლეობის დიდი ნაწილი სოფლის მეურნეობაზეა დამოკიდებული.(4)

სოფლის მეურნეობის დარგის პროდუქტიულობის და კონკურენტუნარიანობის გასაუმჯობესებლად მნიშვნელოვანია ფერმერებისა და სოფლის მეურნეობაში დასაქმებულთა მაქსიმალური ინფორმირებულობა და ცოდნის ამაღლება ამ დარგზე კლიმატის ცვლილების მოსალოდნელი გავლენის შესახებ, ასევე აუცილებელია მათი შესაძლებლობების გაძლიერება.

საქართველო, სპეციფიკური და რთული ფიზიკურ-გეოგრაფიული მოცემულობის გამო, შეიძლება ითქვას, რომ პოლიკლიმატური ქვეყანაა. ამიტომ, კლიმატური ცვლილება ისეთ პატარა ქვეყანაში, როგორც საქართველოა, უფრო მტივინეულად მიმდინარეობს, ვიდრე დიდ ქვეყნებში, სადაც იმდენად მცირეა კლიმატური ტიპების ნაირსახეობა რომ მათ მონოკლიმატური ქვეყნებიც შეიძლება ეწოდოს.

აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოში კლიმატის რყევაზე მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული მისი მოსახლეობის ეკონომიკურ-სოციალური კეთილდღეობა. კლიმატის ცვლილებით განპირობებული შვიდი ძირითადი საფრთხე (წყალდიდობა, სეტყვა, გვალვა, მეწყერი, ძლიერი ქარი, ზვავი და ღვარცოფი) განსაკუთრებით რისკის შემცველია საქართველოსთვის.

თუ გავითვალისწინებთ წყალდიდობებით, ზვავებით, მეწყრებით და სხვა კატასტროფებით გამოწვეულ ადამიანთა მსხვერპლს, რომელთა რიცხვი ყოველწლიურად მზარდია, გეოგრაფიულ-ბიოლოგიური პროცესების ხასიათს, ინტენსივობას და რაც მთავარია, ადამიანის სასოფლო-სამეურნეო საქმიანობას (საკვები პროდუქტის წარმოება, ენერგეტიკის განვითარება, სატრანსპორტო ქსელის განლაგება, მშენებლობა და სხვა) მჭიდროდ არის დაკავშირებული კლიმატის ცვლილებებთან და შესაბამისად ზრდის მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური ქცევისა და მდგომარეობის სენსიტიურობას და მოწყვლადობას.

საქართველოს რთული რელიეფური, გეოლოგიური და კლიმატური პირობებიდან გამომდინარე, ქვეყანაში სტიქიური გეოლოგიური მოვლენები გამოირჩევა მასშტაბურობით, განმეორებადობის დიდი ალბათობით და საშიშროების მაღალი რისკით.

2010-2019 წლებში საქართველოს ტერიტორიაზე ადგილი ჰქონდა 1248 ღვარცოფის გავლას. დღეისათვის საქართველოში ფიქსირდება 3000-მდე ღვარცოფული წყალსადინარი. ღვარცოფული პროცესები რიგ შემთხვევებში მოსდევს მეწყერს. აღსანიშნავია, რომ წყალდიდობები საქართველოს თითქმის ყველა მდინარისთვისაა დამახასიათებელი. 1995 წლამდე ინტენსიური წყალმოვარდნების საშუალო განმეორადობა 5-6 წელიწადში ერთჯერ აღინიშნებოდა. 1995-2013 წლებში კი ეს მაჩვენებელი თითქმის 2-ჯერ (2-3 წელიწადში 1-ჯერ) გაიზარდა.(6) წყალმოვარდნების შედეგად დიდი ზიანი ადგება სამეურნეო საქმიანობას და ინფრასტრუქტურას. ის იწვევს შენობების ნგრევას, გზების ჩახერგვას, ტრანსპორტის მოძრაობის შეწყვეტას, ელექტროგადამცემი ანძებისა და გაზსადენების მწობრიდან გამოსვლას და ხშირად მსხვერპლს. არანაკლებ საშიში და ზარალის მომტანია თოვლის ზვავები, რომელიც საქართველოს საშუალო და მაღალმთიანი ზონებისთვის არის დამახასიათებელი, რის შედეგადაც ადგილი აქვს ადამიანთა მსხვერპლს, ნგრევას, ტყის განადგურებას და ა.შ

საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ფიქსირდება სეტყვაც. მისი ინტენსივობა და სიხშირე განსაკუთრებით მაღალია აღმოსავლეთ საქართველოში წლის თბილ პერიოდში, განსაკუთრებით მაისი-ივლისის თვეებში, როდესაც შეიძლება აღინიშნოს ამ მოვლენის 5 დან 15-მდე შემთხვევა. ის ანადგურებს ნათესებს და მო-



სავალს, აზიანებს ინფრასტრუქტურას, იხოცება საქონელი და ფრინველი. როდესაც სეტყვის ცალკეული ნატეხის წონა აღემატება 100-200გრამს, შესაძლებელია იყოს ადამიანური მსხვერპლიც.

ძლიერი ქარი საშიშ მეტეოროლოგიურ მოვლენად ითვლება და მას დიდი მატერიალური ზარალი მოაქვს. მწყობრიდან გამოჰყავს ჰიდროტექნიკური ნაგებობები, ელექტროგადამცემი და კავშირგაბმულობის ხაზები, დიდი ზიანი მოაქვს სოფლის მეურნეობისთვის. განსაკუთრებით საშიშია ქარბუქით გამოწვეული ნამქრების წარმოქმნა სატრანსპორტო მაგისტრალებზე. აღსანიშნავია, რომ კლიმატის გლობალური ცვლილების ფონზე, ბოლო 20 წელიწადში ძლიერ და ძალიან ძლიერ ქარიან დღეთა რიცხვი საქართველოს ცალკეულ რეგიონში შესამჩნევად გაზრდილია.

კლიმატის გლობალური ცვლილების ფონზე ჰაერის ტემპერატურული რეჟიმის ცვალებადობა გვალვის საშიშროების მანიშნებელია. ბოლო წლებში გვალვის გამოვლინების სიხშირე სამჯერ გაიზარდა. იგი გაუდაბმობის ერთ-ერთი ძირითადი მიზეზია. კლიმატის ცვლილების გლობალური პროცესის გაგრძელების პირობებში, პრევენციული ღონისძიებების გაუტარებლობის შემთხვევაში გაუდაბნობის პროცესმა შეიძლება შეუქცევადი ხასიათი მიიღოს.

ამ მოცემულობის ფონზე რთულია ეკოლოგიური საფრთხეების ეროვნულ ეკონომიკაზე გავლენის შეფასება, ნეგატიური შედეგების მასშტაბების განსაზღვრა. თუმცა დამაჯერებლად შეიძლება იმის აღნიშვნა, რომ გარემოს ეროვნული სააგენტოს მონაცემებზე დაყრდნობით ბოლო წლებში საქართველოში საგრძნობლად გაზრდილია კლიმატის ცვლილებით გამოწვეული ბუნებრივი კატასტროფების სიხშირე და გავრცელების გეოგრაფია.

კლიმატური პარამეტრების (ტემპერატურა, ნალექები, ქარის სიჩქარე, ფარდობითი სინოტივე და ა.შ) მიმდინარე ცვლილებები და მომავლის პროგნოზი საქართველოში პერიოდულად ფასდება კლიმატის ცვლილების ჩარჩო კონვენციის მიმართ მომზადებულ „ეროვნულ შეტყობინებებში“.

აღსანიშნავია, რომ ბოლო 50 წლის განმავლობაში საშუალო წლიურ ტემპერატურას საქართველოს მთელ ტერიტორიაზე მხოლოდ მატების ტენდენცია აქვს და ყველაზე დიდი ნამატი აღმოსავლეთ საქართველოში, კერძოდ, კი დედოფლისწყაროშია (+0,7<sup>0</sup>C),

ხოლო დასავლეთ საქართველოში (+0,6°C)- ფოთში. მომავლის პროგნოზით, 2050 წლისთვის ყველაზე მეტად აჭარის სანაპირო ზოლი და მთიანი რეგიონები დათბება (1,6-1,7°C), ხოლო 2100 წლისათვის ტემპერატურის ყველაზე მაღალი მატება (+4,2°C) ბათუმშია მოსალოდნელი.

საქართველოში ხანგძლივი პერიოდის განმავლობაში მაღალ ტემპერატურებს (თბური ტალღები), პირველ რიგში გავლენა აქვს ჯანდაცვის სექტორზე. მისი გამოვლენის სიხშირე განსაკუთრებით მაღალია დიდ ქალაქებში (თბილისსა და ბათუმში).

მცენარეების ვეგეტაციის პერიოდში აქტიურ ტემპერატურათა ჯამის ზრდას შეიძლება გააჩნდეს როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი შედეგი. კერძოდ, აქტიურ ტემპერატურათა ჯამის ზრდამ შესაძლოა ხელი შეუწყოს ისეთი კულტურების მოსავლიანობას, რაც ადრე არ ხარობდა, მაგრამ ამ დადებით ეფექტს შესაძლოა თან ახლდეს უარყოფითი ეფექტიც, კერძოდ ახალი მავნებლების და დაავადებების გავრცელება, რაც უამრავი პრობლემის წინაშე აყენებს ფერმერებს.

საშუალო წლიური ტემპერატურის მატება, განსაკუთრებით თუ ეს ზამთრის დათბობის ხარჯზე ხდება იწვევს მცენარეების დნობას ისე, რომ მათი აღდგენა აღარ ხდება, ირღვევა მიკროკლიმატი და არსებული ლანდშაპტი, იზრდება ჰიდროენერგეტიკის სექტორის რისკები. ტემპერატურის ზრდა იწვევს მცენარეების დაშლას და ხელს უწყობს მცენარული ტბების წარმოშობას, საიდანაც შემდგომ წარმოიქმნება მცენარული ღვარცოფი (დევდორაკის შემთხვევა).

გლობალური ტემპერატურის ცვლილება იწვევს რა კლიმატის ცვლილებას, ეს უკანასკნელი, თავის მხრივ, მოქმედებს ადგილებზე ყოველდღიური ამინდის ჩამოყალიბებაზე და ზოგიერთ ქვეყანაში მნიშვნელოვნად უწყობს ხელს ექსტრემალური ამინდის (მალიან ცხელი დღეები, გვალვები, თბური ტალღები, ინტენსიური ნალექი დროის მოკლე მონაკვეთში, ძლიერი ქარები და სხვ.) გახშირებას, რასაც უარყოფითი გავლენა აქვს ეკონომიკის ბევრ სექტორზე და მათ შორის ტურიზმზე.

საშუალო წლიური ტემპერატურის გლობალური და ადგილობრივი ცვლილებების შედეგად, წინა საუკუნის მეორე ნახევარში, შავი ზღვის დონემ აიწია 20 სმ-ით, რასაც თან დაერთო გაძლიე-

რებული შტორმები, ტალღების ბალიანობის ზრდა(7 ბალი) და ტალღების მიმართულების ცვლილება, რაც დაკავშირებულია ქარების მიმართულების ცვლილებასთან. აღნიშნული პროცესები სერიოზულ პრობლემას წარმოადგენს ზღვის სანაპირო ზოლისთვის, ვინაიდან საფრთხის ქვეშ აყენებს, როგორც სანაპიროზე არსებულ ინფრასტრუქტურას, ასევე ზრდის ეკომიგრანტების რაოდენობას.

საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ნალექების წლიური ჯამი შემცირებულია განსაკუთრებით გაზაფხულსა(5მმ, -3%) და ზაფხულში (27მმ, -14%). თუმცა, დასავლეთ საქართველოს მაღალმთიანი რეგიონების ზოგიერთ მეტეოსადგურზე ფიქსირდება ნალექების 10%-იანი ზრდა, რომელიც შესაძლოა გაგრძელდეს 2050 წლამდე. მიუხედავად იმისა,რომ წლის განმავლობაში მოსული ნალექების ჯამი კლებულობს, საქართველოს ტერიტორიის დიდ ნაწილზე, ერთ დღეში მოსული ნალექების ჯამი გაზრდილია. ნალექების მოსვლის რეჟიმის ასეთი გადანაწილება როგორც წესი აძლიერებს მიწების ეროზიას, ღვარცოფებისა და მეწყერების რისკებს.

ნალექების ცვლილებამ უკვე მოახდინა გარკვეული ზეგავლენა მეცხოველეობის დარგზე. დათბობის შედეგად გაძლიერებული და გახშირებული უხვი ნალექები იწვევს მთების ფერდობებზე ნიადაგის ჩამორეცხვას და ნიადაგის დეგრადაციას. შემცირებული ნალექი უარყოფითად აისახება ქვეყნის ჰიდრო ენერგეტიკაზე, ვინაიდან ნალექების რაოდენობაზე დიდწილადაა დამოკიდებული მდინარეების ჩამონადენი, რომელიც ქვეყნის ძირითადი ენერგორესურსია.

ჰაერის ფარდობითმა ტენიანობამ გასულ პერიოდში, საქართველოს მთელ ტერიტორიაზე 2%-ით მოიმატა, თუმცა 2050-2100 წლისათვის მოსალოდნელია ზრდის ტრენდის შეცვლა კლებით, გარდა რამდენიმე გამონაკლისის სადგურისა.(მესტია, ხაიში, ქედა)

ამინდის ექსტრემალური მოვლენების გახშირება საქართველოს მთელ ტერიტორიაზეა დაფიქსირებული, რასაც თან ახლავს, როგორც ეკონომიკური ზარალი, ასევე ადამიანური მსხვერპლი. უკანასკნელი 20 წლის განმავლობაში მეტეოროლოგიურმა კატასტროფებმა გამოიწვია 2,8 მილიარდი ეკონომიკური ზარალი და შეიწირა 152 ადამიანის სიცოცხლე. ბოლო 8 წლის განმავლობაში ეს

ზარალი შეადგენს 900 მლნ ლარს. ბოლო კვლევების შედეგად ცნობილი გახდა, რომ საქართველოში 1,7 მლნ ადამიანი, მათ შორის ყველაზე დაუცველი თემები, შორეულ სოფლად და მჭიდროდ დასახლებულ ურბანულ რეგიონებში ძირითადი საფრთხეების რისკის ქვეშ იმყოფება. 2015 წელს თბილისის წყალდიდობის სახელით ცნობილმა კატასტროფამ, მდინარე ვერეს ხეობაში 19 ადამიანის სიცოცხლე შეიწირა, 280 ოჯახი კი უსახლკაროდ დატოვა. 2018 წლის 18 ივნისს, რიკოთის უღელტეხილზე, ორ საათში მოსულმა 100 მმ-ზე მეტმა ნალექმა იმსხვერპლა 6 ადამიანი; დაიტბორა და განადგურდა 1000-ზე მეტი სამოსახლო (4).

აქ მოყვანილია მხოლოდ ზოგიერთი ფაქტი და მცირედი ნაწილი იმ უარყოფითი გავლენისა, რომელიც ამ დროისათვის შესწავლილია ძირითადად საქართველოს ეროვნული შეტყობინებების მომზადების პროცესში.

თანამედროვე ეტაპზე კლიმატის ცვლილება გარდაუვალი მოცემულობაა. სპეციალისტთა შეფასებით პროცესი მოითხოვს შემდგომი დაგეგმვად მოხდეს ადაპტირებული მატერიალური თუ არამატერიალური აქტივობების განხორციელება.

მეცნიერთა შეფასებით, საკითხის პრობლემატურობის გააზრებაში და მისი მოგვარების გზაზე უპირველესი ამოცანა თითოეული მოქალაქის როლის და ფუნქციური მონაწილეობის განსაზღვრაა.

ზემოთაღნიშნული პრობლემის მართვა, მკაფიოდ გამოკვეთილი კომპლექსური მოცემულობაა და გამოიხატება სამთავრობო უწყებების მიერ დაგეგმილი და განხორციელებული ღონისძიებების ჰარმონიულ ერთობლიობაში, რომლის მიზანია შესაძლო საფრთხეებით გამოწვეული არა მარტო გარემოს, ასევე სოციალური და ეკონომიკური ზიანის თავიდან აცილება ან შემცირება, ადამიანების უსაფრთხოების, სწრაფი რეაგირების და ეფექტური აღდგენითი სამუშაოების უზრუნველყოფა.

მსოფლიოს კარგი პრაქტიკის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი განმსაზღვრელი ფაქტორი სწორედ კოორდინირებული და გუნდური მუშაობის პრინციპია.

გაეროს განვითარების პროგრამა (UNDP), საქართველოს მთავრობასთან თანამშრომლობით, ახორციელებს ფართომასშტაბიან ინიციატივას, რომელიც მიზნად ისახავს საქართველოში კლი-

მატის ცვლილებით გამოწვეული კატასტროფების რისკის შემცირებას. ამ მხრივ მიმდინარეობს რამდენიმე ურთიერთდაკავშირებული ინიციატივა: კლიმატის მწვანე ფონდის (GCF) მიერ დაფინანსებული პროექტი - „მრავალი საფრთხის შემცველი ადრეული შეტყობინების სისტემის გაფართოება და კლიმატის შესახებ ინფორმაციის გამოყენება საქართველოში“, შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოს (SDC) მიერ დაფინანსებული პროექტი - „კლიმატის ცვლილებისადმი ადაპტაციის შესაძლებლობების გაძლიერება საქართველოში“, შვედეთის მთავრობის მიერ დაფინანსებული პროექტი - „კლიმატის ცვლილებით გამოწვეული რისკებისადმი თემების მედეგობის გაძლიერება“.

პროგრამა მოიცავს საქართველოს 11 მდინარის აუზს- ენგურის, რიონის, ჭოროხი-აჭარისწყლის, სუფსას, ნატანების, ხობის, კინტრიშის, ხრამი-ქვიას, ალაზნის, იორის და მტკვრის. პროგრამა ორიენტირებულია კლიმატის ცვლილებით განპირობებულ მრავალმხრივ საფრთხეზე.

ამ შვიდწლიანი პროგრამის შესრულების შედეგად გაიზრდება საქართველოს მოსახლეობის მედეგობა კლიმატური საფრთხეების მიმართ, შემცირდება კლიმატური კატასტროფების ზეგავლენა ინფრასტრუქტურასა და საარსებო გარემოზე. 1,7 მილიონი ადამიანი უკეთ იქნება დაცული წყალდიდობისგან, წყალმოვარდნისგან, გვალვისა და სხვა კლიმატური საფრთხისგან.

შვიდწლიანი ინიციატივა „კლიმატის ცვლილებით გამოწვეული კატასტროფების რისკების შემცირება საქართველოში“ ხორციელდება კლიმატის მწვანე ფონდის (GCF) შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოს (SDC) შვედეთისა და საქართველოს მთავრობის დაფინანსებით.

### **გამოყენებული ლიტერატურა**

1. ასათიანი რ., საზოგადოებრივი სექტორის ეკონომიკა. გამომცემლობა „სიახლე“ თბილისი 2017
2. გუროვა ი., მსოფლიო ეკონომიკა. თბილისის 2014
3. ურუშაძე თ., მაჭავარიანი ლ. გამოყენებითი ეკოლოგიის საფუძვლები. თსუ გამომცემლობა, 2013.
4. კლიმატის ცვლილების მიმართ მდგრადი, დაბალემისიებიანი (კლიმატგონივრული) სოფლის მეურნეობა. UNDP Georgia 2020.

5. კლიმატის ცვლილებით გამოწვეული კატასტროფების რისკის შემცირება. თბილისი 2020
6. შესავალი კატასტროფების რისკის შემცირებასთან დაკავშირებით. საინფორმაციო პუბლიკაცია. თბილისი 2020
7. <https://cerch.org/environmental-health/the-seven-biggest-environmental-threats/>
8. <http://eiec.gov.ge/>
9. [https://earthobservatory.nasa.gov/world-of-change/DecadalTemp/show-all\(9\)](https://earthobservatory.nasa.gov/world-of-change/DecadalTemp/show-all(9))
10. <https://public.wmo.int/en/media/press-release/global-climate-2015-2019-climate-change-accelerates>
11. <https://earthobservatory.nasa.gov/world-of-change/DecadalTemp>
12. <https://inhabitat.com/7-biggest-threats-to-the-environment-why-we-still-need-earth-day/>
13. <https://www.nationalgeographic.com/environment/globalwarming/big-thaw/>

*Lia Dvalishvili*

## **GLOBAL ECOLOGICAL THREATS AND THEORETICAL ISSUES OF ITS IMPACT ON NATIONAL ECOLOGICAL SECURITY; (CLIMATE CHANGE)**

### **Summary**

The economic security of the country is indirectly affected by the problems of nature use. Environmental security is related not only to the protection of the vital interests of the society from those internal and external negative effects, externalities that threaten the solid functioning of the country's economic system, but also have a negative impact on demographic processes and, in some sense, shake the country's statehood.

This problem of global importance is a constituent part of the world's economic security and a priority direction for the general public. Its severity has been further intensified by the current scale of society's impact on the environment, which has put the development of the world at real risk.

Today, in the process of globalization in the world, the role and influence of global problems on the development of this or that country is essential and in most cases it is reflected in a non-positive context. Climate change is such a global problem, which leads to the formation of various natural disasters and, in some cases, the development of disasters.

As a result of climate change, nature and ecosystems are changing, the risk of human diseases is increasing. It is significant that the intensity of harmful effects caused by the "greenhouse effect" increases every year, which makes the need to solve the problem even more important.

In Georgia, the economic and social well-being of its population significantly depends on climate fluctuations. Seven main threats caused by climate change (floods, hail, drought, landslides, strong winds, avalanches and mudslides) are particularly risky for Georgia.

Natural geological events in the country are distinguished by their scale, high probability of repetition and high risk of danger.

Current changes and future forecasts of climatic parameters (temperature, precipitation, wind speed, relative humidity, etc.) in Georgia are periodically evaluated in "national reports" prepared in relation to the Framework Convention on Climate Change.

According to scientists, the first task in understanding the problematic nature of the issue and the way to solve it is to determine the role and functional participation of each citizen.

The management of the above-mentioned problem is a clearly defined complex situation and is expressed in a harmonious set of measures planned and implemented by government agencies, the purpose of which is to prevent or reduce not only the environmental, but also social and economic damage caused by possible threats, ensuring people's safety, quick response and effective restoration works.

One of the most important determining factors of good practice in the world is the principle of coordinated and teamwork.

**ზურაბ ნოზაძე**

### **ეკოლოგიური უსაფრთხოების გამოცდილება იაპონიაში**

*ანოტაცია. ნაშრომში განხილულია იპონიის ძირითადი ეკოლოგიური პოლიტიკის განხორციელების ისტორია და პრინციპები, გაანალიზებულია იაპონიაში მიმდინარე ეკოლოგიური მდგომარეობა, დასახულია კონკრეტული მიმართულებები და გზები არსებული პრობლემების გადასაჭრელად; მოცემულია ეკოლოგიური უსაფრთხოების განხორციელების მთავარი პრინციპები და ღონისძიებები; განხილულია ეკოლოგიური უსაფრთხოების საქმეში ადა-*

მიანური ფაქტორის მთავარი როლისა და მნიშვნელობის შესახებ; განხილულია ასევე კონკრეტული წინადადებები იაპონიაში „მწვანე მაღალტექნოლოგიური განვითარების“ მიღწევისა და გაუმჯობესებისათვის.

**საკვანძო სიტყვები:** ეკოლოგიური პრობლემები, ეკოლოგიური პოლიტიკა, ბუნებრივი რესურსები, ეკოლოგიური შეფასება, რადიაცია, მიწისძვრა, მდგრადი განვითარების კონცეფცია, ეკოლოგიური გამოწვევები, ბუნებრივი გარემოს უსაფრთხოება, საერთაშორისო ეკოლოგიური თანამშრომლობა, „მწვანე ზესახელმწიფო“ „მწვანე მაღალტექნოლოგიური განვითარება“ მდგრადი საზოგადოება, იაპონია.

\*\*\*\*

თანამედროვე პირობებში ბუნებრივი გარემოს მდგომარეობა წარმოადგენს ერთ-ერთ უფრო მწვავე სოციალურ-ეკონომიკურ პრობლემას, რომელიც პირდაპირ და ირიბად დაკავშირებულია თითოეული ადამიანის ინტერესებთან.

ბუნებრივი გარემოს დაბინძურება გაზისმიერი, მყარი და თხევადი ნივთიერებებით, აგრეთვე წარმოების ნარჩენებით იწვევს ბუნების დეგრადაციას, რაც უარყოფითად მოქმედებს ადამიანის ჯანმრთელობაზე, ცხოვრების დონეზე და რჩება ყველაზე მწვავე ეკოლოგიურ პრობლემად, რომელსაც გააჩნია პრიორიტეტული სოციალური და ეკონომიკური მნიშვნელობა. ამიტომ მკვეთრად იზრდება ყველა სახელმწიფოსა და ხალხების პასუხისმგებლობის ხარისხი ბუნებრივი გარემოს დაცვისა და გაუმჯობესების საქმეში. ეკოლოგიური პრობლემების ამჟამინდელი მდგომარეობა მოითხოვს უსწრაფეს გადაწყვეტას გლობალური მასშტაბით, რაზედაც უნდა იყოს მიმართული გრანდიოზული ფინანსური, მატერიალური და ადამიანური რესურსები, რათა მივიღოთ მნიშვნელოვანი შედეგები.

იაპონიამ დიდ წარმატებებს მიაღწია ეკონომიკისა და სამეცნიერო-ტექნიკური განვითარების სფეროში სხვა განვითარებულ ქვეყნებთან შედარებით. მან თავის თავზე გამოსცადა ის ნეგატიური ზეგავლენა ბუნებრივ გარემოზე, რაც თან ახლდა სწრაფ ეკონომიკურ ზრდას. მაგრამ მაღალი ეკონომიკური განვითარების პროცესში იაპონიამ მოახერხა გადაეჭრა ეკოლოგიური პრობლე-



მები, რომლებიც დამოკიდებული იყო სამრეწველო დაბინძურებასთან.

მსოფლიო საზოგადოებრიობა არა მარტო მაღალ შეფასებას აძლევს იაპონიის ეკოლოგიურ პოლიტიკას, არამედ მისი წარაგვის გამოიყენოს მისი მიღწევები ენერგოდამზოგავი ტექნოლოგიების დანერგვაში და ბუნებრივი გარემოს დაბინძურების კონტროლის მეთოდებისა და წესების შემუშავებაში.

იაპონიაში წარმოიშვა აუცილებლობა, შეიმუშაონ პოლიტიკა ბუნებრივი გარემოს დაცვის სფეროში, რათა გადაწყვიტონ წამოჭრილი პრობლემები. აღნიშვნის ღირსია ის, რომ იაპონიის გამოცდილება ბუნებრივი გარემოს დაცვის და ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენების სფეროში აძლევს აუცილებელ ინფორმაციას იმ ქვეყნებს, რომლებსაც გააჩნიათ ანალოგიური პრობლემები და რომელთა გათვალისწინება ამ ქვეყნების მიერ დადებითად იმოქმედებს მის ეკოლოგიურ მდგომარეობაზე, გააუმჯობესებს ქვეყნის ეკონომიკას და აამაღლებს მოსახლეობის ცხოვრების დონეს.

იაპონია არის ერთ-ერთი პირველი ქვეყანა, რომელმაც შეიმუშავა პოლიტიკა ბუნებრივი გარემოს დაცვის მიმართულებით, მიზნად დაისახა თავისი ტერიტორიის ეკოლოგიური უსაფრთხოება, როგორც პრიორიტეტული მიმართულება ნაციონალური უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად. უნდა აღვნიშნოთ, რომ იაპონიის მიდგომა ეკოლოგიური უსაფრთხოების უზრუნველყოფის საქმეში მოიცავს არა მარტო ბრძოლას დაბინძურების წინააღმდეგ, არამედ ეკოლოგიურ ინოვაციებს, საერთაშორისო ეკოლოგიურ ინიციატივებს, რომელთა მიზანს წარმოადგენს საერთაშორისო არენაზე „მწვანე ზესახელმწიფოს“ იმიჯის დამტკიცება. ეკონომიკური განვითარების ზრდის ტემპის პირობებში წარმოიშვა დიდი პრობლემა ქვეყნის ეკოლოგიური მდგომარეობის უსაფრთხოებისათვის.

იაპონიის კანონმდებლობისა და ეკოლოგიის სფეროში ერთ-ერთი თავისებურებაა პირდაპირი საკანონმდებლო ინიციატივების შეთანაწყობა ირიბ სუბსიდიასთან. ამის საფუძველზე წარმოიქმნა პრინციპი: „დამაბინძურებელი საფასურს იხდის“, რომლის შესაბამისად გადასახადის გადახდაზე პასუხისმგებლობა ეკისრება დამაბინძურებელ კომპანიებს. ამ ქმედებამ ქვეყანას სა-

შუალემა მისცა შემჭიდროვებულ დროში გამკლავებოდა მკვეთრად გამოვლენილ ეკოლოგიურ კრიზისს. იაპონიაში ეკონომიკის სტრუქტურული ცვლილებებისა და გარდაქმნის ფონზე, რომელიც დაიწყო ნავთობის კრიზისის დროს, ზემოხსენებულმა პრინციპებმა, საკანონმდებლო რეგულირებასთან შეთანაწყობის ხარჯზე, გამოიღო მნიშვნელოვანი დადებითი შედეგი ეკოლოგიური მდგომარეობის ნორმალიზაციისათვის.

იაპონიის ეკოლოგიური პოლიტიკის მნიშვნელოვანი, ისტორიული, ეპოქალური გადაწყვეტილება იყო კანონის მიღება „ოზონის ფენის დაცვის შესახებ“. ის იყო პირველი ქვეყანა მსოფლიოში, რომელმაც მიიღო მსოფლიო მნიშვნელობის გლობალური ხასიათის კანონი.

იაპონიამ წამოაყენა მრავალი წინადადება გლობალური ეკოლოგიური უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, ის აიყვანა ახალ სიმაღლეზე როგორც ნაციონალური დონის მხრივ, ისე გლობალური მასშტაბით. იაპონიამ მიიღო განახლებული ვერსია „ძირითადი ეკოლოგიური კანონისა“, რომელმაც საფუძველი დაუდო ახალ ეკოლოგიურ პოლიტიკას და მსოფლიოს მრავალმა ქვეყანამ გაიზიარა.

თანამედროვე პირობებში ქვეყნების საერთაშორისო პოლიტიკური და ეკონომიკური უსაფრთხოების მთავარ ელემენტს წარმოადგენს სპეციალური ტექნოლოგიების შემუშავება ბუნებრივი გარემოს დაცვის სფეროში. მისი დანერგვა როგორც ნაციონალურ, ისე გლობალურ დონეზე.

საერთაშორისო ურთიერთობების თეორიასა და პრაქტიკაში ფართოდ გავრცელდა ტერმინი „მწვანე ზესახელმწიფო“ და აღნიშნავს ქვეყანას, რომელსაც სამეცნიერო ტექნოლოგიური მიმართულებით გააჩნია წინმსწრები პოტენციალი ეკოლოგიის სფეროში. ეს პოტენციალი ემსახურება ქვეყნის ეკონომიკის განვითარებას და მოსახლეობის ცხოვრების დონის მაქსიმალურ ამაღლებას. განვითარებული და ეფექტიანი ეკოლოგიური კანონმდებლობით, რომელიც გააჩნია იაპონიას, ეკონომიკური და პოლიტიკური სტაბილურობით ქვეყნის მოსახლეობის განსაკუთრებული მზრუნველი დამოკიდებულებით ბუნებრივი გარემოს მიმართ, დამაჯერებლად შეგვიძლია დავასკვნათ, რომ პრეტენდენტობაზე, „მწვანე ზესა-

ხელმწიფოს“ წოდების მოპოვებაზე იაპონიას უკავია ლიდერის პოზიცია.

საკანონმდებლო ბაზა, რომელიც ეხებოდა ეკოლოგიურ უსაფრთხოებას, მუშავდებოდა რამდენიმე ათწლეულის განმავლობაში და ითვალისწინებდა იაპონიის მოთხოვნებს აღნიშნული პრობლემის გადასაჭრელად, ეკოლოგიური სიტუაციის გასაუმჯობესებლად და პასუხობდა მსოფლიო საზოგადოების მოლოდინს, რომელიც დაკისრებული ჰქონდა იაპონიას, ანუ „მწვანე ზესახელმწიფოს“.

ეკოლოგიური უსაფრთხოების კონცეფციის რეალიზაციის პირობებში იაპონიამ შეძლო არა მარტო ბუნებრივ გარემოზე ზემოქმედების მაქსიმალური შემცირება, არამედ მიაღწია ერთდროულად ეკონომიკური აქტივობის ზრდას, რომელიც უზრუნველყოფდა იაპონიის ეკონომიკის სტაბილურობას.

იაპონიის კომპანიებმა შეძლეს დაეკავებინათ მყარი პოზიციები საერთაშორისო არენაზე, ხოლო იაპონიის პროდუქციამ დაიმსახურა მაღალხარისხიანი, მაღალტექნიკური და ეკოლოგიურად სუფთა ნაწარმის რეპუტაცია.

XXI საუკუნის დასაწყისიდან იაპონიამ წინ წამოსწია ბუნების დაცვის ასპექტი, აგრეთვე საერთაშორისო პოლიტიკურ არენაზე განსაკუთრებული მნიშვნელობა მიანიჭა „მწვანე მაღალტექნოლოგიურ“ განვითარებას, რომელიც აგრეთვე ეკონომიკური ინიციატივის მთავარი შემადგენელი ნაწილია.

ამრიგად, „მწვანე მაღალტექნოლოგიურ“ განვითარებაზე აქცენტის გამახვილება არის იაპონიის პასუხი გამოწვევაზე როგორც ეკოლოგიური, ისე ეკონომიკური უსაფრთხოების მიმართულებით. იყენებს რა მხოლოდ ორ საერთაშორისო ინსტრუმენტს (ეკოლოგიას და ეკონომიკას), იაპონია წარმატებით ჭრის მთავარ დიპლომატიურ ამოცანას „მწვანე ზესახელმწიფოს“ სტატუსის განმტკიცების თაობაზე. ამასთან დაკავშირებით ეკოლოგიური უსაფრთხოების უზრუნველყოფა წარმოადგენს იაპონიის მთავრობის მთავარ ინტერესს როგორც ნაციონალური პრესტიჟის განმტკიცების, ისე ახალ საშიშროებასთან შებრძოლების მტკიცე საშუალება.

შეიძლება დანამდვილებით დავამატუციოთ, რომ დაბინძურების კრიტიკული დონის, დეგრადირებული ეკოლოგიური მდგომარეობის ქვეყნიდან იაპონია გადაიქცა ბუნების დაცვის

სფეროში ლიდერ ქვეყნად. მან შეიმუშავა ეკოლოგიური უსაფრთხოების მტკიცე სისტემა, რომელიც გახდა სამაგალითო მსოფლიოს მრავალი ქვეყნისთვის.

იაპონიაში პრობლემად რჩება ადამიანის მიერ ბუნებრივ გარემოზე მიყენებული ზარალი, განსაკუთრებით კი აქტუალურია ბუნებრივი გარემოს მდგომარეობაზე ზემოქმედების წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერება. ბუნებრივი გარემო ზიანდება მავნე ნივთიერებებით მიწისა და წყალსატევების დაბინძურებით, ატმოსფერული ჰაერის გაჭუჭყიანებით, სამრეწველო და საყოფაცხოვრებო ნარჩენებით გამოწვეული დაბინძურებით, გაძლიერებული ხმაურითა და ვიბრაციით. ზოგიერთი ეკოლოგიური საფრთხის შემცველი რაიონის მაცხოვრებლებში გავრცელდა სპეციფიკური დაავადებები. იაპონიის მთავრობამ მიიღო გადაუდებელი ღონისძიებების გატარების აუცილებლობა ეკოლოგიური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად.

ქვეყნის ბუნების დაცვის კანონმდებლობაში შედის გარემოს დაცვის ძირითადი კანონი.

ბუნების დაცვის ორგანოების მთელ სისტემას ხელმძღვანელობს სამმართველო, რომელიც განიხილავს გარემოს დაცვის პრობლემებს. დიდი ყურადღება ექცევა გარემოს დაცვის უზრუნველყოფას სამეცნიერო-ტექნიკური თვალსაზრისით.

იაპონიის მანქანათმშენებლობის დარგში გამოიყო ქვედარგი, რომელიც აწარმოებს გამწმენდ დანადგარებს და გარემოს დაცვის მდგომარეობის მაკონტროლებელ საშუალებებს. ბუნების დამცავი ღონისძიებების განხორციელებისა და იაპონიის ეკონომიკის სტრუქტურული ცვლილების შედეგად მრავალი ტრადიციული ეკოლოგიური პრობლემა ამ დროისათვის უკვე გადაჭრილია. ამ დროისათვის სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის განვითარების ზეგავლენით გაიზარდა ისეთი მავნე მოვლენები, რომლებიც ნეგატიურად მოქმედებს ბუნებრივ გარემოზე. ასეთებს მიეკუთვნება ელექტრონული გამოსხივება, რადიოაქტიური და იშვიათი ქიმიური ელემენტებით დაბინძურება, ახალი ბიოლოგიური სახეობის გამოჩენა, რომელიც წარმოიქმნება გენეტიკური მანიპულაციის შედეგად.

ბუნებადაცვითი საქმიანობის მეორე მიმართულებას წარმოადგენს ღონისძიებები ფლორის, ფაუნისა და ფასეული ბუნებრივი

ობიექტების დაცვისათვის. მათ რიცხვს მიეკუთვნება ხუთ წელიწადში ერთხელ ბუნების მდგომარეობის რეგულარული გამოკვლევა და დაცვითი ტერიტორიებისა და ბუნებრივი პარკების შექმნა. თანამედროვე იაპონია წარმოადგენს ერთ-ერთ მსოფლიო ლიდერს, რომელმაც შეიმუშავა ახალი, ეკოლოგიურად სუფთა ტექნოლოგიები. ჰიბრიდული ავტომობილები ჰონდა და ტოიოტა ეკონომიურად მოიხმარენ საწვავს და გამოირჩევიან მცირე გამონაბოლქვით, რაც მოწინავე ტექნოლოგიების, ჰიბრიდული სისტემების, ბიოსაწვავის, მსუბუქი მასალისა და საუკეთესო ტექნიკის დამსახურებაა.

იაპონია განიხილავს კლიმატის ცვლილებებთან და გლობალურ დათბობასთან დაკავშირებულ საკითხებს. მან აიღო პასუხისმგებლობა ნახშირორჟანგის გამოფრქვევის შემცირებასა და სხვა გამაფრთხილებელი საშუალებების დანერგვაზე, რომლებიც დაკავშირებულია კლიმატის ცვლილებასთან. ასრულებს რა თავის პასუხისმგებლობას, იაპონია გამოხატავს მზადყოფნას შეამციროს სასათბურე გაზების გამოფრქვევები.

იაპონიის ბუნებადაცვითი პოლიტიკის მთავარი და ეფექტური ღონისძიებებია შემდეგი:

- მმართველობის ადგილობრივი ორგანოების ინიციატივების განხორციელება ბუნებრივი გარემოს დაცვის სფეროში, რომელსაც აქტიურად უჭერს მხარს მოსახლეობა;

- ახალი ეკოლოგიურად სუფთა ტექნოლოგიების შემუშავება და ფართოდ დანერგვა, რომელშიც მონაწილეობას იღებს აგრეთვე კერძო ბიზნესი;

- ეკოლოგიური რეგულირების ფუნქციონირების მკვეთრად გამოხატული სახელმწიფო სისტემა, რომლის ფორმირება მოხდა ეკოლოგიური მოძრაობის ზემოქმედებით და საზოგადოებრივი პროტესტის შედეგად.

იაპონია წარმატებით გაუმკლავდა დაავადებებს, რომლებიც გამოწვეული იყო ბუნებრივი გარემოს დაბინძურებით. ამ დაავადებებს მიეკუთვნება მეთანით, ტყვიით და კადმიუმით მოწამვლა; ჰაერის დაბინძურებით გამოწვეული ასთმა და ა. შ.

იაპონიაში უკანასკნელმა ფაქტორმა სტიმული მისცა ბუნებადაცვითი კანონმდებლობის შექმნას. ამოღებულია ნორმატიული აქტების მთელი სერია, რომელთა შორისაა კანონები გარემოს დაც-

ვის შესახებ, ძირითადი კანონი დაბინძურების კონტროლზე, კანონი საჰაერო აუზის დაცვის შესახებ, წყლის რესურსისა და მიწის რესურსის დაცვის კანონი, კანონი ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენებისა და დაცვის შესახებ და სხვა.

იაპონიას გააჩნია სტანდარტები, რომლებიც ძნელად შეიძლება შეგხვდეთ მის ფარგლებს გარეთ.

გამწვანების სტანდარტი განსაზღვრავს მწვანე ნარგავების რაოდენობას ასათვისებელ ტერიტორიაზე. არსებობს ტერიტორიის გამწვანების ინდექსების სკალა და ქალაქში ნაკრძალი ტერიტორიების, ბუნებრივი ძეგლებისა და სიძველეების დაცვის სტანდარტები. იაპონიაში არსებობს აგრეთვე არქიტექტურული ძეგლების კლასიფიკაციის წესრიგი და რეგლამენტების მთელი სისტემა, რომლებიც დაკავშირებულია მათ დაცვასთან, რესტავრაციასა და ექსპლუატაციასთან.

ეკოსისტემაზე ზემოქმედების სტანდარტი, განსხვავებით ფიზიკურ-ქიმიური სტანდარტებისა წყლის, ჰაერისა და მიწის დაბინძურებაზე, საშუალებას გვაძლევს ინტეგრირებულად შევაფასოთ ბუნებრივი გარემოს ხარისხი და გავაკეთოთ შესაბამისი დასკვნები. იაპონიაში არსებობს უმკაცრესი კონტროლის სისტემა სტანდარტების შესრულებაზე. ბუნებრივი გარემოს მდგომარეობაზე კონტროლის ორგანიზაციაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია მონიტორინგის ავტომატიზებულ სისტემებს. იაპონიაში ბუნების დაცვითი მექანიზმის ფორმირება მჭიდროდ არის დაკავშირებული პრინციპთან – „დამაბინძურებელი საფასურს იხდის“, რის შედეგადაც სამრეწველო საწარმო ვალდებულია შეიმუშაოს ტექნოლოგიები ეკოლოგიური მდგომარეობის საკონტროლებლად. ეკოლოგიური სტანდარტების შეუსრულებლობის პირობებში გათვალისწინებულია სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა. დამაბინძურებელი კანონმდებლობის შესაბამისად იხდის კომპენსაციას მიყენებული ეკოლოგიური დაბინძურებისათვის, დაზარალებული მოსახლეობის სპეციფიკური დაავადების მკურნალობისათვის. უკანასკნელ პერიოდში იაპონიაში გატარებული ეკოლოგიური პოლიტიკის მთავარ მიმართულებად ითვლება რეგულირების ადმინისტრაციული და ეკონომიკური მეთოდების გამოყენება.

რეგულირების ადმინისტრაციულ მეთოდებს მიეკუთვნება:

- პროდუქციის ხარისხისა და ბუნებრივი გარემოს ხარისხის სტანდარტების შემოღება;

- ეკოლოგიური ექსპერტიზა;

- ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოებისა და საწარმოებს შორის შეთანხმება დაბინძურების კონტროლზე;

- ეკოლოგიური კონფლიქტების არბიტრაჟის სისტემა;

უნდა აღინიშნოს აგრეთვე, რომ იაპონიაში არსებობს მსოფლიოში ერთ-ერთი მკაცრი ნორმატივი ჰაერის დაბინძურებისა, რომელიც 2-3-ჯერ აღემატება სხვა ქვეყნების ანალოგიურ პარამეტრებს. ეკოლოგიური მდგომარეობის რეგულირების ეკონომიკურ მეთოდებს მიეკუთვნება:

- ბუნებრივი რესურსების გამოყენებაზე გადასახადი (რომლითაც ფინანსდება ეკოლოგიური პროექტები);

- გოგირდის გამოფრქვევის წყაროებზე გადასახადი;

- ბენზინის გამომყენებლებზე გადასახადი;

- გადასახადის გაზრდა მიწის შესყიდვაზე ქალაქის შემოგარენში.

- იმ საწარმოების წახალისება, რომლებიც იყენებენ ეკოლოგიურად სუფთა ტექნოლოგიებს;

იაპონია თვლის, რომ ეკოლოგიურ რეგულირებასა და ეკონომიკურ ზრდას შორის არ უნდა იყოს ურთიერთდაპირისპირება და წინააღმდეგობა. ქვეყანა იყენებს ტექნოლოგიურ მიდგომას ეკოლოგიურად უსაფრთხო განვითარების უზრუნველსაყოფად, რასაც აქტიურად აფინანსებს სახელმწიფო.

იაპონია აქტიურად შეუერთდა საერთაშორისო ეკოლოგიურ თანამშრომლობას, რომელიც ეხებოდა დედამიწის ოზონური ფენის დაცვასა და შენარჩუნებას, აგრეთვე კლიმატური ცვლილებების კონვენციას. იგი აფინანსებს ცალკეულ ეკოლოგიურ პროექტებს, რომლებსაც ახორციელებენ განვითარებადი ქვეყნები. იაპონიამ მნიშვნელოვნად შეამცირა მავნე გაზების გამოფრქვევები ატმოსფეროში და შედის იმ ქვეყნების ხუთეულში, რომლებიც პასუხისმგებლები არიან კლიმატის დათბობის პრობლემებზე.

იაპონია წარმოადგენს წამყვან მონაწილეს 6-7 ჯგუფში განახლებადი ენერჯის წყაროების გამოყენების ტექნოლოგიების სფეროში და დაბინძურებასთან ბრძოლაში. მას უდიდესი

წვლილი შეაქვს მსოფლიო გამოცდილებაში ენერგოდამზოგავი ტექნოლოგიების შექმნისა და დანერგვის საქმეში.

სუფთა ჰაერისათვის ბრძოლაში იაპონიაში იქმნება უფრო სრულყოფილი ძრავები სატრანსპორტო საშუალებებისათვის, ინერგება საზოგადოებრივი და კერძო მოხმარებისათვის ელექტროძრავიანი ტრანსპორტი, კერძოდ, ჰიბრიდული ავტომობილები ტოიოტა და ჰონდა, რომლებიც საწვავის ეკონომიური მოხმარებლები არიან და იმავდროულად ნაკლები გამოწვავილი აქვთ.

ყოველ ხუთ წელიწადში იაპონიაში იკვლევენ ბუნებრივი გარემოს მდგომარეობას. თითოეული პრეფექტურა სარგებლობს თავიანთი კანონით ბუნების დაცვის შესახებ და საკუთარი ეკოლოგიური პროგრამებით.

ადგილობრივი თვითმმართველი ორგანოები ხელშეკრულებით ამყარებენ რეგიონში მყოფ კომპანიებთან დაბინძურების კონტროლს. აქ ძალიან ეფექტიანად მუშაობს პრინციპი – „დამაბინძურებელი საფასურს იხდის“. ეს ავალდებულებს კომპანიებს, შეიმუშონ ეკოლოგიური სტანდარტების დაცვისათვის შესაბამისი ტექნოლოგიები და დანერგონ წარმოებაში.

ქარხნების მიერ გამოწვავილებისა და ქიმიური მასალებით წყალსატევების დაბინძურების შემცირების მიზნით აქტიურად ვითარდება დარგი განახლებადი ენერჯის წყაროების გამოყენებისათვის.

იაპონია, რომელიც მიჩნეულია მწვანე ტექნოლოგიების ბაზრის ლიდერად, ყოველწლიურად წარმოადგენს ხოლმე მრავალ ეკოლოგიურ ინიციატივას, რომელთა საფუძველს შეადგენს მდგრადი განვითარების კონცეფცია. აუცილებელია აღვნიშნოთ, რომ ეს ინიციატივები სცილდება შიდაპოლიტიკურ გადაწყვეტას და ეხება ეკოლოგიური უსაფრთხოების რეგიონალურ და გლობალურ სისტემებს.

იაპონურმა სისტემამ პერსონალის მართვაში აჩვენა შრომითი რესურსების ეფექტიანად გამოყენება. მრავალი ქვეყანა აქტიურად იყენებს იაპონურ გამოცდილებას თავიანთ საწარმოებში, ამიტომ საჭიროა შევისწავლოთ და გავაანალიზოთ პერსონალის მართვის იაპონური სისტემის მთავარი ასპექტები და თუ საშუალება იქნება დავნერგოთ ჩვენთან.



ადამიანური რესურსების მართვის იაპონური სტილის გამოკვლევების აქტუალობამ დაამტკიცა ის ფაქტი, რომ ეკონომიკური კრიზისის პირობებში ერთადერთ სტაბილური რესურსი ხდება ადამიანი. კერძოდ, დადგინდა, რომ მომუშავე კოლექტივისა და თითოეული ცალკე მომუშავეს პროფესიონალიზმი საშუალებას მოგვცემს გამოვიყვანოთ საწარმო ეკონომიკური და ეკოლოგიური კრიზისიდან.

იაპონური მენეჯმენტი ავითარებს პერსონალის შემოქმედებით მიდგომას, თვითშეგნებას, განვითარებას, პროფესიონალიზმს, ასტიმულირებს თანამშრომლობას სამუშაო პროცესში, მობილიზაციას უკეთებს მთელი ჯგუფის ცოდნას და გამოცდილებას; კიდევ უფრო ავითარებს და ადუღაბებს ურთიერთობებს. ამრიგად, იაპონური მოდელი პერსონალის მართვაში იწვევს დიდ ინტერესს, ამიტომ აქტუალურია თანამედროვე პირობებში.

### **გამოყენებული ლიტერატურა**

1. Банчева А.И. „экологические иновации японии! Основные направления и развития особенности управления». Москва 2013г.
2. Данилова В.И. „История становления, концепции экологической безопасности японии». Москва 2015г.
3. Стапан Н.В. „экологическая безопасность японии: внешнеполитический аспект». Москва 2013г.
4. Стрельцов Д.В. „япония, как зеленая сверхдержава». Москва 2013г.
5. Комлева В.В. „Государственные стратегии региональной политики в условиях глобализации: опыт японии».
6. Тимонина И.Л. „экологические аспекты экологической политики, современные подходы и проблемы японии». Москва 2011г.

*Zurab Nozadze*

## **ENVIRONMENTAL SAFETY EXPERIENCE IN JAPAN**

### **Summary**

The paper discusses the history and principles of the implementation of Japan's main ecological policy, analyzes the current ecological situation in Japan, outlines specific directions and ways to solve existing problems; The

main principles and measures of ecological safety implementation are provided; The main role and importance of the human factor in environmental security is discussed; Specific suggestions for achieving and improving "green high-tech development" in Japan are also discussed.

## ნინო ქორყიკაშვილი

### გლობალური ეკონომიკური საფრთხეები ჯანდაცვის სფეროში და მისი გავლენა ეროვნულ ეკონომიკურ უსაფრთხოებაზე (ჯანდაცვის სფეროს პრობლემები)

*ანოტაცია.* Covid-19-ის პანდემიამ რადიკალურად შეცვალა თითოეული სახელმწიფოს წესწყობილება, დღის წერიგში დადგა პოლიტიკური და ეკონომიკური მოწყობის გადახედვისა და მნიშვნელოვანი გარდაქმნების განხორციელების საკითხები. გლობალური პანდემია როდი წარმოადგენს მხოლოდ ვიწრო გაგებით სამედიცინო ხასიათის გამოწვევას. რეალურად, COVID-19 სერიოზული გამოწვევების წინაშე აყენებს შიდა და საგარეო ურთიერთობის სისტემებს, თვისებრივად ახალ აქცენტებს შემოიტანს არა მხოლოდ ადამიანთა შორის კონტაქტებში, არამედ საერთაშორისო ურთიერთობების დღემდე არსებულ ფორმაციაში. ვირუსით გამოწვეული ეკონომიკური და ფინანსური ზარალი უკვე ტრილიონობით დოლარს ითვლის, თუმცა, ციფრობრივი მაჩვენებლის გარდა უმთავრესია არსებული გლობალური ეკონომიკური წესწყობილების მოშლისა და მისი სრულიად ახალ პრინციპებზე გადაწყობის პროცესები. პანდემიამ გამოკვეთა თანამედროვე გლობალიზაციის სუსტი მხარეები და დღის წესრიგში დააყენა რიგი საკითხების ახლებურად გააზრების აუცილებლობა როგორც ეროვნულ, ასევე გლობალურ დონეზე. ნაშრომში განხილულია ჯანდაცვის სისტემაში არსებული საფრთხეები, განსაკუთრებით კი Covid-19-ის პანდემიის უარყოფითი შედეგების გავლენა როგორც მოსახლეობის ჯანმრთელობაზე, ასევე გლობალურ და ეროვნულ ეკონომიკურ უსაფრთხოებაზე. გამოკვეთილია საქართველოს ეროვნული ეკონომიკური უსაფრთხოების ცნება, კონცეფცია, ეკონომიკური უსაფრთხოების სტრატეგია და მისი მნიშვნელობა, საქართველოს

მთავრობის ანტიკრიზისული გეგმა პანდემიის უარყოფითი შედეგების დასაძლევად, Covid 19-ის ზეგავლენა ეკონომიკის სხვადასხვა სექტორზე, ფისკალური პოლიტიკის მდგრადობის საკითხები აღნიშნულ ჭრილში, თანამშრომლობა საერთაშორისო ორგანიზაციებთან, რეკომენდაციები ჯანდაცვის სექტორში არსებული პრობლემების დასაძლევად და ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად.

**საკვანძო სიტყვები:** გლობალიზაცია, ეკონომიკური უსაფრთხოება, Covid 19-ის პანდემია, კორონომიკა.

### შესავალი

გლობალიზაცია მრავალწახნაგოვანი მოვლენაა და განიხილება როგორც მსოფლიო მასშტაბით ეკონომიკური, კულტურული და სხვა მიღწევების გაცვლისა და გაზიარების პროცესი, რომელიც ახლოებს ქვეყნებს და კონტინენტებსაც კი. გლობალიზაციის პროცესში განსაკუთრებით მწვავედ დგას ეროვნული ეკონომიკური უსაფრთხოების საკითხები, რაც გასაკუთრებით თვალსაჩინო გახდა Covid-19-ის პანდემიის ფონზე. პანდემიამ სერიოზული გამოწვევების წინაშე დააყენა არა მარტო თითოეული სახელმწიფოს ჯანდაცვის სისტემა, არამედ მისი გლობალური გავრცელება გახდა ფართომასშტაბიანი ეკონომიკური კრიზისის გამოწვევი, რაც თავისთავად ეკონომიკურ უსაფრთხოებას უქმნის სერიოზულ პრობლემებს როგორც ლოკალურად, ასევე გლობალურად.

კვლევის მიზანს წარმოადგენს გლობალიზაციისა და ეროვნული ეკონომიკური უსაფრთხოების საკითხების მიმოხილვა, ეკონომიკური უსაფრთხოების შიდა და გარე ფაქტორების დახასიათება და მისი კავშირი ზოგადად სახელმწიფოს უსაფრთხოებასთან.

კვლევის მიზანს წარმოადგენს ასევე ჯანდაცვის სისტემაში არსებული საფრთხეების და პრობლემების მიმოხილვა, განსაკუთრებით კი Covid-19-ის პანდემიის ჭრილში, რადგანაც კორონავირუსის გავლენა საგრძნობლად მნიშვნელოვანი და ზიანის მომტანი აღმოჩნდა თითოეული ქვეყნის როგორც ჯანდაცვის, ასევე ეკონომიკის ყველა სექტორისათვის. ნაშრომში გამოკვეთილია პანდემიის შედეგები საქართველოსათვის და მთავრობის ანტიკრიზისული გეგმა, რომელიც მიმართულია ეკონომიკური და ფინანსური

სტაბილურობის უზრუნველყოფისაკენ. არსებულ მდგომარეობაში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია თანამშრომლობა და მუდმივი კომუნიკაცია საერთაშორისო ორგანიზაციებთან, მათი რეკომენდაციების გათვალისწინება და მათგან მიღებული დახმარებების მიზნობრივი გამოყენება. ნაშრომში განხილულია გაეროსა და USAID-ის მიზნობრივი პროგრამები და სამოქმედო გეგმები, რომელთა მიზანია საქართველოს მხარდაჭერა COVID-19-ზე რეაგირებისა და აღდგენის პროცესში, რაც ქვეყნის ჯანდაცვის სისტემისა და ეროვნული ეკონომიკური უსაფრთხოების გარანტი იქნება.

### **გლობალიზაციისა და ეკონომიკური უსაფრთხოების საკითხები**

გლობალიზაცია მე-20 საუკუნის დასაწყისის ტექნიკური და ტექნოლოგიური განვითარების შედეგად აღმოცენდა, თუმცა თავდაპირველად ამ პროცესს მხოლოდ ეკონომიკური დატვირთვა ჰქონდა და საერთო ბაზრების შექმნას, ეკონომიკური და სავაჭრო ურთიერთობების გაადვილებას და გაფართოებას ითვალისწინებდა. დღესდღეობით გლობალიზაცია კიდევ უფრო ყოვლისმომცველი მოვლენაა და არა მხოლოდ ეკონომიკურ და სავაჭრო ურთიერთობებს, არამედ კულტურული ტრადიციების, არქიტექტურული და სხვა საყოფაცხოვრებო ტენდენციების, ინფორმაციისა და იდეების გაცვლას და დაახლოებასაც გულისხმობს. იგი მეტ შესაძლებლობებს ქმნის იდეების გაცვლისთვის, მაღალი კლასის განათლების მიღებისთვის და ამგვარად ხელს უწყობს კაცობრიობის წინსვლას. დღესდღეობით ფიზიკური გადაადგილება აღარ არის აუცილებელი, რაც გაცილებით აადვილებს და აიაფებს განათლების მიღების, იდეების გაცვლის, სიახლეების შექმნის და დანერგვის პროცესებს. უნდა აღინიშნოს, რომ გლობალიზაციის პირობებში ის ქვეყნები აღწევენ დიდ წარმატებას, რომლებიც ამუშავებენ და რეალიზაციას უკეთებენ ქვეყნისათვის მისადაგებულ ინოვაციურ პოლიტიკას ყველა მიმართულებით, განსაკუთრებით კი ჯანდაცვის სისტემაში.

გლობალიზაციის პირობებში განსაკუთრებით მწავედ დგას როგორც გლობალური, ასევე ეროვნული ეკონომიკური უსაფრთხოების საკითხი. თანამედროვე გლობალურ მსოფლიოში ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფის აუცილებლობა განპირობებულია შემდეგი ძირითადი ფაქტორებით:

1. სხვადასხვა ქვეყნის ეროვნული ინტერესებისა და მიზნების დაპირისპირებით, რაც ძირითადად საერთაშორისო ეკონომიკური კავშირების ინტერნაციონალიზაციით და ეროვნული ეკონომიკური მეურნეობების სულ უფრო მზარდი ურთიერთდამოკიდებულებითაა გამოწვეული;

2. სტრატეგიული რესურსების არათანაბარი განაწილების გამო მათი ტრანსპორტირებისა და მოხმარებისას წარმოქმნილი დაპირისპირებით;

3. გასაღების ბაზრების ხელში ჩასაგდებად მიმდინარე სულ უფრო მზარდი კონკურენტული ბრძოლით;

4. სარწმუნოებრივი და ეკონომიკური კეთილდღეობის უთანაბრობის ნიადაგზე ცივილიზაციათა შორის დაპირისპირებით.

ეკონომიკური უსაფრთხოების ცნების ფორმულირებისათვის აუცილებელია, პირველ რიგში, ეროვნული უსაფრთხოების ცნების განსაზღვრა. პოლიტიკურ ლექსიკონებში ტერმინი ეროვნული უსაფრთხოება 1901-1909 წლებში აშშ-ის პრეზიდენტის, თეოდორ რუზველტის დამსახურებით აღმოჩნდა. მან 1904 წ. აშშ-ის კონგრესს გაუგზავნა მიმართვა, რომელშიც პანამის იმ ტერიტორიების ოკუპირებას, სადაც მომავალში არხი უნდა გაეყვანათ, ასაბუთებდა ქვეყნის ეროვნული უსაფრთხოების ინტერესებით [ალადაშვილი ბ., 2006:1-2]. აშშ მსოფლიოში პირველი ქვეყანა იყო, რომელმაც ეროვნული უსაფრთხოების პრობლემების გადასაჭრელად მიიღო შესაბამისი კანონი (1947 წ.) და იმავე წელს შექმნა სპეციალური სტრუქტურა – ეროვნული უსაფრთხოების (უშიშროების) საბჭო. უნდა აღინიშნოს, რომ ეკონომიკური უსაფრთხოების უმთავრესი მიზანი დროსა და სივრცეში იცვლება ქვეყნისა და საზოგადოების წინაშე მდგარი სტრატეგიული და ტაქტიკური ამოცანებიდან გამომდინარე.

ეკონომიკური უსაფრთხოება შეიძლება განვმარტოთ, როგორც წინასწარ განსაზღვრულ პოლიტიკურ, ეკონომიკურ, ძალისმიერ და ა.შ (სოციალურ, ტექნოლოგიურ, ინფორმაციულ, ეკოლოგიურ, სამართლებრივ და სხვ.) ღონისძიებათა კომპლექსური სისტემა, რომლის განხორციელებაც უზრუნველყოფს პიროვნების, საზოგადოებისა და სახელმწიფოს სასიცოცხლო ეკონომიკური ინტერესების მუდმივ დაცვას და ქვეყნის ეკონომიკის დინამიკურ განვითარებას როგორც მშვიდობიან პირობებში, ისე საშინაო და

საგარეო ექსტრემალური სიტუაციებისა და პოლიტიკური, ეკონომიკური, ეკოლოგიური და სხვა საფრთხეების დინამიკის გათვალისწინებით [ალადაშვილი ბ., 2006:3].

ეკონომიკური უსაფრთხოება ეროვნული უსაფრთხოების შემადგენელი ნაწილია და ეკონომიკური ბაზისის პირველადობიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ მისი საფუძველიცაა, რადგანაც საზოგადოების განვითარების მრავალსაუკუნოვანი ისტორია გვიჩვენებს, რომ პოლიტიკური, იდეოლოგიური, სოციალური, კულტურული და ა.შ. განვითარების ძირითად მიმართულებებს და ტენდენციებს საბოლოო ჯამში ეკონომიკური განვითარება განსაზღვრავს.

ეკონომიკური უსაფრთხოება მჭიდროდ არის დაკავშირებული სახელმწიფოს უსაფრთხოების მთლიან სისტემასთან. მისი ცალკე გამოყოფა შეუძლებელია. წარმოდგენელია, ქვეყნის ძლიერი სამხედრო უსაფრთხოების არსებობა არაეფექტური და სუსტი ეკონომიკის პირობებში და პირიქით. ფუნქციური თვალსაზრისით ეკონომიკური უსაფრთხოება არის სახელმწიფოს ეროვნული ეკონომიკის უნარი უზრუნველყოს საზოგადოებისა და ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური და სამხედრო-პოლიტიკური სტაბილურობა, მოსახლეობის ეკონომიკური მდგომარეობის მდგრადობა შიდა და გარე საფრთხეების პირობებში, რესურსების ეფექტური გამოყენება და განაწილება, ასევე სახელმწიფოს ეროვნული პრიორიტეტების დაცვა და რეალიზება. სტრუქტურული თვალსაზრისით, ეკონომიკური უსაფრთხოება არის იმ პირობებისა და ფაქტორების ერთობლიობა, რომლებიც უზრუნველყოფენ ეროვნული ეკონომიკის დამოუკიდებლობას, სტაბილურობას და მუდმივი განახლების უნარს [ნატროშვილი გ., 2008:1]. ეკონომიკური უსაფრთხოების ობიექტებია როგორც ეკონომიკური სისტემა კომპლექსში, ასევე მისი ცალკეული ელემენტი: ბუნებრივი სიმდიდრე, საწარმოო და არასაწარმოო ფონდები, უძრავი ქონება, ფინანსური რესურსები, სამეურნეო სტრუქტურები და სხვ., ხოლო მისი სუბიექტებია: საკანონმდებლო სტრუქტურები, სახელმწიფო და მისი ინსტიტუტები (სამინისტროები, უწყებები, სამსახურები და სხვ.), სახელმწიფო და კერძო სექტორის დაწესებულებები.

*ეროვნული უსაფრთხოების შიდა ფაქტორებია:* ქვეყნის ენერგეტიკული უზრუნველყოფა, ინსტიტუციური მოწყობა და წესრი-

გი, საკანონმდებლო ბაზის სრულყოფა, ბიზნესის განვითარებისათვის ხელსაყრელი საინვესტიციო კლიმატი, ბუნებრივი ფაქტორები, საბანკო სისტემისა და შესაბამისი ბაზრის მდგომარეობა, კრედიტების მიღების პირობები, სამუშაო ძალის გამოყენების სტრუქტურა, უმუშევრობის დონე, ინტელექტუალური საკუთრების უფლების დაცვა, უახლესი მეცნიერულ-ტექნიკური მიღწევების ათვისება და განვითარება, ინოვაციური პოლიტიკის გატარება.

*ეკონომიკური უსაფრთხოების გარე ფაქტორებს მიეკუთვნება:* ქვეყნის მონაწილეობა საერთაშორისო ეკონომიკაში, ქვეყნის ეკონომიკის მიმზიდველობა და კონკურენტუნარიანობა საერთაშორისო ბაზრებზე, სამუშაო ძალისა და ინტელექტუალური პოტენციალის მიგრაცია, ე.წ. „ტვინების გადინების“ პროცესი, გარღვევა საგარეო ვალის სიდიდესა და მისი მომსახურების შესაძლებლობებს შორის, საზღვრების დაცულობა და კონტრაბანდის კონტროლი [თეთრაული ც., 2018: 3-4].

მსოფლიო გლობალიზაციის პროცესების თანმდევი პრობლემაა ქვეყნებს შორის ეროვნულ ინტერესთა კონფლიქტი, რის დასაძლევადაც ქვეყნები ხშირად მნიშვნელოვან კომპრომისებზეც კი მიდიან, თუმცა ეროვნული ეკონომიკური პოლიტიკის წარმართვის კოორდინაცია და სხვა ქვეყნებთან ეკონომიკური კავშირების საერთაშორისო ორგანიზაციებისგან მიღებული რეკომენდაციების საფუძველზე რეგულირება არ უნდა ჩრდილავდეს ეროვნულ ეკონომიკურ მიზნებს.

### **ჯანდაცვის სფეროში არსებული საფრთხეები და მისი გავლენა ეკონომიკურ უსაფრთხოებაზე**

21-ე საუკუნე გლობალური ეპიდემიების საუკუნეა. ბოლო ათწლეულებმა დაადასტურა, რომ ვირუსული დაავადებების ერა დასრულებული არ არის და ახლად წარმოშობილი დაავადებები (COVID-19, ებოლა, ზიკა და სხვა) 21-ე საუკუნეშიც დიდ საფრთხეს უქმნის მსოფლიო მოსახლეობას, ჯანდაცვის სისტემას, თითოეული ქვეყნის ეკონომიკურ მდგომარეობას, ფინანსურ სტაბილურობას. ჯანდაცვის სფეროს გამოწვევები და არსებული ვითარება დიდწილად ახდენს გავლენას როგორც გლობალურ, ასევე ეროვნულ ეკონომიკურ უსაფრთხოებაზე.

იმის გათვალისწინებით, რომ ინფექციურ დაავადებებთან ბრძოლა უპირატესად საზოგადოებრივი სიკეთეა, ვიდრე კერძო,

ინდივიდუალური სერვისი, ინფექციური დაავადებების ეპიდემიების ხანა ზრდის ჯანდაცვის სექტორში სახელმწიფოს მარეგულირებელ როლს, სახელმწიფოსა და კერძო სექტორს შორის თანამშრომლობის მნიშვნელობას, საზოგადოებრივი ჯანმრთელობის პრიორიტეტულობას. მეტად მნიშვნელოვანია გლობალური ძალისხმევის კოორდინაცია, მხარდაჭერა და ზეგავლენის გაძლიერება ისეთი დაავადებების წინააღმდეგ, რომლებიც მხოლოდ განვითარებად ან ღარიბ ქვეყნებს და მათ მოსახლეობას როდი აზიანებს. გადამდები დაავადებების წინააღმდეგ ბრძოლა საერთოდ, კერძოდ კი COVID-19-თან, მსოფლიო დღის წესრიგის ერთ-ერთი უმთავრესი საკითხია [მირზიკაშვილი ნ., 2021:5-6].

ახალმა კორონავირუსმა (SARS-CoV-2) და მის მიერ გამოწვეულმა ინფექციურმა დაავადებამ (COVID-19) მსოფლიოს ბევრი ქვეყანა, და მათ შორის საქართველოც, უდიდესი გამოწვევის წინაშე დააყენა. პანდემიამ, როგორც საერთაშორისო, ისე ეროვნულ დონეზე, მრავალი პრობლემა შექმნა და COVID-19-თან გამკლავება თითოეული სახელმწიფოს მთავრობის ძირითადი პრიორიტეტი გახდა. COVID-19 უფრო მეტია, ვიდრე მხოლოდ ჯანმრთელობასთან დაკავშირებული კრიზისი. ვირუსის გავრცელების მასშტაბით თუ ვიმსჯელებთ, მან ღრმა კვალი დატოვა თითოეული ქვეყნის სოციალურ და ეკონომიკურ მდგომარეობაზე. კორონავირუსის ზეგავლენა ეკონომიკაზე იმდენად მნიშვნელოვანი შეიქნა, რომ აჯით დე ალვისმა (Ajith de Alwis) შრი-ლანკადან ახალი ტერმინი – „კორონომიკსი“ („Coronomics“) შექმნა, რომელიც ორი ტერმინის – „კორონა“ („Corona“) და „ეკონომიკსი“ („Economics“) – გაერთიანებით მიიღება და რომელიც კორონავირუსის ეკონომიკაზე ზეგავლენას შეისწავლის (Alwis, 2020). მოგვიანებით მისი მსგავსი ტერმინიც – „კორონანომიკსი“ იქნა შემოთავაზებული („Coronanomics“) [პაპავა ვ., 2020:15-16].

ახალმა ვირუსმა რადიკალურად გარდაქმნა ადამიანის, საზოგადოებისა და სახელმწიფო ინსტიტუტების წარმოდგენები ჯანდაცვის პოლიტიკის მნიშვნელობაზე და მის მჭიდრო კავშირზე როგორც სოციალურ, ასევე ეკონომიკურ და სახელმწიფო განვითარების სფეროებთან. პანდემიამ ახალი სიმწვავეით დააბრუნა ჯანდაცვის სფეროსა და მისი ეფექტური მართვის საკითხები. თანამედროვე პირობებში, გლობალური ჯანდაცვა სულ უფრო აქტუა-




ლური ხდება, ეს კომპლექსური მიდგომა თავის თავში აერთიანებს სხვადასხვა დისციპლინას, მათ შორის, მედიცინას, ჯანდაცვის პოლიტიკას, საგარეო ვაჭრობას, ფინანსებს, მენეჯმენტს, დემოგრაფიას, ეკოლოგიას, ქვევით მეცნიერებებს, სოციოლოგიას, ანთროპოლოგიას.

Covid-19 საკმაოდ რთული გამოწვევა და ძლიერი საფრთხე აღმოჩნდა არა მხოლოდ მსოფლიო ჯანდაცვის სისტემისათვის, არამედ გლობალური ეკონომიკისათვისაც და შესაბამისად ეკონომიკური უსაფრთხოებისთვისაც. კორონა ვირუსის აღსაკვეთად განხორციელებული საკარანტინო ზომები დრამატული და შოკისმომგვრელი აღმოჩნდა გლობალური ეკონომიკისათვის, რის შედეგადაც იგი ღრმა რეცესიაში აღმოჩნდა. მსოფლიო ბანკის ანალიზით, 2020 წლის პლანეტის ეკონომიკა 5,2%-ით შემცირდა. ეს ყველაზე ღრმა შემცირებაა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ და 1870 წლის შემდეგ ქვეყნების უდიდეს ნაწილში ერთ სულ მოსახლეზე პროდუქციის რაოდენობის ყველაზე მასშტაბური კლება გამოიწვია. 2020 წელს აშშ-ის ეკონომიკა 6.1%-ით შემცირდა, ევროზონაში 9%-ზე მეტად [Coibion, O., Gorodnichenko, Y., Weber, M., 2020:2-3].

პანდემიამ მძიმე დარტყმა მიაყენა განათლების სექტორსაც, კერძოდ დაბალშემოსავლიანი ქვეყნების მოსწავლეებს უფრო მეტი სასკოლო დღე გაუცდათ, ვიდრე მაღალშემოსავლიანი ქვეყნების მოსწავლეებს.

გრაფიკი 1. გაცდენილი სასკოლო დღეების საშუალო რაოდენობა შემოსავლის დონის მიხედვით



წყარო: 2nd Iteration of UNESCO-UNICEF-World Bank jointly conducted survey to monitor national education responses to COVID-19 school closures, August 2020, pp.25-27.

გარდა ამისა, პანდემიამ არა მარტო გაზარდა სიღარიბე ოჯახებზე და შინამეურნეობებზე გავლენის მოხდენით, ის ასევე აღრმავებს სიღარიბეს ბავშვის სიცოცხლის თითოეული განზომილების, მათ შორის ჯანდაცვის, განათლების, ნუტრიციის, საცხოვრებლის, წყალმომარაგებისა და სანიტარიული პირობების მიხედვით. ეს წარმოადგენს დაახლოებით 15 %-იან ზრდას პანდემიამდე არსებულ დონესთან.

### **საქართველოში კორონავირუსის გავრცელება, მთავრობის მიერ გატარებული ღონისძიებები და ეროვნული ეკონომიკური უსაფრთხოება**

ეროვნულ ეკონომიკურ უსაფრთხოებაზე დიდ გავლენას ახდენს ჯანდაცვის სისტემის მდგომარეობა და მასში მიმდინარე პროცესები, რადგანაც საზოგადოების ჯანმრთელობის დონე პირდაპირპროპორციულად არის დაკავშირებული ქვეყნის ეკონომიკურ კეთილდღეობასთან. ჩვენი ქვეყნის ეკონომიკურ უსაფრთხოებას დიდი ზიანი მიაყენა Covid-19-მა, რამაც მოიცვა ყველა დარგი და სექტორი. პანდემიას შედეგად მოჰყვა სამუშაო ადგილების დაკარგვა, წარმოების შეზღუდვა, სამომხმარებლო დანახარჯის შემცირება. პანდემიის ფონზე გლობალური ეკონომიკისა და საქართველოს მთავარი სავაჭრო პარტნიორების დასუსტება სწრაფი ეკონომიკური აღდგენისა და ჯანდაცვის კრიზისის დაძლევის პროცესს ხელს უშლის.

ეკონომიკური უსაფრთხოების საკითხების შესწავლა და მისი თეორიულ დონეზე დამუშავება, სამწუხაროდ, ჩვენს ქვეყანაში სერიოზულ მეცნიერულ დონეზე არ წარმართულა, თუმცა ბოლო პერიოდში შეინიშნება ზრდის ტენდენცია აღნიშნული მიმართულებით. საქართველოში ISO სტანდარტებზე ხელმისაწვდომობის ზრდისათვის ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ-საქართველოს სტანდარტებისა და მეტროლოგიის სააგენტო (GeoSTM) პერიოდულად ახდენს საერთაშორისო სტანდარტების რეგისტრაციას საქართველოს სტანდარტად, აღნიშნული სტანდარტების თარგმნას ქართულ ენაზე და მათ მიღებას სტანდარტიზაციის ეროვნული კომიტეტის ჩართულობით.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის (WorldEconomic Forum) გლობალური რისკების ანგარიშის

(Global Risks Report) მიხედვით გამოკვეთილია 4 გლობალური რისკი: გარემოსდაცვითი რისკები, კიბერუსაფრთხოების საკითხები, საზოგადოების მდგრადობა ინფექციური დაავადებები. ISO-ს აქვს მრავალი სტანდარტი ჯანდაცვის სექტორში – ხარისხისა და უსაფრთხოების დონის უზრუნველსაყოფად და რისკების შესამცირებლად. მათ შორის: სტანდარტი ISO/PAS 45005, ჯანმრთელობის დაცვისა და უსაფრთხოების მენეჯმენტი – ზოგადი სახელმძღვანელოები უსაფრთხო სამუშაოებისათვის COVID-19 პანდემიის დროს [საქართველოს სტანდარტებისა და მეტროლოგიის სააგენტო, 2021:1].

გარდა აღნიშნულისა, საჭიროა ქმედითი ნაბიჯების გადადგმა და ეროვნული ეკონომიკური უსაფრთხოების სტრატეგიის განსაზღვრა და ჩამოყალიბება, კერძოდ საქართველოს შემთხვევაში ეკონომიკური უსაფრთხოების სტრატეგია უნდა გულისხმობდეს:

- ეკონომიკური უსაფრთხოების შინაგანი და გარეგანი მახასიათებლების განსაზღვრას;

- ეკონომიკური უსაფრთხოების მოთხოვნების შესაბამისი კრიტერიუმებისა და პარამეტრების განსაზღვრას;

- პრიორიტეტული დარგების გამოყოფას და მხარდაჭერას;

- ეროვნული ვალუტის გამყარებას და შესაბამისი ღონისძიებების განხორციელებას;

- ეკონომიკური პოლიტიკის, ინსტიტუციური გარდაქმნებისა და ყველა იმ მექანიზმის განსაზღვრას, რომელიც ეროვნული ეკონომიკური უსაფრთხოების მდგრადობის დარღვევის თავიდან აცილების შესაძლებლობას იძლევა.

პანდემიის შედეგად ყველაზე მეტად დაზარალდნენ ის ქვეყნები, რომლებიც მნიშვნელოვნად არიან დამოკიდებული ტურიზმზე, საგარეო ვაჭრობაზე, საქონლის ექსპორტსა და საგარეო დაფინანსებაზე. მათ შორის არის საქართველოც, ჩვენი ქვეყნის შემთხვევაში ჩამოთვლილ ფაქტორებს ემატება ქვეყნის შიგნით არსებული გამოწვევები, რაც განსაკუთრებით მწვავედ დგას ჯანდაცვის სექტორში და პანდემიამ კიდევ უფრო თვალსაჩინო გახადა აღნიშნული პრობლემები. განვითარებადი ეკონომიკები განსაკუთრებით მოწყვლადია და მათთვის ძალზე მნიშვნელოვანია ჯანდაცვის სისტემის გაძლიერება, არაფორმალური ეკონომიკის მოგვარება და შეზღუდული სოციალური უსაფრთხოების ქსელები, რეფორმების

განხორციელება არსებული კრიზისის შემდეგ ძლიერი და მდგრადი ეკონომიკური ზრდის უზრუნველსაყოფად.

უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოში კორონავირუსის (COVID-19) პირველი შემთხვევა 2020 წლის 27 თებერვალს დაფიქსირდა, 2020 წლის 8 დეკემბრისთვის კი ქვეყანაში 174,383 დადასტურებული შემთხვევა, 27,482 აქტიური შემთხვევა, 145,287 გამოჯანმრთელებული პაციენტი და 1,614 რეგისტრირებული გარდაცვალების შემთხვევა აღირიცხა [ჭაბუკიანი ნ., ჯავახიშვილი ლ., 2020:11].

პანდემიამ ეკონომიკური აქტივობის მკვეთრი შენელება და ბოლო წლების პოზიტიური ეკონომიკური ტრანექტორიის შეწყვეტა გამოიწვია საქართველოში. გლობალურად, COVID-19-ის პანდემიამ მწვავე ზიანი მიაყენა მსოფლიო ეკონომიკას, მათ შორის საქართველოს სავაჭრო პარტნიორ ქვეყნებს, როგორცაა ევროკავშირი, აზერბაიჯანი, თურქეთი, რუსეთი და სხვ. საქართველოს შესუსტებულმა საგარეო მოთხოვნამ და თანმდევმა შოკმა, რომელიც ტურიზმის სექტორმა განიცადა, ქართული ლარის გაუფასურება და ზოგადად ეკონომიკური აქტივობის მნიშვნელოვანი შემცირება გამოიწვია. პანდემიის შედეგად ადგილობრივ დონეზე პირადი მოხმარების, საგარეო ინვესტიციებისა და წმინდა ექსპორტის მასშტაბი შეიზღუდა.

ეპიდემიის მზარდი გავრცელების საპასუხოდ, ყველა სფეროში საგანგებო სიტუაციაზე რეაგირების მასშტაბების გაზრდის მიზნით და COVID-19-ის შიდა გავრცელების პრევენციისთვის, საქართველოს მთავრობამ ჯერ კიდევ 2020 წლის იანვარში დაიჭირა თადარიგი. 2020 წლის 28 იანვარს გამოიცა საქართველოს მთავრობის პირველი განკარგულება (N164) „საქართველოში ახალი კორონავირუსის შესაძლო გავრცელების აღკვეთის ღონისძიებებისა და ახალი კორონავირუსით გამოწვეული დაავადების შემთხვევებზე ოპერატიული რეაგირების გეგმის დამტკიცების შესახებ“. შეიქმნა ეროვნული მრავალდარგობრივი კომიტეტი. კორონავირუსის გლობალური პანდემიის წინააღმდეგ ბრძოლის მიზნით, 2020 წლის 21 მარტს პარლამენტმა საქართველოს მთელ ტერიტორიაზე საგანგებო მდგომარეობა გამოაცხადა. გამოწვევებზე საპასუხოდ, სახელმწიფო დონეზე სხვადასხვა ტიპის რეფორმა დაანონსდა, რომლებიც პირველადი ჯანდაცვის გაძლიერებას, სამედიცინო

სფეროს დაფინანსების ზრდას თუ ინფრასტრუქტურის განახლებას მოიაზრებს. საქართველოს მთავრობამ პანდემიის უარყოფითი ზემოქმედების საკომპენსაციოდ წარმოადგინა ანტიკრიზისული გეგმა, რამდენიმე სოციალური დახმარების პროგრამის პაკეტისა და ეკონომიკის მასტიმულირებელი ღონისძიებების სახით. ანტიკრიზისული გეგმის პირველი ეტაპი მოიცავდა გადაუდებელი დახმარების აღმოჩენას მოქალაქეებისთვის და მეწარმეებისთვის. მეორე ეტაპი მიზნად ისახავდა დახმარებას მოქალაქეებისთვის მძიმედ დაზარალებული ეკონომიკური სექტორებიდან და სოციალურად დაუცველი ჯგუფებიდან. მესამე ეტაპზე განხორციელდა დამატებითი ღონისძიებები, რომელიც მოიცავდა ერთჯერად გრანტებს ბავშვებისთვის, უნივერსიტეტში სწავლის საფასურს და დახმარებას თვითდასაქმებულთათვის [საქართველოს მთავრობის ანტიკრიზისული ეკონომიკური გეგმა, 2020:2-3]. ცნობისათვის, პანდემიის პერიოდში 2020 წლის 28 მარტს გერმანიამ მიიღო ქვეყნის ისტორიაში ყველაზე დიდი ანტიკრიზისული პროგრამა 156 მილიარდი ევროს მოცულობით. აქედან 50 მილიარდი ევრო განკუთვნილია მიკროსაწარმოებისა და თვითდასაქმებულთა დასახმარებლად. 2020 წლის 27 მარტს აშშ-ის კონგრესმა მიიღო „კანონპროექტი ანტიკრიზისული ზომების შესახებ“ 2 ტრილიონი დოლარის მოცულობით, რაც არის ქვეყნის ისტორიაში ყველაზე მასშტაბური პაკეტი. იგი ითვალისწინებს თითოეული მოქალაქის პირდაპირ ფინანსურ დახმარებას 1200-დან 2400 დოლარამდე, ასევე გადასახდელებს ბავშვზე (500 დოლარი). 150 მილიარდი გამოეყო საავადმყოფოებს, იგივე თანხა ცალკეულ შტატს ვირუსთან ბრძოლისათვის. მსხვილი ბიზნესისათვის განკუთვნილია 500 მილიარდი დოლარი სუბსიდირებული კრედიტებისა და გრანტების სახით დასაქმების მხარდასაჭერად, 348 მილიარდი – შეღავათიანი კრედიტებისთვის მცირე და საშუალო ბიზნესის დასახმარებლად [აბესაძე რ., პანდემიის ეკონომიკური, სოციალური და ჰუმანიტარული ასპექტები მსოფლიოსა და საქართველოში, 2020, გვ. 15].


პანდემიამ მძიმე დარტყმა მიაყენა ქვეყნის ეკონომიკის ყველა სექტორს. გაეროს შეფასების მიხედვით, 2020 წელს დაფიქსირდება მთლიანი შიდა პროდუქტის ყველაზე დაბალი ზრდა გასული ათწლეულის განმავლობაში (4-5%-იანი შემცირება), ხოლო მსოფ-

ლიო ბანკის შეფასებით პანდემიამ 2020 წელს 6.2- პროცენტის ეკონომიკური ვარდნა გამოიწვია [გაეროს მდგრადი განვითარების თანამშრომლობის ხელშეკრულება:2020:15-16]. გარდა ამისა შემოსავლები შემცირდა ეკონომიკური აქტივობების კლებისა და სოციალური პროგრამის გაფართოების შედეგად, პანდემიაზე დაყოვნებული რეაგირების გამო (მშპ-ის 4.0 პროცენტი), რასაც ფისკალური დისბალანსისკენ მივყავართ; ქვეყანაში მოიმატა უმუშევრობამ როგორც ეკონომიკური აქტივობების შეჩერების (მათ შორის, მცირე და საშუალო საწარმოების, დიდი დამსაქმებლების), ასევე მიგრანტი მშრომელების დაბრუნების გამო, რამაც 500,000 ქართველი „დაღმავალი მობილობის“ რისკის ქვეშ დააყენა. სიღარიბის მაჩვენებელი დაახლოებით 5.4 პროცენტული ერთეულით გაიზარდა. პანდემიამ შრომის ბაზარზე შექმნა პრობლემები, კერძოდ გაიზარდა უთანასწორობა იმ ფაქტიდან გამომდინარე, რომ ქალებს მოუწიათ შრომის ბაზრის დატოვება გაზრდილი საშინაო ტვირთის გამო; 2020 წლის პირველ ნახევარში ექსპორტი შემცირდა 16 %-ით, ხოლო იმპორტი – 19 %-ით. მკვეთრად შემცირდა ტურიზმიდან მიღებული შემოსავლები, რაზეც ქვეყანა მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული. პანდემიამ ყველაზე დიდი დარტყმა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებს მიაყენა, რაც გამოიხატა მკურნალობის ხარჯების ზრდითა და სხვა მომსახურებებზე ხელმისაწვდომობის გართულებით. 2021 წლის მარტში მოხდა წლიური ინფლაციის მნიშვნელოვანი ზრდა 3.6 %-დან 7.2%-მდე (იხ. გრაფ. 2). მოცემული მაღალი ინფლაცია ძირითადად განპირობებულია სასურსათო პროდუქტისა და ტრანსპორტირების ფასების ზრდით, რომლებიც გამოწვეულია მსოფლიო ბაზრებზე სურსათისა და ნავთობის ფასების ზრდით.

კორონავირუსით გამოწვეული პანდემიის მიმართ საქართველოს ეკონომიკის მაღალი მოწყვლადობა სხვადასხვა ფაქტორებითაა გამოწვეული. უპირველეს ყოვლისა, ეს დაკავშირებულია მთლიანი შიდა პროდუქტის სტრუქტურასთან, სადაც დარგობრივად ყველაზე დიდი წილი ისეთ ეკონომიკურ საქმიანობებზე მოდის, რომლებიც ყველაზე მეტად დაზიანდნენ კორონავირუსის პირობებში. ესენია საბითუმო და საცალო ვაჭრობა (13.9 %), უძრავ ქონებასთან დაკავშირებული საქმიანობები (11.4 %), მშენებლობის სექტორი (8.3%) და საფინანსო-სადაზღვევო საქმიანობები (6.1%).

ტურისტული სექტორის გაჩერებამ, რომელიც წლებია ეკონომიკური განვითარების ქვაკუთხედად მოიაზრება, მნიშვნელოვანი დარტყმა მიაყენა როგორც შრომით ბაზარს, ასევე ლარის კურსის სტაბილურობას. მსოფლიო ბანკმა 15 მლრდ აშშ დოლარის მოცულობის სწრაფი და მყისიერი დახმარება გასცა COVID-19-ის პირველ გამოწვევებთან გასამკლავებლად.

გრაფიკი 2. ინლფაციის დინამიკა, 2021.



წყარო: საქსტატი, საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, 2021.

მსოფლიო ბანკის პროგნოზით, საქართველოს ეკონომიკის COVID-19-მდე არსებულ დონემდე აღდგენა 2022 წლის ბოლომდე ნაკლებად სავარაუდოა. 2022 წლისთვის ევროპისა და ცენტრალური აზიის რეგიონის მოსალოდნელი ზრდის მაჩვენებელი 3.8 პროცენტამდე მოიმატებს, ვინაიდან პანდემიის ზემოქმედება თანდათანობით შესუსტდება, ხოლო ვაჭრობა და ინვესტიციები აღდგება. ევროპისა და ცენტრალური აზიის ქვერეგიონებს შორის სამხრეთ კავკასიამ 2020 წელს ერთ-ერთი უმწვევესი ეკონომიკური კოლაფსი განიცადა, რაც კონფლიქტმა და COVID-19-ის შემთხვევებისა და სიკვდილიანობის მაღალმა მაჩვენებლებმა განაპირობა. პროგნოზის მიხედვით, 2021 წელს ეკონომიკური ზრდის 3.1 პროცენტამდე, ხოლო 2022 წელს 4.2 პროცენტამდე მატება ივარაუდება [Indira Chand I., Panajyan S., 2021:1-2].

საქართველოს ჯანდაცვის სისტემა, როგორც აღვნიშნეთ, გამოწვევების წინაშე დგას, რაც უფრო მკაფიო გახდა კოვიდპანდემიის ფონზე. აღნიშნული გამოწვევები საფრთხეს უქმნის რო-

გორც საზოგადოების ჯანმრთელობას, ასევე ეროვნულ ეკონომიკურ უსაფრთხოებას.

სექტორში არსებულ ძირითად რისკებს წარმოადგენს შემდეგი:

- პრევენციული მედიცინისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ნაკლები პრიორიტეტულობა;

- სუსტად განვითარებული პირველადი ჯანდაცვის სისტემა და პირველადი ჯანდაცვისადმი ნდობის ნაკლებობა, რაც ზრდის ჯიბიდან გადახდას თვითმკურნალობის ან რეფერალური სისტემების გვერდის ავლით სპეციალისტების მონახულების შედეგად.

- ჯანდაცვის სისტემის დაფინანსებაზე გამოყოფილი თანხების სიმწირე;

- თანამშრომელთა უწყვეტი პროფესიული განვითარების სისტემის არარსებობა, ადამიანური რესურსის მომზადების, უწყვეტი განათლებისა და პროფესიული გადამზადების მწყობრი სისტემის არარსებობა;

- ჯანმრთელობის ხელშეწყობითი ღონისძიებების მწირი დაფინანსება. ჯანდაცვის სახელმწიფო ხარჯების წილი მთლიან შიდა პროდუქტზე დაბალია ევროპული სტანდარტების მიხედვით;

- მომსახურების ფასების მკაცრი რეგულირებისა და მომსახურების მოცულობის მაკონტროლებელი მექანიზმების არარსებობა, საავადმყოფოების საქმიანობაზე დაფუძნებულ დაფინანსებასთან ერთად, ხელს უწყობს ზედმეტი მკურნალობის ჩატარებას და უფრო ძვირადღირებული მომსახურებების გამოყენებას, რითაც ხარჯები შინამეურნეობებზე გადადის;

- ჯანმრთელობის ხელშეწყობის პოპულარიზაციის ეფექტურობის ასამაღლებლად ერთიანი უწყვეტი (არაფრაგმენტული) სოციალური მედიაკამპანიის განხორციელებისთვის საჭირო ფინანსური სახსრების არარსებობა (სიმწირე);

- ფინანსური რისკი, განპირობებული გარემოს რისკ-ფაქტორებით გამოწვეული დაავადებების მიმართ დაფინანსების სიმწირით;



- ქვეყანაში გარემოს ხარისხობრივი მდგომარეობის არაეფექტური და არასისტემური მონიტორინგისა და კონტროლის ღონისძიებები.

- გარემოსა და ჯანმრთელობის სფეროში კოორდინირებული, თანმიმდევრული სახელმწიფო პოლიტიკის ნაკლებობა;

- ევროკავშირისა და სხვა საერთაშორისო სტანდარტებთან საზოგადოებრივი ჯანდაცვის ჰიგიენური ნორმების, სტანდარტების, გაიდლაინების შემუშავება – ჰარმონიზების დაბალი ტემპი;

- საქართველოში მოქმედი ჰაერის, წყლის, ხარისხის მარეგულაციონირებული ნორმატიული აქტები და მონიტორინგის არსებული სისტემა არ იძლევა გარემოს დაბინძურების შეფასების საშუალებას და მის ზეგავლენას მოსახლეობის ჯანმრთელობაზე ჯანმრთეობის მიერ რეკომენდებული პარამეტრების მიხედვით;

- ადგილობრივ საჭიროებებზე დაფუძნებული მუნიციპალური პროგრამების სიმწირე და არასაკმარისი დაფინანსება, პროგრამულ ღონისძიებათა არასაკმარისი მხარდაჭერა ადგილობრივი თვითმმართველობების მხრიდან, მათი არასაკმარისი კომპეტენცია საზოგადოებრივი ჯანმრთელობის პრობლემატიკის მიმართ;

- რეგიონული სტრუქტურებისა და მუნიციპალური საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრების ურთიერთდამოკიდებულებათა და ანგარიშვალდებულებათა არასაკმარისი დონე და ა.შ.

ჩვენს ქვეყანაში ჯანდაცვის სფეროს მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს **განუვითარებელი და სუსტი პირველადი ჯანდაცვის** სისტემის არსებობა, რაც კიდევ უფრო ცხადი გახდა პანდემიის ფონზე. პანდემიის პერიოდში კარგად გამოჩნდა, რომ განსაკუთრებით აქტუალურია ადგილობრივ დონეზე ჯანდაცვის პირველადი რგოლის გამართული მუშაობა, მეტი ძალისხმევაა გასაწევი ადგილობრივი სამედიცინო პერსონალის სათანადოდ მოსამზადებლად. მნიშვნელოვანია აგრეთვე რეგიონებში მსხვილი სამედიცინო ცენტრების გაძლიერების, თანამედროვედ აღჭურვისა და ბიზნესის ამ კუთხით წახალისების ხელშეწყობა, რათა მსგავს კრიზისულ სიტუაციებში სამედიცინო დახმარების მიღება ხელმისაწვდომი იყოს რეგიონულ ცენტრებში. ოჯახის ექიმის ინსტიტუტი მნიშვნელოვან როლს თამაშობს ინფექციური დაავადებების წინააღმდეგ ბრძოლაში. სამწუხაროდ, პირველადი ჯანდაცვა და ოჯახის ექიმის ინსტიტუტი საქართველოში სუსტად არის განვი-

თარებულის. საქართველოში პირველადი ჯანდაცვის სისტემის ნაკლებ განვითარებაზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ ამბულატორიულ სამედიცინო დაწესებულებებში მიმართვიანობის რაოდენობა ერთ სულ მოსახლეზე 3.5 პროცენტს შეადგენს (ევროპის ქვეყნებში 7.5-მდე აღწევს). პაციენტები პირველადი ჯანდაცვის რგოლის გვერდის ავლით, ექიმის დანიშნულების გარეშე ყიდულობენ მედიკამენტებს და ეწვევიან თვითმკურნალობას [ვერულავა თ., 2018:2-3].

პანდემიის პირობებში მაღალი ეკონომიკური დესტაბილიზაცია დაკავშირებულია შრომის ბაზრის სტრუქტურასთან, სადაც დაქირავებით დასაქმებულთა რაოდენობა არაფორმალურ სექტორში თვითდასაქმებულთა რაოდენობას უტოლდება, მაღალია ატიპური დასაქმების ფორმები, სეზონური დასაქმება და ა.შ. გლობალურმა ეკონომიკურმა პროცესებმა და საინფორმაციო ტექნოლოგიების სწრაფი ტემპებით განვითარებამ XXI საუკუნეში საფუძველი ჩაუყარა ახალი „გიგ-ეკონომიკის“ (გიგონომიკა) ფორმირებას, რომელიც დაფუძნებულია არასტანდარტული დასაქმების, განსაკუთრებით კი დისტანციურ შრომაზე. ეს უკანასკნელი გულისხმობს შრომის პირობების (ადგილი, დრო, ინტენსივობის ხარისხი და სხვა) აბსოლუტურად თავისუფალ არჩევანს დამსაქმებლის დავალების შესასრულებლად, მისი საჭიროებისათვის [ცარციძე მ., 2020:139-140], პანდემიის პირობებში კი გასაკვირი არ არის, რომ უმუშევრობა მნიშვნელოვნად გაიზარდა. არასტანდარტული თუ ატიპური შრომით დაკავებულმა ადამიანთა (gig-workers) უმრავლესობამ დაკარგა შემოსავლის წყარო, ამიტომ აუცილებელ პირობას წარმოადგენს მათი მყისიერი ჩართვა სოციალური დახმარების სქემაში მათი სოციალური და ეკონომიკური უსაფრთხოების მიზნით.

პანდემიამ შრომის ბაზარზე მნიშვნელოვანი ზეგავლენა მოახდინა როგორც გლობალურად, ასევე ლოკალურად თითოეული ქვეყნის დონეზე, განსაკუთრებით კი ჯანდაცვის სექტორში დასაქმებულ პერსონალზე. UN Woman-მა საქართველოში 2020 წელს ჩაატარა კვლევა სამედიცინო დაწესებულებებში მომუშავე ქალებზე. კვლევის შედეგად გამოიკვეთა, რომ პანდემიამ მნიშვნელოვნად იმოქმედა სამედიცინო სფეროში დასაქმებული იმ ქალების სამუშაო პირობებსა და ეკონომიკურ მდგომარეობაზე, რომლებიც კოვიდ კლინიკებსა და ცხელების ცენტრებში მუშაობენ: შეიცვალა მა-


თი სამუშაო ცვლები, გაიზარდა სამუშაო საათებისა და იმ პაციენტების რაოდენობა, რომლებსაც მკურნალობდნენ და/ან კონსულტაციას უწევდნენ და ამის გამო დამატებითი პასუხისმგებლობების აღება მოუხდათ. მაქსიმალური დატვირთვა და არასაკმარისი დასვენება სამედიცინო სფეროში დასაქმებულ ქალთა შორის ზრდის პროფესიული გადაწვის რისკს. ამასთან, მიუხედავად იმისა, რომ კვლევის მონაწილეებს პანდემიის პერიოდში სამსახური არ დაუკარგავთ, მათი ეკონომიკური მდგომარეობა გაუარესდა. ამას რამდენიმე მიზეზი ჰქონდა: გაზრდილი სამუშაოს მოცულობისა და ანაზღაურების შეუსაბამობა; პანდემიამდე სამედიცინო სფეროში მომუშავე მრავალი ქალი (ექიმები, ექთნები და სასწრაფო გადაუდებელი დახმარების პერსონალი) ორ კლინიკაში მუშაობდა საკუთარი თავისა და ოჯახისთვის სათანადო ანაზღაურების გამოსამუშავებლად. პანდემიის პერიოდში კი მათ მოუწიათ ერთ-ერთი სამსახურის დატოვება; პანდემიისას მრავალი რესპოდენტის ოჯახის წევრებმა დაკარგეს სამსახური. შესაბამისად ოჯახები, რომლებშიც შემოსავალი რამდენიმე ადამიანს ჰქონდა, მხოლოდ ერთი მარჩენალის იმედზე დარჩნენ, რამაც მნიშვნელოვნად იმოქმედა სამედიცინო სფეროში მომუშავე ქალებზე. ამ ფაქტის გამო გაუარესდა არა მხოლოდ მათი ოჯახების ეკონომიკური მდგომარეობა, არამედ ქალებს ოჯახის მარჩენალის ტვირთიც დაემატათ.

საქსტატის ხელფასების კვლევის მიხედვით, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის დარგში საშუალო ხელფასი 2019 წელს 1049.5 ლარი იყო, რაც ქვეყნის ეროვნულ საშუალო მაჩვენებელს – 1129.5 ლარს – ჩამორჩებოდა. ახლახანს ექთნებში ჩატარებულმა კვლევამ აჩვენა, რომ მათი (უმეტესად, ქალების) 84.6%-ის ხელფასი 500 ლარზე ნაკლებია [ჭაბუკიანი ნ., ჯავახიშვილი ლ., 2020:40]. UN Woman-ის კვლევის შედეგად გამოიკვეთა რამდენიმე ძირითადი პრობლემა: ქვეყნის საშუალო მაჩვენებელთან შედარებით ჯანდაცვისა და სოციალური დაცვის სექტორში დაბალი ანაზღაურებებია, რაც პირდაპირ გავლენას ახდენს ქალებზე, რომლებიც სექტორში დასაქმებულ ადამიანთა და ექიმების უმრავლესობას შეადგენენ. გარდა ამისა, დაბალი ხელფასები არაპროპორციულად აისახება ადამიანის ჯანმრთელობის ქვესექტორში დაბალ პოზიციაზე მყოფ ქალებზე. ქალი სამედიცინო პერსონალის თვისებრივმა ანალიზმა აჩვენა, რომ სამედიცინო სფეროში დასაქმებული

ადამიანების ხელფასი დაბალია და ხშირად საკმარისი არ არის საბაზისო საჭიროებების დასაკმაყოფილებლად.

საქართველო იმ ქვეყნებს შორისაა, სადაც **ტურიზმის** სექტორს მშპ-ის მნიშვნელოვანი წილი უჭირავს (11,5% 2019 წლის მონაცემებით). მსოფლიო ეკონომისტთა პროგნოზებით, ის ქვეყნები, რომელთა ჯამურ ექსპორტში ტურიზმიდან შემოსავალი 20%-ზე მეტია, მიმდინარე პანდემიის მიმართ ეკონომიკურად ყველაზე მოწყვლადები არიან. ტურიზმის სექტორის, როგორც ბოლო წლებში ქვეყნის წარმატებაში მთავარი წვლილის შემტანის, შემოსავლებმა 3,2 მილიარდ აშშ დოლარს მიაღწია 2019 წელს, რამაც მშპ-ის დაახლოებით 18,4% შეადგინა. ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მონაცემების თანახმად, ტურიზმის წილი მშპ-ში 2018 და 2019 წელს 11,5% იყო. ტურიზმთან დაკავშირებულმა ინდუსტრიებმა ქვეყანაში სამუშაო ადგილების 11,4% უზრუნველყო.

გრაფიკი 3. ტურიზმის წილი მშპ-ში (პირდაპირი და არაპირდაპირი კონტრიბუცია).




წყარო: USAID, პოსტ-COVID ეკონომიკური პოლიტიკა ეკონომიკის აღდგენის და მდგრადი განვითარების გზები, 2020 წ აგვისტო, გვ. 6.

პანდემიის პერიოდში განსაკუთრებით დაზარალდა ტურიზმის სექტორი, რამაც მნიშვნელოვანი დარტყმა მიაყენა ქვეყნის ეკონომიკას და შესაბამისად ეკონომიკურ უსაფრთხოებას. ქვეყნებს შორის საზღვრების სახმელეთო, საზღვაო და საჰაერო მიმოსვლის აკრძალვის შედეგად შემცირდა ტურისტული ნაკადები ქვეყანაში, რამაც სეზონურ ტურიზმზე დამოკიდებული მოქალაქეების საარ-

სებო პირობები მნიშვნელოვნად გააუარესა. ტურიზმის ხელშეწყობისა და განვითარებისათვის აუცილებელია: საქართველოს, როგორც მუშაობისა და დასვენებისთვის უსაფრთხო და ჯანსაღი დანიშნულების ადგილის მარკეტირება და რეკლამირება; COVID გარემოზე მორგებული ნიშური ტურისტული მომსახურების მხარდაჭერა. მაგ., აგროტურიზმი, სამედიცინო ტურიზმი, კონფერენციები, დისტანციური სამუშაო და ა.შ. თანამედროვე გლობალიზაციისა და პანდემიის პირობებში ტურიზმის ბიზნესის ფინანსური და საკონსულტაციო მხარდაჭერის სამიზნე უნდა იყოს გაციფრულება, ინოვაციები და სხვა ისეთი ინვესტიციების ხელშეწყობა, რაც საშუალებას მისცემს ბიზნესს უკეთ დააკმაყოფილოს მომხმარებელთა შეცვლილი მოთხოვნები.

ქვეყნის ეროვნულ ეკონომიკურ უსაფრთხოებაზე დიდი მნიშვნელობა ენიჭება მთავრობის მიერ განხორციელებულ პოლიტიკას, მათ შორის *ფისკალურ პოლიტიკას*. პანდემიის დასაწყისში ფისკალური პოლიტიკა მდგრადი იყო და მანევრირების საშუალებას იძლეოდა. მთლიან შიდა პროდუქტის (მშპ) მოსალოდნელმა ვარდნამ და პანდემიასთან გამკლავების მიზნით განხორციელებულმა ინტერვენციამ მთავარი ფისკალური გამოწვევები განაპირობა (მნიშვნელოვნად გაიზარდა სამთავრობო ბალანსი მშპ-სთან მიმართებით). საერთო ჯამში საგანგებო რეაგირება 3,58 მილიარდი ლარი დაჯდა. 2020 წლის პირველ ნახევარში მიმდინარე ხარჯები 17%-ით მაღალი იყო 2019 წლის პირველ ნახევართან შედარებით. ხარჯის უმეტესობა პირველ კვარტალში დაფიქსირდა (21,1%). სოციალური შედავათები 2019 წელთან შედარებით 30%-ით გაიზარდა 2020 წლის პირველ ნახევარში [USAID, 2020:15-16]. უნდა აღინიშნოს, რომ საერთაშორისო სავალუტო ფონდის 26 განვითარებადი ქვეყნის ბაზრის კლასიფიკაციაში მხოლოდ ექვსთან დაფიქსირდა საქართველოზე მეტად მასშტაბური რეაგირება მშპ-ის პროცენტის სახით COVID-19-ის საპასუხოდ.


გრაფიკი 4. სამთავრობო ბალანსი (მშპ).



წყარო: USAID, პოსტ-COVID ეკონომიკური პოლიტიკა ეკონომიკის აღდგენის და მდგრადი განვითარების გზები, 2020 წ. აგვისტო, გვ. 17.

რაც შეეხება ეკონომიკურ ზრდასთან დაკავშირებულ ხედვას როგორც მსოფლიო ეკონომიკის, ისე საქართველოს შემთხვევაში საკმაოდ ბუნდოვანია. გაურკვეველობა იმდენად მაღალია როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო დონეზე, რომ მშპ-ის პროგნოზები საკმაოდ დიდ დიაპაზონში მერყეობს.

გრაფიკი 5. მშპ-ის რეალური ზრდის დონეები.



წყარო: USAID, პოსტ-COVID ეკონომიკური პოლიტიკა ეკონომიკის აღდგენის და მდგრადი განვითარების გზები, 2020 წ. აგვისტო, გვ. 19.

ანალიზიდან სამი ფაქტი იკვეთება: 1) ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში ჩვენს ქვეყანაში მშპ-ის ზრდა იყო უფრო სტაბილური, ვიდრე სხვა ქვეყნებში; 2) მშპ-ში კლება უფრო დიდი ჩანს, ვიდრე სხვა ქვეყნებში და 3) საერთაშორისო სავალუტო

ფონდის აპრილის თვის გამოცემაში „მსოფლიო ეკონომიკის პერსპექტივა“ საერთაშორისო სავალუტო ფონდი ვარაუდობს, რომ თითოეული ქვეყნის შემთხვევაში მშპ-ის ზრდის კუთხით საქმე გვექნება „V-ფორმის“ აღდგენასთან, თუმცა საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ ბოლო დროს გაკეთებული განცხადებებიდან ჩანს, რომ „V-ფორმის“ ეკონომიკური აღდგენა 2021 წელს ნაკლებად სავარაუდო ხდება, რაც გამომდინარეობს პანდემიის სიმძიმიდან და მასთან დაკავშირებული გაურკვევლობებიდან.

### **თანამშრომლობა საერთაშორისო ორგანიზაციებთან ეკონომიკური უსაფრთხოების ხელშეწყობის მიზნით**

უნდა აღინიშნოს, რომ საქართველო ეროვნული ეკონომიკური უსაფრთხოების გაძლიერების მიზნით წარმატებით თანამშრომლობს USAID-თან, რაც განსაკუთრებით საჭირო გახდა Covid-19 პანდემიის შედეგად გამოწვეული სირთულეების ფონზე, რამაც არა მხოლოდ ჯანდაცვის სექტორს მიაყენა მძიმე დარტყმა, არამედ მოიცვა ქვეყნის ეკონომიკის ყველა სექტორი და დარგი. USAID-ის ეკონომიკური უსაფრთხოების პროგრამის მიზანია დააჩქაროს იმ სექტორების ზრდა, რომლებსაც გააჩნიათ სამუშაო ადგილების შექმნის, შემოსავლის ზრდისა და საშუალო, მცირე და მიკროსაწარმოთა მოგების გაზრდის დიდი პოტენციალი, გარდა სოფლის მეურნეობის სექტორისა. ამასთანავე, პროგრამა მიზნად ისახავს, ხელი შეუწყოს ეკონომიკური აქტივობების დივერსიფიკაციას ტურიზმსა და სხვა სექტორებში.

აღნიშნული მიზნის მისაღწევად პროგრამის ძალისხმევა მიმართული იქნება იმ სექტორებისა და ღირებულებათა ჯაჭვის განვითარების ხელშესაწყობად, რომლებსაც აქვთ ისეთი ინვესტიციების მოზიდვის პოტენციალი, რომელიც მაღალანაზღაურებად სამუშაო ადგილებს შექმნის საქართველოს მოქალაქეებისთვის. ეს მოითხოვს ღირებულებათა თითოეული ჯაჭვისთვის ეკოსისტემის შექმნასა და გაუმჯობესებას მიწოდება-მოთხოვნის, სამუშაო ძალის უნარ-ჩვევების განვითარების, კონკრეტული ღირებულებათა ჯაჭვის მხარდამჭერი ინსტიტუტების გაძლიერებისა და თანამშრომლობითი თანადაფინანსების მექანიზმების შექმნის კუთხით; რაც, თავის მხრივ, ინვესტიციების მოზიდვას და დიდ, მცირე და სა-

შუალო საწარმოთა პოზიციების გაუმჯობესებას უზრუნველყოფს.

მომდევნო 5 წლის განმავლობაში, პროგრამა ხელს შეუწყობს სულ მცირე 4000 ახალი სამუშაო ადგილის შექმნას და 600 დიდი, მცირე და საშუალო საწარმოს გაძლიერებას, ასევე მხარდაჭერილი საწარმოების გაყიდვების 50 მილიონი აშშ დოლარით გაზრდას და 15 მილიონი აშშ დოლარის მოზიდვას შექმნილი თანამშრომლობის ფარგლებში [USAID,2020:1-2].

პროგრამა მოიცავს 4 კომპონენტს:

კომპონენტი 1: სამიზნე სექტორებში თანამშრომლობის გაძლიერება ტექნიკური დახმარების გაწევითა და თანამონაწილეობრივი გრანტების საშუალებით;

კომპონენტი 2: საშუალო, მცირე და მიკროსაწარმოთა ეფექტურობის, რეალიზაციისა და ხარისხის გაუმჯობესების ხელშეწყობა და მათ მიერ ახალი პროდუქტებისა და მომსახურების შექმნის მხარდაჭერა იმ ღირებულებათა ჯაჭვის იდენტიფიცირებითა და შესწავლით, რომელიც საუკეთესო შესაძლებლობას ქმნის საქართველოში ინვესტირებისა და მაღალანაზღაურებადი სამუშაო ადგილების შექმნისთვის;

კომპონენტი 3: სექტორის მოთხოვნის შესაბამისი სამუშაო ძალის განვითარება გულისხმობს თანამშრომლობას საგანმანათლებლო ინსტიტუტებთან, ტრენინგების მომწოდებლებთან და კერძო სექტორის წარმომადგენლებთან, რათა სამუშაო ძალისთვის, სამიზნე სექტორის მოთხოვნების შესაბამისი ტრენინგებისა და საგანმანათლებლო პროგრამების მხარდაჭერა მოხდეს.

კომპონენტი 4: საჯარო და კერძო თანამშრომლობის ხელშეწყობა 1,5 მლნ. აშშ დოლარის მოცულობით თანამშრომლობის განვითარების ფონდის მეშვეობით, პროგრამა გულისხმობს სამიზნე სექტორებში საჯარო და კერძო სექტორის თანამშრომლობის (PPP) და გლობალური განვითარების ალიანსის (GDA) მექანიზმების წარმოქმნას, რაც ხელს შეუწყობს სფეროში არსებული გამოწვევების აღმოფხვრას, თავად ამ სექტორების განვითარებას და მაღალანაზღაურებადი სამუშაო ადგილების შექმნას.

გაეროს წარმომადგენლობამ საქართველოში, როგორც მთავრობის დიდი ხნის პარტნიორმა, სხვადასხვა სფეროს წარმომადგენლებთან ერთად შეიმუშავა გაეროს მდგრადი განვითარების



თანამშრომლობის ხელშეკრულება (შემდგომში – „თანამშრომლობის ხელშეკრულება“) 2021-2025 წლებისთვის. ამ დოკუმენტის შემუშავება მოხდა ყველა დაინტერესებული მხარის მონაწილეობით – გაეროს სააგენტოები, საქართველოს მთავრობა, დონორები, საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტები, სამოქალაქო საზოგადოება და სამეცნიერო წრეები [გაეროს მდგრადი განვითარების თანამშრომლობის ხელშეკრულება 2021-2025, 2020 :9-10].

გაერო განაგრძობს საქართველოს მხარდაჭერას COVID-19-ზე რეაგირებისა და აღდგენის პროცესში; ეხმარება მას ეკონომიკის სტრუქტურული ბალანსის და მთელი რიგი სფეროების (წარმოებით დაწყებული, სოციალური მომსახურებით დამთავრებული) გაუმჯობესებაში. თანამშრომლობის ხელშეკრულების სახელმძღვანელო პრინციპებია: არავინ დარჩეს განვითარების პროცესებს მიღმა; ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული მიდგომები; გენდერული თანასწორობა და ქალთა გაძლიერება; მედეგობა; მდგრადობა და ანგარიშვალდებულება. ამასთანავე მომდევნო პერიოდში საქართველოში განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა გარემოს დაცვისა და ინოვაციების, ასევე დეცენტრალიზაციის საკითხებს.

გაეროს სისტემამ საქართველოში სწრაფად დაუჭირა მხარი COVID-19-ის პანდემიაზე მთავრობის სწრაფ რეაგირებას: საქართველო იყო იმ ქვეყნებს შორის, რომლებმაც პირველებმა მიიღეს გაეროს COVID-19-თან რეაგირებისა და აღდგენის მრავალპარტნიორული სატრასტო ფონდის (MPTF) მხარდაჭერა კრიზისის პერიოდში გადაუდებელი საჭიროებების დაკმაყოფილებისთვის. გაეროს ყველა სააგენტომ, ფონდმა და პროგრამამ (AFP) გადასინჯა თავისი პროგრამა შესაბამის დონორებთან ერთად, გამართა დისკუსიების არა ერთი რაუნდი განვითარების პარტნიორებთან, მათ შორის, საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების (IFI) და მთავრობის ადმინისტრაციასთან.

### **დასკვნა და რეკომენდაციები**

COVID-19-ის პანდემია დღესდღეობით უმთავრეს გამოწვევას წარმოადგენს საქართველოსთვის, ისევე როგორც ყველა ქვეყნისთვის მსოფლიოში. ჯანდაცვის საკითხებზე ეფექტიანი საერთაშორისო თანამშრომლობა მოითხოვს ყველა ქვეყანას გააჩნდეს მყარი ცოდნა უახლეს სამედიცინო მიმდინარეობებზე,

იყოს ერთიანი გაგება თანამშრომლობის მექანიზმებსა და რეგულაციებზე. დღის წესრიგში დადგა რეგიონის მასშტაბით აღნიშნულ სფეროში პროფესიული უნარების დახვეწა, გამოიკვეთა საჭიროებები, რომელთა მიხედვით შემუშავებული მრავლისმომცველი სატრენინგო პროგრამები კიდევ უფრო განავითარებს გლობალური ჯანდაცვის შესახებ არსებულ გამოცდილებას. COVID-19-მა განსხვავებული გავლენა მოახდინა მოსახლეობის სხვადასხვა სეგმენტზე. ეპიდემიაზე ნებისმიერი რეაგირება უნდა ითვალისწინებდეს ამ ფაქტორს და აყალიბებდეს პრინციპის: „არავინ დარჩეს განვითარების პროცესებს მიღმა“.

საქართველოს ჯანდაცვის სისტემის მდგრადობის, ხელმისაწვდომობისა და რეაგირების უზრუნველყოფაზე მიმართული რეფორმები გადაუდებელ ფინანსურ პრიორიტეტს წარმოადგენს, თუმცა უნდა დაბალანსდეს COVID-19-ის საფრთხის მართვის საჭიროებები. პანდემიის დაწყებისთანავე ჯანდაცვის სისტემის რეორგანიზაციის მიმართულებით გადადგმულმა ნაბიჯებმა, რომელთა მიზანს პოტენციური ეპიდემიის გავრცელებით გამოწვეული საჭიროებების დაკმაყოფილება და სხვა პაციენტების უზრუნველყოფა წარმოადგენდა, ხელი შეუწყო ქვეყნის რეაგირების სისტემის მიმართ საზოგადოების ნდობის ამღლებას და შეაჩერა მისი გავრცელება, თუმცა ამასთან ერთად მთავრობას დააწვა დიდი ფინანსური ტვირთი და სექტორის მდგრადობასა და საზოგადოების ჯანდაცვაზე წვდომას საფრთხე შეექმნა, რაც ასევე ეროვნულ ეკონომიკურ უსაფრთხოებას უქმნის პრობლემებს.

პანდემიამ ხაზი გაუსვა ჯანდაცვისა და ეკონომიკური პოლიტიკის რეაგირების აუცილებლობას, მათ შორის გლობალურ თანამშრომლობას მისი გავლენის შესამსუბუქებლად. დაუცველი მოსახლეობის დასაცავად და ქვეყნების შესაძლებლობის განმტკიცების მიზნით, მომავალში მსგავსი მოვლენების თავიდან ასაცილებლად და მათთან გასამკლავებლად მეტად მნიშვნელოვანია განვითარებული ქვეყნების თანადგომა და მათი ძალისხმევა კრიზისული სიტუაციების გასაჩივრებლად. განვითარებადი ეკონომიკები განსაკუთრებით მოწყვლადია და მათთვის ძალზე მნიშვნელოვანია ჯანდაცვის სისტემის გაძლიერება, არაფორმალური ეკონომიკისა და შეზღუდული სოციალური უსაფრთხოების ქსელების მოგვარება, რეფორმების განხორციელება არსებული კრი-

ზისის შემდეგ ძლიერი და მდგრადი ეკონომიკური ზრდის უზრუნველსაყოფად.

COVID-19 პანდემია გლობალური განვითარების კრიზისის თვალსაზრისით ისტორიული და უპრეცედენტო მოვლენაა, თუმცა პანდემიით განპირობებული გამოწვევები და სირთულეები შეიძლება მთავრობებისთვის გადაიქცეს რეალურ შესაძლებლობად, განავითარონ, დააჩქარონ და სათანადოდ მართონ ბაზარზე არსებული ჩავარდნები, უზრუნველყონ და გახდნენ ახალი შესაძლებლობების პირველი შემსრულებლები ბიზნესის კეთების კუთხით და არსებული მდგომარეობის რეფორმატორები; ამასთან დღის შუქზე გამოიტანონ და ყურადღების ცენტრში მოაქციონ მანამდე უგულვლელყოფილი საკითხები. საქართველოსთვის ზოგიერთი მაღალი დონის ხელშემწყობი ფაქტორი მოიცავს, მაგრამ არ შემოიფარგლება შემდეგით: წყვეტა ადამიანური რესურსის საქმიანობაში, მოთხოვნის მოდელის ცვლილება და მიწოდების წყვეტა, რასაც მიყვავართ მიწოდების ჯაჭვის რეკონფიგურაციამდე, ასევე ციფრული ტექნოლოგიებისა და ინოვაციების დაჩქარებული განვითარება და დანერგვა. COVID-19-ის გარემოში ნავიგაციისას და ეკონომიკური აღდგენის საკითხის განხილვისას პოლიტიკის შემუშავებაზე პასუხისმგებელმა პირებმა უნდა შეძლონ პოლიტიკის ოპტიმიზაცია და ინტერვენციის ისეთი ფორმების შემუშავება, რაც მოქალაქეებზე, ბიზნესსა და დარგებზე ჯანდაცვისა და ეკონომიკის მხრივ ზემოქმედებას დააბალანსებს და ეროვნული ეკონომიკური უსაფრთხოების გარანტი იქნება.

პანდემიამ კიდევ ერთხელ გამოავლინა, რომ გადაუდებელი ამოცანაა ქვეყანაში ტექნოლოგიების, შიდა და საერთაშორისო ლოჯისტიკის, განათლების ხელშეწყობა, იქედან გამომდინარე, რომ ე.წ. „ჩაკეტვის“ პირობებში არ შეფერხდეს მთელი რიგი პროცესები. ციფრული ტექნოლოგიები და მონაცემთა რევოლუცია ახალ პოტენციალს გვთავაზობს ეფექტიანობის, გამჭვირვალობის, რეაგირებისა და მოქალაქეთა ნდობის ასამაღლებლად, რომელთაგან თითოეული უშუალოდ აუმჯობესებს მართვის ხარისხს.

COVID-19-მა ახალი შესაძლებლობები მისცა საქართველოს, მოახდინოს ეკონომიკური აღდგენისა და გრძელვადიანი ეკონომიკური მდგრადობის სტიმულირება, აქცენტი უნდა გაკეთდეს მაღალპოტენციური სექტორების კონკურენტუნარიანობის ამაღლე-

ბასა და ხელშემწყობი გარემოს შექმნაზე. მნიშვნელოვანია ინვესტიციების ხელშეწყობა ციფრულ სისტემებში და მათი შესაბამისობაში მოყვანა ახალ ინფრასტრუქტურულ მოთხოვნებთან, რაც მნიშვნელოვანია როგორც ჯანდაცვის სექტორის განვითარებისათვის, ასევე ეროვნული ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად.

### **გამოყენებული ლიტერატურა**

1. აბესაძე რ., პანდემიის ეკონომიკური, სოციალური და ჰუმანიტარული ასპექტები მსოფლიოსა და საქართველოში, 2020, გვ.12-13.
2. ალადაშვილი ბ., ეკონომიკური უსაფრთხოების არსი, მიზნები და მნიშვნელობა თანამედროვე მსოფლიოში, 2006, გვ.1-3.
3. გაეროს მდგრადი განვითარების თანამშრომლობის ხელშეკრულება 2021-2025, 2020 წ, გვ.9-10, 15-16
4. ვერულავა თ., პირველადი ჯანდაცვის გამოწვევები საქართველოში, 2018, გვ. 2-3.
5. თეთრაული ც., ეკონომიკური უსაფრთხოების ძირითადი პრობლემები, 2018, გვ. 3-4.
6. მირზიკაშვილი ნ., ჯანდაცვის სისტემის გამოწვევები საქართველოში მუნიციპალურ დონეზე COVID 19-ის პანდემიის დროს, 2021, გვ.5-6.
7. ნატროშვილი გ., ეროვნული უსაფრთხოების მიზნები, ფაქტები და მაჩვენებლები // ახალი აზრი, №8 (14), დეკემბერი 2008, გვ.1.
8. პაპავა ვ., ეკონომიკურ პოლიტიკაში კორონომიკსის ასახვის შესახებ, ჟურნალი გლობალიზაცია და ბიზნესი, 2020, N10, გვ.15-16.
9. საქართველოს მთავრობის ანტიკრიზისული ეკონომიკური გეგმა, 2020, გვ.2-3.
10. საქართველოს სტანდარტებისა და მეტროლოგიის სააგენტო, გლობალური რისკების ანგარიშის მიმოხილვა, 2021, გვ.1.
11. საქსტატი, საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, 2021.

12. ცარციძე მ., დისტანციური დასაქმების განვითარების პერსპექტივები საქართველოში კორონომიკის პირობებში, გლობალიზაცია და ბიზნესი, 2020, N10, გვ. 139-140.
13. ჯავახიშვილი ლ., ჭაბუკიანი ნ., UN Woman-United Nations Entity for Gender Equality and Empowerment of Woman, COVID-19-ის გავლენის შეფასება სამედიცინო სფეროში მომუშავე ქალებზე საქართველოში, დეკემბერი 2020, გვ.11-15, 40-43.
14. Chand ., Panajyan შ., მსოფლიო ბანკი, პრეს-რელიზი, მარტი 2021, გვ.1-2
15. Coibion, O., Gorodnichenko, Y., & Weber, M., The Cost of the Covid-19 Crisis: Lockdowns, Macroeconomic Expectations, and Consumer Spending (Working Paper No. 27141; Working Paper Series). National Bureau of Economic Research, 2020, pp.2-3
16. UNESCO-UNICEF-World Bank jointly conducted survey to monitor national education responses to COVID-19 school closures, August 2020, pp.25-27
17. USAID, პოსტ-COVID ეკონომიკური პოლიტიკა ეკონომიკის აღდგენისა და მდგრადი განვითარების გზები, აგვისტო 2020, გვ. 6, 15-19.
18. USAID-ის ეკონომიკური უსაფრთხოების პროგრამა, 2020, გვ. 1-2.

*Nino Zhorzhikashvili*

**GLOBAL ECONOMIC THREATS IN THE FIELD OF HEALTH AND ITS  
IMPACT ON NATIONAL ECONOMIC SECURITY (PROBLEMS IN THE  
FIELD OF HEALTH SYSTEM)**

**Summary**

The Covid-19 pandemic has radically changed the institutions of each state, the issues of reviewing political and economic arrangements and implementing important transformations have become the agenda.

The global pandemic is not only a medical challenge in a narrow sense. In reality, COVID-19 poses serious challenges to internal and external relations systems, it will introduce qualitatively new accents not only in people-to-people contacts, but also in the current formation of international relations. The economic and financial losses caused by the virus amount to trillions of dollars, however, apart from the digital indicator, the most important thing is the disruption of the existing global economic system and the process of its complete reorganization on new principles. The paper discusses the threats in the healthcare system, especially the impact of the negative consequences of the Covid-19 pandemic on the health of the population, as well as global and national economic security. Paper also discusses the concept and strategy of national economic security for Georgia and its importance, the anti-crisis plan of the Georgian government to overcome the negative consequences of the pandemic, the impact of Covid-19 on various sectors of the economy, issues of fiscal policy sustainability in this regard, cooperation with international organizations, recommendations for problems in the health sector are highlighted, to overcome and ensure economic security.

**Keywords:** globalization, economic security, Covid-19 pandemic, coronomics.

ს ვ ტ ო ო ე ბ ო

1	ახესაძე რამაზი	– ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის დირექტორი
2	ბერიშვილი ხათუნა	– ეკონომიკის დოქტორი, თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი
3	ბერულავა გიორგი	– ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის განყოფილების გამგე, მთავარი მეცნიერი თანამშრომელი
4	ბიბილაშვილი ნანა	– ეკონომიკის დოქტორი, თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი
5	ბრეგვაძე გიორგი	– ეკონომიკის დოქტორი, თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი
6	ბურდული ვახტანგი	– ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის განყოფილების გამგე, მთავარი მეცნიერი თანამშრომელი
7	გოგობია თეიმურაზი	– ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი, თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი
8	დავლაშერიძე ნატა	– ეკონომიკის დოქტორი, თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი

9	<b>დათუნაშვილი ლინა</b>	– ეკონომიკის დოქტორი, დოცენტი, თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის მთავარი მეცნიერი თანამშრომელი
10	<b>დვალიშვილი ლია</b>	– თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომელი
11	<b>თაფლაძე თამარი</b>	– თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომელი
12	<b>თეთრაული ციცინო</b>	– თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომელი
13	<b>თოთლაძე ლია</b>	– ეკონომიკის დოქტორი, თსუ პ. გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის მთავარი მეცნიერი თანამშრომელი
14	<b>კაკულია ეთერი</b>	– ეკონომიკის დოქტორი, თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი
15	<b>კვარაცხელია მურმანი</b>	– ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის მთავარი მეცნიერი თანამშრომელი
16	<b>კურატაშვილი ქრისტინე (ქეთევან)</b>	– თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომელი
17	<b>ლაზარაშვილი თეა</b>	– ეკონომიკის დოქტორი, თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის მთავარი მეცნიერი თანამშრომელი, დირექტორის მოადგილე
18	<b>მელაშვილი მედეა</b>	– თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომელი



19	ნოზაძე ზურაბი	– თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომელი
20	პაპავა ვლადიმერი	– ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი, თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის მთავარი მეცნიერი თანამშრომელი
21	ჟორჯიკაშვილი ნინო	– თსუ, დოქტორანტი, თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომელი
22	ქავთარაძე თენგიზი	– ეკონომიკის დოქტორი, თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი
23	ქველაძე ქეთევანი	– ეკონომიკის დოქტორი, თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი
24	ქისტაური ნუნუ	– ეკონომიკის დოქტორი, თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი
25	ცუცქირიძე მარინე	– ეკონომიკის დოქტორი, თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი
26	წერეთელი ზურაბი	– თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომელი
27	ხუსკივაძე მამუკა	– ეკონომიკის დოქტორი, თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის განყოფილების გამგე, მთავარი მეცნიერი თანამშრომელი

28	<b>ჯავახიშვილი რევაზი</b>	– ეკონომიკის დოქტორი, თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუ- ტის განყოფილების გამგე
----	-------------------------------	---

## A U T H O R S

<b>1</b>	<b>ABESADZE RAMAZ</b>	– Director of P. Gugushvili Institute of Economics of TSU, Doctor of Economic Sciences, Professor
<b>2</b>	<b>BERISHVILI KHATUNA</b>	– Doctor of Economics, Senior Researcher of P. Gugushvili Institute of Economics of TSU
<b>3</b>	<b>BERULAVA GEORGE</b>	– Doctor of Economic Sciences, Professor, Chief of dep. of P. Gugushvili Institute of Economics of TSU, Chief Research Fellow
<b>4</b>	<b>BIBILASHVILI NANA</b>	– Doctor of Economics, Senior Researcher of P. Gugushvili Institute of Economics of TSU
<b>5</b>	<b>BREGVADZE GIORGI</b>	– Doctor of Economics, Senior Researcher of P. Gugushvili Institute of Economics of TSU
<b>6</b>	<b>BURDULI VAKHTANG</b>	– Doctor of Economic Sciences, Chief of dep. of P. Gugushvili Institute of Economics of TSU, Chief Research Fellow
<b>7</b>	<b>DATUNASHVILI LINA</b>	– Doctor of Economics, Docent, Chief Research Fellow of P. Gugushvili Institute of Economics of TSU
<b>8</b>	<b>DAVLASHERIDZE NATA</b>	– Doctor of Economics, Senior Researcher of P. Gugushvili Institute of Economics of TSU
<b>9</b>	<b>DVALISHVILI LIA</b>	– Researcher of P. Gugushvili Institute of Economics of TSU
<b>10</b>	<b>GOGOKHIA TEIMURAZ</b>	– Doctor of Business Administration, Senior Researcher of P. Gugushvili Institute of Economics of TSU
<b>11</b>	<b>JAVAKHISHVILI REVAZ</b>	– Doctor of Economics, Chief of dep. of P. Gugushvili Institute of Economics of TSU
<b>12</b>	<b>KAKULIA ETER</b>	– Doctor of Economics, Senior Researcher of P. Gugushvili Institute of Economics of TSU

13	<b>KAVTARADZE TENGIZ</b>	Doctor of Economics, Senior Researcher of P. Gugushvili Institute of Economics of TSU
14	<b>KHUSKIVADZE MAMUKA</b>	– Doctor of Economics, Chief Research Fellow of P. Gugushvili Institute of Economics of TSU, Chief Research Fellow
15	<b>KISTAURI NUNU</b>	– Doctor of Economics, Senior Researcher of P. Gugushvili Institute of Economics of TSU
16	<b>KURATASHVILI QRISTINE (KETEVA)</b>	– Researcher of P. Gugushvili Institute of Economics of TSU
17	<b>KVARTSKHELIA MURMAN</b>	– Doctor of Economic Sciences, Chief Research Fellow of P. Gugushvili Institute of Economics of TSU
18	<b>KVELADZE KETEVA</b>	– Doctor of Economics, Senior Researcher of P. Gugushvili Institute of Economics of TSU
19	<b>LAZARASHVILI TEA</b>	– Doctor of Economics, Chief Research Fellow of P. Gugushvili Institute of Economics of TSU, Director Deputy of P. Gugushvili Institute of Economics of TSU, Chief Research Fellow
20	<b>MELASHVILI MEDEA</b>	– Researcher of P. Gugushvili Institute of Economics of TSU
21	<b>NOZADZE ZURAB</b>	– Researcher of P. Gugushvili Institute of Economics of TSU
22	<b>PAPAVA VLADIMER</b>	– Chief Research Fellow of P. Gugushvili Institute of Economics of TSU, Academician of National Academy of Georgia, Doctor of Economic Sciences, Professor
23	<b>TAPLADZE TAMAR</b>	– Researcher of P. Gugushvili Institute of Economics of TSU
24	<b>TETRAULI TSITSINO</b>	– Researcher of P. Gugushvili Institute of Economics of TSU
25	<b>TOTLADZE LIA</b>	– Doctor of Economics, Chief Research Fellow of P. Gugushvili Institute of Economics of TSU, Chief Research

		Fellow
<b>26</b>	<b>TSERETELI ZURAB</b>	– Director Deputy of P. Gugushvili Institute of Economics of TSU, Researcher of P. Gugushvili Institute of Economics of TSU
<b>27</b>	<b>TSUTSKIRIDZE MARINE</b>	– Doctor of Economics, Senior Researcher of P. Gugushvili Institute of Economics of TSU
<b>28</b>	<b>ZHORZHIKASHVILI NINO</b>	– Doctor of Economics, Researcher of P. Gugushvili Institute of Economics of TSU

ს ა რ ჩ ე მ ი

<b>წინასიტყვაობა</b>	<b>5</b>
<b>სამეცნიერო ნაშრომები</b>	
<b>რამაზ აბესაძე</b> საქართველოს ეკონომიკური უსაფრთხოების სტრატეგიის შემუშავების ძირითადი თეორიულ-მეთოდოლოგიური პრობლემები	<b>9</b>
<b>ვლადიმერ პაპავა</b> დეგლობალიზაციის პრობლემა და განახლებული გლობალიზაციის პირობებში ეროვნული ეკონომიკური უსაფრთხოების ძირითადი გამოწვევები	<b>28</b>
<b>ვახტანგ ბურდული</b> გლობალური ეკონომიკური საფრთხეები და მათი გავლენა ეროვნულ ეკონომიკურ უსაფრთხოებაზე	<b>55</b>
<b>გიორგი ბერულავა, მარინე ცუცქერიძე</b> ეკონომიკური უსაფრთხოების და ეკონომიკური მდგრადობის თეორიულ-მეთოდოლოგიური ასპექტები: საერთაშორისო გამოცდილება	<b>114</b>
<b>მურმან კვარაცხელია</b> გლობალიზაცია და ეკონომიკური უსაფრთხოების პრობლემები საქართველოში	<b>130</b>
<b>რამაზ აბესაძე, ნანა ბიბილაშვილი , ქეთევან კურატაშვილი</b> საქართველოს სოციალური და ეკოლოგიური უსაფრთხოების სტრატეგიის შემუშავების თეორიულ-მეთოდოლოგიური საკითხები	<b>145</b>
<b>თეა ლაზარაშვილი, ეთერი კაკულია</b> გლობალური სოციალური საფრთხეები და მათი ეროვნულ სოციალურ უსაფრთხოებაზე გავლენის თეორიული საკითხები	<b>155</b>
<b>რევაზ ჯავახიშვილი</b> ზოგიერთი განვითარებული ქვეყნის - აშშ-ს /ეკონომიკური და ეკოლოგიური/, იაპონიის /ეკონომიკური და სოციალური/ უსაფრთხოების სფეროში გამოცდილების განზოგადება	<b>172</b>

<b>მამუკა ხუსკივაძე</b> ეკოლოგიური უსაფრთხოების სფეროში ევროკავშირის გამოცდილების განზოგადება	<b>222</b>
<b>ლინა დათუნაშვილი</b> გლობალური სასურსათო უსაფრთხოება და მისი ეროვნულ სასურსათო უსაფრთხოებაზე გავლენის თეორიული საკითხები	<b>239</b>
<b>თენგიზ ქვთარაძე</b> გლობალური ეკონომიკური და ეკოლოგიური საფრთხეები და მათი ეროვნული სოფლის მეურნეობის უსაფრთხოებაზე გავლენის თეორიული საკითხები	<b>255</b>
<b>ნატალია დავლაშვიტი</b> ევროკავშირში შემავალი ქვეყნების გამოცდილება ეკონომიკური, სოციალური და ეკოლოგიური უსაფრთხოების სფეროში	<b>271</b>
<b>გიორგი ბრეგვაძე</b> გლობალური ეკონომიკური და ეკოლოგიური საფრთხეები და მათი მშენებლობის ეროვნული სექტორის უსაფრთხოებაზე გავლენის თეორიული საკითხები	<b>299</b>
<b>ლია თოთლაძე, თამარ თავლაძე</b> ეკონომიკური, სოციალური და ეკოლოგიური უსაფრთხოება ბენელუქსის ქვეყნებში	<b>326</b>
<b>ქეთევან ქველაძე</b> გლობალური ეკოლოგიური საფრთხეები და მისი ეროვნული ტურიზმის უსაფრთხოებაზე გავლენის თეორიული საკითხები	<b>345</b>
<b>ნუნუ ქისტაური</b> ეკონომიკური, სოციალური და ეკოლოგიური უსაფრთხოების სფეროში ზოგიერთი განვითარებადი ქვეყნის (ჩინეთი, თურქეთი) გამოცდილება	<b>362</b>
<b>თეიმურაზ გოგობია</b> ფირმის ეკონომიკური უსაფრთხოების სტრატეგიის შემუშავების მეთოდოლოგიური ასპექტები	<b>383</b>
<b>ხათუნა ბერიშვილი</b> ეკონომიკური, სოციალური და ეკოლოგიური	<b>397</b>

უსაფრთხოების სფეროში ზოგიერთი პოსტკომუნისტური ქვეყნის (რუსეთი, უკრაინა) გამოცდილება	
<b>მედეა მელაშვილი</b> სოციალური უსაფრთხოების გამოცდილება ამერიკის შეერთებულ შტატებში	436
<b>ციცინო თეთრაული</b> სოციალური უსაფრთხოების გამოცდილება ევროკავშირში	449
<b>ზურაბ წერეთელი</b> გლობალური ეკონომიკური საფრთხეები და მისი გავლენა საწარმოს ეკონომიკური განვითარების სტაბილურობაზე	477
<b>ლია დვალიშვილი</b> გლობალური ეკოლოგიური საფრთხეები და მისი ეროვნულ ეკოლოგიურ უსაფრთხოებაზე გავლენის თეორიული საკითხები; (კლიმატის ცვლილება)	501
<b>ზურაბ ნოზაძე</b> ეკოლოგიური უსაფრთხოების გამოცდილება იაპონიაში	519
<b>ნინო ჟორჟიკაშვილი</b> გლობალური ეკონომიკური საფრთხეები ჯანდაცვის სფეროში და მისი გავლენა ეროვნულ ეკონომიკურ უსაფრთხოებაზე (ჯანდაცვის სფეროს პრობლემები)	530
<b>ავტორები</b>	559



## CONTENTS

<b>PREFACE</b>	<b>5</b>
<b>SCIENTIFIC WORKS</b>	
<i>Ramaz Abesadze</i> THE MAIN THEORETICAL AND METHODOLOGICAL PROBLEMS OF DEVELOPING THE ECONOMIC SECURITY STRATEGY OF GEORGIA	<b>9</b>
<i>Vladimer Papava</i> THE PROBLEM OF DEGLOBALIZATION AND THE MAIN CHALLENGES TO NATIONAL ECONOMIC SECURITY IN THE CONTEXT OF RENEWED GLOBALIZATION	<b>28</b>
<i>Vakhtang Burduli</i> GLOBAL ECONOMIC DANGERS AND THEIR IMPACT ON NATIONAL ECONOMIC SECURITY	<b>55</b>
<i>George Berulava, Marine Tsutskiridze</i> THEORETICAL-METHODOLOGICAL ASPECTS OF ECO- NOMIC SECURITY AND ECONOMIC SUSTAINABILITY: INTERNATIONAL EXPERIENCE	<b>114</b>
<i>Murman Kvaratskhelia</i> GLOBALIZATION AND PROBLEMS OF ECONOMIC SECURITY IN GEORGIA	<b>130</b>
<i>Ramaz Abesadze, Nana Bibilashvili, Ketevan Kuratashvili</i> THEORETICAL-METHODOLOGICAL ISSUES OF DEVELOPMENT OF SOCIAL AND ECOLOGICAL SECURITY STRATEGY OF GEORGIA	<b>145</b>
<i>Tea Lazarashvili, Eteri kakulia</i> GLOBAL SOCIAL THREATS AND THEORETICAL ISSUES OF THEIR IMPACT ON NATIONAL SOCIAL SECURITY	<b>155</b>
<i>Revaz Javakhishvili</i> GENERALIZATION OF EXPERIENCE IN THE FIELD OF SECURITY OF SOME DEVELOPED COUNTRIES - USA (ECONOMIC AND ECOLOGICAL), JAPAN (ECONOMIC AND SOCIAL)	<b>172</b>
<i>Mamuka Khuskivadze</i> GENERALIZATION OF EU EXPERIENCE IN THE FIELD OF ENVIRONMENTAL SECURITY	<b>222</b>

<i>Lina Datunashvili</i> GLOBAL FOOD SECURITY AND THEORETICAL ISSUES OF ITS IMPACT ON NATIONAL FOOD SECURITY	239
<i>Tengiz Kavtaradze</i> GLOBAL ECONOMIC AND ENVIRONMENTAL THREATS AND THEIR THEORETICAL ISSUES OF IMPACT ON NA- TIONAL AGRICULTURAL SECURITY	255
<i>Nata Davlasheridze</i> THE EXPERIENCE OF EU MEMBER STATES IN THE FIELD OF ECONOMIC, SOCIAL AND ECOLOGICAL SECURITY	271
<i>George Bregvadze</i> GLOBAL ECONOMIC AND ECOLOGICAL THREATS AND THEORETICAL ISSUES OF THEIR IMPACT ON THE SECURITY OF THE NATIONAL CONSTRUCTION SECTOR	299
<i>Lia Totladze, Tamar Tapladze</i> ECONOMIC, SOCIAL, AND ENVIRONMENTAL SECURITY IN THE BENELUX COUNTRIES	326
<i>Ketevan Kveladze</i> GLOBAL ECOLOGICAL THREATS AND THEORETICAL ISSUES OF ITS IMPACT ON NATIONAL TOURISM SECURITY	345
<i>Nunu Kistauri</i> EXPERIENCE OF SOME DEVELOPING COUNTRIES (CHINA, TURKEY) IN THE FIELD OF ECONOMIC, SOCIAL AND ENVIRONMENTAL SECURITY	362
<i>Teimuraz Gogokhia</i> THE METHODOLOGICAL ASPECTS OF THE ELABORA- TION OF THE STRATEGY OF FIRM'S ECONOMIC SECUR- ITY	383
<i>Khatuna Berishvili</i> EXPERIENCE OF SOME POST-COMMUNIST COUNTRIES (RUSSIA, UKRAINE) IN THE FIELD OF ECONOMIC, SO- CIAL AND ECOLOGICAL SECURITY	397
<i>Medea Melashvili</i> SOCIAL SECURITY EXPERIENCE IN UNITED STATES OF AMERICA	436
<i>Tsitsino Tetrauli</i> THE EXPERIENCE OF SOCIAL SECURITY IN THE	449

EUROPEAN UNION	
<i>Zurab Tsereteli</i> GLOBAL ECONOMIC THREATS AND THEIR INFLUENCE ON THE STABILITY OF ECONOMIC DEVELOPMENT IN THE ENTERPRISE	<b>477</b>
<i>Lia Dvalishvili</i> GLOBAL ECOLOGICAL THREATS AND THEORETICAL ISSUES OF ITS IMPACT ON NATIONAL ECOLOGICAL SECURITY; (CLIMATE CHANGE)	<b>501</b>
<i>Zurab Nozadze</i> ENVIRONMENTAL SAFETY EXPERIENCE IN JAPAN	<b>519</b>
<i>Nino Zhorzhikashvili</i> GLOBAL ECONOMIC THREATS IN THE FIELD OF HEALTH AND ITS IMPACT ON NATIONAL ECONOMIC SECURITY (PROBLEMS IN THE FIELD OF HEALTH SYS- TEM)	<b>530</b>
<b>AUTHORS</b>	<b>559</b>

დაიბეჭდა თსუ პაატა გუგუშვილის სახელობის  
ეკონომიკის ინსტიტუტის სამეცნიერო-საგამომცემლო  
საბჭოს გადაწყვეტილებით

გამომცემლობის რედაქტორი ნელი ქაფიანიძე

თსუ პაატა გუგუშვილის სახელობის  
ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა  
თბილისი, გ. ქიქოძის № 14  
99 68 53, 93 22 60  
ელ-ფოსტა: economics\_institute@yahoo.com

---

დაიბეჭდა 2022 წელს თსუ გამომცემლობის სტამბაში  
0128 თბილისი, ილია ჭავჭავაძის გამზირი 1  
1 Ilia Chavchavadze Avenue, Tbilisi 0128  
t. 995 (32) 2251432, 995 (32) 2252736  
www.press.tsu.ge